აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ.

(აფხაზეთი - რელიგია, განათლება, კულტურა)

შემდგენელ-რედაქტორი
პროფესორი ირაკლი გელენავა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2014

უაკ (UDC) 070(479.22)
ქ-279

კრებული თავს უყრის 1900-1921 წლების ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ აფხაზეთის საზოგადოებრივი ცხოვრების (რელიგია, განათლება, კულტურა) ამსახველ პუბლიკაციებს. ის ასევე მოიცავს ინფორმაციებს მხარის კოლონიზაცია/ოკუპაციის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, მედიცინის, საზოგადოებრივი გაერთიანებების, ქველმოქმედების და ა.შ. საკითხებზე. ყოველივე ეს მკითხველს ნათელ სურათს შეუქმნის იმდროინდელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებაზე. კრებულს დართული აქვს ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი, რის გამოც მისი გამოყენება უფრო მოქნილი და მოსახერხებელი იქნება.

წიგნი განკუთვნილია, როგორც ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა, პედაგოგთა, სტუდენტთა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

კონსულტანტი	**ნატო კორსანტია**
მხატვარ-დიზაინერი	**დათო ბაძაღუა**
ტექსტის აწყობა:	**ქეთევან ხაზალია** **რუსუდან ემუხვარი** **თამარ გერსამია** **იზა ღურწკაია** **თამარ ყოლბაია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა	**თამარ სტეფნაძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014
© ი. გელენავა

ISBN 978-9941-10-846-4

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

1900 11

„ივერია“ 13
„ცნობის ფურცელი“ 18
ჟურნალი „მწყემსი“ 25
ჟურნალი: „მოამბე“ 25
„კვალი“ 25

1901 27

„ივერია“ 29
„ცნობის ფურცელი“ 30
„კვალი“ 33

1902 37

„ივერია“ 39
„კვალი“ 49
„ცნობის ფურცელი“ 50

1903 69

„ივერია“ 71
„კვალი“ 76
„ცნობის ფურცელი“ 78

1904 89

„ივერია“ 91
„მწყემსი“ 99
„ცნობის ფურცელი“ 99

1905 109

„ივერია“ 111
„ცნობის ფურცელი“ 115

1906 135

„განთიადი“ 137
„გზა“ 137
„გლეხი“ 137
„ლამპარი“ 137
„მეგობარი“ 139
„მუშა“ 145
„შრომა“ 149
„ჩვენი ცხოვრება“ 149
„ცნობის ფურცელი“ 151
„წინ“ 151

1907 153

„ისარი“ 155
„ჩვენი სიტყვა“ 160
„წინ“ 161
„წყარო“ 161

1908 165
ჟურნალი „ალიონი“ 167
„ამირანი“ 167
„დასაწყისი“ 172
„ეკალი“ 174
„იმედი“ 175
„ცხოვრების სარკე“ 176

1909 179
„დროება“ 181
„ ივერია“ 186
„მომავალი“ 186
„ფონი“ 189

1910 191
„ახალი გზა“ 193
„დროება“ 196
„სახალხო გაზეთი“ 199

1911 205
„ბათუმის გაზეთი“ 207
„თემი“ 219
„კოლხიდა“ 219
„სახალხო გაზეთი“ 223

1912 241
„ბათუმის გაზეთი“ 243
„დილა“ 248
„თემი“ 249
„იმერეთი“ 253
„კოლხიდა“ 257
„სახალხო გაზეთი“ 259
„ცხოვრება“ 263

1913 267
„მერცხალი“ 269
„ბათუმის გაზეთი“ 274
„თემი“ 274
„იმერეთი“ 275
„მერცხალი“ 280
„სახალხო გაზეთი“ 284
„სიმართლის ხმა“ 285
„სიტყვა“ 286
„ფიქრი“ 287

1914 289
ბათუმის გაზეთი“ 291
„ახალი აზრი“ 292
„ახალი ივერია“ 293
„იმერეთი“ 294

„სახალხო გაზეთი“ ... 298
„საალხო ფურცელი“ ... 306
„სიმართლის ხმა“ ... 312
„ტალღა“ ... 313
„ჩვენი აზრი“ ... 314

1915 ... 315
„იმერეთი“ ... 317
„საქართველო“ ... 317
„სახალხო ფურცელი“ ... 321

1916 ... 325
„საქართველო“ ... 327
„სახალხო ფურცელი“ ... 331
„ჩვენი მეგობარი“ ... 336

1917 ... 347
„ალიონი“ ... 349
„საქართველო“ ... 358
„სახალხო საქმე“ ... 374
„სახალხო ფურცელი“ ... 375
„ჩვენი მეგობარი“ ... 377

1918 ... 381
„ერთობა“ ... 383
„საქართველო“ ... 390
„სახალხო საქმე“ ... 399

1919 ... 405
„ერთობა“ ... 407
„საქართველო“ ... 409
„სახალხო საქმე“ ... 409

1920 ... 419
„ახალი კომუნისტი“ ... 421
„ერთობა“ ... 422
„მიწა“ ... 425
„ნაციონალისტი“ ... 426
„რკინიგზელი“ ... 427
„საქართველო“ ... 427
„სახალხო საქმე“ ... 427

1921 ... 433
„ბათომის ცხოვრება“ ... 435
„კავკასიის კომუნა“ ... 435
„კომუნისტი“ ... 436
„ტრიბუნა“ ... 439

საგანთა საძიებელი ... 441
გეოგრაფიული საძიებელი ... 441
პირთა სახელები ... 444

„თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლეებს ზრდი იმ სულისკვეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ, მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევას, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში მყოფთადმი დახმარებას, უფროსებისადმი პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც თუ ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან ეგოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ“.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
საშობაო ეპისტოლე, 2014 წელი.

წინასიტყვაობა

ისტორიული მოვლენების ლოგიკურ კავშირზე ბევრი დაწერილა და მრავალი საგულისხმო დასკვნა გაკეთებულა. წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მათი ურთიერთდამოკიდებულება ისტორიულ მოვლენათა თავისებურებებს განსაზღვრავს. ამა თუ იმ ეპოქის თანამედროვენი ხშირად ამგვარ კავშირს უგულებელყოფენ, რაც სხვადასხვა გეოპოლიტიკურ რეგიონში ისტორიული კანონზომიერებებიდან ამოვარდნილი მოვლენების განვითარებას განაპირობებს. ეს მოვლენები უმეტესწილად ხელოვნურად არის პროვოცირებული.

XX საუკუნის დასასრულს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრება ფრიად საინტერესო ისტორიულ პერიოდში მოუწიათ. ისტორიის ეს მონაკვეთი უხვადაა დატვირთული რეგიონისთვის და ზოგადად, მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებით. რაც მთავარია, დაიწყო მსოფლიოს ერთ-ერთი უკანასკნელი იმპერიის – საბჭოთა იმპერიის დასუსტება და რღვევა, რის შედეგადაც დგება განსხვავებული გეოპოლიტიკური რეალობა, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე თითქმის მთელ აზიაში. იწყება ახალი სახელმწიფოების წარმოქმნისა და პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გადანაწილების შეუქცევადი პროცესი. ამ ბობოქარ ისტორიულ პერიოდში საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადება და ახალი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება მოახერხა, თუმცა ეს გზა, რომელიც შესაძლოა, ბევრს მეტად მარტივად წარმოედგინა, ძალიან მძიმე და ტრაგიკული აღმოჩნდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ნათელი გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა თუ სუვერენიტეტის შენარჩუნება დიდ პოლიტიკურ გამოცდილებასა და შესაბამის ნაბიჯებს მოითხოვდა. სააშკარაოზე გამოვიდა სეპარატიზმის პრობლემა ქვეყნის ორ ისტორიულ ნაწილში – ცხინვალის რეგიონში (სამაჩაბლო, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური ოლქი) და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა). ორივეგან სეპარატისტულად განწყობილ ძალებს მხარს უჭერდნენ და მართავდნენ რუსეთის რეაქციული ძალები. ყოველივე ამან სა-

თავე დაუდო საქართველო-რუსეთის ომის ახალ ეტაპს, რომელიც პერიოდულად შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე. ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ დანაწევრებული საქართველო, რომლის ტერიტორიების 20 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული. ამასთანავე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი (სამაჩაბლო) რუსეთმა აღიარა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულები. ამ აღიარებას თანდათან მიუერთდა რამდენიმე სახელმწიფოც.

არსებული რეალობა არ შეიძლება, მხოლოდ XX საუკუნის მიწურულის პოლიტიკური ცხოვრების შედეგად მივიჩნიოთ. ის გაცილებით შორი წარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა ამ პრობლემის ისტორიული ფესვების შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1900-1921 წლების პოლიტიკური მოვლენები. ეს პერიოდი თავისთავად უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს/აფხაზეთის ისტორიისთვის. სწორედ ამ პერიოდში ხდება: 1905-1907 წლების დემოკრატიული რევოლუცია რუსეთის იმპერიაში, რასაც მოჰყვა, ეგრეთ წოდებული, რეაქციის უმძიმესი წლები. აღსანიშნავია, რომ აფხაზები ამ რევოლუციისაგან გვერდზე გადგნენ და მასში მონაწილეობა არ მიუღიათ, რასაც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი გიორგი შარვაშიძე ხაზგასმით აღნიშნავდა: „გამოვიდა მოულოდნელი კაზუსი, როგორ მოხდა, აფხაზები – „ცნობილი მეამბოხენი“, უეცრად იყვნენ მშვიდად და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი მღელვარებაშია... ვერ გაუგებ ამ ხალხს. მუდამ აკეთებენ იმას, რასაც არანაირად არ ელოდები... მათთვის ჯერ კიდევ ფეოდალიზმი გრძელდება, საჭიროა მათში ამ განცდის აღმოფხვრა, რადგან სასაცილოა, ჩვენს დროში, გყავდეს სახელმწიფოში ხალხი ფეოდალური წყობილების ყოფითი სისტემით... რევოლუციურმა პროპაგანდამ აქ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან აქ არ არსებობდა წოდებრივი დაპირისპირება.“ აფხაზთა ამ „დამსახურებების“ შედეგად 1907 წლის 27 აპრილს გამოქვეყნდა იმპერატორის „წყალობა“, რომლის მიხედვითაც აფხაზებს ოფიციალურად მოეხსნათ „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი. დაიწყო აფხაზი ხალხის თვითშეგნების ძირეული გარდაქმნა; ერი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა და ამ ბრძოლაში „დამნაშავის“ საპატიო სახელი მოიპოვა, ახლა იმავე იმპერიის ერთგული გახდა. როგორც ცნობილია, აფხაზი ხალხი დამნაშავე ერად 1880 წლის 31 მაისს გამოაცხადეს, რუსეთის ცარიზმის რუსიფიკატორული და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლის გამო. ამავე პერიოდში მიმდინარეობს მხარის ეთნიკური შემადგენლობის რადიკალური ცვლა, რაც „თვალსაჩინოდ“ აისახა აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსფორმაციაში. ტოპონიმიკის ცვლას 1864 წლიდან დღემდე სპეციალისტები ხუთ ეტაპად ყოფენ, ხოლო პირველი ეტაპი 1864-1918 წლებში განხორციელდა.

ამ ისტორიულ პერიოდში ძლიერდება რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება საქართველოს/აფხაზეთის საგანმანათლებლო, კულტურისა და რელიგიის სფეროებში. 1914-1917 წლებში პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლი გადაუვლის ევრაზიას, 1917 წელს რუსეთში ჯერ დემოკრატიული რევოლუცია და შემდეგ გადატრიალება ეწყობა, 1918 წელს – საქართველოს დამოუკიდებლობა ცხადდება, 1921 წელს საბჭოთა რუსეთი საქართველოს ოკუპაციას ახდენს და სხვ.

რუსეთის ცარიზმი იმთავითვე განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული აფხაზეთის რუსიფიკაციითა და ანექსიით, ამისათვის ის სხვადასხვა მეთოდს მიმართავდა, ეს იყო კუტურულ-საგანმანათლებლო „რეფორმები“ ტერიტორიული კოლონიზაცია და ა.შ. ეს და სხვა საკითხები მუდმივადაა ისტორიკოსთა და პილიტოლოგთა კვლევის ობიექტი. ამაზე დაწერილია მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია, პრობლემას რეგულარულად ეძღვნება კონფერენციები და ფორუმები, თუმცა ისტორიული სურათის სრულად აღსადგენად და მთელი რიგი საკითხების მართებულად, ობიექტურად წარმოსაჩენად, კიდევ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, რის შესაძლებლობას წყაროების სათანადოდ შესწავლა და ანალიზი მოგვცემს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოვლენათა თანადროული პერიოდული პრესის მასალები, რომლებიც მთელი რიგი საკითხებისადმი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფების, გაერთიანებების, ასევე რიგითი მოქალაქეების განწყობას ცხადყოფენ. სწორედ სამეცნიერო საქმიანობაში პრესის მასალების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, წინამდებარე კრებულის როლი აფხაზეთის ისტორიის შემდგომი კვლევაძიების საქმეში ძალზედ დიდია.

კრებულის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ამ დოკუმენტების ძირითადი ნაწილი, ასე ერთად თავმოყრილი, პირველად გამოიცემა და 1900-1921 წლების აფხაზეთის საზოგადოებრივი ცხოვრების (რელიგია, განათლება, კულტურა) ამსახველ უნიკალურ ინფორმაციას შეიცავს. კრებულში ასევე შესულია მასალები მხარის კოლონიზაციის/ოკუპაციის, სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის – სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, მედიცინის, საზოგადოებრივი გაერთიანებების, ქველმოქმედების და ა.შ. საკითხებზე. შესაბამისად, სამეცნიერო ბრუნვაში მოექცევა ასობით მანამდე უცნობი დოკუმენტი/ინფორმაცია/ფაქტი, რაც უდავოდ კრებულის სამეცნიერო მნიშვნელობის დადასტურებაა. დოკუმენტები წარმოდგენილია შემდეგი გაზეთებიდან: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ბათუმის გაზეთი“, „იმერეთი“, „სახალხო გაზეთი“, „ერთობა“, „დროება“, „კვალი“, „ჩვენი მეგობარი“ და ა.შ.

დოკუმენტების კრებულს თან დაერთვის ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ მდებარეობათა საძიებელი, რის გამოც მისი გამოყენება უფრო მოქნილი და მოსახერხებელი იქნება. ვფიქრობთ, კრებული მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიული და პოლიტიკური მეცნიერებების შემდგომი განვითარებისათვის.

პროფ. ირაკლი გელენავა

XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის სოფელი

1900

გაზეთი „ივერია“

ოჩამჩირედან

დაბა ოჩამჩირის ყველა ქართველნი ერთობლივ ვულოცავთ ქართულ დრამატულ საზოგადოებას ქართულის თეატრის ორმოცდაათის წლის არსებობას და სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს სცენას აყვავებას.

ქართველი საზოგადოება

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 4 იანვარი, სამშაბათი, №2, გვ. 3.

წერილი გუდაუთიდგან

(აფხაზეთი)

ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენი უხვად დაჯილდოვებული მხარე სწავლა-განათლების მხრივ სრულიად მივიწყებულია. 25 ათასი მცხოვრები გუდაუთის ნაწილისა შეჰყურებდა 1892 წლამდის ერთადერთს სამრევლო სკოლას. წლეულს-კი გუდაუთში დაარსდა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. აი, ამ ორს სკოლას ციურ მანანასავით შეჰყურებდა მთელი ეს მხარე. 1894 წლითგან სულ სხვანაირად დატრიალდა ჩვენი ბედი. ამ წლის შემოდგომაზედ მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორის გენ. შალიკოვის მიერ გამოგზავნილ იქმნა ინსპექტორი დიმიტრიევი, აწინდელი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების, დირექტორი, სკოლების დასაარსებლად. ზოგი სიღარიბის გამო, ზოგიც ერთის ვაჟბატონის ჩაგონებით, საზოგადოებამ უარი გამოუცხადა ბ-ნს დიმიტრიევს, ჩვენის ხარჯით სკოლებს ვერ შევინახავთო. კიდევ ორ-სამს წელიწადს მთავრობა უჩიჩინებდა საზოგადოებას, მაგრამ ვერა გააწყო-რა. მაშინ ზედი-ზედ ყოველს დიდს საზოგადოებაში საერობო ხარჯით დაგვიარსეს სახალხო სკოლები. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭომაც დაგვიარსა თავისის ხარჯით შვიდი თუ რვა სამრევლო სკოლა, ასე რომ ეხლა ყოველს დიდს საზოგადოებაში არსებობს სამრევლო, თუ სამინისტრო სკოლა, ზოგან-კი ორივე ერთად. ხალხიც, ის ხალხი რომელიც ამ 15-20 წლის წინად სკოლას განზედ გაურბოდა, ეხლა სკოლას აწყდება. ჩვენს სკოლებში ბავშვების ტევა არ არის. რასაკვირველია, ამ სკოლებში, როგორც ახლად დაარსებულში, ჯერჯერობით ვერ არის რიგიანად დაყენებული სწავლების საქმე, მეტადრე სამრევლო სკოლებში, გარნა იმედია, – ახლო მომავალში ეს საქმეც თავისს დონეზე დადგება და ბედის უკუღმა ტრიალით დაბეჩავებულს ხალხს მიეცემა საშუალება პირველ დაწყებითს სწავლას დაეწაფოს. მაგრამ აქ მაგარი ის არის, რომ რა უნდა ჰქნას ერთ-კლასიან სკოლაში კურსდამთავრებულმა ბავშვმა? სოფლის სკოლა ხომ ძალიან ცოტას იძლევა, შორს სადმე სწავლის გასაგრძობად წასასვლელი საშუალება და ფული აქაურ გლეხს არა აქვს. მთელს სოხუმის ოლქში სადაც 110 ათასზე მეტია მცხოვრები, ორ-კლასიან მთიელთა სკოლაზედ (Горская школа) უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს, ეს სკოლა-კი თავისის პროგრამით უდრის ორ კლასიან ნორმალურს სკოლას. აი, ამ გაჭირვებიდგან გამოხსნაში ცოტად გვიშველიდა აქ განზრახული ორკლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. საქმე აი როგორ არის: ბევრის უნაყოფო ხვეწნა-მუდარის შემდეგ, საზოგადოება დაადგა იმ დასკვნას, რომ თავისს თავს თითონვე უშველოს და საკუთარის ხარჯით დაარსოს ზემოხსენებულ სახის სასწავლებელი. მაშინვე შეადგინეს საზოგადოებათა რიცხვისამებრ თორმეტი განა-

ჩენი, რომელთ ძალითაც მომავალ სკოლის სასარგებლოდ და შესანახავად ყოველი კეთილშობილთა ოჯახს უნდა ეხადნა წლიურად ერთი მანეთი; გლეხს-კი-ათი შაური. ეს განაჩენები მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა და 1896 წლის მაისში ადგილობრივ პოლიციას მოუვიდა გუბერნატორის ბრძანება – „დაუყოვნებლივ შეუდექით ამ ფულის მოგროვებასა და სექტემბერშივე დაბა გუდაუთაში დაარსეთ სასწავლებელიო“. მაგრამ პატიოსანი და კანონიერი მისწრაფება საზოგადოებისა და ბრძანება უმაღლესი მთავრობისა დღემდის შეუსრულებელი რჩება მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, თუმცა ეს ბრძანება არა ერთხელ და ორხელ ყოფილა განმეორებული! ნუ თუ უსწავლელისა და ღარიბ-ღატაკის მოვლა-პატრონობა უფრო ადვილია?!

ასეა თუ ისე, ეს სასწავლებელი დაგვიკარგეს და მასთან ერთად ჩვენთვის დაიკარგა ის უხვი შემწეობა, რომელსაც გვპირდებოდა სამოსწავლო მთავრობა, და ეს-კი იმ დროს, როცა ამისთანა პრაქტიკული სკოლა მისწრება იყო ჩვენთვის. საკვირველი არ არის, სატირალი რომ არ იყოს, რომ თუთის სამშობლოში აბრეშუმის კეთებას არ მისდევს ხალხი!

აქვე არ შეგვიძლიან არ გავუზიაროთ მკითხველს ჩვენი სიხარული. როგორც ისმის, ჩვენს დაბაში აპირებენ დააარსონ სასულიერო-სამოსწავლო სემინარია. ეს უკვე გადაწყვეტილი აქვს სოხუმის საეპარქიო-სამოსწავლო საბჭოს, თუ აქაც უკუღმართმა ბედმა არ გვიმტყუვნა!

ჰამუთ-ბეი

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 9 იანვარი, კვირა, №6, გვ. 3.

როგორც „ცნობის ფურცელი“ იუწყება, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს დაუდგენია დაარსოს დაბა გუდაუთში (აფხაზეთი) არდონის სემინარიის მსგავსი სამისიონერო სემინარია, რომლისათვის 8,000 მანეთი გადაუდვია თურმე.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 12 იანვარი, ოთხშაბათი, №8, გვ. 2.

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, საქართველოს ექსარხოსმა ამას წინად შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლებთან დაარსებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო განყოფილება. სათანადო მთავრობა უკვე შესდგომია ცნობების შეკრებას იმ სკოლების შესახებ, სადაც განზრახულია სამეურნეო განყოფილების დაარსება და აგრეთვე იმის გამორკვევას, თუ ამ საქმეს რა ფული დასჭირდება.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 14 იანვარი, პარასკევი, №10, გვ. 1.

სასულიერო მთავრობას განუმარტებია, რომ მეტრიკულ მოწმობებისათვის, რომელთაც ადგილობრივ ეკლესიების მღვდლები აძლევენ მთხოვნელთ, სასოფლო სკოლებში წარსადგენად, მარკებს ნუ მოსთხოვთო.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 19 იანვარი, ოთხშაბათი, №13, გვ. 2.

სოხუმი

19 იანვარს აქაურმა ქართველებმა გარდაიხადეს პანაშვიდი განსვენებულის

გიორგი წერეთლის სულის მოსახსენიებლად. საკრებულო ტაძარი სავსე იყო ხალხით. პანაშვიდის გათავების შემდეგ დეკანოზმა მამა მაჭავარიანმა სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც მადლობა გამოუცხადა ხალხს მისთვის, რომ ქართველობას სოხუმში ცოტა გამოღვიძება დაეტყო. ადგილობრივ ქალთა პროგიმნაზიის შეგირდებმა ფული შეაგროვეს გვირგვინის გამოსაგზავნად, მაგრამ რადგან გემმა დაიგვიანა, ამ ფულს სხვა დანიშნულებას აძლევენ განსვენებულის სახელით.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 27 იანვარი , ხუთშაბათი, №20, გვ. 2.

საქართველოს ექსარხოსს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ საგუბერნიო საერობო გადასახადითგან სამრევლო საეკლესიო სკოლებისთვის იმდენი ფული იქმნას გადადებული, რამოდენსაც პირველ დაწყებით სამინისტრო სკოლებისთვის გადასდებენ ხოლმე, ე. ი. 85000 მან. ამ ჟამად სამრევლო სკოლებს ეძლევათ მხოლოდ 12300 მანეთი მაშინ, როდესაც საქართველოს ოთხს ეპარქიაში სამრევლო სკოლების რიცხვი ორჯერ მეტია მთლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამინისტრო პირველ დაწყებით სკოლებზედ.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 1 თებერვალი , სამშაბათი, №24, გვ. 2.

სოხუმი

20 იანვარს ქალაქის საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ბერენსმა... ... შემდეგ წაკითხული იქმნა შუამდგომლობა მთიელთა სკოლის ზედმხედველისა, რომელიც თხოულობდა, რომ საბჭომ გადასდოს ფული მეხუთე მასწავლებლის მოსაწვევადაო, და აგრეთვე შემწეობა მისცეს სკოლას სახარატოსა და სადურგლოს დასაარსებლადაო. მასწავლებლის მიმატების შესახებ უარი განაცხადა საბჭომ, ხოლო სახარატოსა და სადურგლოს გასახსნელად, ბ-მ მოურავის თანახმად, გადასდოს ყოველ-წლიურად 180 მან. შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 4 თებერვალი , პარასკევი, №26, გვ. 2.

საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სხვა და სხვა ხელობისა და ტექნიკური საგნების სწავლებისა.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 5 თებერვალი , შაბათი, გვ. 2.

სოხუმი

18 თებერვალს აქაურ სცენის მოყვარულთაგან, კნეინა აღათი შერვაშიძის მეთაურობით, გამართულ იქმნა წარმოდგენა ტფილისის მომავალ ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედია „ბაიყუში“ და ვოდევილები, „მონადირე“ და „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ანასტ. კიწმარაშვილისა, მარკ. თურქია, ანეტა ჩხენკელი და ბარბარე ხრამელაშვილის და ბ-ნები ანდრ. ჯაფარიძე, იას. ხუხუტაშვილი, თ. სახოკია და მ. ხოხიაშვილი. იმის და მიუხედავად, რომ სცენა საშინელი პატარა და უხერხული იყო და მოთამაშეთ არა ჰყავდათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავიანთი როლები „ბაიყუშში“ თალიკოსი –

მაკრინე თურქიამ და ელისაბედისა – ანასტ. კინწმარაშვილიასამ. აგრეთვე, თუმცა წარმოდგენის ნებარვა გვიან გაიგო, რომ წარმოდგენა იმართებოდა, მაინც დარბაზი ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ერთი დასადგომი ალაგიც არსად მოიძებნებოდა.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 24 თებერვალი , ხუთშაბათი, გვ. 1.

„კავკაზს“ სოხუმიდან სწერენ, რომ ქალაქს შეუწირავს კარგა მოზრდილი ადგილი დასაარსებლად განზრახულ სასულიერო სასწავლებლისთვის შენობის ასაგებად, იმ პირობით, რომ თუ სასწავლებელი სამი წლის განმავლობაში არ დაარსდა, მიწა ქალაქსავე დაუბრუნდეს.

გაზ. „ივერია“,1900 წ. 12 მარტი, კვირა, გვ. 2.

ქ. სოხუმის საეპარქიო მასწავლებელთა საბჭოს უთხოვნია გუბერნიის საერობო თანხიდან მომავალ 1901 წლის 1 იანვრიდან სამის წლის განმავლობაში ათის სასოფლო-საეკლესიო სკოლის შესანახად, უღარიბეს მოსწავლეთა დასახმარებლად და საბჭოს კანცელარიის და მის სამაზრო განყოფილებათათვის შესანახად სულ 5.000 მან.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 16 მარტი, ხუთშაბათი, №58, გვ. 3.

გაზეთების სიტყვით, სასულიერო უწყებამ განკარგულება მოახდინა ყველა ეპარქიაში, რომ მედავითნეებად მხოლოდ ისინი იქმნენ ხოლმე დანიშნული, რომელნიც სამ წელიწადს მაინც იმსახურებენ მასწავლებლად წერა-კითხვის ან სამრევლო-საეკლესიო სკოლებში.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 21 მარტი, სამშაბათი, №63, გვ. 2.

წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ კნ. აღათია შერვაშიძისას, რომლის თაოსნობითაც ქ. სოხუმში 18 თებერვალს, დედათა მომავალ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა. ამ წარმოდგენიდგან 22 მანეთი 30 კოპეიკი უკვე მივიღე.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დასახმარებელ საზოგადოების“ დედათა განყოფილების თავმჯდომარე მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანი.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 29 მარტი, ოთხშაბათი , №69, გვ. 4.

გაზეთის („ცნობის ფურცელი“) სიტყვით სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს სოხუმის ოლქის შეერთებისას ზღვის პირის გუბერნიასთან. ამ პროექტით ნოვოროოსიისკიდან საგუბერნიო მმართველობა დ. სოჭში იქმნება გადატანილი. სამურზაყანო ზუგდიდის მაზრას მიეწერება, ხოლო აფხაზეთი – შავის ზღვის პირის გუბერნიას. აფხაზეთში სამი მაზრა იქმნება, ოჩამჩირის, სოხუმისა და გუდაუთისა.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 19 აპრილი, ოთხშაბათი, №83 გვ. 2.

ქ. სოხუმში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილება იქმნა დაარსებული, რომლის წესდებაც კავკასიის მთავარმართებელმა უკვე დაამტკიცა.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 28 მაისი, კვირა, №113, გვ.2.

როგორც „ცნობის ფურცელს“ ატყობინებენ, სოხუმის ოლქის უფროსად თურმე პოდპოლკოვნიკი პროგულბიცკი დაუნიშნავთ, რომელიც ადრე დაღესტანში მსახურებდა.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 20 ივნისი, სამშაბათი, №131, გვ. 2.

სოხუმიდან იუწყებიან, რომ იქ განზრახვა აქვთ სამაგალითო სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსონ.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 29 ივნისი, ხუთშაბათი, №139, გვ. 2.

როგორც სოხუმიდგან იუწყებიან, ადგილობრივს სასულიერო მთავრობას შუამდგომლობა დაუწყია, სადაც ჯერ არს, რომ ადგილობრივს სამრევლო-საეკლესიო სკოლებს ხუთ-ხუთი დესეტინა მიწა მიეზომოს, სადაც სანიმუშო ბოსტნები, ვენახები და ბაღები უნდა გააშენონ და ამ რიგად ბავშვებს პრაქტიკულად შეასწავლონ სოფლის მეურნეობა.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 2 ივლისი, კვირა, №141, გვ. 3.

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

9 ამ თვეს სცენის მოყვარეებმა ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს აქ, წარმოდგენილი იყო ქართულად: „ადვოკატთან“ ვოდ. 1 მოქ, კ. გუნიასი და „დატრიალდა ჯარა“ 1 მოქ. ვოდ. კ. ყიფიანისა და რუსულად „Букеть“ და „Въ тихомь уголку“ თითო მოქმედებანი ვოდევილები. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ქ-ნი მაკრინე თურქია, რომელიც სოხუმიდან გვესტუმრა.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 18 ივლისი, სამშაბათი, №154, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

7 აგვისტოს აქაურმა სცენის მოყვარულებმა ითამაშეს კ. გუნიას 5 მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“ და დასარულ რუსულ ენაზედ 1 მოქ. ვოდევილი „Черезь двести леть“ მონაწილეეობას იღებდნენ: ქ-ნნი მაკრინე და მაშო თურქიები, სოფიო №, თავ. კოტე და ვლადიმერ აბაშიძენი, გრიგოლი ზუხბაია, გ. კაჭარავა, ნ. მდივანი, ის. ცხაკაია. პ ჭეიშვილი, გ-ია და სხვ. საერთოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. გაიოზის როლს ასრულებდა თავ. კოტ. აბაშიძე, მარინესას – მაკრინე თურქია და ოტია ჯოლიასას – გ. კაჭარავა, რომელთაც, განსაკუთრებით მარინე და გაიოზმა, მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლი. დანარჩენებმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, თვით ახლო-მახლო სოფლებითგანაც კი, და დიდად მადლიერი ღამის 1 საათზედ დაიშალა. წმინდა შემოსავალი (ხარჯს გარდა) 120 მანეთზე მეტი დარჩა, რომელიც გადაეცა ერთს ღარიბს მოსწავლეს, რომლის სასარგებლოდაც

იყო გამართული წარმოდგენა. დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ წარმოდგენის მოთავენი, რომლებმაც, იმის გარდა, რომ ღარიბს მოსწავლეს დახმარება აღმოუჩინეს, საზოგადოებასაც საშუალება მისცეს ეს ღამე ჩვეულებრივზედ გონივრულად გაეტარებინა.

გაზ. „ივერია“, №179, პარასკევი, 18 აგვისტო, 1900 წ. გვ. 2.

„Южное Обозрение“-ს სიტყვით, შავი ზღვის პირად ტყვარჩელის სააგარაკოში 40 ვერსის მანძილზე თურმე ქვა-ნახშირია აღმოჩენილი, ხოლო მეორე ადგილას 8 ოთხკუთხედ – ვერსზედ, საიდგანაც სულ ცოტა 73 მილ. ტონას წმინდა ქვანახშირს ამოიღებენო. სულ – კი №1-ში სამი საჟენის სიღრმეზედ თურმე სძევს ნახშირი და ერთად 2,592 მილლიონ ფუთს შეადგენს. დანარჩენ სხვა ადგილსაც აუარებელი ქვანახშირია, მაგრამ ჯერ მისი რაოდენობა გამორკვეული არ არისო.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 31 ოქტომბერი, სამშაბათი, №237, გვ. 2.

რადგან განზრახვა აქვთ სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას მიაწერონ, ამისათვის სოხუმის საოლქო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნიის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სოხუმის ოლქი ისევ ქუთაისის გუბერნიის ნაწილად დარჩეს.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 4 ნოემბერი, შაბათი , №241, გვ. 2.

სოხუმი

კვირას, 5 ნოემბერს, სოხუმის სცენის მოყვარულთაგან კნეინა ტერეზია შერვაშიძის მეთაურობით, წარმოდგენა იქმნა გამართული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოადგინეს კომედიები: „ძუნწი“ გ. ერისთავისა და „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ – ვლ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი მაკრ. თურქია, მაშო ქავთარაძე და მაშო თურქია; ბ-ნი ა. გაბუნია, ვ. ნასიძე, ი. ხახუტაშვილი და მ. ხოხიაშილი. მიუხედავად იმისა, რომ სცენის გვიან მოწყობის გამო არც ერთი ხეირიანი რეპეტიცია არა ჰქონიათ მოყვარულთ და იმისა, რომ არა ჰყოლიათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით მხიარულად ჩაატარეს კომედია „ძუნწი“, რომლის წარმოდგენის დროსაც მაყურებელთ შორის სიცილი არ შეწყვეტილა. დარბაზი სავსე იყო ხალხით, ბევრიც ალაგის უქონლობის გამო უკან გაბრუნდა გულ-დაწყვეტილი. შემოსავალი 200 მანეთამდეა. ამ ახლო მომავალში სცენის მოყვარულნი კიდევ აპირებენ წარმოდგენის გამართვას სამოქალაქო კლუბის ახლად აშენებულს თეატრში.

გაზ. „ივერია“, 1900 წ. 11 ნოემბერი, შაბათი, №247, გვ. 2.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

ოჩამჩირიდან

დაბა ოჩამჩირის ყველა ქართველნი ერთობლივ ვულოცავთ ქართულ დრამატულ

საზოგადოებას ქართულის თეატრის ორმოც და ათი წლის არსებობას და სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს სცენას აყვავებას.

ქართველი საზოგადოება

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1900 წ. 5 იანვარი, ოთხშაბათი, №1006, გვ. 2.

„კავკაზ“-ის სიტყვით, სოხუმის ოლქში, მდ. გუმისტის ნაპირზე, განახლებულ ქართველთა ძველ ეკლესიასთან განუძრახავთ დაარსონ რუსთა ქალების მონასტერი.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1900 წ. 19 იანვარი, ოთხშაბათი, № 1019, გვ. 2.

ჩვენ სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ სოხუმის ეპარქიის მისიონერის მღვდელის ტარასი ივანიცკის მეცადინეობით წარსულ წლის ქრისტეშობისთვეში მართლ-მადიდებლობას შეუერთდა 62 კაცი. მონათლულნი არიან მცხოვრებნი სოფ. ტამუშუსა და ცხენის-წყლისა (კოდორის ნაწილი). მისიონერისავე ჩაგონებით, სოფ. ცხენის-წყალში სოფლელთ დაადგინეს თავიანთის საფასით აღაგონ ეკლესია და კრებულისთვის სახლი. გარდა ამისა ქრისტეშობისთვემდე სხვადასხვა დროს მამა ივანიცკიმ ბზიფის (დასავლეთ აფხაზეთი) სოფლებში აჭანდარას, დურუფშში და სხვაგან 46 სული – ზოგი ახლად მოინათლა, ზოგიც გადამდგარი იყო და კათაკმევით შემოუერთდა მართლ-მადიდებლობას.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 19 იანვარი, ოთხშაბათი, №1019, გვ. 2.

სოხუმიდან გვწერენ: სოხუმელები დიდად შეგვაწუხა ჩვენის ცნობილის მწერლის გიორგი წერეთლის უდროვოდ გარდაცვალების ამბავმა. მისის სულის მოსახსენებლად ოთხშაბათს, 19 იანვარს, სოხუმის საკრებულომ ტაძარში დეკანოზმა მამა დავით მაჭავარიანმა პანაშვიდი გადაიხადა და პანაშვიდის შემდეგ საზოგადოებას გააცნო განსვენებულის ღვაწლი, რომელიც განსვენებულმა დასდო ქართველ საზოგადოებას და ქართულ მწერლობას. პანაშვიდს მთელი სოხუმის ქართველი საზოგადოება დაესწრო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 27 იანვარი, ხუთშაბათი, №1027, გვ. 1.

გუდაუთიდან – გვატყობინებენ შემდგომს: ყველამ უწყის, რა მძიმე და უსარგებლო ტვირთად აწვება ჩვენის ხალხს ქელეხები, უფრო კი აფხაზეთში. ჩვენმა საზოგადოებამ, შეიგრძნო რა ეს მძიმე შარშან გაზაფხულზე, ერთ-ორის ჩაგონებით, გადაწყვიტა მოისპოს ქელეხი დაბა გუდაუთში და ამისთვის ერთმანეთს ყველა პირობით შეეკრა, რომლის ძალითაც პირობის დამარღვეველს ჯარიმა ედებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამვრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, ამ დადგენილებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო: მას აქეთ არც ერთს არ გაუბედნია ქელეხი გაემართნა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან ამის მოთავეები. სასურველია, რომ სხვებმაც მიჰბაძონ გუდაუთელთა მაგალითს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 6 თებერვალი, კვირა, №1036 , გვ. 2.

დ. გუდაუთიდან ჩვენ გვწერენ: ჩვენს დაბაში აგერ მე-6 წელია რაც სამკითხ-

ველო არსებობს. ეს სამკითხველო 1895 წლის იანვარში გაიხსნა თეოფილე გოგიტიძის მეცადინეობით. ამისთანა კეთილს საქმეს ხალხიც თანაგრძნობით მიეგება და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ვაჟბატონებმა მოინდომეს ეს წმინდა ტაძარი გაეუქმებინათ, ჯერაც, გუდაუთელთა სასახელოდ არსებობს და წინ-და-წინ მიდის. მით უფრო საქებია ჩვენი პატარა ქართველი საზოგადოება, რომ ეს სამკითხველო მთელს სოხუმის ოლქში ერთად-ერთია. ქ. სოხუმში გახსნილმა სამკითხველომ თავისი დღენი უდროოდ დალია საზოგადოების გულგრილობის წყალობით. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სამკითხველოს არც ერთი თანამგრძნობი არ გამოუჩნდა გარდა გუდაუთისა და მისი ყოველი ხვეწნა-მუდარა უყურადღებოდ დატოვებულ იქნა, ასე გასინჯეთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგანაც“. იმედია, აწი მაინც გამოუჩნდება ჩვენ სამკითხველოს თანამგრძნობი და შემწე, რომელთაც ვთხოვთ თავიანთი წვლილი ამ ადრესით გამოგვიგზავნონ: Въ Гудауты. Обшественной Читальнь.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 6 თებერვალი, კვირა, №1036 , გვ. 2.

სოხუმის ქალაქის საბჭომ გაათავა განხილვა და დაამტკიცა მდგომარე 1900 წლის შემოსავალ გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. მოსალოდნელი შემოსავალია 65000 მანეთი, ხოლო ხარჯი 73000 მანეთი, ასე რომ გასავალი შემოსავლის 8000 მანეთითა სჭარბობს; გამგეობის შენახვაზე ქალაქს 20.000 მანეთი დაეხარჯებაო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 26 თებერვალი, შაბათი, №1054, გვ. 1.

სოხუმიდან გვწერენ: 18 თებერვალს აქაურმა ქართველ სცენის მოყვარეებმა ცოტა არ იყოს გამოაფხიზლეს მიძინებული საზოგადოება სოხუმისა, სადაც, ეს ერთი წელიწადია, ქართულის ენაზე წარმოდგენა არა ყოფილა. ზემოხსენებულს რიცხვს კ-ნა აღათი შარვაშიძის მეთაურობით წარმოდგენა გამართეს. მონაწილეობას იღებდნენ: ქ. ბ-ნი: ბ.ხრამელაშვილისა, ანას. კიწმარიშვილისა, მაკრინე თურქია და ანნა ჩხენკელისა; ბ-ნი: მელიქ. ხოხიაშვილი, ანდრო ხაფარიძე, ი. ხუხუტაშვილი და თ. სახოკია. ითამაშეს „ბაიყუში“ ცაგარელის კომედია, „მონადირე“ ვოდევილი ვ. გუნიასი და „დატრიალდა ჯარა“ ვოდევილი კოტე ყიფიანისა. სამმავე პიესამ მხიარულად ჩაიარა საზოგადოდ. მხოლოდ ერთ-ორ მოყვარულს არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროდ თავიანთის როლების უცოდინარობა. წარმოდგენის დასასრულ ცნობილმა მოლეკურემ ბ-ნმა თეო გაბუნიამ, ქულაჯით გამოწყობილმა, დიდად ასიამოვნა მაყურებელნი თავისის მოხდენილის თამაშობითა.

წარმოდგენას ხალხი კაი ძალი დაესწრო, სამწუხარო ის იყო, რომ სახლი პატარა იყო და იმდენი ხალხი ვერ დაეტია, რამდენიც სასურველი იყო. სულ შემოვიდა 12 თუმნამდე. ხარჯი 8 თუმანს აღემატება. წმინდა შემოსავალი დანიშნულია დედათა მომავალი სკოლის სასარგებლოდ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 26 თებერვალი, შაბათი, №1054, გვ. 2.

სოხუმს შეუწირავს სასულიერო უწყებისათვის ადგილი, რომელზედაც უნდა აიგოს შენობა სოხუმში განსაზღვრულ სასულიერო სასწავლებლისათვის.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 12 მარტი, კვირა, №1069, გვ. 3.

სოხუმიდან გვწერენ: „აფხაზეთში გამმიჯვნელმა 1870 წ. სოხუმის მახლობლად, მაიაკის გარშემო 750 დღიური მიწა ცალკე ჩამოსჭრა და დანიშვნა მეტროების დასასახლებლად მენავეობა და თევზის ჭერა გაძლიერდესო. მაგრამ მატროსები არსაიდან მოვიდნენ. 1880 წელს სოხუმში 25 კომლი მეგრელი მოვიდა, სენაკის და ზუგდიდის მაზრებიდან უმიწაწყლობით დევნილი. რაკი ზემოდ დასახელებული ადგილი უხმარად ეგდო, პოლიციას, როგორც გამგეს ქალაქის ქონებისას, სთხოვს ეს ადგილი იჯარით მოგვეცითო პოლიციაც თანახმა გახდა.

დიდი შრომა გასწიეს მეგრელებმა ამ ადგილის გასაწმენდად და გასაშრობად, ყოველი ფეხის დადგმა მიწა მათის ოფლით არის გაპოხიერებული. იმ დროს ეს ადგილი ერთი ულრანი ტყე, ციებ-ცხელების ბუდე ჭაობი იყო. გასჭრეს არხები, გააშრეს ჭაობები, გაჰკაფეს ტყე, ცოტ-ცოტად გააშენეს ხეხილი, ვენახი. ასე რომ რამდენისამე წლის შემდეგ ზოგ-ზოგს კომლს სამას კოკაზე მეტი ღვინო მოსდიოდა. ქალაქსაც ერთიანად წლიურად სამოცდაათ თუმანზე მეტს აძლევდნენ იჯარის ფულს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 30 მარტი, ხუთშაბათი, №1086 , გვ. 2.

...წარსულ 14 თებერვალს საბჭომ მოისმინა წინადადება ქუთაისის გუბერნატორისა. თანახმად ამ წინადადებისა ქალაქს უნდა მიეზომა 12 ½ დღიური მიწა სოხუმის სამრევლო სკოლებისათვის. საბჭოს კრებაზე სასულიერო უწყების წარმომადგენელმა მღვდელმა გოლუბგოვმა სთქვა, რომ ეპისკოპოსმა არსენიმ მომანდო გვაუწყაო რომ ეს მიწა სკოლას არა სჭირდებათ და შეგიძლიანთ ამ საგნის შესახებ სჯა-ბაასი არცკი გექმნეთო. თანახმად ამ განცხადებისა, საბჭომ დაადგინა არ მისცეს სოხუმის სამრევლო სკოლას ხსენებული 12 ½ დღიური მიწაო. ხოლო 17 მარტს საბჭოს კვლავ მოხსენდა – მიეცეს სოხუმის სამრევლო სკოლას 12 ½ დღიური მიწა, რადგან ბავშვებმა მეურნეობა უნდა ისწავლონო. სასულიერო უწყების წარმომადგენელი მღ. გოლუბკოვი კვლავ წამოდგა და განაცხადა, ჩვენ არ შეგვიძლია მეურნეობა ვასწავლოთ ბავშვებს და ამიტომ ეს 12 ½ დღიური მიწა მეტ ბარგად გაგვიხდებაო. საბჭომ კვლავ დაადგინა: არ მიეცეს სამრევლო სკოლას ეს მიწა, თანახმად მღ. გოლუბკოვის განცხადებისაო. ამავე კრებაზე მოხსენდა საბჭოს სარჩელი სოხუმის საკრებულო ტაძრის წინამძღვრის დეკანოზის დავით მაჭავარიანისა ტაძარში მგალობელთა გუნდი არა გვყავს, ამ გუნდის შესადგენლად ფული გვინდა და კარგი იქნება თუ ყოველწლიურად გუნდის შესანახად 60 თუმანს მოგვცემს ქალაქიო. ამ კითხვას კენჭი უყარეს. 15 ხმით წინააღმდეგ 13 ხმისა საბჭომ დაადგინა: აძლიოს სოხუმის საკრებულო ტაძარს მგალობელთა გუნდის შესანახავად ყოველწლიურად სამოც-სამოცი თუმანი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 1 აპრილი,შაბათი, №1088, გვ. 2.

სოხუმიდან გწერენ: ქ. სოხუმისათვის კერძოდ და სოხუმის ოლქისათვის საზოგადოდ ისე არ არის რა საჭირო, როგორც საშუალო სასწავლებელი საიდანაც მოზარდ თაობას უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს. რაც თვითმართველობა შემოვიდა, ხმოსანმა ან. ჯუღელმა არა ერთ გზით აღძრა კითხვა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონების მეოხებით ეს კითხვა კითხვად რჩება, ხოლო სოხუმი უპროგიმნაზიოდ, მცხოვრებთა შვილები კი სასწაულებლის გარეშე, რაკი ქალაქი თვითონ ვერას ახერხებს. აქაურმა ცნობილმა

ბ-ნმა საჩინო იოსელიანმა განიძრახა მოქალაქეთ სამსახური გაუწიოს. შეუდგენია გეგმა მომავლის გიმნაზიისა, რომელსაც ექმნება ვრცელი ბაღი ეკლესია და პანსიონი. ბ-ნს ს. იოსელიანს განძრახვა აქვს ქალაქს სთხოვოს დაეთმოს მას 5000 ოთხკუთხი მხარი მიწა მომავლვის გიმნაზიისათვის შემდეგის პირობებით: შენობის დამთავრების შემდეგ ათის წლის განმავლობაში ქალაქს ეს შენობა მუქთად დაეთმობა, ხოლო ათი წლის შემდეგ კი მიწაც და გიმნაზიაც საკუთრება უნდა გახდეს გიმნაზიის ამშენებლისა. უკვე შედგენილის გეგმის თანხმად იოსელიანს მომავალი გიმნაზია დაუჯდება არა ნაკლებ 100000 მანეთისა, ეს გეგმა უკვე წარედგინა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს ბ-ნს კ.იანოვსკის დასამტკიცებლად. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ხმოსანნი ქალაქისა რომელთაც ჩაბარებული აქვთ სვე-ბედი მოქალაქეთა, სრულის ყურადღებით მოეპყრობიან ბ-ნის იოსელიანის წინადადებას და ამ საშვილიშვილო საქმეს სასურველად დააგვირგვინებენ. იმედია, არც იმას დაივიწყებენ, რომ ჩვენი ქალაქი მეტად ხელ-მოკლეა და გიმნაზიის ასაშენებელ თანხის გაღება ერთ ათ წელიწდს მაინც, თუ მეტს არა, არ შეუძლიან.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 14 მაისი, კვირა, №1124, გვ.1.

სოხუმიდან გვწერენ: სოხუმის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელი არსენი ორის თვით რუსეთში მიბრძანდება.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 7 ივნისი, ოთხშაბათი, №1144, გვ. 2.

გუშინ საღამოს ჩვენ მოგვივიდა სოხუმიდან შემდეგი სამწუხარო დეპეშა: „გუშინ 13 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ილია ლუკას ძე ბახტაძე“. განსვენებული ილია ხონელის სახელით თანამშრომლობდა ადგილობრივ რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი ფელეტონისტი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 15 ივლისი, №1181, გვ. 2.

სოფ. დრანდის (ქუთაისის გუბერნია) ქსენონი განზრახულია გადაიტანონ დაბა გუდაუთში.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 3 ოქტომბერი, ორშაბათი, გვ.12.

სოხუმიდან „ნოვოე ობოზრენიეს“-ს სწერენ: „ბ-ნი ალ. სარაჯიშვილი სრულიად უაგიტაციოდ იქმნა არჩეული ქალაქის თავად ბ-ნნი თ.სახოკია და ა. ჯუღელი, რომლებსაც ერთი გაზეთი („ჩერნომორსკი ვესტნიკი“) პატრიოტობას სწამებდა, ეხლა აღარ არიან სოხუმში. ქალაქის თავმა ბ-ნმა ბერენსმა, გახსნა თუ არა ჩვეულებრივი კრება საბჭოსი, ხმოსნებს გამოუცხდა, გუბერნატორის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა აირჩიოთ ქალაქის თავიო. ხმოსნებმა ½ საათით სხდომის შეწყვეტა ითხოვეს და ამ დროის განმავლობაში გადაწყვიტეს ისევ ბ-ნის ალ. სარაჯიშვილის არჩევა. წინ და წინ ქალაქის თავმა განმარტა: „ის გარემოება, რომ ვინმე არ იქმნა ერთხელ რომ დამტკიცებული, საბუთად არ ჩაითვლება, მეორედ არ იქმნას არჩეულიო. თუმცა

ბევრნი აქ არც იცნობენ ბ-ნს სარაჯიშვილს, მაგრამ მიიღეს სახეში მისი წარსული და ახლანდელი სამსახური და აგრეთვე საპატიო პირთა აზრი და უმრავლესობამ უყოყმანოდ ამოირჩია იგი.“

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900 წ. 3 ნოემბერი, შაბათი, №1368, გვ. 2.

აფხაზეთი

არც ერთი კუთხე საქართველოსი, მგონია, არ არის ისე უკან ჩამორჩენილი სწავლა-განათლების მხრივ, როგორც ჩვენი ტურფა აფხაზეთი; ან და რის მხრივ არა ვართ ჩვენ უკან ჩამორჩენილი? როგორც უკანასკნელი აღწერის დროს გამოირკვა, მთელს აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) 110 ათასი მცხოვრები ითვლება, და აი ამოდენა ხალხი, მოფენილი 6420 კვადრატულ ვერსზე, თითქმის სრულიად მოკლებულია სწავლა-განათლების ცხოველ მყოფელს, ზეგავლენას. „თითქმის“ ვამბობ იმიტომ, რომ ის ოციოდე პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც ჩვენში არსებობს, წვეთია ჩვენს ცხოვრებაში და არ შეუძლია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა სურვილი სწავლისადმი. რაც შეეხება საშუალოს, ანუ დაბალს სკოლას, მთელს ოლქში ერთადერთი ქალთა პროგიმნაზიაა ქ. სოხუმში. ამ უკანასკნელ წლებში ხალხში უცბად, გალღვა თითქოს მოულოდნელად გაიღვიძა სწავლა-განათლების შეძენის სურვილმა ეს იმ ხალხში, რომელიც 20-30 წლის წინათ სწავლას ისე უყურებდა, როგორც არა სასურველს აუცილებელ ბეგარას, გარდასახადს და იმ ორიოდ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მოისურვებდა ორი სამი აფხაზის გამოზრდას, საზოგადოება იძლეოდა უჭირისუფლო, უპატრონო ბავშვებსა და მით თავის შვილს აცილებდა ამ „უბედურებას“. ეხლა კი გონს მოვედით და წარამარა თხოვნაზე ვგზავნით: გვიშველეთ, დაგვიარსეთ საშუალო სკოლა და სხვა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი უთავბოლობის გამო ჯერ-ჯერობით ჩვენი თხოვნები უყურადღებოდ არის დარჩენილი. ადგილობრივ საზიგადოებას დიდი იმედი ჰქონდა სოხუმის თვითმართველობისა, რომ აფხაზეთის თავადაზნაურობას წინ წარუძღვებოდა და საერთო ძალით აღძრავდნენ თხოვნას სადაც ჯერ არს და საშუალო სკოლას დაგვიარსებდნენ.

ვერც თავად-აზნაურობა დაუხვდა მხნედ ამ საქმეს. ისიც ჩვეულებრივ ორი-სამი თხოვნით დაკმაყოფილდა მაშინ, როდესაც სულ ადვილად შეიძლებოდა ამ საქმის განხილვა, და აი როგორ: მკითხველმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ჩვენს თავად აზნაურობას აქვს ცოტაოდენი ფულიც: ეს ის ფული გახლავთ, რომელიც თავადაზნაურობამ მიიღო გლეხთა გამანთავისუფლების დროს. აი ამ ფულის ნაწილი დღესაც ჩვენთვის დაკარგულია, ერთი ნაწილი კი ქალთა პროგიმნაზიას მოხმარდა. დანარჩენი ნაწილი კი 1880 წ. შეადგენდა, როგორც გადმოგვცეს, 100 ათას მანეთს. დღეს ეს ფული, თუ მართლა არაა ჩვენთვის დაკარგული, 200 ათას მანეთამდის ადის. ამას ზედ დაურთეთ სოხუმის სამთო სკოლის ხარჯთაღრიცხვაც, (10000 მანეთი წლიურად), რომლის შენობაც ამავე საგანს მოხმარდებოდა. ქალაქ სოხუმიც მიიღებდა თავის წვლილს, და საქმე ადვილად გაჩაღდებოდა მაგრამ ჩვენში ისეთი კაცი არ არის, რომელსაც გული ეწვოდეს საზოგადო საქმისადმი. ის ორიოდე კაცი რომელიც იყვნენ საზოგადო მისწრაფებით გამსჭვალულნი, მიიფანტ-მოიფანტნენ... დანარჩენი კი თავის საკუთარ საქმეს ჩაჰკირკიტებიან, და მათ საპირადო საქმეთ გარეშე, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილა.

როგორც სხვა მთიულთათვის, ჩვენ აფხაზეთთათვისაც არსებობს ქ. სტავროპ-

ოლის გიმნაზიაში (იმიერ კავკასიაში) ექვსიოდ სტიპენდია, მაგრამ ამითაც ვეღარ ვსარგებლობთ: თითქმის ნახევარი ჩვენებურ მოსწავლეთა აქაურს სასტიკ ჰავას ვეღარ იტანს და უდრო-დროს, სწავლის შეძენის მაგიერ, ესალმება წუთი-სოფელს! და ამიტომაც, გაიხსნა თუ არა ბათომში ვაჟთა გიმნაზია, ადგილობრივ თავად-აზნაურობამ აღძრა შუამდგომლობა, რათა ჩვენი სტიპენდიები გადმოტანილ იქნას სტავროპოლიდნ ბათომში, მაგრამ ამასაც, როგორც ყველა ჩვენს საქმეს ბოლო არ უჩანს. ასე თუ ისე, ჯერჯერობით მთელი ოლქის მცხოვრები შევყურებთ მარტო პირველ დაწყებით სკოლებს, რომელთ შესახებაც მსურს აქ ცოტა დაწვრილებითი ცნობები მოვიყვანო.

პირველი საერო სკოლა, რომელიც გაიხსნა აფხაზეთში ჯერ ისევ მთავარ ჰამუთ-ბეი (მიხაილ) შარვაშიძის დროს, იყო სოხუმის ორკლასიანი მთიულთა სკოლა (горская школа), დაარსებული 20 ოქტომბერს 1859 წ. და აი მთელი ოლქი ამ ერთად ერთ სკოლას რომლის პროგრამაც არ აღემატება ორკლასიან ნორმალურ სკოლის პროგრამას, შეჰყურებდა 1885 წ. ამ წელს კი დაბა ოჩამჩირეში ადგილობრივ მცხოვრებთ გახსნეს ერთკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა. ეხლა უკვე ორკლასიანად გადაკეთებული. 1891 წელს მთავრობამ სოფელ ალექსანდროვკაში ბერძენ მეახალმშენეთათვის გახსნა ორკლასიანი სკოლა, 1892 წ. კი დაბა გუდაუთა დაიარსა ერთკლასინი სკოლა. ამის შემდეგ სკოლების გახსნა შეჩერებული იყო 1896 წლამდის და ამ წლიდან ზედი-ზედ სხვა და სხვა სოფლებში გაიხსნა რამოდენიმე სკოლა ზოგი საზოგადოებათა ხარჯით. დღეს მთელს ოლქში ითვლება 28 პირველ დაწყებითი სკოლა და ერთი პროგიმნაზია ქალთათვის, რომელთ 1899 წელს დაეხრჯათ 35, 428 მანეთი, აქედან პროგიმნაზიას 7, 538 მ, სამთო სკოლას 10, 575 მ. და დანარჩენ 17 სკოლას კი დაუხარჯავთ 17, 315 მანეთი. სკოლათა რიცხვზე რომ გავყოთ მცხოვრებთა რიცხვი გამოდის, რომ ერთი სკოლა მოდის 4 ათას მცხოვრებზე, ანუ 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე ეს საჭიროდ ყოფილიყო ასის წლით წინედ საფრანგეთში: ერთი სკოლა ათას მცხოვრებზედ. დაახლოებით ერთ სკოლაზე მოდის 570 ბავშვი სასკოლო ჰასაკისა.

გასულ წელს კი ორთა შუა რიცხვით ერთ სკოლაში სწავლობდა 44, 8 მოსწავლე. ყველა ზემოხსენებულ სკოლაში სწავლობდა 1302 ბავშვი, მათგან ვაჟი 952 ქალი 350. საანგარიშო წელს (99) სკოლებზე დახარჯულა ფული მცხოვრებთა რიცხვზე რომ გავყოთ, მოდის თითო სულზე 32, 2 კაპეიკი!

სამწუხაროდ ისედაც მცირე რიცხვი სკოლათა მცხოვრებთა შორის თანასწორად არ არის განაწილებული: მეტი წილი მათი მოახალშენეთ ერგო. მთელს სამურზაყანოში კი, სადაც 50 ათასზე მეტი მცხოვრებია, მხოლოდ სამი სკოლაა მაშინ, როდესაც სამურზაყანო შეადგენს მთელის ოლქის ნახევარს! ამ რიგად 17 ათას სამურზაყანოელზე ერთი პირველ დაწყებითი სკოლა მოდის, ანუ ერთ სკოლაზე 2340 სასკოლო ასაკის ბავშვი. განა, მკითხველო გასაკვირველია ამისთანა ქვეყანაში ცრუ მორწმუნეობას ღრმად ფესვი ჰქონდეს გადადგმული?

თუმცა სამრევლო მეტია აქ, ვიდრე საერო სკოლები, მაგრამ მათი ნაყოფი საეჭვოა ჯერ-ჯერობით მაინც, რადგანაც ორიოდ, სამიოდის გარდა, არც ერთს ხეირიანი მასწავლებელი არა ჰყავს. საზოგადოდ ეს სკოლები ასცდნენ თავის ნათელ გზასა...

ჰამუთ-ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900წ. 6 დეკემბერი, ოთხშაბათი, №1319, გვ. 3.

ჟურნალი „მწყემსი“

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დაბადების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის...

იგუმენის ხარისხით: – სოხუმის ეპარქიის მიძინების დრანდის მონასტრის, ბერმონაზონი საბა.

მკერდის ჯვრითა: – სოხუმის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი ბასილი იასტრებოვი.

ჟურნ. „მწყემსი“, 1900 წ. 1-30 მაისი, №9-10, გვ 2.

ჟურნალი: „მოამბე“

1898 წ-თვის სამრევლო სკოლების და სასულიერო სემინარია-სასწავლებლის შესახებ ცნობები.

სოხუმის ეპარქიაში (შავი ზღვის გუბერნიის გამოკლებით) სწავლობდა 1670 ვაჟი და 375 ქალი.

სულ საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებელში სწავლობდა 17, 067 ვაჟი და 4, 231 ქალი. ორივე სქესის ერთად 21, 295 მოსწავლე.

ჟურნ: „მოამბე“ , 1900 წ. მარტი, №3, გვ. 53.

გაზეთი „კვალი“

სოხუმში განუზრახავთ დაარსონ საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

გაზ. „კვალი“, 1900 წ. 30 აპრილი. №18, გვ. 28.

სოხუმის ქალაქის თავს ბ. ბერენესს საბჭოსათვის თხოვნა მიუცია გამანთავისუფლეთ თანამდებობისაგანო. საბჭოს ამაზე უარი უთქვამს იმ მოსაზრებით, რომ ის მთავრობის დაყენებულია და არა საბჭოს ამორჩეული.

გაზ. „კვალი“ 1900 წ. 19 ოქტომბერი. №44, გვ. 696.

სოხუმის ქალაქის თავათ მეორეთ არჩეული სარაჯიშვილი არ დაუმტკიცებია ქალაქის გურობერნატორს, ამისათვის ქალაქის თავის თანამდებობის ასრულება დროებით მიენდო ადგილობრივი ქალაქის თავის თანაშემწეს ბ-ნ დიმიტრიევს.

გაზ. „კვალი“, 1900 წ. 24 დეკემბერი, №52, გვ. 822.

სოხუმის ქალაქის საბჭოს თავად აურჩევიათ ბ-ნი ალ. სარაჯიშვილი 18 ხმით წინააღმდეგ 8 ხმისა.

გაზ. „კვალი“, 1900 წ. 19 ნოემბერი, № 47, გვ. 744.



ბედიის ტაძარი, X ს.

1901

გაზეთი „ივერია“

როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, ქალაქის მოურავად მთავრობას ბ-ნი დიმიტრიევი დაუმტკიცებიათ.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 18 იანვარი, ხუთშაბათი, №14, გვ. 2.

სოხუმში არსდება საქალაქო ორკლასიანი სასწავლებელი.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 1 თებერვალი, ხუთშაბათი, №26, გვ. 2.

ქუთათურ ქართულ დრამატულ დასის წარმოდგენები ბათუმში ქ-ნ ნინო ჩხეიძის ბენეფისით დასრულდა 2 მარტს ...

ბ-ნის მესხიშვილის დასი აქედან ოზურგეთში აპირებს წასვლას. კარგი იქნებოდა სოხუმსა და ზუგდიდშიაც შეივლიდნენ.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 7 მარტი, ოთხშაბათი, №52, გვ. 2.

როგორც გაზ: „კავკაზს“ სოხუმიდან სწერენ, 6 მარტს ადგილობრივ კლუბის დარბაზში, კნეინა შერვაშიძის თაოსნობით, გაუმართავთ წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენას მრავალი ხალხი დასწრებია.

სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ ქალაქის მოურავის თანაშემწედ არჩეული ბ-ნი აჯამოვი მთავრობას არ დაუმტკიცებია.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 13 მარტი, სამშაბათი, №57, გვ. 1.

დ. გუდაუთი (აბხაზეთი)

გუდაუთის მცირე ქართველობა

თადის მწუხარებით უერთდება მთელის საქართველოს მწუხარებას ჩვენის მხცოვანისა და დაუვიწყარის პოეტის თ. რაფიელ ერისთავის დაკარგვის გამო.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 15 მარტი, ხუთშაბათი, №59, გვ. 2.

საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე ქ. სოხუმის, ახალი ათონისა და დრანდის მონასტერში აპირებს წასვლას.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 27 აპრილი, პარასკევი, №91, გვ. 2.

გზათა მინისტრმა დაამტკიცა იმ გამოკვლევათა პროგრამა, რომელიც ამ ზაფხულს შავის ზღვის პირად ოჩამჩირესა და გუდაუთში უნდა მოახდინონ. ოჩამჩირესათვის, სადაც შესაძლებელია მომავალში შავის-ქვის გასაზიდი ნავთ-სადგური იქმნას დაარსებული, ვრცელი პროგრამაა შემუშავებული. როგორც ვუწყით, ტყვარჩელის აგარაკში შავი ქვა აღმოჩნდა. ამ გარემოებამ გამოიწვია ახალი გამოკვლევანი. რაც შეეხება გუდაუთს, წარსულ წელს ადგილობრივმა მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა ნავთ-სადგურის აგების შესახებ და გამოკვლევასაც ამისთვის ახდენენ.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 23 მაისი, ოთხშაბათი, №109, გვ. 2.

კავკასიის მომავალი გამოფენა

სოხუმის ოლქის უფროსისაგან ქაღალდი მოუვიდა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარს, რომელსაც სთხოვს, რომ რადგანაც სოხუმის ოლქის ბევრმა მცხოვრებმა განაცხადა სურვილი გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა, ხოლო არ არის ფული ექსპონატების შესაკრებად და გამოსაგზავნად ტფილისში, ამიტომ კარგი იქნება საჭირო ფული გამოგვიგზავნოთო.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 1 ივლისი, №141, გვ. 3.

საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, მომავალში შემდეგი წესი იქმნება მიღებული სამრევლო-საეკლესიო სკოლებში, იმ სკოლებში, რომელნიც ქალაქებშია დაარსებული, პირველ წლიდგანვე სწავლა რუსულ ენაზედ დაიწყობა. სოფლის იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ ქართველები არიან, სამ პირველ წელიწადს საგნებს ქართულ ენაზედ ასწავლიან, ამასთან დააწყებინებენ რუსულს და ასწავლიან ამ ენაზედ ლოცვებს. სოფლის იმ სკოლებში – კი, სადაც ქართველებთან სხვა ტომის შვილებიც (ოსები, ბერძნები, რუსები, თათრები და სხვანი) იქმნებიან, სწავლა პირდაპირ რუსულს ენაზედ დაიწყობა ეგრედ წოდებულ „მუნჯურის მეთოდის“ შემწეობით. ეს წესი შემოღებულ იქმნა საეპარქიო მეთვალყურის მ. ვოსტორგოვის მეცადინეობით.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 5 ივლისი, №144, გვ. 2.

სოხუმის ოლქში, გაგრაში, ამიერიდგან სამუდამო საფოსტო განყოფილება იქმნება დაარსებული სადაც საშინაო და საგარეო დეპეშებს მიიღებენ.

გაზ. „ივერია“, 1901 წ. 3 ნოემბერი, შაბათი, №240, გვ. 2.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

გუდაუთის (სოხუმის ოლქი) მცხოვრებთ მიუმართავთ შუამდგომლობით გზათა სამინისტროსათვის გუდაუთაში ნავთ-სადგურის გაკეთების შესახებ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 27 თებერვალი, სამშაბათი, №1394, გვ.2.

სოხუმიდან გვწერენ: „დღეს 4 მარტს, ადგილობრივ საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვის შემდეგ პანაშვიდი თ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ქართველი საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 8 მარტი, ხუთშაბათი, №1403, გვ. 2.

სოხუმი

კვირას, 6 მარტს, სოხუმის სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენა იყო გამართული საქალაქო კლუბის დარბაზში კნ. ტერეზია შერვაშიძის თაოსნობით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ.

წარმოადგინეს „და-ძმა“ დრამა ვალ. გუნიასი და „უბედური“, ვოდევილი – ბალანჩივაძისა. ამ წარმოდგენმა ნათლად დაგვანახა უნარი და ნიჭი ჩვენის სცენის მოყვარეთა. მათ გარდა როლების შესწავლისა, თვითონ მოუხდათ სცენის მოწყობა, სკამების შოვნა და სხვა. ამისათვის მოსალოდნელი იყო დაქანცულნი მოყვარულნი ისუსტებდნენ წარმოდგენაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. წარმოდგენამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა.

განსაკუთრებით კარგი იყო ვოდევილი „უბედური დღე“, რომელშიც ქალბატონ აგრ. ქავთარაძის მოხდენილმა თამაშობამ მატრონიას როლში და ბ-ნ ბელიაშვისამ ყობის როლში ბევრი აცინა საზოგადოება: წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ლეკური და ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 3 საათზე დაიშალა. დიდი მადლობის ღირსია კნეინა ტერეზია შერვაშიძისა, რომელიც შრომას არ ზოგავს ამ კეთილს საქმისათვის, აგრეთვე სცენის მოყვარულნიც თავ გამოდებული შრომისათვის. ღირსეულადაც აფასებს ამ შრომას საზოგადოება, რომელიც უხვად ესწრება წარმოდგენებს.

არ იქნა და არა ეშველა რა ჩვენი ქალაქის დასუფთავებას. ქუჩებში მუხლამდე მტვერი და ნაგავი ჰყრია; ქალაქი მუდამ სქელი მტვრის ბურუსშია გახვეული, რის გამოც კაცს ცხვირი არ გამოუყვია გარეთ. თხრილები, როგორც ყოველთვის, სავსეა ათას გვარი უსუფთაობით, რომლის წყალობითაც ჯერ ისევ ზამთარში დაიწყო ათას ნაირი ციებ-ცხელება ახლა რომ ასეა, რა უნდა იქნეს ზაფხულში?

ქალაქის მოურავის ნაცვლად არჩეულ იქმნა აჯამოვი, ნაცვლად კოტლიაროვისა, რომელიც არ იქმნა დამტკიცებული.

მექი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 10 მარტი, შაბათი, №1405, გვ. 4.

წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას მოუვიდა განჯიდან 295 მან. და 37 კაპ. რომელიც შემოსულია იქ გამართულ საღამოდან.

ამავე საზოგადოებას ასეთივე საღამოს შემოსავალი 54 მან. და 30 კ. მოუვიდა

სოხუმიდან კნეინა შერვაშიძისაგან.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 23 მარტი, პარასკევი, №1418, გვ. 3.

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროსა და სხვა უწყებათა გამგებლობაში 83 ათასი სასწავლებელი ყოფილა; მათ შორის 50 უმაღლესი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 8 აპრილი, კვირა, №1430, გვ. 3.

კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოს გარდაუწყვეტია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გზების გაკეთებას შავის ზღვის ნაპირებზე.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ , 1901 წ. 20 ივლისი, პარასკევი, №1529, გვ. 3.

დ. ოჩამჩირე

...ოჩამჩირის მცხოვრებლებს ძალიან მოედო ციებ-ცხელება, ან და როგორ არ მოედება! მაგალითად, შუა ქალაქში, ოჩამჩირის დაარსების დღიდან ერთი მოზრდილი ტბაა. ამ ტბაში ზაფხულობით კამეჩები წვებიან და იგრილებენ თავს, აგრეთვე ბატებიც, რაც ოჩამჩირეში აუარებელია. ეს სანახაობა ბულვარის წინ არის 5 საჟენი მოშორებით და ოჩამჩირელი საზოგადოება დიდი ხნიდან სტკბება მითი, მაგრამ ეხლა აქა-იქ ნაპირები მიწით ამოივსო და მდელო წამოვიდა. სასურველია მიაქცევდეს ამას ყურადღებას დაბის ბოქაული ბ-ნ ციბა, თუ მაინც ისე საჭირო არ არის ოჩამჩირელებისათვის ამ ტბის არსებობა.

საზოგადოდ, აფხაზეთში წლეულს ნაკლები მოსავალია ჭირნახულისა. ყურძენი სხვა წლებთან შედარებით თითქმის სულ არ არის. სიმინდის ტეხა ახლა იწყება.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 12 სექტემბერი, ოთხშაბათი, №1580, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

...ამ ჟამად აქ ძალიან გავრცელებულია სახადი და სხვა სნეულებანი, რაც სოფლის ცრუ ექიმ-მკითხავები-სათვის ძალიან საწყენი არ არის, ასეთმა ცრუ ექიმობამ ერთი სამწუხარო მსხვერპლი შეიწირა. ერთს ყმაწვილ კაცს – ანდრი ზუხბაიას, რაღაც იოლად მოსარჩენი სატკივარი გასჩენია და რადგან იმ ჟამად ქალაქს ძალიან დაშორებული იყო, უღმერთო მკითხავს ერჩია რამოდენიმე ჭიქა წყალში გახსნილი შაბიამანი მიეღო, რაც უნაკლოდ შეესრულებინა. მაგრამ საწამლავმა სასიკვდილოდ იმოქმედა და სანამ ექიმი მოუსწრობდა, გარდაიცვალა კიდევაც; დასტოვა გაჭირვებული დედა და სტუდენტი ძმა. ნეტავ როდის გათენდება ჩვენთვის?...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 23 ოქტომბერი, სამშაბათი, №1619, გვ. 4.

ოჩამჩირე

როცა ვაკვირდები აფხაზთა ცხოვრებას, მაკვირვებს ერთი გარემოება: როგორ არ დაეცა მთლად მატერიალურად აქამდის აფხაზის კეთილ-დღეობა? რა გული მიუვა მუშაობაზე კაცს, იქ სადაც არა ხარ დარწმუნებული, შენი ნაამაგარი შენ შეგრჩება,

და არა პირველ შემთხვევაზე ხელიდან არ გამოგეცლება – არ მოგპარავენ! სწორედ აფხაზეთის გარეშე მცხოვრებისათვის დაუჯერებელია ის, რაც აქ ხდება: ქურდობა საქონლისა და ცხენისა დილით, ღამით, გამოიღვიძებ თუ არა, ერთი ვაი-ვაგლახი და ყოფა გესმის: ქვრივ-ობოლთა წივილ-კივილი ცამდის ადის, მათი ცრემლი ზღვას ერთვის. აქ მოჰპარეს საცოდავს კაცს მარჩენალი მეწველი ძროხა, იქ მეორეს წაართვეს ოჯახის ბურჯი კამბეჩი, აქ კიდევ მოიპარეს ცხენი. საქონლის პატრონის მწუხარებით დამწუხრებულ სოფელს მიაქვს კივილი? ქურდს დაედევნა, სად მოეწევა? ქურდს ამდენს ტყე-ღრეში, დროებით კი არა, მთელი წლობით შეუძლია თავი შეიფაროს. მაგრამ ეს არც კია საჭირო: ერთი გაუძვრეს თვალ-და-ხელ შუა, მერე უნდა დაუნახონ ნაქურდალი. თავსაც არ შეიწუხებს. აქ მოვიყვან შემდეგ ფაქტს: ამ სამი წლის წინად მე დავინახე შემდეგი სურათი: ერთ სოფელში გლეხის ეზოში, ზედ შარა-გზაზე ერთი უღელი ხარ-კამბეჩი მიებათ ხეზე. ეზოში რამდენი კაცი შეგროვილ იყო. გამოკითხვით შევიტყვე, რომ განთქმულ ქურდს აზ. წინღამით მოეპარა მეორე საზოგადოებაში ეს კამბეჩები; პატრონი ამ სოფელში დასწეოდა, მაგრამ რას მისცემდა: სანამ პატრონმა აზ. №1 არ ჩაუთვალა გასამრჯელოდ 5 თუმანი, კამბეჩები არ მისცა. – რატომ არ უჩივლებ – თქო, რომ უთხარი, – პატრონმა მიპასუხა: რა გამოვაო? ერთი, არავინ არ დამიდგება მოწმედაო, რადგან ყველას ეშინიან მისიო, – მეორეც, სანამ კანონი მას რამეს უზამდეს, მე დედა-ბუდიანად ამომაგდებსო: გამქურდავსო და დამწვავსო.

ამ სოფელში მე შემთხვევა მქონდა თითქმის მთელი ზემო აფხაზეთი მომეარა. და რა საშინელი სურათი წარმომიდგა თვალ-წინ! ყოველგან სოფლის საზოგადოების კანცელარიაში არის განსაკუთრებითი წიგნი, სადაც იწერება ნაქურდალი საქონელი. მე გადავათვალიერე შვიდიოდე ამისთანა წიგნი: ორთაშუა რიცხვით ექვსის თვის განმავლობაში თითო წიგნში ჩაუწერიათ 35-42-მდე ნაქურდალი საქონელი. თურმე ამ წიგნში მესამედსაც არ სწერენ, რადგანაც, ჯერ ერთი, ამ ჩაწერილიდან არაფერი გამოდის, მეორეც, აქ ჩაწერილი საქონლის ზემორე აღწერილ წესით გამოსყიდვა არ შეიძლება, მესამეც... მაგრამ კმარა, რამე ურიგო არ წამოგცდეს!

ამავე წიგნში არის ცალკე რუბრიკა, – „რა ღონის – ძიება მიიღო სოფლის პოლიციაში,„და აი თითქმის ეს განყოფილება, ყველგან ისე თეთრად იყო, ცარიელი. ამის გამო ერთმა მამასახლისმა მითხრა: სად გეცალა ქურდების სადევნელად და ან როგორ შეგვიძლიან იმათთან ბრძოლაო? მეც მოვინდომე მასთან ბრძოლა, მაგრამ ზედი-ზედ ცხენი და ძროხა მომპარეს, რის შემდეგაც საბრძოლველად ხელში აღებული ფარ-ხმალი დავყარეო. მეორე ტიპის სოფლის მამასახლისები ქურდებს უფრო ხელს უწყობენ ვიდრე დევნიან. მაგალითად, ახალგაზრდა მამასახლისმა X-მა მისცა მოწმობა ვიღაც გ-ს, ვითომც მას ეყიდოს ამა და ამ კაცისაგან ამ და ამ ნიშნების ერთი უღელი ხარ-კამეჩი. გ-ნმა ეს კამეჩები შეაბა ურემში, ჩაიდო ჯიბეში მოწმობა და გასწია გუდაუთისაკენ. თურმე ამ ვაჟბატონს წინა კვირაში ერთ სოფელში კამეჩები მოეპარა და ეხლა უნდოდა გაესაღებინა ალალ-მართალ საქონლად, მაგრამ, დახე მის უბედურებას: გზაზე მდევარი დაეწია, დაიჭირეს და თავის ამხანაგიანად ციხეში უკრა თავი. მოწმობა კი გამომძიებელს გადაეცა. დამნაშავე მამასახლისთან მქონდა ამის შესახებ ლაპარაკი ის თავს მართლულობდა: ამ მოწმობით ქურდობა გამოვააშკარავეო.

სწორედ, რომ სოფლად ყოვლად შეუძლებელი იქნება ცხოვრება, თუ კიდევ ასე

გაგრძელდა ქურდობა, თუ აღარ აილაგმნენ, ქურდ-ბაცაცები დროა ამაზე იფიქრონ და რამე ღონე მიიღონ, ვისგანაც ჯერ არს.

ჰამუთ -ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 29 ნოემბერი, ხუთშაბათი, №1655, გვ. 3-4.

გაზეთი „კვალი“

ზოგიერთი ცნობები სწავლა განათლების შესახებ კავკასიაში 1900 წელს.

როგორც ამ ანგარიშიდან ვტყობილობთ, საანგარიში წელს კავკასიაში ყოფილა სულ 1902 სასწავლებელი, 168. 646 მოსწავლით. ამათგან საშუალო სასწავლებელი – 52-21. 413 მოსწავლე; 11.786 ვაჟი + 9. 627 ქალი.

დაბალი – 72 – 16. 153 მოსწავლე; 14. 918 ვაჟი + 1.125 ქალი.

კერძო – 157 – 8.165 მოსწავლე; 5.254 ვაჟი + 3.011 ქალი.

პირველდაწყებითი 1621 – 122.815 მოსწავლე; 93.445 ვაჟი + 29.370 ქალი.

სულ 1902 სასწავლებელი, 168.646 მოსწავლით. 125.403 ვაჟი + 43.243 ქალი.

მოსწავლეთა რიცხვს წინა წელთან შედარებით უმატნია 8,7%-ით (1899 წ. 155.085). სასწავლებლებს 7,7%-ით (134 სასწავლებელი).

ეროვნებით მოსწავლეთა რიცხვი განაწილდება ამნაირათ:

რუსები 82.193 ანუ მთელი რიცხვის – 48,8%;

ქართველები 32.330 ანუ მთელი რიცხვის – 19,2%;

სომხები 31.108 ანუ მთელი რიცხვის – 17,5%;

თათრები 5.556 ანუ მთელი რიცხვის – 3,2%;

ებრაელები 2.224 ანუ მთელი რიცხვის – 1,3%;

სხვა ერები 10.229 ანუ მთელი რიცხვის – 6,1%;

ყველა ამ სასწავლებელზე საერთოდ დახარჯულია – 5.476.573 მან. აქედან ხაზინისა – 1.464.005მან. ეკლესიათა და მონასრების – 19.453 მან. დანარჩენი 3.993.115 მან. საზოგადოებას გამოუღია სხვადასხვა სახით (ქალაქის, სოფლის და ყაზართა საზოგადოებათ, შემოწირულობა, სწავლის ფული და სხვა).

დახარჯულია საშუალო სასწავლებლებზე – 2.470.006;

თითოზე საშუალო რიცხვით – 47.500;

დაბალ სასწ-ზე 798.580 თითოზე 11.891;

პირველ დაწყ-ზე 1.817.733 თითოზე 1.121;

თითო მოსწავლეზე წლიურად იხარჯება (პანსიონები არა მიღებული) საშუალო სასწ. – 87 მან. დაბალში – 44 მან. კერძოში – 46 მან და პირველდაწყებითში – 15 მან.

პირველდაწყებითი სკოლებიდან მარტო სახელმწ. ენაზე ასწავლიან 1406 სასწ. (86,7%) სახელმწ. ენაზე ადგილობრივი ენის დახმარებით მხოლოდ 215 (13,3%)

მთელ ოლქში ერთი პირველდაწყებითი სასწავლებლები მოდის 5.800 მცხოვრებზე. რუსებში 3.800 მცხ. თათრებში 17.000 მცხ. ამ ქართველებში 5.500 მცხ. სომხებში 6.500 მცხ. ამ რიგათ ადგილობრივ მკვიდრთაგან ყველაზე უფრო სწავლა-განათლებას ისევ ქართველები ეტანებია. თუმცა ნორმა თხოულობს ერთი ასეთი სკოლა 1000 მცხოვრები მოდიოდეს, და ჩვენ რომ საკმაო რიცხვი გვექნეს, საჭიროა 5 ½ –

ჯერ გამრავლდეს სკოლების რიცხვი.

თბილისის გუბერნიაში არის სულ 197 პირველდაწყებითი სასწავლებელი.

ქუთაისში 223. სულ ორივე გუბერნიაში 420 და რომ საკმაო იყოს, საჭიროა 2.410. ეს თანამედროვე მცხოვრებთათვის.

გაზ. „კვალი“, 1901 წ. 26 აგვისტო, კვირა, №35, გვ. 782-783.

1899 წ. დასაწყისს სოფ. დრანდაში მოვაჭრეებმა: ბ-ნი ი. ბურჭულაძემ, ბ. ჭიჭუამ, ა. ბერულავამ, ა. ჯორჯიკიამ, ი. იოსავამ, ი. სიჭინავამ და ი. სიხარულიძემ განიზრახეს სოფ. დრანდაში დაეარსებიათ მეაბრეშუმთა ამხანაგობა.

გაზ. „კვალი“, 1901 წ. 25 თებერვალი, №9, გვ. 150-151.

სოხუმის ქალაქის თავად დაუმტკიცებიათ ბ-ნი დიმიტრიევი.

გაზ. „კვალი“, 1901 წ. 21 იანვარი, კვირა, №4, გვ. 56.

დაბა ოჩამჩირედან იტყობინებიან, რომ დიდძალი სიმინდი შემოდის ბაზარზე, ფუთი ფასობს 50 კაპ.

გაზ. „კვალი“, 1901 წ. 19 აგვისტო, კვირა, №34, გვ. 756.

...დღეს, როცა სამურზაყანოელთა და მეგრელთა ბავშვები ათას-ნაირ ღობეყორეს ეტანებიან, რომ ქართული წერა-კითხვა შეისწავლონ, ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ ინგურის პირად მდებარე სოფელში, ასეთს განაპირა ადგილას, სკოლა რომ გაეხსნა გამგეობას თავის დროზე განა მეტი სასარგებლო არ იქნებოდა? (ამაზე მოხსენებაც იყო გაგზავნილი, თუ მიზანს მიაღწია, რომელიც, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული).

გაზ. „კვალი“, 1901 წ. 2 დეკემბერი, №49, გვ. 1027.



ილორის ტაძარი, XI ს.

1902

გაზეთი „ივერია“

ოქუმი (სამურზაყანო)

სამურზაყანოს ნაწილის ახალმა უფროსმა ყურადღება მიაქცია სასოფლო გზების უვარგისობას, აკეთებინებს და ხრეშს აყრევინებს მათზე.

აქეთ ნამდვილი გაზაფხულის დარებია. თოვლი მხოლოდ მთებზე დევს.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 5 იანვარი, შაბათი, №4, გვ. 1.

სოხუმი

ბ-ნმა კნივჩენკომ ითავა აქაურ ნოქართა ამხანაგობის შედგენა. დიდმა უმრავ-ლესობამ ნოქრებისამ (120 კაცმა) თანხმობა გამოაცხადა საზოგადოების შედგენაზე, ხოლო 27 იანვარს კრებას – კი, რომელსაც უნდა განეხილა წესდების პროექტის შედ-გენის საქმე, ცოტანი დაესწრნენ, სულ 50. კრებამ ამოარჩია რვა კაცისაგან შემდგარი კომისია და მას, მიანდო ორის კვირის განმავლობაში წესდების პროექტის შედგენა.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 5 თებერვალი, №29, გვ. 2.

გუდაუთი

ღვთისაგანაც და კაცისაგანაც მივიწყებული დაბა თუ გინდათ, სწორედ ჩვენი გუდაუთია, არავითარი წარმატება მაინც და მაინც არ ეტყობა ჩვენს ცხოვრებას. აქ, ეკლესიის ახლოს, სამიკიტნოები იყო, საცა ჰყიდნენ ღვინოსა და არაყს და იყო ერთი მთვრალობა. გუდაუთის უფროსმა აღუკრძალა მედუქნეებს ასეთი უწესოება და დუქნები გადაატანინა ეკლესიის სიახლოვიდგან, მაგრამ მიკიტნები მაინც თავი-სას არ იშლიან და ისევ ახერხებენ როგორღაც ვაჭრობას ეკლესიის ახლოს, მხოლოდ არაყს არ ჰყიდიან და მარტო ღვინოს აძლევენ მუშტარას, თითქო ღვინო – კი არ ათრობდეს კაცს და უწესობას არ მოაქმედებინებდეს.

მამასახლისი და „დეპუტატები“- კი გვყავს მაგრამ ნაკლებად ჰზრუნავენ დაბის წარმატებისათვის.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 9 მარტი , შაბათი, №52, გვ. 2.

ოქუმი

ცვლილებისათვის ცვლილების მოყვარულ ზოგიერთა ადამიანის მეოხებით აქ აღიძრა საქმე – სად უნდა იყოს ოქუმის საბოქაულოს გამგეობის ცენტრი: აქვე, თუ ს. ღალში? ჩვენ ვერ გაგვიგია, ვის ანუ რად დასჭირდა ამ საქმის აღძვრა! ოქუმი უხსოვარ დღიდგან ყოფილა და დღემდისაც არის სამურზაყანოს შუაგული, როგორც ბუნებითად ისე ადმინისტრაციულადაც. ხალხი მიჩვეული და კმაყოფილია აქაუ-რობისა, აქაურობაც – ქალაქი ვაჭრებიან-მოქალაქეებიანად მადლიერია ხალხისა. არც არავის საქმის კაცთაგანს აზრადაც არ მოჰსვლია ოქუმიდგან ადმინისტრაციის ბინადრობის სხვაგან სადმე, და მეტადრე ს. ღალში, გადატანა და თუ ვისმე ჯი-ბის გასასქელებლად დასჭირდა ამ საქმის აღძვრა, ეს სხვა საქმეა! სრული იმედი გვაქვს, თვით ადგილობრივი ადმინისტრაცია სამართლიანს მსჯავრს დასდებს ასე-თის კაცების უადგილოსა და უცნაურს მისწრაფებასა.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 29 მარტი, პარასკევი, №68, გვ. 2.

წერილი აფხაზეთიდგან

აჭანდარა. – ეკლესია. – სკოლა – ქრისტიანობის ნაშთნი. – „დიუდრუბში. – ჩიჩბების გვარი – სტუმართ – მოყვარეობა. – საშობელი. – ცოლის შერთვა. – ახალი წელიწადი და აღდგომა.

აჭანდარის სოფელი ეკუთვნის გუდაუთის დაბას, რომელსაც მოშორებულია 15 ვერასზედ, მდებარეობს მთის ძირად და მიწა საკმაოდ ნაყოფიერი და მოსავლიანი აქვს.

სოფლის ეკლესია სამწუხაო მდგომარეობაშია: შენობა ხისაა, ძველთა-ძველი; სახურავი დიდი ხანია, რაც განახევრებულია და ამიტომ საკმარისია ერთის დღის წვიმა, რომ ეკლესიაში ტბა დადგეს. შინაგანი მოწყობილობა მეტის-მეტად ღარიბია, ეკლესიას არა აქვს აღსავლის და ჩრდილოეთ-სამხრეთის კარები. ადგილობრივმა მღვდელმა ბევრი იზრუნა ღარიბ ეკლესიის შემწეობის აღმოსაჩენად და მისდა გასაუმჯობესებლად, მაგრამ მისი თხოვნა ჯერ არავის შეუსმენია.

ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც აგერ ექვსი წელიწადია, რაც გახსნილია, დიდი ხნის უნაყოფობისა და უსარგებლობის შემდეგ ცოტა არ იყოს გამოფხიზლდა. აქაურის მღვდლის მეცადინეობით ეხლა აჭადარაში იხსნება ერთკლასიანი საქალებო სკოლაც.

აჭანდარის სოფელი შესდგება სულ 250 კომლისაგან, მათ შორის მხოლოდ 15 კომლი აღიარებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, დანარჩენი 235 – კი მაჰმადიანები არიან, რომელთაც, თუნმცა რამდენიმე წლის წინად მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ გამაჰმადიანებულან და დღეს ქრისტიანობას სიძულვილით უყურებენ.

თუმცა უმრავლესობა აფხაზებისა აღიარებს მაჰმადის სარწმუნოებას, მაგრამ ძველი ქრისტიანობის ჩვეულებანი დღემდისაც წმინდად შეუნახავს. ძველი ეკლესიის ნანგრევებსა და ძეგლებს აფხაზები შიშით და ძრწოლით თაყვანს სცემენ. ყველა ეკლესიების ნანგრევებსა და ძველ ძეგლებზედ უფრო უპირატესობას აძლევენ აფხაზები „დიუდურუბშის ძეგლს“, რომელსაც კრძალვით თაყვანსა სცემენ, მსხვერპლს სწირავენ და ემსახურებიან. ამისათვის არ იქნება ურიგო, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ დიუდრუბშის ძეგლზედ“.

აჭანდარა, როგორც ზევით ვსთქვით, არის მთის ძირას, და სწორედ ამ მთას ჰქვიან „დიუდურუბში“. აფხაზების ზეპირ-გადმოცემით „დიუდრუბშის“ გორაზედ რამდენსამე ასი წლის წინად იყო ამართული ეკლესია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის დაინგრა, მისი ნანგრევები ძეგლად დარჩენილა, რომელსაც აფხაზები ეხლაც თაყვანს სცემენ. თვით ის ადგილი, სადაც არის ნანაგრევი ძველის ეკლესიისა, აფხაზებს წმინდა ადგილად მიაჩნიათ, და არც ერთი აფხაზი იქ ასვლას არ გაბედავს. ამისათვის მსხვერპლის შეწირვაც სრულდება მთის ძირში, სადაც დგას ვეება მუხა და მის ძირში დევს დიდი ქვა, რომელზედაც არის გამოსახული ღვთისმშობლის სახე. ამ ქვაზედ აფხაზები იღებენ ფიცს და სწირავდნენ მსხვერპლს. ფიცის მიმღები აფხაზი ვალდებულია დადოს ქვაზე ერთი მანეთი ფულად, ან მანეთის საღირი ნივთი, რომელიც სამუდამოდ იქ რჩება და ვერავინ ვერ გაბედავ იმ ნივთებისა ან ფულის წაღებას. ქვაზედ არის მრავალი სხვა-და-სხვა ძველებური ნივთი და მათ შორის „ლახვარი“ და ორი პატარა ხატი, ერთი ღვთისმშობლისა და მეორე წმინდა ნიკოლოზისა. იმ ადგილს, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია, ჰქვიან აფხაზურად „ანიბს ნიხო დიუდურბშ“,

რაც ქართულად ნიშნავს „აფხაზეთის ძლიერი ხატი დიუდურუბში.“

მსხვერპლის შეწირვა ხსენებულ მთის ძირში ხდება ძალიან ხშირად. მსხვერპლის შემწირველნი პირველად უნდა გამოეცხადნონ აჭანდარის მცხოვრებთ გვარად „ჩიჩ-ბებს“, რომელთაც ძველის დროიდგანვე შერჩენიათ თვალ-ყურის ჭერა ძეგლისა და მის მსხვერპლის შემწირველებზედ ანუ, უკეთ ვსთქვათ, მეხატურობა, რომელსაც აფხაზები ეძახიან „ანიხრცვა“. თუ ჩიჩბებმა მსხვერპლის შემწირველს რაიმე მიზეზის გამო ნება არ მისცეს, ის ვერ გაბედავს მათ და ნება დაურთველად მსხვერპლის შეწირვას, არამედ აძლევს ჩიჩბებს ორ წილ სასყიდელს რომელსაც ყველა მსხვერ-პლის შემწირველისაგან იღებენ და რითაც დიდი სარგებლობა აქვთ. ბევრი აფხაზი აღთქმისამებრ ვალდებულია ყოველ წელს სწიროს ხსენებულ ძეგლს მსხვერპლი. არ შეიძლება ისეთი აფხაზი, თუ გინდ ნასწავლი და განათლებულიც იყოს, – რაც ჯერ-ჯერობით ძალიან ძვირია, – რომ „დიუდურუბში“-ს ძეგლს არ ემორჩილებოდეს და თაყვანს არ სცემდეს.

ქრისტიანობის ნაშთების გარდა, ძველთა ძველი ზნე-ჩვეულებანი დღემდისაც უნაკლოდ დარჩენილა აფხაზებში. სტუმართმოყვარეობა ისე გავრცელებულა აფხა-ზებში, რომ სტუმარი ყოველ დროს სასურველ და სამღვთო კაცად მიაჩნიათ. ჩვეულ-ებრისამებრ სტუმარი არც-კი ეკითხება მასპინძელს, იღებენ თუ არა, თუ მასპინძელი შინ არ დაუხვდა, მოხდის ცხენს უნაგირსა და გაუშვებს ბალახზედ. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუმრად მოსულა და მაშინ ოჯახის ქალები გაუძღვებიან და მოასვენებენ.

აფხაზის ქოხი პირველ შეხედვით წარმოადგენს პატარა, წმინდა დარბაზს, რომელსაც არც ჭერი აქვს და არც იატაკი, მაგრამ მტვრის ასაშორებლად დღეში ოთხ-ხუთ გზის წყლითა რწყავენ. ძვირია ისეთი აფხაზის ოჯახი, რომ შინაურ სიწ-მინდეზედ არ სცდილობდეს, რაც უნდა ღარიბიც იყოს. ქოხის ერთ კუთხეში იწყობენ ქვეშსაგებს, რომელიც თავის სიმრავლის გამო პატარა გორაკსა ჰგავს. ქვეშსაგები მზადდება განსაკუთრებით ოჯახის ქალებისაგან, დიდის სისუფთავითა. ზამთარში სიცივის ასაშორებლად ქოხს გარს ახვევენ გვიმრას.

სტუმარი არ თხოულობს მასპინძლისაგან დიდ პატივისცემას. საკმარისია მა-წონი, ყველი, ღომი და ღვინო, ან ნაშთი ძველის ხორცისა, რომ სტუმარი დარჩეს კმაყოფილი. მაგრამ თუ ეწვია ჩერქეზი, მეგრელი ან ადმინისტრაციის წარმომად-გენელი, მაშინ აფხაზი არას დაზოგავს, რომ სტუმარს კარგად გაუმასპინძლდეს და სირცხვილი არა ნახოს.

სტუმარს დაუდგამენ მრგვალ სტოლს და, სანამ შემოუსხდებოდნენ, დაიწყებენ თავაზობას, თუ ვინ დაიბანოს პირველად ხელი და ვინ სად დაჯდეს სხვებზედ უწინ. ეს თავაზობა მანამ გრძელდება, სანამ ერთი მათგანი, უფროს წლოვანებითა, ან გვა-რიშვილობით არ დაიბანს ხელს და არ ამოირჩევს რომელსამე ალაგს; ამის შემდეგ ყველანი თავაზიანად რიგზე დაიბანენ ხელს, შემოუსხდებიან სტოლს და აუჩქარე-ბლად მიჰყოფენ ხელს პურის ჭამას. ოჯახის ქალები და მეზობლის გოგოები და ყმაწვილები – კი დგანან ფეხზედ და გულ-მოდგინედ ემსახურებიან სტუმრებს.

პურის ჭამას რომ გაათავებენ, აალაგებენ სტოლს და დააბანინებენ ხელს სტუმართ და მასპინძლებსაც იმავე ჩვეულებრივის თავაზიანობით. სტუმარი კიდევ იბაასებს ცოტა ხანს და შემდეგ ემზადება წასასვლელად. წასვლის დროს მიუყვანებენ ცხენს, სტუმარი ემშვიდობება პირველად დიასახლისს, მერე იქ შემოკრებილს ქალებს

და ბოლოს კაცებს და შეჯდება ცხენზედ. ყველანი შველიან ცხენზედ შეჯდომას მით, რომ უზანგს დაუწევენ. თუნმცა სტუმარი არა ერთხელ სთხოვს ნუ სწუხართო, მაგრამ ცალი თვალი მაინც უზანგისკენ უჭირავს, აბა, ვინ დამიჭერსო და ვინ არა უზანგსაო. თუ არავინ დაუწია უზანგი, სტუმარი ამას მასპინძლისაგან შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ცხენზედ რომ შეჯდება სტუმარი, ერთს კიდევ გამოემშვიდობება ყველას საზოგადოდ და წავა. წასვლის დროს სტუმარი ასკუპებს თავის ცხენს, შემოჰკრავს ტკაცატკუცით მათრახს გვერდებზედ, – რაიცა ნიშნავს სტუმრის კმაყოფილებას.

როცა აფხაზს შეეძინება შვილი ვაჟი ან ქალი, – ის სამი-ოთხი დღე არ მიდის თავისს სახლში, არამედ იმყოფება რომელსამე მახლობელ მეზობლისას. მერე სამი-ოთხი დღის შემდეგ შინ რომ დაბრუნდება, იკრიბებიან მეზობლის ქალები და კაცები და იმართება მასპინძლობა: თუ ახალშობილი ვაჟია, მაშინ მასპინძლობა რჩებათ ქალებს, ხოლო თუ ახალ-დაბადებული ქალია, მაშინ – კი კაცები უმასპინძლდებიან და ემსახურებიან ქალებს. ორივე მხარეში ერთად მასპინძლობა და პურის ჭამა – კი არ შეიძლება ამ დღეს.

აფხაზი ცოლის შერთვას რომ დააპირებს, პირველად ჰგზავნის ერთს ვისმე სანდო კაცს მოსალაპარაკებლად საცოლოს მამასთან. თუ საქმე გადაწყდა, დაინიშვნენ ერთ დღეს, სასიძოსგან სარძლოს დასანიშნავად დანიშნულ დღეს საცოლოს მშობლები მართავვენ მასპინძლობას, ჰპატიჟებენ მახლობელ ნათესავებს და ელიან სასიძოს მხრივ სტუმრებს. სასიძო ჰგზავნის თავის საცოლოს სახლში ამორჩეულ კაცებს, მაყრებს, რომელთაც თან ატანს, რამდენიმე ფულს და ცხენებს (ერთს, ორს, სამს, ან ოთხს – შეძლების და გვარად), მაგრამ თითონ – კი არ მიდის. სასიძოს მაყრებს ეგებებიან და ღებულობენ სიხარულით, ჩამოართმევენ საჩუქრებს და ამის შემდეგ სასძლო დანიშნულად ითვლება, თუნმცა არც – კი იმყოფება იმ დროს სახლში, არამედ დამალულია, რომელსამე მეზობლისას.

დანიშვნის შემდეგ, ორივე მხარის თანხმობით ინიშნება დრო, როდესაც სასიძოს შეუძლიან სასძლო წაიყვანოს. სასძლოს მშობლები ამ დროს უფრო კარგ მასპინძლობას ჰმართავენ, ჰპატიჟებენ ყველა ნაცნობებს და მეგობრებს და მოელიან სასიძოს მაყრებს, მაგრამ სასძლოს მშობლები მაყრებს – კი არ უმასპინძლდებიან არამედ თავიანთ მოწვეულ სტუმრებს. პურის ჭამას რომ მორჩებიან და სტუმრები სუფრისგან აიშლებიან, სასძლოს მშობლებს გამოაქვთ საჩუქრები, რომელიც სასძლოს მეგობრებიდგან არის მოტანილი. ამ მზითვებს ჩააბარებენ ერთს ვისმე სანდო კაცს, რომელიც ყველა ნივთის მიღებაზედ ხმა-მაღლად ასახელებს ნივთის მომტანსა და გადასცემს მეურმეს, სასიძოსაგან წინათვე გამოგზავნილს. მეურმე ნივთებს ჩაიბარებს თუ არა, მაშინვე გაემგზავრება.

მეურმის შემდეგ მიდიან სასიძოს მაყრებიც, რომელთაც წასვლის დროს დიდი გაჭირვება და ვაგლახი ადგებათ. მომავალ მაყრებს, მასპინძლის სახლს რომ გასცდებიან, დახვდებიან მეზობელი ყმაწვილ-კაცები, დაიჭერენ მაყრებს, გადმოაბრძანებენ ძალა-უნებურად ცხენითგან, დაჰსვრიან სამ გზის ლაფში, შესმენ ცხენზედ და გაუშვებენ. ყველა მაყრებს ასე ემართება და ძვირათ თუ ასცდება ვისმეს ასეთი განსაცდელი.

გალაფიანებული მაყრები გროვდებიან ერთ ადგილას, სადაც ცოტა ხანს შემ-

დეგ სასძლოს მაყრებიც მიუერთდებიან და ერთად ელოდებიან სასძლოს. მეზობლის ქალებს გამოჰყავთ სასძლო დაბურული თეთრის ლეჩაქითა და პირახვეული, ქალები რიგ-რიგად ულოცავენ გზას სასძლოს, ემშვიდობებიან და ჩააბარებენ მაყრებს, რომელთაც მიჰყავთ სახლში.

სასიძოსაც, რა თქმა უნდა, აქვს ამ დროისათვის გამართული მასპინძლობა და სტუმრები ჰყავს მოპატიჟებული, მაგრამ მაყრები სასძლოთი რომ მოუახლოვდებიან სასიძოს სახლს, სასიძო მაშინვე იმალება მეზობლისას, საიდგანაც მეორე დღემდის არა ბრუნდება. სასძლოს შეიყვანენ სახლში და მიუჩენენ ქოხში ერთ კუთხეს, საიდგანაც ის მაყრების წასვლამდის ფეხს არ იცვლის; მას ახვევიან მეზობლის ქალები, სტუმრები რომელისამე წინათვე ამორჩეულის პირის წინამძღოლობით თითო თითოდ შედიან სასძლოს სანახავად. ყოველ სტუმრის შემოსვლაზედ ახდიან სასძლოს ლეჩაქს და მნახველი თავის შეძლების და-გვარად პირის სანახავს (ფულს) ტოვებს.

სასძლოს ყველანი ნახავენ, მოუსხდებიან ტაბლას, პურის ჭამის დროს ცეკვაობენ, მღერიან და სმენ. გათენებისას მაყრები მიდიან შინა და ახლა-კი სასძლოს მაყრებს აქ იგივე დღე ადგებათ, რაც სასძლოს სახლში დაადგათ სასიძოს მაყრებს. მაყრები და სტუმრებიც, გარდა მეზობლისა, რომ დაიშლებიან, მოდის სასიძო, რომელიც როგორც ზევით ვსთქვით, მეზობლისას იმალებოდა.

მთელის წლის განმავლობაში აფხაზები, როგორც მაჰმადიანები ისე ქრისტიანები, დღესასწაულობენ მხოლოდ ახალ-წელიწადს და აღდგომას. ახალ-წლის წინა დღეს ამზადებენ საჭმელსა და სასმელს, დაჰკლავენ ძროხას ან თხას და იმდენ მამალს, რამდენიც ოჯახში მამრობითის სქესის სული არის. ახალ წელიწადს ერთმანეთს ესტუმრებიან. აღდგომას – კი ეგებებიან წითელ კვერცხით და პასქით და დროს ცეკვითა და თამაშით ატარებენ.

ეს მცირე ქრისტიანობის ნაშთი ძლივს-ღა შერჩენიათ აფხაზებს.

ანნა ნოდია

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 29 მარტი , პარასკევი, №68, გვ. 2.

სოხუმის ოლქში, გუმისთის საბოქაულოში, ბ-ნის უსოვის მამულში ქვანახშირის მადანი აღმოუჩენიათ.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 11 აპრილი, ხუთშაბათი, №79, გვ. 1.

სოხუმის ეპარქიაში დღითი-დღე მრავლდება მონასტრები. ამ დღეებში მოემატა კიდევ ერთი მამათა მონასტერი, რომელიც არსდება ტუაფსეს სიახლოვეს; ხაზინას 150 დესეტინა უკვე მიუზომია ამ მონასტრისათვის.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 19 აპრილი, პარასკევი, №82, გვ. 2.

სოხუმის საქალაქო საბჭო

შეხვალთ თუ არა ჩვენს საბჭოში, მაშინვე იგრძნობთ, რომ აქ მაინც და მაინც ბევრი არავინ არის საქმის გასაკეთებლად მოსული: ხმოსნები ჯგუფ-ჯგუფად სხედან და ერთმანეთს ნაკვესებით უმასპინძლდებიან; მოურავი მისის ტახტის სიმაღლიდგან მრისხანედ გადმოსცქერის მათ და ხანდახან შემოჰბღვერის ხოლმე, თუ რომელიმე

გაუფრთხილებელი ხმოსანი ხმას აიმაღლებს მის წინააღმდეგ და რასმე შეჰკადრებს; მდივანი რაღაცას კითხულობს თავისთვის, რომელსაც არც არავინ ყურს უგდებს და არცა-რა ისმის-რა ხუმარა ხმოსნებისა და მაყურებელ ხალხის ხმაურობაში... უწინ თუ ორ-სამს მაყურებელს შეხვდებოდით ჩვენს საბჭოში, ეხლა ყოველ კრების დროს სავსეა სხვა-და-სხვა რჯულის ხალხით. ვინ გინდა აქ არ არის და რას არ სჩადის! ზოგი ქალებს ეარშიყება, იგრიხება და ქაღალდის პარკით რაღაცას უთავაზებს; ზოგი თავის საგმირო საქმეებზე ლაპარაკობს; ზოგი აღებ-მიცემობაზე და კიდევ რას, ღმერთმან უწყის.

ეს კიდევ არაფერი, – დღეს რომ ჩვენს საბჭოში შებრძანდეთ ვერ გაიგებთ, ხმოსანი ვინ არის და ვინ – გარეშე მაყურებელი: მაყურებელმა ხალხმა ისე აბუჩად აიგდო ჩვენი საბჭო, რომ თავისუფლად შედის ხმოსანთა განყოფილებაში, დაჯდება ხმოსანთა ალაგებაზე და მგონი შორს არ არის ის დროც, როცა მოურავის ტახტზე-დაც ახტება რომელიმე ცელქი მაყურებელი და იქედგან გადმოგვძახებს: „ციცო“!..

აი, ამნაირ პირობებში მოხდა 22 აპრილს საბჭოს კრება მოურავის დიმიტრიევის თავმჯდომარეობით...

...და ბოლოს, მოურავმა ბ-ნმა დიმიტრიევმა წაუკითხა საბჭოს მის მიერ შედგენილი მოხსენება სოხუმში საშუალო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

სოხუმსაო, სწერდა მოხსენებაში ბ-ნი დიმიტრიევი, შუა ალაგი უჭირავს შავი ზღვის ნაპირად მდებარე იმ ქალაქთა შორის, რომელთაც საშუალო სასწავლებელი არა აქვთო და ამისათვის მას უნდა მიეცეს უპირატესობა, თუ იმ ქალაქებიდგან რომელსამე მიეცა ნება საშუალო სასწავლებლის გახსნისაო. გარდა ამისა, თვით სოხუმი იმდენად დიდია მცხოვრებთა რიცხვით, რომ მარტო მისთვისაც აუცილებლად საჭიროა საშუალო სასწავლებლის დაარსება მით უმეტეს, რომ ამ ახლო მომავალში სოხუმზე რკინის გზა გამოივლის და პორტიც გაკეთდებაო (ეხლა აქ არიან ინჟინრები პორტის გამოსაკვლევად).

საბჭომ დაადგინა ეთხოვოს, ვისიც ჯერ-არის, გახსნილ იქმნას სოხუმში, რეალურ სასწავლებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეალურ სასწავლებლიდგან და კლასიკურ გიმნაზიიდგან ერთი საშუალო ტიპის სასწავლებელი შეჰქმნას, როგორც ეხლა აზრადა აქვს სახალხო განათლების სამინისტროს, – მაშინ ითხოვონ ამ ტიპის სასწავლებელი დაარსდეს. ითხოვონ, გადაკეთდეს ამნაირ სასწავლებლად ახლანდელი სოხუმის დაბალი ხარისხის „მთიულთა სკოლა“, რომელსაც აღარა აქვს უწინდელი თავისი მნიშვნელობა და, თუ ეს არ მოხერხდა, გადაიდოს ქალაქში საკმაო ალაგი საშუალო სასწავლებლის შენობის ასაგებად, რისთვისაც გამართულ იქმნას ქუთაისის გუბერნიაში ხელის მოწერა.

მექი

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 3 მაისი, პარასკევი, №93.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი

კვირას 5 მაისს, სოხუმის სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა კნეინა ტერეზია შერვაშიძის მეთაურობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე-

ბელი საზოგადოების სასარგებლოდ.

არც ერთს წარმოდგენას არ მოუყვანია საზოგადოება ასეთს აღტაცებაში, როგორც ამან. ეს მით უნდა აიხსნას, რომ ხალხმა შეიგნო თეატრის მნიშვნელობა და მითაც, რომ სცენის მოყვარეებმა ერთგულად მოჰკიდეს ხელი საქმეს და მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები. გარდა ამისა წარმოდგენის პროგრამაც ძალიან საინტერესო იყო: ჯერ ითამაშეს აზიანის კომედია „გაცრუებული იმედი“ და გუნიას ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“; შემდეგ დივერტისმენტი, სოხუმის წყალწაღებულ და ყბად-აღებულ საქმეებზედ შედგენილ „კუპლეტებით, რომელნიც მშვენივრად იქმნა შესრულებული ბბ. ხა-შვილისა და ხო-შვილისაგამ; მერე მოყვარულთა გუნდმა იმღერა რამდენიმე ქართლ-კახურ-იმერული სიმღერა, რომელსაც მოჰყვა „ცანგალა და გოგონა“ და ზედ ლეკურის თამაში, ბენგალის ცეცხლებით განათებულ ცაზე.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ. ქ. მაჭავარიანისა, კონწურაშვილისა და თურქია. ბ.ბ. კოზმავა, ჩხეიძე, კობახძე, ხ-შვილი და ხოხიაშვილი.

თითქმის ყველა მოთამაშენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თამაშში. განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ ქალები. მოხდენილად და დაკვირვებით შეასრულა სონას როლი აზიანის პიესაში ქ-მა მაჭავარიანისამ, დინჯად და უნაკლულად ჩაატარა იმავე პიესაში ნინოს როლი ქ-ნმა კინწმარიშვილისამ და ძალიან ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება ჩვეულებრივის ცოცხალი თამაშით ლიზას როლში ქ-ნმა მაკრინე თურქიამ.

დარბაზი სავსე იყო საზოგადოებით, რომელიც ხანგრძლივის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით აჯილდოვებდა მოთამაშეთ და მომღერალთ, მანდილოსნებს თაიგულები მიართვეს.

დიდის მადლობის ღირსია კნ. ტერეზია შერვაშიძისა და სცენის მოყვარენი, რომ შრომას არ იშურებენ და ხან და ხან აღვიძებენ სოხუმის ქართველ საზოგადოებას.

იმედია ამ ახლო მომავალში კიდევ გამართავენ წარმოდგენას და ეხლანდელსავით ასიამოვნებენ საზოგადოებას.

მექი

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 12 მაისი, კვირა, №99, გვ. 3.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი

ჩვენც გვეწვიათ ტფილისის ქართული დრამატული დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით.

ძნელი წარმოსადგენია ის სასოწარკვეთილება, რომელშიც ჩვენი მსახიობნი ჩავარდნენ: ამოდგეს თუ არა ფეხი ზღვიდამ. სოხუმს სულაც არ სცხელოდა ამ დღეს წარმოდგენებისათვის, რადგან ყველა გართული იყო საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობა-ბაზრობის საქმეში. რომელმაც ორი დღე გასტანა. იმედ-გადაწყვეტილმა დასმა დანიშნა პირველი წარმოდგენა კვირას, 2 ივნისს, იმ აზრით, რომ მეორე დღეს გულნატკენნი გაქცეულიყვნენ სოხუმიდამ, მაგრამ აი სად იჩინა თავი ჩვენის საზოგადოების გამოღვიძებამ! შესრულდა თუ არა ცხრა საათი,

იმოდენა ხალხი მოაწყდა კლუბის დარბაზს, სადაც წარმოდგენა იყო გამართული, რომ დასადგომი ალაგიც-კი არსად მოიპოვებოდა და ბევრი გულნატკენი უკან გაბრუნდა უალაგობის გამო.

წარმოადგინეს გუნიას მიერ გადმოკეთებული სოლოვიოვის 4 მოქმედებიანი კომედია „ძალა აღმართსა ჰხნავს“.

ძნელი წარმოსადგენია ის აღტაცება და ის სიცოცხლე, როგორითაც მსახიობებმა ამ საღამოს თავიანთი როლები შეასრულეს. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ბ-ნ გუნიას თამაში, მაგრამ ასეთის მოხდენით და ასეთის გრძნობით მის თამაშს არასოდეს არ დავსწრებივართ. ზოგიერთს ალაგს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზედ, რომ მამაკაცთაც – კი ქვითინი მორთეს, მაგალითად, იმ დროს, როდესაც დარწმუნდა, რომ „ტამოჩკა“ მას ცბიერად ატყუებს და ემდურის თავისს ბედს, რომ ასე შეუბრალებლად წააგებინა საქმე. საზოგადოებას აგრეთვე ძალიან მოეწონა ქალბატონი კარგალეთელი. ამ ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა ისე ბუნებრივად და თავისუფლად შეასრულა „ტამოჩკას“ როლი, რომ კაცს არა სჯეროდა, რომ რასაც უყურებდა სცენაზე ხდებოდა და არა სადმე ნამდვილ ოჯახში.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ვინც ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს იცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ის ცუდად არ ითამაშებდა და ეგრეც იყო, მხოლოდ ისეთს როლებში არ გამოსულა, სადაც შეეძლო მის ნიჭს ფრთა გაეშალა. კარგი იყო აგრეთვე მარნიშვილის როლში ბ-ნი ივანიძე.

ერთი სიტყვით, როგორც პიესა, ისე მისი შესრულება, ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ ყოველ ფარდის ჩამოშვებაზე გრგვინავდა დარბაზი და დასასრული არა ჰქონდა ვაშას ძახილს, ტაშის ცემას.

მართლაც-და ეს პიესა ძალიან შინაარსიანია და ნამდვილ ახლანდელ დროისათვის ზედგამოჭრილი, მაგრამ ზოგიერთი ტიპები მისი, როგორღაც არ ეთანხმება ქართულს ცხოვრებას. მაგ: ზაზა მარნიშვილი ბურჟუაზიულის წრის წარმომადგენელია, დიდის ქარხნების პატრონი, რომლებშიაც ათასობით კაცი მუშაობს და ჩვენ-კი ორიოდე გლეხიც არ მოგვეძევება, რომ ცოტა თვალსაჩინო შეძლება ჰქონდეს. ზაზას შვილი ვახტანგი, თუნმცა ცოტა სწავლაც მიუღია და იქამდის დაახლოვებული ყოფილა არისტოკრატებთან, რომ გამოჩენილის ღენერლის და თავადიშვილის ქალს ცოლად თხოულობს, მაინც როგორღაც ვერ მოხეშილა და ისე ტლანქად იქცევა, რომ ზოგს კაბაზედ ფეხს ადგამს და კალთას აგლეჯს და ზოგს ჩაის ასხამს ტანისამოსზე. ჩვენი ხალხი იმდენად მახვილის ნიჭის პატრონია, რომ ჩქარა ითვისებს ზრდილობიანს ყოფა-ქცევას და ელფერს იცვლის ხოლმე, თუ-კი ჩავარდა მდიდრულს ცხოვრებაში, და ვახტანგს-კი რაღა მოსდის, იმ ვახტანგს, რომელიც თავის სულის ძლიერებით ბოლოს ყველაფერსა სძლევს და მაინც თავისი გააქვს?

საზოგადოების თხოვნით, გარდა ამ წარმოდგენისა, კიდევ ორი წარმოდგენა იყო გამართული: 3 ივნისს წარმოადგინეს „პირველი ბუზი“ და 4 ივნისს დრამა „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“. როგორც პირველი, ისე მეორე, მშვენივრად იქმნა შესრულებული; ყველა წარმოდგენაზე იმოდენა ხალხი ესწრებოდა, რომ ტევა არ იყო თეატრში.

უკანასკნელ წარმოდგენის გათავებისას საზოგადოებამ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა მსახიობთ და გაუმართა გამოსათხოვარი ვახშამი.

უცხო სურათს წარმოადგენდა დიდს მანძილზედ გაშლილი სუფრა, რომლის

ერთ თავიდამ მეორეში გადადიოდა სადღეგრძელოები და სიტყვები, რისთვისაც ორი თამადა იყო არჩეული. სუფრას ამკობდნენ ჩვენი ცნობილი მომღერალი ბ-ნი კარგარეთელი და ქ-ნი გაბუნია-ცაგარელისა მშვენიერის ქართულის სიმღერებით. ვახშამმა გასტანა დილის ხუთ საათამდე და ამ დროს ნავთ-სადგურში გემიც შემოვიდა და ვახშამის შემდეგ მთელმა ამ საზოგადოებამ გემამდის მიაცილა მსახიობნი და დაულოცა გზა.

მექი

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 13 ივნისი, ხუთშაბათი, №122, გვ. 3-4.

სოხუმი

არც ერთს დღესასწაულზე სოხუმს ისეთი მხიარული და სიცოცხლით სავსე ელფერი არ მიუღია, როგორც ორ ივნისს. ჯერ იყო და სამოქალაქო ბაღში გაიმართა სეირნობა-ბაზრობა აქაურის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ამის გამო, როგორც ბაღი ისე ზღვის პირის ქუჩა, მშვენივრად იყო მორთული მწვანითა და ბაირაღებით. ბაღში და ნავთ-სადგურზე იყო გაკეთებული რამდენიმე ფარდული, სადაც ახალგაზრდა ქალები ჰყიდდნენ ყვავილებს და სხვადასხვა ნივთებს. საღამოზე გაიმართა ნავების მარულა (гонка на велюгахъ) და სეირნობა მშვენივრად მორთულის პატარა გემით „გელენჯიკით“, ბარი ლამაზად იყო განათებული ფერადი ფარნებით და უშვებდნენ მრავალგვარს შუშხუნებს. ამ სეირნობა – ბაზრობამ გვარიანი სარგებლობა მისცა საქველ-მოქმედო საზოგადოებას ჩვენის ახალგაზრდა ქალების მეცადინეობით: შემოვიდა 1,500 მანეთზე მეტი.

თუმცა სეირნობა ძალიან იზიდავდა კაცის გულს, საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც ამას ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა მზადებაში იყო: ემზადებოდა ღირსეულად დაჰხვედროდა ყველა ქართველისათვის სასიქადულო მამულიშვილს პროფესორს პეტრიაშვილს, რომელიც სირცხიდამ (Новый Афон) ფეხით ჩამოვიდა სოხუმში და თან ჩამოჰყვა პროფესორი ბარაკოვი და 17 სტუდენტი. ამ ძვირფასს სტუმრებს სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა სადილი, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა თითქმის მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ. სადილზე მრავალი საყურადღებო სიტყვა წარმოითქვა, როგორც რუსულად, ისე ქართულად.

სადილის დაწყებისას პროფესორმა პეტრიაშვილმა დაახლოებით შემდეგის მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას: – „ის ერი, რომელსაც წინსვლის სურვილი აქვს გაღვიძებული, დიდს განსაცდელშია ჩავარდნილიო. ეს იმიტომ, რომ კაცი რომ წინ წავიდეს, ამისთვის ბევრი რამ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჭკუა, რომელსაც ჩვენ ვერავინ შეგვეცილება, შრომა, რომელიც ჩვენ არ გვეზარება, თუნმცა ზარმაცებს გვეძახიანო, სწავლა, რომელსაც ადვილად მივიღებთ, თუ გარემოება ხელს შეგვიწყობს და ბოლოს უმთავრესი საჭიროება არის ფული, რადგან უამისოდ ძნელია კაცი რასმე გახდეს; ეს-კი ჩვენ არ მოგვეპოვებაო, ამისათვის ვისურვებ აჰყვავებულიყოს მეგრელთა ხელში ვაჭრობა, რომლისაც მათ დიდი უნარი აქვთ და რომლის შემწეობითაც ადვილად შეუძლიანთ ნივთიერად გაღონიერდნენ და შემდეგ – კი ყველაფერს მოახერხებენო“.

სადილზე მღეროდნენ მშვენიერს რუსულსა და ქართულს სიმღერებს.

სადილის გათავებისას, რომელმაც ხუთ საათამდე გასტანა, სურათი იქმნა

გადაღებული სტუმრებისა და მასპინძელ საზოგადოების ჯგუფისა. შემდეგ დიდ-ძალმა საზოგადოებამ აღტაცებულის ვაშას ძახილით გემამდე მიაცილა სტუმრები. ნავებში რომ ჩასხდნენ, გაჩნდა საიდანღაც ზურნა და ახალგაზრდობამ იწყო ლეკურის თამაში და სიმღერები ნავებში. ამ ნაირის მხიარულებით და შამპანიურის ღვინოებით სავსე ჭიქებით აჰყვნენ მათ გემში. აქ პროფესორი პეტრიაშვილი და მისი თანამგზავრნი გამოეთხოვნენ საზოგადოებას და გაემართნენ ფოთისაკენ.

მექი

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 13 ივნისი, ხუთშაბათი, №122, გვ. 2.

სოხუმი

12 ივლისს, საღამოს შვიდ საათზედ, სოხუმში გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ყოფილი მზრუნველი კავკასიის სამრეწველო ოლქისა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ განსვენებულმა, როგორც შევიტყეთ, ანდერძად დასტოვა, რომ მისის ხარჯით სოხუმში დაარსებულ იქმნას სახელოსნო სკოლა.

კ. პ.-ს ასაფლავებენ სოხუმის საკათედრო საკრებულოს გალავანში.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 17 ივლისი, ოთხშაბათი, №150, გვ. 2.

1901 წ. 1 იანვრის მონაცემებით: სოხუმის ოლქში 14 სასწავლებელია. 14 სასწავლებელს ჰქონია 109 დესეტინა მიწა.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 18 ივლისი, ხუთშაბათი, №151, გვ. 3-4.

გუშინ, 18 აგვისტოს, დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზედ გვამი უდროოდ გარდაცვალებულის დრამატურგისა და მწერლისა ავქ. ან. ცაგარელისა...

ჩვენ მივიღეთ შემდეგი სამძიმრის დეპეშები...

...სოხუმითგან ხახიაშვილისაგან: სოხუმელნი ქართველნი სრულიად საქართველოსთან ერთად ვგლოვობთ ნიჭიერის დრამატურგის ვასიკო ცაგარელის უდროოდ გარდაცვალებას და ვთხოვთ უზენაესს ეგ დიდი დანაკლისი მალე შეუვსოს ჩვენს ღვიძლ სცენას.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 20 აგვისტო , სამშაბათი, №176, გვ. 1.

მათი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოსი ალექსი, ამ ცოტას ხანში გაემგზავრება ახალ ათონის მონასტრის დასათვალიერებლად; ექსარხოსი ინახულებს აგრედვე დასავლეთ საქართველოს სხვა-და-სხვა ძველ ეკლესიის შენობებს; მათს მეუფებას თან ახლდებიან ტფილისის სიონის კანდელაკი მ. თოთებაძე და არხი – დიაკონი კარგარეთელი.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. 27 ოქტომბერი, კვირა, №229, გვ. 2.

6 დეკემბერს დაბა გაგრაში აკურთხებენ მისის იმპერატორობითის უმაღლესობის პრინც პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელის სახელობაზედ აგებულს სანატორიუმს.

გაზ. „ივერია“, 1902 წ. ნოემბრის 20 , ოთხშაბათი, №249, გვ. 2.

ჩვენებური ამბები
გუდაუთი (აფხაზეთი)

გუდაუთში არის ექვსასი მცხოვრები, ამ ექვსას მცხოვრებთაგან რუსი და სომეხი ორომოცდა ათამდე იქმნება, დანარჩენი სუყველა ქართველია. აი, ამდენ ქართველს, ათი წელიწადი იქმნება, ქართული წირვა-ლოცვა არ მოუსმენია. დანატრებული ვართ ჩვენებურს გალობას, მშობლიურს ხმებს, უმეტესობას არ გვესმის რუსული ენა და სლავიანური ნახევარს არ გაგვეგება. წირვა-ლოცვა ხომ არავის ესმის ჩვენთაგან. ამ ნაირად ვიტანჯებით ამდენი მოსახლე კაცი. დიდს მადლს გვიზავდნენ, თუ უმაღლეს მთავრობის ყურამდე მიაღწევდნენ ასეთს ჩვენს გასჭირებას.

გუდაუთელი

გაზ. „ივერია“, 1902 წ. დეკემბერის 14, შაბათი, №268, გვ. 2.

გაზეთი „კვალი“

სოხუმში ,,ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების” ჩამოყალიბების მცდელობა, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო, შეერთა ერთ ჯგუფად სხვადასხვა პროფესიის ხალხი, აღმოჩნდა წევრების და მათი ოჯახებისათვის როგორც მატერიალური, აგრეთვე გონებრივი დახმარებისა, გაჭირვების დროს მიცემა სესხისა; თუ წევრი, რაიმე მიზეზის გამო დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან, ან თავის ხელობიდან, ,,საზოგადოებამ” უნდა იზრუნოს იმისი ალაგის შოვნისათვის. უნდა იზრუნოს, რომ წევრებს მიაწოდოს გონიერი და სასარგებლო გასართობი, როცა ისინი თავისუფალნი იქნებიან შრომისაგან, უნდა იზრუნოს მთელი წევრების გონებრივათ და ზნეობრივათ განვითარებისათვის და სხვა.

...დრო გამოშვებით აქ იმართება კონცერტები და წარმოდგენები, მაგრამ ძალიან იშვიათად და ისიც კლუბში. აქ ორნაირი დაბრკოლება ებრკოლება წინ ჩვენს ნოქარს; ერთი რომ შესვლის ფასი ძვირია და მეორეც, განა გაბედავს ის გვერდზე ამოუჯდეს თავის აღას?! მოშორება ყოველგვარ გონებრივ საზრდოს; გასართობის უქონლობა, მოწყენილობა მოქმედებს ადამიანზე მომაკვდინებლათ და კიდევაც ამიტომაა, რომ ჩვენი ნოქრები ატარებენ დროს ლუდა-ხანებში და ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ნოქრებმა რასაკვირველია, დიდი აღტაცებით მიიღეს ეს წინადადება რომ სოხუმში დაარსეს ,,საზოგადოება”.

ყოველივე მიდიოდა რიგზე, მაგრამ მოწინააღმდეგებმა არეულობა შეიტანეს აზრში და ბრბოს თავგზა აურიეს. მოძრაობა შეჩერდა. არ ვიცი დიდი ხნით შეაჩერეს საქმე თუ არა,მაგრამ როგორც ისმის ინიციატორები საქმეს მალე გაახლებენ და იმედიც უნდა ვიქონიოთ რომ უნოქრებოდაც ადვილად შესძლებენ საქმის ფეხზე დაყენებას, მაშინ სოხუმი გამდიდრდება ასეთი სიმპატიური საზოგადოებით”...

ნოქარი დუნდუა

გაზ. ,,კვალი“, 1902 წ. 29 სექტემბერი, კვირა, №40, გვ. 640-642.

სოხუმი

7 ოქტომბრი საბჭოს სხდომა.

კანალიზაციის საკითხი. ქალაქის კეთილმოწყობისათვის თანხებზე კამათი.

დუნდუა

გაზ.,,კვალი", 1902 წ. 20 ოქტომბერი, კვირა, №43, გვ. 689.

სოხუმი

ვინც სოხუმში ყოფილა და აქაურ თეატრში წარმოდგენას დასწრებია. უთუოდ პირველად გაკვირდებოდა თეატრის გარეგანი და შინაგანი მორთულობით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თეატრი აქ არ არის, არის მხოლოდ კლუბის ერთი ვიწრო დარბაზი, რომელიც ძლივს იტევს 100 კაცს. ზალაში 80-მდე სკამია, ოთხი ლამპა და ფარდა, აი მთელი მორთულობა აქაური თეატრისა. თუმცაღა ბევრს არ მოსწონს ასეთი თეატრი, მაგრამ დღეს არ ხერხდება უკეთესის აგება. მიზეზი ბევრია; უმთავრესი კი ჩვენი გაუნათლებლობა, უკულტურობაა. მაღალი წრის საზოგადოება არ კადრულობს ამ თეატრში სიარულს, ნოქრებს არც ქონებრივი მხარე აძლევს ნებას და არც, უნდა გამოვტყდე, გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება (მე ვამბობ უმრავლესობა) ან და რა მოთხოვნილება ექნებათ, როცა 16-18 საათის შრომა მათთვის სავალდებულოა. ექსპლუატაცია კანონიერია და ღვთისაგან დაწესებული სოხუმში. როცა თეატრის გამგე თვალ-ცრემლიანი თხოვს საზოგადოებას, გვიშველეთ, შემოდით, აიღეთ ბილეთები თორემ მარტო კლუბის ხარჯსაც ვერ ვიხდითო, მაშინ ამავე კლუბში ჩვენი ,,ინტელიგენტები" არხეინად თავს იქცევენ და თეატრის შესახებ ფიქრი აინუშაც არ მოსდით. სოხუმი რომ ყველა ჩვენს ქალაქებზე, დაბლა დგას თითქმის სოფლებზედაც, ეს იმით მტკიცდება, რომ ჟურნალ-გაზეთობა ქალაქში იმდენი მოდის, რამდენიც უბრალო სოფელში. მთელი ქართული გამოცემები ,,კვალი", ,,ცნობის ფურცელი" და ივერია აქ 15-20-მდე მოდის და ისიც ნახევარი აქიდან რიგდება სხვადასხვა ალაგას, მაგ: კოდორში, ჩხალთაში და სხვაგან, თუ ამას დავუმატებთ წიგნთ-საცავი სამკითხველოს უქონლობას, მაშინ ხელში შეგვრჩება ბნელით მოცული საზოგადოება, ბნელით მოცულ სოხუმში, სადაც ხალხი, გარდა მუცლის გაძღომისა არაფერს არ ფიქრობს.

დუნდუა

გაზ. ,,კვალი", 1902 წ. 1 დეკემბერი, №49, გვ. 786.

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ამ ჟამად დაარსებული იქმნა პეტერბუგში სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლებისაგან საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეიმუშავოს პროექტი შავიზღვის კავკასიის ნაპირის გაცხოველება გაუმჯობესებისათვის. სხვათა შორის ერთ უაღრეს საშუალებად აღიარებულია ამ ადგილებში რკინის გზის გაყვანის დაჩქარება.

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902 წ. 5 იანვარი, შაბათი,№1689, გვ. 3.

წერილები აფხაზეთიდან

იყო დრო, როცა აფხაზეთისათვის მართლა შეგვეძლო აფხაზეთი გვეწოდა, რადგანაც ეს კუთხე კავკასიისა ქალაქ სოჩიდან (აფ. შვაჩა) დამოკიდებული მდინარე ოხურაიმდის და აქა-იქ სამურზაყანოშიც აფხაზები იყო დასახლებული, და ეს უცხოდ უხვ ბუნებისაგან შემკული შავის ზღვის პირი ეკუთვნოდა აფხაზთა და შეადგენდა საქართველოს საერისთავოს. დღეს კი ეს მხარე მარტო ოდენ სახელითაა „აფხაზეთი“ და არა მცხოვრებლებთ: ვის არ გადაეყრებით აქა? რა მილეთის ხალხსა? როგორც მკითხველსაც მოეხსენება, უმეტესი ნაწილი აფხაზებისა, ამ ხალხოსნობის „ნამდვილი მარხილი“, სხვა და სხვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზთა გამო იძულებულ იქმნა ერთ-მორწმუნე სათათრეთში გადასახლებულიყო მესამოცე წლებში, – მე ვამბობ დალ-წებელდელების შესახებ. უკანასკნელ რუს-ოსმალოს კამპანიის დროს ამათ ზედ დაერთო ის აფხაზნიც, რომელნიც სახლდებოდნენ ზღვის პირად მდინარე ააცსა და თოუმუს შუა, და აგრეთვე ბევრი აფხაზნიც დასავლეთ აფხაზეთიდან. უმეტესი ნაწილი გადასახლებულ აფხაზებისა სათათრეთში გაწყდა, ცოტაოდენი უკან დაბრუნდა, დანარჩენნი თათრებმა აქეთ-იქით გაჰფანტეს, რის გამოც დღეს თუ არა ხვალ თავისს ეროვნულ ელფერს დაჰკარგავენ და თათართა მიერ შთაინთქებიან!

ამ უნებლიეთი გადასახლებით შუაგული აფხაზეთისა მდინარე ააციიდან კოდორამდის დაცარიელდა, გავერანდა. სათათრეთიდან უკან დაბრუნებულთ აქ დასახლების ნება არ მისცეს და გაანაწილეს დასავლეთ და აღმოსავლეთ აფხაზეთში, და აფხაზთა სისხლით მორწყულსა და მათი ძვლებით გაპოხიერებულ მხარეს მოაწყდა სხვა-და-სხვა რჯულის და ენის ხალხი: ბერძენი, ბულგარი, სომეხი, ესტები, მოლდავნი და აქა-იქ მეგრელებიც. შუა გული აფხაზეთისა ამ კოლონისტებმა დაიჭირეს, რითაც დღევანდელი აფხაზები გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთისა-მდინარე ააცსა და გაგრას შუა და აღმოსავლეთისა - მდ. კოდორსა და ოხურვის შუა. დასავლეთ ნაწილს უწოდობენ „ბზიფს“ (გუდაუთის ნაწილი), აღმოსავლეთისას „აბჟუა“-ს (კოდორის ნაწილი).

რაც შეეხება საკუთრივ სამურზაყანოს, რაც უნდა ყოფილიყო ამ მხარის ისტორიული თავგადასავალი, დღეს მაინც ნამდვილ მეგრელებითაა დასახლებული, მეგრელთა ქვეყანაა. ჩემის ღრმა რწმენით კი სამურზაყანოში მხოლოდ უმაღლესი წოდება, თავად-აზნაურობა იყო აფხაზები, ხოლო გლეხობა თავიდანვე მეგრელები იყვნენ, თუმცა აქა-იქ აფხაზებიც ერივნენ, როგორც აფხაზეთში-მეგრელებიცა. მაგრამ ეს როდესმე სხვა დროს იყოს.

ეხლა დღის ვარამზე გადავიდეთ. მკითხველს ეცოდინება, რომ აფხაზეთში საზოგადო მიწის მფლობელობა (Общинное землевладение) აქ მხოლოდ თავადაზნაურთ მიეზომათ „ხარისხისამებრ მისისისა“ მიწის ნაჭრები, ეგრეთ წოდებული „ნადელები“, და მასთან საზოგადო მიწა მამულშიაც თავისი წილი უდევსთ: შვიდ-შვიდი დესეტინა „სამოსახლოდ“ ან და დღეს მას რამდენიც უჭირავს „ეზოში“. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძალიან მცირე „ნადელები“ მიეზომათ: მხოლოდ მთავარის ჩამომავალთ - 4-5 ათას დესეტინამდის.

იმ თავად აზნაურთ, რომელთაც ნება-უნებლიეთ მოუხდათ ომიანობის დროს სათათრეთში გადასახლება და ზავის ჩამოგდების შემდეგ უკან დაბრუნდნენ. „ნადელები“ სრულებით არ მიეზომათ, მხოლოდ ამ „მოხაჯირ“ თავად-აზნაურთაგანთ ნება დართეს მიეწერონ გლეხთა საზოგადოებათ და მათსავით ისარგებლონ საზოგადო

მიწა მამულითა. აი „მოხაჯირ“ თავად-აზნაურთ 1888 წ. ფსირცხაში (ახალი ათონი) უმდაბლესი თხოვნა მიართვეს იმპერატორს ალექსანდრე III-ს გვირგვინოსანმა კეთილი ნება და მიიღო მათი თხოვნა, რის გამოც, ვისიც ჯერ ეს ბრძანება სისრულეში არ არის მოყვანილი.

უკანასკნელ წლებში მთავრობამ და რუსეთის საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქციეს საზოგადოდ შავი-ზღვის პირას მდებარე ადგილებს და კერძოდ აფხაზეთს. ამ ტურფა მხარემ სწორედ მოჰხიბლა რუსეთის უმაღლესი საზოგადოება, რომელიც მოაწყდა მას, უფრო კი გუდაუთისა და გუმისთის ნაწილებს. ამ ორ ნაწილში თითქმის ყველა საუკეთესო აფხაზთა მამულები (თავადაზნაურობისა) ჩრდილოელთა ხელში გადავიდა. ეხლა ქალაქ სოხუმიდან დაწყებული მდინარე გაგრამდის საუკეთესო, ზღვის პირად მდებარე მამულები თავად-აზნაურთა უჭირავს რუსებს. მიწის ფასმაც შედარებით, ძალიან აიწია: ათის წლის წინად 20-25 მანეთს ზევით არ ადიოდა 1 დესეტინის ფასი, დღეს 250-300 მანეთამდის ღირს. აი ამ ფასმა მოატყუა ჩვენი ღარიბი თავად-აზნაურობა და დაჰყიდა თავისი ნადელები. რასაკვირველია, ფული ადრე შეიჭმება და თვითონ დარჩებიან გულ-ხელ დაკრეფილნი.

საზოგადოდ, მიწის ფასის აწევამ საშინელი ვაი-უშველებელი და ალიაქოთი ასტეხა; შინაური ნასყიდობების გაუქმება, პირობების დარღვევა, ქვრივ-ობოლთა ნადელების მითვისება და მრავალი სხვა. არა სინდისიერი მოქმედება ძალიან გახშირდა. აქ ერთი ჯურის ხალხიც გამრავლდა, რომელიც მხოლოდ ამისთანა საქმეებით იტენენ ჯიბეებსა. ვერ მომითმენია და მომყავს ორიოდე მაგალითი - ფაქტი: საწყალს ჩემს ნაცნობს კობლუხუს არც შეუტყვია, როგორ გაიყიდა მისი 14 წლის წინად ნაყიდი მამული, და ახალი პატრონი ჩამოუდგა კარზე. კობლუხუმ ხმალ-ხანჯალზე იკრა ხელი და ჰსურს ძალა იხმაროს და ძალად მოზიარე არ ჩამოუშვას თავისს საკუთარს მამულში. მერე რა შედეგი მოჰყვება ამას, არ ვიცი და ჯერ-ჯერობით კი იმოქმედა: ახალი პატრონი არსად არა სჩანს. მე იმ აზრს ვადგივარ რომ კობლუხი კატორღაში ამოჰყოფს თავს, რადგანაც ნებით არავის დაუთმობს თავისს მარჩენალს მამულსა. ერთს ბრწყინვალე თავადს №-ს ოცის წლის წინად თავისი ნადელის ერთი ნაჭერი შინაური პირობით მიეყიდა ოთხ მოსახლე აფხაზისათვის, და აი ეხლა, როცა ვერანი და უდაბური მიწა მშვენიერ მამულად იქცა და ფასმაც აიწია, თავადმა იკადრა და პირობა დაარღვია და გარეკა აფხაზები, არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ იმოქმედა ამ თავადზე. მესამეც - სოხუმში ცნობილმა ვექსილმა №2 ამ ხერხით ჩაიგდო ხელთ მშვენიერი მამული და შვიდი მოსახლე აფხაზ-მეგრელნი ცარიელზე დარჩა: თუ რამე ებადათ ამ საცოდავთ, ამ მამულის ფასში მისცეს, მამული კი № 2 წაართვა! ამას წინად მე ვნახე ეს ოჯახობანი: ორს მათგანს გზის პირად სხვის სასიმინდეს ქვეშ თავი შეეფარათ და მოსთქვამდნენ მწარედ თავისს ბედს, ბედსა შავსა და უმოწყალოსა! ერთ-ერთი ჯამბაზ პალმის გაზეთის სულის ჩამდგელთაგანიც ასევე მოიქცა და საჯაროდ განაცხადა: „როცა ფულს შეეხება საქმე, მაშინ სინდისიო...“ ვეღარ ვიმეორებ მისს სიტყვას, რათა მკითხველის გრძნობა არ შეილახოს!

ჰამუთ ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 15 თებერვალი, პარასკევი, №1727, გვ. 3.

თუ ჩვენმა თავად-აზნაურობამ დაჰყიდა თავისი „ნადელები“, არც გლეხობამ დააყარა თავისას საზოგადო „ნადელსა“ და საზოგადო მიწას ხეირი. ღვთის წინაშე აქაც თავად-აზნაურობას ედება ბრალი. საქმე იმაშია, რომ საზოგადოებათ სახნავ სათესთან ერთად ტყეც მიეზომათ, ზოგიერთ საზოგადოებათ ძვირფასი ტყეები ხვდა წილად. და აი იმ ფას-დაუდებელს განძს საზოგადოებისას მიჰყვეს მტაცებლობის ხელი და თითქმის სულ ერთიანად გაანადგურეს და გაჰყიდეს ოხრის ფასად. აქაც ჩვენმა თავად-აზნაურობამ ისახელა თავი: იმან, როგორც მონაწილე ამ საზოგადო ტყეებისა, ვითომდა საზოგადოების სასარგებლოდ შეაგულიანა ზოგიერთი თავისი ხელ-ქვეითი გლეხები და კანონიერად, თუ უკანონოდ გააყიდვინა ძვირფასი ტყეები თავისი ჯიბეების გასასქელებლად. ამას ცოტა განმარტება სჭირია. აქ სოფლის მმართველობა საყოველთაოა „.....“, კანონით თუ არა საქმით ასეა მაინც. ამით ისარგებლეს აფხაზეთში გავლენიანმა თავადაზნაურთაგანმა თვითოეულ თავის საზოგადოებაში და სოფელი ერთიანად ხელში ჩაიგდეს. ამისთანა განსაკუთრებულ მდგომარეობის წყალობით იმათ დაჰყიდეს, მშვენიერი საზოგადო ტყე: მუხისა, ბზისა, წაბლისა და აქა-იქ ნიგვზის ხეც კი. ამისთანა ტყით მდიდარ საზოგადოებაში, როგორც იყვნენ: კინდღი, კვიტოული, ტამუში, ათარა-აძვიბჟა და სხვანი, დღეს თუ არა, ხვალ შეშაც, მგონი, საყიდელი დაურჩესთ?

რადგანაც სოფლის მმართველობის შესახებ სიტყვა ჩამოვარდა, აქვე შევნიშნავ, რომ აფხაზეთში, აფხაზებით დასახლებულ სოფლებში თვით-მმართველობა თვით ბატონობად გადაიქცა, რომელიც ძალიან განვითარებული და მადაგახსნილია. თვითოეული სოფლის საზოგადოებაში „საზოგადოების“, მმართველ საზოგადოებას შეადგენს ერთი თუ ორი გავლენამოპოვებული თავადი თუ აზნაური და მათი ამქარი ხუთიოდ ძალიან გაშავებული გლეხი: მამასახლისის, თუ რაიმე სხვა თანამდებობის კაცის არჩევა, კაცის გადასახლების განაჩენის შედგენა და სხვა-და-სხვა სულ მათს ხელშია. ხალხს არც კი დაეკითხებიან, ისე გადაწყვეტენ საქმეს თავისი შეხედულებისამებრ. ეს ვაჟბატონები თავისს თავს უწოდებენ „უფროსებს“, დანარჩენს კი „ახვარხ“-ს (ბრბოს). მათ არც წარმოუდგენიათ, რომ ბრბოს რაიმეს მოსაზრება და გაკეთება შეეძლოს. აი ეს ვაჟბატონები სოფელს თავის სურვილისამებრ წაღმა-უკუღმა ატრიალებენ! ჩემის სიტყვებით დასასურათებლად აქ მოვიყვან შემდეგს: ერთ-ერთი ამ ბობოლათაგანი, მთელს აფხაზეთში ძალიან კარგად ცნობილი, მოწმედ იყო ერთის მის მიერ სახრჩობელაზე მოყვანილის გლეხის საქმეზე. ოლქის სასამართლოს წინ მან წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც სულ იძახოდა: „мое общество мой народ не слушается меня мое село развращается“ და ამისთანა „მოიებისათვის“კინაღამ დამნაშავეთა სკამზე არ დაასკუპა ბ. პროკურორმა.

საზოგადოდ სოხუმის ოლქში აფხაზთა და მეგრელთა უმთავრესს წყაროს ცხოვრებისას შეადგენს სიმინდი, რომელიც მშვენიერის ნიადაგის წყალობით თითქმის არასოდეს არ გაუცუდებს მშრომელს თავისს შრომას. სამწუხაროდ უკანასკნელ დროში სიმინდის ფასი ძალიან დაეცა და მასთან წარმოებამაც კლება იწყო. დასავლეთ აფხაზეთში სიმინდს გვერდით უდგას თავისი კარგი შემოსავლით ღვინო. ბზიფში მშვენიერი ნიადაგია ვენახის მოსაშენებლად, მაგრამ, სამწუხაროდ ხალხმა არ იცის მისი ხელი. აფხაზს მიჰყვებით მის მამულში და თვალწინ წარმოგიდგებათ შემდეგი სურათი: უზარმაზარ ხეებს შემოჰხვევია ვეება ვაზები ეკალნარს ებრძვის,

„ჩემი ხე არ წამართვაო.“ საუცხოვო „კაჭიჭი“ თუ „ავასარხუ“-ს (ყურძნის ჯიშებია) მშვენიერად ასხია, მხოლოდ ვერ მოგიფიქრებიათ და მოგიხერხებიათ, თუ საიდან მიადგეთ და როგორ წაართვათ ეკალნარსა! პატრონი არც კი გარჯილა, გაეწმინდა ხე და ვაზი თავისუფლად ეაშვა. მთელი შრომა აფხაზისა ამ შემთხვევაში მდგომარეობს მარტო იმაში, რომ ვაზი ხეს მიარგას. ვენახი მზადაა: მშვენივრად ისხამს, და „აგრვაც“ (მეგრელი) ხელადაა და ხეზედვე იყიდის ყურძენსა. ძალიან კარგი პირობებია აქ ვენახის მოსაშენებელად, მაგრამ ცოდნა არა გვაქვს და გარჯაც ძალიან გვეზარება. ან რისთვის ვიშრომოთ, როდესაც უშრომლათაც კარგათა ვართ. ორი ქცევა თუ დათესა აფხაზმა, საყოფი სიმინდი მზად აქვს. საქონელს ზამთარ-ზაფხულ კარში გაჰყრის და თითქმის მოვლა არ სჭირია. ღვინო „ადესა“ მაინც ბლომადა გვაქვს და მეტი მოთხოვნილებაც არა გვაქვს. ოთხ-ფეხ შინაურ ცხოველთაგან მოვლის ღირსი ერთადერთი ცხენია!

აფხაზები ხეხილის მოშენებასაც მისდევენ, მაგრამ თავისი თავის დასაკმაყოფილებლად და არა გასაყიდად. აქ ხილის გაყიდვა უკანასკნელ დრომდის სასირცხვოდ მიაჩნდათ, გარდა ნიგოზისა და ვაშლისა. ნიგოზი და ვაშლი აქ მშვენიერი მოდის და მოსავლიან წლებში ბევრიც მიაქვთ რუსეთში. გუდაუთის ნაწილში ცოტაოდენი ბროწეულიც იყიდება ყოველ წლივ, რომელიც აგრეთვე რუსეთში გააქვთ. მოვიყვან აქ ერთს ფაქტს: ერთს ჩემს მეზობელს ოციოდე მშვენიერი ჯიშის მსხლის ხე უდგია. გასულს ზაფხულში მშვენივრად ესხა, მაგრამ ღარიბმა პატრონმა არ გაჰყიდა - სირცხვილიაო. როგორც იყო, მე გავაყიდვენე ორი ხის ნაყოფი და ჩვიდმეტ მანეთამდის ავაღებინე. უნდა გენახათ, რა სატანჯველის მიეცა ამის გამო: „ხალხი მსხლის გამყიდველს დამარქვესო!“ საზოგადოთ, აფხაზის აზრით, ხილი საყოველთაოა, ყველასია, მისი აკრძალვა სააუგო საქმეა.

ზევით დასახელებულმა კოლონისტებმა, რომელნიც ამ კუთხის გასანათლებლად იქმნენ ჩამოსახლებულნი, ვერავითარი კულტურა ვერ ჩამოგვიტანეს. პირიქით, ჩვენგან თუ რამე ისწავლეს და შეითვისეს, თორემ ჩვენ მათგან შესასწავლი და შესათვისი ვერა ვიპოვნეთ. ერთად-ერთი, რაც კოლონისტებმა შემოიტანეს აფხაზეთში, ეს მეთამბაქოობაა, რომელიც ბერძნებმა და სომხებმა შემოიტანეს აქ. სამწუხაროს, თუ სასიხარულოდ, არ ვიცი, და ეს კია, რომ ვერც აფხაზმა და ვერც მეგრელმა ვერ შეითვისა ეს დარგი მეურნეობისა. მეთამბაქოობას აქ ხელს ძალიან უწყობს უხვი ნიადაგი, გარნა მწარმოებელნი კი მაინც თავის ნაშრომით ძალიან ცოტას სარგებლობენ. საქმე იმაშია, რომ მეთამბაქოობას დიდი ფული სჭირია, მისი მწარმოებელი კი ძალიან ღარიბია და ამიტომაც იძულებულია თავისი შრომა წინ-და-წინვე გაზაფხულზე ვინმე „იანცს“ და „იდის“ (ირის ერთი დიდი ფირმაც რუსისა) და ფული ისესხოს. აი ეს სესხი საცოდავს მუშას ჰბორკავს და სულს უხუთავს, ვაჭრები კი სულ მდიდრდებიან და მდირდებიან. რა საზიზღრობასა და სისაძაგლეს არა აქვს ადგილი! ოფიციალურ ცნობებით, 1900 წელს სოხუმის ოლქიდან გაიტანეს 150 ათას ფუთამდე თამბაქო; პლანტატორთა რიცხვი 3 ათასამდის ავიდა.

არც ერთი კუთხე საქართველოსი, მგონი ისე დავიწყებული არ არის გზების გაყვანის მხრივ, როგორც სოხუმის ოლქია. აქ არავის მოვალეობად არ მიაჩნია, რომ სასოფლო გზას ყურადღება მოაქციოს; არავინ ამისთვის თავს არ იწუხებს. ამიტომ აფხაზეთში ნამეტურ ზამთრობით, ყოვლად შეუძლებელია გზად წოდებულ ვიწრო

საცალ-ფეხო ბილიკებზე სიარული. სოფლის გზების შესახებ ვინ რას იტყოდა, რომ უმთავრესი გზა, რომელიც აერთებს აფხაზეთს ერთის მხრით რუსეთთან და მეორეს მხრით ამიერკავკასიასთან, ვარგოდეს. ერთი ნაწილი ამ გზის, რომელიც ანნენკოვმა გაიყვანა, ესე იგი სოხუმიდან გაგრამდის, გვარიანია და ყოველ წლივ ასე თუ ისე შეაკეთებენ. მდინარე კოდორიდან დაწყებული ინგურამდე კი გზა ყოველაფერსა ჰგავს, მხოლოდ გზას კი არა ჰგავს. ამ გზას თავისი თავგადასავალი აქვს და საჭიროდ მიმაჩნია აქ მოკლედ მოვიყვანო.

ამ ათის წლის წინად ადგილობრივმა მთავრობამ ნებართვა მიიღო, ვისგანაც ჯერ იყო, მდინარე კოდორიდან ინგურამდის 70 ვერსის მანძილზე ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაეკეთებინა გზა-ტკეცილი. გლეხობამ არჩია ფული გაეღო ამ საქმისათვის, და აი თვითოეულს მოსახლე გლეხს სამურზაყანოში და აბჟუაში მცხოვრებს გააწერეს ცხრა-ცხრა მანეთი. ამრიგად შეგროვდა 170 ათას მანეთამდის. მთავრობამ იჯარით გასცა ამ გზის კეთება. გაჩაღდა მუშაობა. გაჩდნენ უცხოუცხო საცმელებში გამოწყობილნი: ურიადნიკები, დესიატსკები და მრავალი სხვანიც. თვითოეულ საზოგადოებიდანაც ამოირჩიეს სამი კაცი „კომისიაში“, რომლის მოვალეობაც გზაზე სინდისიერი მუშაობის თვალ-ყურის-გდება უნდა ყოფილიყო... თავად-აზნაურობამ თავისი წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. სამწუხაროდ, ყველამ ფუჭად ჩაიარა. ამდენი ფული და შრომა ჩაიღუპა ამ საქმეში, გზა კი არ კეთდება: დღეს არამც თუ ეტლით, ცხენითაც შეუძლებელია ამ გზაზე სიარული! ამდენი ფული, ბეჩავ გლეხთა სისხლით და ოფლით ნაშოვნი, ფუჭად წავიდა!

ჰამუთ ბეი

გაზ.„ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 17თებერვალი, კვირა, №1729, გვ. 3.

„კავკაზ“-ს გაუგონია, რომ სოხუმის ეპარქიას ჩამოაშორებენ საქართველოს საერზახოსოს და დაუქვემდებარებენ პირდაპირ უწმ. სინოდს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 28 თებერვალი, ხუთშაბათი, №1738, გვ. 2.

სოხუმის ოლქის გუმისტინის ნაწილში, „ჩერნომ ვესტნ“-ის სიტყვით, ქვანახშირის მადანი აღმოჩენილა. ანალიზით მადანი კარგი არის თურმე.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 11 აპრილი, ხუთშაბათი, №1778, გვ. 2.

წერილი სოხუმიდან

(იხ. ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებისადმი შუამდგომლობა და სხვა – რედ.).

თითქმის დღეს ყველა ემდურის წერა-კითხვის საზ-ბის გამგეობას და უჩივის უმოქმედობას, უსაქმობას, უნდილობას და უენერგიობას; და ჩვენის ფიქრით, არც უსაფუძვლოდ: გამგეობას არა აქვს საქმე კარგად დაყენებული. სხვათა შორის მას თითქმის ყველგან, სადაც კი ჰყავს შესაფერი აგენტები არა ჰყავს და, ვგონებ, არც კი ცდილობს იყოლიოს უფრო მხნე და მშრომელი აგენტები. აბა რა აგენტია ის პირი,

რომელსაც ათის წლის განმავლობაში თავისი საწევრო ფულიც კი არ შემოუტანია? ყველა ჩვენს დაბა-ქალაქში მხნე და მშრომელი აგენტები რომ ჰყავდეს, წერა-კითხვის საზოგადოებას ათასობით ეყოლებოდა წევრები და საწევრო ფულიც უკეთ შემოუვიდოდა. ჩვენ ქართველები, საზოგადო საქმის ასპარეზზე ჯერ ბავშვები ვართ და მათსავით გვჭირია მოვალეობის გახსენება, ამიტომაც საჭიროა ყველა მოზრდილ ქალაქ-დაბებში კომიტეტებიც დავაარსოთ აგენტები კი სოფლადაც ბლომად ვიყოლიოთ.

მაგრამ თუ საზოგადოების გამგეობა ვერ იჩენს ჯეროვან საქმიანობას და ენერგიას, არც ქართველი საზოგადოებაა პირნათლად ამ საშვილიშვილო დაწესებულების წინაშე: ჩვენ რა გვიშლის მას ხელი შევუწყოთ და შეძლებისამებრ დახმარება აღმოუჩინოთ თუ ფულით, თუ ზნეობრივად? სირცხვილიცაა, ღმერთმანი ორ მილიონ ქართველობას ვერ გამოეჩინოს იმდენი სიყვარული საზოგადო საქმისადმი, რომ ორიოდე საკუთარი სკოლა ხეირიანად შეინახოს და მათ პირნათლად გაუძღვეს. არც ისე ღარიბნი ვართ, რომ ეს ვერ მოვახერხოთ; საქმე სიღარიბეში არაა, შეხედეთ ჩეხთა საზოგადოებას, როგორ თავს ევლება თავის სკოლებს? როგორ გააძლიერა ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების მთავარი დაწესებულება? მაშინ, როდესაც იქ ყოველ მეწვრილმანეს სასიქადულო მოვალეობად მიაჩნია ამ საზოგადოების წევრად გახდომა, ჩვენში თვით მოწინავე წოდებამაც არც-კი იცის თუ არა რა არის წერა-კითხვის საზოგადოება? რა მიზანი აქვს? რას ემსახურება? სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, როცა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გესმის: არც მე, არც ჩემი მეუღლე არ ვკითხულობთ წერა-კითხვის საზოგადოებასო!

მით უფრო სასიამოვნოა სოხუმის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილს რომ გადაუწყვეტია თავისი საკუთარი სკოლა დაარსოს, რის გამოც უკვე მიწერ-მოწერაც გაუმართავთ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა სულითა და გულით მიეგებება ამ საქმეს და ხელს შეუწყობს, გაამხნევებს სოხუმის ქართველ საზოგადოებას და მით თავის კეთილ, საშვილიშვილო საქმეს სისრულეში მოაყვანინებს,და არა ფორმალიზმით, უთავბოლო მიწერ-მოწერით საქმეს დააბრკოლებს, მოათავებს ენერგიას შეუსუსტებს. ამის ასრულება ძნელი არაა: სოხუმის საზოგადოებას მშვენივრად შეუძლიან ერთკლასიანი საკუთარი სკოლა შეინახოს. იმედია, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან ერთად ქართველი საზოგადოებაც გაამხნევებს ამ საქმის მოთავეთ ზნეობრივად, თუ ქონებრივად.

აქვე დიდის სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: ამას წინად სოხუმში გზად გამოიარა წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთ აგენტთაგანმა და მისის წინადადებით ორი საათის განმავლობაში ხსენებულ საზოგადოების წევრობის სურვილი განაცხადა და საწევრო ფულიც შემოიტანა (ექვს-ექვსი მანეთი) 29კაცმა. აგენტს მეტი კვიტანცია არა ჰქონდა, თორემ მე დარწმუნებული ვარ, ასზე მეტ წევრს, უშოვნიდა საზოგადოებას. ვისთანაც მივიდნენ აგენტი და მისი მომხრენი, არც ერთს უარი არ გამოუცხადებია, გარდა ერთის მდიდარი ვაჭარის ბ. ე. გ-ძისა, რომელმაც ბრძანა: „რის საზოგადოება, რა საზოგადოებაო? საამისოდ მე სად მცალიანო?უმისოდაც დიდს საქველ-მოქმედო ხარჯს ვეწევიო: წლიურდ ქველ-მოქმედებაზე ასი თუმანი გამდისო!“ ამისთანეებმა არ უნდა შეგვაშინონ და იმედი არ უნდა დაგვაკარგვინონ! სამაგიეროდ ერთმა სურვილიც განაცხადა ერთბაშად ასი მანეთის შეტანის.

სიამოვნებით ვაცხადებ აქ მათ გვარებს, ვინც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამვრცელებელ საზოგადოების წევრად ჩაეწერა და საწევრო ფული ექვს-ექვსი მანეთი გაიღო საზოგადოების სასარგებლოდ:

ივ.ბურჭულაძე
იონა გრიგოლია
ნიკო კოკაია
ალექსანდრე რატიანი
ილარიონ მაღლაკელიძე
სტეფანე თურქია
სამსონ ალანია
კონსტანტინე კინწურეიშვილი
ტიმოთე ანუა
ალექსი ჯორჯიკია
ევგენი თურქია
ლუარსაბ ნებიერიძე
ელიზბარ კაჭარავა
ნესტორ მასხარაშვილი
ფილიპე ერქომაიშვილი
ბახვა გაბუნია
თეიმურაზ გაბუნია
საჩინო თურქია
იოსებ ლოლუა
ნიკიფორე ერქომაიშვილი
ბესარიონ გვალია
როსტომ კაპანაძე
დიმიტრი ჭავჭანიძე
იოსებ კიწმარიშვილი
ნიკოლოზ ჩიქოვანი
ბეგლარ თურქია
იასონ ჩაჩანიძე
მელქისედექ ხახიაშვილი
ანტიპ მარგანაძე

როგორც ზევითაც შევნიშნე, სოხუმში ადვილად შეიძლება ასზე მეტი წევრი უშოვნოს საზოგადოებას კაცმა. ამისათვის მე მგონია, უმჯობესი იქნება თვით სოხუმელთაგან შეადგინონ ადგილობრივი კომიტეტი, რომელსაც დავალებული ექნება რაც შეიძლება მეტი წევრი უშოვოს საზოგადოებას და მასთან თუ წარმოდგენებით, თუ ხელის მოწერით მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს.

აქვე შევნიშნავ, წერა-კითხვის საზოგადობის სასარგებლოდ სოხუმელი ახალგაზრდობა წარმოდგენას აპირობდა.

ჰამუთ ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 30 აპრილი, სამშაბათი, №1799, გვ. 3.

გზათა სამინისტრომ დანიშნა კომისია რკინის გზების მთავარ დირექტორის ინ-ჟინერ კეტრიცის თავმჯდომარეობით, რათა განიხილონ საკითხი როგორი მიმარ-თულება სჯობია მისცენ შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანას.

გაზ.„ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 11 მასი, შაბათი, №1805, გვ. 2.

მცირე შენიშვნა

როგორც მკითხველს მოეხსენება, აგერ რამდენიმე თვეა, რაც პეტერბურგში შემ-დგარა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა საბოლოოდ გადაწყვიტოს შავი ზღვის ნაპირის კოლონიზაციის საქმე. ამ საგანზე მინდა მკითხველის ყურადღება ცოტახნობით შევაჩერო.

აფხაზეთში მთავრობის მოსპობის შემდეგ უფრო კი უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომის შემდეგ შავი ზღვის ნაპირს მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია და უნდოდა დაუსრულებელი ომების წყალობით ვერანად ქცეული მხარე დაესახლებინა. ამ დროს ჩვენს გლეხკაცობას გულშემატკივარი ვინმე რომ ჰყოლოდა მთელი ეს მშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ ამ სასვილიშვილო საქმისათვის თითქმის არავის მცირე ყურადღებაც არ მიუქცევია. ეს, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ ჩვენი მდაბიო ხალხი არ იცნობდა და, მაშასადამე, არ შეეძლო ამისათვის ყურადღება მიექცია, - მეორე მხრივ, ჩვენმა მოწინავე წოდე-ბამ თავის ყურადღების ღირსად არ სცნო ეს საქმე. ამიტომაცაა, რომ ის ადგილები, რომლის ყოველი მტკაველი ქართველის სისხლითაა მორწყული, იქმნა დასახლებული ესტებით, ბერძნებით, მოლდავანებითა და სხვა. მეგრელები ძალიან გვიან მოვიდნენ გონსა, გარნა მაინც მოახერხეს რამდენიმე სოფელი შეეძინათ და შიგ დასახლებუ-ლიყვნენ. შემდეგ კი, როცა უმიწა-წყლო მეგრელობამ კარგად გაიცნო ეს მხარე, ათა-სობით მოაწყდნენ ამ მხარეს, გვიან-ღა იყო; შავი ზღვის ნაპირების კოლონიზაციის საქმე შეიცვალა და აღეკრძალულ იქნა სახელმწიფო მამულებზე დასახლებაც. მეტი ღონე აღარ იყო, და მეგრელები კერძო კაცთა მამულებზე დაესახლდნენ. ასეა მოკლე თავგადასავალი ამ კითხვისა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა აზრისაა ახლად შემდგარი განსაკუთრებული კომისია, ან რას გადაწყვეტს ამის შესახებ, მაგრამ საფიქრებელია კი, რომ შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთ დაასახლებს ამ მშვენიერსა, გარნა მათთვის ძალიან ავსა ქვეყა-ნას. ჩვენის ფიქრით, ზღვის პირას ეს მაინც არ ასცილდება. თუ რამდენად გამოსადე-გი იქნება ეს მხარე შიდა გუბერნიებიდან გამოსახლებულთათვის, დარწმუნებით არ შეიძლება სთქვას კაცმა: ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება, როცა ტყეები გაიკაფება, ჭაობები ამოშრება, მაშინ მათ დედინაცვლობის მაგიერ, როგორც დღეს ვხედავთ დედობაც გაუწიოს შავი ზღვის ნაპირმა. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი აქაური რუსთა ახალშენები სამწუხარო სურათს წარმოადგენენ. სიცოცხლით სავსე კაცის მაგიერ აქ წარმოგიდგებათ საშინლად გამხდარის, სისხლ გამშრალი, სახე გაყ-ვითლებული და მუცელი ტყლიპით რუმბად ქცეული ადამიანის მაგვარი არსება, - საზარელ სურათს წარმოადგენენ ისინი! სამიოდე წლის წინად ერთ ექიმთან ერთად წავედი სოფ. ბომბორაში. აქ სამი ავადმყოფი ერთად მოუყვანეს მათ მოტრფიალე ექიმს, როგორც შეშლილები. მე მართლა შეშლილები, - сумащедшие - მეგონა, რომ ექიმს არ ეხსენა ჩემთვის - მალარიამ მიიყვანა ამ ზომამდისო!! მალარიით დასუს-

ტებულ ადამიანის სხეულს ყველაფერი ერევა, და ამიტომაც ასე ხშირია მათ შორის სიკვდილი.

მაგალითად, სოფლებმა ანასტასიევკამ და ნიკოლაევკამ ამ საშინელს სენს ველარ გაუძლეს და, მიუხედავად მთავრობის ყოველგვარ დახმარებისა, თავი მიანებეს სოფელს, თავისი უფლებანი მეგრელთ მიჰყიდეს და თვითონ ისევ ძველ სამშობლოში დაბრუნდნენ. მათ ნანგრევებზე მეგრელებმა საუცხოვო სოფელი ნაა (რუს. ანასტასიევვა - ნიკოლაევკა) გააშენეს. ასე გასინჯეთ, საკუთარი ხარჯით ორ - კლასიან სკოლასაც ინახავენ. უფრო ტრაგიკულია სოფელ ااცის მეახალშენეთა თავ-გადასავალი: ესენე სამჯერ აიყარნენ და ბინა გამოიცვალეს მდინარე ااცის ხეობაში, და ბოლოს, როგორც იყო, ფეხი მოიკიდეს ალექსანდრე ბატონიშვილის (შერვაშიძის) ნასახლ-კარზე. ზემო ხსენებული სოფელი ბომბორა კი აგერ ათი წელიწადია რაც აშენებულია. ამ სოფელს დიდი ყურადღება მიაქცია ცალკე სამინისტრომ, ცალკე ათონის მონასტერმა და აწ უკვე ნეტარ სახსენებელმა სოხუმის ,,переселенческая комисия-მ", მაგრამ საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ კომისიის სულის ჩამდგმელს ექიმის ბარასკის წარმოათქმევინა კომისიის სხდომაზე შემდეგი შესანიშნავი ფრაზა:" намь осталось единственное средство основать особую колонию для бамборцев въ горахь, чтобы каждое лето поголовно все население отправлать туда!" ამას, მგონია განმარტება არ სჭირია. ამავე აზრისაა - რომ ამ მხარეზე რუსების დასახლება თითქმის შეუძლებელია - ბატონი პანტიუხოვიც, რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია ეს კითხვა (იხილე მისი колонизация кавказа. ცალკე ბროშურაა).

მიუხედავად ამ დიდი მსხვერპლისა, რასაც უნდა აუცილებლად მოელოდეს მალარიისგან რუსის მოახელშენე აფხაზეთში მაინცა, თუ ზემოთ ხსენებულმა კომისიამ მაინც გადაწყვიტა ამ მხარის რუსებით დასახლება, მაშინ ჩვენმა საზოგადოებამ, ჩემის ფიქრით ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს: აფხაზეთში არის იმისთანა მშვენიერი სამოსახლო ადგილებიც, სადაც რუსის გლეხობას არ შეუძლია მაინცდამაინც ფეხი მოიკიდოს. მე ვამბობ მთა-გორიან ადგილებზე, როგორიც, მაგალითად, მდინარე ااცის ხეობაა-აფსხუ და სხვანი. აფსხუ და მის მსგავსი ადგილები დაათვალიერეს რუსის "ხოდოკებმა" და მიუხედავად მთავრობის რჩევისა, უარყვეს, როგორც მათთვის გამოუსადეგარი ადგილები. მართლაც, ვაკეს მიჩვეულ რუსმა გლეხმა ძნელად თუ მოიკიდა ამისთანა მთაგორიან ადგილს ფეხი. ისე ეს ადგილები საუცხოო რამეა ნაყიფიერი ნიადაგითა და ჰავით. ქართველ გლეხობისათვის ის დაუფასებელი იქნება, მეტადრე მთიულთათვის: სვანთა და რაჭველთთავის, რადგანაც აფსხუ ნამდვილი კოპიოა რაჭა-სვანეთის ადგილ-მდებარეობის. აქ დიდი და მშვენიერი სოფლები იყო აფხაზებისა. სასურველია, ვისაც კი შეუძლიან, ჩვენი გლეხობის ყურადღება მიაქციოს ამ საუცხოვო მხარეს და შეიძლება მისცეს მათ ეს საქმე მოაგვარონ როგორმე.

აქვე შევნიშნავ, რომ ზემო აფხაზეთში (კოდორის ნაწილი) თავად-აზნაურობა ჰყიდის თავის ნაჭრებსა, ნადელებსა და ხელსაყრელ ფასად ჰყიდის 30-100 მ. დესეტინა. ვურჩევ ქართველობას ამ მხარეს ყურადღება მიაქციოს. ვისაც სურს, შეძლებისამებრ, მას ჩვენ დახმარებას გაუწევთ. ჩვენი ადრესი რედაქციაში მოიკითხონ.

ჰამუთ ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902 წ. 23 მაისი, ხუთშაბათი, №1817, გვ. 1.

სოხუმიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ მოგზაურ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებისაგან აუარებელისა და აღტაცებულის ხალხის თანდასწრებით გამართულ იქნა სამი წარმოდგენა. არტისტებს მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. აფხაზეთისა და სამეგრელოს თავად-აზნაურობამ, ინტელიგეციამ და ვაჭრებმა ასე 300 კაცმა ვ. გუნიას მეთურობით შემდგარ არტისტთა დასს გაუმართა მშვენიერი ვახშამი, რომლის დროსაც წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო. პირველი სადღეგრძელო იყო მისი, ვინც პირველად შეადგინა ქართულ არტისტთა დასი და დრამატიული საზოგადოებისა, რომელიც იცავს ინტერესებს სამშობლო თეატრისას. ბ-ნმა გუნიამ გრძნობიერის სიტყვით მადლობა გადაუხადა თავისა და საზოგადოების მხრივ ძვირფას მასპინძლებს ასეთის არა ჩვეულებრივის დახვედრა-მიღებისათვის რაც მოწამეა ამ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ჩვენის ქვეყნის მოშორებულ ტურფა კუთხის სულიერ ზრდა - წარმატებისა და აღუთქვა შემდეგშიაც არა ერთხელ ასეთივე წარმოდგენების გზად გავლის დროს გამართვა. ფოთის ახალგაზრდობის თხოვნით ერთი წარმოდგენა იყო კიდევ გამართული, ფოთში რომელზედაც დიდი ძალი საზოგადოება დაესწრო. დღეს, 7 ივნისს წარმოდგენა გაიმართება სენაკში.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 7 ივნისი, პარასკევი, №1830, გვ. 2.

საინტერესო ცნობები გადმოგვცა თავის არტისტულ მოგზაურობის შესახებ ვ. გუნიამ. დასი, - რომელიც შესდგებოდა ჩვენის დამსახურებულ არტისტ - ქალის ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ალ.კარგარეთელისა, ნ. გივიშვილისა, ბ-ნი ვ. გუნიასა, კ. შათირიშვილისა, ს. სვიმონიძისა, ი. ივანიძისა, ა. იმედაშვილისა, ვ. ურუშაძისა, სუფლიორისა და სცენარიუსისაგან, - გავიდა ტფილისიდან 18 მაისს... ბათომიდან დასი გამგზავრებულა სოხუმში, სადაც ზედიზედ გაუმართავს სამი წარმოდგენა; შემოსულა 730 მან. 60 კ. ხოლო ხარჯი ყოფილა 185 მან. სოხუმიდან დასი დაბრუნებულა ფოთში, ახალსენაკში...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 16 ივნისი, კვირა, №1839, გვ. 3-4.

ვიზრუნოთ!

...აფხაზეთიდან ამ ორმოცი წლის განმავლობაში ორჯერ აიყარნენ ადგილობრივნი მკვიდრნი, თავის ბედის მომდურავნი, რათა ერთმორწმუნე ოსმალოთა სახელმწიფოში მოეპოვათ სულიერი სიმშვიდე. ეს იყო 1863 -1864 წლებში, როცა მთელი ერთი ხეობა, დალისა, წებელდიდან მოყოლებული ვიდრე სვანეთის საზღვრსმდე, 30-40 ვერსის მანძილზე, სულ დაიცალა. ეს ის დრო იყო, როცა აფხაზეთის მთავარი თ. მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე რუსეთში იქმნა გაგზავნილი და აფხაზეთის ტახტი გაუქმებული. დალის ხეობის ერისთავი ბათალ ბეის შვილი ალმასხით მარშანია რუსის რაზმს შეეგება კოდორზე, მაგრამ ბოლოს ძლეულნი მაინც უკანასკნელნი იქნენ და ახალს მთავრობას უნდა დამორჩილებოდნენ. თუკი თავისუფლება არ გვექნება, არც ცხოვრება გვსურს აქაო და როგორცა ვთქვით, მთელი ხეობიდან ხალხი ოსმალეთში გაიკრიბა. მეორედ რუს-ოსმალის ომის დროს აიყარნენ მკვიდრნი აფხაზეთიდან. ომის შემდეგ მცირედი ნაწილიღა დაბრუნდა აფხაზებისა, 100000 სულიდან დღეს 50000 ძლივსღა არის. ნაომებს დაბრუნებულ აფხაზებს სამოსახლოდ მიუჩინეს ბზიფი, ანუ აფხაზეთის დასავლეთი ნაწილი სოფ. ფსირცხამდე. ხოლო უმეტესი ნაწილი აფხაზე-

თისა ფსხირცხიდან (სადაც ახლა რუსის ბერების მონასტერია) მდინარე კოდორამდე თავისუფლად დარჩა, უმოსახლოდ.

მთავრობამ ნაომევსვე დიდ-ძალი ადგილი დაურიგა აფხაზეთში ნამსახურ მღვდებს (თითოს 30 დესეტინა), დიაკვნებს, მასწავლებლებს, სამოქალაქო უწყების მოხელეთ და განსაკუთრებით სამხედრო პირთ, რომელნიც კავკასიის რომელსამე ნაწილში ომის დროს გარჯილან. ამგვარად სამხედრო ერგო თითქმის ნახევარის წებელისა და მთელი დალის ხეობა მდ. კოდორის აყოლებაზე. უმაღლესი ბრძანება მამულების დარიგებისა ჯერ ისევ 1874 წელს გამოსცა. დალის ხეობაში ამნაირად გაიცა 8658 დესეტინა, თვალი აფხაზეთისა, ყოველგვარ საშენ ტყით (ნაძვი, ფიჭვი, მუხა, წაბლი, წიფელა და სხვ.) სავსე. ერთი ნაწილი ქართველებსაც ერგოთ. ასეთი ბედნიერნი იყვნენ: პოლკოვნიკი თავ. ნაკაშიძე (განჯის გუბერნატორად ყოფილი) (30 დესეტ), თავ. ბებუთაშვილი (301 დესეტ), დეკანოზი მაჭავარიანი (401 დესეტ), თავ. ივ. ბარათაშვილი (300 დესეტ) მომბელი (300 დესეტ), თავ. ჯორჯაძე (300 დესეტ) და ვასილ სარაჯ-ლი (1000 დესეტი).

გლეხ-კაცობა აქაურ სახელმწიფო ადგილებს მოაწვა 80-იან წლებში. პირველად მოვიდნენ მოლდაველნი, მერე რუსნი, ბერძენნი და 1883 წელს მეგრელნი და ესტონელნი. ეს გადმოსახლება დღესაც არ შეწყვეტილა, რადგან თავისუფალი სახელმწიფო მიწები დღესაც არის. მხოლოდ ამ ადგილებზე დასახლების მსურველთა უფლებანი განსაზღვრულია. თუ პირველში ყველას პირ-აქეთ ეხვეწებოდნენ გადმოსახლდითო (მაგ: ესტონელებს გადმოსახლებული აზრით, რომ მეზობელთათვის ,,უმაღლესი კულტურა ესწავლებინათ"), დღეს გარდა რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებთა, სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის აფხაზეთის კარი დახშულია. ამგვარად გაშენდნენ სოფლები: 7-რუსთა, 2-ესტონელთა, 5-ბერძენთა, და 10-მეგრელთა. 1896 წელს ზემოთ ჩამოთვლილ ეროვნებათა ხალხს მოემატა ოსმალეთიდან გამოქცეულნი სომხები, რომელნიც მოიჯარადენი არიან და მხოლოდ თუთუნის მოყვანას მისდევენ. 1896 წელს, თანახმად სოხუმის ოლქის უფროსის ანგარიშისა, აფხაზეთის მცხოვრებთა რიცხვი წარმოგვიდგენდა შემდეგს სურათს: (ანგარიშში შედის სამურზაყანოც, როგორც ნაწილი სოხუმის ოლქისა, სამურზაყანოთურთ სულ 106 719 სულია, თვით სამურზაყალოელნი შეადგენენ 35,97% მთელის რიცხვისა, მაშასადამე, დანარჩენი მხოლოდ აფხაზეთში არიან დასახლებულნი):

აფხაზები - 30,37 %
მეგრელები - 23,83 %
სომხები - 4%
ბერძნები - 2,90 %
რუსები - 1,57 %
ესტები - 0,81 %
მოლდაველნი - 0,17 %
ბულგარნი - 0,11 %
ოსმალნი - 0,18 %
პოლონელნი - 0,01 %
სპარსნი - 0,03 %
რუსნი - 0,02 %

გაზ.„ცნობის ფურცელი", 1902 წ. 23 ივნისი, კვირა, №1846, გვ. 1.

II (ვიზრუნოთ)

იმ ხანებში, როცა მეგრელებმა დაიწყეს აქეთ გადმოსახლება, აქაურმა ჰავამ თითქმის მუსრი გაავლო ახალ მოსულებს. ახალი სამშობლო მეტად დამცდელი გამოდგა. პირველ მოშენენი სენაკის მაზრის მთა-გორიან ადგილებიდან იყვნენ და ცივებას აქ მოსვლამდე არც კი იცნობდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ პირევლ 3-4 წელიწადს იყო. რა-კი ტყეები გაიკაფა, სოფელი გაშრა, ახალმოშენენი კალაპოტში ჩადგნენ. მათი სოფლები საუკეთესო საზაფხულო ადგილებად გადაიქცა. მცხოვრებთა სიმრავლეს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საცხოვრებლად მთა-გორიანი ადგილები აირჩიეს. დღეს არამც თუ ჰავა შეიგუეს, ქონებრივადაც ისე წინ წაიწიეს, რომ ბევრი მეზობელი შეჰნატრებს მათს ყოფას.

იქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთიდან გადმოსახლებულს გლეხებს იმავე თავითვე მზრუნველობას არ აკლებდნენ. აძლევდნენ სახლ-კარის მოსაწყოფად ფულს, მეზობელს აფხაზებს მათ მიწას ახნევინებდნენ უსასყიდლოდ, სახელმწიფო ტყიდან მუქთად მასალას უთმობდნენ, კომიტეტიც კი დაარსდა სოხუმში სპეციალურად მათ დასახმარებლად და სხვადასხვა. მეგრელებს ძეხორციელები არავინ მიშველებია, თუ რამე გააკეთეს, ისევ თავის საკუთარი ოფლითა და ხარჯით.

მეგრელები ასეთის ბედისაც მადლიერნი იქნებოდნენ, რომ გარემოება ერთბაშად უკულმა არ დატრიალებულიყო. როგორც მოგახსენებთ, 1885 წლიდან მათთვის აფხაზეთში სახელმწიფო მიწებზე დასახლკარება ოცნებად შეიქმნა. ათვალწუნებულ იქმნენ მეგრელები, თუმცა აქაურ ადგილების დასასახლებლად საუკეთესო ელემენტს წარმოადგენდა. ვინ იცის, იქნება, მათი ეს ღირსებაც გახდა იმის მიზეზად რომ ყველგან კარი გამოუხურეს. მაგრამ სავალალო ის გახლავთ, რომ საქმე დღით-დღე მწვავდებოდა. მეგრელთ ნებას არ აძლევდნენ თავისუფალ მიწებზე დასახლებისა ... 1896 წ. დ. გუდაუთში მოგვიხდა გავლა. ნაცნობებმა შემოგვჩივლეს, თუმცა ჩვენ დაბაში სამოსახლო მიწები ისყიდება, მაგრამ მეგრელებს აკრძალული აქვს მათი შეძენაო. რომ პირადად დარწმუნებულვიყავით, რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ჩივილი, წავედით გუდაუთის ეგრეთწოდებულ სლობოდის სამმართველოში, სადაც ნაუნტერაფიცრალმა საქმის მწარმოებელმა ოლქის უფროსის მოწერილობა გვაჩვენა ამ აკრძალვის შესახებ... და ვინც კიდევ გაკადნიერდება (იხ. მაგ: ბატონის გრუზინის წერილი ,,პეტერბურგის უწყებებში") და ამტკიცებს, რომ მეგრელებს სოხუმის ოლქში იგივე შეღავათი აქვთ მიწის შეძენის საქმეშიო, მოიკითხოს ეს მოწერილობა.

ამ ნაირად, აფხაზეთის დაბებში, ხსენებულ მოწერილობის ძალით მეგრელებს სამოსახლო მიწების სყიდვა ეკრძალებათ; ამასთანავე, სახელმწიფო ადგილებსაც აღარ აძლევენ. მაშ რაღა დარჩენიათ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის უმიწაწყლო გლეხებს აფხაზეთში? ერთად-ერთი გზა: ფულით შეიძინონ კერძო მემამულეთაგან ადგილი. მაგრამ აქაც დაბრკოლება გვეღობება წინ. საქმე ის გახლავთს, რომ ის დრო, როცა აფხაზეთში დესეტინა მიწა 5 მანეთად ან, სულ ბევრი თუმნად ფასობდა, დიდი ხანია წავიდა. როცა ყოველმხრივ ბუკი და ნაღარა დაჰკრეს, - თუ სააქაო ედემი გნებავთ, სოხუმის ოლქს მიაშურეთო, დიდ-ძალი ფულიანი ხალხი მოაწყდა ამ კუთხეს რუსეთის სხვადასხვა მხრიდან. ამ გარემოებამ ერთბაშად საშინელის სისწრაფით ასწია მამულების ფასი. იქ სადაც მიწა დესეტინა თუმნად იყიდებოდა, დღეს იმავე დესეტინასი 500 და 600 მანეთს იძლევიან. გუდაუთიდან მოკიდებული ვიდრე

სოხუმამდე რაც მიწები იყო, სულ მსხვილმა კაპიტალისტებმა ჩაიგდეს, რომელთანაც მეგრელებს უბრალო მუშადაც სათოფეზე არავინ იკარებს, თუმცა მეგრელი თავისი სიფხიზლით და სიმარჯვით სხვას თუ არა სჯობნის, უკან არამცდაარამც არ ჩამოუვარდება. თუ კანტი-კუნტად მისივე მამული ისევ გაუყიდავი დარჩენია, ელოდება, რომ კარზე მოადგეს ასეთი ფულიანი მუშტარი. მეგრელს გლეხს ახლა ვინ მისცა იმის შეძლება, რომ ასეთ მუშტარს მეტოქეობა გაუწიოს...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 25 ივნისი, სამშაბათი, №1848, გვ. 1-2.

III (ვიზრუნოთ)

დიაღ, მამულები იყიდება აფხაზეთში, მაგრამ განსაკუთრებით შავი ზღვის პირად მყიდველები ჯერ არა ჰყავს იმ მამულებს, რომელნიც ზღვიდან მოშორებით არიან აქეთკენ ფულიანი ხალხი ჯერ არ ეტენება, ასე რომ მამულის ფასიც შედარებით აწეული არ არის. ჩვენ მოგახსენებთ იმ მამულების შესახებ, რომელნიც დალის ხეობაში მდებარეობს. აქ მამულის პატრონთ თითქმის არც კი უნახავთ თავიანთი მამული. რომ უბოძებიათ პლანი ჩაუბარებიათ. აქეთ მემამულენი, რომელთაც სიშორისა გამო, ყური უგდიათ თავის განძისათვის, ადვილად გაყიდიან მამულებს შეძენის მსურველი იპოვონ. განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება ქართველ მემამულეებთან საქმის დაჭერა.

მაგრამ გლეხს, თავის თავის ამარა დარჩენილს, სამწუხაროდ აქამდე ვერა გაუკეთებია - რა ამ მხრივ. საჭიროა წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, საქმის გამაადვილებელი. სწორედ ამ უმწეოდ დარჩენილი გლეხის მისაშველებლად 1895 წელს ქალაქ სოხუმში ადგილობრივმა მოღვაწემ პატივცემულმა ანთიმოზ ჯუღელმა წრეც კი დაარსა, რომელსაც საგნად ჰქონდა მამულების შესყიდვა და უმიწა-წყლო გლეხებისათვის მიყიდვა შეღავათიანის პირობით. წესდებაც კი შემუშავდა და საქმეს უნდა შესდგომოდნენ. ამ დროს რუსულმა გაზეთმა, „ნოვოე ვრემიამ“ ქვეყანა შეყარა, არიქათ მეგრელები შემოესივნენ აფხაზებს და აზრადა აქვთ, იქიდან სხვა ყველანი უნდა გამოაძევონო... მთელი გამოძიება დაინიშნა. თუმცა დარწმუნდნენ, რომ შეთქმულება არა ყოფილა. ინიციატორი საზოგადოებისა არსებულ კანონთა თანახმად აპირებდა მოქმედებას, რომ მოყვასის სიყვარულისა და მისის დახმარების სურვილის მეტს სხვა მოსაზრებას ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ წესდების შემდგენელს მაინც ურჩიეს თავის ქერქში დატეულიყო, თუ არ სწადდა უფრო დიდს უსიამოვნებას არ გადაჰკიდებოდა... ამ წრემ ის-ღა მოასწრო, რომ სოხუმშივე 7 დესეტინა მიწა შეიძინა 7000 მანეთად და 19 სამოსახლოდ დაყო. ამ მამულის ნახევარი სამოსახლოდ დაუყოფელი დღეს 17000 მანეთად ფასობს.

ეს ფაქტი აღვნიშნეთ ერთის მხრივ იმის მაჩვენებლად, რომ ერთობა ძალსა შეიქმს, შეერთებულის ძალით-ღა თუ შეგვიძლია რისამე გაკეთება; ხოლო მეორე მხრით იმის დასამტკიცებლად, თუ ალაგობრივ რა ზომამდეა ერთ-ურთთ დამოკიდებულება გამწვავებული და რა ძნელია მუშაობა უმამულო მეგრელთა საკეთილდღეოდ, თუ როგორი დაბრკოლება მოელის საზოგადო მოღვაწეს. ძნელი-მეთქი ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელი გახლავთ სხვა-და-სხვა უკუღმართ პირობების წყალობით.

მაგრამ ამ გარემოებამ მაინც არ უნდა დაგვახევინოს უკან. რაც არ შეგვიძლია ალაგობრივ, აფხაზეთში ის სხვაგან უნდა შევძლოთ და რაც შეიძლება ჩქარა. რამ-

დენსაც დავიგვიანებთ, იმდენად უფრო გავართულებთ პირობებს. დღეს რომ დესიატინა მიწის შეძენა 4-5 თუმნად შეგვიძლია, ხვალ იმავე დესიატინის ფასი შეიძლება 10 თუმნამდე ავიდეს. ამას გვიმტკიცებს ის ციებ-ცხელება, რომელიც არსებობს სოხუმის ოლქში მამულების შეძენის საქმეში.

ჩვენის აზრით, საჭიროა ქუთაისსა და ტფილისში დავიარსოთ კომიტეტები, მსგავსად იმ კომიტეტისა, რომელიც უკვე არსებობს ტფილისში და რომელსაც აზრად მხოლოდ რუსების შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა დახმარება აქვს. ტფილის კომიტეტი ზრუნავს ხელი მოუმართოს უკვე მიწა მოპოვებულ გლეხებთ! ჩვენებურს კომიტეტს მთავარ საზრუნავად უნდა ექმნეს გამოძებნა თავისუფალ მიწებისა, ბანკისა და სხვა საშუალებით მათი გადაცემა უმამულო გლეხთათვის ამ საახალშენო კომიტეტს ხელს ისე ადვილად ვერავინ წამოჰკრავს, მის სიტყვას გასავალი ექმნება მთავრობის წინაშე და შესაძლებელია ისიც კი მოახერხოს, რომ მთავრობასა სთხოვოს იმ სახელმწიფო ადგილებზე (მთა-გორიანებზე) სადაც რუსები დასახლებას გაურბიან, ჩვენის ქვეყნის მთა-გორიან ადგილების უმამულო გლეხი დაასახლონ, ამ კომიტეტს ადვილად შეუძლიან თავისი აგენტები გაიჩინოს, რომელნიც სხვადასხვა ცნობების მოწოდებით, საქმეს გაადვილებენ და ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ. ამგვარ აგენტების შოვნა მით უფრო ადვილია, რომ ღვთით, ჩვენს პროვინციებში შეგნებულთა და ჩვენის ხალხის გულშემატკივართა რიცხვმა იმატა. ოღონდ ეს საშვილიშვილო საქმე დავიწყოთ; ოღონდ ამდენის ხნის გასაკეთებელი ეხლა მაინც გავაკეთოთ; ოღონდ ამდენი ხნის უსაქმობა ვიკმაროთ. მარტო გაზეთებში წუწუნით ფონს ვერ გავალთ, სიტყვა საქმეც დავურთოთ, რომ ხალხი შეგვრჩეს და უმამულობით არ გადაშენდეს...

ხალხის გადაშენების ხსენებაზე. ამ გადაშენებას ხელს ისე არა უწყობს - რა, როგორც უმამულობა, საჭმელ-სასმელის ნაკლებულება, მაგრამ ამ მხრივ ჩვენს ერს მეორე საქმეც აქვს თავში საცემი და სავალალო. მოგეხსენებათ, ჩვენის ქვეყნის ზომიერის ჰავის გამო ჩვენი ხალხი უცხოეთის ჰავას ვერ უძლებს თუ ეს ჰავა მის სამშობლოსას არ ემსგავსება. აიღეთ ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებში მიდის სასწავლებლად. ნახევარი მათგანი იხოცება რუსეთის მკაცრ ჰავის წყალობით. ე. ი გვაკლდება საუკეთესო ნაწილი, ჩვენი იმედი. თითქო ეს ცოტა ყოფილიყოს, ამ უკანასკნელ ხანში, ჩვენებურ ჯარისკაცებიც იძულებულნი არიან თავიანთს მიწა-წყალს მოშორდნენ და რუსეთის შიდა გუბერნიებში იხადონ სამხედრო ბეგარა. პატივცემულმა იაკობ გოგებაშვილმა ფრიად საინტერესო ფაქტი აღნიშნა უცხოეთის ჰავის გავლენისა ჩვენს ჯარისკაცებზე: მიუხედავად ერთგვარის ზრუნვისა და მოვლისა, ჩვენებურს ჯარისკაცებს საშინლად ეშლებათ ნერვები და მათს დასუსტებულს აგებულებას მკბენარები იჯაბნებენ, იმ დროს როცა თვით რუსეთის მკვიდრთ ვერაფერს აკლებენ ეს პარატიზებიო. მარტო ეს რომ იყოს, ვინ რას იტყოდა, ამ ჭირს ადვილად გავუძლებთ, მაგრამ სამწუხარო ის გახლავსთ რომ, ჩვენებური ჯარისკაცები თითქო ჭირი დაერიაო, ისე ადვილად ხდებიან ავად, ისე იჯაბნებს მათს აგებულებას სნეულება, რომ ამ ასიდან თუ სამოცი არა, ორმოცდაათი აღარ გვიბრუნდება სახლში. ვსთქვათ ყოველ წელიწადში ორისავ გუბერნიიდან 7 000 ახალგაზრდა კაცი გაიყვანეს ჯარისკაცად. თუ მათგან წელიწადში ნახევარიც არ დაგვიბრუნდა უკან, თქვენს მტერს ჩვენ დღე დაგვადგეს მოკლე ხნის განმავლობაში.

ვერავითარი უმამულობა იმდენს ზიანს ვერ მოგვიტანს, ვერავითარი სიღარიბე ისე ვერ შეამცირებს ჩვენს ისედაც მცირე რიცხვს, როგორც ეს სამხედრო ბეგარა. ვიზრუნოთ იმისათვის რომ, გლეხს საჭმელი ჰქონდეს, მაგრამ არა ნაკლებ უნდა ვიზრუნოთ იმისთვის, რომ ჯერ კაცი უნდა გვყავდეს, ვისთვისაც საზრდოს ვეძებთ.

ამ შემთხვევაში კი ჩვენმა ორისავ გუბერნიის თავდ-აზნაურობამ უნდა ამოიღოს ხმა. მან უნდა შეკრიბოს ყოველი ცნობები, რაც რუსეთში მომსახურე ჩვენებურ ჯარისკაცების ყოფას შეეხება, და მთავრობის წინაშე შესაფერისი შუამდგომლობა აღძრას.

თ. ს

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 26 ივნისი, ოთხაბათი, №1849, გვ. 1-2.

სოხუმი

თეატრი

წლეულს სოხუმელებს ბედი გვწყალობს. ქართულ წარმოდგენებს დანატრულმა ჩვენმა საზოგადოებამ ძლივს მოიკლა წყურვილი. სოხუმს ჯერ ბ-ნი გუნია ეწვია და შემდეგ ბ-ნ ალექსი მესხიშვილი, რომელმაც საზოგადოების თხოვნით მოიყვანა დასი და შეუდგა წარმოდგენების მართვას. პირველი წარმოდგენა გამართეს შაბათს, 14 ივნისს. წარმოადგინეს „კრეჩინსკის ქორწინება“ და „შეშლილის წერილები“, ორივე წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ბ-ნი მესხიშვილის ნიჭიერმა თამაშმა რასპლუევის როლში საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

მეორე წარმოდგენა გაიმართა კვირას. 15 ივნისს. ითამაშეს „ცხოვრების გმირი“, დრამა 3 მოქმ. და ვოდევილი „დუელი“ უკანასკნელი წარმოდგენა სამშაბათს, 17 ივნისს იყო. წარმოადგინეს ისტორიული დრამა „და-ძმა“ გაიოზ ფაღავას როლი საუცხოოდ შეასრულა ბ-ნმა მესხიშვილმა. ამ წარმოდგენების დროს მესხიშვილთან ერთად თამაშობდნენ ქ-ნნი ივანიძე, მდივანი, ბ-ნნი ჩარკვიანი, მირიანაშვილი და სხვანი. მესხიშვილს კონვერტი გადასცეს, რომელშიაც 103 მანეთი იდო, შემდეგ მთელი დასი ვახშამზე მიიწვიეს.

დამსწრე

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 25 ივნისი, სამშაბათი, №1848, გვ. 4.

მთავრობამ, როგორც „კავკაზს“ ატყობინებენ, ნება დაერთო კავკაზის გზის საზოგადოებას შეუდგეს შავი ზღვის ნაპირას კრინის გზის გაყვანას.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 27 ივნისი, ხუთშაბათი, №1850, გვ. 2.

...სოხუმში სამის წლის წინად სამკითხველო არსებობდა, მაგრამ, საუბედუროდ წელიწადიც ვერ გაძლო ამ სამკითხველომ, რადგანაც ადგილობრივმა ინტელიგენციამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია და თითო-ორალა აბაზის გადახდა დაიშურა. კარგი იქნება სოხუმელებმა ხელახლა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი და წიგნთსაცავი სამკითხველო დაარსონ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 6 ივლისი, შაბათი, №1858, გვ. 3.

გაგრა (აფხაზეთი)

ჯერ ერთი წელიწადი არ არის რაც გაშენდა ახალი გაგრა. ქალაქის ადგილი ყველაფრით შემკულია. წარმოიდგინეთ ერთის ვერსის სიმაღლის მთა, რომელიც ზღვას დაჰყურებს. აი, ამ მთას და ზღვას შუაა ახალი გაგრა, როდესაც გაგრას უახლოვდებით, მთის მეტს ვერაფერს ხედავთ; მაგრამ როცა გამოხვალთ რიყეზე, თქვენ თვალს იპყრობს დიდი სიმაგრე, რომლის კედლების სიმაღლეც 3 საჟენია, ხოლო სისქე 2 არშინი. ამ სიმაგრის შესავალთან აყუდებულია 5 ზარბაზანი, რა საკვირველია ძველებური. 20 აგვისტოს ამ სიმაგრეში წყლის მილის დამგებმა მუშებმა თხრის დროს ორი ძალიან დიდი ზარბაზანი იპოვეს, მიწაში დაფლული. ჰიქრობენ, რომ აქ სხვა საომარი იარაღი და სხვა ნივთებიც უნდა იყოს.

სიმაგრის მახლობლად მაღლობზე წამომდგარა ჯერეთ დაუსრულებელი 2 სართულიანი სახლი, რომელიც პრინცის სასახლედ შენდება. მთაში გზა მიდის, რომლის კიდეებზე უკვე დასობილია ბურჯები ელექტრონის ფარნებისათვის. ასის საჟენის მანძილზე გაჭიმულია სასტუმრო და რესტორანი, რომელშიაც ამ შემოდგომაზე მზად იქნება მშვენივრად მოწყობილი სცენა. ახლა გადავიხედოთ მთიდან ძირას, ქვევით, ზღვის ნაპირას, მშვენიერი ბაღია გაჭიმული. ნახევრის ვერსის მანძილზე კიდევ მოკუნჭული გზა მიყვება აქეთ იქეთ ბულვარით. მახლობლადაა თამბაქოს პლანტაცია, მერე ჩაის პლანტაცია, ხეხილის ბაღი და შემდეგ ბოსტანი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 31 აგვისტო, შაბათი, №1911, გვ. 3.

იხ. „წერილი სამურზაყანოდან“. ავტ. ვანო ოქუმელი. რკინიგზის გაყვანის თემა.

გაზ. „ ცნობის ფურცელი“, 1902 წ. №1917, გვ. 2-4.

წერილი სოხუმიდან

იხილე: ქალაქის საბჭო და ხმოსნები

(იხ. 2 დეკემბრის სხდომა - ვაჭრების საჩივრის განხილვა... – რედ.)

...რამდენიმე თვე გადის რაც ქალაქმა, ვარანცოვის ბაზრისა და მოსკოვის ქუჩების შესაკეთებლად 20000 მანეთი გადასდო, მაგრამ საქმეს ჯერ არ შესდგომია. დიდად შეწუხებულნი არიან ამ ქუჩებში მცხოვრებნი და გამვლელ-გამომვლელნიც. წვიმა ისე არ მოვა, ნავები არ იყოს საჭირო. ამნაირ მდგომარეობას დროა ყურადღება მიექცეს.

კოწია ჩიქოვანი

გაზ. „ ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 2 დეკემბერი, ორშაბათი, №2008, გვ. 9.

დრანდა (სოხუმის ოლქი). საუბედუროდ ჩვენდა, ერთი და ორი მაგალითი არ მომხდარა, რომ ჩვენ ქართველებს, რაიმე საკეთილო საქმე დაგვეწყოს და ჩვენსავე დაუდევრობისა და გულგრილობის მიზეზით საქმე დაღუპულიყოს. ეს არასანატრელი სენი - უშრომობა და ძარღვების მოდუნება – დაგვჩემდა და საჭიროა წამლობა. ამ ავადმყოფობას სხვათა შორის „დრანდის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების“ ახლანდელი გამგეობაც შეუპყრია და ამ 1902 წელს საზოგადოების მოქმედებაც

შეჩერებულია. თუ მართლა მთელი წელიწადი გამგეობა ავად არის, რატომ არას აცხადებს, რომ წევრთა კრება მოვახდინოთ და სხვა ჯანსაღი გამგეობა ავირჩიოთ?!

ამა წლის 31 იანვარს სოფ. დრანდაში საზოგადოების წევრთა კრება მოხდა და ახლანდელი გამგეობაც იმ დღეს არჩეული არის, მაგრამ ავირჩიეთ და იმით გათავდა საქმე, - არც გამგეობის წევრებმა არც თავმჯდომარემ და არც სარევიზიო კომისიის წევრებმა ყურიც არ გაიბერტყეს, რა არის, რა საქმისთვის ვართ არჩეულიო? პარკის საკლავი და სახმობი და იქვე მოშენებული მსახურთათვის ერთი ოთახი 600 მანეთამდე დაუჯდა საზოგადოებას და დღეს მთელი ეს ქონება შემოუღობავი, უპატრონოდ ტიალ მინდვრად არის მიგდებული პირუტყვთა თავშესაფარად. სხვა ნივთები ერთ დაუხურავ ოთახში შეუყრიათ და იქ ლპება წვიმისგან.

წევრი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 2 დეკემბერი, ორშაბათი, №2008, გვ. 9.

ღუმურიშის ტაძარი, XI ს.

1903

გაზეთი „ივერია“

ჩვენ გვატყობინებენ, რომ გაგრის კლიმატიურის სადგურის კურთხევა და დღესასწაული, სადგურის მოქმედების დაწყების გამო დანიშნულია 9 იანვრისათვის. გაგრა როგორც ვიცით, შავი ზღვის პირად მდებარეობს სოხუმის ახლოს. სადგურის კურთხევას ბლომად დაესწრებიან ბევრნი მაღალხარისხოვანნი კაცნიო.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. იანვრის 4, შაბათი, №3, გვ. 2.

სოხუმი

სოხუმიდან 10-11 ვერსის მანძილზედ სოფ. „გულრიპში“ მდებარეობს პ. შერვაშიძისა და გრაფ სოლოგუბის მამული, რომელზედაც სცხოვრობს 150 მოსახლე სამეგრელოდამ წამოსული მოიჯარადე.

ამ საბრალო ხალხისათვის არც წირვა-ლოცვა არსებობს და არც სხვა რამე ქრისტიანულის წესის ასრულება, რადგან არც თავ. პ. შერვაშიძისა და გრაფ სოლოგუბის მამულში, და არც მის ახლო-მახლო, ეკლესია არ მოიპოვება.

აქ ხშირად შეხვდება კაცი ცხრა-ათი წლის მოუნათლავს ბავშვს, ამ გვარ მოუნათლავს გარდაცვალებულს სადღაც ტყეში მარხვენ უკურთხს მიწაში. უმრავლესობა უზიარებლად იხოცება, რადგან დიდი გასაჭირია ათი-თხუთმეტი ვერსის სიშორიდამ მღვდლის მოყვანა და ხშირად შეიძლება, რომ მღვდელმა უარი განაცხადოს მათთან წასვლაზე, რადგან ეს მოიჯარადეები გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიების მრევლს შეადგენენ და არა სოხუმისას.

საჭიროა, ახლავე მიექცეს ყურადღება ამ საბრალო ხალხის მდგომარეობას.

მექი

გაზ. „ივერია“, 1903 წ. იანვრის 12, კვირა, №9, გვ. 3.

სოხუმიდან დეპეშით გვწერენ, რომ 5 თებერვალს აქაურ ქართველთა თაოსნობით გადახდილ იქმნა საკათედრო ტაძარში პანაშვიდი სამეგრელოს მთავრად ნამყოფის უგანათლებულესის თავადის მინგრელსკის სულის მოსახსენებლად, საზოგადოება მრავლად დაესწრო.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. თებერვალი , №32, გვ. 3.

სოხუმიდანვე გვეტყობინებენ, რომ იქურ ქართველობას მიუმართავს ორს თებერვალს ადგილობრივ მღვდლის გ-თვის და უთხოვიათ განსვენებულ უკანასკნელ მთავრად ნამყოფის ნიკოლოზის დავითის ძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაგვიხადეთო, მაგრამ მღვდელს უარი უთქვამს, დღეს ეკლესიის წესის ძალით პანაშვიდის გადახდა არ შეიძლებაო. ეს გარემოება ძლიერ გვაკვირვებს, რაღა მინგრელსკის სულის მოსახსენებლად არ შეიძლებოდა პანაშვიდი, მაშინ როდესაც ქუთაისში იმერეთის ეპისკოპოსმა და სხვა სასულიერო წოდებამ განსვენებულს კიევის მიტროპოლიტს დიდის ამბით გადაუხადეს პანაშვიდი!

გაზ. „ივერია“, 1903 წ. თებერვალი , №32, გვ. 3.

დღეს 28 მარტს, ათონში მიემგზავრებიან დედათა 1-ლი გიმნაზიის მეცხრე კლასის მოსწავლენი, მათ წაჰყვებიან თან დირექტორი და მასწავლებელნი გიმნაზიისა, მოსწავლენი დარჩებიან ცოტა ხნით სოხუმშიაც.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. მარტის 28 , პარასკევი, №70, გვ. 1.

გადაწყდა, რომ სოხუმში ნავთსადგური გაკეთდეს და ამისათვის დიდი ფულიცაა გადადებული, როგორც ამბობენ, ორ მილიონ მანეთზედ მეტიო.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აპრილის 12 , შაბათი, №79, გვ. 2.

სოხუმის ოლქის უფროსის ვ. კ. პროგულბიცკის თაოსნობით და ოჩემჩირის ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველის ბ. გ. ხორავას მეცადინეობით, ოჩამჩირეში არსდება სამურზაყანო – კოდორის ფრინველთა გამშენებელი საზოგადოება. ბ-ნს ხორავას უკვე მოუმზადებია საფრინველო; სასწავლებელს თხუთმეტ დესეტინამდე ადგილი ჰქონია.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აპრილის 19, შაბათი, №85, გვ. 2.

ახალ ათონის მონასტერს განუზრახავს ყოველ წლივ ხუთი ათასი მანეთი აძლიოს სტიპენდიებად შვილების სხვა-და-სხვა სასწავლებლებში აღსაზრდელად.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აპრილის 27, კვირა, №91, გვ. 2.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ გაგრიდან, რომ ქ. გაგრაში ენკენისთვიდამ დაიწყება მცენარეობისა და სასოფლო-სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაო. გაგრის გამოფენის გამგე კომიტეტი სთხოვს, თუ მოისურვებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, გამოფენის ექსპონატებს საზოგადოებამ დაუნიშნოს თავის მხრივ ჯილდოო, რადგან ჯილდო უფრო გაამხნევებს კერძო კაცთ და ფირმებს და სასოფლო-სამეურნეო საქმესაც წინ წასწევსო.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აპრილის 30 , ოთხშაბათი, №93, გვ. 1.

ქართული თეატრის არტისტები, ვ. აბაშიძის მეთაურობით, მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში, სადაც ყველა უმთავრეს ქალაქებსა და დაბებში წარმოდგენებს გამართავენ. ამ მოგზაურობაში მონაწილეობას იღებენ: მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ვ. ნებიერიძისა, კ. მესხი და სხვანი. პირველი წარმოდგენა იქნება სოხუმში 22 მაისს. წარმოადგენენ ა. ცაგარელის კომედიას „ხანუმა“-ს და ვოდევილს „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“. სოხუმში სამი წარმოდგენა გაიმართება. შემდეგ არტისტები ეწვევიან ფოთს, ოზურგეთს, ბათუმს, ქუთაისს და სხვ.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. მაისის 18, კვირა, №105, გვ. 1.

სოხუმი

თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში

22 მაისს საღამოზე სოხუმის „ბულვარში“ (ბაღი) სასეირნოდ გამოსულს ხალხში გაისმა მხიარული ჩურჩული „ილია ჩამოსულა, ილია გვეწვიაო“ და თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს ბაღში მოსეირნეს ჩვენს სახელოვანს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გაგრიდამ სოხუმში გამოევლო.

ყველას უნდოდა ახლოს დაენახა ეს სასიქადულო მამულიშვილი საქართველოსი, ყველა ჰნატრობდა მის ხმის გაგონებას და ფეხაკრეფით მისდევდნენ.

რასაკვირველია ბევრს ენიშნა ეს საგულისხმიერო სიტყვები. რადგან დღეს ისე გაძლიერებულა მამულების გაყიდვა აფხაზეთში, რომ ადვილად შესაძლოა, ჩქარა გამოეცალოთ ხელიდამ თავანთი მიწა-წყალი აქაურ მკვიდრთ...

ბოლოს ერთმა ახალგაზრდათაგანმა დაახლოებით შემდეგის სიტყვებით მიჰმართა თ. ჭავჭავაძეს: დღეს ზოგიერთმა თავიანთ-სიტყვების წარმოთქმის დროს ჩვენ გვიწოდა აღმოსავლეთის მოძმეთაგან მოწყვეტილი ქართველობა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს და სთქვას, რით უნდა ვიყვეთ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგან, როდესაც ჩვენისა და ჩვენს მოძმეთა შორის არაფერი დამაბრკოლებელი კედელი არ არის ამართულიო, მაგრამ ნამდვილად – კი ეს ასეა, რადგანაც ჩვენში არ არის გავრცელებული ის, რამაც უნდა შეაკავშიროს ერთმანეთთან, ე. ი. არ არის გავრცელებული ქართული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა და აი ამის წყალობით ვართ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგანაო.

როდესაც ჩვენში ფეხს მოიკიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა, მაშინ, სადაც უნდა ვიქმნეთ, ვერაფერი ვერ მოგვწყვეტავს ჩვენის ძმების გულიდამ და ეს რომ ასე იყოს, საჭიროა სოხუმში გაიმართოს სკოლა, რომელშიაც შეიძლებოდეს შესაფერი პირველ დაწყებითი აღზრდა მიიღოს მომავალმა ახალთაობამაო და სთხოვა თ. ჭავჭავაძეს, როგორც „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს იშუამდგომლოს სოხუმში წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის დაარსებისათვის.

სადილის შემდეგ ფოტოგრაფიული სურათი იქმნა გადაღებული სტუმართა და მასპინძელ საზოგადოების ჯგუფისა. შემდეგ თ. ილია ხელში აყვანილი, მიაცილეს ეტლამდე. ჩასვეს შიგ და აღტაცებულის ვაშას ძახილითა და სიმღერით გამოჰყვნენ უკან და მიაცილეს გემამდე.

კოლო

გაზ. „ივერია“, 1903 წ. ივნისის 4 , ოთხშაბათი, №118, გვ. 3.

სოხუმის ქალაქის საზოგადოება სთხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 2 კლასიანი სკოლა დაარსონ სოხუმში, რომელსაც თვით დაზოგადოებაც დაეხმარება.

გაზ. „ივერია“, ივნისის 8, 1903 წ. კვირა, გვ. 2.

წერა-კითხვის საზოგადოების კომიტეტმა სამშაბათს 10 ივნისს... დაადგინა ქ. სოხუმში თავისი სკოლა დაარსოს, რომელსაც ადგილობრივმა საზოგადოებამ შემწეობა აღუთქვა.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. ივნისის 12, ხუთშაბათი, №125, გვ. 1.

ქ. სოხუმს ნავთ-სადგურის შემოსავლიდგან მთავრობამ 93.000 მანათი დაუნიშნა.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. ივნისის 21, შაბათი, №133, გვ. 1.

გაგრა (აფხაზეთი)

მინისტრთა კომიტეტმა დააწესა დროებითი მმართველობა გაგრის საკლიმატო სადგურისათვის აფხაზეთში. ეს სადგური და მთელი მისი მიდამო 14 ათასი დესეტინა იქნება მის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მთავარგამგებლობაში. მართვა-გამგეობა ამ ქვეყნისა ადმინისტრატებულადა და მეურნეობის მხრივ დაევალება მის უფროსს, რომელსაც ჰნიშნავს თვით პრინცი საზოგადო წესისამებრ.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. ივლისის 11, პარასკევი, №150, გვ. 3.

ჩვენ გვატყობინენებ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული თ. სახოკია გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აგვისტოს 14, ხუთშაბათი, №173, გვ.1.

გაგრის მცენარეულობათა გამოფენის კომიტეტი გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ვისაც გამოფენისათვის საკუთარის პავილიონებისა და კიოსკების გაკეთება უნდა, ხის მასალა გაგრის სადგურის სამმართველოსაგან დაეთმობა. მისგანვე მსურველთ შეუძლიანთ იქირაონ 15 მანეთად გამოსაფენ ნივთების დასაწყობად შესაფერი კარავი, რომელიც 2 ჩორსო საჟენს ადგილს დაიჭერს.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აგვისტოს 21, ხუთშაბათი, №178, გვ. 1.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნებართვით, კავკასიის განყოფილება რუსეთის საბაღოსნო საზოგადოებისა ყაჭ-აბრეშუმის გამოფენას გამართავს ოჩემჩირეს, ჩოხატაურსა და ამაღლებაში.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აგვისტოს 21, ხუთშაბათი, №178, გვ.1.

გაგრის სამცენარეულოთა გამოფენის კომიტეტი გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს შემდეგი: კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც ცალკე პავილიონის დადგმა უნდა გამოფენაზედ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს, რომ გამოფენის დაწყებამდე შეამზადონ და ჯეროვნად მოაწყონ პავილიონის ადგილი.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. აგვისტოს 23, შაბათი, №180, გვ.1.

სამცენარეულო გამოფენა გაგრაში დაიწყება 19 დეკემბერს და მისი უმაღლესობა პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი დაესწრება.

გაზ. „ივერია“,1903 წ. 12 სექტემბერი, პარასკევი, №194, გვ.1.

სოხუმითგან ნოვოროსისკამდე გზატკეცილი ისე უნდა შეაკეთონ, რომ ავტომობილებმა იარონ. ამისათვის, როგორც „ნ. ო.“ შეუტყვია, გზათა სამინისტროს

მომავლის წლის სახელმწიფო სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში ორნახევარი მილიონი მანეთი შეუტანია. ეს გარემოება ვითომ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ შავი ზღვის ნაპირას რკინის გზას ან აღარ გაიყვანენ ან ძალიან შეაგვიანებენო.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 12 სექტემბერი, პარასკევი, №194, გვ.1.

გაგრაში გამოფენა დაიწყო პრინც ოლდენბურგელის თაოსნობით. გადაიხადეს პარაკლისი. დაესწრნენ ჩერნამორიის გუბერნატორი, მიწადმოქმედების სამინისტროსა და მთავარ-მართებლის წარმომადგენელნი. 300 ექსპონატზე მეტია.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 21 სექტემბერი, კვირა, №202, გვ.1.

როგორც ხმა ისმის, სოხუმის ქალაქის მოურავად არჩეული ვ. ნ. აბულაძე მთავრობას უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 26 ოქტომბერი, კვირა, №228, გვ.1.

შავი ზღვის პირად, სოჭიდგან ახალათონამდე და თუაფსედგან (ტუაფსე – რედ.) ნოვოროოსიისკამდე ახალ გზატკეცილის გაყვანა განუზრახავთ.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 10 დეკემბერი, ოთხშაბათი, №263, გვ.2.

სოხუმის ქალაქის თავად აურჩევიათ ბ-ნი ტომარა.

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 23 დეკემბერი, სამშაბათი , გვ.1.

სოხუმი

არც პატარა სოხუმმა დაივიწყა ცნობილი მწერალი და სიმართლისათვის მებრძოლი კოროლენკო. 15 დეკემბერს ამ მწერლის საიუბილეოდ გამართულ იქმნა აქაურის კლუბის დარბაზში სალიტერატურო და სამუსიკო საღამო.

საღამოს პროგრამა ასეთი იყო: კოროლენკოს ბიოგრაფიის გაცნობა, წაკითხვა რამდენისამე მისის რჩეულის თხზულებისა და შიგა და შიგ რამდენისამე გამოჩენილის კომპოზიტორის სამუსიკო თხზულების შესრულება.

სათეატრო დარბაზი სავსე იყო სოხუმის ეგრედ წოდებულ სუფთა საზოგადოებით. ცხრა საათზე აიხადა ფარდა და მაყურებელთ თვალ-წინ წარმოუდგათ სცენა. რომელიც წარმოადგენდა დაბურულს მტერს, ათას ფერ ყვავილებით აჭრელებულს. სცენაზე დადგმული იყო კოროლენკოს სურათი, შემკული მწვანითა და ყვავილებით; მარჯვნივ სურათს ედგა კათედრა, საიდანაც ლექტორები კოროლენკოს თხზულებებს უკითხავდნენ ხალხს. პირველად წაიკითხა ბ-ნმა ვორონოვმა კოროლენკოს მოკლე ბიოგრაფია, შემდეგ წაკითხულ იქმნა ბ-ნ ბელიავსკის მიერ მოხუცი ზარის მრეკავი (старый звонарь) და „ლოცვა კოროლენკოსი“. ბ-მა მარკოვიჩმა მშვენივრად წაიკითხა „მაკარის სიზმარი“ (сонъ Макара) ქ-ნ მეცხოვიჩისამ წაიკითხა „ბრწყინვალე აღდგომის წინა ღამეს“ (Ноч подъ светлое воскресенье). პიანინოზე სხვათა შორის დაუკრეს „ბაიათი“, მაგრამ ბაიათის მაგივრად რაღაც დაცინვა გამოვიდა ქართულის მუსიკისა, მომღერალთა შორის ყველაზე უფრო

მოეწონა ხალხს ქ-ნი დოლგოპოლსკაია, რომელიც იძულებული იყო რამდენჯერმე გამოსულიყო „ბისზე .“

ცა-ცა

გაზ. „ივერია“, 1903 წ. 30 დეკემბერი, სამშაბათი, გვ.2-3.

გაზეთი „კვალი“

კორესპონდენცია აფხაზეთიდან
(მიწათმფლობელობა, გადასახადები, უგზოობა, სოფლის სამიკიტნოები, ახირებული ამბვი)

როგორც მკითხველებს მოეხსენება, საკუთრივ აფხაზეთში, გარდა ორი სასოფლო საზოგადოებისა-ილორისა და ფოქვეშისა-საზოგადო მიწათმფლობელობაა, ესე იგი თვითოეულ სოფლის საზოგადოებას აქვს საკუთარი საზოგადო მამული-სამოსახლო, სახნავ-სათესი, საბალახო და ტყე. თუ რაში მდგომარეობს საზოგადო მიწათმფლობ-ელობა, ეს ყველას მოეხსენება და ამიტომ აქ მის, შესახებ არაფერს ვიტყვი. მხოლოდ უნდა შევნიშნო, რომ აფხაზეთში საზოგადო „პლანში“ თავად-აზნაურთაც წილი აქვთ, როგორც თვითონ გლეხსა, თუმცა აქ თავად-აზნაურთ თვითეულს ცალკე გვარისა, თუ სამსახურის მიხედვით მიეზომათ კერძო საშვილიშვილო საკუთრებათ მამულები, „პლანები“. თუმცა კანონით განსაზღვრულია, თუ თვითეულ მოსახლეს შეუძლიან ისარგებლოს საზოგადო მამულით როგორ და რამდენით, გარნა კანონი კანონათ რჩება, ცხოვრება კი შვრება: სარგებლობს საზოგადო ქონებით ის, ვისაც მეტი შე-ძლება და ღონე აქვს და ამისთვის კი არავითარს ძალას, ან ზედმეტ გადასახადს არ იხდის. თავად-აზნაურობა და შეძლებული გლეხები ღარიბ ხალხთან შედარებით მეტს სარგებლობენ: საბალახოს, რომ თავი დავანებოთ, სახნავ-სათესი და მით უფრო მეტი ტყე მათ სახრავათ გადაქცეულა – აშენებენ სახლებს, ყიდიან ჩუმ-ჩუმათ ხის მასალას საზოგადოების გარეშე, შეშას უანგარიშოთ ეზიდებიან და სხვა და სხვ.

აფხაზეთი უგზოობით განთქმულია. მთელს აფხაზეთს ისე შემოიართ, რომ ვერც ერთ სოფელში გზათ რომ უწოდო, იმისთანა გზას ვერ ნახავთ. ამ მხრივ აფხაზეთი ჯოჯოხეთია ზამთრობით: აქ სიარული არამც თუ ფეხით, ცხენითაც შეუძლებელია. ამ საჭირბოროტო საქმეს ყურადღებას არავინ აქცევს. ის ერთად-ერთი გზატკეცილი, რომელიც აერთებს ქუთაისის გუბერნიას ქალაქ სოხუმთან, წარმოუდგენელ მდგო-მარეობაშია, ამ გზით არავითარ ეტლს არ შეუძლია ზამთრობით სიარული. ერთი ნაწილი ამ გზისა – სოხუმიდგან მდინარე კოდორამდის 20 ვერსტის მანძილზე გვარი-ანი იყო და ამ გზაზე მუშაობდა შვიდი თუ რვა დილიჟამზე აუარებელი ურმები, ეტლები, დროგები და სხვა და ადგილობრივ მთავრობაც ყურადღებას აქცევდ მისს შეკეთებას.

სამწუხაროთ, ამ უკანასკნელ დროში ხელი აიღო ამაზე და მდ. მაჭარიდან სოფ. დრანდამდის გზა ერთიან ლაფად არის ქცეული.

მთელმა ზემო აფხაზეთმა, უგზოობით შეწუხებულმა, მოიყარა თავი და განაჩენი დაადგინა – გაიღოს ფული და ყოველ სოფელში თითო გზა-ტკეცილი გაიყვანოს.

ეს განაჩენი დასამტკიცებლათ მთავრობას წარედგინა, მთავრობამ გზების გაყვანა საჭიროთ იცნო, მხოლოდ ფულის გაღებაზე და იჯარით გაცემაზე უარი უთხრა საზოგადოებათ: თითონ თქვენ გააკეთეთო. ამით კი საქმე შეფერხდა, – აფხაზს თავის საქმეც ვერ გაუკეთებია, არა თუ საზოგადო-სასოფლო საქმე! თავისი ხასიათი იცოდნენ აფხაზებმა, რომ დაადგინეს ფული გავიღოთო...

ამ უკანასკენელ შვიდი რვა წლის განმავლობაში სოფლათ აფხაზეთში სოკოსავით გამრავლდა სამიკიტნოების, ფართლისა და საბაკალეინო სავაჭრო დუქნები და არც არავინ ხელს არ უშლიდა სოფლის ჩარჩ-ბაცაცებს; მხოლოდ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ადგილობრივმა პოლიციამ გაუჭირა საქმე მიკიტნებს. ამ უკანასკნელთაგან წარმოდგენილი განაჩენი, რომლითაც სოფლის საზოგადოებანი ნებას რთავდენ თავთავიანთ საზოგადოებაში ვაჭრობისას, პოლიციამ არ დაამტკიცა და არ მისცა „პატენტის“ აღების ნება. ატყდა საჩივარი საჩივარზე, მაგრამ ვერას გახდენ. მერე ზოგიერთმა მიმართა ხრიკს: პოლიციის ნებადაურთველათ სააქციზო გამგეობიდან საჭირო ნებართვა აიღეს და გააჩაღეს თავიანთი ვაჭრობა, დაბოლოს მაინც მთავრობამ თავისი გაიტანა და თითოულ საზოგადოებაშო თითო სამიკიტნოს გახსნის ნება დართო. აი ახლა უფრო ბედნიერი, მე თუ შენო! არავითარ ხარჯსა და შრომას არ ერიდებიან, ოღონდ ეს ერთნაირი „მონოპოლია“ ჩაიგდონ ხელში. მასთან ეს შეჯიბრება, უკეთ რომ ვთქვათ ..ტორგი“, აშკარათ ხდება. მაგ. არის პატარა ახალშენი, ბოლგარელებით დასახლებული, ჩვენებურათ „წყიბიან“ (წყაბა), Дранды-ათ მონათლული. აი აქაურ მედუქნეთა შორის გაიმართა ვაჭრობა და ერთმა 412 მანეთათ სოფლის საზოგადოებისაგან შეიძინა „განაჩენი“, რომელიც პატენტის აღების ნებას რთავს... რასაკვირველია, ეს 412 მანეთს იმავე საზოგადოებისაგან დაიბრუნებს მევახშურ პროცენტით. საზოგადოთ ეს ახირებული „მონოპოლია“ სოფელს პროცენტით. საზოგადოთ ეს ახირებული „მონოპოლია“ სოფელს რჩეულ და, მისი აზრით, ბედნიერ კაცის მსხვერპლადა ხდის...

ამ მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია მაქსიმოვის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშები. საქმე იმაშია, რომ წლევანდლამდე მუშებს ქონდათ საშუალება სისხლითა და ოფლით ნაშოვნი გროშებით ეცხოვრათ თავიანთ ნებაზე, რადგანაც ქარხნის ახლომახლო ბევრი სამიკიტნოები და სასადილოები იყო გამართული. მართალია მას, მუშას, არაფერი რჩებოდა და მისი ოფლით და სისხლით ნაშოვნი გროშები ისევ მიკიტნის ჯიბეში ჩადიოდა, მაგრამ აქ სამიკიტნოს არჩევის უფლება მაინც ჰქონდა: ერთი მიკიტანი არ მოეწონებოდა, მეორესთან დაიწყებდა ხარჯვას. წლევანდელმა წელიწადმა კი ეს უფლება წაართვა: ვაჭრობის ნება დართეს მხოლოდ ქარხნის დუქანს, რომელიც, მიუხედავათ კანონისა, მაგარ სასმელებითაც ვაჭრობს. მასთან დუქნის მოიჯარადრეს აქვს აღებული ხსენებულ ხე-ტყის ქარხანაში უმთავრესი სამუშაო და ამ რიგათ მთელი კვირა საწყალი მუშა ოფლის ღვრაშია, შაბათს კი – ხარჯში „გამოუჩოთქავენ“! ასეთი მშვენიერი წესებია მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხანაში!

ერთი ამბავიც. ერთ ახალგაზრდა ყმაწვილს მოეწონა და შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი, მეზობლის ასული. შეყვარებულთა საუბედუროდ, ესენი სხვადასხვა წოდებას, რუსის კანონით არ ცნობილს წოდებას ეკუთვნიან: ქალი „წმინდა“ გლეხის შვილია, ვაჟი – ნაყმევის შვილი! შეყვარებულებმა იცოდნენ, რომ ქალის მშობლები და მათთან ერთად „წმინდა“ გლეხები ნებას არ მისცემდენ შეუღლებისას

და ამიტომ ისინი გაიპარნენ. და ვაი საკვირველებავ! ასტყდა ერთი ალიაქოთი, როგორ თუ ნაყმევმა ქალიშვილი წაგვართვაო! გაიყო სოფელი ორ ნაწილათ: ერთ მხარეს წმინდა გლეხები, მეორეს ნაყმევები, ჯერ-ჯერობით ლელო წმინდა გლეხებს დარჩათ! რაღაცა ხრიკებით და შავ-ბნელი ძალების დახმარებით ნაყმევს ქალი წაართვეს, თუმცა ეს უკანასკნელი ცხვიპირს იხოკს და სტირის: ემის მეტი სხვა არავინ მინდა ქმრად, გინდ ახან-იფა (წარჩინებული თავადიშვილთა გვარია) იყოსო“ მაგრამ მის სიყვარულს და სურვილს ვინ აქცეს ყურადღებას, ოღონდ წმინდა გლეხთა „სისხლი“ არ წახდეს, არ დამცირდეს ნაყმევის სისხლის შერევით. საწყალი ვაჟი გახელებული ტყე და ველათაა გავარდნილი და დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა, რომ სთქვას კაცმა: ან ვინმეს მოკლავს ან ვინმეს თავს შეაკლავს.

დროებით სოხუმელი

გაზ. „კვალი“, 1903 წ. 9 მარტი, კვირა, №11, გვ. 176.

30 იანვარს სოხუმში გარდაიცვალა ახალგაზრდა ექიმი დავით გიორგობიანი. მან თარგმნა სახალხო-სამეცნიერო წიგნაკი „ცა და დედამიწა“ ივანოვისა. რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა 1894 წ.

გაზ. „კვალი“, 1903 წ. 9 თებერვალი, კვირა, №7, გვ. 110.

საქართველოს ეპარქიაში წასულ სამოსწავლო წელს 198 სამრევლო-საეკლესიო სკოლა ყოფილა. აქედან მეორე ხარისხის სკოლა ყოფილა – 2, ორკლასიანი – 8, ერთკლასიანი – 4. 144. სკოლაში ორსავე სქესის მოწაფენი ერთად სწავლობენ. 25 სკოლაში მხოლოდ ვაჟები არიან, 29-ში მხოლოდ ქალები. სულ სამრევლო სკოლებში გასულ წელს ითვლებოდა 8592 მოსწავლე. აქედან ვაჟი იყო 5075, ქალი 3521, ასე რომ თითო სკოლაზე 43 მოწაფე მოდის. სარწმუნოებით განიყოფებიან ასე: მართლმადიდებელი 7742, სომეხ-გრიგორიანი 491, სექტანტი და მწვალებლები 247, მაჰმადიანი 61, კათოლიკე 25, პროტესტანტი 2.

გაზ. „კვალი“, 1903 წ. 7 ივლისი, კვირა, №23, გვ. 361.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სავაჭრო ზღვაოსნობისა და ნავთ-სადგურების უმთავრეს მმართველობაში ამ ჟამად ადგენენ პროექტს სოხუმის ნავთ-სადგურის გადაკეთების შესახებ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 6 იანვარი, ოთხშაბათი, №2033, გვ. 3.

წერილი აფხაზეთიდან
მოურავეები და მოიჯარეები

როგორც სხვაგან, აფხაზეთშიაც მემამულეებს დიდ ძალი ადგილი უჭირავთ და მოიჯარეებად გლეხები ჰყავთ. მოიჯარენი თითქმის სულ სამეგრელოს მკვიდრნი არიან; ესენი უმიწობისა გამო გადმოხვეწილან და თავიანთ ცოლ-შვილით

სხვის მამულში დასახლებულან, რომ დღიური ლუკმა მაინც იშოვნონ და შიმშილს დააღწიონ თავი. მოიჯარადე აქ მემამულეს აძლევს მეოთხედს მოსავლისას, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, რამდენს ჯარიმას ახდევინებს მოურავი, რამდენ მეტს წაართმევს, მაშინ გამოვა, რომ მოიჯარადრე მემამულეს თითქმის ნახევარსაც აძლევს. ეს კიდევ არაფერია; სანამ ბუნებით მდიდარი ნიადაგი არ გამოიფიტება, ეს იმდენად საზარალო არ არის მოიჯარადრესთვის. სავალალო ის არის, რომ ალაგ-ალაგ მოურავებმა ნამეტან სიმკაცრეს მიჰყვეს ხელი, ისე, რომ იმათ თვითნებობას საზღვარი არა აქვს. ერთის თავადის მამულის მმართველმა გამოუცხადა ერთ სოფელში მოიჯარდეებს, რომ არამც და არამც ამიერიდან არც ერთი ღორი არ იყოლიოთო; ჯერ კიდევ გამოცხადების წინა დღეებში მმართველს შეუნიშნავს, რომ შარაზე ღორი დაცვივნულ კაკალს ეძებდა, ამაზედ განრისხებულა, შარას თხრიან ღორებიო, და ორიოდე იქვე მოუკლავს. შემდეგ ამისა ზემო ხსენებული ბრძანება გაუცია. სოფელი ძალიან შეწუხდა. რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ, ამბობენ ყველანი, სხვაგან სად წავიდეთ, მამული არა გვაქვს, აქ კი ღორსაც არ გვიყენებენო. უხორცოდ როგორ დავხვდეთ დღესასწაულ უქმეებს, ლხინსა და ჭირსაო! მართლა და რატომ არ ფიქრობს ბ-ნი მოურავი, რომ სოფელი უშინა პირუდტყვოდ ვერ გაძლებს. თვითონ მოურავიც სამეგრელოს მკვიდრია და სოფლელთა იქაური მეზობელი და რატომ არ შედის ხალხის მდგომარეობაში? ესეც არ აკმარა მოურავმა და მოიჯარადეებს წელს 4-4 ფუთი სიმინდი ზედმეტი გადაახდევინა თითო – კომლს.

უცნობი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 8 იანვარი, ოთხაბათი, №2034, გვ. 3-4.

როგორც ვწერდით, მალე სოხუმში საბჭოს ხმოსანთა არჩევნები უნდა მოხდეს. სულ ამ ქალაქში 543 ამომრჩეველია. აქედან 232 ქართველია, 225 რუსი და 86 ბერძენი და სომეხი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 11 თებერვალი, სამშაბათი, №2066, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მომავალი აპრილისათვის.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 25 მარტი, სამშაბათი, №2107, გვ. 2.

მკითხველებმა უკვე იცინ, რომ 28 აპრილს სოხუმში ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდება, როგორც გამოცხადებულ სიიდანა სჩანს, სოხუმში სულ 440 ამომრჩეველი ყოფილა, აქედან ქართველი 183-ია.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 4 აპრილი, პარასკევი, №2115, გვ. 3.

სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ 30 აპრილს იქ მოხდა საბჭოს ხმოსნებისა და მათის კანდიდატების არჩევნები. აურჩევიათ 38 ხმოსანი და 1 კანდიდატი, ნაცვლად 8 კანდიტატისა; დანარჩენ კანდიდატების არჩევანისათვის დაინიშნება დამატებითი არჩევნები.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 7 მაისი,შაბათი, №2140, გვ.2.

წერილი სოხუმიდან

ორშაბათს, 29 აპრილს, სოხუმში მოხდა საქალაქო არჩევნები ადგილობრივ საბჭოს განსაახლებლად. როგორც მოსალოდნელი იყო, სოხუმში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია, ხმოსნებადაც ქართველები მეტი იქმნა არჩეული. სულ კენჭი იყარა 76 კაცმა, ამათგან არჩეული იქმნა ხმოსნად 38 კაცი და ერთიც კანდიდატად. ამოსარჩევი დარჩა კიდევ 7 კანდიდატი, რისთვისაც დაინიშნება დამატებითი არჩევნები. ამორჩეულ 38 ხმოსნიდან და 1-ის კანდიდატიდან 23 ქართველია, 14 რუსი და 2 ბერძენი. აი, სია სოხუმის ახალ საბჭოს ხმოსნებისა 1903-1907 წლიბისათვის:

ა.ა. ოსტროუმოვი პროფესორი (ამოუვიდა 145 თეთრი კენჭი და 19 შავი);
ვ.ი. კატლიაროვი, სოხუმის პოლიცმეისტერად ნამყოფი (118-145);
ა.ვ. დალი, ბანკის დირექტორი (102-61);
ლ.დ. ჟუდრა, ტეხნიკი (98-65);
ს.ს იაკობიჩი, მოხელე (114-49);
თ.მ. გაბუნია, ვაჭარი (131-31);
ვ.ლ. გოგრიჩიძე, ვაჭარი (123-40);
კ.გ. წეროძე, ვაჭარი (113-50)
ი.ზ. ცეცხლაძე, ვაჭარი (109-53)
გ.ბ. გვალია, ვაჭარი (120-43)
პ.გ. კეთილაძე, ვაჭარი (97-66)
გ.პ. თურქია, ვაჭარი (112-51);
ე.ლ. მარკოვი, გადასახადთა ინსპექტორი (115-48)
ნ.ი. გოგიჯანოვი, აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა (115-48)
ი.ტ. ლოლუა, ვაჭარი (107-56)
ნ.ტ. ჩიქოვანი, ვაჭრის შვილი (121-56)
თავადი ი.გ. შერვაშიძე (111-52)
ს. ს თურქია, ვაჭარი (85-78)
ლ. ვ. თოფურიძე (92-71)
ა. ვ. შუშულია (90-73)
მ. ვ. კნიშენკო, ბუხჰალტერი (91-72)
შ. ი. კირტაძე, ვაჭარი (101-62)
ნ. ნ. მეტაკასა, დამზრვევ საზ-ბის აგენტი (95-68)
პ. გ. გუგუშვილი, ვაჭარი (101-62)
ტ. ნ. ზახაროვი, ნაფიცი ვექილი (98-65)
ი. ს. გვაზავა, ვაჭარი (93-70)
გ. ბ. კისნერი, რუსეთის სანოვასნო საზ. ბის აგენტი (99-64)
ი. შ. ბაბაჯან, ვაჭარი (84-79)
თავ. აგ. შერვაშიძე (106-57)
როდზევიჩი, მომრიგებელ შუამავლად ნამყოფი (83-80)
პ. ფ. მარეცკი, ექიმი (101-62)
ა. ი. როდიჩი, მოხელე (98-65)
გ. ს. თოფურიძე, ვაჭარი (90-73)
ტ. ი. ანუა, ვაჭარი (98-57)

გ. ტ. ბარკალაია, ვაჭარი (88-67)
გ. ტ. ჩერქეზიშვილი, მოხელე (83-72)
დ. ნ. მეტაკსი (84-71)

ამათგან ბ. როძევიჩი ჩაირიცხება კანდიდატად, დანარჩენები ხმოსნებად დამატებითი არჩევნები მალე დაინიშნება და შემდეგ არჩევნები წარედგინება დასამტკიცებლად ქუთაისის გუბერნატორს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 4 მაისი, კვირა, №2141, გვ. 4.

სოხუმში არსებობს სასოფლო სამეურნეო სამეურნეო სადგური. არის მიწათმოქმედების სამინისტროს, როგორც „ჩერ. ვეს“-ს გაუგია, ამ სადგურთან აპირებს საარქელოგო და საბოტანიკო მუზეის დაარსებას.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 8 მაისი, ხუთშაბათი, №2145, გვ. 2.

წერილი სოხუმიდან
დამატებითი არჩევნები

როგორც გწერდით, 29 აპრილს ამოირჩიეს 38 ხმოსანი და 1 კანდიდატი. დააკლდა 7 კანდიდატი. ამ 7 კანდიდატის დამატებითი არჩევნები იყო დანიშნული 8 მაისისათვის. 5 საათზედ ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნმა კორჩიცმა კრება დაიწყო. დასახელებული იყო 60 კანდიდატი. მათში კენჭი იყარა მხოლოდ 14 კაცმა. ამორჩეულ იქნა 7, დანარჩენი 7 გაუშვეს. სწორედ იმდენი ამოირჩიეს რამდენიც საჭირო იყო, აი, სია ამორჩეულთათვის.

დ. ა. მგალობლიშვილი (80 თ. 51 შ)
ა. რატიანი (63-51)
ა. ი. მარღანაძე (63-51)
გ. ი. გვაზავა (58-56)
გ. ფ. ზაგრაფოპული (59-54)
გ. კ. ვოინიკოვი (59-55)
ნ. ე. იამადოპული (57-56)

ამათში 4 ქართველია, 1 რუსი და 2 ბერძენი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 14 მაისი, ოთხშაბათი, №2151, გვ. 2.

სამშაბათს, 13 მაისს, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა მოწერილობა გაგრაში მცენარეულობის მომწყობ კომიტეტისა, რომელიც საზ-ბას შემწეობის აღმოჩენას სთხოვს გამოფენის გამართვის საქმეში. საბჭომ დაადგინა, გაგრის გამოფენის ექსპონატების დასაჯილდოებლად კომიტეტს გაეგზავნოს მედლები: 1 დიდი და 2 პატარა ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი. ამავე დღეს საბჭომ განიხილა მიწათმოქმედების დეპარტამენტის მოწერილობა. დეპარტამენტი სთხოვს ცნობებს იმის შესახებ, ჩვენში სასოფლო სამეურნეო მუშაობის დროს, როგორ არის მოწყობილი სასანიტარო სამკურნალო შემწეობის საქმე. საბჭომ დაადგინა, დაავალოს ზოგიერთ მეურნეთ, შეკრიბონ ცნობები და პირადაპირ დეპარტამენტს გაუგზავნონ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 15 მაისი, ხუთშაბათი, №2151, გვ. 2.

ამბობენ საბოლოოდ გადაწყდა მიმართულება შავის ზღვის პირად განზრახულ რკინის გზისაო. რკინის გზა დაიწყება ჩრდილოეთ კავკასიაში არმავირის სადგურთან, გაივლის მაიკოფსა, ტუაფსესა, სოხუმსა და შემდეგ ახალ სენაკში ჩავა.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 25 მაისი, კვირა, №2161. გვ. 2.

წერილი სოხუმიდან
სოხუმის ამბები

როგორც მკითხველს ეცოდინება, სოხუმის ოლქში მემამულეებმა თავინთი მიწა-ადგილი გაყიდეს. ვისაც გადარჩა რამ, ისინიც ეშურებიან მამულის მოშორებას. თუ საქმე ასე წავიდა, ხუთი წლის შემდეგ ჩვენს მემამულეებს ფაცხის დასადგმელი ადგ-ილიც აღარ ექნებათ, ადგილი ჩალის ფასად გაჰყიდეს, ფული ოხრად გაჰფლანგეს და მომავალზე რას ჰფიქრობენ, ალაჰმა უწყის!

სოხუმში არც სამკითხველოა, არც რაიმე ხეირიანი გასართობი ადგილი. არის ერთად-ერთი კლუბი სოხუმელ „არისტოკრატისათვის“, ერთიც კოჭლი წიგნის მაღა-ზია და სტამბა. ნოქრები თავისუფალ დროს ლოთობაში ატარებენ, ამასთან იშვია-თად შეხვდებით სოხუმში ისეთ ნოქარს რომელსაც კითხვა უყვარდეს. უქმე დღეებში დუქნები დაკეტილია. მაგრამ საქმე დღეს მოსამსახურე დილის 7-8 საათიდან ღამის 12-2 საათამდე ფეხზე უნდა იდგეს. სისასტიკე თავის ხელქვეითთადმი ხომ აუწერე-ლია. სასურველია, როგორც დაკეტილა, ისე მაღაზიების გაღება ცხრა საათზე ადრე არა ხდებოდეს.

სოხუმის პატარა ბულვარი ხანდახან ისე გაივსება ხოლმე მოსეირნეებით, რომ გავლა გასაჭირი ხდება. საკვირველი კია, რომ რუსეთის „ნიცას“ ჩვენში ასეთი პატარა ბულვარი აქვს.

კ. გვასალია

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 29 მაისი, ხუთშაბათი, №2164, გვ. 3.

სოხუმი

2 ივნისს მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. აირჩიეს თავმჯდომარე.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 29 მაისი, №2176, გვ. 2.

სოხუმის ქართველობის შუამდგომლობა სკოლის დაარსების შესახებ „ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ-ბის“ გამგეობამ განიხილა 10 ივნისს და დაადგინა აღძრას შუამდ-გომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, ნება მიეცეს საზ-ბას დაარსოს სოხუმში სასწავლებელი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 12 მაისი, ხუთშაბათი, №2178, გვ. 2.

პირველი ივლისიდან ბათუმისა, ართვინისა და სოხუმის ოლქები ქუთაისის გუ-ბერნიას ჩამოეცლება. პირველ ორს შეართებენ და შეადგენენ ერთ ოლქს, რომელსაც ეყოლება ცალკე გუბერნატორი, ერთი სიტყვით, სრულიად დამოუკიდებელი იქმნება.

რაც შეეხება სოხუმის ოლქს, იგი პირდაპირ კავკასიის მთავარ-მართებელს დაემორ-ჩილება...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 13 ივნისი, პარასკევი, №2179, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). ორის წლის წინათ ოჩამჩირეს მეტი სიცოცხლე ეტყობოდა. ეხლა დიდ, მაგრამ მიყრუებულ, სოფელსა ჰგავს. დაბა სანიტარის მხრივ მეტად დაქვეითებულია. ყოველგან „ქუჩების“ თხრილში და ქუჩებზედაც დამპალი წყალი სდგას; წყალში ტივტივებს ქათმის ბურტყლი, დამპალი ვირთაგვები და სხვა. ბაყაყების ყიყინმა ხომ სმენა წაიღო. ქუჩების ნაპირებზე იმ სიმაღლე ანწლი ჰხაროობს, რომ შორიდან სახლების სახურავიღა მოსჩანს. მცხოვრებთა რიცხვი 2000-ზედ მეტია. აქა ცხოვრობს კოდორის ნაწილის უფროსი და ბოქაული.

დუქნები და მაღაზია 100-ზე მეტია, ვაჭართა უმრავლესობას ლაზები შეადგენენ ოჩამჩირეში. ოსმალეთის ქართველებს დიდი სახელი აქვთ. რკინის გზის გაყვანას ოჩამჩირელები დიდი იმედით შეჰყურებენ. ამას გარდა არის ტყვარჩელის მადანი, რომლისგან ოჩამჩირელები ძალიან ბევრს გამოველით.

კ. გვასალია

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 16 ივნისი, ორშაბათი, №2182, გვ. 2.

შავი ზღვის პირად რ. კ. გზის გაყვანა მიენდო ინჟინერს ყოფილი ამიერ. კავკ. სარკ. გზის უფროსს პუშეჩნიკოვს, თანაშემწედ ინჟ. აკორონკოს ნიშნავენ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2187, გვ. 2.

წერილები გაგრიდან (ახალი გაგრა)

ამას წინათ გაგრა უნდოდათ მიეწერათ შავი ზღვის პირის გუბერნიისათვის. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორი არ დათანხმდა...

... ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, სოხუმის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი ჩაირიცხოს ქალაქ სოხუმის საპატიო მოქალაქედ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 8 ივლისი,სამშაბათი, №2203, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ამ დღეებში იყო აქ სახალხო სკოლების ინსპექტორი ბატონი იზმაილოვი, რომელსაც საზოგადოებამ სთხოვა, ეხლანდელ ორ-კლასიან სასწავლებლის გადაკეთება საქალაქო სკოლად. არ შეიძლება სიამოვნებით არ მივეგებოთ ამ აზრს, მით უფრო რომ დღევანდელ ორ-კლასიან სასწავლებლის შენობა (ოჩამჩირელების ხარჯით აშენებული) სრულიად საკმარისია საქალაქო სკოლისათვის. ამას გარდა ორკლასიანი სასწავლებელი ნივთიერად ისე უზრუნველყოფილია, რომ საქალაქო სკოლისათვის ბევრის მომატება არ დასჭირდება, საზოგადოებამ სიამოვნებით აღუთქვა დახმარება და თხოვნაც გაიგზავნა, სადაც რიგია.

დაბა აძ-ჭვიაში რამდენჯერმე ჰნახეს ნიანგის (კროკოდილი) მსგავსი ცხოველი.

როგორც სჩანს მსგავსება სრულიად ნიანგისა აქვს, თუმც საკვირველია, საიდან უნდა გაჩენილიყო ჩვენში ნიანგი.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 13 აგვისტო, ოთხშაბათი, №2235, გვ. 3.

სოხუმის ნოქრები ითხოვენ სამუშაო დროის შეზღუდვას.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2239, გვ. 1.

სოხუმსა და სოჩაში მთლიან გზათა მინისტრს თავ. ბილკოვს და ფინანსთა მინისტრად ნამყოფ მინისტრ. კომიტეტ. თავმჯ. ს. ი. ვიტზეს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2243, გვ. 2.

სოხუმი

21 სექტემბერს ადგილობრივ კლუბის დარბაზში მსახიობის ქუჯის მონაწილეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ცაგარელის კომედია „ბაყუში“ და აკაკის ვოდევილი „ბუტიაობა“. ბოლოს დივერტისმეტი გაიმართა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი მაჭავარიანისა, ნ. თურქია, ბარკალაია, მაკ. თურქია, ბ-ნნი ქუჯი, ხახიაშვილი და ქორქია. დივერტისტმენტში მონაწილეობა მიიღო ქ-ნთ კოტლიარევამ, კოვალსკიმ, ზუღბაიამ. როგორც წარმოდგენამ ისე დივერტისტმენტმა კარგად ჩაიარ. ბ-ნმა კოვალსკიმ ბევრი აცინა საზოგადოება. როგორც ბატონი ქუჯი ისე სხვანი მადლობის ღირსნი არიან წარმოდგენის გამართვისათვის. ხალხი ბლომათ დაესწრო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. კვირა, 28 სექტემბერი, №2277, გვ. 4.

სამხედრო ბეგარის საქმეში სოხუმისა და ბათუმის ოლქები ისევ ქუთაისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს დაექვემდებარებიან.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. ორშაბათი, 13 ოქტომბერი, №2291, გვ. 1.

დრანდრა (აფხაზეთი). კვირას, 12 ოქტომბერს, აქ მოვიდა ფრანგი მოგზაური ბარონ-დე-ბაი. ბარონ დე-ბაიმ აქ მხოლოდ დრანდის მონასტერი დაათვალიერა და ისევ სოხუმს დაბრუნდა, საიდანაც გაგრას მიემგზავრება...

... იხ. ასევე აბრეშუმის მოსავლის შესახებ.

აქაური

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 19 ოქტომბერი, კვირა, №2297, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან (სვანეთის თავგადასავალი)

ადგილის სიძვირემ და სიმწირემ კალმით აუწერელმა და ენით გამოუთქმელმა გაჭირვებამ – სისაწყლემ „სალის კლდის“ მამა-პაპათა სალოცავების მოყვარე სვანებსაც კი გადააწყვეტინა აყრა და სხვაგან, შორს ძებნა მამულისა ძებნა ბევრის სახნავ-სათესისა და საძოვრისა კი არა, – სულ მცირედისა, რომ სვანის არა რთული, მეტად ელემენტალური და მოკრძალებული ცხოველური მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

სვანებს დასავლეთ საქართველოში მარტო ზამთრობით ვხედავდით ჩამოსულებს თავიანთ მიუვალ მთებიდან, დროებით, რამდენისამე თვის განმავლობაში სამუშაოს და ორიოდ გროშის საშოვნად. ამ ვაინაჩრობით სისხლის ღვრით ნაშოვნი ფულით გაზაფხულზე ბრუნდებოდნენ ისევ სამშობლო კუთხეში მეორე ზამთრის დადგომას ელოდებოდნენ, რომ მხარზე ბარებ-შედებულნი ისევ ჩამოსულიყვნენ ბარად (გურია-სამეგრელო-აფხაზეთში) სამუშაოს საძებნელად (მიწის სათხრელად).

მაგრამ, ეტყობათ, ასეთმა ცოდვილმაც ვერა უშველა სვანებს, ეტყობა, გაჭირვების ფიალა პირთამდე მოიყარა, რომ გადაწყვიტეს სულ დაენებებინათ სამშობლოს სოფლებისათვის თავი ზამთარშიაც ზაფხულშიაც. ამ ორი წლის წინად ამგვარად აყრილი სვანები პირველად შემოეხიზნენ სოხუმის ოლქს, მაგრამ შემოხიზნებაც გახლავთ შემოხიზნებაც. უეჭველია აყრილ სვანებს იმედი ჰქონდათ, რაკი აფხაზეთში გადავალთ, მიწა გვექნება, ადმინისტრაცია ხელს შეგვიწყობს, ჩვენ გავირჯებით, მივდგებ-მოვდგებით, ღმერთიც შეგვეწევა და განვლილი ჭირი ლხინად გადაგვექცევაო.

ასეთის იმედით აღფრთოვანებული იყო ოცდაერთი კომლი სვანებისა, რომელნიც ამ ორის წლის წინად სოფ. ეცერიდან (სადადიშქელიანო სვანეთშია) გადმოსახლდნენ აფხაზეთის სოფ. პტიშში. (კოდორის ხეობაში, ჩალთის ზემოთ). როგორც მოგეხსენებათ, აფხაზეთში სახაზინო მიწებზე მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ გლეხთა აქვთ ნება დაბინავებისა. სვანებმაც კარგად იცოდნენ, რომ მათ მიწას უსასყიდლოდ არავინ მისცემდა. და რაკი ეს იცოდნენ, სახელმწიფო ქონებათა უწყების წარმომადგენელისაგან (მეტყევისაგან) ერთის წლის ვადით იჯარით აიღეს დესეტინა მანეთად. მიწა აიღეს, ცოლ-შვილი ჩამოიყვანეს და შეუდგნენ დასახლკარებას. თან გულუბრყვილოდ იფიქრეს, მართალია, ერთის წლით ავიღეთ, მაგრამ რაკი სახელმწიფოა მიწა და ჩვენც ხელმწიფის ხალხნი ვართ, ერთის წლის შემდეგაც შეგვიძლია გაჩერება და ცხოვრებაო. მართალია, საკუთრებად და უსასყიდლოდ ვერ ვიშოვით მიწას, მაგრამ რა გაეწყობა, ხელმწიფესაც სამსახური უნდა, იჯარის ფულს გადავიხდით და მაშინ ხელს არავინ გვახლებსო.

ახალ მოსულებს პირველ წელიწადს მოსავალი (სიმინდი) კარგი მოუვიდათ აფხაზეთის ნოყიერ მიწაზე. გაიჩინეს საქონელი. მიდგნენ-მოდგნენ ისე სამუშაოც იშოვნეს და გამჩენს მადლობა შესწირეს, რომ ახალ სამშობლოში ბედმა გაუღიმათ... მაგრამ ერთი წელიწადი დიდი დრო არ გახლავთ. მალე გაირბინა თერთმეტმა თვემ. იჯარის ვადა გავიდა მოიჯარადენი არხეინად ელიან იჯარის პირობის განახლებას. მაგრამ ამის მაგიერ ოლქის უფროსი უცხადებს: უნდა აიბარგოთ აქედან, რადგან თქვენ იჯარით ვერ დაგაყენებთ აქაო. გულგახეთქილმა სვანებმა შესჩივლეს: რა ვქნათ, ბატონო, სვანეთიდან იმიტომ გამოვიქეცით, რომ სულს იქით არაფერი გაგვაჩნდა; აქაურობას თავი შევაფარეთ, რომ შიმშილით სული არ ამოგვხდეს. მართალია, მიწა სახელმწიფო გახლავთ, მაგრამ ჩვენც ხომ ხელმწიფის მსახურნი ვართ, იჯარასაც გადავიხდით და სხვაფრივაც, რაც კი მოგვეთხოვება, უარს არაზე ვიტყვით. მიხედეთ თქვენს ღმერთს, ამდენი ტანჯვა-წამება გვაკმარეთეთ და ცეცხლზე წყალს ნუ დაგვისხამთო. მაგრამ მათმა თხოვნა-ვედრებამ და ჩივილმა გული ვერავის მოულბო. პირდაპირ გამოუცხადეს: თუ ნებით არ წასულხართ, ძალით აგყრითო. სვანებიც გაიძახიან, კანონის წინააღმდეგ ღმერთმა ნურა ჩაგვადენინოს, მაგრამ არა მგონი იმავე კანონმა ისედაც დაჩაგრულნი უარესად დაგვჩაგროსო. უნდა ვეცადოთ, ჩვენი

გაჭირვება უმაღლეს მთავრობას შევატყობინოთ, რომ ლუკმა პური არ გაგვეწყვიტოსო.

აი, უფერ-მარილო სურათი ჩვენებურ უმამულო გლეხებისა, რომლებიც აფხაზეთში ეძებენ ხსნასა. ეს გლეხები დარჩენილნი არიან თავიანთ თავის ანაბარა, ყველასაგან მივიწყებული, ყველასაგან დევნილნი, არსადაა მათი ქომაგი, მათი პატრონი, გზის მაჩვენებელი და მეშველი. რამდენჯერ თქმულა და ახლაც ვიმეორებთ, დროა ჩვენმა თავად-აზნაურობამ შესაფერისი შუამდგომლობა აღძრას. ვისდამიც ჯერ არს, ჩვენის ხალხის წყლულს ეწამლოს, ხსნა მიეცეს როგორმე. ადამიანური და კანონიერი უფლება ცხოვრებისა და ლუკმა-პურის მოპოვებისა, გვგონია, არ წაგვრთმევია და ამის შესახებ ხმის ამოღება არავის დანაშაულობად არ ჩაგვეთვლება. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ბავშვმა არ იტირა, ისე დედა ძუძუს არ აწოვებს. მართალია, ტირილი დიდი არაფერი ვაჟკაცობაა, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც გიჭირდეს, ისევ გიღირდეს, ხომ გაგვიგონია.

თ. ს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 27 ოქტომბერი, ორშაბათი, №2205, გვ. 1-2.

წერილი სოხუმიდან

სხვადასხვა ამბები

როგორც ხმა დადის, განზრახულია დაარსდეს აქ ოლქის სასამართლო, რომელსაც დაექვემდებარება ჩერნომორის და ოლქები სოხუმისა და ბათუმისა...

...ფილტვებით ავადყოფებმა უკვე იწყეს დენა სოხუმში. მრავალნი არიან რუსეთიდან ჩამოსულნი; არა ნაკლებ არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნიცა. ზოგი ავადმყოფი მოდის, რომ სმეცკოის სანატორიაში (სოხუმიდან მეცხრე ვერსტზეა) დაბინავდეს. ოღონდაც რომ კარგია ამ სანატორიაში ყოფნა (ყველაფერში მზამზარეულზე ავადმყოფს თვეში ხუთ თუმანს ართმევენ), მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, რომ მძიმე ავადმყოფს აქ არ იღებენ. ვსწერთ ამას იმიტომ, რომ გავაფრთხილოთ ჩვენებურნი ავადმყოფნი. ვინც მძიმედაა ავად, ამ სანატორიის იმედით აქეთ წამოსვლა ტყუილად შერჩებათ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 11 ნოემბერი, სამშაბათი, №2320, გვ. 4.

ამას წინად, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე სოხუმის ეპარქიის საქართველოს საექსარხოსოდან გამოყოფის და დამოუკიდებელ ეპარქიად გარდაქმნის შესახებ. როგორც ნამდვილად გავიგეთ, უმაღლეს სასულიერო მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია ეს შუამდგომლობა.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 12 ნოემბერი, ოთხშაბათი, №2321, გვ. 2.

როგორც „ბათუმის გაზეთი“ გადმოგვცემს, უწმ. სინოდს უკვე გადაუწყვეტია სვანეთი სოხუმის ეპარქიას შეუერთოს.

იგივე გაზეთი სწერს: – „ამ ჟამად სოხუმის ეპარქიის ყველა ეკლესიაში წირვა-

ლოცვა საეკლესიო-სლავიანურ ენაზე სწარმოებს. სამად-სამი მრევლია მხოლოდ, რომლის ეკლესიებშიაც წირვა-ლოცვა ადგილობრივ ენებზეა“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 14 ნოემბერი, პარასკევი, №2323, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის გამგეობას ხორცის დუქნის გახსნა განუზრახავს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2325.

სოხუმის ნავთ-სადგურის გადაკეთებას აპირებენ.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2328, გვ. 2.

სოფ. აცი (აფხაზეთი)

ეს სოფელი გუდაუთიდან 10-12 ვერსის მანძილზეა. მცხოვრებთა რიცხვი 200 კომლამდე აღწევს. ესენი, გარდა 2-3 კომლისა, მაჰმადიანები, მისდევენ თესვას და მევენახეობას. ვენახები ამ სოფელში, როგორც საზოგადოდ აფხაზეთში, მაღალია, – უმეტესად „იზაბელა“. თვისებით ღვინო კარგი დგება. 1898 წლიდან ამ სოფელში ერთკლასიანი სამინისტრო არსებობს, მაგრამ მცხოვრებნი, თუმცა სწავლის მნიშვნელობა კარგად ესმის, არ სარგებლობენ. მიზეზი ჯერ ერთი ლევიცკის მუნჯური მეთოდია. სკოლის დაარსებას ხალხი სიხარულით მიეგება და საკმაო მოსწავლეთაც მოიყარეს თავი. მასწავლებელმაც, ამით გახალისებულმა, სრული „სიგრძე-სიგანე“ მისცა „მუნჯურ“ მეთოდს: მოსწავლეებს ზოგს „ოთხზე“ აყენებდა, ზოგს იატაკზე შხლართავდა, ზოგს კლასში აძინებდა, ზოგს მაგრა, თვალებს უხვედა და „კუკუმ-ალულობიას“ ათამაშებდა და სხვა, ამისთანებს სჩადიოდა, როგორ კი ამას „მუნჯური მეთოდი“ მოითხოვს. ეს რა მაიმუნობა�ა, სთქვა ხალხმა, ამას ხომ ჩვენი ბავშვები თვითონაც კარგად სწავლობენ მწყემსობაში; აბა მისთვის ბავშვს როგორ მოვაცდენო, და მართლაც სკოლა მალე დაცარიელდა, ასე რომ დღეს ერთი ბავშვიც აღარ სწავლობს იქ და მასწავლებელი დაღვრემილი და გულხელ დაკრეფილი გამოიყურებოდა თავის ოთახიდან. მეორე მიზეზი სარწმუნოებაა. როგორც ვსთქვი გარდა 2-3 კომლისა, სოფლის მცხოვრებნი მაჰმადიანები არიან. ესენი თუ წერილობით, თუ სიტყვიერათ მუდამ ამას თხოულობენ: მაჰმადის სჯულის სწავლებას ადგილი მიეცეს ჩვენს სკოლაშიო. მაგრამ მათი ამნაირი თხოვნა არავინ შეიწყნარა. აი, მაგალითად, როგორის სიტყვებით მიჰმართეს სოფლელებმა ამას წინად აქაურ ბლაღოჩინს, რომელიც შეეკითხა, რატომ ბავშვებს სკოლაში არ ატარებთო... „მამაო, მიუგეს აფხაზებმა, ვიცით, რომ ჩვენთვის სკოლა საჭიროა და სასარგებლოც. ჩვენც ამიტომ არ დავზოგეთ თავი: თუმცა ღარიბები ვართ, მაგრამ შრომასა და ხარჯს მაინც არ მოვერიდეთ და სკოლისათვის საკუთარი შენობა ავაგეთ. ფიქრობდით, როგორ საზოგადოდ ყველგან, აქაც სჯულის სწავლებას ადგილი მიეცემოდა, მაგრამ მოვსტყუვდით. სინჯეთ, ბატონებო, გაგვიმწესეთ სჯულის მასწავლებელი სკოლაში და ნახავთ რომ მაშინ ბავშვების ტევაც კი არ იქნება აქ, უამისოდ კი უსწავლებლობას ვირჩევთო“.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. 17 დეკემბერი, ოთხშაბათი, №2355, გვ. 3-4.

დრანდა

(იხ. ქურდობა, ყაჩაღობა, განუკითხაობა).

ყაჩაღობა კოდორში, სმიცკოის აგარაკში ფერშალ ქალს 10 შეიარაღებული აყაჩაღებს.

„რა ჰქნას უიარაღო გლეხმა, როდესაც ხედავს რომ ქურდს მისი ცხენი ან ძროხა მიჰყავს, – გულხელ-დაკრეფილი უნდა უყუროს თავის უბედურებას?“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2361, გვ. 4.

1904

გაზეთი „ივერია“

სოხუმი

14 დეკემბერს სოხუმში აკურთხეს ადგილობრივის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გამართული ღამის თავშესაფარი. ამ თავშესაფარში გაჭირვებულ ხალხს ღამის გათევის გარდა შეუძლიან აგრეთვე ჩაი და ცხელი საჭმელი მიიღოს.

თუნმცა სულ რაღაც ორი კვირაა რაც თავშესაფარი გაიმართა, მაგრამ ახლავე იმდენი ხალხი აწყდება, რომ ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს ხალხსა...

შეიძლება არავინ დაიჯეროს, ასეთ პატარა ქალაქის თავშესაფარში ამდენი ხალხი მოდიოდეს, მაგრამ ვინც სოხუმს იცნობს, იმას უსათუოდ ეცოდინება, რომ არც ერთს ქალაქში ამდენი მაწანწალა არ დაეხეტება, როგორც აქ...

დღეს ქალაქი ას თუმან დახმარებას აძლევს წელიწადში საქველმოქმედო საზოგადოებას და შემდეგში – კი ორი ამდენსაც მოითხოვენ და ის – კი ავიწყდებათ, რომ მაწანწალათა სამასპინძლოდ – კი არა, წარჩინებულ პირთა შესახვედრადაც ნება არა აქვს ქალაქის საბჭოს დახარჯოს რამე საზოგადო ფულიდან.

ცა-ცა

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 6 იანვარი, სამშაბათი, №4, გვ. 2-3.

გუდაუთი

სამშაბათს, 6 იანვარს, სასტუმრო იმპერიალში გამართული იყო ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ ვ. გუნიასი და „არც აქეთ და არც იქეთ“ მისივე. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხიც საკმარისად დაესწრო. მონაწილეობას იღებდნენ: ელენე ცინცაძე, ოლგა ბუაძე, ალექსანდრე ცინცაძე, ალექსანდრე ბუაძე, მოსე კვიტიშვილი, ძმები გიორგი და კალისტრატე ზენაიშვილები და სავედი იმედაძე.

რეჟისორობდა ივანე შარაშიძე, რომელმაც ბოლოს გიტარა დაუკრა და სასიამოვნოდ დაამღერა; შემოსული ფული ზოგი გადასცა გუდაუთის სამკითხველოს და ზოგიც ლანჩხუთის სამინისტრო სკოლას გაეგზავნა ღარიბ მოსწავლეთ სასარგებლოდ.

პ. ჭავჭანიძე

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 16 იანვარი, პარასკევი, №11, გვ. 3.

სოხუმის ქალაქის თვითმმართველობამ კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა სოხუმში ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. ამ ბიბლიოთეკას შემწეობას ქალაქი მისცემს ყოველ წლივ.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 31 იანვარი, შაბათი, №24, გვ. 2.

სოხუმი

ეკლესიასა და სკოლასთან ერთად კულტურულ ადამიანისათვის ერთი უსაჭიროესი საქმეა თეატრი. თეატრის სცენიდან გვესმის ზნეობის გამასწორებელი აზრები, მამულიშვილურის გრძნობებით განმსჭვალული სიტყვები და ამასთანავე, შეძლების-

დაგვარად, წმინდა დედა-ენაც.

ეს ყველაფერი კარგად აქვს შეგნებული სოხუმელ ქართველ საზოგადოებას და მისთვისაა, რომ აღტაცებით ეგებება ყოველს წარმოდგენას, თუ რომ, რასაკვირველია, სინდისიერად იქმნა გამართული.

აქაურს ქართველს საზოგადოებას არასოდეს არ დაუშურნია თავისი წვლილი ამ კეთილ საქმისათვის და კვლავაც მზად არის ყოველთვის თანაგრძნობით მიეგებოს; ხანდახან საკვირველს წერტილამდეც-კი ადის ხალხის ენთუზიაზმი, როდესაც სინდისიერად შესრულებულს და ამასთანავე აზრიანს პიესას უყურებს, სამშობლო ენაზედ წარმოდგენილს, როგორც მაგ: 1902 წელს ბ-ნ გუნიას დასის მიერ „ძალა აღმართსა ჰხნავს“ წარმოდგენის დროს იყო.

ასეთი დიდი პატივისცემა სამშობლო სცენისადმი იმითი აიხსნება, რომ თეატრი ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც ქართველს საზოგადოებას შეუძლიან გაიგონოს რამე ტკბილი მშობლიურს ენაზედ. აქაური საზოგადოება კარგად არის დარწმუნებული, რომ თეატრს შეუძლიან ააშოროს ისინი იმ გადაგვარების გზას, რომელსაც ადგანან ახლა ერთის მხრივ იმ ვითარების გამო, რომელშიაც ისინი იმყოფებიან და, მეორეს მხრივ, იმ მახინჯ „მამაშა პაპაშების“ წყალობით, რომელთაც მრავალ ქართული ოჯახიდან განდევნეს ქართული ენა და თავიანთი შვილები აალაპარაკეს ისეთს დამტვრეულს ენაზედ, რომლის გამოსწორებასაც ათასჯერ უფრო დიდი შრომა დასჭირდა, ვიდრე ამ ენის სულ თავიდან დაწყებას და რიგიანად შესწავლას, ამნაირად, თუ ახლა ჰგონიათ, რომ მათი შვილები ადვილად ისწავლიან ყველაფერს, მომავალი დაანახვებს, რა დიდ შეცდომას ჩადიან...

დიაღ, სოხუმის საზოგადოება ძალიან კარგადა გრძნობს თეატრის მნიშვნელობას და მზადაც არის ხელი შეუწყოს, მაგრამ თეატრის საქმე აქ არამც თუ სასურველად არ მიდის, არამედ სრულებითაც ვერ აღორძინდა და ძლივს ერთს ქართულს წარმოდგენას თუ ვეღირსებით წელიწადში, ჩვენი სცენის მოყვარულთა მიერ გამართულს. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ჩვენი ქართველი საზოგადოება შესდგება მხოლოდ ისეთი კონტიგენტისაგან, რომელიც მზად არის იაროს თეატრში საყურებლად და ისეთები კი, რომელთაც სურვილი ჰქონდეთ რამე აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოდგენების მართვაში, ან სულ არავინ არის და ან თუ არიან, ცოტანი არიან, ამიტომ დიდი თავდადება არის საჭირო წარმოდგენა გამართონ.

რა უნდა ჰქნას აქაურმა წარმოდგენის გამმართველმა? ჯერ უნდა ეძებოს ისეთი, რომლებიც ცოტაოდენად მაინც გამოდგებიან სცენაზე და როგორმე დაითანხმოს თამაშობაზე, რადგან მუდმივი სცენის მოყვარული ერთი-ორი თუ მოგვეპოვება. უბრალო თანხმობა საკმარისი არ არის მის გადასაწყვეტად, მართლა ითამაშებენ ისინი თუ არა, აქ დიდი სიფრთხილე უნდა აგრეთვე როლების დანაწილებასაც: ადვილად შესაძლოა, რომ ერთი და იგივე როლი რამოდენსამე მოეწონოს და მაშინ, რომელთაც იმ როლს არ მისცემთ უსათუოდ განზედ გადგებიან. აქაურს სცენისმოყვარე ქალს იშვიათად დაიყოლიებ, რომ მოხუცს ან გლეხის ქალის როლში გამოვიდეს. ყველას სურს ახალგაზრდა, საინტერესო სჩანდეს სცენიდამ. გარდა ამისა ადვილი საქმე არ არის ნებართვის აღება, რამაც რამოდენიმე ინსტანცია უნდა გამოიაროს.

ასეთს ცუდს მდგომარეობაში იყო აქ სომხურის სცენის საქმეც, მაგრამ დღეს ისინი წელიწადში ორ-სამს წარმოდგენას ჰმართავენ და ჩვენ-კი ერთიც გვიჭირს,

თუნმცა სომხები ასი ორასი კაცი თუ მოიპოვება სოხუმში.

მიზეზი მათ მიერ ამ საქმის უკეთ წაყვანისა ის არის, რომ ეს ორი წელიწადია სოხუმში ყოველ წლობით ჩამოდის რომელიმე სომეხი არტისტი და ჰმართავს წარმოდგენებს სცენის მოყვარეთა დახმარებით, იმისთვის ნებართვის აღებაც ადვილია და სცენის მოყვარეთა გაწვრთნაც. კარგს იზამდა ჩვენი დრამატიული საზოგადოება, რომ სოხუმში ყოველ-წლობით გზავნიდეს ხოლმე რომელსამე მსახიობს წარმოდგენების გასამართავად სცენის მოყვარულთა დახმარებით. მსახიობისთვის, როგორც სხვა საქმისაგან თავისუფალ კაცისავით, ისეთი გასაჭირი არ იქნება მართვა წარმოდგენებისა, როგორც თავიანთ საქმისაგან დატვირთულ წარმოდგენის მოთავეებისათვის არის, და კიდევ რომ დიდი შრომა დასჭირდეს სანუგეშოდ ის მაინც ექნება, რომ მის შრომას აქ დიდი სარგებლობა შეუძლიან მოიტანოს. მაინც, რასაკვირველია, საჭიროა, რომ მოგზაურმა დასმაც არასოდეს არ დაივიწყოს სოხუმი.

კოლო

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 24 მარტი, ოთხშაბათი, №75, გვ. 3.

სოხუმი

15 მარტს იყო ქალაქის საბჭოს კრება, ახალის მოურავის ბ-ნ ტომარას თავმჯდომარეობით. ამ დღეს დიდძალი საზოგადოება შეგროვდა საბჭოს დარბაზში, რადგან ეგონათ, რომ ბ-ნი ტომარა სიტყვას ეტყოდა ხმოსნებს და გააცნობდა გეგმას თავისის მოქმედებისას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თავმჯდომარე პირდაპირ შეუდგა საქმეების გარჩევას. განსახილველი იყო მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა...

...ქალაქის კეთილმოწყობას სცდილობენ და იმავე დროს დიდს გულუხვობას იჩენენ იმისთანა ხარჯებში, რომელსაც სრულებით არ უნდა ეწეოდეს ქალაქი. მაგალითად, ჩვენ ვერ გაგვიგია, რისთვის აძლევს ქალაქის საკრებულო ტაძარს 600 მან. წელიწადში ხოროს შესანახად? საკრებულო ტაძარი აქ ერთად-ერთი ეკლესიაა, თუ არ ვიანგარიშებთ სამხედრო ეკლესიას, და, მაშასადამე, მთელი სოხუმი ამ ეკლესიაში დაიარება, ხშირად სარწმუნოების განურჩევლადაც, და ამის გამო შემოსავალი ამ ტაძრისა იქამდე დიდია, რომ სრულებითაც არ საჭიროებს ქალაქის სუბსიდიას. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ დღეს საკრებულო ტაძარმა მშვენიერი სახლები ააგო თავის ხარჯით სამღვდელოთა სადგომებისათვის.

ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული იყო ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოთეკაში მსახურთა ჯამაგირებისათვის ფული; თუნმცა ბიბლიოთეკის წესდება ჯერ არ დამტკიცებულა და წიგნები ისევ დაკეტილს ოთახში ჰყრია ეს ორი წელიწადია, მაგრამ ხარჯი უარ-ყოფილ იქნა საბჭოს მიერ წესდების დამტკიცებამდე, მაგრამ ვერ გაგვიგია რისთვის იქმნა უარ-ყოფილი ბიბლიოთეკის შევსება ახლის მწერლების თხზულებათა შეძენით...

...შესაძლო იყო ქალაქს შემცირებოდა ხარჯი, რომელსაც ახლა ეწევა საქალაქო სასწავლებლის შესანახად. დღეს ქალაქი არამც თუ ინახავს თავის ხარჯით მთელს სასწავლებელსა, სწავლის ფულსაც-კი არავის ახდევინებს ქალაქის მცხოვრებთაგანს და ამის გამო სასწავლებელს არ გააჩნია „სპეციალური საღსარი“ რომლითაც უნდა შეკეთდეს შენობა და ავეჯი. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო დაედგინათ სასწავლებლისათვის გადასახადი და ისეთები გაენთავისუფლებინათ მხოლოდ,

რომელთაც სიღარიბის გამო შეძლება არა აქვთ ფული იხადონ, და მაშინ საბჭოში აღარ შემოვიდოდა განცხადებანი შენობისა და სასკოლო ავეჯის შეკეთებისა, როგორც ეხლაა. ზოგიერთი მოთხოვნილება საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორისა ნამეტანიც არის, მაგ.: უკანასკნელ კრებაზე თხოულობდა, რომ საკლასო ოთახებში უსათუოდ შეღებილი იატაკები იყოს და საბჭომაც გარდასდო ამისათვის ფული, მაგრამ რა საჭიროა შეღებილი იატაკი იქ, სადაც ყმაწვილები ყოველთვის გათხუპნულის ფეხებით დაიარებიან და შეუძლებელია სუფთად შენახვა იატაკისა!

კოლო

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 4 აპრილი, კვირა, №81, გვ. 3.

დაბა ოჩემჩირი (აფხაზეთი)

...ოჩამჩირეში, სულ 12 წელიწადია, რაც არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ამდენ ხანს არ დასდგომია ასეთი გაჭირვება, რაც ამ წელიწადში. გაუჩნდა მოსწავლეებს ყელ-ჭირვება და, ექიმ ბ. ბლიაპისის შემოწმებით, იქმნენ დათხოვილი თებერვლის განმავლობაში; დადგა მარტი, შეგროვდნენ მოსწავლეები, მაგრამ სწავლა მაინც ვერ დაიწყეს, იმიტომ, რომ კლასის აივანი გასაკეთებელი აღმოჩნდა. სკოლის მზრუნველმა მოახსენა საზოგადოებას, სკოლის აივანს გაკეთება უნდაო. პასუხად მიიღო, სანამდის ნათხოვნი სამოქალაქო სასწავლებელი არ გაიხსნება, არაფერს არ გავაკეთებთ. ასეა თუ ისე, მეცადინეობა კაი ხანია შეწყვეტილია. მოსწავლეები გულდაწყვეტილნი დადიან, ხედავენ, რომ უსწავლელობისა გამო იღუპებიან. ძლიერ საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ თქვენი მტერია მართლაც დაიღუპებიან მოსწავლეები.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 2 აპრილი, ოთხშაბათი, №95, გვ. 3.

ქართული დასის წარმოდგენები ყვირილაში

როგორც გვიამბეს, თეატრის კურთხევის მეორე დღეს და მას შემდეგ, ტფილისის თეატრის მსახიობნი ბ-ნ ვ. გუნიას გამგეობით გაჰმართავენ რამდენსამე წარმოდგენას. დასში არიან: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელისა, საფაროვი-აბაშიძისა, კარგარეთელი, მდივანი, ბ-ნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კოტე მესხი, კ. შათირიშვილი, სვიმონიძე, გედევანიშვილი და სხვანი.

წარმოადგენენ: სუმბათაშვილის ..ღალატს“, „სიძე-სიმამრს“, „ცხობრების გარეშეს“ და სხვა პიესებს.

იგივე დასი ყვირილის შემდეგ წარმოდგენებს გამართავს დაბა სამტრედიაში, ჭიათურაში, ქუთაისში, ხონში, ფოთში, ოზურგეთში, სოხუმში და სხვაგან.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 28 მაისი, პარასკევი, №123, გვ. 4.

სოფ. ადზუბჟა
(აფხაზეთი, კოდორის ნაწილი, სოხუმის ოლქი)

აპრილის 4-სა მაქსიმოვის სახერხ ქარხნების მსახურთა და მუშათათვის ახლად აგებულ თეატრის შენობაში გაიმართა (ეს მერვეა) სცენის მოყვარულთა მიერ შინაური უფასო რუსული წარმოდგენა. დარბაზი ოთხასზე (დაესწრო ასამდე) მეტ სულს

იტევს. ქარხნის ხალხი აქ ორასზე მეტია. ამათგან ნახევრამდე ცოლშვილიანია, ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ არა ქარხნელებისთვინაც თეატრის „კარები ღიაა“.

რა იყო მიზეზი ხალხის ნაკლებად დასწრებისა?

ზამთარში პირველი წარმოდგენა გაიმართა რუსულ-ქართული.

სცენაზე მოთამაშე ქართველებმა ქართველთაგანვე საჩუქრები მიიღეს-ვარდის თაიგულები. ზოგიერთ ვაჟბატონებმა ეს ვერ მოინელეს, ასტეხეს ერთი აურ-ზაური, შეიქმნა ერთი უშველებელი მითქმა-მოთქმა... ზოგი ერთი „ნაზი არსებაც“ ჩაერია და ორატორობდნენ. „ჯერ ჩვენებისთვის (რუსულ მოთამაშეებისათვის) უპირატესი პატივი უნდა გეცათ, მერე თქვენებისთვისო“ და სხვა!!!... აშლილი ნერვები ჯერაც არ დამშვიდებულა...

რასაკვირველია, ამ შემთხვევის შემდეგ ზოგმა თავის თავი შეურაცხყოფილად იცნო და იმიტომაც აპრილის დამდეგს გამართულ წარმოდგენაზედ დასწრებაც არაფერი სასიამოვნო იყო მათთვის. თეატრის და სხვა ამისთანა გასართობის დაარსებისათვის წინადაც ბევრს ფიქრობდნენ, მაგრამ განხორციელება ვერ მოხერხდა. მხოლოდ როცა აქ მოვიდა ეხლანდელი მმართველი ქარხნისა ა. ნ. ანდრეევი, მაშინ კი მზრუნველობით და მხნეობით ყოველივე მოხერხდა: მმართველის დაუღალავ შრომის ნაყოფია, რომ ამ ჟამად მაქსიმოვის მსახურთ და მუშებს აქვთ საკუთარი თეატრის შენობა. ქარხნების „კრუჟოკს“ აქვს საკუთარი თეატრის შენობა. ქარხნების „კრუჟოკს“ აქვს საერთო ფულით შეძენილი გრამაფონი – „მონარქი“ თავის ფირ-ფიტებით, თვალთ-მაქცი ფარანი ბუნდოვანის სურათებითა, ეს გასართობი საგნები ჯერ-ჯერობით სამას მანეთზე მეტი უზით. ყოველ კვირა-უქმე დღეში შინაური უსასყიდლო „საღამოები“ იმართება. თეატრს აქვს კოხტა სცენა. სიგრძით ხუთი ადლია, სიგანით-სამი, ორნაირი დეკორაცია აქვს. მშვენიერ ფარდაზედ დახატულია კავკასიონის მთები ზღვის ნაპირითა. ზღვის ნაპირას ახლო ველზე კოხტა, ნაზი არსება, ბუნების შვენებით გატაცებული ვარდებსა ჰკრეფს და თანაც ხელში უჭირავს დიდი ყვავილების გვირგვინი. ამ ფარდას ხელოვნური შევენება მისცა შემთხვევით აქეთ მხარეს მყოფმა მხარტვარმა გოლუბინმა და თავისი შრომა ამ სიმპათიურ დაწესებულებას უსასყიდლოდ შესწირა.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 12 ივნისი, შაბათი, №136, გვ. 3.

სოფ. გალი (სოხუმის ოლქი)

...გალში არის ორ კლასიანი სამასწავლებლო სკოლა, სადაც, ქართული ენა მიაჩნიათ მეტ ტვირთად სამურზაყანოელებისათვის; ამათ არ ძალ-უძთ ორი უცხო ენის სწავლაო – ქართულის და რუსულისაო. ქართული ენა კი დიდ ხმარებაშია როგორც გალში, აგრეთვე მთელ სამურზაყანოში: ამ ენაზე იწერება ბარათებიც და თამასუქებიც. მე აქ არ ვლაპარაკობ აფხაზეთზე, რომელიც სამურზაყანოს ნაწილია და არც იმათ შესახებ, რომლებმაც თუნმცა ქართული რუსულივით იციან, მაინც ერიდებიან პირველს. აქაურმა ვაჭრებმა კარგად იციან, ქართული და ამ ბოლო ჟამს ქართული გაზეთებიც აქვთ გამოწერილი და გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს...

ოსავ შავპირაძე

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 9 ივლისი, პარასკევი, №158, გვ. 2.

სამურზაყანოს ნაწილის უფროსი (სოხუმის ოლქშია), ნადვორნი სავეტნიკი ჩიგოგიძე დანიშნულ იქმნა სოხუმის ოლქის კოდორის ნაწილის უფროსად.

გაზ. „ივერია“, 190წ. 15 ივლისი, ხუთშაბათი, №163, გვ. 2.

როგორც „კავკაზს“ ატყობინებენ ქალაქ სოხუმში განუზრახავთ სასულიერო სასწავლებლის დაარსება.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 21 ივლისი, ოთხშაბათი, №168, გვ. 2.

1-ლ სექტემბრიდან სოხუმში უკვე დაარსდა რეალური სასწავლებელი საერო განათლების სამინისტროს უწყებისა.

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 5 სექტემბერი, კვირა, №206, გვ. 2.

სოფ. აჟარა (აფხაზეთი)

...სოფ. აჟარაში მაქსიმოვების წყალობით და უხვის შეწირვითა, არის მშვენიერი კოხტა ეკლესია. წირვა-ლოცვა რუსულ ენაზეა. სკოლა და სხვა იმისთანა რამ არ გვაბადია. სოხუმიდან აქეთ სახელმწიფო გზა კლუხორის უღელტეხილს გადადის. ამ გზით მუდამ მრავალი ტურისტები მოგზაურობენ...

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 23 ოქტომბერი, შაბათი, №242, გვ. 2.

ქართული წარმოდგენა აფხაზეთში

ვ. რ. მაქსიმოვის მემკვიდრეთა ქარხნების თეატრში, სოფ. აძიუბჟაში 24 ოქტომბერს, აქაურ მსახურთა და მუშათა სცენის მოყვარეებმა გამართეს რუსულ-ქართული შინაური ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენა გაიმართა ამავე თეატრის სხვა და სხვა საჭირო ნივთთა შესაძენად.

ქართულად წარმოდგენილ იქმნა „ბაიყუში“, ა. ცაგარელისა.

საერთოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ყველა არტისტკებმა და არტისტებმა თავიანთი დანიშნულება გაამართლეს საერთო ანსამბლის დაცვით.

მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ ქ-ნ ელისაბედ გოგოლის ასულ ნინუასა და ვარო გრიგოლ სტურუას ასულის მშვენიერმა თამაშობამ მოხიბლა დამსწრე საზოგადოება. ამ ნაზ არსებათა წარმომადგენლების თავიანთ როლის აღსრულების შემდეგ თეატრში საზოგადო ტაშის ცემა და ვაშას ძახილი დიდ ხანს გაისმოდა და დამსწრე ხალხი დიდად ნასიამოვნები დარჩა მათის მომხიბლავ თამაშობით.

შემდეგ წარმოდგენისა გაიმართა ცეკვა-თამაში ბ. ნ. ერისტო ბეჟანის ძის ნინუას (ცეკვის მასწავლებელია) დირიჟორობით, რომელმაც გასტანა ღამის ორ საათამდე.

ა. ტ

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 3 ნოემბერი, ოთხშაბათი, №251, გვ. 3.

სოხუმი

არა მგონია სადმე ისე ათვალისწუნებული იყოს ქართული ენა, როგორც სოხუმში. აქ იშვიათად-ღა ნახავთ ისეთს ოჯახს სადაც ქართულს ლაპარაკობდნენ. ეს

საბრალო ენა განსაკუთრებით ათვალისწუნებულია ახალ მოდის „მამაშა-პაპაშების“ მიერ, რომლებიც დიდად სათაკილოდ სთვლიან თავიანთ ყმაწვილებს ქართულად ელაპარაკონ.

სამწუხარო სურათი გეხატებათ წინ, როდესაც ქართველი ბავშვები უცხო ენაზე გაძლევენ პასუხს ქართულს კითხვაზედ და თანაც ისეთის თვალებით უცქერიან დედას, ან მამას, რომ თითქო უსაყვედურებენ, რატომ ჩვენც არ გვასწავლეთ ჩვენი დედა-ენაო, მაგრამ ახლა ხომ დედა ენაზედ ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშნად აქვს ყველას მიჩნეული და, მაშასადამე, ვის უნდა სურდეს, რომ გაუნათლებლად ეჩვენოს ხალხს?!

დიაღ! ამ ნაირმა შეხედულებამ და სხვა უკუღმართმა ვითარებამ ლამის სულ გააქროს ქართული ენა და თან წაიღოს ქართველი ოჯახები, თუ რომ ღონისძიება რამ არ იქმნა მიღებული.

ასეთ მდგომარეობაში დღეს დიდს სარგებლობას მოგვიტანდა ქართული სკოლა, ეკლესია და თეატრი, მაგრამ სკოლისა და ეკლესიის ქონება სოხუმში ჯერ ძნელი საქმეა და ამისათვის ერთი იმედი მხოლოდ თეატრზეა დამყარებული.

ეს ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლიან დაგვიბრუნოს ქართული ენა და ქართული ოჯახი, თუ რომ, რასაკვირველია, საქმე გონივრულად იქმნა წაყვანილი და ამისათვის ადვილი წარმოსადგენია, რა დიდს სამსახურს უწევენ საზოგადოებას ისინი, რომელნიც ემსახურებიან სცენის საქმეს.

ეს კარგად იცის სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ და იმისათვის არის, რომ ზეციური მანანასავით ელის ქართულს წარმოდგენებს, რომლებიც ეგრე იშვიათი შეიქმნა სოხუმში ალაგის უქონლობის გამო.

როგორც ვიცით, ერთად ერთი ალაგი, სადაც წარმოდგენები იმართებოდა, კლუბის დარბაზი, დაიწვა და მოთამაშეთ უბრალო სახლებში უხდებათ წარმოდგენების მართვა, ადვილი გასათვალისწინებელია, რა სიძნელეს წარმოადგენს უბრალო სახლში და შეუფერებელს სცენაზე თამაში, მაგრამ ეს ყველაფერი დასძლიეს 28 ნოემბერს ჩვენმა სცენის მოყვარულებმა, კნ. მარიამ დავითის ასულის შერვაშიძის შემწეობით და არტისტ ქუჯის დახმარებით. ამ დღეს პატივცემულ კნ. შერვაშიძის მიერ წარმოდგენა იყო გამართული სხვა და სხვა საქველმოქმედო აზრით. წარმოდგენილ იყო „სიძე-სიმამრი“, კომედია სამს მოქმედ. ვ. გუნიასი და „რაც არ მერგება არ შემერგება“, ვოდევილი მისივე.

მონაწილეობას იღებდნენ კნ. ნინო დადიანისა, ქ. მაჭავარიანისა, კიწმარაშვილისა და გვაზავასი. ბ. ბ. ქუჯი, ხოსიაშვილი, საფაროვი კეჭეყაძე და კოზმავა.

წარმოდგენა გამართულ იქმნა ადგილობრივს საბჭოს დარბაზში და თუმცა არც სცენისათვის ამაღლებული ალაგი მოიპოვებოდა და არც საჭირო დეკორაციები, ეს ყველაფერი თვით მოთამაშეებმა და კნ. შერვაშიძისამ გააკეთეს და ისე მშვენივრად მოაწყვეს ყველაფერი, რომ უბრალო დარბაზი ნამდვილ თეატრად იქმნა გარდაქცეული. მშვენივრად მორთული სცენა, შესაფერი დეკორაციები და სხვ. იქამდე აქეზებდა მოთამაშეთ, რომ თითქმის ყველამ მშვენივრად შეასრულა თავისი როლი და საზოგადოებაც უხვად აჯილდოვებდა მათ ტაშის კვრით. დარბაზი, სადაც წარმოდგენა იყო გამართული, სრულად გადაჭედილი იყო ხალხით და ბევრი ადგილის უქონლობის გამო უკან დაბრუნდა გულდაწყვეტილი.

აქ ყველაფერი რიგზე იყო მოწყობილი, წარმოდგენაც – კი ჩვეულებრივზე ადრე იქმნა გათავებული (თორმეტის ნახევარზე), რომ საზოგადოება ძალიან არ მოქანცულიყო. დიდის მადლობის ღირსია კ-ნა მარიამ დავითის ასული შერვაშიძისა, რომელმაც არავითარი შრომა არ დაიშურა, რომ საქმე რიგიანად წაეყვანა.

როგორც შევიტყეთ, პატივცემულს კნეინამ ახლო მომავალში სახალხო წარმოდგენა უნდა გაჰმართოს და იანვარში კი ქართული საღამო, თუ რომ ადგილობრივი ინტელიგენციაც ხელს შეუწყობს კ-ნა შერვაშიძისას და შეასრულებინებს ამ კეთილს განზრახვას, შემოსავალი გადადებული იქმნება სოხუმის მომავალ სკოლის სასარგებლოდ, რომლის დაარსებაც გარდაწყვეტილი აქვს „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

კოლო

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 22 დეკემბერი, ოთხშაბათი, №292, გვ. 2.

სოფ. ადიუბჟა

...ხალხის ქონებრივი მდგომარეობა ძალიან დაქვეითებულია და ცოტა ამაზედაც არის დამოკიდებული, რომ წლევანდელ შემოდგომის ქორწინების დრომ შეუმჩნევლად გაიარა. სამიოდე ჯვარისწერა იყო. ერთს არ ჩაუვლია უხიფათოდ. ერთ ყმაწვილ იმერელს და აფხაზის გოგოს შეჰყვარებია ერთმანეთი და, ბევრის ტრფობის შემდეგ, საქმრო აფხაზის გოგოს პატრონს გამოუტყდა, ასეა ჩემი საქმე და გოგო ცოლად მომეციო. მოგეხსენებათ, აფხაზეთში სიყვარულის გამოცხადებით ვერ შეირთავთ ქალს ცოლად. ქალის პატრონი უარზე დადგა. მაგრამ სიყვარულმა თავისი გაიტანა: ერთ ბედნიერ დღეს „დამწვარმა“ დამწველი მოიტაცა...

რასაკვირველია, დიდი ღელვა იყო სიმამრისას, „ვიღაც იმერლის“ ამისთანა თავხედურ საქციელს არ მოელოდნენ. ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ, როგორც იყო, მორიგება მოახდინეს და ნებადართულ იქმნა, რომ შეყვარებულნი შეერთებულ იყვნენ ცოლ-ქმრობის კავშირითა.

აძიუბჟელები ვართ ორის სასწავლებლის პატრონნი, ერთი სოფლის სამინისტრო სკოლაა და მეორე საეკლესიო სამრევლოა. მაგრამ... მაგარიც ის არი, რომ თავის დანიშნულებას არც ერთი არ ემსახურება. ამ სკოლის შენობები რაღაც ისე მიყუჩებულნი სდგანან, და ცოცხალი რამ თუ არი შიგ, არ გეგონებათ. მოსწავლე ბავშვები ორივე სკოლაში „ერთ ნახევარი“ სულია. ძლიერ გულ-გრილად ეკიდებიან სასწავლებელსა.

ეჭვი არაა, რომ მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის დიდი რამ არი ღვთის ტაძარი, ნამეტურ ჩვენისთანა მიყრუებულ სოფელში. კაი ხანია აქაურთ სურვილი იყო, რიგიანი (დღემდე უბრალო ფიცრული შენობა იყო) ეკლესია გვქონოდა. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა და დრომ განვლო, სანამ, ასე თუ ისე, როგორც იყო, ჩვენივე ნაოფლარით (ვ. რ. მაქსიმოვის მემკვიდრეებმა ასი თუმანი შემოსწირეს ამ ეკლესიის ასაგებად) დღეს შევიძინეთ მშვენიერი კოხტა მოდიდო ეკლესია. მხოლოდ, ჩვენდა საუბედუროდ, რაღაც გაუგებარი ღვთის წყრომა მოგვევლინა და არ იქმნა ვერ ვეღირსენით ამ ტაძრის კურთხევასა.

ეს მხარე, ეგრედ წოდებული, აბჟუა, თორმეტი სამამასახლისოა და მარტო სოფ. მოქვი ძველებურის საყდრით და სოფ. დრანდის მონასტერი თუ გვჯობნის, თორემ სხვა არ არის ჩვენისთანა ეკლესიის პატრონი. საყდარი მზად არის რამდენიმე თვეა.

ჯერ იყო და დაბრკოლებათ გაგვიხდა ეკლესიის მოწყობილობა. მაგრამ ეს გასაჭირი დავძლიეთ. უშველოს ღმერთმა მაქსიმოვის მემკვიდრეთა, ქარხნების მსახურებს და მუშებს, რომ თითი-ოროლა გროში არ დაიშურეს ამისთანა წმინდა საქმისათვის. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ქარხნების მმართველიბ-ნი ს. ნ. ანდრეევი და მისი თანაშემწე ბ-ნი ა. ი. პოვანი. რომლებმაც გამართეს მოხელეთა შორის საერთო ხელის მოწერა და მოგროვდა კიდეც ოც თუმნამდე. ამ ფულით თითონვე გამოიწერეს სხვა და სხვა საეკლესიო სამკაული, რომელიც უკვე ჩაბარდა აქაურ მრევლის მღვდელს მამა ამბაკუმ თოფურიძეს.

მოხსენებულ ეკლესიის უკურთხევლობაზე შემდეგი ხმებია სოფლად:

ა) სოხუმის ეპისკოპოსს უთქვამს: როგორც სოხუმ-კოდორის გზა გაშრება-გამოკეთდება, კარგ დარში თითონ ჩამოვალ ეკლესიის საკურთხევლათაო; ბ) ეკლესიის კურთხევისათვის სოფლის საზოგადოებამ უნდა გასცეს ათი თუმანი და, რადგანაც არ გახლავთ, ამიტომ კურთხევის საქმე მივიწყებულიაო; გ) ჩვენს სოფელზე ძალიან გაჯავრებულნი არიან, რადგანაც დროგამოშვებით ქართულ წირვა ლოცვას ვისმენდით; დ) ახლა ხან, ჩვენს მოძღვარს ბრძანება მოუვიდა, – ოქმი მოიტანეთ, რომ ეკლესია ყოველ მხრივ მართლა მოწყობილია და კურთხევის მეტი აღარა აკლია რაო. ეს ბრძანება დაუყონებლივ იქმნა შესრულებული. მაგრამ როგორცა სჩანს, ამ უკანასკნელ შემთხვევამაც არ გვიშველა, არსაიდან არ მოსჩანს მახარობელი.

ა. ტ

გაზ. „ივერია“, 1904 წ. 25 დეკემბერი, შაბათი, №295, გვ. 2.

გაზეთი „მწყემსი“

როგორც სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს 1903 წ. 1 იანვრისთვის მთელ ამიერკავკასიაში 6, 166,370 სული მცხოვრები ყოფილა აქედან ქუთაისის გუბ-ში – 1, 570, 921 სული. თბილისში – 1, 049, 253 სული. ჩერნომორისაში – 93, 864 სული. ზაქაილას ოლქში – 89, 403 სული.

ჟურნ: „მწყემსი“, 1904 წ. 15 მაისი, №9, გვ. 11.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

ფოსტა და ტელეგრაფთა გამგეობას, სოხუმში ტელეფონის გამართვის კონცესსია მიუცია ლეონიდ ჟუდრასთვის.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 1 იანვარი, ხუთშაბათი, №2368, გვ. 3-4.

სოფ. აცი (აფხაზეთი)

უწინ ამ სოფლის კარგა მოზრდილი ადგილი ეჭირა და უხვი სახნავ-სათესი, იალაღითა და სათითებით ერთი უპირველესი სოფელიც ყოფილა მთელს აფხაზეთში. მაგრამ, შემდეგში ჩამოუცლიათ მისთვის უმეტესი ალაგები და ამაზე სხვა სოფლები გაუშენებიათ. ესენი არიან: მიწარა, ბაკლანოვკა და პეტროვსკოე. პირველი (მიწარა

ოსმალეთადან გადმოსული სომხებითაა დასახლებული; მეორე და მესამე კი რუსებით. სომხების რიცხვი 130 კომლი იქმნება; რუსებიც – ორსავე სოფელში ამდენია. ის ადგილები რომლებიც უწინ აცის საძოვარსა და სათიბებს შეადგენდა, დღეს რუსების ხელშია. მდინარეც (აცის წყალი) ამათ ფარგალში მოჰყვა. საზღვარი რუსებსა და აფხაზებს შუა მთელის ათის ვერსის მანძილზე სწორედ ზედ სახლის კუთხეზედ ჩაუდით აცელებს. ეს გარემოება სწორედ სულის შემხუთავია ამათთვის: არ შეუძლიანთ საქონელი ხელიდან გაუშვან, რადგან, თუ რუსების ადგილში გადავიდა, რა დროც უნდა იყვეს – ზაფხული თუ ზამთარი-იჭერენ და პატრონს, რამდენიც სურთ იმდენს ახდევინებენ. კიდევ არაფერია რომ დაჭერილ საქონელს ადამიანურად ეპყრობოდნენ სწორედ შუაგულ სოფელშია ალექსანდრე შერვაშიძის (უკანასკნელ მთავრის მიხეილ შერვაშიძის ძმა იყო) ქვითკირის სახლის ნანგრევები (კედლები ჯერაც უვნებელია). ზამთარ-ზაფხულ ამ ნანგრევებში საშინელი ლაფი დგას, რომელშიაც ძროხა თუ კამეჩი, ყურებამდის იფლობა. აი ეს ნანგრევებია დაჭერილი საქონლის დასამწყვდევი ბინა. გულს უწუხებს ადამინს აქ დამწყდეული პირუტყვის სევდიანი ბღავილი; პატრონი უფულობისა გამო ხშირად სამ-ოთხ დღეს ვერ იხსნის ხოლმე. ამას წინათ ერთი აქაური აფხაზი გლეხი თვალ-ცრემლიანი შესტიროდა გამვლელ-გამომვლელებს: „სამი დღეა ჩემი ძროხები ამ საშინელ ლაფში არიან ჩაყრილი თუმცა იმათ არაფერი ზარალი მიუციათ ამ ზამთარში დამჭერისათვის, მაგრამ ის მაინც სულზე თითო მანეთს მახდევინებს. სამი დღეა ფულის საშოვნელად დავრბივარ და ძლივს ვიშოვნე, მაგრამ ერთი აბაზი მაკლია და ის კი, სანამ ამასაც არ მივუტან, ძროხებს არ მანებებს. შეხედეთ ღმერთს, მასესხეთ ერთი აბაზი და მშიერ-მწყურვალ ძროხებს ამ ლაფში ნუ დამახრჩობინებთო), აი მეორე მაგალითიც მიწა-თოვლით თეთრად იყო დაფარული. საშინელი ყინვა იდგა ერთი შუახნის დედა-კაცი (საუბედუროდ ვინაობა ვეღარ გამოვიკითხე) ფეხშიშველა კაბა-ამოკარწახებული და სიცივისაგან საშინლად აცახცახებული, თვალიდან ცხარე ცრემლს აფრქვევდა, უკან ასე ათიოდე წლის ბიჭი და გოგო მიჰყვებოდნენ, – ესენიც ფეხშიშველა, მტირალნი – და მოთქმით ამბობდა: „ოთხიოდე დღეა ჩემი მარჩენალი ორი მეწველი ძროხა მშიერ-მწყურვალი ამ ლაფშია ჩაყრილი, ფულსა მთხოვენ; ფული კი მე ქვრივ-ოხერს ვინ მომაქვავა, ვინ მომცა! ნეტა ვიცოდე, ამ ზამთარში, ამ თოვლში, ძროხებმა რა წაუხდინეს?“ მთელი სოფელი ამგვარ მდგომარეობაშია. ამისთანა უსიამოვნებას რომ აცელებმა თავი დააღწიონ, გადაწყვიტეს ზამთრობით, თუმცა კი, მართალია, მათი საქონელი ვერას მოსძოვს, ქირა აძლიონ იქაურ რუსებს (რომელთაც კომლზე 10 დესეტინა მიწა აქვთ, აფხაზებს კი ორიც არ ექნებათ). სულ საქონელზე იხდიან ათ შაურს. აცელებს წყალიც კი მოესპოთ, როგორც ზევითაც ვსვთქვი, მდ. აცის-წყალი ბაკლანოვსკის ფარგალში მოჰყვა. შარშან აცელები სთხოვდნენ აქაურ ოლქის უფროსს: ყოველ ზაფხულს კამეჩები უწყლობით გვეხოცება, გვიშველეთ, განკარგულება მოახდინეთ, რომ მდინარეზე თავისუფლად შეგვეძლოს მათი გარეკაო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 9 იანვარი, პარასკევი, №2374, გვ. 3-4.

სოფ. მიწარა

...მიწარელი სწავლა-განათლების დიდი მოტრფიალენი არიან. ამ ორიოდე წლის წინად ამათ ააგეს სკოლისათვის მშვენიერი ქვითკირის შენობა, რომელიც 5000 მა-

ნეთამდე დაჯდა. გაუმწესეს მასწავლებელი, სომხური ენის არმცოდნე. ახალგაზრდა მასწავლებელი მხნედ მოეკიდა საქმეს; უნდოდა ნაყოფი მოეტანა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ „მუნჯურის მეთოდით სურვილს ვერ აისრულებდა, ვერაფერ სარგებლობას მოიტანდა; მალე მიხვდა, რომ ის მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლეებთან და ხალხთან ენა არ აკავშირებს, რაც უნდა წრფელად ეკიდებოდეს საქმეს, ვერავითარ ზნეობრივ გავლენას ვერ იქონიებს ვერც ამ მოსწავლეებზე, ვერც ამათ მშობლებზე და გადასწყვიტა საქმისათვის თავის დანებება. მშიერი ვყოფილვარ, მშიერივე დავრჩე ოღონდ სინდისი წმინდა მექნეს და იმ წმინდა და საპატიო საქმეს, რომელსაც მასწავლებლობა ჰქვიან, იმ წმინდა ტაძარს, რომელსაც სკოლას ეძახიან, ჩემგან ლუკმა პურის გულისთვინ ჩირქი არ მოეცხოს, არ შეიბღალოსო“, სთქვა იმან და მართლაც განშორდა სკოლას. სოფლელებს გადაუწყვეტიათ, ითხოვონ თავიანთ ხარჯით მეორე მასწავლებელი (მოსწავლეთ შეეძლოს იმათ შვილებს, სახელმწიფო ენასთან, დედაენაც შეასწავლოს...)

...ძნელათ რომ ვინმემ აფხაზს უზომოთ ღვინის სმაშია მოასწროს, მთვრალი დაინახოს. ამ მხრივ ესენი დიდათ მაღლა სდგანან, როგორც თავის მეზობელ ქართველებსა და სომხებზე, ისე, განსაკუთრებით, რუსის გლეხობაზე...

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 29 იანვარი, ხუთშაბათი, №2393, გვ. 5.

დრანდა – 25 იანვრისთვის დანიშნული იყო „დრანდის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ წევრთა კრება.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. №2406, გვ. 4.

დრანდა – სასოფლო სამეურეო საზოგადოების „აბრეშუმის“ წევრთა კრება ძლივს შესდგა 15 თებერვალს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. №2418, გვ. 2.

სოხუმში ნოქართა აუტანელი მდგომარეობაა.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. №2443, გვ. 3.

ადლერი (აფხაზეთი) 26 აპრილს 4 აბაშის მცხოვრები იასონ ჩაჩავა თავის დროგით წყალმა (მზიმთამ.) მოიტაცა და დაიხრჩო.

ივანე ხვიჩია

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. №2492, გვ. 3.

სოხუმი

ომის სოხუმზე იმოქმედა, შემცირდა აღებ-მიცემობა...

...სოხუმში ყოველ წლობით სახალხო სეირნობა იმართება საქველმოქმედო აზრით და 1200-1500 მან. შემოდის ხოლმე. ცუდს არ ინებებენ აქაური ქართველი საზოგადოება და პატ. მანდილოსნები, თუ ითავებენ და „ქ. შ. წ-კ. გამავრც. საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართავენ სახალხო სეირნობას და საქველმოქმედო ბაზარს,

იმისთანას, როგორიც იმართება ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა და სხვაგან. საჭიროა „ქ. შ. წ-კ. საზ-მაც“ ყურადღება მოგვაქციოს და დაგვიარსოს ქართული სკოლა და სამკითხველო.

სამი თვე არ გასულა, რაც აქ კოსტანდის ცირკმა სხვადასხვა ოინებით ხალხი დაატყავა და ეხლა მეორე გვეწია – ფრიგულის ველოსიპედის ცირკი. აქაურები ცირკს ძალიან ეტანებიან და, რა თქმა უნდა, ამ ცირკის პატრონიც კარგ ფულს წაიღებს.

კ. ჩ-ნი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 10 ივნისი, ხუთშაბათი, №2520, გვ. 3.

აფხაზეთი
(აქაური სკოლა)

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აფხაზეთ-სამურზაყანოშიაც ამ ბოლო დროს ხალხი კარგად მიხვდა სკოლის მნიშვნელობას და სწავლა-განათლების საჭიროებას; მიხვდა რომ დღეს უსწავლელად ვეღარას გახდება. მცხოვრებნი, მიუხედავად სიღარიბისა არავითარ, ხარჯს არ ერიდებიან, ოღონდ კი – სკოლა დაიარსონ და შვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც მიაღებინონ. სწორედ ხალხის ამგვარი შეგნებაა მიზეზი აქაურ სკოლების სიმრავლისა. მთელს აფხაზეთ-სამურზაყანოში არ მეგულება ისეთი თუნდაც სულ მივარდნილ-მიყრუებული სოფელი, სადაც სამინისტრო ან საეკლესიო სკოლა არ არსებობდეს, ბევრია ისეთი სოფელიც, სადაც ორი და სამი სკოლაც – კი არის, მაგრამ ამ სასიამოვნო სურათთა ძალაუნებურად თვალში გვეჩხირება მეორე, არა სასიამოვნო სურათიც: დაარსების პირველ წლებში მოსწავლენი საკმაოდ იკრიბებიან; მერე-კი, რაც დრო გადის, ეს რიცხვი კლებულობს და ბოლოს, ხშირად სკოლა სრულიად ცარიელდება ხოლმე. ს. ბ-შის სკოლაში თითქმის მთელს წელიწადს სწავლა არა ყოფილა ზემო ნათქვამის მიზეზით. ს. ო-რის მასწავლებელი ჩიოდა: უფროსს მოველი და რა ვქნა, რა ქვა ვიხალო თავში, რა ნაყოფი უნდა დავანახო, როდესაც მოსწავლეები სკოლაში არც-კი მეკარებიანო. ამ რამდენსამე წლის წინად ს. გ-ლის მცხოვრებლებმა სრულიად უარი განაცხადეს ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე და მრავალი სხვა... ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ სკოლა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ ამართლებს ხალხის იმედს: ბავშვს ვერასა სძენს; რა გონების ბარგითაც ის სკოლაში შედის, იმავე ბარგით გამოდის იქიდან. ორ-სამ გაზეპირებულ ლექსის მეტი, რომელსაც მალე დაივიწყებს, იმას სკოლიდან თითქმის არა გამოაქვს-რა. ვერ შეხვდებით აქაურ სკოლის მოსწავლეებში ისეთს, ვისაც, თუნდ სამი-ოთხი წელიწადი ევლოს სკოლაში, ორი სიტყვის რიგიანად გადაბმა, სულ უბრალო მოკითხვის ბარათის დაწერა შეეძლოს. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში გამოსადეგს აქაური სკოლა ბავშვებს არაფერს აძლევს. ამის მიზეზები მრავალზე-მრავალია, ჩვენ კი აქ მხოლოდ ზოგიერთებს დავასახელებთ: პირველი „მუნჯური მეთოდია“. სწორედ ჯვარს აცვა ამ მეთოდმა აქაური მასწავლებლებიც და მოსწავლენიც. ერთი რუსი მასწავლებელი, გვარად ჯ-ვი ამას წინად მეუბნებოდა: – „ოთხი წელიწადი ვიყავი ბერძნების ერთ სოფელში მასწავლებლად და სწორედ ჯოჯოხეთია ჩემთვის ამ დროის მოგონებაო. არ ვიცი მე უფრო ვსტანჯავდი (რასაკვირველია, არა განგებ) საბრალო ბავშვებს, თუ ისინი მეო. მგონია

ერთი-მეორეს არ დაუვარდებოდითო. ენის (რომელზედაც ბავშვები ლაპარაკობდნენ) უცოდინარობით უხეირო სახელმძღვანელოების და მუნჯური მეთოდის წყალობით მწვალებელი უფრო ვიყავი ბავშვებისა ვიდრე მასწავლებელიო. ჯანი გავარდეს ამ მეთოდს, უკეთუ ისეთ მასწავლებელს მაინც ჰგზავნიდნენ, მაინც რომელთაც შესწავლილი ჰქონდეთ ამ მეთოდით სწავლება, მაგრამ, სავალალო ის არის, რომ, დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვნით აქეთ ამისთანა მასწავლებელს. მეორე მიზეზი აქაურ სკოლებში სახმარად დანიშნული სახელმძღვანელოებია, რა ჰქნას ბავშვმა, რუსული ენის უცოდინარმა, მაგალითად, ამ სახელმძღვანელოთი, „книга для чтенъя и письменныхъ работъ по русскому языку составителъ“ Д. Поповъ, რომელიც მიღებულია აქაურ სკოლებში სახელმძღვანელოდ, და რომელსაც მასწავლებელი გადაუშლის მოსწავლეს პირველ დღიდანვე იმის სკოლაში შესვლისა?! მესამე მიზეზი თვით მასწავლებელნი გახლავან. არა მგონია, იმ მრავალ მასწვლებლებში, რომელნიც აქ მსახურებენ, ხუთიოდე მაინც გამოერიოს ნამდვილი მასწავლებელი, რომელსა სწამდეს თავისი საქმე ესმოდეს თავისი წმინდა და დიდი დანიშნულება და ამ საქმეს, ამ დანიშნულებას გულით ემსახურებოდეს. ესენი, თუ მსახურებენ მასწავლებლად, მსახურებენ იმისთვის რომ ასცდნენ ჯარში გაწვევას, ან იმისთვის რომ სხვა საქმე ვერ უშოვიათ. ყოველ შემთხვევაში ესენი ცდილობენ პირველ შემთხვევითვე ისარგებლონ და მასწავლებლობა მიატოვონ. მასწავლებლობას – კი, უნდა გამოვტყდეთ, აქ ადვილად შოულობენ; ყურადღებას გვარსა და ვინაობას აქცევენ და მზად არის. ამას არავინ დაგიდებს, შეგიძლიათ თუ არა ამ საქმის რიგიანად წაყვანა – დასამტკიცებლად მოვიყვან მრავალთაგან ერთს მაგალითს, ამას წინათ ერთს აქაურ ორ კლასიან სკოლაში დანიშნეს მასწავებლად ვინმე ს-რი. წლის ბოლოს მთავრობამ რომ სკოლა დაათვალიერა აღმოჩნდა, რომ მასწავლებელს წლის განმავლობაში სრულიად არა გაეკეთებინა რა. მასწავლებელი კი იმით იმართლებდა თავს, რომ, როცა მნიშნავდნენ, მეუბნებოდნენ გალობის მასწავლებელი იქმნებიო, თორემ, მე რომ არა მისწავლია-რა, სხვისთვის რა უნდა მესწავლებინა, მასწავლებლობა რა ჩემი საქმეა, ამის აბა მე რა გამეგებაო. აფხაზეთ-სამურზაყანოში ორი მეორე-კლასიანი სკოლა არსებობს: ს. გალში (სამურზაყანოშია) და დ. გუდაუთში. დიდის ამბით მიეგება ხალხი ამ სკოლების დაარსების ამბავს. ერთი აურზაური და შეჯახება იყო აქაურ საზოგადოებაში ამ სკოლების თაობაზე. ყოველი სოფელი, ყოველი საზოგადოება ცდილობდა სკოლა იმათ ახლოს გახსნილიყო. რვა წელიწადი შეუსრულდა ამ სკოლებს, რაც არსებობენ, და, ეს არის, ლამის სრულიად გული გაუტეხონ საზოგადოებას. არ იქნა, ვერ დამყარდა ამ სკოლებში წესრიგი. ნიადაგ რაიმე უსიამოვნება, არასასიამოვნო ამბები ჰხდება, რისთვისაც მასწავლებლები, არამედ თუ ყოველ წლობით, თითქმის ყოველ თვეობითაც კი იცვლებიან, რაც ნამეტნავად აფერხებს სწავლის რიგიანად მიმდინარეობას.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 28 იანვარი, ორშაბათი, №2538, გვ. 1.

სოხუმიდან ბ-ნს ხ. თურქიასაგან აკაკი წერეთლის ფონდისთვის მოგვივიდა ერთი თუმანი. ბ-ნი თურქია გვწერს, მომავალ წელსაც გადავიხდი თუმანსაო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 10 ნოემბერი, ოთხშაბათი, №2666, გვ. 2.

სოხუმში არსდება ტუპერკულოზის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. მთავრობამ უკვე დაამტკიცა წესდება.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 17 ნოემბერი, ოთხშაბათი, №2673, გვ. 2.

ს. გაგიდა (სამურზაყანო) აქ თორმეტამდე ხე-ტყის ქარხანაა. ამ ქარხნის პატრონები უმეტეს ნაწილად გურულები არიან. მუშებიაც გურულები არიან...

...სამი ქარხნის მუშა უკვე წავიდა. მიზეზი მეგრელებსა და გურულებს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილებაა.

დროებით გაგიდელი

გაზ. „ცნობის ფურცელი“ , 1904 წ. 20 ნოემბერი, შაბათი, №2676, გვ. 3.

სოხუმში

...სად არ იმართება ქართული წარმოდგენები, მხოლოდ სოხუმს არა ეშველა რა. წელიწადში თუ ერთხელ იხილა კაცმა ქართული წარმოდგენა, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება. წინა წლებში ადგილობრივი სცენის მოყვარენი უფრო ბეჯითად ეკიდებოდნენ ქართული წარმოდგენების მართვას. 28 ნოემბერს მსახიობის ქუჯის მონაწილეობით და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს „სიძე-სიმამრი“ ვალერიან გუნიასი და „რაც არ მერგება არ შემერგება“ ვოდევილი გუნიასივე. წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივ საბჭოს დარბაზში. მონაწილეობას იღებდნენ კ. დადიანისა, ქ-ნნი კიწმარიშვილისა, მაჭავარიანისა, გვაზავასი და სხვანი; ბატონი ქუჯი, ხოხიაშვილი, ქუთათელაძე, კოზმავა და სხვანი. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და მაყურებლებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

ეს მეორე თვე გადის, რაც გვეწვია პერვილის ცირკი, რომელსაც კავკასიაში დიდი გემოვნება აუღია. მართლადაც სხვადასხვა ხერხით და ოინებით, ისე იზიდავს საზოგადოებას, რომ ყოველ საღამოობით ტევა არ არის. მგონი ქუთაისელებზე უარესს არ უზამს სოხუმელებს, ჯერჯერობით 10 ათას მანეთამდი უჯიბნია სოხუმელებისაგან. თეატრსა და სხვა რამე კეთილს შორს გაურბიან, ცირკისათვის თუმნობით არ ენაღვლებათ. სხვადასხვა ოინებით მეთქი ვთქვი. ყველაზე მეტად ხალხს ჭიდაობა აინტერესებს. ყოველ საღამოობით სხვადასხვანაირ ჭიდაობას მართავს.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ , 1904 წ. 7 დეკემბერი, სამშაბათი, №2692, გვ. 4.

აფხაზეთი

ახალი ათონი

თუ არა ენახულება, ვის არ გაეგონება მაინც, რომ აფხაზეთში, სოხუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 25 ვერსზე ზედ ზღვის პირას მდებარეობს მდიდარი ახალი-ათონის მონასტერი, რომელშიაც 800-მდე რუსის ბერია. ზამთარ-ზაფხულს სწორედ სასიამოვნო სანახავია ახალი-ათონი. ადგილის მდებარეობა, მონასტრის შენობები, ლიმონ-ფორთოხლის, სხვა ხეხილის და დეკორატიულ მცენარეების ბაღები ერთიმეორეს ეცილება სიმშვენიერე-სილამაზით და მნახველს ვერ გადაუწყვეტია, უპირატესობა რომელს დაუთმოს. ამ ადგილებში მონასტრის დაარსების მიზანი, სხვათა შორის, იყო სამისიონეროც. მაგრამ, თუ სახეში არ მივიღებთ იმ ოც აფხაზეთის

ბავშვს, რომელნიც ყოველ წლობით მონასტრის ხარჯით აქაურ სკოლაში იზრდებიან და რომელნიც სკოლის გათავებისთანავე ივიწყებენ-რა, რაც უსწავლიათ, – მამების „ხელობას“ ჰკიდებენ ხელს, – სხვა გავლენა ათონის მონასტერს აფხაზებზე სრულიად არაფერი აქვს. ქრისტიანობა არამც თუ ვრცელდება და მკვიდრდება ამ მხარეში, თან და თან ისპობა კიდეც. ამ უკანასკნელ 8-10 წლის განმავლობაში აფხაზები ყოველ წლობით ათასობით სტოვებენ ქრისტიანობას და მაჰმადიანდებიან. ამისი მიზეზი თუმცა ცხადია, მაგრამ გარემოება ამაზე ლაპარაკის ნებას არ გვაძლევს. ყოველ წლობით დიდძალი რუსის ხალხი მოდის ამ მონასტერში. ეს ხალხი გაიყოფა სამ რიგად: პირველ რიგში ადგენენ სოფლის მდაბიო მცხოვრებნი, რომელთაც თავი მოვალედ გაუხდიათ ერთხელ მაინც ინახულონ ეს ადგილი და ამ ადგილში ღმერთს თაყვანი სცენ. მეორე რიგს რუსეთის ინტელიგენცია-არისტოკრატია შეადგენს, რომელიც, ვინემ სალოცავად დროს გასატარებლად უფრო მოდის აქ-უმეტესად ზაფხულობით, როცა ზღვაში ბანაობის სეზონი იწყება. ამათთვის მონასტერს გამართული აქვს მშვენივრად მორთულ-მოწყობილი სასტუმროები. მესამე რიგს წარმოადგენს – რუსეთის, ეგრეთწოდებული, „ბოსიაკოვა“. გიორგობის თვე გაივლის თუ არა, უთვალავი რიცხვი ამ „ბოსიაკებისა“ მოაწყდება ხოლმე აქ, რომ მონასტრის ნესტიან და შეხუთულ სარდაფებში მაინც როგორმე შეაფაროს თავი და რამენაირად ნახევრად შიშველ-მშირებმა მკაცრ ზამთარს დააღწიონ. ამათ ყოველ დღე უყვირიან: თქვენთვის ხომ არ აგვიშენებია ეს მონასტერი, მაგრამ ესენი მაინც არხეინად განაგრძობენ ერთხელვე დაკავებულ ბინაში ცხოვრებას აპრილის დამდეგამდის, როდესაც, როგორც ბუზები ძვრებიან ამ სოროებიდან და მიეშურებიან სხვადასხვა ადგილებისაკენ. ახალ-ათონს მუდამ ზამთარ-ზაფხულ დიდძალი სამუშაო აქვს; ამიტომ აქ ნიადაგ მრავალი რუსის უბრალო მუშა იყრის თავს, რომლის დღიური ფასი 15-20 კაპ. არ აღემატება მონასტრის აქეთ-იქეთ მხარეს ასე რომ ვერსზე, კერძო პირების მამულზე სასმელების დუქნები იყო გამართული. პატრონები ჩვენებურები იყვნენ; ვაჭრობაც გვარიანი ჰქონდათ; მაგრამ ამ წლიდან დუქნები დააკეტინეს, რადგან ასე ახლო მათი არსებობა მონასტრისათვის მავნებლად სცნეს.

ამის შემდეგ ზოგიერთმა რუსის გლეხებმა იწყეს არყით ვაჭრობა, რასაც მოჰყვა არასასიამოვნო ქურდობა. ერთ ბამბორელ გლეხს, რადგან შეუმჩნევლად ბევრის ერთბაშად მონასტერში შეტანა და გასაღება ვერ მოეხერხებია, რამდენიმე ბოთლი არაყი ეკლებში, ჩაემალა და რომ დაბრუნდა, აღარაფერი დაუხვდა. დედაბერ ტ-სიას, სანამ ზოგიერთ ბოთლებს დაარიგებდა დანარჩენები, ეკლებში ჩამალული, ვიღაცეებმა სულ გამოუსვეს. გლეხს-ბუ-ევას იმ დროს, როცა არყიან ბოთლებს ასაღებდა ცხენი მოჰპარეს და გამწარებული გაიძახოდა ღვთისგან წყეული და შეჩვენებული იყავით, აფხაზებო, ჩემის ცხენის მოპარვისათვიო, თითქოს დანამდვილებით სცოდნოდეს, რომ იმისი ცხენის ქურდი მართლა აფხაზია და არა სხვა ვინმე.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“ , 1904 წ. 24 დეკემბერი, პარასკევი, №2708, გვ. 3.

აფხაზეთი

ჩვენსკენაც გაიღვიძა ხალხმა და საზოგადო მოძრაობა-ფერხულში ჩაება. მიჰხვდა, რომ თუ არ უნდა აღიგავოს პირისაგან ქვეყანისა, უნდა ძველებური

ცხოვრება უკუ-აგდოს და ახალს მოჰკიდოს ხელი. მოგეხსენებათ, აფხაზს დღემდის ვაჭრობა, აღებ-მიცემოდა სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა; სანთლითაც რომ გეძებნად, ვაჭარს აფხაზს ვერ იპოვნიდით. დღეს-კი აფხაზებმა ასეთი შეხედულება ცოტაც არის შეცვალეს: აქა-იქა მედუქნეობა იწყეს; შვილებს ვაჭრებს აბარებენ ვაჭრობის შესასწავლად. ასე განსაჯეთ, აქაურ ბრწყინვალე წოდებაშიაც – კი გამოერივნენ ზოგიერთები, ვაჭრობის მიმდევარნი. როგორც საზოგადოდ ყველგან, აფხაზეთშიაც ხალხის ყურადღება ამ ბოლო დროს ომმა მიიპყრო. სახლში, კარში, ეწვევი ვისმე თუ გეწვევა, ომზე კითხვებს უჭირავს. „აბა გვიამბე ამ ბოლო დროს, რა ჰხდება ომშიო, საქმე როგორ მიდისო“, გეკითხებიან ყოველის მხრიდან და რომ უამბობ. ან გაზეთს უკითხავთ, მთლად სმენად იქცევიან და თანაც ხან იღიმებიან, ხან შუბლი ეღრუბლებათ. აქა-იქ სოფლებში გაზეთსაც იწერენ. სამაგიეროდ, არა კითხულობენ გაზეთებს არც მღდვლები და არც მასწავლებელნი. სამურზაყანო-აფხაზეთში სულ უკანასკნელი 85-90 მღვდელია და, თუ მეტი არა ამდენივე მასწავლებელი იქმნება და წარმოდგინეთ, ამათში ხუთიც არ გამოერევა, ვისაც გაზეთი ჰქონდეს გამოწერილი. ეს ათიოდე წელიწადია რაც გუდაუთაში სამკითხველო არსებობს. მისი დამაარსებელი გოგიტიძეა, რომლის აქედან წასვლის შემდეგ უახლობლესი მზრუნველობა იკისრა ნ. ჯანაშიამ. ამ ორი პირის მეცადინეობით და წყალობით სამკითხველო სასურველ მდგომარეობაში იყო. მოდიოდა თითქმის ყველა ადგილობრივი ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთი და სატახტო ქალაქების ზოგიერთი გამოცემაც. სამკითხველოსაც ბევრი მკითხველი ჰყავდა. მაგრამ სამსახურისა გამო აქედან გადავიდა გოგიტიძე და რამდენიმე წლის შემდეგ ბ-ნი ჯანაშიაც და სამკითველოსაც შავი დღე დაუდგა. ჯერ ჭირისუფლებმა გააძევეს იქიდან თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი და ბოლოს სრულიადაც მიკეტეს. სრული ორი წელიწადია, რაც სამკითხველოს კარები არ გაღებულია. თუ რამ გაზეთი მოდის სამკითხველოს სახელობაზე, სხვაგან სადმე უნდა მოსძებნოთ. როგორც მოგეხსენებათ, გამოცხადდა გუდაუთსა და ოჩამჩირეში სამოადგილობის შეძენის ნებართვა, მაგრამ ფასი და შეძენის პირობები – კი ისეთია, რომ ჩვენისთანა მომაკვდავნი ტყუილად ნუ აიმჟავებენ. უხაროდეთ ისევ მდიდრებს. ოცდა-ცხრა ივლისს აქეთ მოხდა ერთი მკვლელობა: ორმა „სტრიჟნიკმა“ მოჰკლა სოფ. მუგუძიხველი გლეხი.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 11 აგვისტო, ოთხშაბათი, №2580, გვ. 4.

სოხუმის რეალურ სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორი სტასენკო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ. 29 აგვისტო, კვირა, №2597, გვ. 3.

სოფ. პეტროვსკოე (აფხაზეთი)

...აი ამ მაღლობ ადგილზე 12-15 წლის წინად გაშენებული იყო აფხაზების სოფელი. აქაური აფხაზები მისდევენ ხვნა-თესვას და უფრო კი მევენახეობას. მთელი ეს სოფელი დაფენილი იყო საუკეთესო ჯიშის ვაზით – მაღლარით. მაგრამ ერთ მშვე-

ნიერ დღეს აფხაზები წავიდნენ აქედან. თვალ-ცრემლიანებმა და გულდათუთქულებ-მა მიატოვეს თავიანთი ნაამაგარი სახლ-კარი (აფხაზური ფაცხა გადასატანად არ გამოდგება) ბაღები, შვილივით ნაზარდი ვენახები, მიჩვეული მიწა-წყალი და თითო-ოროლად აფხაზების სხვადასხვა სოფლებში შეაფარეს თავი. ამ ადგილზე დაასახლეს 70-მდე რუსის გლეხის ოჯახი. ამნაირად გაშენდა ახალი სოფელი „პეტროვსკოე". თუ როგორ ისარგებლეს ამ ახლად დასახლებულებმა აფხაზებისაგან დატოვებულ ბაღ-ვენახებით, ამის დასახატავად მოვიყვან ერთ აქაურ რუს გლეხის სიტყვებს: „გავიხედეთ და ეს ამოდენა ადგილები ვაზ-შეშვებულ ხურმისა და თხმელის ხეებით დაფენილი რომ დავანახეთ, ვთქვით: აი ხალხი, ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს ხეები დაეჭრათ ადგილი გაენთავისუფლებინათ და ზედ პური დაეთესათო. მალე წალდებითა და ნაჭაღებით მივესივენით ამ ხეებს, რომელთაც გველებივით შემოხ-ვეოდა მათზე არა უწვრილესი კაჭკაჭის, ავასარხვას და ამლახუს (ადგილობრივი საუკეთესო ჯიშის ვზებია) ვაზები. დავთესეთ პური, მაგრამ აქაური ნიადაგი და ჰავა პურის მოსავალს ხელს არ უწყობს და ჩვენც მალე მივატოვეთ ეს საქმე. ამნაირად ეს საუცხოვო ვენახებიც გავაფუჭეთ და გავაოხრეთ და ვერც პური მოვიყვანეთ. ერთი-ღა დაგვრჩენოდა: აფხაზებისათვის მიგვებაძნა და ჩვენც მათსავით სიმინდის თესვისათვის მიგვეყო ხელიო"...

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904 წ. 29 სექტემბერი, ოთხშაბათი, №2625, გვ. 5.



ბიჭვინთის ტაძარი, X-XI სს.

1905

გაზეთი „ივერია“

სოხუმიდან „კავკ“:-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ქალაქში დიდი მღელვარებაა. მცხოვრებთა შორის გამეფებულა ტერორი. სასწავლებლის მთავრობა შუამდგომლობს, დროებით სწავლა შეჩერებულ იქმნასო.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 17 მარტი, ხუთშაბათი, №29, გვ. 3.

დეპეშა – სოხუმი

მოწაფეებმა სასწავლებლის ფანჯრები ჩალეწეს. უმრავლესობამ სწავლა შესწყვიტა. გაიფიცნენ ნოქრები და მენავეები. კიდევ ოთხასი კაზაკი რუსი ჩამოვიდა.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 2 აპრილი, შაბათი, №45, გვ. 3.

დეპეშა – სოხუმი

5 ივნისი. ამ უკანასკნელ 15 წელიწადში დღეს პირველად სწირეს აქ ქართულად. დედაენის სმენამ გაახარა ყველა ადგილობრივი მცხოვრები. ეკლესია ხალხს ვერ იტევდა.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 8 ივნისი, ოთხშაბათი, №94, გვ. 3.

„რუს. სლ“-ს სოხუმიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქის საბჭომ აირჩია ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი მოხსენება კავკასიის ავტონომიის შესახებ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 12 ივლისი, ოთხშაბათი, №115 , გვ. 3.

მოძრაობა აფხაზეთში

იმ განმანთავისუფლებელმა დიადმა ტალღამ, რომელიც კიდითი-კიდე ასე მძლავრად მოედო მთელს საქართველოს და ძილად მიგდებული ხალხი ზეზე დააყენა, აფხაზეთიც აახმაურა და ააღელვა: ხალხი აზვირთდა და აღსდგა, გარნა მკაფიოდ და გარკვევით ვეღარ წარადგინა თავისი მოთხოვნილებანი.

ამჟამად მოკლედ აღვნუსხავ მოძრაობას, მოძრაობას აფხაზთა შორის. გურულებს პირველად გამოეხმაურნენ დას. აფხაზეთის ბზითის მცხოვრებლები. ბიუროკრატიის უგვანო მოქმედებით დიდის ხნობით გულში შეგუბებულმა მძულვარებამ რეალური სახე მიიღო და კინაღამ მოთმინების ძაფი გაწყდა... მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთა აღნუსხვა აქ შეუძლებელია, მოითხოვეს მხოლოდ სარწმუნოების თავისუფლება, გათანასწორობა კანონის წინაშე, საზოგადოდ მიწად-მფლობელობის მოსპობა და „უკანონო“ გადასახადების მოსპობა. უკანონოს რომ ვამბობ, აი, საქმე რაშია. როგორც დასავლეთის აგრეთვე აღმ. აფხაზეთის მეზობლად რუს-მოლდავან-ოსტინელთა რამოდენიმე კოლონია არსებობს; დღიდან მათის დაარსებისა, რაც მოახალშენეს ეკარგება, იმისი აუცილებლად უნდა უზღოს აფხაზთა იმ სოფელმა, რომლის საზღვრამდის მოიტანეს დაკარგული პირუტყვის კვალი.

ვინ იცის, თუ როგორაა აფხაზეთში ქურდობა გავრცელებული, ის ადვილად წარმოიდგენს იმ მძიმე ხარკს, რომლის სიმძიმის ქვეშ გმინავდა ბედკრული ერი. სიტყვა

რომ არ გავაგრძელო, მოვიყვან შემდეგ ნამდვილ ფაქტს: ერთმა სოფელმა ოცის წლის განმავლობაში ამ სახით მეახალშენეთ გადაუხადა ოცდა ორი ათასი მანეთი ფულად, ესე იგი ორთა-შუა რიცხვით, თვითოეული კომლი ყოველ წლივ იხდიდა სამ მანეთსა და 33 კაპეიკს. ეხლა სულზე რომ გადავიტანოთ ის შრომა, მოცდენა და ხეტიალი, რასაც თითოეული დაკარგულ ცხენის თუ ხარის გამო ეწეოდა აფხაზთა საზოგადოება, ერთ ჩემს ნაცნობ აფხაზთან ერთად თქვენც აღიარებთ, რომ გარემოებას აფხაზნი გადაუქცევია მეწველ ძროხებად მეახალშენეთათვის!

ბიუროკრატიით ზურგ-მომაგრებული მეახალთშენენი რაებს არ ჩადიოდნენ: დაკარგული საქონლის ფასს თვითონვე სწყვეტდნენ, ერთი და იმავე საქონლის ფასს ორჯერ ახდევინებდნენ და სხვა, ყოფილა მაგალითი, რომ ჭაში ჩამხრჩვალ ჭაკის ფასად ასი მანათი გადაეხადოს და შემდეგ ფაქტი გამოაშკარავებულიყოს! აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც აფხაზნი მეახალშენეთ დანაკარგს უზღვავდნენ, თვით მათი დანაკარგი ყურადღების ღირსადაც არავის მიაჩნდა; ეკარგებოდათ კი ბლომად. მაგალითად, ერთს ოჯახს ცხრა წლის განმავლობაში 44 სული საქონელი მოჰპარეს! აი, სწორედ ამან და ბევრმა სხვა უსამართლობამ აფხაზთ წარმოათქმევინა მწარე ჭეშმარიტება: „ავი დედინაცვლის გერები ვართო!“

დღესაც ბზიფელებს აქვთ გაწერილი გადასახადი თერთმეტი თუ თორმეტი ათასი მანათი, რომლის გადახდაზედაც უარი განაცხადეს და თავისს გადაწყვეტილებას ჯერაც მტკიცედ ადგანან – იმიტომ ვიხდიდით სახელმწიფო გადასახადსა თუ საეროს, რომ ავი კაცისაგან დაგვიფაროთო და არა უდანაშაულო მცხოვრებთ, ქურდ-ბაცაცთ მაგიერ, სასჯელი მოგვაყენოთო, – ამბობენ აფხაზნი.

დაიწყო მღელვარება და მოძრაობა თუ – არა, აფხაზებმა თვალები მოიფშვნიტეს, გარშემო მიიხედ-მოიხედეს და ბევრი უსამართლობა დაინახეს და ზოგიერთი მათი გამოსწორება თავისივე ძალით მოინდომეს. პირველად ამ წლის ორს მარტს ლიხნელ აფხაზებმა შემოიერთეს ის ორმოცი დესეტინა მიწა, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად იმათ ჩამოუჭრეს და რუს მეახალშენეთ ბომბორელთ მიუზომეს, მიუხედავად იმისა, რომ თვითოულ მეახალშენე მოსახლეს აქვს მოზომილი ათ-თი დესეტინა, აბორიგენ – აფხაზთ კი 3-7 დესეტინამდის! ზემოხსენებულ ნაჭერ მიწის გამო ლიხნელთ დიდი ხვეწნა მუდარ გასწიეს, მაგრამ ამაოდ, და აი, ამიტომაც თავისს მკლავის ძალას მიჰმართეს მაგრამ ამანაც უმტყუვნათ.

იმავე მარტის ხუთსა თუ ექვსს, ზოგიერთი მებატონე – „დაჩნიკები“ (ესენი დღითი დღე სოკოსავით მრავლდებიან ამ კუთხეში) – ცოტათი შეაშინეს. რას ერჩოდნენო, იკითხავთ, და აი რას: „დაჩნიკებიც“ იმავე კანონის წყალობის ქვეშ არიან, როგორც კოლონისტები, – რაც ეკარგებათ, იმისი ფასი აფხაზებმა უნდა უზღონ, – ამჟამად 6-7 ათასი მანათი უნდა გადაუხადონ მათ, და მეორეც, მეტის მეტად აწუხებენ, უჭერენ რა საქონელს აფხაზებს: თითო სულ საქონელზე, მიუხედავად ზარალისა, 3-5 მანათამდის ახდევინებენ. ბედკრულ აფხაზთათვის ნახირიც კი აღარ არსებობს.

5 მარტს, ღამით, გადაწვეს ზვანდრიფშის სასოფლო სკოლაც. აფხაზთა სოფელი ააციც მეტად მეტად შეწუხებული იყო რუს-მეალახშენთაგან. ასე გასინჯეთ, საქონლისთვის მდინარესთან ჩასავალი გზაც აღარ მისცეს იმ აფხაზთ, რომელთა ნამოსახლარზეც თვითონ მოსახლკარობენ! ააცელებმაც ორასამდის დესეტინა მიწა, წინათ მათი კუთვნილი, რუსთაგან ისევ უკან დაიბრუნეს, რასაკვირველია, დროებით, სანამ

პოლიცია ღონეს მოიკრეფდა.

ბნელი ძალები პირველად დაიბნენ, გზა-კვალი დაეკარგად, მერე კი ისევ გონს მოვიდნენ და კვლავ ჯოჯოხეთურ მუშაობას შეუდგნენ: ზოგიერთ გავლენიან აფხაზ თავად-აზნაურთა შემწეობით აბობოქრებული ხალხი შეუსისინეს ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთ – ყველა თქვენი უბედურების მიზეზნი ეგენი არიანო, ჰკა მაგათო, და კინაღამ ის უბედურება არ დატრიალდა რაც ბაქო-ნახიჩევანაში, კინაღამ უდანაშაულოთა სისხლით არ მოირწყო გუდაუთის ქუჩები რომ უბრალო შემთხვევას არ ეხსნათ!

აღმოსავლეთ აფხაზეთში კი საზოგადოება უფრო დამშვიდებით იყო. მარტო სამი საზოგადოება – ილორის, ტამიშის და აძვიბჟისა სავსებით მიემხრო ახალ მოძრაობას. 8 დანარჩენ სასოფლო საზოგადოებაში ხალხი თუმცა მღელვარებდა, მაგრამ მაინც მათში ახალ მოძრაობას რეალური ფორმა არ მიუღია.

აფხაზთ ერთი მამა-პაპეული ჩვეულება აქვთ: საყოველთაო, საზოგადო საქმე მთელის ხალხის წარმომადგენელთა თანხმობით უნდა გადაწყდეს ხოლმე. ასე იქცეოდნენ ყოველთვის, ასევე იქცევიან დღესაც. აი, ამ თავისთავად მშვენიერმა და სასარგებლო ჩვეულებამ ხელი შეუშალა „ერთობის საქმეს“, როგორც მას აქ ეძახიან. ზოგიერთ დაინტერესებულ პირთა მოთავეობითა და მთავრობის ნებართვით, პირველად, მარტის ბოლო რიცხვებში, სოფელ ტამიშში, მერე, 5 აპრილს სოფელ მოქვში მოხდა მთელის აბჟუის (აღმ. აფხ-ის) მცხოვრებთა წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც გადაწყვიტეს: ახალ აზრთა მქადაგებელთაგანი არავინ შემოუშვან და თავად-აზნაურობასთან ერთად შეადგინონ პეტიცია მთავრობისათვის მისართმევად.

საზოგადოდ, სჩანს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც ყოველ საშუალებას ხმარობს, ხალხი ააცილოს ეხლანდელ საგულისხმო მოძრაობას და მისი უგულითადესი მისწრაფებანი „უმორჩილეს თხოვნებითა და აზრებით“ შეზღუდოს, მაგრამ მგონია, საწადელს ვეღარ მიაღწიოს...

აღმოსავლეთ აფხაზეთში დეპუტატებად აირჩიეს: თავადაზნაურობამ – თავადი ალექსანდრე შერვაშიძე და აზნაური კიჭონ (იგივე ალექსანდრე) მარღანია, ხოლო გლეხობამ – ნესტორ საძეკია, ჰაბიჟ აშვბა, დიმიტრი გულია და რაზან შაკაია, ხოლო დასავლეთ აფხაზეთში-თავადაზნაურობამ – თავადი ალხაზ ანჩაბაძე და აზნ. შაჰანნ ლაკერბაია, გლეხობამ კი – ალექსი ლადარია და კობლუხ ჯიკირბა.

ესენი უკვე მომზადებულნი არიან და იმედოვნებენ, დღეს თუ ხვალ, მთავრობა მოგვიწვევსო...

(შემდეგი სტატია აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკას სხვა რჯულის ხალხების გადმოსახლების პრობლემას, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას ეხება. – რედ.).

ალი-მურზა-სელიმ-ოღლი

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 15 ივლისი, პარასკევი, №118. გვ. 4.

ხუთშაბათს, 21 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს ნ. ა. სულთან-კრიმგირვის წარუდგა აფხაზთა დეპიტაციის მეთაური საად-ბეგი შერვაშიძე. ამ დეპუტაციას აზრად აქვს შუამდგომლობა აღძრას აფხაზთა ზოგიერთ საჭიროებათა შესახებ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 26 ივლისი, სამშაბათი, №127, გვ. 3.

რადგანაც გუდაუთში მაჰმადიან აფხაზებს თავიანთი მეჩეთი არ ჰქონიათ, აფხაზებმა შუადმგომლობა აღძრეს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, მიეცეთ მათ ნება ააგონ მეჩეთი გუდაუთაში. კავკასიის ნამესტნიკმა ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 28 ივლისი, ხუთშაბათი, №129, გვ. 3.

ქ. სოხუმს ქალაქის აფთიაქის დაარსების შესახებ შუამდგომლობაზე უარი უთხრეს, სოხუმში ცოტა მცხოვრებლები არიანო.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 29 ივლისი, პარასკევი, №130, გვ. 3.

ჯგერდის საზოგადოება

...საშინელი სიღარიბე და სიბინძურე სუფევს სომხების კოლონიაში, მაგრამ ერთი მისაბაძი ჩვეულება კი აქვთ: სადაც ათი-თხუთმეტი მოსახლე დამკვიდრდება, იქ ხელადვე ჩნდება სკოლა და ეკლესია...

ამ საზოგადოებაში აფხაზ-მეგრელთათვის არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა.

(ამავე სტატიაში რუსეთის პოლიტიკა, სხვა რჯულის ახალმოსახლეობის ჩასახლება აფხაზეთში. – რედ.).

ალი-მურზა-სელიმ-ოღლი

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 17 აგვისტო, ოთხშაბათი, №141, გვ. 4.

16 აგვისტოს ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კარიმ გორკის წარუდგენენ სოხუმის მცხოვრებთა წარმომადგენელნი თ. ა. შერვაშიძე და ნ. ყ. თავდგირიძე, რომელნიც ნამესტნიკის მოადგილეს მოელაპარაკნენ და წერილობითი მოხსენებაც წარუდგინეს შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთების შესახებ. ნამესტნიკის მოადგილემ აღუთქვა წარმომადგენლებს, რომ მიიღებს მხედველობაში აღნიშნულ საბუთებს საქმის მოწყობის დროს. ამას გარდა დეპუტაციას მსჯელობა ჰქონდა სოხუმის ოლქში სამხედრო გამგეობის მაგიერ დაარსდეს სამოქალაქო გამგეობა. ბ- ნმა სულთან-კრიმ-გირეიმ ამის თაობაზედაც წერილობითი მოხსენება მოითხოვა, რაც უკვე წარუდგინა თავ. ნ. ყ. თავდგირიძემ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 19 აგვისტო, პარასკევი, №146, გვ. 2.

„ჩერნ. ვესტ“-ს სიტყვით სოხუმის ოლქის უფროსად პოლკ. პროგულბიცკის მაგივრად ნიშნავენ ტფილისის პოლიცმეისტერს ჟანდარმის როტმისტრს ცისს.

გაზ. „ივერია“ 1905 წ. 26 აგვისტო, პარასკევი, №152, გვ. 3.

როგორც გვატყობენ, სოხუმში 18-22 ოქტომბრამდე საერთო გაფიცვა ყოფილა, ხალხი დადიოდა ქუჩებში წითელი ბაირაღებით და სარევოლუციო სიმღერებს ამბობდა.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 28 ოქტომბერი, პარასკევი, №191, გვ. 3.

სოხუმის ოლქის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი

სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს:

7) ახლავე შემოღებულ იქნეს საყოველთაო, სავალდებულო, საერო და უფასო სწავლა-განათლება, რომელსაც მჭიდრო კავშირი უნდა ქონდეს საშუალო სასწავლებლების პროგრამასთან.

8) სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული სტიპენდიები თანდათან სოხუმის რეალურ სასწავლებლებში იქმნეს გადმოტანილი და მათი რაოდენობაც გადიდდეს.

9) სოხუმის ოლქის ყველა სასწავებელში საგნების სწავლება სავალდებულო იყოს ქართულ ენაზე, მსურველთათვის – აბხაზური და არაბულიც.

10) ოლქის მცხოვრებლთ რამდენიმე სტიპენდია მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებში.

11) სოხუმის საქალაქო სასწავლებელი ახლავე გადაკეთდეს სამეურნეო სასწავლებლად მოსამზადებელ კლასებით.

12) დაარსდეს საექიმო სკოლა და ფერშალთა სასწავლებელსა და ბებიათა კურსებზე ოლქის მცხოვრებთ რამდენიმე სტიპენდია მიეცეს.

13) სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა სამხედრო ბეგარა ამიერკავკასიაში უნდა მოიხადონ.

14) ახლავე შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

15) მცხოვრებლებმა თვითონვე უნდა აირჩიონ სამღვდელო პირები.

16) ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ განათლების ცენზი ნებას აძლევს, ყველა დაწესებულებაში ადგილი მიეცეთ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. 19 ნოემბერი, შაბათი, №210, გვ. 4.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სოხუმი

ამ 2 ½ წლის წინად ზოგიერთ ინტელიგენტთა ჩაგონებით, სოხუმის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა ბიბნლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება სოხუმში. კარგი დაგემართოს, ეს საქმე კარგი იყოს, ახლანდელ დროში თითქმის აუცილებელი საჭიროებაც! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ყოველ საქმეს ჩვენში პირველად სიხარულით ეგებებიან და მერე კი სულ გაადაავიწყდებათ ხოლმე იმაზე ფიქრი. ჩვენ ერთსა და იმავე დროს კიდეც ვგრძნობთ სინათლის საჭიროებას, მაგრამ, რადგან ბნელში ვართ აღზრდილნი. თითქმის გვეშინიან სინათლის დანახვა. მაშ რით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ 2 ½ წელია, რაც სოხუმის თვითმმართველობამ შეიძინა ერთი ძველი ბიბლიოთეკა ტფილისში (და გვარიან ძვირათაც) და მაშინვე იყო გაგზავნილი თხოვნა. ვისთანაც ჯერ არს, ნებართვისათვის. იმას შემდეგ კი ამის შესახებ არავის კრინტიც არ დაუძრავს. მთავრობისაგან არც ავი მოსულა არც კარგი, საჭირო

იყო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მაგრამ ვის უნდა ედვა ეს თავზე? ქალაქის მოურავს? კი, მაგრამ დღემდე ქალაქის მოურავსა და ხმოსნებს შორის ხიდი იყო ჩატეხილი. ისინი მთელი ამ დროის განმავლობაში პირად ინტერესებისათვის იბრძოდნენ და სად ეცალათ საზოგადო საქმისათვის ერთი-ორი სიტყვა დაეხარჯათ?! დღეს ქალაქის მოურავსა და ხმოსნებს შორის ჯერ-ჯერობით კარგი განწყობილებაა, და იმედსაც ამაზე ვამყარებდით ამდენ ხანს, რომ ახლა მაინც ვეღირსებითო, მაგრამ ამაოდ, არავინ იწუხებს თავს. ან კი რა საჭიროა ბიბლიოთეკაა თუ რაღაცა? ვინც საზოგადო საქმეს სათავეში უდგია იმას ჟურნალ-გაზეთობის გამოწერის შეძლებაც აქვს. ჩვენი ვაჭარები კითხვას ისე საჭიროებენ, როგორც მე და შენ ჩემო მკითხველო, შარშანდელ თოვლს; ჩვენი ნოქრები ეს უენო არსებანი იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ ღამის 11 საათზე ეღირსებიან ხოლმე მყრალ ყავახანაში თავისუფლად ნარდის თამაში: „ერთის სიტყვით რომ იტყვიან ვსიო ობსტოიტ ბლაგოპოლუჩნო“, სწორედ ეს არის. მაგრამ ერთი ვერ გამიგია, რა საჭირო იყო ბიბლიოთეკის შეძენა ქალაქის ფულით, თუ ქალაქი სამკითხველოს ვერ ეღირსებოდა, ნუ თუ იმისთვის იყო საჭირო, რომ თაგვების საბუდრად გამხდარიყო?;

ამერიკელი სოხუმში

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წელი. 3 იანვარი, ორშაბათი, №2716, გვ. 1.

სოხუმი: ... თუმცა სოხუმი დიდი სამრეწველო ქალაქი არ არის, მაგრამ უსაქმოდ დარჩენილი ხალხი აქაც ბევრია, განსაკუთრებით რუსეთიდან გადმოხვეწილნი დაეხეტებიან საბრალოები ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-გამოვლელს მოწყალებას სთხოვენ. საზოგადოებას თავი რომ შეაბრალონ, ხან თავის ისტორიასაც მოჰყვებიან ზოგი ამბობს, მოსკოვის უნივერსიტეტიდან ვარ არეულობის გულისთვის გადმოსახლებულიო, ზოგი კიდევ გაიძახის, სოციალისტი ვარო. სოხუმლებიც თუ რამ უბედურება ეწვიათ, ვიღაც „სოციალისტებს“ აბრალებენ, იმათ არივ-დარიეს ქვეყანაო.

რაც გინდა ეს სთქვით და და სოხუმელებს მაინც არ მიეტევებათ, რომ ასეთ ქალაქში რაიმე გონივრული დაწესებულება არა აქვთ. აქ არც სამკითხველოა, არც წიგნთსაცავი, თეატრი ხომ არც კი იციან, რა არის, როდესაც არა თუ ქალაქი, ცოტა მოზრდილი სოფელიც – კი სცდილობს ასეთი დაწესებულება იქონიოს. ამისთვის რაღა გასაკვირვია, რომ მეცირკე პერვილი სოხუმიდან ფეხის მოცვლას არ აპირებს, ან-კი სად იშოვის ასეთ ადვილად გასაძარცავ ხალხს! სოხუმელებს ალღო აართვა და მუდამ დღე ჭიდაობა ორჯერ იმართება. სურვილი რომ იყოს, ძნელი არ არის სცენის მოყვარეთა დასის შედგენა და ხანდახან წარმოდგენის გამართვა. სხვა თუ არა ამ თავის შექცევას ჯიბეს სწირავენ და ან ყავახანებში ნარდში აგებენ, თავის სასარგებლოდ მაინც მოიხმარდნენ. გზების და განათების საქმეს ნუღარ იკითხავთ სოხუმში, ისე შესანიშნავადაა მოწყობილი. ტალახი, მგონი, კოჭს ზევით არ აგვწვდება და უსინათლობის გამო არც თვალზედ თითის მიტანა გაგიჭირდებათ. მერე ვისი ბრალია ყველა ეს?

აქაური ხალხი არც ჟურნალ-გაზეთებს ეტანება. მართალია, ქართული ენა განდევნილია აქ სკოლებიდან, მაგრამ ქართულ გაზეთის კითხვას, მგონი ჯერ არ უშლიან. ისევ „ბათუმური გაზეთია“ აქ გავრცელებული, რომელსაც, სხვათა შორის განყოფილებაც აქვს სოხუმში. ამას წინად ერთ ხელოსანთან შევედი და შემომჩივლა:

წინად შვილი ქართულ სკოლაში მყავდა ბათუმში, ეხლა აქ გადმოვიყვანე მეშინიან ქართული წერა-კითხვა არ დაავიწყდეს და მასწავლებელი მიშოვეო.

არ ვიცი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წელი. 6 იანვარი, ხუთშაბათი, №2719, გვ. 4.

სოხუმის რამე-რუმე

(ქალაქის საავადმყოფო და ოსტროუმოვი-თვითმართველობის საქმენი საგმირონი-საცოდავი მეგრელები – ახალი სიო და ახალი ოინები)

სოხუმის საზოგადოებას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა მოსკოველმა პროფესორმა ოსტროუმოვმა: მან ზოგი საკუთარის ფულით, ზოგიც შემოწირულობით ააშენა კოხტა ორსართულიანი ქვის შენობა საუკეთესო ადგილზე ქალაქის საავადმყოფოსათვის, შეძლებისა დაგვარად მოაწყო, ექიმები უშოვა და ქალაქს შესწირა. ბ-ნ ოსტროუმოვის ამაგი მით უფრო დაუფასებელია, რომ ჩვენი საღათას ძილით შეპყრობილი თვითმმართველობა ამ საქმეს ვეღარ მოაგვარებდა. საავადმყოფოს უშენდება მშვენიერი ბაღიცა. თუ პროფესორმა ამისთანა წყალობა უყო სოხუმს, არც სახელი და თან მასვე მისცა ექიმების არჩევის უფლებაცა, ამტკიცებს-კი თვითმმართველობა. სამწუხაროდ, თუმცა ხშირად ეცვლება ექიმები, არც ერთ ქართველ ექიმს არ მისცეს იქ ადგილი, ავადმყოფთა უმეტესობა – კი ქართველობაა...

საავადმყოფოს აქვს ოცდაათი საწოლი, საერთო პალატაში თვიური გადასახადია – 15-მ. ცალკე პალატაში კი 75 მ. რჩევა-დარიგება და სახელ-დახელო ოპერაციები – უფასოდ ავადმყოფთ საჭმელი ნოყიერი აქვთ. აქ ორი ექიმია და ორი ფერშალი.

მე უბედურებამ ხელ-ფეხი შემიბოჭა და იძულებული ვიყავი ათიოდე დღე გამეტარებინა ამ საავადმყოფოში და გულ-გატეხით უნდა აღვიარო, რომ საავადმყოფოს ბევრი რამ აქვს კიდევ მოსარიგებელი: ჯერ ერთი ჯამაგირები მეტად მცირეა: უფროს ექიმს წლიურად ეძლევა 900 მანეთი, და მეტი არაფერი, ბინაც კი არა აქვს, და რა გასაკვირველია თუ ლუკმა-პურის ძებნაში მას თავისუფალი დრო არ დარჩეს, საავადმყოფოში მწოლიარე ავადმყოფი დღეში ორჯერ დახედოს: დილით და საღამოთი.

უმცროს ექიმს ქირურგს ეძლევა 600 მანეთი, სტოლი (საჭმელი სასმელი) და ბინა მაგრამ რა ბინა ზოგიერთი ხმოსანი სოხუმის საბჭოსი, რომლისაგანაც დამოკიდებულია საავადმყოფოს ბედ-იღბალი, თავის მოსამსახურეებს არ დააყენებს ამისთანა ვიწრო ბინაზე: მას უჭირავს ორი პატარა ოთახი, ისეთი პატარა, რომ შემოტრიალებაც არ შეეძლება კაცს, – ცოლ-შვილიანი კია. შრომა კი დიდი აწევს კისერზე და უნდა მოგახსენოთ, მუყაითობასაც არ აკლებს. არყისა და ღვინოს წყალობით დაჭრილები მოჰყავთ და მოჰყავთ.

როგორც ზევით მოვიხსენეთ, საავადმყოფოს ორი ფერშალი ჰყავს – ქალ-ვაჟი, რომელთაც შედარებით მცირე ჯამაგირები აქვთ – სამას-სამასი მანეთი თითოს. ფერშალი ქალის რა მოგახსენოთ, და ფერშალი ვაჟი სწორედ ყველაფერია: ფერშალიცაა, პროვიზორობასაც ეწევა – წამლებს თვითონ ამზადებს, მდივანიცა – მიწერ-მოწერას აწარმოებს, აკონომიც და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, დღე და ღამეში ოცდა-ოთხი საათი უნდა იმუშაოს და როდის ისვენებს, არ ვიცი. ნეტა ვისი ბრალი იქნება, თუ დაღლილ-დაქანცულმა ავადმყოფს საწამლავი მიაწოდოს? შესაძლებელია კია. მოსამსახურე დედაკაცთა რიცხვიც არა კმარა.

საავადმყოფოს ყველაფერზედ სიღარიბის ბეჭედი აზის....

(იხ. ასევე ქალაქში დუქნების მშენებლობის შესახებ. – რედ.).

...ვინ უპატრონოს და ემწეოს იმ საცოდავ მეგრელებს, რომელნიც მოსახლკარეობდნენ ეგრედ წოდებულ „მატროსების უბანში“ (слободка) აი საქმე რაშია: რუს ოსმალთა ომის შემდეგ, როცა აფხაზეთში მიწას ყველას აძლევდნენ, ვინც – კი მოისურვებდა, კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანებით მიეჩინათ ქ. სოხუმის მამულიდან კანდელის (მაიაკის) ახლო სამასი დესეტინა ჭაობიანი ადგილი ადგილობრივ მატროსების დასასახლებლად განურჩევლად ეროვნებისა (მეგრელებიც ერივნენ). ყველა მატროსმა უარი განაცხადა ამ საჩუქარზედ, ისეთი უვარგისი და ჩირგვნარი ადგილი იყო. ქალაქი თავისს საკუთრებას დაესაკუთრა, და მატროსებისაგან ათვალისწუნებული ჩირგვნარი ადგილი მეგრელებს მისცა. ამ უკანასკნელებმა თავიანთ ძალღონე შეალიეს და იქ, სადაც ოცი წლის წინად მარტო ბაყაყთა ყიყინი და ტურების ჩხავილის მეტს ვერას გაიგონებდით ეხლა მართლა უბანი აშენდა: თავისი სისხლითა და ოფლით. ძლევამოსილი ბიუროკრატიისაგან ყოველივე უფლება ახდილმა მეგრელებმა აჰკაფეს ხეები, ძირიან ფესვიანად ამოაგდეს ჩირგვ-ეკალნარ-ბარდნარი, ამოაშრეს ჭაობები და უარ-ყოფილი მიწა უარის მყოფელი მატროსების სანატრელ ლუკმად აქციეს: ამ უკანასკნელთ სხვისი ოფლით განწმენდილი ადგილი თვალში დაუჯდათ და საჩივარი შეიტანეს, სადაც ჯერ იყო, ჩვენი „სლობოდკა“ ჩვენვე დაგვიბრუნეთო. ადმინისტრაციას ამის მეტი არც კი უნდოდა. 5-6 წლის წინად მთავრობამ უბრძანა მეგრელთ, აიბარგენით და სადაც გინდათ იქით დაიკარგენითო, თქვენი მამული – კი მატროსთ უნდა მიეზომოსო. მაშინ, როგორც იყო, ეს საქმე შეჩერდა, ასე გასინჯეთ ცნობილი ველიჩკოც-კი წამოექომაგა მეგერლთ და ცბიერად აღიარა: Въ области гражданскаго права нъсть ни еврей... და სხვანი ქალაქმაც თავისი უფლებები განაცხადა და როგორც მითხრა ერთმა ხმოსანმა, საქმით კიდევაც მოიგო, გარნა ამ სუსხიან ზამთარში ადგილობრივმა პოლიციამ აჰყარა საბრალო გლეხები და მათი ნაშრომ-ნაამაგარი მატროსებს საახალწლო საჩუქრად მიულოცა! აი მართალი სამართალი თუ გინდათ ეს არის! „Одну правду и только правду!“ არც-კი უკითხავს ვინმეს: ამ სუსხიან ზამთარში ავყარეთ მეგრელები, მაგრამ სად და ვის უნდა შეაფარონ თავიო.

ადგილი სულ სამას დესეტინამდინაა და ეხლანდელ ფასებში ეღირება ნახევარი მილიონი მანეთი, და ეს ვეება საჩუქარი მიართვა რამდენსამე მატროსს და წაართა ქალაქსა და მისს მეგრელებს. უეჭველად მკითხველი იკითხავს: – რას შვრება ქალაქის თვითმმართველობა? რასა და არაფერს. იურიდიულაც და ზნეობრიავადაც ვალდებულია შემწეობა აღმოუჩინოს იმ საცოდავებს, რომელნიც ასე უმოწყალოდ დაისაჯნენ, გარნა არავითარი შემწეობა არსად არა სჩანს...

მძლავრი სიმართლის ხმა, რომელიც მთელს რუსეთს მოედო, აქაც ჰქუხს. მხოლოდ ბნელი ძალები აქაც ავრცელებენ საზიზღარ ჭორებსა და ზღაპრებს, ვითომც ემზადებოდნენ ქართველები აფხაზების ამოწყვეტას და მათი მიწა ადგილის დასაკუთრებას...

ჰამუთ-ბეი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 10 მარტი, ხუთშაბათი, №2766 , გვ. 3.

ეს შვიდი-რვა წელიწადია, რაც სრულის სიმშვიდით ვტკბებოდით. არც ქურდობა, არც ავაზაკობა-ავკაცობა აქეთ აღარ ისმოდა. ყოველივე ეს გაქრა. მოგეხსენებათ, „რა არის დაფარული, რომელი არა გამოცხადდესო," ჩვენ, აფხაზებამდინაც მოაღწიეს ხმებმა იმ არეულობებზე, რომლებიც დღეს თითქმის მთელ იმპერიაშია მოდებული და თავის გაჭირვებაზე ჩურჩული აქა-იქ აფხაზებმაც შეჰქმნეს. ამით ისარგებლეს ზოგიერთმა „წყლის მღვრევის", „ძმების გადაგკიდების" მოტრფიალეებმა და აფხაზებს (გავლენიან პირებს) დაუწყეს რიგება: ვიცით, რომ თქვენ მშვიდი, კეთილი და წესრიგის მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უწესობა არ არის მოსალოდნელი, დარწმუნებულნი ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები კი სანდონი არ არიან; იმათგან თქვენს დასაღუპავად რასმე უნდა მოველოდეთ, ამიტომ „ჰკა მაგათო" დარწმუნებული იყავით, ამისათვის ჯილდოს მეტი სხვა არაფერი გელითო. ეს რომ გუდაუთელებმა გაიგეს, თვალცრემლიანები შეჩიოდნენ: რას გვიშვებით, რათ ვარდებით ჩვენის ცოლ-შვილის ცოდვაში, რისთვინ გვღუპავთ, განა ეგრე შეიძლებაო.

ქურდობა, თავდასხმები, ყაჩაღობები, მკლელობები

არა ერთხელ დაწერილა გაზეთებში ის აუწერელი და ენით გამოუთქმელი შევიწროება, რომელშიაც აფხაზები ჩავარდნენ იქ, სადაც რუსები ჩაასახლეს. ამათ არამც თუ ვენახები, სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები ჩამოეცალათ და მოსულებს გადაეცათ, წყლის გზაც კი მოესპოთ და საქონელი, როგორც თვითონ ამბობენ უწყლობით ეხოცებოდათ ზაფხულობით. ბევრჯერ სთხოვეს ამის შესახებ ვისაც ჯერ არს განკარგულება, მაგრამ მათ თხოვნას ყურიც კი არავინ ათხოვა. ასე გასინჯეთ, ამას წინათ ესეც კი უთხრეს: თუ მეორეჯერ მაგისთანა სისულელე გაგიბედნიათ, თითო-ოროლათ სხვა-და-სხვა სოფლებში გაგანაწილებთო. ახლა ამ აფხაზებმა, რაკი თხოვნით და მუდარით ვერა გააწყეს-რა, თავის სამართალს მიმართეს. იქ სადაც გუშინ აფხაზის საქონელი საბალახოდ ფეხს ვერ გადადგამდა, და თუ გადადგამდა, იჭერდნენ და მის პატრონს იმდენს ახდევინებდნენ, რამდენიც დამჭერს უნდოდა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, რამდენიც სჭირდებოდა, დღეს ესევე საქონელი თავისუფლად დაუდით ამ საბალახოში და წყალზედაც არხეინად მიერეკებიან. „რაც ვითმინეთ ისიც ბევრი იყო, ვინც ბიჭია, მიბრძანდეს და ხელი ახლოს ჩვენს საქონელსაო" იძახიან აფხაზები.

გაზ.„ცნობის ფურცელი", 1905წ. 22 აპრილი, პარასკევი, №2801, გვ. 4.

...ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად მოძულე უნდა იყოს ჩვენი (აფხაზ-მეგრ. ქართ.) რომ ამ ერს კაცმა ზარმაცი და მათხოვარი უწოდოს. ასეთი ცოდვა კი ჩაიდინა ამას წინად ერთმა ჩვენმა ყველას კარგმა ნაცნობმა, ამ დღეებში რიგიანადაც და ღირსეულადაც „გაწკეპლილმა" ქურუმ ფარისეველმა, რომელსაც თავის სამშობლოს დიდება ჩვენს დამხობა-მოსპობაზე უნდა ააგოს, რომელსაც თავი პირველ განათლებულად მოაქვს. ამ ვაჟბატონმა ამას წინად, ერთს ადგილს, განურჩევლად ყველა ქართველი მეცნიერი უვიცად და გაუნათლებლად აღიარა და

ამნაირად შეგვამკო: ქართველები ზარმაცები, საპყარნი არიან, ხელის განძრევა ეზარებათ, მათხოვრობა კი ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვსთო, „дай имъ на казенный счеть царство небесное“-ო დააბოლოვა ჩვენი შემკობა ქურუმმა...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 16 მარტი, ოთხშაბათი, №2772, გვ. 3.

აფხაზეთი

აქეთ მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. 13 ამ თვეს ჩალეწეს გუდაუთის სამინისტრო სკოლის ფანჯრები. გუდაუთის ორ-კლასიან სკოლაში ამას წინად შეწყვეტილი სწავლა 14 ამ თვეს განახლდა, მაგრამ 18-დან ისევ შესწყდა, რადგან მოსწავლეებმა ამ დღეს ფანჯრები და ავეჯეულობა ახლა უფრო ჩალეწეს და მიანგრ-მოანგრიეს. არც ზოგიერთ მასწავლებლის ბინა დაუტოვებიათ უყურადღებოდ.

19-20 ამ თვეს ს. ლიხნში (გუდაუთიდან 2-3 ვერსზეა) ჯარი გაიგზავნა ბარგიბარხანით. ამბობენ, ოლქის უფროსის თანაშემწეს, ზინჩენკოს თოფი ესროლეს, მაგრამ ასცდაო. აფხაზები უარს ამბობენ სახელმწიფო გადასახადზე.

როგორც მოგეხსენებათ, აფხაზები სალდათად არ გაჰყავთ. ამის მაგიერ ყოველ წლივ გადასახადს ახდევინებენ აცხადებენ, არ გვინდა ეს გადასახადიო. ჩვენ სურვილს ვაცხადებთ სალდათობაზე იმ პირობით-კი რომ ჩვენს შვილებს აქვე, ჩვენს ოჯახში, (სოფელში) ასწავლიან, რომ სწავლის შემდეგ ოჯახის საქმეს არა სცდებოდნენო. აქაური ადმინისტრაცია ჰფიქრობს, აქ წამქეზებლები უნდა მოქმედებდნენო. ამიტომ სცდილობს მათს ხელში ჩაგდებას.

რაც გუდაუთის ნაწილის სხვადასხვა სოფლებში (პოსტებში) საერობო დარაჯი იყო დაბინავებული, სულ გუდაუთში მოუყარეს თავი, რომ ცალ-ცალკე გაბნეულებს ისეთივე საქმე არ დაემართოთ, რაც სხვაგან დაემართათო.

აქაური საეპარქიო მეთვალყურე (დეკანოზი იასტრებოვი) და ეპისკოპოსის მდივანი, მუქარის წერილების მიღების შემდეგ სადღაც წავიდნენ.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 27 მარტი, კვირა , №2782, გვ. 2-3.

დ. ოჩამჩირე (აფხ.) 18 მარტს ოჩამჩირეს მახლობლად მოხდა კრება. დაესწრო დიდ ძალი ხალხი, წარმოითქვა მრავალი სიტყვა, ამასთან ისეთი როგორც აქეთ წინათ არაასოდეს არ გაუგონიათ. ამბობენ ასეთი კრებები ეხლა აქეთ ხშირიაო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. ხუთშაბათი, 31 მარტი, № 2785. გვ. 2.

სკოლა, ქართველები და ქართული ენა სკოლა აფხაზეთში

1864 წლიდან სოხუმში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მთიულთა (აფხაზთა) ბავშვებისათვის გახსნილი. ამ სკოლას როგორც ყველა სხვა სკოლებს სოხუმის ოლქში, აზრადა აქვს გარუსება მოწაფეებისა. ათასში ერთხელ გიმნაზიაშიც გაგზავნის ხოლმე მთავრობა სახელმწიფო ხარჯით აქ კურს-დამთავრებულს. მაგრამ არ გეგონოთ, სადმე მახლობელ ქალაქის გიმნაზიაში გზავნიდეს, აი, თუნდ ქუთაისისაში, სადაც მშობელს გაჭირვების დროს უფრო ადვილად და უფრო იაფად შეუძლია ჩასვლა შვილის სანახავად. თქვენგან არ მიკვირს! ბიუროკრატია რაღა ბიუროკრატია

იქნება, თუ ჩვენებურ მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესს პატივი სცა და ისე იმოქმედა!...ბიუროკრატიამ იცის, რომ ქუთაისი ქართველთა ქალაქია; იცის, რომ სოხუმიდან გამოგზავნილი ბავშვი ქართველ საზოგადოებაში დატრიალდება, ქართულს ადვილად ისწავლის და ქართული ტენდენციებიც განუვითარდებაო. ასეთის „უხერხულობის“ ასაცილებლად მთავრობამ რამდენიმე სტიპენდია დააარსა სოხუმის ოლქის ბავშვთათვის სტავროპოლის გიმნაზიაში. გზავნიან ბავშვს სამშობლოდან შორს, უცხო მხარეში, უცხო ხალხში, რომ ყოველი მშობლიური გრძნობა გულიდან ამოჰგლიჯონ, ნაცნობ სამშობლოს სურათებს მოაშორონ, დედა ენა დაავიწყონ და მხოლოდ რუსული ენა ასწავლონ, ყოველივე ამისათვის ანაცვალებინონ. ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარების მაგიერ ხორციელად იჩაგრება, ნაღვლიანდება, ბოროტდება, გონებრივად ჩლუნგდება სძულდება სასწავლებლის საგნები, გაუგებარ და უცხო ენაზე რომ უნდა ასწავლონ; სძულდება მასწავლებელნი, რომელნიც არა ცდილობენ მის დაჩაგრულ გულში ჩაიხედონ; სძულდებათ თვით სასწავლებელი და ცდილობს ყოველივე ამას თავი მალე, სწავლის დამთავრებამდე დაანებოს. თუ არ ამ გონებრივ და ხორციელ დამახინჯების სისტემით სხვა ვერაფრით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ დღემდე ამ ნიჭიერ ხალხის, როგორიც აფხაზები არიან შვილთაგან უმაღლესი სასწავლებელი არავის გაუთავებია.

სამწუხაროა, რომ აფხაზები, რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით, გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერჯერობით სრულს ინდეფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავისს მეზობლებს ქართველებს; ამ პოლიტიკამ უკუღმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუ კი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებულნი არიან და მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არა აქვს.

დღეს კი აფხაზეთის ხალხს, ქართველებთან ერთობა არავითარი არა აქვს. ამ შემთხვევაში მწერლობა უნდა გაედოს ხოლმე შუაში შემაერთებელი გზად და ხიდად მეზობლებს. სავალალოდ, ეს შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს, იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვადასხვა ოინებით და ხრიკებით ავრცელებენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს, რომელიც ქართველობას და მისს კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გახრა ამისა აფხაზებს აგონებდა ქართველები(მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხვადასხვა. შეგნებული მკითხველი უნდოდა, რომ ამ გაზეთის გამოგონილ ჭორებისათვის ყურადღება არ მიაქცია.

უფრო სამწუხაროა, რომ ხსენებულ სასწავლებელში, აფხაზთა გარდა სამურზაყანოელნიცა სწავლობენ. თუ აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან საეჭვოა, იგივე არ ითქმის სამურზაყანოელთა შესახებ. მათი ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ყოველის ეჭვის გარეშეა. სასაცილოც იქმნებოდა ამისი მტკიცება. ეს იმას ემგვანებოდა, ვისმე რომ დაეწყო მტკიცება – ორი და ორი ოთხიაო!.. ეს ჭეშმარიტება არ სწამთ მხოლოდ იმათ, ვინც მიმდევარია სიტყვების... არა სწამთ მხოლოდ ბიუროკრატიის

და მის ღირსეულ აგენტებს, რომელნიც იმასაც სცდილობენ, ჩვენის ქვეყნის სხვა-დასხვა პროვინციების მცხოვრებნი ერთი მეორეს ჩამოაშორონ, ერთი მეორეს გადაჰკიდონ, გულში ერთი მეორის მტრობა ჩაუნერგონ, რომ ასეთის განცალკევების შემდეგ უფრო ადვილად გაბატონდნენ მათზე. იგი უარჰყოფს ყოველს ისტორიულს, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ საბუთებს, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ სამურზაყანოელთა მეგრულ ჩამომავლობას და მაშასადამე, მათს ნათესაობას ქართველებთან. ერთის მხრივ ამ ნათესაობას უარჰყოფს და მეორეს მხრივ სამურზაყანოელთ აფხაზებს უნათესავებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყოელნი მეგრელები კი არა, აფხაზები არიან (აფხაზები არიანო იმ სამურზაყანოელთა შესახებ ამბობენ, რომელნიც შინაობაში მხოლოდ მეგრულს ლაპარაკობენ და აფხაზურისა არაფერი ესმისთ) მათთვის ქართული ენაც საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს კი საკუთარი მწერლობა არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული ენა ისწავლონო. „ასწავლიან“ კიდეც რუსულს ენას.

ოღონდაც სავალალოა, რომ ჩვენის მწერლობით ვეღარ სარგებლობენ ჩვენის ქვეყნის მივარდნილ კუთხის მცხოვრებნი. ადგილობრივი მთავრობა რომ არ აბრკოლებდეს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებას, საქართველოს ამ პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისდაგვარად საგრძნობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხარის გონებრივად ამაღლების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთ სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უშლიან გონების განვითარებას და ვეღარც რუსულ ენაზე ანათლებენ და არამც თუ ვერ ინათლებენ, არსებულ მახინჯ-მუნჯურის სისტემის წყალობით სოფლელთ აძულებენ სკოლას და მწიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ ქართველობას აშორებენ, გადაშენების გზაზე აყენებენ...

სოხუმელი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905წ. 1 აპრილი, პარასკევი, №2786, გვ. 3.

დ. ოჩამჩირედან გაზეთ „კავკაზ“-ს სწერენ „24 მარტს ოჩამჩირეში დაიწვა მთელის თავისი საქმეებით სადაბო სამმართველო. დაბის მცხოვრებთ უმთავრესად მეგრელთ სრულიად უარი სთქვეს გადასახადების გაღებაზე. ბევრ ვაჭარს აღარ უნდა სავაჭრო საბუთების აღება, არა სწამთ ადგილობრივი პოლიციის, ემუქრებიან რუსებს გარეკას. მღვდელსა და მასწავლებელს მოსთხოვეს, ქართულად სწირონ და ქართულად ასწავლონ. ეს მოძრაობა ეხება კოდორსა და სამურზაყანოს ნაწილის სოფლებს. არეულობის ჩასაქრობად ადგილობრივ გაიგზავნა ჯარი“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 2 აპრილი, შაბათი, №2787, გვ. 3.

სოხუმი

28 მარტს რეალური სასწავლებლის მოწაფეებმა ჩალეწეს სასწავლებლის ფანჯრები და წითელი ბაირაღით ქუჩა-ქუჩა იწყეს სიარული, ჩაერივნენ ყაზახ-რუსები საერობო დარაჯები და მანიფესტანტები დაშალეს. არეულობის დროს ერთი მოსწავლე მსუბუქად დაიჭრა. სასწავლებლებს ყაზახ-რუსები და საერობო დარაჯნი იცავენ.

სწავლა პროგიმნაზიის გარდა, ყველა სასწავლებელში შეწყვეტილია.

(იხ. ასევე „ქუჩებზე ყაზახ-რუსები დადიან“. – რედ.).

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 3 აპრილი, კვირა, №2788, გვ. 3.

სოხუმის ეპისკოპოსად, როგორც „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, ინიშნება არქიმანდრიტი სერაფიმე (ერობაში ლეონიდე მიხეილის ძე ჩიჩაგოვი), რომელიც ამჟამად ერთ მონასტრის წინამძღვრად არის რუსეთში. სერაფიმეს პაჟთა კორპუსი გაუთავებია, სამხედრო სამსახურში შესულა და პოლკოვნიკის ხარისხამდე მისულა. 1893 წელს მ.სერაფიმეს თავი გაუნებებია სამხ. სამსახურისათვის და მღვდლად კურთხებულა. ბერად 1898 წელს აღკვეცილა.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 8 აპრილი, პარასკევი, №2792, გვ. 3.

როგორც ვწერდით, სოხუმის ეპისკოპოსად, არსენის ნაცვლად დაინიშნა სერაფიმე (ჩიჩაგოვი). ახლა ამის შესახებ ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი „პრ.ვესტ“-ში.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 10 აპრილი, კვირა, №2794, გვ. 2.

ფელეტონი

საეკლესიო სამრევლო სკოლა ამიერ-კავკასიში

.....აფხაზები – ნიჭიერი ხალხია, ზნეობით -კი დიდად დაცემულნი არიან. აფხაზეთში ბოლო დრომდის ასწავლიდნენ ქართულად და წირვა-ლოცვაც ქართულადვე სრულდებოდა. ახლა კი სკოლებში პირდაპირ რუსულად ასწავლიან და წირვა-ლოცვა კი სლავურს ენაზე სწარმოებს.

ქართული ენა მოისპო აქ, სხვათა შორის, თვით აფხაზთა სურვილით, რომელნიც ამ ენას თავისთვის უცხო და უსარგებლო ენად სთვლიან. ასეთი შემთხვევა იყო: ერთი დაბიდან სოხუმის ეპისკოპოსის წინაშე შუამდგომლობდნენ, რომ იქ 3000 ქართველისთვის შემოიღონ ქართული წირვა-ლოცვა, გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ხსენებულს დაბაში მხოლოდ ერთი მოხუცებული ქართველი დედაკაცი სცხოვრობდა, რომელიც გამოძიების წინა დღით წასულიყო. აფხაზები მაღლა დგანან ამიერ-კავკასიის ყველა ხალხზე, რადგან ისინი რუსულს ენას მალე, ძლიერ მალე ითვისებენ და წმინდათაც ლაპარაკობენ ამ ენაზე.

მთელს ამიერკავკასიაში 900 საეკლესიო სკოლაა, ყოველ წელს მათში სწავლობს 35 000 ბავშვი.

იმედიანი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 14 აპრილი, ხუთშაბათი, №2797, გვ. 2-3.

აფხაზეთი

....აფხაზთა უმეტესობა უკვე გაფანტულია. ეს გარემოება ბნელ ძალების მოტრფიალეთ არ ეჭაშნიკათ და ამისთანა შემთხვევაში გამოცდილ, ნაცად საშუალებას მომართეს: აფხაზთა შორის გაავრცელეს ხმა, ვითომ ქართველობას (გურულებსა

და მეგრელებს) სდომებოდეთ აფხაზთა მიწა-მამულის მისაკუთრება.

ჩვენდა სამწუხაროდ, თავად-აზნაურობის უმეტესობაც ამ აზრს ავრცელებს გლეხობაში, და ერთს კერძო თათბირზე გადასწყვიტა კიდეც: ამ მოძრაობის დროს თუ ვინმე აფხაზ თავად-აზნაურთაგანი მოკლულ იქნა, მაშინ აფხაზობამ სოხუმის ოლქში მცხოვრები ქართველობა უნდა ამოწყვიტოსო... და გადასწყვიტეს, დაავჯერონ გლეხობა და მოძრაობა სათავეშივე მოსპონ, მაგრამ ამაოდ: გლეხობა თავისას არ იშლის და იბრძვის უკეთეს მომავლისათვის...

...ამ მოძრაობით შეშინებულ თავად-აზნაურობის მოწვევით ს. მოქვში 8 აპრილს სოფ. გუდავაში (სამურზაყანოშია) კერძო თათბირზედ სამურზაყონასა და აბჟუას წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს, მოეხდინათ ორივე მხრის მცხოვრებთა საერთო კრება. წინასწარ კი სამურზაყანოელებმა და აბჟუელებმა ცალ-ცალკე იქონიონ სჯა-ბაასი თავიანთ ჭირ-ვარამზედ. კრების საგნად დასახეს: 1. უმაღლესი ადრესის მირთმევა; 2. როგორ დაუხვდნენ ახალ მოძრაობას და 3. რა საშუალება იხმარონ, რომ აფხაზეთის მკვიდრთა კეთილდღეობის გამანადგურებელი ქურდობა მოსპონ. 10 აპრილისათვის საერთო კრება დანიშნეს სოფ. ოხურეიში.

როგორც ზევით მოვიხსენიე, 8 აპრილს მოხდა მთელ აღმ. აფხაზეთის მცხოვრებთა კრება სოფ. მოქვში. კრებას დიდი ძალი ხალხი დაესწრო. თავად-აზნაურობა მოშორდა გლეხობას და ცალკე გამართა თათბირი, გლეხობამ ცალკე. გლეხობამ ერთხმად გადაწყვიტა, „ღვთიური კანონების“ მაძებართ მთელის თავის ძალ-ღონით შეუერთდეს და შეჰფიცეს ერთმანეთს არ უღალატონ გასაჭირში ერთ-ურთს. სასიამოვნო სანახავი და საყურებელი იყო მათი კრება. მშვენივრად და მჭერმეტყველობით აღსწერეს თავიანთი უკუღმართი მდგომარეობა...

თავად-აზნაურობამ კი, ხანგრძლივ თათბირის შემდეგ, შეგონებას, დარიგებას მიჰმართა; მათ მაგიერ ლაპარაკობდა თავად ხამუგ ანჩაბაძე. ჯერ დაასურათხატა, თუ როგორი „მამულიშვილურის მზრუნველობით“ ეპყრობა თავად-აზნაურობა აფხაზეთში გლეხობას მაშინ, როდესაც სამეგრელოსა და გურიაში კეთილშობილი წოდება ტყავს აძრობდა ყმებს. „ჩვენს მშობლიურს მზრუნველობას უნდა მისწეროს ის გარემოება, რომ ჩვენ სხვებსავით უმოწყალოდ არ დაგტოვებთ, – განაგრძო თ. ანჩაბაძემ: – ჩვენ დავიკელით, ცოტას დავჯერდით და მით თქვენ გყავით მიწით უზრუნველყოფილი (აფხაზეთში მესაკუთრეებად ცნობილია მხოლოდ თავად-აზნაურობა. გლეხობაში – კი საზოგადო მიწათმფლობელობა.) სიცრუეა! იგრიალა ერთხმად გლეხობამ. თავად ანჩაბაძემ დიდის საყვედურით იმ საზოგადოებათ, რომელნიც პირველად გაიფიცნენ, და მათი განმათავისუფლებელი მოძრაობა „ბუნტად“ მონათლა და დაემუქრა მათრახითა და შტიკებით: „მთავრობა ყაზახ-რუსებს დაგისევთ, აგაწიოკებთ, დაგაოხრებთ, ცოლ-შვილს გაგიუპატიურებთ! რატომ ჩვენ, თქვენი კეთილის მყოფელ თავად-აზნაურობას, არ დაგვაკითხენითო.“

თავად ალ. შერვაშიძემ სთქვა: „თავ. ანჩაბაძე ემუქრება გლეხ-კაცობას ყაზახ-რუსების მათრახით და ხიშტებით, მე – კი ღრმად მრწამს, რომ ამ საშუალების მომართვას სჯობია ყელში გაიყარო დანა. „ბუნტი“ – კი არა, ეს მოძრაობა სასურველი მოძრაობაა და ჩვენც შეძლებისამებრ უნდა ხელი შეუწყოთ“. თავ. ტატაში მარშანიაც ამ აზრს ემხრობა, თავად ზოურბეგ ძიაფშიფა: „უწინაც (რუს ოსმალოს ომის დროს) პირველად თქვენ აძვიძბჟელებში (აძვიბჟა სოფელია ზღვის პირად), დაიწყო მოძრაო-

ბა, რის გამოც გადაბუგული იქმენით, დღესაც იგივე ბედი მოგელითო“! გლეხობამ საკადრისი პასუხი მისცა თავ. თაფშ-იფას და დააჩუმა. თავად-აზნაურობამ „მამულიშვილური“ დარიგება მისცა გლეხობას – ახალი მოძრაობის მიმხრობით თავი არ დაიღუპოს, გარნა, დახე ბედის უკულმართობას! – გლეხებმა ეჭვის თვალით შეხედეს ამ დარიგებას.

მეორე მუხლის შესახებ შეთანხმდნენ და ადრესის შედგენა დაავალეს თავ. შერვაშიძეს, ხოლო გლეხობამ გამოაცხადა, რომ თუ ვინიცობაა წარმომადგენლის გაგზავნა საჭირო იქნება, უსათუოდ ერთი გლეხიც გაიგზავნოს ჩვენის ინტერესების დამცველადაო. ადრესი ჯერაც არ არის შედგენილი.

რაც შეეხება მესამე მუხლს, ერთხმად დასაგმობილი იქმნა, – ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და კაცის კვლა. კერძოდ ქურდობის შესახებ დაადგინეს: რადგან აფხაზთა უმთავრესი ზნეობრივი სენი და თან ხალხის კეთილდღეობის ძირის მთხრელი ქურდობაა, შეჰფიცონ ერთმანეთს, დღეის შემდეგ ყოველი ღონე იღონონ მის მოსასპობად. ვისაც დღეის შემდეგ ქურდობა დაუმტკიცდება, მას სრული ბოიკოტი გამოუცხადონ მთელს მისს სიცოცხლეში. ვინც ამ ბოიკოტის დარღვევას, ე.ი. რამე კავშირს დაიჭერს ქურდთან, ყოველ ამისთანა შემთხვევაში ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი ჯარიმა გადახდეს ხევისთავების სასარგებლოდ. ყოველმა საზოგადოებამ უკვე მიიღო ფიცი.

ამით გათავდა ეს კრება. ხოლო სამურზაყანოელებმა კაცი გამოუგზავნეს აფხაზებს და აცნობებს, რომ შინაურ განხეთქილების გამო ჩვენ ვეღარ მოვახერხეთ კრებაო.

ოჩამჩირელი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 5 მაისი, ხუთშაბათი, №2812 , გვ. 2-3.

სოხუმის ქალაქის მოურავმა ტომარამ თანამდებობას თავი გაანება. ამბობენ ქალაქის საბჭომ აიძულა მოურავი ასე მოქცეულიყო.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 12 მაისი, ხუთშაბათი , №2797, გვ. 3.

სოხუმი

აქაც ბევრი ხანია გაიძახიან: ძმობას, ერთობას ჰანგზე. აქაურმა მუშა ხალხმა და ნოქრებმა იუქმეს პირველი მაისი (რაკი პირველი მაისი კვირა იყო, ერთი დღით ადრე, 30 აპრილს დაიწყეს უქმობა) დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. კვირას, 1 მაისს, წირვის შემდეგ, ეკლესიის ეზოში უნდოდათ მოლაპარაკება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ნაშუადღევს ხალხმა თავი მოიყარა ქალაქის გარედ. თამაშის დაწყებისთანავე გაჩნდა პოლიცმეისტერი რიხტერი, მაგრამ შემდეგ ისევ წავიდა. მერე ხალხმა დაიწყო თავის ჭირ-ვარამზე ლაპარაკი.

იაკო აჯ-ოღლი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 14 მაისი, შაბათი, № 2819 , გვ. 4.

აფხაზეთი

...უფლება აყრილი ჩაგრულ ხალხად სოხუმის ოლქში არიან ყველაზე უფრო ქა-

რთველები (მეგრელობა) სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმ დროს, როცა სხვა ეროვნებებს უფლება აქვთ სამშობლო ენაზე აუგონ წესი მიცვალებულთ. ჩვენ, ქართველები ამასაც მოკლებულნი ვართ: სიკვდილის შემდეგაც აღარ ემატებათ ჩვენთვის თავისუფლება! მაგრამ ამაზე სხვიმის...

...უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში, როცა ასე მძლავრად მოიდგა ფეხი კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციაში ჩვენის ქვეყნის გარუსების იდეამ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მეტისმეტად დევნა დაუწყო! ყოველ საშუალებას ხმარობდა აფხაზეთში ქართველობას არ მოეკიდნა ფეხი. ჯერ იყო და ოჩამჩირესა და გუდაუთში აეკრძალათ სხვა „ინოროდცებთან“ ერთად მამულების შეძენა. ამასაც არ დასჯერდნენ. ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ წინანდელ კეთილ შეძენილის ხელიდან გამოსაცინცლად. ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთ ყოველგვარ შეღავათს აძლევდნენ და ამით ამ ჟამად ათვალისწუნებული ბიუროკრატია დაუფარავად გვეუბნებოდა: თქვენ სახელმწიფოს შვილები კი არა, ათვალწუნებული გერები ხართო.

თავისუფალი სახელმწიფო მიწაზე დასახლების უფლება კი არა, იჯარით აღების უფლებაც წაერთვა ქართველობას. იმისთანა ადგილებიც არ ემეტებოდათ ჩვენთვის, რომელიც რუსთა დასასახლებლად არც კი გამოდგებოდა. ვსთქვათ, ვინმე უფლებით მოსილი მოხელე, პირად ანგარიშებისა თუ სხვა რამე მიზეზთა გამო, შესცდა და ქართველებს უვარგისი ადგილი მიუჩინა დასამუშავებლად; მაშინვე მიიღებდნენ სასტიკ ზომებს და ბედკრულთ უკრძალავდნენ მუშაობის განგრძობას. ჩემის აზრის დასასურათხატებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტს.

არ ვიცი, რითი და რა მოტივებით ხელმძღვანელობდა ბ-ნი „ლუსნიჩი“ ფონდერ ვიზი, ამით, თუ, რომ, როგორც ერთმა გავლენიანმა ადგილობრივმა მოხელემ განაცხადა – Миссия туземцевъ _ мингрельцевъ, армянъ и пр. Очищатъ землю и делать ее годною для культуры, на этомъ их миссия оканчивается! (ეს აზრი „Чер. Вестник-შიც იყო გამოქვეყნებული.) თუ რამე სხვა პირად ანგარიშებით, მხოლოდ ეს კი ფაქტია, რომ ხუთიოდე წლის წინად მან დაასახლა ათიოდე გაჭირვებული მოსახლე სვანი ჩხალთაში (წებელდაშია) ტყე-ჯაგნარად ქცეული სახელმწიფო ადგილზე, ფორმალურ პირობითაც შეეკრა ახალ მოიჯარადეებს, სვანის შრომის უნარი და მხნეობა ყველას მოეხსენება: დიდიან პატარიან, ქალიან-კაციან მთელი თავისი ძალ-ღონით შეუდგნენ საქმიანობას გაჰკაფეს ჯაგვნარი, გასწმინდეს ადგილი, გააშენეს ქოხები სისხლითა და ოფლით მორწყეს ყოველი მტკაველი „ახალი სამშობლოში“ და რამდენიმე ათი წელიწადი უხმარ-ურგები ადგილები მშვენიერ მამულად აქციეს და მათი „მისიაც გათავდა“! ადგილობრივ მთავრობისაგან გამოეცხადათ, რომ ეს ადგილები დანიშნულია რუსთა დასასახლებლად, რის გამოც უნდა აიბარგოთო. ვინ მოსთვლის რამდენი დღე მშიერ-მწყურვალი დააღამეს, რამდენი ღამე უძილოთ გაათენეს სოხუმსა და ქუთაისის დაწესებულებებში ხეტიალით, ვინძღო სადმე სამართალი ვიპოვოთო, გარნა ამაოდ. „რას გვერჩით? შეხედეთ თქვენს ღმერთს, იჯარას პირნათლად ვიხდით და რათ გვართმევთ მამულსო?“ მაინც მათი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.“

და, აი ერთს მშვენიერ დღეს, როცა მათი ტანჯვით მონაგარი ყანები გაწმენდილ-გათოხნილი მტერს გულს უკლავდა და მოყვარეს კი უხარებდა, მოულოდნელად დაეცნენ „სტრაჟნიკები“, მოღაღადე ყანებს მომვლელ პატრონად თავისი ცხენები

მიუჩენეს, თვით კი ხალხს ეცნენ: არც კი აცალეს ნაშრომ-ნაღვაწი ყანები მოემკათ და დედა ბუდიანად ააბარგეს! ... იმათ გადასახლების შესახებ ბრძანება გამოგზავნა ტფილისში არსებულ „переселенческая комисия“-მ. ამ პრიკაზში სხვათა შორის ეწერა შემდეგი: „რადგან ტუზემცემი (მომყავს დაახლოებით) ხელს უშლიან რუსების დასახლების და კავკასიის გარუსების საქმეს“, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადაასახლოთ ზემოთხსენებული სვანებიაო.“ და ბრძანება „კომისიისა“ კიდევაც აღსრულდა.

აი მეორე კერძო, გარნა თავის გულქვაობითა და ულმობლობით გასაცვიფრებელი მაგალითი. როგორც მკითხველს მოეხსენება, აფხაზეთიდან მკვიდრთ სათათრეთში გადასახლების შემდეგ დიდ-ძალი მათი მიწა-ადგილი თავისუფალი დარჩა, რომელსაც ყველას, ვინც კი მოისურვებდა, ურიგებდნენ: ერს, ბერს, ეკლესიებსა და მონასტრებსაც. მაგალითად ახალ ათონის მონასტერს მოეზომა შვიდი ათასი დესეტინა საუკეთესო მამული, აქაო და მონასტერმა აფხაზთა შორის უნდა გაავრცელოს ქრისტეს მცნება და სწავლა განათლება...რადგან სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი, რომ ზემოხსენებული მონასტრის მოღვაწეობა გამოიხატა მხოლოდ იმით, 20-25 მოსწავლეს სამრეკლო სკოლის ინახავს თავის ხარჯით, სკოლის მასწავლებელს კი ჯამაგირის აძლევს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“.

აფხაზეთის უპატრონოდ დარჩენილი მიწების განაწილების დროს არაფერი მიეზომა სოხუმის კათედრას (ეპისკოპოზს) უბრალო შეთხვევით: მაშინ სოხუმში კათედრა არ არსებობდა. თუმცა გვიან, გარნა მაინც ეპისკოპოზმა თავისი წილი მოითხოვა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევაც მიეზომა ნადელი. დანამდვილებით არ ვიცი, ამბობენ კი ამ მიზნისათვის 82 დესტინა მიწა წაერთვა ფშაფის საზოგადოებას (მეგრელებითაა დასახლებული) და 80 ესტონელთა სოფელსო. ამ ნაჭრებს მიემატა თავისუფალი ადგილიც, და ეპისკოპოზს საზრუნავი გაუჩნდა; ვის გადასცეს იჯარით, ვინ დაასახლოს ზედ! აი თავსამტვრევი კითხვა, რუსი-მოიჯარადენი ერჩივნათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი არ დასთანხმდებოდნენ იჯარის მიცემას, რადგან, თუ კი მოისურვებდნენ, ისედაც სახელმწიფო ადგილები ბლომად მიეზომებოდათ და თან ხაზინა დიდს შემწეობასაც აღმოუჩენდა. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ მოიწვიეს მეგრელი მოიჯარადენი. უმინაწყლობით შეწუხებული მეგრელები სიხარულით ცას ეწეოდნენ და დასახლდნენ. „ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონია, – მითხრა ერთმა მათგანმა. – ყველგან ჩვენის სისხლის წოვის, დევნისა და ჩაგვრის მეტს ვერაფერს ვხედავთ, ამიტომ გვიხაროდა, რომ სიმართლის და ჭეშმარიტების „მოციქულს“ უვარდებოდით ხელშიო; გვეგონა ეხლა სამართლიანად მაინც მოგვეპყრობა „მღვდელ-მთავარი“. ამ აზრით დამშვიდებულნი შეუდგნენ მუშაობას: გაიკეთეს ქოხები, მოსწმინდეს ჯაგნარად და ტყედ ქცეული მამული და გაჩაღდა სიცოცხლე და მოძრაობა, მაგრამ დახე ბედის უკუღმა ტრიალს. ადრე, სულ ადრე გაურისხდა მეგრელებს მღვდელ-მთავარი, თუმცა იმათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ იმის წინაშე და მით არავითარი საბუთი არ მიუციათ ასაყრელად. მაგრამ საბუთი რა საჭიროა? საბუთიც ის არ კმარა, რომ მეგრელები იყვნენ და ამიტომ სიძულვილის ღირსნი? მეგრელებმაც, როგორც ჩხალთელ სვანებმა, თავისი „მისია“ ადგილების გაწმენდით დაასრულეს, და ამიტომ კიდევაც აჰყარეს: ვერც მდუღარე ცრემლებმა და ვერც ხვეწნა მუდარამ ვეღარ უშველა! 1904 წლის მარტის 25-ს დღესა ბედკრულ მეგრელთა კარზე მოადგნენ „სტრაჯნიკები“. მილეწ-მოლეწეს უდანაშაულო მშვიდო-

ბიან გლეხთა სახლ-კარი, ყველა დიდიან პატარიანად გამორეკეს გარეთ, ერთ მათგანს იოსე თოდუას ფაცხა მთელი თავისი მოწყობილობით ცეცხლით გაუნადგურეს ურჩობისა თქმის, დანარჩენ ქოხების კარებს კლიტეები დაადეს და დაბეჭდეს, და ასე და ამრიგად ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეებში ძმობა-ერთობა და სათნოების ქვეყნად მთესველის უმაღლესი წარმომადგენლის წყალობით სამოცდაათმა სულმა ყოვლად უდანაშაულო მეგრელმა უსაზღვრო ცის ქვეშ იგრძნო თავი თავისი.

ქვეყანამ ხომ უმუხთლა და უმუხთლა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა ულმობელმა ზეცამ და საშინელი თოვლ-ჭყაპითა და ქარიშხლით გაუმასპინლდა მინდვრად დაყრილი ტანჯულთ, რომელთა დანაშაულობას მხოლოდ ის შეადგენდა, რომ უსამართლო განგებამ მეგრელებად გააჩინა, ერთი ამათგანი ეგნატე კვაშილავა ძლიერ ავად იყო და წესების დამცველთ თავის ლოგინით კარში გააგდეს, – ავადმყოფობას გაცივება მოემატა და მეორე თუ მესამე დღეს წაიღო თქვენი ჭირი. ცხოვრებისაგან უარყოფილნი 70 სულამდე დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ქ. სოხუმში ეპისკოპოსის კარს მიადგა, გაიარა რა ფეხით 20 ვერსი, და ცრემლებით ევედრა მწყემსთ-მთავარს-ექნა წყალობა და მიეცა ნება მომავალი, კარზე მომდგარი დღესასწაულები თავის ქოხებში გაეტარებინათ, მაგრამ ამაოდ. ასე გასინჯეთ, ადგილობრივ ადმინისტრაციაც კი დაეხმარა ბედკრულთ და სთხოვა ეპისკოპოზს დროებით დაეტოვებინა, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. ვიღაც ეფექტურ სცენების მოყვარულმა პირმა ურჩია-მიდით, სასახლის წინ დაიჩოქეთ, ხელები ზეცად აღაპყარით და უსიტყვოთ ისე იდექით, უსათუოდ შეგიბრალებთო. ეს რჩევაც საქმედ აქციეს, მაგრამ ვერც ამან გასჭრა: ისინი აქედანაც განდევნეს, როგორც წესიერების დამრღვეველნი.

სოხუმელი

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 14 მაისი, შაბათი, №2819, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის მოურავად ასეხელებენ ადგილობრივ ვაჭარს გაგრიჩიძეს, ნაფ. ვექილს ა. ნ. ზახაროვს და ა. ვ. დალს.

იხ. გვ. 120

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 28 მაისი, შაბათი, №2830, გვ. 3.

25 მაისს ფეხბურთის მოთამაშე ახალგაზრდობას და მაყურებელ ხალხს დაერივნენ მთვრალი მატროსები, ყაზახები და გაქცეულ ხალხს თოფები დაუშინეს. მილეწ-მოლეწეს სახლები, დუქნები, სცემდნენ შემთხვევით გზაზე გამვლელებს. თოფებით მძიმე დაჭრილია 3. მათრახებით და ქვებით დასახიჩრებულნი ბევრია.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 14 მაისი, შაბათი, №2819, გვ. 4.

სოხუმის ცხოვრება

...5 ივნისს, ათის წლის შეწყვეტის შემდეგ, პირველად სწირავს ქათულად სოხუმის ახალ ეპისკოპოსის ნებართვით ეპისკოპოსის კარის ეკლესიაში. ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ სარწმუნოება და ენა თავისუფალი უნდა იყოსო...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 14 ივნისი, სამშაბათი, №2843, გვ. 4.

აფხაზეთი

უმაღლეს მთავრობისადმი შეხვედრის იმედით აფხაზები მზადებაში არიან.

როგორც მოსალოდნელი იყო სოფ. მოქვის საზოგადო კრებაზე ერთობა მოქმედებაში წოდებების განურჩევლად უკვე ჩაიფუშა: ამ კრებაზედ გადაწყვეტილი იყო გაეგზავნათ, სადაც ჯერ არს, წოდების განურჩევლად საერთო პეტიცია, რის რედაქციის შემუშავაბაც დაევალა თავად ალექსანდრე შერვაშიძეს. ამ უკანასკნელმა დანაპირები აღარ აღასრულა, რა მიზეზით, არ ვიცით, მხოლოდ ხმებია გავრცელებული, რომ რადგან ამერეთ-იმერეთის თავადაზნაურობამ აფხაზეთიც (მთელი სოხუმის ოლქიც) თავისს ადრესში შეიერთა, ჩვენ აფხაზთათვის ცალკე ქაღალდის გაგზავნა აღარ არის საჭიროო. გვგონია, რომ უფრო წოდებრივ ხასიათის საკითხებმა ჩაილულის წყალი დაალევინეს ახალ-დაწყებულ საქმეს.

ასე თუ ისე, სამწუხაროდ, თუ სასიხარულოდ, აფხაზები წოდებებად გაიყვნენ და თვითოეული წოდება თავისს დელეგატებსა ჰგზავნის: თავად-აზნაურობა ცალკე და გლეხობა ცალკე.

დას. აფხაზეთის (ბზიფის) თავად-აზნაურობამ თავის დელეგატებად აირჩია თავად. ალხას ანჩაბაძე და აზნაური შაჰან ლაკერბაია, გლეხობამ კი – ალექსი ლადარა და ქობლუხ-ჯიკირბა, ხოლო აღმოსავლეთ აფახაზეთის (აბჟუა) თავად-აზნაურობამ აირჩია თავადი ალექსანდრე შერვაშიძე და აზნაური კიჭინ (იგივე ალექსანდრე) მარღანია, გლეხობამ – კი ჰაბიჯ აშვბა, ნესტორ საბეკია, რაზან შაკაია და დიმიტრი გულია...

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. 18 ივლისი, შაბათი, №2847, გვ. 2.

დეპეშით უკვე გაცნობებთ, რომ სოხუმის ეპარქიის მმართველად ახლა დანიშნულის, ეპისკოპოსის სერაფიმის ნებართვით 5 ივნისს სოხუმელ ქართველობას სრულ თხუთმეტი წლის აკრძალვის შემდეგ ეღირსა სამშობლო ენაზედ წირვა ლოცვა. ისევ წინა დღისვე გავრცელდა ხმა, რომ ხვალ ეპისკოპოსის კარის ეკლესიაში ქართულად სწირავენო, და ეს ხმა ელვის უსწრაფესად მოედო მთელ ქალაქს. კვირას დილითვე იწყო ხალხმა დენა და ეკლესიის ეზო ისე გაიტენა მლოცველებით, რომ ნემსიც არ ჩაეტეოდა: დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ყველას ერთად მოეყარა თავი, რომ 15 წლის განმავლობაში სოხუმში უარყოფილ ქართულ ენაზედ მოესმინათ წირვა-ლოცვა.

წირვა რომ გამოვიდა, ხალხმა მოიყარა თავი ეზოში და მანამდის არ დაიშალა, სანამ არ გამოვიდა ეპისკოპოსი, რომელსაც სოხუმელ ქართველობამ თავად ივანე შერვაშიძის პირით მადლობა შესწირა. ეპისკოპოსი დაჰპირდა-ვეცდები თქვენისა და ნამესტნიკის შემწეობით ქართული ეკლესია აგიშენოთ, ან და რუსთათვის დიდი სობორო ავაშენოთ, დღევანდელ ტაძარს კი თქვენ ქართველებს გადმოგცემთო. შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რა იყო მიზეზი სოხუმელთა აღტაცებისა და სიხარულისაო? აი რა, როგორც მეგეხსენებათ, უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ბიუროკრატიამ მთელის თავისი ძალ-ღონით იერიში მოიტანა არა რუსებზედ და მოინდომა გარუსებით მათი ნაციონალური ფიზიონომიის გაქარწყლება-განადგურება: ხელებით იწყო ფათური მათს წმინდათა-წმინდაში ენასა და სარწმუნოებაში. თავის მიზანს დაუმორჩილა ეკლესიაც და სკოლაც, რომელნიც ასცდნენ თავის წმინდა

გზასა და პოლიტიკანობის მორევში ჩაეფლნენ. ის იყო ბიუროკრატიის სანაქებო მოხელე, ვინც მეტს ზიზღსა და დევნას იჩენდა დამონავებულ ერების მიმართ. ამ ზიზღისა და დევნის გამო სავსებით იგემეს სოხუმის ოლქში მცხოვრებ ქართველებმა – რიცხვით 60 ათასამდის. აქ ადამიანისათვის მხოლოდ ის ჰკმაროდა, რომ იგი ქართველი ყოფილიყო. ჩვენს შვილებს სკოლებში „დიკარებს“ ეძახდნენ, ეკლესიებში ჩვენს ენას „ძაღლის ღმუილს“ – ასე გასინჯეთ, უფლებით შემოსილ პირთა თავხედობით წაქეზებულმა უუფლებო პირმა ქალბატონმა გრიგორიევისამ, ტომით რუსმა და „волчий вой“, და დიდებს – „разбойникъ“-ები უწოდა. ყველგან და ყოველთვის სდევნიდნენ ქართველებს. არამედ თუ წირვა-ლოცვა ეკლესიაში, არამედ სახლში მიცვალებულზედ წესის აგებაც ქართულად გვქონდა. წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება, როცა ამის ხელის მომწერს პირმშო შვილი მომიკვდა და ქართულად აკრძალული წესის აგება აღმიკრძალეს! რის ვაი ვაგლახით ჩემი, როგორც იყო გავიტანე.

ასეთ მდგომარეობაში იყო სოხუმის ოლქის ქართველობა სრულ თხუთმეტის წლის განმავლობაში, ადამიანის ადამიანობას მხოლოდ რუსულის ენის ცოდნით თუ უცოდინარობით სჯიდნენ... მგონია, მკითხველს ახსოვს ვოსტორგოვის აზრი აფხაზთა შესახებ: „აფხაზები კავკასიის ყველა ხალხს სჯობიან, რადგანაც ყველაზე უფრო რუსულს ითვისებენო!“ აი რა სიტუაციამდის მივიდნენ!

აი რა იყო მიზეზი სოხუმელთა აღტაცება – სიხარულისა!

სოხუმელი

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 5 ივლისი, სამშაბათი, №2853, გვ. 2.

სოხუმში ქალაქის თავად ამოირჩიეს თავადი ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძე.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 7 ივლისი, ხუთშაბათი, №2855, გვ. 2.

გუდაუთი

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ რომ გუდაუთის სამკითხველო, რომელიც, ეს სამი წელიწადია, დაკეტილი იყო, პირველ ამ თვიდან (თიბათვე) გაიხსნა. სწორედ მადლობის ღირსია სამკითხველოს გამგეობა და უმეტეს – კი ამ გამგეობის თავმჯდომარე იმ ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის, რომელიც სამკითხველოს მოსდის. იმედია, გამგეობა ყოველივე ღონეს იხმარს, რომ სამკითხველო იმ დღეში არ ჩავარდეს, როგორშიაც დღემდის იყო. აი სია ჟურნალ-გაზეთებისა: „ივერია“, „მოგზაური“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „რუს. ვედომოსტი“, „სინ ოტეჩესტვა“, „ნაშა ჟიზნ“, „რუს“, „ბირჟევაია ვედომოსტი“, „ჟურნალ დლია ვსეხ“, „რუსკოე ბოგატსვო“, „ვესტნიკ ინოსტრანნოე ლიტერატური გამოწერილია, მაგრამ ჯერ არ მოსვლიათ სომხური გაზეთი „ნორ-დარ“ და ბაქოდან ერთი თათრული გაზეთი.

აფხაზი

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 13 ივლისი, ოთხშაბათი, №2860, გვ. 4.

სოხუმის ეპისკოპოსის კათედრა ნოვოროოსისკში გადააქვთ. იქვე დაგააქვთ ქუთაისში დახურული სემინარია.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 5 ივლისი, სამშაბათი, №2853, გვ. 2.

ამას წინათ გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ სოხუმის საეპისკოპოსის კათედრა სოხუმიდან ნოვოროსისკში გადააქვთო. სოხუმის ეპისკოპოსს უცნობებია სოხუმის ქალაქის თავისთვის, მე მაგ საქმის შესახებ არაფერი ვიციო. (ჩ. ვ).

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 30 ივლისი, შაბათი, №2875, გვ. 3.

ქ. სოხუმის თვით-მართველობამ შუამდგომლობა აღძრა, სოხუმის ოლქი შეუერთდეს ქუთაისის გუბერნიას-ნამესტნიკის კანცელარიას – კი აზრად აქვს ხსენებული ოლქი შეუერთოს ჩერნომორის გუბერნიას.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 12 აგვისტო, პარასკევი, №2885, გვ. 2.

სოხუმის ოლქში არსდება ოთხი სასოფლო სკოლა. გუვსა, ჩილოვსა, ტალიშსა და ოქუმში.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. №2887, გვ. 3.

სოხუმის ოლქი „ნ-ო“-ის სიტყვით, აზრად აქვთ ორ ნაწილად გაჰყონ: ერთი ნაწილი შეუერთონ ჩერნომორსკის, ხოლო მეორე – ქუთაისის გუბერნიას.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 14 აგვისტო, კვირა, №2887, გვ. 3.

16 ავისტოს ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის წარუდგნენ სოხუმის მცხოვრებთა წარმომაგენელნი თ-ა შერვაშიძე, ნ. ი. თავდგირიძე, რომელთაც ნამესტნიკის მოადგილეს სიტყვიერად მოელაპარაკნენ და წერილობით მოხსენებაც წარუდგინეს სოხუმის ოლქის შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთების უხერხულობის შესახებ. ნამესტნიკის მოადგილემ აღუთქვა წარმომადგენლებს, რომ მიიღებს მხედველობაში აღნიშნულ საბუთებს სოხუმის ოლქის ადმინსტრაციულად მოწყობის დროს. ამას გარდა დეპუტაციას მსჯელობა ჰქონდა სოხუმის ოლქში საომარ დროის წესების მოსპობის შესახებ, ამ საკითხის შესახებ სულთან-კრიმ-გირემ წერილობით მოხსენება მოითხოვა.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 18 აგვისტო, ხუთშაბათი, №2889, გვ. 3.

ქუთაისის გუბერნატორს კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის წარუდგენია ფოთის ქალაქის შუამდგომლობა, ტყვარჩელიდან ოჩამჩირემდე ვიწრო ლიანდაგიან რკინიგზის გაყვანის შესახებ. ქალაქი თხოულობს, კონცერია მიეცეს ტყვარჩელის ქვანახშირის საზოგადოებას.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. №2908, გვ. 2.

სოხუმის ოლქის უფროსი პოლკ. პროგულბიცკი, როგორც „ჩ. ვ“-ს გაუგია, დაინიშნება ტფილისის სამხედრო-საფერშლო სკოლის უფროსად.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 19 აგვისტო, პარასკევი, №2890, გვ. 3.

სოხუმის ქალაქის თავად არჩეული თავ. თავდგირიძე, როგორც „კავკ“-ის ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული დამტკიცებული იქნა თანამდებობაზე.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 19 აგვისტო, პარასკევი, №2890, გვ. 3.

სოხუმის საპყრობილედან გაიპარა 6 კაცი.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 26 აგვისტო, პარასკევი, №2896, გვ. 2.

სოხუმის ოლქში გაუძარცვავთ დრანდის მონასტერი. ჯერ ცნობა არ არის, რა წაუღიათ და რა არა.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 19 აგვისტო, პარასკევი, №2921, გვ. 3.

სოხუმელთა მოთხოვნილებანი

სოხუმის ოლქის მცხოვრებთ შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ ნამეტნიკისთვის.

1. ამ ოლქის მთლიანად დატოვება თავის ისტორიულ საზღვრებში, როგორც განსაკუთრებული დამოუკიდებელი კუთხე ადმინისტრაციულ მმართველობის მხრივ – და თუ ასეთი დატოვება არ მოხერხდა, მაშინ ის შეუერთდეს ჩერნომორსკის გუბერნიას, ისე კი, რომ ადმინისტრაციულ ცენტრად სოხუმი იყოს.

2. ამ ოლქში მცხოვრები აფხაზები აღარ მოიხსენიონ მეტად სამხარის და დაუმსახურებელ სახელით: „დამნაშავენი“, როგორც ამ ჟამად სჩადიან ადმინისტრაციის მოხელენი მიწერ-მოწერის და მათთან საუბრის დროს.

3. ამ ოლქის მცხოვრებთაც მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც სამურზაყანოს ოლქის მცხოვრებთა აქვთ; ოლქის უმიწაწყლო მკვიდრთ ეხლავ დაურიგდეთ მიწები; ის მცხოვრებნი ამ ოლქისა, რუსის ქვეშევრდომნი, რომელიც არა ნაკლებ 7 წლისა დასახლებულან და მფლობელობენ ამა თუ იმ მიწითაც მხოლოდ მათ და მათ შთამომავლობას შეეძლოთ სარებლობა და არა სხვა ვისმე; მეგრელები, რომელნიც ამ ოლქში ცხოვრობენ ნაყიდ მიწებზე, ჩაირიცხნენ იმ საზოგადოებებში, სადაც ამ ჟამად სხოვრობენ და ამოიშალნონ იმ საზოგადოებიდან, საიდანაც მოსულნი არიან.

4. უმაღლესად ნება დართონ დაბრუნდნენ ის აფხაზები, რომელნიც 1877-1878 წ.წ. ოსმალეთში გადასახლდნენ და ამჟამად დაბრუნება სურთ. ამათ უნდა დაუბრუნდნენ სასახლკაროდ სახელმწიფო მიწები.

5. უსასყიდლოდ დაეთმოს ხალხს აქაური სახელმწიფო და საზაფხულო საძოვარი ადგილები.

6. ეხლავ გაუქმებულ იქნას კავკასიის საპოლიციო დარაჯი, რადგან ამ ხალხისათვის არავითარი სარგებლობა, ზარალის მეტი, არა მოაქვს-რა. ამის ნაცვლად თავის დასაცველად ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგეს რაზმი.

7. ეხლავ გაიხსნას საფოსტო გზა გაგრასა და ზუგდიდს შუა, და განთავისუფლე-

ბულ იქნას ხალხი ფოსტის ცხენების შენახვისაგან.

8. ეხლავ შემოღებული იქნას საერო, უფასო და სავალდებულო სწავლება.

9. ყველა სტიპენდია სტავროპოლის ვაჟთა გიმნაზიიდან განთავისუფლების შემდეგ გადმოტანილ იქნას სოხუმის რეალურ სასწავლებელში და თვით სტიპენდიების რიცხვი გამრავლდეს.

10. ყველა ამ ოლქში არსებულ სასწავლებელში სავალდებულო გახდეს სწავლება ქართული ენისა, ხოლო ვისაც სურს, აფხაზურისა და მაჰმადიან-აბხაზებისათვის – არაბულ ენებისა.

11. უმაღლეს სასწავლებლებში ამ ოლქის მცხოვრებთათვის დაარსდეს სტიპენდიები.

12. სოხუმის სამთო სკოლა ეხლავე გადაკეთდეს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად მოსამზადებელ განყოფილებით.

13. სამკურნალო ნაწილი კარგად მოეწყოს დაარსდეს ქსენონები და საავადმყოფოები და სხვა.

14. სოხუმის ოლქის ჯარის-კაცთ ეხლავ მიეცეთ ნება კავკასიაში მოიხადონ ბეგარა და არა სხვაგან სადმე.

15. ეხლავ შემოღებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ინსტიტუტი ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეებისა.

16. ხალხს მიეცეს უფლება თვითონ აირჩიოს სასულიერო პირი, როგორც მართლმადიდებელ, ისე მაჰმადიანურ მოძღვრებისა.

17. ყველა სამსახურში თუ განათლების ცენზი უფლებას აძლევს, ადგილი დაეთმოს ადგილობრივ მკვიდრს.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1905 წ. 19 ნოემბერი, შაბათი, №2954, გვ. 3.



მოქვის ტაძარი, X ს.

1906

გაზეთი „განთიადი“

სოხუმი

28 თებერვლიდან გამოცხადებულია სამხედრო წესები. ოლქი ექვემდებარება ქუთაისის დრ. გენ. გუბერნატორს ალიხანოვს.

გაზ. „განთიადი“, 1906 წ. (20) მარტი, №2, 7.

გაზეთი „გზა“

სოხუმი, როგორც მოგეხსენებათ დაუსჯელად გადარჩა რეაქციას. ჩვენი ბურჟუების ქონებას არ მიკარებია ცეცხლი და ეს ძლიერ სასიამოვნოდ აქვთ. სამაგიეროდ ამ გამოცდილებით დღეს სავსებით სარგებლობენ და სდევნიან ს. დემოკრატებს. მათ ჭაობებს დასასრული არ უჩანთ, მათ ამგვარ „მოღვაწეობას“ ხელმძვანელობას უწევენ ეგრეთ წოდებული ფედერალისტებიც, სახოკიას მეთაურობით. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ მსხვილ ბურჟუაზიას აქ წვრილი ბურჟუაზიის ნაწილიც ემხობა და ჩვენი ორგანიზაციისათვის არჩევნების ჩატარება საძნელოა.

გაზ. „გზა“, 1906 წ. 23 დეკემბერი, შაბათი, №1, გვ. 3.

გაზეთი „გლეხი“

გაზ: „გლეხის“ აგენტები პროვინციებში: ....

ქ. სოხუმში, ბ. ძიძიგური, ბ. თედო სახოკია.

P. S. ყველა ზემოხსენებული პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“.

ჟურნ: „გლეხი“, 1906 წ. 20 ივლისი, ხუთშაბათი, №5, გვ. 16.

გაზეთი „ლამპარი“

სოხუმის ოლქში ბათუმის საარჩევნო საკრებულოსთვის აურჩევიათ ამომრჩევლებათ: მიწის მფლობელთა სიეზდზე სამსახურის გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი პროკოფი შარვაშიძე; სოხუმის საარჩევნო სიეზდზე, როგორც უწინაც ვწერდით, – ანთიმოზ ჯუღელი და სოხუმის ოლქის სიეზდზე, როგორც უწინაც ვწერდით-ანთიმოზ ჯუღელი და სოხუმის ოლქის სიეზდზე ს. საბერიოს გლეხი ხორავა, ს. ჯღერდის – გლეხი აშუბა, ს. ლიხნის – გლეხი გაგულია და ბესლეთის – გლეხი სიკო ბერულავა.

გაზ. „ლამპარი“,1906 წ. 22(3) მაისი, კვირა, №14, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე

არ ვიცი არის თუ არა რომელიმე კუთხე საქ-ში ოჩამჩირესავით ხულიგნობით მდიდარი? მთელ ოჩამჩირეზე ეს არ ითქმის, მაგრამ ამ დაბის ბურჟუებმა გურიის გმირ ნიკოკისაც გადააჭარბეს თავისი ხულიგნური აგიტაციით. ყველას ჯერ-ჯერობით ვერ შევეხები, თუმცა საბუთები ბევრი მაქვს, რომ მათი ხულიგნური ფიზიონომია გამოვააშკარავო, რასაც არც თვითონ მალავენ.

აქ სხვათა შორის ბრძანდება ბურჟუა ვაჟბატონი ფარნა დავითაია, რომელსაც პირადი ინტერესების გამო „დიდი“ (როგორც თითონ ლაპარაკობს) შეტაკება ქონდა ოჩემჩირის ყოფილ ბოქაულთან ბ-ნ ჩეჩელევთან (დიპლომიან ხულიგანთან) და რომლის დამარცხებით ბ-ნმა დავითაიამ „რევოლუციონერის“ და „საზოგადო მოღვაწის“ სახელი მოიხვეჭა.

18 ამ თვეს ადგილობრივმა ამხანაგებმა განვიზრახეთ ჟურნალ-გაზეთების გამო, ჩამორჩენილ საზოგადოებისათვის გაგვეცნო დღევანდელი საჭირბოროტო კითხვები. ამისთვის ადგილობრივ ადმინისტრაციას მივმართეთ, რომ ნება დაერთო შემდეგი სათაურით რეფერატის წაკითხვისა: „Политические партии вь Росии и ихь отношения кь госуд. Думе.“ პოლიციამ ნება დართო და ჩვენც შევუდექით საქმეს. შევატყობინეთ მცხოვრებთ და მოვაჭრეებს. ხალხი დიდძალი მოაწყდა, განსაკუთრებით „დაბალი“, მაგრამ აქ გადაგვეღობა ბ-ნი დავითაია ახტა სკამზე და დაიწყო: „ამხანაგებო, სად მიდიხართ? ვისთან მიდიხართ? ნუთუ ჩვენ ჩვენი ჭკუა არა გვაქვს, რომ ვიღაც ბიჭ-ბუჭა, არა საიმედო, უბილეთო, დაგლეჯილ-დაფლეთილი კონკაში გამოხვეულ სოციალ-დემოკრატებს ვუსმინოთ?“ ეს შესავალში. თავის დიდებულ აგიტაციის გათავების დროს, შემდეგი მარგალიტები გადმოყარა ორატორმა. „აქ მოდით, წაიღეთ დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მსუქანი დედალი, კაი ტანისამოსი, მუშაობა საჭირო არ არის. ჰა, გინდათ რომ მათრახებით ამოგიწვან ზურგი? ალიხანოვის ძეგლი დაგავიწყდათ? ჰაი, ჰაი, რომ ვტყუვდებით. როდის უნდა შევიგნოთ, რომ ძველი მთავრობა უკეთესია ჩვენთვის, ვინმემ ვიღაც მაწანწალა „ბუნტოვშიკებიო“... და სხვა ამისთანა მშვენიერებანი. ამის შემდეგ მოილაპარაკეს ნოქრების სამუშაო დღის მომატებაზე, მათ ჯამაგირზე, მიუხედავად ამისა, კრებას ორასამდე კაცი დაესწრო. სჩანს, ოჩამჩირეში, ბ-ნო ფარნა მტერ-მოყვარეს იცნობენ. თქვენც, ბურჟუებო, იცით მტერ-მოყვარე და ამისათვის ამჯობინეთ ალიხანოვის მათრახები. ძალიან გულკეთილი ბრძანებულ-ხართ ბ-ნო ფარნა! რამ გაიძულათ თქვენ, რომელსაც თავი ქართველ პატრიოტ-ნაციონალისტ-რევოლუციონერთ მოგაქვთ, რომ ეს ბინძური ბურჟუა-ხულიგანის დამახასიათებელი დემატოლოგიური ჩმახვა ამოგებღავლათ! გიცნობთ, რა შვილიცა ბრძანდებით. საჭიროა რომ სხვებმაც გაიგონ თქვენი საქმენი საგმირონი. ბ-ნო ფარნა, შეიძლება გამომეკამათო, ანუ სხვა რამე ზომები მიიღოთ ჩემ წინააღმდეგ და ამისათვის მე საშუალებას გაძლევთ იმით, რომ ფსევდონიმს არ მოვეფარები.

დავით ცხაკაია

გაზ. „ლამპარი“, 1906 წ. 28 (12) ივნისი, ოთხშაბათი, №52, გვ. 3.

გაზეთი „მეგობარი“

სოხუმის ეპარქიის სოფ. აჭანდარის მრევლის მღვდელს სიმონ ნოდიას შუამდგომლობა აღუძრავს, მღვდლობა ამხადეთო.

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. ოქტომბერი 15 (27), კვირა, №18, გვ. 2.

აფხაზეთი: ძარცვა-გლეჯვამ იკლო. მოსავალი კარგია, ამის გამო ყველა საქმით იყო გართული და საავკაცოთ არავის ეცალა, მოუცლელობის მიზეზით, თითქმის მოწაფენიც აღარ დადიოდნენ სკოლებში. მაგრამ მუშაობა ახლა მიწურულშია და თავი იჩინა ქურდობაშიც-ავაზაკობამაც.

(შემდეგ სტატიაში: რამოდენიმე ქურდობა – ძარცვის მაგალითი. – რედ.).

კაი

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 22 ოქტომბერი (4 ნოემბერი), კვირა. №34, გვ. 3.

აბჟუვა
(კოდორის ნაწილის სოხუმის ოლქისა)

8 ოქტომბერს კოდორის ნაწილის გუფის საზოგადოებას ეწვია რაზმი და კოდორის ნაწილის უფროსი. მოსთხოვეს საზოგადოების ყოველგვარი გადასახადის შეტანა. ამ საზ-ში გადასახადების საქმე, წინა-წლებიდან მოყოლებული ძალიან არეულ-დარეულია. ჯერ ამავე წლის გაზაფხულზე გადაიხადა საზ-ბამ 3690 მან. მიუხედავად ამისა ახლაც თითო კომლზე იხდიან 8 მან. 20 კ. ბევრნი დრტვინავენ და ისაყვედურებიან: ჩვენ ვიხდით და ვიხდით, მაგრამ ამ „ნედოიმკებს“ ბოლო არ უჩანს; ჩვენ მიერ გადახდილი ფული დანიშნულებისამებრ არ მიდის, გზაზე იკარგება, რადგან ამას „იყოფენ მწერლები მდივანბეგებთან“, ამიტომ არის, ჩვენ ახალ-ახალი გადასახადები გვეწერებაო და სხვ. ასეთ მითქმა-მოთქმას, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე კერძო ლაპარაკში გაიგონებთ ჩუმ-ჩუმად (აშკარად ვერ ამხელენ სხვადასხვა მიზეზის გამო), რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა დაუწესდეს რიგიანი კონტროლი სოფლის მოხელეთა მოქმედებას, გადასახად ფულის გაწერის მეტ-ნაკლებობას, შეკრებილ ფულის დანიშნულებისამებრ მოსვლას და სხვ. როდესაც ეს მოხდება და „ნედოიმკები“ ასე თუ ისე გაიწმინდება, მაშინ ჩადგება გადასახდების საქმე ამ საზ-ბისა ნორმალურ კალაპოტში ისე, როგორც ეს არის მეზობელ სოფლებს-ტყვარჩელს და ფოქვეშში.

ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა ეგზეკუცია გუფის საზ-ბას. ჯერ ერთი, მინდვრის მუშაობა გათავებული არ არის სრულად, მეორე-საიდან შემოსავლის წყარო ამ დროს აქ არ არის. ახლა კი დაუდგათ დრო ვაჭარ-ჩარჩებს. საზ-ბის უღარიბესი ნაწილი იძულებული გახდა ახალი მოტეხილი ნედლი ტარო სიმინდი კალათებით გაეყიდა, რაც ამ არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ საზ-ბის მცხოვრებთა დიდი ნაწილი თითქმის ყოველ წელიწადს გაყიდული სიმინდით ირჩენს თავს, ხოლო წელს საზოგადოდ ყველგან ამ კუთხეში და განსაკუთრებით ამ „ობშჩინაში“, მეტად მცირე იყო მოსავალი სიმინდისა. ყოველ ამასთან სახნავ-სათესი მიწის სივიწროვით განთქმულია ეს საზ-ბა. აი, ასეთ გარემოებაში ზედ დაე-

რთო შენახვა რაზმისა, რომელსაც, სხვათაშორის, შაქარიც სოფლის ხარჯზე ეძლევა. რაზმი (60-მდის კაცი) 4-5 დღე დარჩა ამ საზოგადოებაში.

აქაური

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 11 (23) ნოემბერი, შაბათი, №40, გვ. 3.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი

30 ნოემბერს, სამუსიკო დარბაზში, ქ-ნ ლოლუას ლოტბარობით, გაიმართა კონცერტი. მონაწილეობას იღებდა 16 კაცი, რომელთაც ერთნაირი ტანსაცმელი (ჩოხა-ახალუხი) ეცვათ. კონცერტი შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან და ყოველ განყოფილების დასასრულს იკითხებოდა სცენები და ლექსები. უკანასკნელ მეოთხე განყოფილებაში, გამართულ იქნა ცეკვა. ითამაშეს ორ სართულიანი ფერხული, ბაღდადურისა, ხონური და ლეკური.

ბ-ნ ძ. ლოლუას დამსწრე საზ-ბამ დიდი მადლობა გადაუხადა. კონცერტი საქველმოქმედო ხარით გაიმართა და დარჩა 100 მან.

ამას წინათ ბ-ნ ლოლუასვე მეთაურობით სოხუმის წიგნთსაცავის სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი და წმინდა შემოსავალი 60 მან. 34 კ. გადაეცა ქალაქის გამგეობას. დღეს კი, როგორც ბ-მა ლოლუამ ბრძანა – სურვილი აქვს განაგრძოს დაწყებული საქმე და ამისთვის განუზრახავს მოგზაურობა სხვადასხვა ქალაქში.

ხორგელი

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 9 (22) დეკემბერი, შაბათი, №62, გვ. 3-4.

სკოლა აფხაზეთში და ახალი აშორდია

წარსულ ღვინობისთვეში სოფ. ლიხნში, ქუთაისის გუბერნიის მეოთხე რაიონის ინსპექტორის ბ-ნ იზმაილოვის განკარგულებით და თანსდასწრებით, მოხდა გუდაუთის ნაწილის (სოხუმის ოქი) სამინისტრო სკოლების მასწავლებელთა კრება.

შარშან, როგორც მოგეხსენებათ, გამოვიდა „ნებართვა“. სკოლებში ადგილობრივ (დედაენის) სწავლების შესახებ და მასწავლებელთაც დაურიგდათ „ახალი“, ესე იგი 1881 წელს ნამესტნიკის მიერ მოწონებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმა. და აი, თანახმად ამ ახალ პროგრამის, ბ-ნ იზმაილოვს განუზრახავს სააფხაზოს სკოლებში აფხაზურ ენის სწავლების შემოღება და უმთავრესი აზრიც მასწავლებელთა კრების იყო გაცნობა „აფხაზურ ანბანისა და პირველ საკითხავ წიგნაკის“-სა. ეჭვი არ არის, ყველას მოეხსენება, რომ აფხაზური ლიტერატურა და ანბანი არ არსებობს და აფხაზები უხსოვარ დროიდან სარგელობდნენ ქართულის ლიტერატურით და ანბანით. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში გამეფებულმა გარუსების სისტემამ, ამ სისტემის განმახორციელებელმა „მოღვაწეებმა“ და თვით აფხაზეთის შეუგნებელმა ელემენტებმა „დაამტკიცეს“: აფხაზებს ქართველთან არაფერი საერთო არა აქვთ, რადგან აფხაზები „გორცები“ არიანო.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მოგახსენებდით აფხაზურ ანბანისა და პირველ საკითხავ წიგნაკის შესახებ: ამ „პირველ“ (მეორე დედამიწაზე არ არსებობს) წიგნაკის ავტორი გახლავთ ბ-ნი დ. მაჭავარიანი (სახალხო სკოლების ინსპექტორი ქუთაი-

სის გუბერნიაში). თუმცა ბ-ნი სტარჩევსკი „კავკაზსკი ტოლმაჩ“-ში სხვათაშორის , სწერს რომ „Звуки абхазкого языка не могутъ быть выражены вполнъ точно никакими сочинениями европейскихъ азбукъ“-ო, მაგრამ ბ-ნ მაჭავარიანმა „დასძლია“ ამ სიძნელეს, იტვირთა აფხაზთათვის აშორდიაობა და შადგინა აფხაზური წიგნაკი რუსულის ასოების საშუალებით. რაკი რუსულს ანბანში არ მოიპოვება აფხაზურ ენისთვის აუცილებლად საჭირო ხმების გამომხატველი ასოები, როგორიც არის ჩვენი: ღ, ყ, ფ, წ, ჭ, ძ და სხვა, ამიტომ ბ-ნ მაჭავარიანს არც აუღია და რუსულს ასოებისთვის სხვადასხვა „საიდუმლო“ ნიშნები და კუდები მოუბამს, რომლის ძალითაც ერთი და იგივე ასო სხვა და სხვაგან სხვა და სხვას ნიშნავს. როგორც დავრწმუნდი ამ მასწავლებელთა კრებაზე, სადაც მასწავლებელ-აფხაზებმაც ვერ შეძლეს წაკითხვა წიგნაკში მოთავსებულ აფხაზურ ფრაზებისა და გაგება მათის მნიშვნელობისა, ამ წიგნაკის წაკითხვა და გაგება წაკითხულისა უნდა შეძლოს მხოლოდ ავტორის...

თუმცა ბ-მა იზმაილოვმა ტომით რუსმა აფხაზური არ იცის, მაგრამ როგორც სწავლა-განთლების „გულშემატკივარმა“ წარმომადგენელმა სოხუმის ოლქისამ და ამ მხრით იმის ბედიღბლის გამგემ, აუცილებელ საჭიროებად ჩასთვალა სკოლებში აფხაზური ენის სწავლების შემოღება. როცა ბ-ნი იზმაილოვი ამ კრებაზე დარწმუნდა, რომ არც ერთ მასწავლებელს არ შეუძლია წაკითხვა ამ აფხაზურ წიგნაკისა და გაგება წაკითხულისა, დაავალა მასწავლებელთ ბეჯითად ასწავლონ აფხაზური ენა, და გახადა კიდეც იგი სავალდებულო საგნად სკოლებში. ეხლა ხომ ხედავ, მკითხველო, აფხაზების რა გულ მტკივარნი ყოფილან ბ-ნი იზმაილოვი, მაჭავარიანი და ძმანი მათნი!

ამავე კრებაზე მასწავლებლები, სხვათა შორის შეეხნენ თავიანთ მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობას და შეეკითხნენ ინსპექტორს ჯამაგირის მომატების შესახებ. ბ-მა ინსპექტორმა ურჩია, სოფლის მეურნეობას მიჰყავით ხელიო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის მაინც ეფიქრა დალოცვილ ინსპექტორს, რომ სოფლის მასწავლებელთ არ მოუპოვებიათ არც მიწა და არც სამუშაო იარაღი. მასწავლებლებმა ფიზიკურ შიმშილთან ერთად მოიგონეს სულიერი შიმშილიც. ჰკითხეს ინსპექტორს, რა მიზეზია, რომ სულ კონსერვატიული, და თითქმის ხულიგანური, ჟურნალ-გაზეთები მოგვდის, ისეთი მაგალითად, როგორიც არის „როსსია“. „რუსკოე დელო“, „პახარ“, „მედვედ“ და სხვაო. ინსპექტორმა მიუგო: „როსსია“ უფასოდ გეგზავნებათ რედაქციისაგან, დანარჩენი გაზეთები – კი, რომელთაც მე ვწერ თქვენ სახელზე, განსაკუთრებით „რუსკოე დელო“, კარგის მიმართულებისაა! აქედან ცხადია, რას ეძახის ბ-ნი იზმაილოვი „კარგს“ მიმართულებას...

დასასრულ ვიტყვი, რომ კრებები კარგია, რასაკვირველია, სხვა პირობებში და სხვა აზრით, მაგრამ, რაც შეეხება აფხაზური ენის სკოლებში შემოღებისათვის მომხდარ კრებას, იგი უაზრო და უმნიშვნელო იყო: აფხაზურის სწავლების შემოღება იმ სახითაც, რა სახითაც დირექტორს განუზრახავს, უბრალოდ წყლის ნაყვა იქნება და, ვფიქრობ, რომ ბ-ნ მაჭავარიანის „ნაშრომს“, ისეთივე ბედი მოელის, როგორიც წილად ხვდა სამეგრელოში ცნობილ აშორდიის „ნაშრომს“, მით უმეტეს, რომ ერთმა უფრო შეგნებულმა ნაწილმა აფხაზეთისამ – სამურზაყანომ, არ თანაუგრძნო ამ პოლიტიკას და ქართული ენის სწავლა შემოიღო სკოლებში.

კაი

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 10 (23) დეკემბერი, კვირა, №63, გვ. 2-3.

ამ წლის გაზაფხულს აფხაზეთიდან გამოგზავნილმა და „შრომაში“ (№3) მოთავსებულმა კორესპონდენციამ როგორც უკვე ვიცით, აქ დიდი აურ-ზაური ატეხა ერთ წრეში. ბევრის კვლევა-ძიების შემდეგ, ამ კორესპონდენციის დაწერა დააბრალეს ოჩამჩირის ნორმალურ სასწავლებელში ბაღოსნობის მასწავლებელს ლ. გობეჩიას, მერე ეს ბრალდება მისსავე მოგვარე ნათესავზე გადაიტანეს. ამის გამო სახალხო სკოლის ინსპექტორმა იზმაილოვმა ლ. გობეჩია სამსახურიდან დაითხოვა. ინსპექტორი იზმაილოვი თავის ასეთ გადაწყვეტილების მოტივად იმას ასახელებდა პირველში, ვითომ მთელის კოდორის ნაწილის თავად-აზნაურობას მოეთხოვოს გობეჩიას სამსახურიდან გადაყენება.

როცა ესეთი ხმა ცოტად თუ ბევრად გავრცელდა ადგილობრივ თავადაზნაურობაში, ზოგიერთმა კანტი-კუნტად განაცხადა, რომ ჩვენ არავისთვის არ მოგვიმართავს თხოვნით – ლ. გობეჩია სამსახურიდან დაითხოვეთო. ამ უკანასკნელის სიტყვით ზოგირთებმა, მაგ: თავ. ტატასი მარშანიამ, თავ. მურ. მარშანიამ, აზ. ბესლ. ხვარწკიამ, იზმაილოვს პირდაპირ უთხრეს, თავად-აზნაურობას საზოგადოდ სულაც არა სურს გობეჩიას გადაყენებაო, და სთხოვეს გადაყენებულის ისევ სამსახურში მიღება.

გარდა ამისა ოჩამჩირის საზოგადოებამაც, რომელიც მომეტებულად თვითონ ინახავს სასწავლებელს, ხმა აღიმაღლა უდანაშაულოდ დასჯილის სასარგებლოდ. ყოველ ამასთან გობეჩიამ ადგილობრივ პოლიციის მოწმობამაც წარადგინა თავის პოლიტიკურად კეთილ საიმედოვნებისა, მაგრამ მაინც ბ-მა იზმაილოვმა გადაჭრით მოსთხოვა გობეჩიას – „სანამ ისევ ის თავადები, რომელთა, თხოვნით გამოგდებულნი ხართ, იშუამდგომლობენ, გულშიაც ნუ გაივლებთ სამსახურში მიღებასაო“. ეს თავადნი – ხაბ. ანჩაბაძე, დიმირ. მარშანია და ზოურ. მეფიშვილი, ცალ-ცალკე თითოეული მათგანი თანახმა იყო აღეძრა შუამდგომლობა ლ. გობეჩიას შესახებ, მაგრამ ტრივმირატის ერთად შეხვედრა ვერ მოხერხდა, არ ვიცით კი – ვისის მეოხებით...

ბოლოს, როცა სოხუმის სამკურნალო საზ-ბის (რომლის წევრადაც ირიცხება ლ. გობეჩია) თავჯდომარე ბ-ნი კარპოვიჩი მედგრად გამოესარჩლა გობეჩიას, ეს უკანასკნელი მეზვერისებულ წვალების შემდეგ ისევ მიღებულ იქნა (ამ 1906 წ. გიორგობის დამლევს). თუ ჩვენი დათხოვნა მიღება ადგილობრივ თავად-აზნაურობაზე იქმნა დამოკიდებული და იმათგანაც „მოწმობის აღება“ დაგვჭირდა, ამბობენ მასწავლებელნი, ჩვენი სამსახური იზმაილოვის ხელში გროშადაც არ ღირებულაო.

საზოგადოდ მეტად აღიარებული კაცია ეს იზმაილოვი, ერთი რევიზიის დროს ინსპექტორმა იზმაილოვმა რუსულის წერა-კითხვის ცოდნა მოითხოვა პირველი განყოფილების ბავშვებისაგან. მაშინ მასწავლებელმა კვარაცხელიამ მოახსენა: თქვენგანვე მიღებული 1881 წ. სასწავლო გეგმის თანახმად პირველ წელს სწავლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, ამიტომ მე ჯერ ქართულ წერა-კითხვას ვასწავლი და რუსული სულაც არ დამიწყიაო. ამაზე კლასიდან გამოსვლისას გალაღებულმა ინსპექტორმა უპასუხა: ეს სასწავლო გეგმა იმიტომ გამოგეგზავნათ, „Чтобъ гусей не разбразнитъ“-ო.

ბ-ნი იზმაილოვი მეგრელი ბავშვების შესახებ მასწავლებლებს ეუბნება: მათ ხომ ქართულის არა გაეგებათ რაო. გამოდის: მეგრულ-რუსულად ასწავლეთო...

გიორგობისათვის დამდეგ ოჩამჩირის სკოლის შენობაში კრება ჰქონიათ კოდო-

რის ნაწილის სამინისტრო სკოლების მასწავლებლებს ბ-ნ იზმაილოვის მოწვევით. ამ დროს იზმაილოვი შესულა ქართულ გაკვეთილზედაც – კი (ამ სასწავლო წლიდან ოჩამჩირის ნორმალურ ორ კლასიან სასწავლებელში ცალკე მასწავლებელი ასწავლის ქართულს ყველა განყოფილება – კლასში). წამოუყენებია აფხაზი ბავშვები და უკითხავს თურმე – მასწავლებლის რჩევით სწავლობთ თუ რად სწავლობთ ქართულსაო, არა დედ-მამის სურვილითაო, უპასუხნიათ ბავშვებს.

იზმაილოვისებურ პირთა მეოხებით აიხსნება ის გარემოება, რომ აფხაზები ვითომ ამბობენ – ჩვენ ქართული წერა-კითხვის სწავლა არ გვიანდაო. აფხაზებს უნდათ: აფხაზური ენა არ დაიკარგოს, იმაზე, რამდენადაც შეიძლება, ანბანი, წერა-კითხვა და სწავლება თანდათან დაარსდეს და გავრცელდეს – ეს ერთი. მეორე, აფხაზებს უნდათ (მე ვღებულობ ხალხს და არა კერძო პირთო) მონათესავე და მეზობელი ქართველების ენა და წერა-კითხვაც ისწავლონ. ეს მით უფრო, რადგან აფხაზები ქართველებში (მეგრელი, იმერლები და გურულები) არეულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ საგანზე სხვა დროს.

ინსპექტორი იზმაილოვი ეხლაც განაგრძობს იმისთანა ჟურნალ-გაზეთების გამოწერას მასწავლებელთათვის, რომელთაც ეს უკანასკნელი სულაც არ კითხულობენ. ზემოთხსენებულ მასწ. კრებაზე ერთმა მასწავლებელმა თურმე პირდაპირ მიმართა ინსპექტორს: ხარჯს ნუ გასწევთო და ნუ მიგზავნით გაზ: „РОССИЯ“-სო, რადგან მე იმას არა ვკითხულობო.

მაგრამ სანამ სწავლა-განათლებისა და მასწავლებლების საქმე აპეკუნთა ხელშია, ბევრი დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

მ-პ

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 19 დეკემბერი, სამშაბათი, №70, გვ. 3.

ს. ილორი (სამურზაყანო)

თუ რა ძნელი, დამღუპველი და გამათახსირებელია გაუნათლებლობა, უვიცობა და აქედან წარმომდგარი ცრუმორწმუნეობა, მკითხველო, შეგიძლია დაინახო შემდეგიდან. დაბა ოჩამჩირედან სამ ვერსზე ს. ილორში აგებულია წმ. გიორგის სახელზე ძველი ეკლესია. რომლის ხატიც, ხალხის თვალში, ერთ უძლიერეს და სასწაულმოქმედ ხატად ითვლება. ეს ეკლესია უმდიდრესი ეკლესიათაგანია, არა თუ საქართველოში, მთელ კავკასიაშიც. ნაღდი ფული შენახული აქვს ხაზინაში 30000 მან. წლიური შემოსავალი კი, რომ არ იკარგებოდეს და ყოველ ბრალიანსა და უბრალოს არ გაჰქონდეს, 8-10 ათასი მანეთი მაინც ექნება.

მერე საიდან აქვს ამდენი შემოსავალი ეკლესიასო იკითხავს გაკვირვებული მკითხველი და იქნებ ეჭვიც შეეპაროს ჩემი სიტყვების სიმართლეში. ეს ამოდენა ფული შემოდის ამ ეკლესიას სამურზაყანოს (თუმცა არა ამდენი), სამეგრელოს და იმერეთის ისედაც გატყავებულ, გაღატაკებულ, და მუდამ ნახევრად მშიერ ტიტველ გლეხობისაგან. როგორც ვთქვით, ამ ეკლესიის ხატს დიდი სასწაულმოქმედების სახელი აქვს გავარდნილი, და თითქმის მთელი წლის განმავლობაში აქ ტალახსა, წვიმასა და ქარ-ბუქში დიდ-ძალი ქარავანი ფეხ-შიშველა მლოცველებისა-მთელი ოჯახობა ძუძუწოვარა ბალღებით. ეკლესიასთან არავითარი თავშესაფარი არ არის და ეს ამოდენა

ხალხი, როგორი ამინდიც უნდა იყოს, ცის ქვეშ ათენებს ღამეებს. უნდა გენახოთ ამ დროს გულგამგმირავი ტირილ-წრიპინი სიცივისაგან გულშეწუხებულ, რამდენისამე დღის მგზავრობით დაქანცულ საბრალო ბალღებისა! აი ამ ხალხს, რომელსაც შინ შიმშილით ბავშვები ეხოცება, „გარეთ“ – აქ მსუქანი „ტაბლა“ მოაქვს სხვების გასაძღომ-გასასუქებლად. ფული, ცხვარი, თხა, ხარი, ცვილი, ვერცხლი, აბრეშუმი, ქათმები, სპილენძის ქვაბები – აი რა შეადგენს ამ ეკლესიის შეწირულობას.

ამ შესაწირავის მისაღებად სოფელი ყოველ წლობით მორიგეობით ირჩევს ოთხ კაცს, რომელთაც „სტაროსტებს“ ეძახიან, ასე რომ განსაზღვრულ დროს განმავლობაში ამ სოფლის ყველა მცხოვრებს უნდა ერგოს „სტაროსტობა“. უნდა ნახოთ იმისი მხიარულება, ვისაც ეს ბედი ჰხვდება ან კი როგორ არ უნდა იმხიარულოს, როდესაც დარწმუნებულია, რომ იმის ჯიბეს სიმსუქნე მოელის და იმის ხელში ამოდენა შესაწირავმა უკონტროლოდ უნდა გაიაროს!

თვით შესაწირავის მიტანა ასე ხდება: შემწირველი იჩოქებს ხატის წინ. ხანჯალ-რევოლვერში გამოწკეპილი „სტაროსტა“ ართმევს დაჩოქილ პირს შესაწირავს: ავლებს გარშემო თავზე და უკითხავს ერთხელ, გაზეპირებულ, თავის მიერვე შეთხზულ ლოცვას; ბოლოს იღებს ხელში სპილენძის ბუკს და ორჯერ-სამჯერ მაგრად ჩაჰყვირებს ყურში – ვითომდა, აი უყურე, შენი ეშმაკები დავაფრთხე და აწ ვეღარ მოგეკარებიანო.

იქვე ეკლესიაში დგას ეგრედ წოდებული, წმ. გიორგის ვეებერთელა რკინის მშვილდი, რომელშიც მლოცველები უნდა გაძვრნენ-გამოძვრნენ, რომ „სნეულობისაგან განიკურნონ“. ამ გაძრომისათვის თითოეული მლოცველი 20-30 კაპეიკს იხდის „სტაროსტის“ სასარგებლოდ.

ძნელად მოიძებნება ქვეყნად კიდევ ისეთი გაზარმაცებული ხალხი, როგორიც ილორელები არიან. მთელის წლობით დილიდან საღამომდის ესენი უსაქმოდ ატარებენ ეკლესიის გალავანში ლაყბობასა და ცხოველების მოლოდინში. როგორც ზევითა ვთქვი, ამ ეკლესიას დიდ-ძალი შინაური ცხოველი – ხარი, თხა, ცხვარი, ეწირება თითქმის ყოველ დღეს. შენიშნავენ თუ არა, რომ მოჰყავთ ცხოველები, ეს ამოდენი მოცლილი ხალხი უცბად წამოიშლება, გაუდგება შესახვედრად, და შორიდავნე გატაცებით შინჯავენ, რომელია უკეთესი თხა, ცხვარი ან ხარი. ხშირად რამდენიმე კაცი ერთსა და იმავე პირუტყვს წაავლებს ხოლმე ხელს და ყვირილით, – „არა ჩემია, არა ჩემიო“, ყველა თავისკენ მიეზიდება. პატრონი კი ემუდარება: „ქრისტიანებო, მოიცათ, სამი-ოთხი დღის სავალიდან ძლივს მომიყვანია, შეწირვა დამაცადეთ და მერე ვისაც გინდათ იმან წაიყვანეთო“.

იყიდება 7-8 მანეთიანი თხა და ცხვარი 20-30 კაპეკათ; 20-30 მანეთიანი ხარი 1-2 მანეთად. სხვა სოფლელებს, ოცჯერ მეტიც რომ შეაძლიონ, არ მიჰყიდიან. „როგორ შეიძლება, ხატიც ჩვენია და მისი შესაწირავიც, სხვაზე რომ გავყიდოთ, ჩვენ რაღამ გვარჩინოსო“, აი როგორ ეპასუხებიან ილორელები სხვა სოფლელებს. თითქმის ყოველსავე თავის მოთხოვნილებას ამ სოფლის მცხოვრებნი ეკლესიის შემოსავლით იკმაყოფილებენ.

ბერი

გაზ. „მეგობარი“, 1906 წ. 20 დეკემბერი (3 იანვარი), ოთხშაბათი, №71, გვ. 3.

გაზეთი „მუშა“

ქ. სოხუმი

ბევრი ხანია ვითმინე, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო და აწ ნურას უკაცრავად თუ ვაღიარო ჩვენი სოხუმის ს. – დემოკრატების ჭკუის სიკოტრე და მათი უტაქტო მოქმედება. რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომ მათ (ს. დემოკრატების) რუსი გმობილი და დევნილი არ იყოს: თავისუფლება კრებისა, სინდისისა, თუ სხვა. ასე გასინჯეთ გაზეთის გამყიდველთა უკრძალავენ, გაყიდონ გარდა მათი გაზეთის „სიმართლისა“ (სიმართლე ისე შორის არის მათგან, როგორც ცა „და“ დედამიწიდან) „მუშა“, „ნობათი“ და „შრომა“ აგრეთვე სასტიკად აკრძალულია სხვა პარტის წევრებთან თავისუფლად სჯა-ბაასი საზოგადო საქმის შესახებ. ნუ იფიქრებთ, რომ არ დაემონებიოს თავისი წევრები ს. დემოკრატებს; ძალიან იშვიათად შეხვდებით, რომ ვინმემ თავის გულის ნადები პირიქით წარმოსთქვას, ვაი თუ ს. დემოკრატებმა გაიგონონო.

...ამას წინათ ერით სასტუმროში ერთს სოც. დემოკრატს მოველაპარაკე და მეც თავი მოვისოციალდემოკრატე; სხვათა შორის ვკითხე, რატომ ჩვენი პარტია გვიკრძალავს სხვა გაზეთების კითხვას – მეთქი და მითხრა: ეს იმიტომ, რომ სხვა პარტია არავინ ირჩიოსო. მაგონდება მეგრული ანდაზა, თხას რომ გაწყვეტა მოადგება, რქებით დაუწყებენ ერთი-მეორეს ხეხასაო; თუ თხებს რქები აქვთ, სამაგიეროდ სოხუმის ს. დემოკრატებს ენა აქვთ და აი, კიდეც დაუწყეს ერთიმეორეს ჯიბრი, ერთი და იგივე პარტიის წევრებმა.

ივანე თურქია

გაზ. „მუშა“, 1906 წ. 20 ივლისი, ხუთშაბათი, №35, გვ. 3.

სოხუმის რამე-რუმე

ყველაზე ცუდი ის არის, თუ რომელიმე მხარე ასე თუ ისე ჩამოშორდება სხვა მეზობელ ქვეყნებსა და თავის კულტურულ ზრდა-განვითარების გზას არ მისცემს ფართო და ვრცელს ასპარეზსს. ცხადია, იქ მცხოვრებნი მოწყვეტილნი არიან საზოგადო მოძრაობას, ხალხის ზრდა-განვითარებას და წარმოადგენენ „მკვდარ სულებს“. აქ საერთოდ ყველანი და თითოეული მცხოვრებთაგანი განსაკუთრებულ პირობებში გრძნობენ თავიანთ თავს, რომელთაც ამა თუ იმ დღის რაიმე სენსაციონური მოვლენანი ჩვეულებრივად მიაჩნიათ. ასე, მაგ, სოხუმის მცხოვრებნი.

მას შემდეგ, რაც რეაქციამ გაიმარჯვა, ამ დღეებში პირველად მოვხვდი სოხუმში, მაგრამ ნეტა სულაც არ მოვსულიყავი! არ მენახა ჩემის თვალით ყველა ის სიდუხჭირე და შეუგნებლობა აქაურობისა, რომელიც ყოველ ადამიანს ეკალივით თვალში ესობა, და გულს სჩხვლეტავს.

ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა. ქალაქი ძილს მისცემოდა. ქუჩებში სამარისებული სიჩუმე იდგა. უცბათ თოფებმა დაიგრიალა. ზარდაცემული ლოგინიდან წამოვარდი და კედელს მივეფარე სულგანაბული, აცახცახებული, ყური დავუგდე. სროლას განაგრძნობდნენ. ბოლოს, რამდენიმე წუთის შემდეგ მიწყდა. მხოლოდ აქაიქ თითო ოროლა გაისმა და ამას მოჰყვა ნელის ხმით ბაიათი. როდესაც ყველაფერი

მიწყნარდა და სიმღერის მეტი არა ისმოდა-რა, დიდის სიფრთხილით ფანჯრიდან გადავიხედე და იქვე, ქუჩაში მდგომ ღამის დარაჯს მივმართე: „რა ამბავია, ვის ესვრიან მეთქი? „Ничаво, баранъ, это абхазъ гулять“-ო მიპასუხა. „მერე განა სროლა აკრძალული არ არის და მით უმეტეს, ღამე? ან პოლიცია სადღაა, რას აკეთებს, რატომ არ დააპატიმრეს წესიერების დამრღვევს მეთქი? – „რასა ბრძანებ, ბატონო, პოლიცია აქ სად არის, განა ამ შუაგულ ძილში თავს შეიწუხებს?“ ამ პასუხმა მეტის-მეტად გამაკვირვა. მეორე დღეს იმავე კითხვით მივმართე ჩემს ნაცნობებს და ამათაც იგივე პასუხი მომცეს: „აფხაზები აქ, რაც უნდათ იმას ჩადიანო“.

მართლაც, რომ დავაკვირდი, მართალი გამოდგა. სხვას ხომ უბრალო დანის ტარების ნებაც არა აქვთ, აფხაზები თავით ფეხამდე შეიარაღებულნი არიან; სხვები ხომ ხმა მაღლა ვერ დაილაპარაკებენ, ესენი შუაღამისას, როდესაც ქალაქი შუაგულ ძილშია, ქუჩა-ქუჩა დადიან, მღერიან და რევოლვერებს ისვრიან! არც პოლიცია, არც მთავრობა მათთვის არ არსებობს!... და ხალხი, რომელიც ყოველ წუთსა და ფეხის გადაგმაზე შეწუხებული და შეურაცყოფილია მათგან, ხმას არ იღებს!!. ეს უკანასკნელი კი ყველაზე საკვირველია! მაგრამ სოხუმელებისაგან არ უნდა გაგვიკვირდეს!? თუმცა აფხაზებმა იმ თავითვე დიდი სიმპატია დაიმსახურეს მთავრობისა, მაგრამ თუ ამდენად „ნდობით აღჭურვილნი“ და „ტახტის ერთგულნი“ იყვნენ ეს-კი არ მეგონა. სირცხვილი მაგათ! იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთის ხალხი ზიზღს უცხადებს ეხლანდელ მთავრობას, ამათ თავიანთ ქვეშევრდომული ურთიერთობა, სული და გული მთავრობას ფიანდაზათ გადაუშალეს. ნუთუ ვერ მიმხვდარან, რომ მთავრობა, როგორც ყოველთვის, ეხლაც მათ სიბრმავისა და უვიცობით სარგებლობს და მათივე ძმებთან საბრძოლველად გამოჰყავს?! ნუთუ მომავალზე არ ფიქრობენ? რას იტყვიან მაშინ, როდესაც დამარცხებული მთავრობა მაგათ ზურგს შეაქცევს და იძულებული გახდება წარუდგნენ ვით დამნაშავენი გამარჯვებულ ხალხის წინაშე?! რა პასუხს გასცემენ ხალხს, მაგრამ ამის პასუხს თვით ცხოვრება მოგვცემს.

დიდი ხანია სოხუმელები მოუთმენლად მოველოდით ახალგაზრდა არტისტებისაგან შემდგარ „ახალი დრამის“ ამხანაგობას და როგორიც იყო გვესტუმრენ 12 ამ თვეს. პირველი წარმოდგენა გამართეს ხუთშაბათს, 13 ივლისს. იყო წარმოდგელი „გაზაფხულის ნიაღვარი“ დრ. 4 მოქმ. კოცორტოვას, თარგმანი ვ. გუნიასი მეოთხეთ „სიძე-სიმამრი“ კომ. 3 მოქმ. ვ. გუნიასი მესამე – „ფერდინანდ ლასსალი“ დრ. 4 მოქმ. სენ. ბენ ელისა თარგ. დ. ჯაშისა და მეოთხე – ცნობილი პიესა მუშების ცხოვრებიდან „ჟან-და-მადლ-ენა“.

ყველა პიესებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მსახიობთ ეტყობათ, რომ ამ სიმპატიურისა და ნაყოფიერი საქმისთვის უხუმრად მოუკიდნიათ ხელი. შეწყობილი თამაშობა და როლების ცოდნა სრულიად აკმაყოფილებს მაყურებელს ესტეთიური გრძნობას, მაგრამ... სოხუმელებმა აქაც დიდი გულგრილობა გამოიჩინეს და ამის მიზეზი – კი ჩვენი ერთი ძლიერი და, როგორც თვითონ ამბობენ, შეგნებული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ. ს. დემოკრატებმა აქაც გამოიჩინეს თავიანთი ბიუროკრატიული უნარი და“ მოინდომეს წმინდა, ხელოვნების ხელში ჩაწერა და მაზედ გაბატონება. ჯერ პარტიელები გემიდან არც კი იყვნენ ჩასული, რომ მთელ ქალაქში მოსდეს ამბავი: „ფედერალისტების დასი ჩამოვიდა – და მათ შორის ანარქისტებიც ურევიაო; სოც. დემ. ხომ სიტყვა „ფედერალისტი“ და „ანარქ-

ისტი“ თუ გაიგონეს, ორი დღე არაფერსა სჭამენ და სამი ღამე მათ თვალებს ძილი არ ეკარება. გასწიეს აქა-იქ აგიტაცია და ისე ხელოვნურადაც, რომ მათთვის ხომ ქუდი თეატრში შეგეგდო გამოსატანად აღარ შემოდიოდნენ. ამ სახელით მონათლულმა არტისტმა ორივე წარმოდგენა ფარულ თეატრში ითამაშეს. საბრალო „მოწინავე და შეგნებული პარტია“! არ იციან, რომ ხელოვნება ყველა პარტიებზე მაღლა სდგას, სრულიად დამოუკიდებელი და არც შეიძლება რომელიმე პარტიას ეკუთვნოდეს.

ამ მხრივ არც ფედერალსტები ჩამორჩნენ სოც-დემოკრატებს. იმათაც საკმაო გულგრილობა გამოიჩინეს ხელოვნებისადმი.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო ჩვენს „ახალ დროში“... სოციალ-დემოკრატები თუ პრინციპის გულისთვის არ მოდიოდნენ თეატრში, ფედერალისტები კი იმიტომ, რომ მეტის მეტად „პატრიოტები“ არიან... ყველაფერი თავიანთი უყვართ და პატივსა სცემენ“... „სცდილობენ სამშობლოს აღორძინებას, აყვავებას“ – მაშ, ტყვილად კი არ აკერიათ ენაზე „სამშობლო“... ტყვილად კი არ უწოდებენ თავიანთ თავს „ფედერალისტებს“... მაგრამ ყველა ამას გაიძახიან მხოლოდ სიტყვით და როდესაც საქმე საქმეზე მიდგება – ზოგი ავად არის, ზოგს არა სცალია და სხვ.

ძალიან ბევრნი არიან აქ მგლოვიარენი, რის გამოც თეატრში ვეღარ მოდის თითქმის მთელი ქალაქი.

მაგალითად, რამდენიმე პირს ჩემი თვალის წინ ქალებმა მიაწოდეს თეატრის ბილეთი უსასყიდლად და ყველამ გლოვიარობა მოიმიზეზა. ალბათ გორემიკინის „ოტსტავკას“ თუ ჰგლოვობენ. ასე გამოვიჩინეთ სოხუმელებმა სტუმართ-მოყვარეობა და ხელოვნებისადმი პატივისცემა. ოთხივე წარმოდგენაზე თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

არ შემიძლია არ ავღნიშნო სულის სიძლიერე და ენერგია.

მიუხედავად იმისა, რომ თვალით ხედავდნენ საზოგადოების გულცივობას, გრძნობდნენ, რომ სხვადასხვა ინტრიგებისა და ინსინუციების გამო ვერ ვკმაყოფილებდით ვერც ზნეობრივად და ვერც ნივთიერად, – ისინი მაინც სულითა და გულით ასრულებდნენ თავიანთ როლებს და დამსწრე საზოგადოებას სავსებით აკმაყოფილებდნენ. გმატოს ღმერთმა ენერგია და სულის ძალა; ნუ შეუშინდებით ამგვარს დაბრკოლებას და ჩვეულებრივი ენერგიით განაგრძეთ თქვენი წმინდა და ნაყოფიერი შრომა. მართალია, ეხლა რომელიმე ღიპიანი ბურჟუა საკრებულოში „ფრასსში“ ას თუმანს უფრო სიამოვნებით წააგებს, ვიდრე თეატრში თავისი წვლილი შეიტანოს და თქვენი შრომა დააფასოს, მაგრამ ერთ წუთით ნუ გაიტარებთ გულში რომ თქვენმა შრომამ უნაყოფოდ ჩაიაროს... გასწით წინ, იმუშავეთ, მომავალი მაინც თქვენია. ნურც ზოგიერთ შეუგნებელ სოც-დემოკრატების ინტერესები შეგაშინებთ... ისინი გაუხედნელ პირუტყვს წააგვანან და როდესაც დაშინაურდებიან, თავიანთ წარსული მოქმედებისა თვითონვე შერცხვებათ.

დიდი მადლობის ღირსია კნ. მ. ანჩაბაძისა, რომელმაც დასს ჩამოსვლისთანავე ბოლომდე დიდი დახმარება გაუწია.

არავინ

გაზ. „მუშა“, 1906 წ. 29 ივლისი, შაბათი, №43, გვ. 3.

გაზ: „ტალღა“

სოხუმი

ძნელათ ნახავთ ისეთ ქალაქს, როგორიც სოხუმის; პირველსავე გაცნობით დარწმუნდებით, რომ ეს უფრო სოფელია, ვიდრე ქალაქი: ისეთივე გონებრივი სიღატაკე; ისეთივე ჩამორჩენილი ყველაფერში, ყველა თავის სოროებში ჩამძვრალა და იქიდან უყურებს ქვეყანას; საერთო მას სხვებთან არაფერი აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს. ქვეყანაც რომ დაინგრეს მის გარშემო, სოხუმისათვის ეს არაფერია, ის მაინც გაუნძრეველი დარჩება! ცხოვრება აქ თითქოს შეჩერებულია, წინსვლა სრულიად არ ეტყობა. აქ თითქმის ნასახიც არ მოიპოვება საზოგადოებრივი ცხოვრების: კლუბი და ჭორიკანაობა – აი რაში იხარჯება აქაურების დრო. „ფორმისათვის“ გაზეთებსაც კითხულობენ, მაგრამ ეს მათ გონებას არ ეკარება: მათ სული და გული სხვა რამეს შეუბოჭავს, მათი ოცნება სხვა ქვეყანაში ტრიალებს: ფული და მოსვენება „ჭამობია და ძილობია“ – აი აქაურების იდეალი. ეს მოწამლული ჰაერი ყველაფერს ახრჩობს, რასაც კი სიცოცხლის ნიშანი აზის. ერთი სიტყვით, სოხუმს ძინავს, როდესაც გარშემო ყველაფერი ფხიზლობს და რაღაცისთვის ემზადება...

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ აქაური თვითმართველობაც მიმიწებულია და გაღვიძებას მაინც და მაინც არ ჩქარობს... ან და ვინ უნდა ჩაუდგას მას სული? ქალაქის თავი – ცნობილი ნიკო თავდგირიძე – პეტერბურგში დასეირნობს და იქიდან სოხუმელებს გაკეთებას პირდება. აქაურებსაც სჯერათ ნიკოს ფიცი და გონიათ ნიკო პეტერბურგიდან ფულით დატვირთული ჩამოვაო და „ფოსტას“ და რკინის გზას გაგვიკეთებსო. ნიკოც ხედავს, რომ სოხუმელებს საქმე არ უყვართ და დაპირებით კმაყოფილდებიან, ხედავს ამას და ათასგვარი პროექტებით და დაპირებით თავის დუდუკზე ათამაშებს.

შარშანაც გეახლათ ნიკო პეტერბურგში და 53000 მანეთის სესხი მოუპოვა სოხუმს (რა საკვირველია, დაპირებით!), თუმცა 53000 კი არა, 53 კაპიკიც არ უნახავს სოხუმელებს. ბიუროკრატიამ ერთხელ მოატყუა ნიკო, მაგრამ ეს „პროექტების შემომქმედი“ წელსაც ბიუროკრატიას ემუდარება პეტერბურგში. „ყვავს არ ქონდა ბუს გაქონდაო“ ესაა, თუ გინდათ. გაკოტრებული ბიუროკრატია ფულისთვის იკლავს თავს და ნიკო კი შემწეობას სთხოვს!? ნიკოს სასწაულმოქმედება კიდევ სჯერათ აქ ბევრს. ეს კი, რომ ნიკო როგორც წავიდა, ალბათ ისე ხელცარიელი ჩამოვა და სოხუმში ძველებურად ქეიფზე დასძახებს: „ის არი, ის არი, ის არი, ჩემი სამშობლო ის არი!“

არჩევნები სოხუმს არ აინტერესებს ქალაქის გამგეობამ მხოლოდ ერთად-ერთი განცხადება გამოსცა, სადაც მემამულეებს საარჩევნო ყუთისკენ იწვევდა და ამით გაათავა თავისი მოღვაწეობა. ცალკე ბინა აქვთ, ცალკე სახლათ გადაიქცა, „სარაია“ (შეშის საწყობი) მოემატა, – ასე რომ თუ ვინმე ბინის დამქირავებელს უნდა ხმის შოვნა მას უნდა ჰქონდეს სახლი, ყველაფერი მოწყობილობით და ოთახს უნდა აქირავებდეს, ეს აღმოაჩინა გამგეობის წევრმა, დანამდვილებით არ ვიცი, რომელია. ჩვენ სენატის განმარტებები გვიკვირდა და ნუ იტყვით, აქაურმა ბიუროკრატიის მაჩანჩალამ არც ეს იკმარა და თავისი უაზრო განმარტებით თითქმის მთელი ბინების დამქირავებელთ ხმა წაართვა. პოლიციაც, რასაკვირველია, გამხნევებული ამნაირი „განმარტებით“, ვინც მას მოეწონება იმას აძლევს ხმას, აქ კანონი არაფერ შუაშია. აქაური პრისტავის, სკორიკოვის, აზრით არ კმარა მარტო ცალკე „სახლი“ და კუხნა

როგორც ეს გამგეობის წევრმა განმარტა, ბინის დამქირავებელს ცოლი უნდა ჰყავდეს. ასე, ამნაირად, მან ზოგს დაუხია მოწმობა, ბინის პატრონებისაგან აღებული, ზოგს პირდაპირ უარი თხრა. ზოგის მცირეწლოვნობა მოიმიზეზა, თუმცა 27 წლის ქე იყო; ზოგს ცოლის შერთვა მოსთხოვა და სხვა. და ასე გაისტუმრა; ამათ გარდა ვინც დარჩა, მან უთხრა, ჩემი საქმე არ არის ბინის შემოწმებაო, ეს პოლიტმეისტერი კი ავათ იყო და მასთან წასვლას სკორიკოვი ყველას უშლიდა. ერთი სიტყვით აუტანელ წვალებაში ჩავარდა საწყალი ბინის დამქირავებელი: მას ყველასთან დაურჩა საქმე: პოლიცია „უპრავაში“ აგზავნიდა, „უპრავა“ კი პოლიციაში; აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მას არავინ ყურადღება არ მიაქცია! მას დაპირდა პოლიცია, დაპირდა უპრავა და ამ დაპირისპირებებში დროც გავიდა!...

ასე მუშაობს საზოგადოების საკეთილდღეოდ „გამგეობის წევრი“ და პრ. სკორიკოვი!

საზოგადოებას მათი მოქმედება სულ არ აწუხებს; თვითონ იყოს კარგად და სხვა რა საფიქრალი აქვს!!

ალბათ ძილში არიან!

ლ-ი

გაზ. „ტალღა“, 1906 წ. 17 (29) ნოემბერი, პარასკევი, №26, გვ. 3.

გაზეთი „შრომა“

სოხუმში ერთ სომეხს აფხაზი მოუკლავს. ამას როგორც „ჰარაჯს“ ატყობინებენ, უთანხმოება ჩამოუგდია აფხაზებსა და სომხებს შორის. აფხაზებს გამოუცხადებიათ, თუ მკვლელს არ დაგვისახელებთ აგიკლებთო.

გაზ. „შრომა“, 1906 წ. კვირა. 9 (22), აპრილი, №5, გვ. 3.

გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“

სოხუმიდან გვწერენ, რომ იქ 25 ამ თვეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილა, რომელსაც სეტყვა მოყოლია, მოსავალი სულ გაუნადგურებია, ადგილობრივი გლეხობა უკიდურეს მდგომარეობაშია თურმე, ყველაზე მეტად დაზარალებულა სოფელი ნიკოლაევსკი.

სოხუმის ხარაზი და თერძი მუშები

პატარა წვრილ ბურჟუაზიული სოხუმიც სულს ღაფავს საერთო კრიზისის ბრჭყალებში. წვრილ მოვაჭრეებს, წვრილ მოხელეებს თვალწინ დაუდგა პროლეტარების საშინელი აჩრდილი და ისინი შრომას უმსგავსო ექსპლუატაციით ცდილობენ არსებობის შერჩენას. 12-13 საათი სამუშაო დღე, მცირე ჯამაგირი, უსუფთაო ბინა, უმსგავსო მოპყრობა – აი რით აჯადოებენ ისინი თავიანთ მუშებს. რა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში მუშების ჯანმრთელობა ნელ-ნელა იშხამება და ისინი გონებრივად დაქვეითდნენ, რაც ცოტა დრო რჩებოდათ, მუშები თვით განვითარებას ანდომებდნენ

და ჩუმჩუმად ს. დ-ების წრეებში დადიოდნენ, თუმცა ხაზეინებთაგანი ბევრნი უშლიდა მათ „ბუნტოვშიკებთან“ სიარულს. დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ, ეს თითქმის გადაგვარების გზაზე მყოფი მუშები შეერთდა და ერთად, ქარგლებმა და შეგირდებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს ხაზეინებს. სამუშაო დღის შემოკლება თითქმის 8 საათამდის, ადამიანური მოპყრობა, მუშების მიღება და გაშვება ორივე მხარის შეთანხმებით, ექიმობა ხაზეინის ხარჯზე ერთ თვეს ადგილის შენახვით, ბინის ფულად ორი მანეთი თვეში, დილა საღამოს ჩაი, ორი წლის შეგირდობა და სხვა.

ერთი კვირაა თითქმის, რაც მუშები გაფიცულია, რადგანაც ხაზეინები თავიდანვე უარს დაადგენ. გაფიცვა შესამჩნევად მიდის. გაფიცვის მესამე დღეს ხაზეინებს ჰქონდათ მოლაპარაკება, მაგრამ მეტისმეტი სიბრაზით ხეირიანად მოლაპარაკება ვერც კი მორთეს. არსებითად მუშებისთვის არაფერი დაუთმიათ, მხოლოდ სამუშაო დღეს მოაკლეს ერთი საათი. ეს პატარა დათმობა უფრო იმან განაპირობა, რომ ზოგიერთი ხაზეინებთაგანი კარგად უყურებდნენ მოძრაობას: ესენი, რაც შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, დაუთმობდნენ მუშებს, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ცოტაა. დანარჩენი უმეტესობა ცდილობს შიმშილით დაიმორჩილოს მუშები: პატარა რვა-ცხრა წლის შეგირდებს ბევრი მათგანი სადილის ფულზედაც უარს ეუბნება. მშივრებს მუშებმა დახმარება აღმოუჩინეს. დღეს კი გადაუწყვეტიათ მთლად ბინიდან გაყარონ უსუსური ბავშვები... ალბათ ეცდებიან თავისი გადაწყვეტილება შეარბილონ და ბავშვები უსახლ-კაროთ მშიერნი ქუჩაში გაყარონ!!

მოსალოდნელია გაფიცვის კარგა ხანს გაგრძელება, რადგანაც ხაზეინები ჯერ-ჯერობით მეტის-მეტად ჯიუტობენ, მუშებიც მტკიცედ ადგანან თავისას და ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

ლ-ი

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ. კვირა 27 (9), №7-1096.

დ. გუდაუთი (აფხაზეთი)

...დღეს გუდაუთი ერთ მიყრუებულ სოფელს წარმოადგენს, არავითარი მოძრაობა არაა. ვინც იყვნენ მოთავენი და „განთიადის“ მოხარულნი, აქაური ჯაშუშების წყალობით გაძევებულ იქნენ პოლიციისაგან, მოედანი დროებით ბნელ საათებს შერჩა. როგორც უნდათ ისე დათარეშობენ ეს ვაჟბატონები. გამოჩდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც „ერთობის“ დროს მხარში გვიდგენ და როცა რეაქცია გაძლიერდა მაშინვე გაგვახულიგანდნენ. ზოგი შავრაზმელთა და ზოგიც ჯაშუში და ზოგი რა. ამის დამნახველი ხალხი ამბობს: „კარგია პირველად რომ დავმარცხდით, ჩვენ, ყველა, ვინც მხარში გვედგა, ჩვენი ამხანაგი გვეგონა, მაგრამ მოვსტყუვდით. ეხლანდელი დრო სარკეა მომავლისათვის, რომელმაც გვიჩვენა შავი და თეთრი პირიო. მომავალში ხალხი შესაფერად დააჯილდოებს მათ.

ყალყუმი

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ. 1 (14) სექტემბერი, პარასკევი, №10.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

დაპატიმრება

სოხუმში, როგორც გვატყობინებენ დაუპატიმრებიათ თავ. გიორგი ზაალის ძე მაჩაბელი, რომლის სახლიც ცხინვალის მახლობლად ამას წინად გადაწვა ჯარმა.

გაზ. „ცნობის ფურცელი “, 1906 წ. 19 თებერვალი, კვირა, №3007, გვ. 3.

გაზეთი „წინ“

სოხუმიდან გვწერენ: იქ ორს დეკემბერს სოხუმის მახლობელ სოფელში გაუ-ძარცვავთ ანტონ ქანთარია, რაც რამ ებადა წაურთმევიათ და მსუბუქად დაჭრილი შარა-გზაზე დაუგდიათ.

გაზ. „წინ“, 1906 წ. 10 (23) დეკემბერი, კვირა, №2, გვ. 2.



კომანის ეკლესია, XI ს.

1907

გაზეთი „ისარი“

(დეპეშა)

სოხუმში ამომრჩევლის არჩევნები გათავდა. 257 ხმით არჩეულ იქნა ნიკ. თავდგირიძე. ს-ფედერალისტების კანდიდატმა გაბუნიამ მიიღო 125 ხმა, ს- დემოკრატების, მხეიძემ-87.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 30 I, სამშაბათი, №21, გვ. 1.

სოხუმში ქალაქის აფთიაქმა მოქმედება დაიწყო. აფთიაქის მოწყობა ქალაქს დაუჯდა 19000 მან-ზე ცოტა ნაკლები, თუმცა ამ საგანზე ქალაქის საბჭომ გადასდო 12000 მან. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქალაქის მკვიდრთა და ხმოსანთა შორის, ხოლო ახლანდელ გამგეობის წინააღმდეგებმა ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და აგიტაცია გამართეს გამგეობისა და განსაკუთრებით ქალაქის თავის წინააღმდეგ. გამგეობას ასეთ საქციელს, რასაკვირველია არავინ მოუწონებს, მაგრამ ამ საქმეში ერთი რამ არის აღსანიშნავი – აფთიაქი ისე მოეწყოთ, რომ ქალაქის თავი პეტერბურგში იყო ქალაქის საქმეების გამო და მას ზედ-მეტ ხარჯის გაწევაში იმდენივე ბრალი უდევს, რამდენიც ამ წერილის დამწერს. მაგრამ სოხუმის ოპოზიცია რის ოპოზიციაა, თუ მტყუანი და მართალი ერთად არ აურია. მოწყობილი აფთიაქი ქალაქმა გასცა 5 წლით იჯარით შემდეგი პირობით: მოიჯარადენი ვალდებულნი არიან: წლიურად 4000 მან მისცენ ქალაქს, ქალაქის საავადმყოფოს – წამლები და სადოსტაქრო მასალა ნასყიდობის ფასით უნდა მისცენ; ღარიბ მოქალაქეთ 1500 მან. წამლად უნდა მისცენ ნასყიდობის ფასების კვალობაზე და გარდა ამისა წამლები უნდა გაჰყიდონ 10% ნაკლებ ნიხრის კვალობაზე. აფთიაქი იჯარით აქვს აღებული ხუთ ფარმაცევტს საამხანაგოდ.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 4 აპრილი, ოთხშაბათი, №74, გვ. 3.

თედო სახოკია ციხეში სიბინძურის გამო დაავადდა ტუბერკულოზით.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 19 მაისი, შაბათი, № 107.

სოხუმი

(იხ. წერილის დასაწყისში: ახალი სატუსაღოს აშენების მოთხოვნა ... – რედ.).

...სოხუმის ქ-ის თავი ნ. თავდგირიძე პეტერბურგში წავიდა საბჭოს მინდობილობით. ქ-ის თავს დავალებული აქვს დააჩქაროს იმ 25000 მან-ის მიღება, რომელიც გადადებულია ქ-ის გაუმჯობეს წებისათვის ნავთ-სადგურთა კომიტეტის მიერ. გარდა ამისა თავდგირიძემ უნდა იშუამდგომლოს, რომ სასწავლებლების შესანახ ფულის ვალი, 15000 მან, რომელიც ამ ჟამად ქალაქის ვალად აწევს, მთავრობამ აპატიოს ქალაქს, რადგან ქალაქმა რეალურ სასწავლებლის შენობის შესაძენად დიდ-ძალი ხარჯი გასწია... (იხ. პოლიციის ხარჯები. – რედ.).

გაზ. „ისარი“, № 1907 წ. 22 მაისი, სამშაბათი, №109, გვ. 3.

სოხუმი

ქალაქის საქმეთა გამო პეტერბურგში მყოფი სოხუმის ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე დეპეშით იტყობინება, რომ სამინისტროს 10000 მან გადაუდვია სოხუმის საჭიროებისათვის...

ამ დღეებში ჩამოველით ელექტრო-ტეხნიკოსს ალ. ჯავახიშვილს, რომელიც უნდა შეუდგეს ქალაქში ელექტრონის სინათლის გაყვანის საქმეს.

წლეულ აქაურ საქალებო ხუთ კლასიან პროგიმნაზიის კურსი დაამთავრა 12 ქალმა მათში 6 ქართველია, 2 აფხაზი, 2 ბერძენი და 2 რუსი. აი ქართველთა გვარები: კინწურაშვილისა მარ; კუხალეიშვილისა მარ; მიმინოშვილისა ბარბ; ცომაიასი ვერა; ჭავჭავაძისა ალექს. და ჭითავასი ოლგა. პირველ მოწაფეთ და პირველის ხარისხის ჯილდოთი პროგიმნაზია გაათავა ვერა ცომაიას ქალმა. ხმა ისმის, მომავალ სამოსწავლო წლიდან მეექვსე კლასიც გაიხსნებაო. თუ ხმა გამართლდა სოხუმელ ხელმოკლე მშობლებთ დიდი შეღავათი მიეცემათ.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 17 ივნისი, კვირა, №130, გვ. 3.

მწერლობა აფხაზეთისათვის

სოხუმის საეპარქიო სამრევლო-საეკლესიო კონფერენცია სამოსწავლო საბჭოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ რომელსაც დავალებული აქვს აფხაზთა მწერლობის შემუშავება, შუამდგომლობა აღძრა მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საბჭოს წინაშე, რომ მოწვეულ იქმნენ გამოცდილი სოფლის მასწავლებელნი, რომელიც უნდა შეუდგნენ აბხაზურს ენაზე საღმთო საეკლესიო წიგნების გადათარგმნას. ამისათვის კომისია თხოულობს 3000 მან. იოანე ოქროპირის წირვის წესი უკვე გადაუთარგმნია კომისიას და ნამესტნიკის სტამბაში გამოუგზავნია დასაბეჭდად.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 22 ივნისი, პარასკევი, №134, გვ. 2.

ხმოსნეთის არჩევნეთის შედეგები

„არჩეული ხმოსნები ეროვნებით ასე განაწილდებიან: 25 ქართველი, 7 რუსი, 6 ბერძენი. 1 ფრანგი და 1 ყარაიმი. ორმოც ხმოსნის გარდა არჩეულია 8 მათი კანდიდატი“...

(წერილში იხ. ასევე პოლიტ. დამნაშავე ემუხვარის შესახებ. საპატიმროს თემა. – რედ.).

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 28 ივნისი, ხუთშაბათი, №139, გვ. 3.

სოხუმის ოლქშიაც, როგორც სხვაგან, წელს სიცხეებისა გამო, თესვა დაუწყიათ ივნისში. წელს მოუსავლიანობას მოელიან.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 18 ივლისი, ოთხშაბათი, №155, გვ. 2.

სწავლა-განათლების საქმე აფხაზეთში

როგორც მოგეხსენებათ, სკოლათა რიცხვის სიმცირის მიზეზით ყველგან რუსეთში და ყოველ წელს, უსახსრობის გარდა, „უადგილობისა გამოც“ მრავალი ახალგაზრდა რჩება სკოლის გარეთ. თუმცა აფხაზეთში სკოლათა რიცხვი საზოგადოდ და ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვთან შედარებით, ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე სხვაგან ჩვენში, მაგრამ ზემოაღნიშნულ სამწუხარო მოვლენას (უადგილობას) თქვენ აქ ვერა ნახავთ: აქ, საუბედუროდ უფრო სამწუხარო ამბავს ვხედავთ: აფხ-ში თითქმის თვით სკოლა გამხდარა: „უადგილო“, იქ მიმავალი ბილიკი მწვანით არის შემოსილი, გარეთ და შიგნით სამარისებული სიჩუმეა. ერთი ჯვარიც სახურავზე და ეკლესია გეგონებათ! შებრძანდით შიგნით: დაინახავთ 5-10 ბავშვს საკმაოდ ვრცელი ოთახის კუთხეში. რით აიხსნება ეს მოვლენა? აფხაზებმა შეიგნეს თანამედროვე სკოლის უვარგისობა და დაჰგმეს იგი. თუ დღემდის ვერ შეუგნიათ სწავლის აუცილებელი საჭიროება? სამწუხაროდ, მიზეზი უკანასკნელია და არა პირველი. აფხაზეთში ყველა სკოლას ხაზინა ინახავს, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევათ აგრეთვე მოწაფეებს წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები და ამ მხრივ სკოლა უფრო სასურველ ნიადაგზეა დაყენებული, ვიდრე სხვაგან ჩვენში. აქ როგორც ვხედავთ, მშობლებს ეძლევათ საშუალება მიუხედავად ქონებრივი მდგომარეობისა, მისცენ თავიანთ შვილებს პირველი დაწყებითი სწავლა, ერთკლასიან სკოლაში მაინც, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, სოფლის სასწავლებელში, რომელიც დანიშნულია 50-60 მოწაფისათვის, 5-10 ბავშვი ძლივს არის და ისიც, როგორც გადმომცეს, სოფ. მასწავლებლის დიდი შრომისა და მეცადინეობის შემდეგ. ასეთი მოვლენა უნდა აიხსნას მხოლოდ აფხაზთაგან სწავლის საჭიროების შეუგნებლობით.

მართლაც, საშინელ უმეცრების ბურუსშია გახვეული აფხაზთა მასა. წერა- კითხვის მცოდნე პირი სოფლად ძლიერ იშვიათია. როცა სოფლის გლეხს მოსდის სასამართლოდან ან რომელიმე სხვა დაწესებულებიდან რაიმე საქმის გამო მოსაწვევი უწყება ან ქაღალდი, მიაქვს წასაკითხად ხშირად 4-5 ვერს მანძილზე სოფლის მასწავლებელთან ან მღვდელთან; მაგრამ აქაც იგი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, რადგან ხშირად არაფერი გაეგება თვისა და რიცხვის ანგარიშში, აფხაზურ ენაზეც, თუ მკითხველმა თითებზე არ ჩამოუანგარიშა. ხშირად სოფლის საზ-ბაში ყრილობა ადგენს განაჩენს და 300-400 წერის უცოდინარის მაგიერ ერთი ვინმე (ხშირად იგიც სოფლის მწერალი) აწერს ხელს. ასეთის უმეცრებით ვინ არ სარგებლობს და არა ჰყვლეფს სოფლის გლეხობას: მამასახლისი, მწერალი, ურადნიკი, სტრაჟნიკი, ჩარჩ-ვაჭარი და სხვა. პირველნი სარგებლობენ უმეცრებითა, გდასახადებს აწერენ და ახდევინებენ, როგორც მათი ნებაა. ვთქვათ ემართა ოჯახს 10 მან. ნედოიმკა მამასახლისმა გადაახდევინა 3 მ. ურიადნიკმა 2. სხვამ კიდე 5 მ. და მაინც წლის ბოლოს გადამხდელზე კიდე რჩება ნედოიმკა – 10 მან! სოფლის ჩარჩ-ვაჭრები – კი ჩალის ფასად, ისიც დამპალ საქონელზე, ყიდულობენ ხალხის ნაწარმოებს, უმთავრესად სიმინდს და ღვინოს, რაიც აქ ბლომად მოდის, მიუხედავად ხალხის სიზარმაცისა და მეურნეობის სრულად უცოდინარობისა.

(იხ. ასევე ინფორმაცია – ბუნების სიმდიდრე აფხ-ში... – რედ.).

...სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი იზმაილოვი მასწავლებლად ყოფილ

სტრაჟნიკებს და გუდაუთის 2 კლასიან სამრევლო სკოლაში კურსდამთავრებულ ბალღებსა ნიშნავს, ვითომდა იმ „მოსაზრებით“, რომ აფხაზურის სწავლა შეუძლიათო. რა მეცნიერება უნდა ასწავლონ აფხ. ენაზე ბავშვებს ასეთმა „მასწავლებლებმა“, არ ვიცი?! რუსული წერა-კითხვა კი თვითონაც არ იციან, როცა ხსენებულ ინსპექტორს სწერენ რასმეს „რაპორტით“, იგი იბრუნებს ნაწერს თითქმის ყოველ სიტყვაზე წითელ კარანდაშით ხას-გასმულის (შეცდომებითაა სავსე), ზედ წარწერით: „нужно писать грамотно“-ო, ცხადია რომ „нужно “, მაგრამ რომ არ იცის რა უნდა ასწავლოს ასეთმა მასწავლებელმა სხვას? მაგრამ ბ-ნ იზმაილოვის „მოსაზრება“ სულ სხვაა. მას უნდა მასწავლებელი იყოს ყრუ და მისი ყურმოჭრილი მონა, არ იყოს მხოლოდ „სოციალისტი“ და თუ ბავშვებს ვერაფერს ასწავლის-რა უყოთ.

...აღსანიშნავია ისიც რომ აფხ-ში 2 კლასიანი სკოლა ძლიერ იშვიათია (ერთკლასიანი მიღებული მცირე სწავლა ვერაფერში გამოიყენება). მთელს ბახიფუს აფხ-ში (გუდაუთის ნაწილი) მხოლოდ ერთია ორკლასიანი სკოლა სამინისტრო უწყებისა. არის აგრეთვე დ. გუდაუთში ორკლასიანი სამრევლო, მაგრამ მისი კარები დახშულია მაჰმადიანებისთვის, უმეტესი ნაწილი კი აფხაზებისა მაჰმადიანები არიან.

კაი

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 24 ივლისი, სამშაბათი, №160, გვ. 2.

სოხუმის ეპარქიიდან ეპისკოპოსისი კირიონის გადაყვანის შემდეგ, ითხოვენ იმათაც ვინც კირიონის გამწესებელი იყო. უკვე აღვნიშნეთ რომ საეგზარქოსო სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ სამსახურიდან დაითხოვა სოხუმის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ტ. ჯოხთაბერიძე. საბჭოს ასეთი ბრალდებები წამოუყენებია ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ: თავი ამაყად ეჭირა და მონურად ქედს არ იხრიდა საეპარქიო მეთვალყურის ავტორიტეტის წინაშე; არ აცნობებდა ხოლმე თავის პირდაპირ უფროსს, თუ რა დროს მოდიოდა სარევიზიოდ და სკოლების დასათვალიერებლად და სხვა ამგვარი.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 27 ივლისი, პარასკევი, №163, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის თავს შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, დახმარება გასწიოს, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქნას გაყვანილი რკინის გზა სოხუმიდან კავკავ-როსტოვის გზამდე. ეს შუამდგომობა პეტერბურგს ბარონ ნოლდესთვის გაუგზავნიათ და თანაც უთხოვნიათ, შუამდგომლობას მხარი დაუჭირონ ფინანსთა სამინისტროში.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 4 აგვისტო, შაბათი, №170, გვ. 2.

თეატრი, სოხუმი

6 აგვისტოს მოჰკლეს აქაური ბოქაული ალ. სკორიკოვი და ქალაქის თავის მოადგილე კონ. იპ. კორჩისი. იმ საღამოს ორივენი ცირკში იყვნენ, ცირკში წარმოდგენის დამთავრების შემდეგ რესტორან „ბირჟაში“ წავიდნენო.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 22 აგვისტო, ოთხშაბათი-შაბათი, №183, გვ. 3.

ტფილისში ჩამოვიდა ოჩამჩირელების დეპუტაცია, რომელსაც შუამდგომლობა აღუძრვს ოჩამჩირეში საშუალო სასწავლების დარსების შესახებ.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 23 აგვისტო, ხუთშაბათი, №184, გვ. 2.

სოხუმი

სამგლოვიარო დეპეშები (ილიას მკვლელობის გამო). თავზარი დაგვცა სოხუმელ ქართველებს ჩვენის ლიტერატურის დედაბოძის მიმქრალ ეროვნულ ცხოვრების უკანასკნელ მოღიკანის ტრაგიკულმა სიკვდილმა. სიტყვა ვერ გვიპოვნია გამოვთქვათ ჩვენი მწუხარება დ გულის წუხილი უაზრო, მკაცრ გარემოებათა გამო რომელიც სამშობლოს საუკეთესო შვილთაც კი არ ინდობს. გთხოვთ ვერცხლის გვირგვინით შეამკონ განსვენებულის კუბო.

ქალაქის თავი თავდგირიძე

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 4 სექტემბერი, სამშაბათი, №193, გვ. 2.

რელიგია, განათლება, თეატრი

ოჩამჩირე

პანაშვიდი გადავიხადეთ დაუვიწყარი მგოსნის სულის მოსახსენებლად. ვუერთდებით საერთო გლოვას, ხოლო საზიზღარ მკვლელებს ვუცხადებთ ჩვენს გულისწყრომას და წყევლა-კრულვას. დაე იცოდნენ, რომ განსვენებულის სურათი და ხსოვნა ჩანერგილი იქნება ხალხის გულში იმ დრომდის, სანამ მთელ ქვეყნიერებაზე ერთ ადამიანს მაინც ეცოდინება ქართული ენა.

ოჩამჩირის საზოგადოება

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 5 სექტემბერი, ოთხშაბათი, №194.

სოხუმი

სოხუმის ოლქის თავად-აზნაურობა გულწრფელად აღშფოთებულია კავკასიის საუკეთესო მამულიშვილის თავად ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის საშინელ და მხეცური სიკვდილის გამო. განსვენებულმა თავის ლიტერატურულ მოღვაწეობით სიყვარულის თემაზე აღზარდა რამდენიმე ქართველი თაობა. მისი სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან კავკასიის ერთა შორის განავითარა ეროვნული თვითშეგნება და ერთობის გრძნობა. ამიტომ განსვენებულის ხსოვნა ძვირფასია არა მარტო ქართველისათვის, არამედ ყველა კავკასიელისათვის განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. დაე, ძვირფასი ხსოვნა საერო მგოსნისა და დაბეჩავებულ პიროვნების განთავისუფლების მქადაგებლისა იყოს ნუგეში და ხელმძღვანელი მისთვის, ვისაც შეუძლიან მგოსნისა და ნიჭის პატივისცემა.

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 6 სექტემბერი, ხუთშაბათი, №195, გვ. 2.

აფხაზეთის უძველეს მოქვის ტაძარში ხალხის დასწრებით ნესტორ ჟორდანიამ

და დიმიტრი კაკალიამ პანაშვიდი გადაიხადეს ტრაგიკულად მოკლულ ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.

ქათამაძე

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 7 სექტემბერი, პარასკევი, №196, გვ. 2.

სოხუმის ქართველებისაგან: „ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგი ყოვლის ქართველის გულში“. (ეძღვნება ილია ჭავჭავაძეს – რედ.).

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 12 სექტემბერი, ოთხშაბათი, №199, გვ. 3.

გაგრა

წელს სააგარაკოდ მრავალი ხალხი მოაწყდა გაგრას...

...აქ ამ ზაფხულში იჩინა თავი სახადმა და მრავალი ბავშვი იმსხვერპლა. ახლაც დღე არ გადის ისე, რომ ერთი და ორი არ იმსხვერპლოს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მიცვალებულის პატრონს ორი მტკაველი მიწა ვერ უშოვნია მკვდრის დასამარხად და იძულებული ხდება მკვდარი ს. კალდახვარსა, ან ვესელოვსკაიაში წაიღოს დასასაფლავებლად. ერთიც და მეორეც კი 20-25 ვერსის სიშორეზეა გაგრიდან! თუმცა წინათ გაგრელებსაც ჰქონებიათ ორი სასაფლაო – ერთი ახალსა და მეორე ძველს გაგრაში, მაგრამ ახლა არც ერთი აქვთ და არც მეორე. ძველს გაგრაში სასაფლაოზე გაშენებულია ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ სასეირნო ბაღი და, რასაკვირველია, იქ დასაფლავება აკრძალულია. მეორე კი, რომელიც შერვაშიძის მამულში იყო, ორი წელიწადია რაც მამულიანად შეისყიდა პრინცმა ოლდენბურსვიმ, შეჰკრა და დაარქვა „отрадное“.

ახლა რა ჰქნას საწყალმა მკვდრის პატრონმა? აქაურ მკვიდრთა უმეტესი ნაწილი, მეგრელები, თათრები, რუსები, სპარსელები, მოიჯარადენი არიან სხვის მამულებში და საკუთარი მიწა არ მოეპოვებათ, ირგვლივ კი სახაზინო და მემამულეების ადგილებია. სასაფლაო არ არის, სიკვდილი კი – ყოველდღე!... მიმართვა ადმინისტრაციას.

კაი

გაზ. „ისარი“, 1907 წ. 10 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №221, გვ. 3.

აბხაზეთის პროტესტი

გუდაუთიდან „ზაკ“-ს შემდეგს ატყობინებენ: „13 ნოემბერს სოფ. მუღუძირღვაში ერთმა გავლენიანმა აფხაზმა აღაპი გამართა. მღვდელმა აჯიბამ ლოცვა აფხაზურად დაიწყო. აფხაზებმა შეაჩერეს მღვდელი და სახლის პატრონს მოსთხოვეს, დაიბაროს მახლობელ სოფლიდან მღ. გუბელაძე და ლოცვა ქართულად გადაახდევინოს“.

გაზ. „ისარი“,1907 წ. 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, №262, გვ. 3.

გაზეთი „ჩვენი სიტყვა“

სოხუმის ოლქის უფროსი შეეკითხა კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმსრულებელს, აცნობს თუ რომელ საარჩევნო კრუგში უნდა ჩაირიცხონ ქართველთა

სამრევლოებში მოსამსახურენი რუსი სასულიერო პირნიო.

გაზ. „ჩვენი სიტყვა“, 1907 წ. 5 აგვისტო, კვირა, №16, გვ. 2.

გაზეთი „წინ“

სოფ: აბჟუი (აფხაზეთი)

არავისი შესაშური არ არის ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, არავითარი შეგნება ჩვენში არ არსებობს, ვცხოვრობთ აქ, მივარდნილ ტყეში, როგორც ველურები. გურულებს არც ერთი კუთხე არ დაუტოვებიათ ერთობის სხივი, რომ არ შეეტანათ და ჩვენმა სოფელმა არ ვიცით რა დააშავა. მართლა შარშანწინ ჩვენც გვეწვიენ და კინაღამ სცემეს, მაგრამ ხომ იციან ვინ იყვნენ ის გულზვიადი მასპინძლები. გასული წლის გიორგობის თვეში მოგვხედა ღმერთმა და მოგვივლინა ერთი ღვთისნიერი ადამიანი გულა ლორთქიფანიძე, რომელიც ასწავლიდა ჩვენს შვილებს და ზოგჯერ ჩვენც გვიკითხავდა გაზეთებს. ჩვენს მტრებს ესე შეშურდათ, 24 იანვარს ისიც მოგვტაცა მთავრობამ და ამჟამად სოხუმის ციხეში იმყოფება.

გაზ. „წინ“, 1907 წ. კვირა, 4 მარტი, №16, გვ. 3.

გაზეთი „წყარო“

სოხუმი

ერთმა აქაურმა ფედერალისტმა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა თბილისიდან აქაურ საზოგადოებაში გაავრცელა ხმა: თბილისის სოციალ-დემოკრატებმა გამოუშვეს ფურცელი, რომელშიაც გულ-ახდილათ აღიარებენ თავიანთ, მიერ ილიას მოკვლასო და აგრეთვე სია, სადაც აღნიშნულია, კიდევ ვინ უნდა მოჰკლანო.

სოხუმი

3 ნოემბერს, ქ. სოხუმში გაიმართა ლიტერატურული საღამო განსვენებული ილიას სახელზე, ხალხი საკმაოთ დაესწრო. საღამოს გეგმა გამოიხატა შემდეგში: ბატონმა თ. სახოკიამ გააცნო საზოგადოებას ილიას მოღვაწეობა; ნადეჟდა სახოკიამ წაიკითხა საკმაო გრძნობიერათ ლექსი ილიას ნაწარმოებიდან. ბ-მა ერისთავმა შესანიშნავათ წაიკითხა „გუთნის დედა“ და სხვები. ქ-მა მჭედლოვისამ თვალსაჩინოთ შეასრულა ქართველი დედის როლი. სიმღერა კი აღარაფერს არ გავდა. აი, მოკლეთ საღამოს შინაარსი.

თავის უშინაარსო „რეჩით“ ბ-ნი სახოკია ცდილობდა გაეცნო საზოგადოებისათვის არა ილიას ნამდვილი მოღვაწეობა, არამედ თავისი ვიწრო შოვინისტური შეხედულება. მან აღნიშნა თავის სიტყვაში სომხეთის ეროვნული მტრობა ქართველ ერთან. სომეხის ერს დასწამა ფლიდობა, გაუტანლობა და სხვა. ილია კი გამოიყვანა ქართველი ერის ბურჯათ, სომეხთა ეროვნების წინააღმდეგ.

სოხუმელი

ს. დ.

გაზ. „წყარო“, 1907 წ. 15 ნოემბერი, ხუთშაბათი, №16, გვ. 3.

პოლიტიკანობა აფხაზეთში
(წერილი რედაქციისადმი)

ამ ჟამათ აფხაზეთს ორი მოტრფიალე ჰყავს: ერთნი ცდილობენ სრულიად დაა-შორონ იგი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადაიბირონ თავისკენ. მეორენი მონა-ტრენი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან.

ეს ორი მოწინააღმდეგენი სხვა და სხვა ხერხს ხმარობენ თავისი წადილის მისაღ-წევათ. პირველნი სწერენ კიდეც და შესაბამის საქმეებსაც აკეთებენ, ქმნიან ფაქტებსა და ამ ფაქტების ძალით იმედი აქვთ ლელო გაიტანონ. მეორენი მხოლოდ ბუზღუნო-ბენ, სჩივიან, სწერენ კორესპოდენციებს გაზეთებში, სადაც თავის უკმაყოფილებას აცხადებენ – საქმით კი არაფერს აკეთებენ. ამ დალოცვილებს დავიწყებიათ ის საა-ნბანო ჭეშმარიტება, რომ უკუღმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წაღმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით. ფაქტის გაქარწყლება ძალუძს მარტო ფაქტსვე და არა ლიტონს სიტყვასა.

ისტორიული ერთობის დამცველთ აფხაზთა და ქართველთა შორის რიგიანად ვერ შეუგნიათ, რომ ძველებური ხერხებით და ტაქტიკით ახლა აღარ ძალუძთ ფონს გავიდნენ, რომ ახალნი გარემოებანი ახალს თხოულობენ.

რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ტაქტიკა? ამის პასუხათ ერთობის მოციქულებს გავუზიარებ ჩვენი ჩრდილოელ მეზობლების-ოსების მოქმედებას უკანასკნელ ხანაში. ამათ ისარგებლეს ქართული „დედა ენით“ და მოკლე ხნის განმავლობაში შექმნეს ოსური „დედა ენა“. რადგანაც სურათების დამზადება დიდს ხარჯს ითხოვს, მეზო-ბლურათ ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომელნიც მათ სრულიად უფასოთ დაეთმოთ. სულ ორი თვე არ იქნება, რომ ეს „დედა ენა“ დაბეჭდეს და მოკლე ხნის განმავლობაში მოჰფინეს ხალხში. ზედ მიაყოლეს თარგმანი ქართული საყმაწვილო მოთხრობებისა. პირველად გადათარგმნეს სომხებივით „იავნანამ რა ქნა“. ითხოვეს წერა-კითხვის საზოგადოებისაგან მოთხრობის კლიშეები და შეუდგნენ ბეჭდვასა. სთარგმნიან აგრეთვე ქართულიდან სხვა მოთხრობებსაც.

თუ სოხუმელი ერთობის მოციქულნი ამ მაგალითს ჩაუკვირდებიან, ადვილად მიხვდებიან, თუ რა გზას უნდა დაადგნენ პოლიტიკანების გასაცრუებლად და თავისი მისწრაფების განსახორციელებლად... სოხუმში მოიპოვებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები, მათ ადვილად შეუძლიანთ რამდენიმე თვის განმავლობაში შეერთებული ძალით შეადგინონ აფხაზური დედაენა და დაბეჭდონ იგი. დაბეჭდონ არა იმ მახინჯური ანბანით რომელიც შეუთითხნიათ პოლიტიკანებსა, არამედ ისტო-რიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიც არის და რომელსაც გამო-ჩენილი მეცნიერი უსლარი აღიარებს. „უუსრულეს ანბანათ ყველა ანბანთა შორის“. ეს ანბანი ხატავს ყოველს ხმას აფხაზური ენისა და ზედ გამოჭრილია მაზე. მარტო იგი იხმარებოდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხორცე-ბულია მასთან. ყველა ამის გამო, იგი მეტად გაუადვილებს აფხაზებს წერა-კითხვის შესწავლას, განათლების მიღებას და იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან რომელსაც მათ უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯური ანბანით. აფხაზური „დედაე-ნის“ შემდეგ აფხაზმა პედაგოგებმა, ქართველების დახმარებით უნდა გადათარგმნონ საუკეთესო საყმაწვილო და სახალხო მოთხრობები და გამოსცენ. უნდა აგრეთვე შეჰ-კრიბონ აფხაზური სახალხო ლექსები, არაკები, ზღაპრები, გამოცანები და დაბეჭდონ.

თუ ადგილობრივ ვერ შესძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გაუგზავნონ თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იგი დიდი სიამოვნებით გამოსცემს თავისი ხარჯით.

რას შეეხება წირვა-ლოცვის შემოღებას აფხაზურ ენაზე, ყოველგვარი ირონიები, დაცინვა მასხარად აგდება და წინააღმდეგობა დიდ უტაქტობას წარმოადგენს. აქაც ბუზღუნის მაგივრად მეგრელებმა ფაქტი უნდა დაუპირისპირონ ფაქტსა: კარგი წირვა-ლოცვის და გალობის მოწყობას ქართულ ენაზე სოხუმში და სხვა ადგილებშიაც რომელიც დღემდე თითქმის აკრძალული იყო და რომელსაც სრულ ნებას აძლევს ახალი კანონი სარწმუნოების თავისუფლებისა. ქართულს ღვთის-მსახურებას აფხაზთა ყური ისმენდა მრავალი საუკუნეების განმავლობაში, შეჩვეულია მასთან და საღვთო ენის სახელი და პატივი აქვს მათ შორის. ამის გამო ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ თუ აფხაზებს თავის ახლო ექნებათ რიგიანი ქართული წირვა-ლოცვა და გალობა მას არასოდეს არ გაცვლიან დეკანოზის გოლიბცევის მიერ შემოღებულ პროვინციალურ წირვა-ლოცვაზე, რომელიც თურმე ძლიერ ეუცხოვებათ და ეჩოთირებათ აფხაზებს და რომელსაც მსმენელათ ეყოლებათ მხოლოდ ეკლესიის კედლები. თუ მაინცდამაინც აფხაზები შეითვისებენ ახალ, პროვინციალურს წირვა-ლოცვას, ღმერთმა ხელი მიუმართოთ. ეს ერთი მხრივ ძლიერ სასარგებლო იქნება მეგრელებსა და სხვა ქართველებისათვის, რადგანაც ახალი ბურჯვივით განამტკიცებს პრინციპს ქართულს ენაზე ღვთისმსახურებისას სოხუმიდან დაწყებული დაღესტნის მთებამდე.

თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურათ, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით; მეტსაც შეიტყობენ, მაშინ აფხაზეთი სათავეში უდგა მთელი დასავლეთ საქართველოს, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა. მაგრამ როცა ისტორიის უკულმართა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და განამარტოვა, აფხაზები უკან უკან წავიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, რიცხვით მეტად შემცირდნენ და ახლა, წინანდელის მოზრდილის ერთის ნაცვლათ წარმოადგენენ ერთ მუჭა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს, დაიმარტოვეს და მოსწყვიტეს საქართველოსა. მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღივსებს.

პირადათ ჩვენ მზათ ვართ ვართ ყოველი დახმარება აღმოვუჩინოთ, შეძლების და-გვარად, ტრადიციულის ძმობის და ერთობის მოციქულებს, მეტადრე ახალის მწიგნობრობის შექმნასა და გამოცემაში.

იაკო გოგებეშვილი

რედაქციისაგან: ამ წერილთან ერთად პატ. პედაგოგისაგან შემოვიდა შემდეგი ბარათი:

„ბატონო რედაქტორო!

ეს წერილი „ისარის“ რედაქციამ არ დამიბეჭდა: ამგვარი თემა ჩვენი პარტიული პროგრამის სიაში არ შედისო... კარგათ ვიცი, რომ არც „წყარო“-ს პარტიულ პროგრამას შეესაბამება იგი, მაგრამ მაინც გიგზავნით იმ იმედით, რომ იქნება თქვენ

მაინც არ გამოიჩინოთ პარტიული სივიწროვე, სისასტიკე, სისატიკე ძველებურის ცენზორებისა და დღის ნათელი აღირსოთ ჩემს აზრს, რომლის განხორციელება სასარგებლოთ მიმაჩნია ჯერ აფხაზებისათვის და მერე ქართველებისათვის“.

იაკობ გოგებაშვილი

ბ-ნ გოგებაშვილს, ეს ბარათიც, რომ არ გამოგეგზავნა, ჩვენ მაინც დავსტამბავდით მის წერილს: ჩვენ, რამდენათაც სასტიკათ უვარყობთ ძველი მოღვაწეების მიმართულებებს...

გაზ. „წყარო“, 1907 წ. 28 ნოემბერი, ოთხშაბათი, №26, გვ. 3-4.

1908

ჟურნ: „ალიონი“

27 აპრილს ქუთაისის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე სამურზაყანოს აჯანყების შესახებ. ბრალს სდებენ პ. ემუხვარს, კ. შარიას, ლ. ჩიჩუას, ევ. გურუას და ქავჟარაძეს. პირველს გადაუწყვიტეს 4 წლ. კატორღა და სამუდამო გადასახლება, შარიას და ჩიჩუას ორი წლ. ციხე, დანარჩენებს სამუდამო გადასახლება.

აპრილის 28, თბილისის სამოსამართლო პალატამ, ქ. სოხუმში გაარჩია საქმე სოხუმის შეიარაღებულ აჯანყებისა. პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი: დ. ემუხვარი, ზახაროვი, ქ-ნი მახვილაძე, რ. კიღურაძე, მაღანაძე და სხვები. დასახელებულ პირთ მიესაჯათ თითო წელი ციხე სხვებიდან ერთს გადაუწყვიტეს 3 თვით ციხეში დაპატიმრება. ზოგს-სამი კვირით; 8 კაცი სრულათ გაამართლეს.

ჟურნ: „ალიონი“, 1908 წ. 11 მაისი, №1, გვ. 9.

გაზეთი „ამირანი“

ილია ჭავჭავაძის ფონდი
(სოხუმიდან)

26 აპრილს ქ. სოხუმში ადგილობრივმა ქართველმა საზოგადოებამ გამართა საღამო დაუვიწყარ ღირსეულ პოეტის ილიას ფონდის გასაძლიერებლად. ამ საღამოს საზ-ბა დიდის თანაგრძნობით მიეგება. საღამო გაიმართა თვით-მმართველობის დარბაზში, რომლის ყველა ოთახები ყვავილებით და ფოთოლ-სურათებით იყო მორთული. მთელი შემოსავალი საღამოსი იყო 1519 მ. 19 კ. აქედან ბილეთებიდან შემოვიდა 255 მ. 90. სხვა და სხვა ფარდულებიდან 792 მ 29 კ. საპატიო ბილეთები შემოსწირეს თ. გიორგი შერვაშიძემ 15 მ. გრაფინია სოლოკუბმა (შერვაშიძის ასული) 15 მ. ნინო ალუიზისამ 15 მ.ზაქარია თურქიამ 25 მ. კნ. აღათია შერვაშიძემ 10 მ. ინჟინერმა კაკუბავამ 10 მ. მ. სიმონოვმა 10 მ. ნ. მეტელოვისამ 10 მ. გეგელაშვილმა 10 მ. თ. ნიკო თავდგირიძემ 10 მ. ვ. გოგრიჩიძემ 10 მ. ზაგრაფოპოვლმა 10 მ. კარახანმა 10 მ. ოჩამჩირიდან შემოსწირეს 23 მ. მ. ვ. თურქიამ 5 მ. თ ემუხვარმა 5 მ. თ ალექსანდრე შერვაშიძემ 5 მ. კოილუმ 5 მ. ბაბაჯანიმ 5 მ. დოქ. მახვილაძემ 6 მ. ბასტანჯოღლოვმა 8 მ. კომნინომ 9 მ. ფონ-ბდერმა 6 მ. ნეიკერხმა 3 მ. თ მიქელაძემ 3 მ. პაპოვმა 5 მ. მ. კ. მეტაქსამ 5 მ. ექ. სპერანდიმ 5 მ. ვ. ბუზოღლისამ 5 მ. კერმა 5 მ. ვ. ტიადიმ 5 მ. გ. კლდიაშვილმა. მ გიორგაძემ 3 მ. ბ. თურქიამ 5 მ. ა. გაბუნიამ 5 მ. ნ. ერკემაიშვილმა 3 მ. ტეკმეჩოვმა 5მ. ფაღავამ 5 მ. კასნერმა 5 მ. პიმეიდისმა 3 მ. ვ. ემუხვარმა 3 მ. ა. დგებუაძისამ 5 მ. თავ. ა. მარშანიამ 5 მ. ლ. თოფურიძემ 3 მ. აქ. ფილიმონოვმა 3 მ. ბ. ანუამ 5 მ. გვათუამ 3 მ. ტრიპალიუტოვმა 5 მ. გვარძიგიმ 5 მ. ხოფერიამ 5 მ. ექ. ლუკინმა 5 მ. ს. სტასენკოსამ 5 მ. კუპერმა 5 მ. პ. გოგრიჩიძემ 5 მ. სუხადელსკიმ 6 მ. კნ. ანა ამილახვარისამ 5 მ. თავან თუმანოვმა 5 მ. თავ. კ. აბაშიძემ 3 მ. თ. ზოურბექ- ზეფიშვილმა 5 მ. პ. გორგასალიძესაგან 3 მ. ა. დალმა 6 მ. აკ. ხოშტარიამ 5 მ. ჩიქვნმა 5 მ. ჭავჭანიძემ 5 მ. გ. გვალიამ 5 მ. მ. ტომარაძემ 5 მ. თ. ჯანდერიშვილმა.

დაიხარჯა: აფიშები, ბილეთები, მარკები და წიგნის მაღაზიიდან 50 მ.19 კ. სცენის გამართვა, მხატვრობა და თვითონ მხატვარს 61 მ. ჟეტონები 38 მ. მუსიკა და ზურნა

59 მ. გაზისა და ლამპების განათება 19 მ. ხე-ტყისა, დროგებისა, სტალლიარებს და მუშებს 89 მ. კონფეტი, და რაკეტები 48 მ. შამპანური ღვინო და საუზმეულება ბუფეტისათვის 155 მ. სულ ხარჯი 519 მ. 19 კ. წმინდა მოგება არის 1000 მანეთი, რომელიც გაეგზავნა ილიას ფონდის გასაძლიერებლად ტფილისის ქალთა წრის თავმჯდომარეს ნინო ყიფიანისას.

ჩემს ზნეობრივ ვალდებულებად ვსთვლი განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადო იმ პატივმცემულ პირთ, რომელთაც თავიანთი მხნე და ბეჯითის დახმარებით ხელი შეუწყვეს ამ საღამოს სასურველად მოწყობას, კერძოდ გრაფინია სალაგუბისას (შერვაშიძის ასულს), უგან. თავ. გიორგი შერვაშიძეს, კნ. დესპინე გელოვანისას, ოლგა გოგრიჩიძეს, ნინა თურქიას, მაშო ქავთარაძის ასულს, მათ, რომელთაც მიიღეს შრომა ფარდულებში, წამკითხველებს, მომღერლებს და შემომწირველთ. ამას გარდა მადლობას უძღვნი აქაურს მოვაჭარეებს, მ. კაჭარავას, ძმათა ერკემაიშვილებს, ადამიას, ანუას, თურქიას, გაბუნიას, ბაგარსუკოვს, რომელთაც შემოგვწირეს ფარდულების გასამშვენებლად ჩითეულობა. მადლობას უძღვნი აგრეთვე ქართველ ოჯახებს, რომელთაც სანოვაგე შემოგვწირეს. ილია ჭვჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად ქალთა წრის კომისიის თავმჯდომარე კნ. სალომე ჯანდიერისა.

გაზ. „ამირანი“, 1908 წ. 10 ივლისი, №104, გვ.4.

სოხუმის თვით-მმართველობა

ა) (იხ.წერილში: ბუნებრ. კლიმატის აღწერა. (ჭაობები, მიწების ნაყოფიერება) – რედ.).

ბ) სოხუმში თვით-მმართველობა 1898 წლიდან დაარსეს, მაგრამ რაღაც ფარულ მიზეზების გამო 1905 წლამდე ქალაქს არჩეული თავი არა ყოლია. ქალაქის თავს თვითონ მართველობა ნიშნავდა. მხოლოდ 1905 წელს აღიარეს სოხუმის არჩეულ ქალაქის თავი (იხ. ასევე: მის ირგვლივ, მისი საწინაარმდეგო სხივები, ცილისწამება და სხვა – რედ.).

გ) ბ. ნ. თავდგირიძის მეცადინეობით ქალაქმა სოხუმმა 1905 წლიდან შეაკეთა და გააფართოვა საქალაქო საავადმყოფო, გადააკეთა პრო-გიმნაზიად, შეიძინა შენობა რეალურ სასწავლებლისათვის, შეუთანხმა საქალაქო სკოლის პროგრამა რეალურ სასწავლების პროგრამას და გააფართოვა სასწავლო მასალა, გახსნა მეორე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი შემოიღო წესად დახმარება ღარიბ მოსწავლეთათვის ფულით – (წელიწადში 3000 მანათამდე). გახსნა საქალაქო აფეთქა, შეამცირა საადმინისტრაციო ხარჯები, გახსნა სახალხო ბიბლიოთეკა – სამკითხველო და სხვა.

დ) (იხ. ასევე რევიზორების წინააღმდეგობა, მტრობა ქალაქის თავისადმი და ა.შ. – რედ.).

გაზ. „ამირანი“, 1908 წ. 26 ივლისი, შაბათი, №118, გვ. 1-2.

სოხუმი

ამ ზამთარს სოხუმში დაარსეს „ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ ერთ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსულ პრესაში და შესაფერი ქებაც უძღვნეს. დღეს, როგორც სჩანს, ამაო ყოფილა ეს ქება. წესდება საზოგადოებისა დაუმტკიცებია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ წლამდე არავის არ გაუმხელია. დიდი მხნეობა გამოიჩინა ექიმმა შიშკინმა. მან სამი კრება ზედიზედ მოახდინა. პირველად კრებაზე წაიკითხეს წესდება და აირჩიეს წესდება და აირჩიეს გამგეობა, მაგრამ ზოგიერთმა ეს გამგეობა იცნეს უკანონოდ არჩეულად და შეიტანეს წერილობითი განცხადება გამგეობაში კრების მოხდენის, გამგეობის გადაყენების და ახალი არჩევის შესახებ. მოიწვიეს მეორე კრება და უყარეს კენჭი გამგეობას. კენჭის შემდეგ აღმოჩნდა რომ, გამგეობა გაეშავებიათ. შეუდგნენ ახალი გამგეობის არჩევანს, მაგრამ დრო უბრალო ლაპარაკში გაატარეს, ნახევარი ხალხზე მეტი წასული აღმოჩნდა, რისთვისაც კრება გადადებულ იქნა. მოიწვიეს მესამედ და როგორც იყო დიდი ვაივაგლახით, აირჩიეს გამგეობა და ამით დასრულდა მთელი საზოგადოების მოღვაწეობა. (მიზანი საზოგადოებისა კი დიდი იყო; ჭლექიანისათვის ადგილის მონახვა, ლექციების კითხვა როგორც სოხუმში, ისე შავი ზღვის სხვა ქალაქებშიც; სამკითხველოს დაარსება ჭლექიანებისათვის; ამბულატორიის გახსნა, თუ იქნებოდა შეიძლება სანატორიუმის დაარსებაც), მეტი არც ასავალი იცის ვინმემ და არც დასავალი. არ ვიცი სწორედ, რა განუკურნელი სენი გაუჩნდა ამ საზოგადოებას, რომ დაბადებისთანავე მოუგრიხა კისერი და გამოასალმა წუთისოფელს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ექიმი შიშკინი ცოტა ხნის შემდეგ საზოგადოების დაარსებისა, გადაყვანილ იქნა დროებით ბათუმში, საიდანაც დღემდის არ დაბრუნებულა.

არც სახალხო უნივერსიტეტს დასდგომია კარგი დღე. ამ წლის ივნისის პირველ რიცხვებში ბატონ ტომარას ინიციატორობით (ერთ დროს ქალაქის თავად იყო ტომარა) დაარსდა სოხუმში სახალხო უნივერსიტეტის. მოიწვიეს კრება, აირჩიეს გამგეობა 9 კაცისაგან და შრომისაგან მოქანცულებმა, მისცეს თავი მოსვენებას. მთელი ზაფხული გადის აგერ და ერთი ლექსიაც არავის წაუკითხავს, რომ არსებობა მაინც გაეგებინებინათ საზოგადოებისათვის.

ძლიერი სიცხეებია აქეთ, ხშირად სიცხისაგან ბევრი გრძნობა ჰკარგავს.

ფოთოლი

გაზ. „ამირანი“, 1908 წ. 27 აგვისტო, ოთხშაბათი, №143, გვ.4.

დ. გალში (სამურზაყანო)

ექიმ იასონ მუჯირის ინიციატორობით ადგილობრივმა საზოგადოებამ პატივი სცა ახლად გარდაცვალებულ პროფესორის პეტრიაშვილის ხსოვნას. იმისი სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ექიმმა მუჯირმა პანაშვიდის დაწყებისას წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც დაასურათა ცხოვრება და მეცნიერული ღვაწლი განსვენებულ პეტრიაშვილისა.

ს. ო

გაზ. „ამირანი“, 1908 წ. 5 სექტემბერი, პარასკევი, №150, გვ. 4.

გაზეთი „გზა“

წერილი სოხუმიდან

არ გაგიკვირდეს, მკითხველო, თუ სოხუმი უკვე შეუდგა „სოციალიზმის“ განხორციელებას! ჩვენმა „სოციალიზმა“ უპრავაში დაიბუდა და იქიდან ფიქრობს სოხუმის ბნელ ქუჩებში შეშუქებას! მას შეუძლია ამაყათ გადახედოს სხვა ქალაქების უპრავებს და დაცინვით უთხრას: შემომხედეთ, ბურჟუაზიულო უპრავებო, მე უკვე სოციალისტური შევიქენიო! „გაცოლიასტებული“ უპრავას გაუგონია: სოციალისტურ წყობილებაში კლასები უნდა მოისპოსო და თითონაც შეუდგა კლასთა წინააღმდეგობის გაუქმებას. მაგრამ, რადგან ეს მისთვის შეუძლებელი დარჩა, უფრო უბრალოდ გადაჭრა კითხვა: მან სრულიად უარყო მუშათა კლასის არსებობა და ამგვარათ მას ერთი კლასი დარჩა. კლასთა მოსპობის კითხვამ ძლიერ დააინტერესა აქაური უპრავა და ამიტომაცაა, რომ ეს ენერგიულათ ერეკება მუშაკებს თავის „სოციალისტურ“ სამეფოდან. მაგალითები ბევრია. წინათ აღნიშნული გვქონდა, როგორ „განმარტა“ უპრავამ სენატის „განმარტებები“, როგორ ისარგებლა ამ განმარტებებით აქაურმა პოლიციამ და მთელს აქაურ ბინის დამქირავებელთ ხმები წაართვა. თურმე ნუ იტყვით ყველა ეს აქაურ „სოციალისტ“ – მდივნის ბ-ნ თედო სახოკიას თანხმობით ხდებოდა. ბ-ნ, „სოციალისტ“- ფედერალისტს ერთი ხმაც არ დაუძრავს უპრავის უსგავსო „განმარტების“ წინააღმდეგ; პირიქით, ის ძლიერ ცდილობდა ზოგიერთები სიიდან ამოეშალა. ნუ თუ ბ-ნ „სოციალისტს“ ასეთ შემთხვევაში სიჩუმე შეეფერებოდა?! მას ერთი კრინტიც არსად დაუძრავს. მე არ ვამბობ, ვითომ ბ-ნი თედო იყოს დამახინჯებული განმარტებების ავტორი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი „განმარტებებისათვის“ პასუხის მგებელნი არიან ყველანი, ვისაც სიების ქვეშ ხელი უწერია. განა მოსათმენია, როდესაც „სოციალისტი“ კრინტსაც არ ძრავს ასეთი „განმარტებებისთვის“ და ხელსაც კი აწერს ამნაირი საშუალებებით შემდგარ სიებს?! მაგრამ ბ-ნ სახოკიას ამისთანები თავიდანვე სჩვევია. იყო დრო როდესაც ბ-ნ სახოკიას საჭიროთ მიაჩნდა საჯარო კრებებზე პოლიციის წარმომადგენლის დასწრება „წესიერების“ დასაცველათ; ეს იყო 17 ოქტომბრის ახლო დღეებში, როდესაც გამოცხადებულ იქმნა ნამესტნიკის „განმარტებები“, მანიფესტში აღნიშნულ თავისუფლებაზე ჩვენმა „სოციალისტმა“ ამ დროს აქაურ ოლქის უფროსთან (კერძო კრებაზე, საოლქო სამმართველოს დარბაზში, სადაც სხვა პარტიების წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეულნი ოლქის უფროსისაგან) საჭიროთ იცნო კრებაზე პოლიციის წარმომადგენელი ყოფილიყო. „სოციალისტს“ ალბათ რუსეთის „გოროდოვოები“ და პრისტავები წესიერების დამცველები გონია?!

ეს იყო ერთი წლის წინათ. მას შემდეგ ბ-ნი თედო უფრო „გამოსოციალისტდა“ უპრავაში თბილი ადგილი იშოვნა და ამით დაამთავრა თავისი მოღვაწეობა. დღეს ის ნამდვილი წვრილ-ბურჟუაზიული „მეშჩანური“ სოციალისტის ტიპი დადგა.

„სოციალისტურმა“ უპრავამ ერთი დიდი დანიშნულება ჩაიდინა კიდევ ხალხის წინაშე, რისთვისაც აქაური მძინარე საზოგადოებას ყურადღება არ მიუქცევია, კანონით ორი კვირა ვადა სიების გამოკვრის დღიდგან, რომ ვინც გამოტოვებულნი არიან, იგინი ჩაეწერონ: უპრავამ სიები თუ კი დაბეჭდა კიდევაც უნდა ეცნობებია საზოგადოებისათვის. ნუ თუ ცოტანი არიან სოხუმში ისეთები, რომელთა საარჩევნო კანონის არაფერი გაეგებათ?! უპრავამ კი ეს (სიები) განცხადება გააკრა ერთი კვირის

შემდეგ სიების გამოქვეყნებიდან; ასე რომ აქაურმა „სოციალისტურმა“ უპრავამ კანონით ცნობილი ორი კვირის ვადა სანახევროდ შეამოკლა; წესით კი სოხუმში, სადაც არჩევნები ხალხს არაფრად აინტერესებდა. ეს ვადა თუ შესაძლებელი დარჩებოდა უნდა გაგრძელებულიყო, ამით უპრავამ, რასაკვირველია ბევრს დაუკარგა ხმა!

რეაქცია სოხუმში რაც უფრო დრო გადის, უფრო და უფრო ურცხვი ხდება. აქაურ მშიშარა რეაქციონურ ბურჟუაზიას დიდი მადა აქვს გამდიდრებისა და ჩასჭიდებია ბ-ნ ნიკო თავდგირიძის „პროექტებს“, რომლებიც მას მილიონებს უქადის. ამ რეაქციონერების დასახასიათებლად საკმარისია აღვწეროთ 10 დეკემბრის კრება ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში.

ბ-მა ნიკომ მოიწვია აქაური მსხვილმსხვილი ვაჭრები და შეუდგა მათთან მოლაპარაკებას სოხუმიდან ახალ-სენაკამდე, რკინის გზის გაყვანის შესახებ ილაპარაკეს ბევრი წყნარად, ნელად. ილაპარაკა „ჭეშმარიტ“ რუსმა ჟუდრა, რომელმაც ბ-ნ ნიკოს პროექტს „ფელეტონი უწოდა“ ილაპარაკეს „ჭეშმარიტ ქართველებმაც“ და ბოლოს გადასწყვიტეს: შეედგინათ ამხანაგობა, აეღოთ კონცესია და სხვა... აქამდის მშვიდობიანად მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ ამ დროს, ერთმა ს-დემოკრატმა ლაპარაკი დაიწყო. ეს კი ვეღარ გადაღეჭეს რეაქციონერებმა: ზოგს ფერი ეცვალა, ეგონა კაზაკ-რუსებს მოგისევენო, თუმცა სიტყვა ყოვლად „მშვიდობიანი“ იყო ზოგმა ხრიალი ასტეხეს: „ჭეშმარიტი“ ჟუდრა გარეთ გავიდა და ზოგიერთი მანდილოსნებიც გაჰყვნენ; სოციალ-დემოკრატებმა მოკლედ დაასურათა, როგორ გაუტაცნია ბურჟუები მოგების სურვილს და როგორ ებღაუჭებიან ისინი უსაფუძვლო პროექტებს, მას უნდოდა მოხსენება გაეკეთებია, რომ ამ დროს თავჯდომარემ მიუხედავად ორატორის ცხარე პროტესტებისა, შეაწყვეტინა ლაპარაკი და თითონ დაიწყო თავისი მოხსენების დაცვა. ბევრი ილაპარაკა ბ-მა ნიკომ, და დაამტკიცა თავისი გასაოცარი უვიცობა. თურმე ნუ იტყვით, ს-დემოკრატებს ხვალვე უნდათ სოციალიზმის განხორციელება (?) თურმე ს-დემოკრატები ყოველი ღონისძიებით ებრძვიან ბურჟუაზიული წესწყობილების შემოღებას სთქვა, რომ ის სულით და გულით სოციალისტია და სხვა ამგვარები. ს-დემოკრატს ეგონა ახლა მაინც თავისუფლად ვალაპარაკებო, მაგრამ მოსტყუვდა. სთქვა თუ არა ორიოდე სიტყვა და კიდევ ილაპარაკა და შემდეგ სხვას მისცა ხმა. ამ დროს დგება „ლიბერალი“ ვაჭარი ზაქარ თურქია და გაიძახის: ნუ ალაპარაკებთ მაგისთანებს. ამაზედ მოთმინებიდან გამოსულმა ორატორმა მათ საქციელს რეაქციონურის საქციელი უწოდა და ლაპარაკსაც თავი მიანება. ასე სწამს ბ-ნ ნიკოს და ბ-ნ ზაქარ თურქიას სიტყვის თავისუფლება, მაგრამ განა მარტო ამით?! ვინ ჩამოსთვლის რამდენი ნიკო და ზაქარიებია სოხუმში?! ზოგი გაიძახოდა ს-დემოკრატებს რკინის გზა არ უნდოდათ, ყველას გაღატაკება უნდათო, ხოლო ერთი არ გამოსულა რომ თავჯდომარის უსგავსო საქციელი დაეგმო.

სოციალისტები დასანახავად ეზარებათ აქაურ რეაქციონერებს, ხოლო ნიკო „სოციალისტი“ კი ძლიერ მოსწონთ. ალბათ იციან, როგორიცაა ნიკოსებური „სოციალიზმი“.

არ ღირდა ბ-ნ სახოკიასა და ბ-ნ ნიკოს შესახებ ამდენი ლაპარაკი, რომ ეს ბატონები აქ რაღაც პროგრესული ძალებით არ მიაჩნდეს საზ-ს. როგორც იწერებიან, გურიაში ნიკოს კანდიდატურას აყენებენო. ამ შემთხ-ში მე მგონია ჩემი წერილი არაა უადგილო და იმედია, გურულებიც გამოიყენებენ აქ აღნიშნულ ფაქტებს.

რაც შეეხება სოხუმს, აქ კიდევ არის ბ-ნ თედოს და ნიკოს გავლენა. მაგრამ რაც დრო გადის, მათ ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი და ადგილობრივი ს-დემოკრატები ყოველ ღონისძიებას იხმარენ მათი რეაქციონური საქციელი დაანახონ ხალხს და მათი გავლენა ძირფესვიანად აღმოფხვრან.

ლ-ი

გაზ. „გზა“, 1908 წ. 29 დეკემბერი, პარასკევი, №3.

გაზეთი „დასაწყისი“

მუშათა ნორმალური დასვენების საკითხი

სოხუმი

ამ დღეებში ყველა სავაჭრო-სახელოსნოებში დაარიგეს ადგილობრივ პოლიცმეისტერის განკარგულება, რომელიც ეხება ქალაქში ნორმალურ დასვენებას. ამოწერილია სოხუმის ქალაქის თვითმართველობის სავალდებულო დადგენილებიდან 1907 წ. 26 იანვარს და შედგენილია 1906 წ. 15 ნოემბრის კანონის მიხედვით.

ამ განკარგულების ძალით „ყველა კვირა დღეს ათორმეტ უქმეს (двунадесятые праздники), დღეს ახალი წლისა, მეორე და მესამე დღეს აღდგომის შობის მეორე და მესამე დღეს ყველა სავაჭრო სახელოსნო დაწესებულებები, როგორც მაგ: სამანუფაქტურო, ბაკალეინიის, გასტრონომიული, გალანტერეინ, წიგნის, ავეჯის, ჭურჭლების, აფთიაქის საწყობები. ყოველგვარი სახელოსნოები როგორც მაგ: მეწაღეები, მეჩექმეები, მკერავები და სხვა. სტამბები ხელოვნურ წყალთა ქარხნები, საპარიკმახეროები, წიგნის საკაზმავები და აბანოები უნდა მთელი დღე დაკეტილი იქნენ. დანარჩენ დღეებში კი იღება დილის 7 სთ-დან საღამოს 7 სთ-მდე. ამაში მოსამსახურეთ ეძლევათ საუზმისათვის ნახევარი სთ-და სადილისათვის საათნახევარი.

რესტორნები, დუქნები, ტრაქტირები, ყავახანები და ღვინის საწყობები კვირასა და ზედ მოხსენებულ უქმე დღეებში უნდა იღებოდნენ დილის 11 სთ-დან, ხოლო საქმის დღეებში 7 სთ-დან საღამოს 11 სთ-მდე. (გამონაკლის შეადგენენ ნავთსადგურთა მდებარე ყავახანები, რომლებიც ვაჭრობენ მთელი ღამე-ღამის მატარებელზე მიმავალ მგზავრებისათვის).

პურის საცხობები უქმე დღეებში მუდამ ღიაა, მხოლოდ მათი პატრონები ვალდებულნი არიან მოსამსახურენი გაათავისუფლონ დღის 12 სთ-დან.

ხორცის დუქნები უქმე დღეებში იღება მხოლოდ დილის 7 სთ-დან 11 სთ-მდე.

უნდა ავღნიშნოთ რომ ზოგიერთ დაწესებულებეში, როგორიცაა მაგ: მანუფაქტურის მაღაზიები და სხ. შემოღებული იყო წინეთ საქმის დღეებში გაღება დილის 8 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე. ამაში შედიოდა 2 სთ დასვენება. დღეს კი, თუ ეს უკანასკნელნი მაგრათ არ იდგებიან თავიანთ ბრძოლით მოპოებულ უფლებებზე, დაკარგავენ 2 სთ-ს, რაიც დიდ დანაკლისს შეადგენს მათთვის.

გაზ. „დასაწყისი“, 1908 წ. 19 მარტი, ოთხშაბათი, №14, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან

რამოდენიმე წელიწადია რაც სოხუმში არსებობს ორი საზოგადოება. პირველია ე. წ. „საქველმოქმედო საზ-ბა“, ხოლო მეორე „მოსწავლეთა დამხმარე საზ-ბა“. ორივე საზ-ბათა მიზანია სიმპათიური. მარა საქმე ისაა, თუ როგორ ახორციელებ ამ მიზანს. ჩვენც ამ მხრით გვინდა შევეხოთ მოკლეთ, ხსენებულ ორ საზ-ბას. ავიღოთ პირველათ „საქველმოქმედო საზ-ბა“. რას აკეთებს ის?

დღეს საზ-ბას, რამდენადაც ვიცით, 4000 მ-ზე მეტი მოეპოვება თავის კასაში. მკითხველი უეჭველია გაოცდება, თუ რათ გვინდა ჩვენ აქ იმის მოყვანა, თუ რამდენი ფული აქვს საზ-ბას კასაში, და გვეტყვის „მერე რა? დიდი საქმე თუ 4000 მ. აქვთ!... ალბათ სოხუმის საზ-ბა ისეთი გულუხვი და ქველმოქმედებითგატაცებული ყოფილა და იმდენ დახმარებას უწევს „საქვ. საზ-ბას“, რომ მას საშუალება ეძლევა მრავალი ხარჯების გარდა კაი ბლომა ფულს მოუყაროს თავიო; მაგრამ ეს შეხედულება გადაჭარბებული იქნება. თუმცა სოხუმის საზ-ბა საკმაოდ ეხმარება ამ საზ-ბას, მაგრამ იმდენს არა, რომ მას შესანახი ფულები რჩებოდეს... „საქველმოქმედო საზოგადოების დახმარებასაც აქ ბევრნი საჭიროებდნენ, მაგრამ რა დღესაც უნდა მიბრძანდეთ „საქველმოქმედო საზოგადოებაზე“ კანტორაში, თქვენ იქ მრავალ გაჭირვებულ ხალხს ნახავთ, რომელთაგან ზოგს წამალი უნდა, ზოგს პური, ზოგს ექიმი და სხვა. პასუხი კი მუდამ მარტივი ესმით: „მადამ კამნიმო (თავმჯდომარეა „საზ-ბის“, არ არის სახლში; „ავად არის“, „სადილობს“, „არ სცალია“ „ეხლა დრო არა არის“ და სხვა. დიდი ბედნიერება იქნება თუ ოდესმე ეღირსეთ მათ მოწყალებას და წამოგიგდეს ორიოდე გროში, ან რეცეპტზე ხელი მოგიწერეს, თუმცა ასეთი შემთხვევა ერთობ ძვირია.

აქედან ადვილათ მიხვდებით, თუ რათ უწყვია ამდენი ფული „საქვ. საზ-ბას“- თავის კასაში მაშინ, როცა დახმარებას ბევრი, ძალიან ბევრი საჭიროებს. ცხადია ისიც, თუ რამდენათ ახორციელებს ის თავის დანიშნულებას!..

ახლა ვიკითხოთ, რას აკეთებს „ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზ-ბა?“ სიამოვნებით უბნდა აღვნიშნოთ, რომ ის თითქმის ყველაფერს ასრულებს, რაც მისგან არის დამოკიდებული... აქ არავითარ როლს არ თამაშობენ ის „კარიერისტ“-ინტრიგანები, რომელთაც ხელში ჩაუგდიათ „საქველ. საზ-ბა“ და სარგებლობენ იმით თავის კერძო ინტერესებისათვის. აქ მოიპოვებიან ენერგიული მომუშავენი ღარიბ ელემენტებში სწავლა-განათლების გასავრცელებლად.

ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ გარემოებაზე, რომელიც კარგად ახასიათებს „საქველ. საზ-ბის“ მესვეურთ და საკმაოდ იპყრობს ადგილობრივ მცხოვრებთა ყურადღებას.

ამ რამდენიმე თვის წინათ, ზემოთ დასახელებულმა ორმა საზ-ბამ, გადაწყვიტა ერთად ემოქმედნათ, ე. ი. ერთად ემართათ წარმოდგენები, საღამოები, ბალები, ლატარეა-ალეგტები და სხვა. შემოსავალსაც რასაკვირველია გაიყოფდნენ. ასეთი პირობა უკვე შეკრული იყო და გასული წლის შვიდი ოქტომბრისათვის ორივე საზ-ბა ამზადებდა ლატარეას. მაგრამ უცებ...„საქველ. საზ-ბა“ იწვევს გამგეობის კრებას და... ხმის უმეტესობით სწყვეტენ არავითარი დამოკიდებულება აღარ იქონიონ „მოსწავლეთა დამხმარე საზ-ბასთან“. ხოლო ის ფულები, რომლებიც ლატარეიდან შამოვიდა და რომლიდანაც „მოსწ. დამხ. საზ-ბას“ ერგებოდა 325 მან, თავისად ჩასთვალეს. ამნაირათ, „საქველ. საზ-ბის“ გამგეობა, მიუხედავად იმისა, რომ კასაში

ბლომათ ქონდა ფული, კიდევ მიითვისა სასკოლო საზ-ბის 325 მან. და ამით საშუალება წაართვა რამდენიმე ათეულ ბავშვს სინათლე ეხილათ... ისინი არც დაივიწყებენ სოხუმელ „ქველმოქმედთა“ ღვაწლს!..

ამ საგანზე დღეს გაცხარებული შეჯახ-შემოჯახებაა სოხუმის საზ-ბაში. ბ-ნი „ქველმოქმედებმა“ დაინახეს, რომ მათ მოქმედება „უდაჩნათ“ არ დაურჩათ და ეხლა მოყვენ იმის მტკიცებას რომ კავშირის გაწყვეტა ჩვენი ბრალი არ იყო, ლატარეის მოწყობაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათო. და სხვა. „ბატუმსკი გოლოს“-ის კორესპოდენტ ბ-ნ „ტიხი“-საც იხმარიებენ, მარა გვიანღაა თითზე კბენანი. მათი ფიზიონომია და საქმის მოყვარეობა უკვე ნათლადაა გამორკვეული.

პარნასი

გაზ. „დასაწყისი“, 1908 წ. 20 მარტი, ხუთშაბათი, №15, გვ. 3.

გაზეთი „ეკალი“

ქ. სოხუმში – აგერ 2 კვირაა, რაც აქ ადგილობრივ ქარგალ-შეგირდთა გაფიცვა წარმოებს. გაფიცვის გამოცხადების აუცილებლობა გამოიწვია იმ ყოველ მხრივ აუტანელმა პირობებმა, რომელშიაც მუშაობა უხდებათ სოხუმის ქარგალ-შეგირდებს; ამასთან მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ყველა ის შეღავათები და გაუმჯობესებანი, რაც მათ ხანგრძლივი ბრძოლით, ჰქონდათ მოპოვებული, ხაზეინებმა უკანვე წაიღეს და გააბათილეს. სხვა ეკონომიკურ მოთხოვნილებათა გარდა, გაფიცვას მიზნად აქვს სამუშაო დღის შემცირებაც. როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, ხაზეინებმა გაფიცულები ანგარიშის გაწევის ღირსადაც არ ჩათვალეს პირველად და მხოლოდ მუქარითა და ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდნენ მათ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ გაფიცულთა შორის სრული ერთსულოვნება და სოლიდარობა სუფევდა და ოინებით ისინი ფონს ვერ გავიდოდნენ, იძულებულნი გახდნენ მიემართნათ მათდა შესამუსრავათ „მშვიდობიანობის დამცველთათვის“. სათანადო ადმინისტრაციამ ჯერ მომრიგებლის როლი იკისრა, მაგრამ რა დაინახა, რომ გაფიცულებს ვერ დაითანხმებდნენ, გადასწყვიტა უფრო რადიკალური ზომებისათვის მიემართა. დატუსაღებული იქნა რამდენიმე გაფიცულთაგანი, რომლებიც ჩვეულებრისამებრ გაფიცვის ხელმძღვანელებად იქნენ ჩათვლილნი. მარა მიუხედავად ამისა ისინი მალე გაანთავისუფლეს, რადგან გაფიცულთა მოთხოვნილებებში „უკანონო“ ვერაფერი ნახეს. გაფიცვა ისევ სწარმოებს და ჯერ იმედიც აქვთ გამარჯვებით დაგვირგვინდება; თუმცა გაფიცულების წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრმა წვრილმა ხაზეინებმა, წინათ მუშების ერთგულებმა თავი ისახელა.

გაზ. „ეკალი“, 1908 წ. კვირა, 24 აგვისტო, №3, გვ. 2.

ქ. სოხუმის ხაზინიდან ამ დღეებში ვიღაც უცნობებს ყალბი საბუთებით გაუტანიათ 36 000 მან და მიმალულან.

გაზ. „ეკალი“, 1908 წ. 20 სექტემბერი, შაბათი, №17, გვ. 3.

სამეგრელო

დ. ოჩამჩირე (სოხუმის ოლქი)

თუმცა ოჩამჩირის მცხოვრებთა რიცხვი 2000-მდე იქნება, მაგრამ დაბაში არც ბიბლიოთეკა და არც ერთი წიგნის მაღაზია არ არის. 1907 წელში ბევრი ვეცადეთ და მსურველიც ბევრი იყო დაგვეარსებინა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მაგრამ ამისთანა კეთილ საქმეს ხელი შეუშალეს აქაურმა ბნელმა ძალებმა და რამოდენიმე ვაჟბატონებმა. მათ გასწიეს აგიტაცია, რომ ბიბლიოთეკა გარყვნის ახალგაზრდებსო, ვისაც გაზეთი სურს თვითონ გამოიწერს და სხვა, და საქმე ჩაიშალა. სამაგიეროდ აქ 15-მდე ყავახანაა, სადაც დიდი და პატარა თავდადებით ეწაფებიან ნარდ-კარტის და ლოტოს თამაშს. ხშირად შეხვდებით 13-14 წლის ბავშვებს კარტის თამაშით გატაცებულებს. შანტაჟისტობაც ახალი არ არის ჩვენ დაბაში. 8 აგვისტოს საღამოს 7 ნახევარ საათზე ორი ტყვიით მოკლეს ბაზრის დეპუტატი ფარნა დავითაია. ამის გამო პოლიციამ 3 დღე და ღამე დაკეტა ბაზარი. ამბობენ დავითაია კერძო ინტერესით მოჰკლესო, ეჭვით 7 კაცი (ვაჭრები) დაატუსაღეს და რადგანაც მკვლელობა საბუთით ვერ დაამტკიცეს ყველანი გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ შეყარეს მთელი საზოგადოება, პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს და ბრალიანი და უბრალო ყველანი ხატზე დააფიცეს, მკვლელები კარებში იდგნენ და ვინც შაურს არ დაუტოვებდა – ფიცის ფულს კარში არ უშვებდნენ. ამგვარათ, თუმცა მღვდლებმა კარგა ბლომა ფულები შეაგროვეს, მაგრამ მკვლელები მაინც ვერ აღმოაჩინეს.

გლეხი

გაზ. „ეკალი“, 1908 წ. 27 სექტემბერი, შაბათი, №23, გვ. 3.

სოხუმის ქარგალ შეგირდთა ცხოვრებიდან

აქ გასულ აგვისტოში გაიფიცნენ ქარგალ შეგირდები და წარუდგინეს „ხაზეინებს“ შემდეგი მოთხოვნები: 1) 8 საათიანი სამუშაო დღე; 2) ოთახები „ხაზეინებისაგან“ უფასოდ და სხვა. „ხაზეინებმა“ მტკიცეთ გადასწყვიტეს: არამც და არამც არ დაეკმაყოფილებინა ისინი. გაფიცვა გაგრძელდა 27 დღე, რის შემდეგაც „ხაზეინების“ დიდი ნაწილი წავიდა კომპრომისებზე და შეუთანხმდნენ თავიანთ ქარგალ-შეგირდებს. მხოლოდ, მცირე ნაწილი კი ჯერაც ჯიუტობს და მათი ქარგალ-შეგირდებიც გაფიცვას განაგრძობენ.

ოცხანელი ტიგრანია

გაზ. „ეკალი“, 1908 წ. 5 ოქტომბერი, კვირა, №29, გვ. 4.

გაზეთი „იმედი“

ქ. სოხუმის ვაჭრები და მოქალაქენი რიცხვით 54, პროტესტს აცხადებენ ქუთაისის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრების – დადგენილების – სახელმწიფო დუმის ქართველ დეპუტატებს საყვედურის გამოცხადების შესახებ.

სოხუმი, განათლება

სექტემბრის ბოლო რიცხვებში დაიწყო სახალხო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა რუსულ ენაზე. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

გაზ. „იმედი“, 1908 წ. 18 ოქტომბერი, შაბათი, №6, გვ. 3.

გაზეთი „ცხოვრების სარკე“

სოხუმის ამბები

...სამშაბათს 15 აპრილს ადგილობრივი სცენის მოყვარულებმა ქ-ნ ე. ნადარეიშვილის გამგეობით წარმოადგინეს ბ-ნ შ.დადიანის მიერ გადმოკეთებული პიესა „ბატონი და ყმა.“ თუ არ მიიღებთ მხედველობაში ჩვეულებრივ ნაკლს – როლის ცოდნაში კოჭლობას რაც ემჩნეოდა ზოგიერთებს, გვარიანათ ითამაშეს განსაკუთრებით კარგი იყვნენ ქ-ნი კუხალაშვილი, ბ-ნი ერქომაიშვილი, კოზმავა, ბოლქვაძე და სხვა... წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩნენ.

გაზ. „ცხოვრების სარკე“, 1908 წ. გვ.3.

28 აპრილს ქუთაისის სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს „სოხუმი რესპუბლიკის“ საქმეს. პასუხის გებაში მიცემულია 14 კაცი. ამათგან რამოდენიმე თავმდებს ქვეშაა გამოსული და ზოგიც ვერ ნახა პოლიციამ.

გაზ. „ცხოვრების სარკე“,1908 წ. გვ. 3.

გუშინ, 26 აპრილს ქ. სოხუმში დაიწყო ე. წ სამურზაყანოს რესპუბლიკის საქმის გარჩევა. ამ საქმეზე პასუხისმგებლობაში მიცემულნი არიან ლევან ჩიჩუა, ესტატე გულავა, ვასილ ქავჯარაზე, პლატონ ემხვარი, კონსტანტინე შარია და სხვა. ბრალდებულთ იცავს თბილისელი ვექილი ნ. ელიავა, რომელიც უკვე გაეგზავრა სოხუმისაკენ.

გაზ. „ცხოვრების სარკე“,1908 წ. 27 აპრილი, კვირა, №5.

28 აპრილს ქ. სოხუმში თბილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე სოხუმის შეიარაღებული აჯანყებისა, რომლის გამოც პასუხის გებაში შემდეგი პირები იყო მიცემული: ზახაროვი, დ. ემუხვარი, ქ-ნი მახვილაძე, რ. კიღურაძე, მაღნარაძე და სხვა. ბრალდებულთ იცავდნენ: ალექსანდროვი (მოსკოვიდან), ესენი, ელიავა და ფაღავა. ზახაროვს (129 სტ.) დ. ემუხვარს და ქ-ნ მახვილაძეს, რ. კიღურაძეს და მაღნარაძეს (126 სტ.) მიესაჯათ თითო წლის ციხე. დანარჩენთაგან ერთს გადაუწყვიტეს 3 თვის ციხე, ზოგს სამი კვირის დაპატიმრება, ხოლო რვა სრულიად გაამართლეს.

გაზ. „ცხოვრების სარკე“, 1908 წ. 7 მაისი, ოთხშაბათი, №13, გვ. 2.

სოხუმის ამბები

26 აპრილს ადგილობრივ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქ. ანჩაბაძის, ჯანდიერისა და გელოვანის გამგეობით ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად

გამართულ იქნა ქართული საღამო. დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდა ილიას სურათი ცოცხალ ფოთლებში. შემდეგ წაიკითხეს რამოდენიმე ლექსები, გვარიანათ წაიკითხა „დიმიტრი თავდადებულიდან“ ნაწყვეტი ბ-მა ფაღავამ. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ზალაში სულ ათიოდე სკამი იდგა და ამოდენა ხალხი ფეხზე იყო; ასე რომ დიდი უმრავლესობა ვერაფერს ხედავდა სცენიდან წაკითხული ლექსებიც ნახევარს გაუგონია. ამასთან ელექტრონის სინათლე, რომელიც განსაკუთრებით ამ საღამოსათვის მოეწყოთ, ჩაქრა, რამაც უწესრიგობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ლექსების წაკითხვის შემდეგ ხორომ იმღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და სხვა... სიმღერა საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. სიმღერის შემდეგ აჩვენეს ცოცხალი სურათი...

ბოლოს გაწმინდეს სცენა და შემოვიდა სამხედრო მუსიკა. დატრიალდნენ დამა-კავალერები!.. გაჩაღდა ქეიფი! დაფა-ზურნაც თავის მომხიბვლელ ხმებს აწვდიდა მოქეიფეთ...

ქეიფმა გასტანა დილამდე, ძლიერმა ნუნუამ თავისი გაიტანა და დილაზე ცოტა წალაპარაკებაც მოხდა. ახსენეს „პისტოლეტი“, „გასწორება“ მაგრამ... საქმე მშვიდობიანათ გათავდა და მოქეიფენი მხიარულნი დაიშალნენ...

რამდენათაც გავიგეთ, წმინდა შემოსავალი 1300 მანეთია.

27 აპრილს ქუთაისის სამოსამართლეო პალატის სესიამ დახურულ კარებში გაარჩია სამურზაყანოს აჯანყების საქმე და გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: პლატონ ემუხვარს გადაწყვეტილი აქვს ოთხი წლის კატორღა და სამუდამო გადასახლება. ჩიჩუასა და შარიას ციხე ორი წლით; ხოლო ქავჟარაძესა და გულუას სამუდამო გადასახლება. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი მსაჯული ნ. ელიავა.

...ქალაქის საბჭომ მოისმინა აგრეთვე სოხუმის პოლიცმეისტერის შუამდგომლობა: დაენიშნოს მას და ბოქაულს ქალაქიდან სამგზავრო ფული, რომელსაც ისინი ხარჯავენ ქალაქის გადასახადების აღების დროს. ცოტა რყევის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა დაენიშნოს პოლიცმეისტერის და სხვა პოლიციის მოსამსახურეებს აღნიშნული საქმისათვის 25 მანეთი თვეში პირველი მაისიდან.

გაზ. „ცხოვრების სარკე“, 1908 წ. 7 მაისი, ოთხშაბათი, №13, გვ. 3.

გაზ: „ისარი“

სოხუმის ქალაქის თავი, თავ. ნ. თავდგირიძე პეტერბურგიდან ჩამოვიდა და დღეს სოხუმს მიემგზავრება.

გაზ. „ისარი“, 1908 წ. 5 თებერვალი, სამშაბათი, №28, გვ. 2.



ახალი ათონის ტაძარი, VII-VIII სს.

1909

გაზეთი „დროება“

სოხუმის ოლქის უფროსი. როგორც „ნოკ. ვრ“-ს დეპეშით ატყობინებენ, უკვე დათხოვნილ თავ. ჯანდიერის ადგილზე, სოხუმის ოლქის უფროსად დანიშნეს პოლკოვნიკი კროპაჩევი, რომელიც „რუსია არა მარტო შთამომავლობით, არამედ რწმენითაცაო.“

გაზ. „დროება“, 1909 წ. 1 თებერვალი, კვირა, №25 გვ. 3.

ტყვარჩელ-ფოთის რკინის გზა. „კასპის სიტყვით, ახალ რკინის გზათა კომისია ამ ცოტა ხანში განიხილავს ტყვარჩელ-ფოთის რკინის გზის პროექტს. პროექტით, ეს ახალი გზა დაიწყება ტყვარჩელის ნახშირის მაღაროებიდან. ეს გზა ჯერ ისევ ოთხ-მოციან წლებში იყო განზრახული, მაგრამ სამხედრო უწყება აღუდგა წინ, რადგან მაშინდელ პროექტით ეს გზა ზღვის პირას სოხუმიდან ფოთამდის უნდა გაეყვანათ. სამხედრო უწყების აზრით, ომის დროს ოსმალებს შეეძლოთ სულ მიენგრ-მოენგრიათ ეს გზა, ისე ახლო იყო ზღვასთან. ახალი პროექტით კი, გზა ზღვიდან 20 ვერსით იქნება დაშორებული.

გაზ. „დროება“, 1909 წ. 7 აპრილი, სამშაბათი, №74, გვ. 3.

დუხობორეები შავი ზღვის პირად

როგორც მკითხველს მოეხსენება, მთავრობამ ნება დართო დუხობორებს, კავკასიაში დაბრუნდნენ. „კასპი“-ს სიტყვით, დუხაბორებს შავი ზღვის ნაპირებზე დაასახლებენ. მთავრობას სურს დუხობორების შემწეობით შავ ზღვაზე მეთევზეობა გააძლიეროს და ამით ოსმალეთის მეთევზეებს კონკურენცია გაუწიოს. დუხობორებს სპეციალისტებს მიაშველებენ.

გაზ. „დროება“, 1909 წ. 16 ივნისი, სამშაბათი, №130, გვ. 2.

სოხუმი

ამ ბოლო დროს სოხუმში ბევრი სხვა და სხვა საზოგადოება დაარსდა: სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, ჭლექთა მებრძოლი საზოგადოება, საქველ-მოქმედო საზოგადოება და სხვები. აქვთ თავიანთი წრე ბერძნებს, სომხებს და რუსებსაც („ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წრე“), ამათ მიბაძვით თუ სხვა მიზეზით, სოხუმში, როგორც იყო, ქართველებმაც განიზრახეს დაეარსებინათ რაიმე ქართული წრე. გადასწყვიტეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების დაარსება. პირველი კრება მოწვეულ იქნა 17 მაისს კნ. მარიამ ანჩაბაძის თაოსნობით. კრებას ბლომად დაესწრო საზოგადოება, რადგან ყველა სოხუმელი ქართველი იყო უწყებით დაპატიჟებული და საგანიც საყურადღებო იყო. კრების თავმჯდომარედ თავდგირიძემ მოკლედ გააცნო საზოგადოებას მნიშვნელობა განყოფილების დაარსებისა სოხუმში. ამის შემდეგ მოხსენება წაიკითხა სტუდენტმა გ. მრავარძელ-იობაიშვილმა შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ სხვაგან წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დაარსებას და კერძოდ სოხუმში. მერე გამართეს ხელის მოწერა თითქმის 130 კაცმა. რადგან ვერ იშოვნეს იმ დღეს

წერა-კითხვის საზოგადოების წესდება, ამიტომ იხელმძღვანელეს ინსტრუქციით და სიტყვიერად გააცნეს დამსწრეთ წესდების შინაარსი.

ბოლოს აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს შემდეგისთვის კრების მოწვევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

კომისიამ მეორე კრება მოიწვია 31 მაისს. ამ დღეს, სანამ კრებას გახსნიდნენ, ხელის მომწერლები ერთბაშად მიაწვნენ კომისიის წევრებს და ყველამ საწევრო ფული შეიტანა. ასე რომ, კრება რომ გახსნეს, გამოაცხადეს, 120 კაცმა (პირმა) ფული შემოიტანაო. თავმჯდომარედ ამ დღეს არჩეულ იქნა მარიამ ანჩაბაძისა. კრების გახსნისთანავე დაურიგეს ქაღალდები გამგეობის კანდიდატების ჩასაწერად.

სანამ ქაღალდების კითხვას შეუდგებოდნენ დაასვენეს კათედრაზე ყვავილებით მორთული სურათი მწერლის ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვასი). აქაური რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელმა ალექსანდრე სანაძემ წაიკითხა ნინოშვილის მოკლე ბიოგრაფია. შემდეგ სტუდენტმა გრ. მთავარ მელ. იობაშვილმა წაიკითხა ლექსი: „ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას“.

შემდეგ შეუდგნენ ხმების დათვლას, რომელმაც გასტანა თითქმის ნაშუადღევის 5 საათამდე. აირჩიეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად სასარგებლოა ამ განყოფილების დაარსება სოხუმში, მეტად მიმაჩნია. ეს შეკავშირება პირველი ნაბიჯია ჩვენი სოხუმელ ქართველთა ცხოვრებაში.

მართლის მთქმელი

გაზ. „დროება“, 1909 წ. 25 ივნისი, ხუთშაბათი, №139, გვ. 3.

სოხუმი

როგორც ვიცით, სოხუმი საზამთრო საექიმო „კურორტია“ და ამიტომაც არის, რომ ყოველ წლობით სოხუმს სხვა და სხვა კუთხიდან მრავალი ავადმყოფი აწვება, განსაკუთრებით ფილტვებით ავადმყოფი...

...სოხუმს სამხრიდან მთები არტყია და სწორედ ამ მთების კალთებზეა გაშენებული რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მდიდრების აგარაკები: ტომარასი, მალანიასი, ტატარინოვისა, პფელისა, ანდრეევსკისა, შანშიევისა, ლომაკინისა, ტოლსტოისა, დუნდერისა, ორტრომოვისა, გოგრიჩისა, ალიოზისა, ჩერნიავსკისა, ფილიმონოვისა, სემიონოვისა, კერხოვსკისა, უსოვისა, ნიკოლენკოსი, დიმიტრიევისა, სმეცკოისა, გრაფ ბობრინსკისა, მენტილევისა, გოდუშოვისა, რუკავიშნოკოვისა, ნოევისა. ოთხი უკანასკნელი აგარაკი იმყოფება სოხუმიდან 2 ვერსის მანძილზე, დიდი მთავრის „სინოპო“ სოხუმიდან 3 ვერსის მანძილზეა სმეცკოის „გულრიპშ“ და „აგუძერა“ – სოხუმიდან 12 ვერსის მანძილზე.

სმეცკოის აქვს გულრიპშში საუკეთესოდ მოწყობილი სანატორიუმი, აგუძერაში კი სასტუმრო ბუფეტით სანატორიუმის მსგავსი, რადგან იქ მუდმივი ექიმი სცხოვრობს. თავიანთ ქალაქში არის კარგად მოწყობილი სასეირნო ბოტანიკური ბაღი და ქალაქის პარკი სხვა და სხვა გასართობით. რადგანაც გარშემო კარგად არის მოწყობილი ეს ქალაქი, იმდენათ შიგნით ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს. აქ ერთი ხეირიანად მოწყობილი ქუჩაც არ არის. საუკეთესო სასეირნო ქუჩად ითვლება ნაბერეჟნის ქუჩა, მაგრამ, საუბედუროდ ამ ქუჩაზეა რამდენიმე ბინძური ყავახანა. ყურის მგდებელი,

სამწუხაროდ, არავინ არის. ამ ქუჩაზეა კანტორები და საწყობები „რუსის“ და „როსიას“ საზოგადოებისა და ამათ წყალობის ქუჩა სასეირნოდ ძალიან მოუხერხებელია, რადგან ამ საზოგადოების ბოჭკეებისა და სხვა ნივთეულობით სავსეა ქუჩა. სხვა ქუჩები უარეს მდგომარეობაშია. ყველგან შეჰხვდებით დამხრჩვალ კატას, დამპალ თევზებს და სხვას. მაზრის ზედამხედველი და ქალაქის ექიმი გულ-ხელდაკრეფილნი შესცქერიან ამებს. ნუ თუ ეს ყველაფერი იმათ მოვალეობას არ შეადგენს? წვიმის დროსაც არ გამოესვლება კაცს გარედ, რადგან ქუჩებში – კი ზოგან ოღრო-ჩოღროა, წყალი ადვილად გუბდება და ავდარში იშვიათია, კაცი მშვიდობიანად დაბრუნდეს შინ.

წინანდელ ქალაქის თავად ნამყოფს, თავ. თავდგირიძის მეცადინეობით სოხუმს ამ წელს 1 მაისიდან აქვს ელექტრონის განათება.

როგორც ჰხედავთ, სანიტარული საქმე ვერ არის კარგად მოწყობილი და ამიტომაც თვითმმართველობამ კარგად დააფასა ქალაქის ექიმის შრომა. ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ ჯამაგირი გაუორკეცა. ნეტავ, ქუჩების განათება-გაწმენდაში გამოიჩენდნენ ასეთ სიუხვეს ჩვენი ქალაქის მამები!? თუ მზემ დიდხანს გასტანა მაგალითად ორ-სამ დღეს, ისეთი მტვერი დგება, რომ გარედ გამოსვლა შეუძლებელი ხდება. ამას მაინც უნდა მიაქციონ ყურადღება თვით-მმართველობამ.

მართლის მთქმელი

გაზ. „დროება“, 1909 წ. 28 ივნისი, კვირა, №142, გვ. 3.

აფხაზთა და აფხაზეგის შესახებ

ქართულ ჟურნალ-გაზეთობამ ამ უკანასკნელ წლებში თითქმის დაივიწყა, რომ შავი ზღვის პირად მდებარეობს საქართველოს მწარ-წარსულთან ბედით შეკავშირებული აფხაზეთი... თუმცა აფხაზნი ქართველთა ტომის ახლო ნათესავნი არ უნდა იყვნენ... აფხაზთა და ქართველთა დღევანდელი ინტერესები ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ მისი (აფხაზეთის) უყურადღებოდ დატოვება შეუნდობელი და გაუსწორებელი ცოდვაა ქართველი ჟურნალ-გაზეთებისა...

...რუს-თურქეთის (რუს-ოსმალთა) ულანასკნელი ომის დროს აფხაზები მოღალატედ გამოაცხადეს და „დამნაშავე მცხოვრებლებლად“ დანათლეს და ეს სახელწოდება მხოლოდ ეხლა, ორიოდე წლის წინათ მოაშორეს, რადგან განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიიღო. გამოცხადდა თუ არა ომი, აფხაზებმა მოიყარეს თავი, ითათბირეს და წარმომადგენლები გაუგზავნეს მაშინდელ უფროსს აფხაზეთისას: „მზათა კარით უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დავიცვათ აფხაზეთი, მოიხმარე ჩვენი ძალებიო!“ აფხაზები ასეთის პასუხით გაისტუმრეს: „გადაეცით ხალხს, რომ თეთრი ხელმწიფე არ საჭიროებს მის საცოდავ დახმარებასაო“. აფხაზთა დეპუტაციაში იყვნენ გუჩ-იფა რაშით, ინალ-იფა სოულაჰვ, კაც-იფა ტიტუ მარდათა და სხვანი. რომ მიეღო ბ-ნ უფროსს შესაფერი ზომები თვით აფხაზებთან შეთანხმებით, ამ კუთხეს ის უბედურად არ დაატყდებოდა თავს, რაც დაატყდა უკანასკნელ ომიანობის დროს. ამასვე მოწმობს რუსი ბერიც.

ასე თუ ისე აფხაზეთი თითქმის დაცარიელდა – 100 ათას მცხოვრებიდან ოცდაათიოდე ათასი-ღა გადარჩა...

...ამ ქვეყნად დასასრული ყველაფერს აქვს, გოროდნიჩობაც გადავარდა და 1897

წ შემოიღეს ქალაქის თვითმმართველობა, მახსოვს რა აღტაცებით მიეგებნენ სოხუმელნი ამ კუდმოკვეცილ თვით-მმართველობის შემოღებას...

I არჩევნებზე ქალაქის თავად გავიდა ალ. სარაჯიშვილი, „ტუზემცი!“ განა ჩრდილოეთში ჩადენილ თავიანთ ცოდვების დასაფარავად ჩვენში გადმოხვეწილნი ამას მოინელებდნენ? კიდევაც არ მოინელეს, და „გუბერნატორის მრჩევლად ნამყოფი“ არა საიმედო კაცად იცნეს და არ დაამტკიცეს. II არჩევნებზეც სოხუმელთ და ქალაქის თავობა ხელთ იგდო იმისთანა კაცმა, რომელიც ჩვენში ემალებოდა რუსეთში ჩადენილ ბოროტებას, როგორც ეს ნათლად გამოააშკარავა თ. სახოკიამ. ამით არ დაკმაყოფილდა ბრბო „სოხუმელ ჭეშმარიტ რუსებად“ წოდებული. მათმა გესლმა არ დაინდო ჭაღარით შემკობილი მასწავლებელი, მშვიდობიანი ვაჭარი, რომლის „НЕБЛАГОНАДЕЖНОСТЬ“ მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ერთ-ერთ წევრს ამ ბრბოსაც თავი არ დაუკრა, და სხვანი მრავალნი: ესენი ყველა გადახვეწილ იქნენ ცივ გუბერნიებში. ასეა და ამ რიგად გზა გაწმინდეს და მთელი 7-8 წელიწადი სოხუმის „დუმა“ სათლელ დუმად გაიხადეს ამ ვაჟბატონებმა, და სთალეს და სთალეს გემრიელი ლუკმები, სანამდის არ გამოელიათ ის 200 000 მან. რომელიც ქალაქს ჰქონდა შავი დღისთვის შენახული! რას მოახმარეს ეს ფული? რა შესძინეს ამით ქალაქს? ძემ ხორციელისამან არ უწყის, ცამ უყო პირი თუ მიწამ ჩაყლაპა ეს ფული. ანდა რასაკვირველია, რომ ასე გაჰქრა ქალაქის ქონება იმ პირთა ხელში რომელთა საუკეთესო წარმომადგენელს არა სრცხვენოდა საჯაროდ წამოეროშა: „თუ რუსეთში კონსტიტუცია დამყარდა სპარსეთში მოვკურცხლავო“

...აბობოქრებულმა ტალღებმა ამოატივტივა ნაძირალანი, რომელთაც გასცალეს ასპარეზი და სოროებში მიიმალ-მოიმალნენ, მათთვის უკეთეს დროის მოლოდინში. სწორედ ამ გარემოებამ მისცა სოხუმელთ საშუალება თავიანთი გულის წადილი აესრულებინათ და ქალაქის თავის სავარძელზე დაესვათ მათ მიერ არჩეული ადამიანი. ამაზე გარემოებამ მოუვლინა აფხაზეთს ერთის მხრით მოძღვრად ყოვლად სამღვდელო კირიონი და მეორეს მხრით ოლქის უფროსად თ. ლ. ჯანდიერი. და სამივე კაცი განგებამ მხოლოდ იმისთვის მოუვლინა აფხაზეთს, რომ რეაქციის ტალღების აზვირთებასთან ერთად სამივე გამხდარიყო შავრაზმელთა ინსუაციების მსხვერპლი. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ მე პირადად თავ. თავდგირიძისა და ჯანდიერის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, პირიქით, ძალიან ცოტა მაქვს იმათთან საერთო, გარნა სიმართლე მაიძულებს ვაღიარო, რომ ისინი მსხვერპლნი შეიქმნენ.

ჰამუთ-ბეი

გაზ. „დროება“, 1909 წ. 21 ნოემბერი, შაბათი, №260, გვ. 2.

დამწერლობის შესახებ

იმ თავიდვე, როცა აზრი დაიბადა აფხაზთათვის ანბანის შექმნისა, ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ბ-მა ბარტლომეიმ ქართული ასოები შემოიღო აფხაზთათვის, ხოლო ბარონმა პ. უსლარმა-რუსული ასოები. ამ უკანასკნელმა პირველად შეუდგინა ასოები აფხაზებს ჯერ კიდევ 1862 წ. ხოლო ანბანი (ბუკვარი) გამოვიდა 1865 წ. როგორც შევნიშნეთ ბარტლომეიმ ქართული ასოები იხმარა, როგორც უფრო შესაფერი

აფხაზური ენისათვის და რაც აკლდა, მიუმატა. გარნა მისი აზრი არ იქნა შემწყნარებული: უცდელ ქართულ ასოებსაც შესწამეს პოლიტიკური „ნებლაღნადეჟნობა“ და უარყოფილი იქმნა. გაიმარჯვა უსლარმა (ამის შესახებ აბუკანოს წერილი დაბეჭდილია „მოამბეში“ 1895 № 9 „ჩემი დღიურიდან“) (უსლარმა ქართველთათვისაც შეადგინა ანბანი, რადგან ქართული ანბანი არ მოსწონდა), მაგრამ ამ საქმეს მსვლელობა მაინც არ მიეცა, სანამ ჩვენმა თანამემამულემ კოწია მაჭავარიანმა ხელი არ მოჰკიდა. მეოთხმოცდაათე წლებში იგი თავის მოწაფეთა თუ ნამოწაფართა დახმარებით შეუდგა საქმეს და იწყო თარგმნა საღმრთო წერილისა აფხაზურ ენაზე. 1892 წ. უკვე გამოვიდა პირველად ცოტად თუ ბევრად შემუშავებული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი კ. მაჭავარიანისა და აფხაზ დიმიტრი გულიასი და მით ჩაეყარა საძირკველი მწიგნობრობას აფხაზურ ენაზე. ამ დროიდან თითო-ოროლა შემოიღეს ეს წიგნაკი და ვითომდა ასწავლიდნენ. ხოლო უკანასკნელმა მოძრაობამ სული ჩაუბერა და სიცოცხლის ძალა მიანიჭა საკითხს: მით მიმართულება მიეცა უკუღმართი და იეზუიტური, აქ შავრაზმელობამ გამოჰყო თავი, და ეს წმინდა საქმე შუღლისა და მტრობის ჩასათესად იხმარეს. „აი, ხედავთ, როგორ მზრუნველობას ვიჩენთ თქვენზე, ხოლო ამაში ხელს გვიშლიან ქართველები, რომელთაც თქვენი ჩაყლაპვა სურთო“. გაიძახიან ყოველ ნაბიჯზე. ამ მიზნითვე ამ კომისიაში რომელიც სთარგმნის საღმრთო წერილს აფხაზურ ენაზე არ მიიწვიეს არც ერთი ისეთი პირი, რომელსაც ასე თუ ისე შესწამეს ქართველისადმი მიდრეკილება. ერთი პატივცემული აფხაზი, რომელმაც გაბედა და აღიარა, რომ მეზობელ ხალხთან შუღლსა და მტრობაზე კი არ უნდა აღვაშენოთ ჩვენი ბედნიერება, არამედ იმის დახმარებითაო“, ჩამოაშორეს კომისიას. გარდა ამისა, აქ მოიპოვება იმისთანა ქართველნიც, ზოგი მათგანი აფხაზთა ენის ზედმიწევნით მცოდნეა, რომელნიც დიდს და დაუფასებელ სამსახურს გაუწევდნენ ამ შემთხვევაში აფხაზთ. მე აქ ვასახელებ ქართ. ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილს პეტრე ჭარაიას, რომელმაც ზედმიწევნით იცის აფხაზური ენა და თან ლინგისტიური მომზადებაცა აქვს. გარნა, სამწუხაროდ სათოფეზეც არ მიიკარეს იგი, აქაო და ქართველიაო. უშლის ქართველობა ამაში რასმეს? რა თქმა უნდა არა...

...ჯერ არც ერთ ქართველს არ უთქვამს: „აფხაზნო თუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთო!“ პირიქით, ეპ. კირიონეს არ დააცალეს, თორემ უნდა სერიოზულად მოეკიდნა ამ საქმისათვის ხელი. გაიხსენეთ ბ-ნი ი. გოგებაშვილის წერილიც. სხვა საკითხია შეიძლება თუ არა მწიგნობრობის არსებობა იმ ენაზე, რომელზედაც 40 000 სული ლაპარაკობს.

დღეს სოხუმში არსებობს კომისია, სამი პირისაგან შემდგარი, რომელიც სთარგმნის საღმრთო წერილს, და თან დრო-გამოშვებით იწვევს დასახმარებლად სხვა ინტელიგენტ აფხაზთაც. ხარჯი ვგონებ სინოდისაა. ჩემის მხრივ არ შემიძლიან სალამი არ მიუძღვნა ამ მცირე ჯგუფს და არ ვუსურვო სრული გამარჯვება.

ჰამუთ-ბეი

გაზ. „დროება“, 1909 წ. 18 დეკემბერი, პარასკევი, №282, გვ.3.

გაზეთი „ივერია“

აფხაზეთის გამაჰმადიანება

28 იანვარს სინოდში წაკითხულ იქმნა კავკაზიის სასულიერო მთავრობის მოხსენება იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მართლმადიდებლობიდან გადადგომა და მაჰმადიანობის მიღება გახშირდა. ამ მოხსენებამ იქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგიერთები ცხარობდნენ და ამტკიცებდნენ კავკაზიაში მაჰმადიანობის გამავრცელებელ პირებთან სასტიკი ბრძოლა უნდა დავიწყოთო... საინტერესო ის არის, რომ ხსენებულ პირთა აზრით ხელმწიფის მიერ 1905 წ. 17 აპრილს გამოცემული ბრძანება სარწმუნოებრივ თავისუფლების შესახებ, მხოლოდ იმათ შეეხება ვინც წინეთ სხვა რჯულის ყოფილა და შემდეგ მართლმადიდებლობა მიიღო. ამიტომ თუ სადმე არიან მონათლული მაჰმადიანები მათი ხელახლად გამაჰმადიანება კანონიერად უნდა ჩაითვალოსო. აფხაზებს კი ასეთ უფლებას ვერ მივანიჭებთო, რადგანაც მათი წინაპრები ქრისტიანები ყოფილან და მაჰმადიანობა მათში მხოლოდ შემდეგში გავრცელდა. აზრად აქვთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ. მღვდლებს ამის შესახებ ლაპარაკი აღაძრევინონ. გადასწყვიტეს აგრეთვე უმაღლეს მთავრობას აცნობონ აფხაზების ამბავი და კავკაზიის ნამესტნიკის და კავკაზიის ადგილობრივ სასულიერო უწყების უკანონო მოქმედებამ, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ისინი აფხაზებს გამაჰმადიანების უფლებას აძლევენ.

გაზ. „ივერია“, 1909 წ. 23 თებერვალი, №8, გვ. 3.

გუდაუთი

ს. ჯიხვინის ორკლასიან სასწავლებლის შენობაში საღამოს 8 საათზე ადგილობრივი მასწავლებელი პეტროვი ბავშვების რვეულებს ასწორებდა. ამ დროს სახლს სამი შეიარაღებული უცნობი მიადგა. ბიჭმა ერთი მათგანი სახლში შეუშვა, მაგრამ, რაკი ეჭვი შეეპარა ვიღაც ავი კაცები მოვიდნენო. მასწავლებელმა მოასწრო და შემოსულს კარები გარედან ჩაუკეტა. მომწყვდეულმა ხვეწნა დაუწყო მასწავლებელს, – გამომიშვი, შენი ვნება არ გვინდაო. მასწავლებელმაც დაუჯერა და გარეთ გამოუშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ გარედან სროლა ატეხეს უცნობებმა, მაგრამ მასწავლებელს ვერ ავნეს. ვინ იყვნენ ესენი, ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

გაზ. „ივერია“ 1909 წ. 1 ივნისი, №22, გვ. 2.

გაზეთი „მოამავალი“

ს. აბჟუვა (კოდორის ნაწილი)

გვალვიანმა ზაფხულმა სიმინდები სულ გაახმო. ვენახებიც გახმა. სოფელს შიმშილობა მოელის. ყველა ამასთან აქ გავრცელდა მუცლის ავადმყოფობა. არსაიდან საექიმო დახმარება არ არის, ხალხი ძლიერ შეწუხებულია.

აქ გაჩნდა ერთი უცნობი, რომელმაც ხალხს ჩააგონა, რომ მას ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: ხალხი გაირყვნა, აღარ სწამთ არაფერი და ჩემს რისხვას მოუვლენს.

ურჩია ხალხს ზვარაკი შესწირეთო, ხალხმა დაუჯერა და აუარებელი მიაწყდა ეკლესიებს და კლავენ ცხვრებს. მღვდლები ჯიბეებს და თავს არ იწუხებენ აუხსნან ხალხს ასეთი ცრუ-მორწმუნეობის მავნებლობა.

გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 18 სექტემბერი, პარასკევი, №18. გვ. 4.

სოხუმი (ქალაქის საბჭო 14 სექტემბერი)

ამ დღეს სხვათაშორის უნდა გაერჩიათ შემდეგი საკითხი. აქ არსებობს ქალაქის საავადმყოფო აგებული პროფ. ოსტროუმოვას თაოსნობით, რომელიც დღეს ქალაქის კუთვნილებას შეადგენს. უფროსმა ექიმმა სამსახურს თავი დაანება. იმის ნაცვლად ქართველმა ნაწილმა საზოგადოებისამ, მოინდომა ქართველი ექიმი მოეწვია, რისთვისაც თხოვნით მიმართა ქალაქის საბჭოს. საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, რომ ქართველი ექიმი არა თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც. მიზეზი? მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და ამათში უმრავლესობას რუსულისა არა გაეგებათ რა. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ეს მდგომარეობა უხერხულია როგორც ავადმყოფთათვის, ასევე ექიმთათვის, თუ ისინი პატიოსნათ ემსახურებიან თავის ხელობას ოსტროუმოვის სიკვდილის შემდეგ საავადმყოფოს მზრუნველად არის დანიშნული აქაური სანატორიის პატრონი, უკიდურესი მემარჯვენე სმეცკოი, თანაც ხმოსანია, რომელიც გამოცხადდა სხდომაზე, მოვიდა აგრეთვე მეორე ხმოსანი პროფ. ლევშინი ისიც უკიდურესი მემარჯვენე სმეცკოი, თან მოიყვანეს მეორე ექიმი საავადმყოფოში ბ-ნი პოპოვი, რომელსაც უნდა ეხსნა საავადმყოფო გაჭირვებისაგან. აი, ეს სამი პირი წარსდგა საბჭოს წინაშე და დაიწყეს „მეცნიერულად“ და „სტატისტიკურათ“ იმის მტკიცება რომ აქ ქართველი ექიმი არ გამოდგება, რადგან ქართველები და კარგი ექიმი არ გამოდისო. პოპოვმა ილაპარაკა, რომ აქ არის საჭირო ჩვენისთანა ექიმები და თუ ქართველი მოვიდა, საავადმყოფო ჩირადაც არ ეღირებაო, გარდა იმისა მეგრელებს რათ უნდა ქართველი ექიმი, როცა ისინი შთამომავლობით სრულიადაც ქართველები არ არიანო. არ ვიცი, ვისი სამეცნიერო გამოკვლევიდან გამოიკითხა ასეთი ჭეშმარიტება?! პროფ: ლევშინმა მოიყვანა სტატისკური ცნობები იმის შესახებ, რომ რუსთა ავადმყოფთა რიცხვი აღემატება ქართველებსო. მაშასადამეო, დასძინა, ქართველ ავადმყოფთა უმცირესობის ინტერესები უნდა შეეწიროს რუსთა უმრავლესობის რიცხვსაო. აი ასეთი დასკვნა გამოიყვანა მან თავის „სტატისტიკისაგან“.

„ჩვენმა“ მამებმა, როგორც კი ჯერ მიდგა ქართველ ექიმის დახასიათებაზე, ზოგმა მათგანმა სულ მიატოვა დარბაზი, ალბათ, არ მიაჩნდა ხელსაყრელათ გამოკამათებოდა ისეთ კითხვაში, რომლისთვისაც მადლობას იმათგან არ დაიმსახურებდა. უმრავლესობა კი, როცა შავრაზმული კომპანია ქართველებს მიწასთან ასწორებდა, ისინი ინდაურებივით ცხვირჩამოშვებულნი თავს უიმედოდ აქნევდნენ. ზოგს საიღბლოთ კიდეც ჩასძინებოდათ და მაშინ გამოიღვიძეს, როცა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა ბ-ნ. მზრუნველს სმეცკოის და ტაშის კვრით კარებამდე მიაცილა. საუბედუროთ, ჩვენი ხმოსნების უმრავლესობას საბჭოში ძილი შეეჩვიათ და გამოიღვიძებენ მაშინ, როცა კენჭის ჩაგდება არის საჭირო.

ამერიკელი სოხუმში

გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 3 ოქტომბერი, შაბათი, №30 გვ. 4.

სოხუმში

ნ. გაბუნია-ცაგარელის იუბილე

კვირას, 29 ნოემბერს ადგილობრივ თვითმართველობის დარბაზში გამართულ იქნა იუბილე ნ. გაბუნია-ცაგარელის 30 წლის მოღვაწეობის გამო. თავადმა ნ. კ. თავდგირიძემ წაიკითხა მოკლე თავგადასავალი ნ. გაბუნია-ცაგარელისა. შემდეგ მან წაიკითხა ადრესი, რომელიც იმ დღესვე გაეგზავნა გაბუნია-ცაგარელს. ამ ადრესში სხვათა-შორის აღნიშნულია რომ სოხუმელები მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო ანთავისუფლებენ სდგ. სამოქ. სასწ. 30 უღარიბეს მოწაფეებს სწავლის ფულიდან. შემდეგ ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ წარმოდგენილ იქნა ქართულ ენაზე „ხუმარა“ (Затъйнца) და რუსულ ენაზე „Авъ знаменитости“, იანჩენკოსი. სანამ მოთამეშეებზე ვილაპარაკებდე, საჭიროთ მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ეთქვა საღამოს მმართვლელებზე: ქ-ნ თურქიასა და სიმონოვაზე. პირველი განაგებდა კასას. როცა მას წარვუდგინე რედაქციის ბილეთი და ვთხოვე მოეცა ბილეთი, როგორც გაზ: თანამშრომელს, მან დაუძახა ქ-ნ სომონოვას, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ „კორესპონდენტებზე ბილეთის დათმობა არ შეგვიძლია, რადგანაც ისინი კრიტიკას გაუკეთებენ არტისტებს და მერე უკანასკნელი აღარ გამოვლენ სცენაზეო“ და სხვა. ქ-მა თურქიასამ კი დაამატა „ჩვენ დიდის სიამოვნებით დაგითმობდით ადგილს, მაგრამ ყველა ბილეთი გაყიდულია, არის ადგილი მხოლოდ გალერეაშიო“. ბოლოს, როგორც იქნა მანეთის საშუალებით, შევიჭერი „საშიში პირი“ სადაც საჭირო იყო. აღმოჩნდა რომ თავისუფალი ადგილი ყველა რიგში იყო. „ნუ თუ, ვფიქრობდი, ნატოს იუბილეზე პრესის წარმომადგენელს არ უნდა ეთმობოდეს ადგილი მეთქი?!“

არ ვფიქრობ რომ განგებ ვაქებდე მოთამაშეებს, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქ-ნ სიმონოვასავით არც ერთი მათგანი არ უფრთხის პრესას და რომ ყოფილიყო და მივუთითო მათ ნაკლულოვანებაზე არც ერთი მათგანი არ გადაიკარგება ცხრა მთას იქით. მაგ: ბ. გულივერდაშვილო, გამიჯავრდებით თქვენ, რომ გითხრათ, რომ ცოტა მძიმე აღმოჩნდით ქმრის (ალექსანდრე ჭიჭინაძის) სიოლისთის „ხუმარაში“ და ამის გამო განა სცენაზე ფეხსაც არ დააბიჯებთ შემდეგში?! რაც შეეხება ქ-ნ მჭედლოვას და ბ. ფრანგულიანტს – ისინი კარგები იყვნენ: პირველი სონიას როლში და მეორე ტიგრანის. კარგად წარმოადგინეს ბ. X და ქ-ნ მეროვიჩმა და ბეკტაშევმა, როგორც პირველი, ისე მეორე პიესის მოთამაშენი. ჩინებულად ჩაიარა აგრეთვე საკონცერტო განყოფილებამ სადაც მონაწილეობას იღებენ: კონსერვეტორიის პროფესორი გულმანი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. ბეკტაშევმა იმღერა და გეორგობიანმა ჩინებულად წაიკითხა ლექსები. ორივეს ცოცხალი ყვავილების კონები უძღვნეს.

გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 10 დეკემბერი, ხუთშაბათი, №87, გვ. 4.

სოხუმი

29 ნოემბერს ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებელში გამართულ იქნა სალიტერატურო დილა სახალხო პოეტის ა. ვ. კოლცოვის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს გამო. დილა საუცხოოთ ჩაატარეს, მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ი. ა. ვასილევი. კოლცოვის ბიოგრაფია წაიკითხა მე-გ კლასის მოწაფე როკოტინსკიმ, ხოლო „კოლცოვის მნიშვნელობა რუსულ ლიტერატურაში“ მასწაველბელმა ფ. ვ. მიუნცმა. ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმა: ბერმანმა, ოვა-

ნოვმა, გოჩოლეიშვილმა, ვლაჟნიკმა და ტუაბემ. „დილის“ გათავების შემდეგ დამსწრეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადეს სასწავლებლის ინსპექტორს მ. აკამანს.

1905 წ-დან მოწაფეთა მოთხოვნით აქაურ საქალაქო სასწავლებელში ახალი ენების სწავლა (ფრანგულისა და ნემეცურის), როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობის წევრი ბ. ჯუღელი ამზადებს თურმე მოხსენებას, რომ ენების სწავლება მავნებელია სამოქალაქო სასწავლებელშიო.

სამოქალაქო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს აღუძრავს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა გადასდოს სასწავლებლისათვს იმდენი თანხა, რომ შესაძლებელი იყოს ყველა ხარჯების დასაფარავათ...

გაზ. „მომავალი“, 1909 წ. 12 დეკემბერი, შაბათი, №89, გვ. 4.

გაზეთი „ფონი“

აფხაზეთი

ს. პარნაუთის (გუდაუთის) დაჩა ხაზინას ეკუთვნის... როგორც მთელი აფხაზეთი, პარნაუთიც აფხაზთ ეკუთვნოდა და 1864 წ-მდე მჭიდროდ დასახლებული იყო.

...ბოლო ხანებში დაჩა ბ. „ლესნიჩმა“ არენდით გადასცა მეგრელებს... ამ ჟამად ცხოვრობს 41 მოსახლე მეგრელი, ზოგიერთი მათგანი 13-14 წელიწადია, რაც ცალკე ბუნებას, ცალკე ციებ-ცხელებას ებრძვის. ისინი იხდიან თითო დესეტინაზე ექვს-ექვს მანეთს წლიურადვე. საქონლის თავზე წლიურადვე 40 კაპ...

...აი ეხლა ეუბნებიან მეგრელთ: „მომშორდით თავიდან, დაიკარგენით აქედან; თქვენ მიერ გაწმენდილ ადგილზე თქვენზე უფრო ბედნიერი ხალხი-რუსები უნდა დავასახლოთო!“ ...

ჰამუთ-ბეი

გაზ. „ფონი“, 1909 წ. 15 ნოემბერი, კვირა, №11, გვ. 7-8.

დრანდის ტაძარი, VIII ს.

1910

გაზეთი „ახალი გზა“

გაგრა

გაგრა 1903 წლიდან არის სააგარაკოთ დაწესებული; სასტუმროები და რესტორნები რაც შეიძლება ძლიერ მდიდრულად და სუფთად არის მორთული; ეხლა კიდევ ამ ცოტა ხანში აქ გაიხსნა ახალი სასტუმრო, რომელიც საუცხოოდაა მორთული, მარა მიუხედავად ასეთი მორთულობისა სააგარაკოდ მოსულები, შედარებით გასულ წელთან შედარებით წელს ცოტანი არიან...

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 3 ივლისი, შაბათი, №11, გვ. 4.

ქართული სკოლა სოხუმში უკვე დამტკიცდა და ეკენისთვიდან სწავლა დაიწყება ამ სკოლაში ზედამხედველად მოუწვევიათ ძველი სენაკის სკოლის მასწავლებელი ნ. ჯანაშია.

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 27 ივლისი, სამშაბათი, №31, გვ.2.

ბუნები აღწერა

დ. სოჭი... ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს მეგრელები, შემდეგ არიან: რუსები, პოლონელები, ნემეცებიც და ესტონელებიც, კი ყველაზე უფრო მდიდრები რუსებია, ღარიბები კი მეგრელები, თუმცა თითო-ოროლა სხვილი მესაკუთრენიც მოიპოვებიან. აქ არსებობს პროგიმნაზია (ქალების და ვაჟების ერთად), სამინისტრო ორ-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, რომლებზედაც რუსიფიკაციის პოლიტიკას თავისი დაღი დაუსვამს. თქვენ აქ შეხვდებით მეგრელ მოწაფეს, რომელსაც შეუძლია მიგიხვდეთ რუსულად და ქართულად კი აზრსაც ძლივს გაიგებს. აქ არსებულ ბიბლიოთეკაში ერთი ქართული წიგნიც არ მოიპოვება, მასში თბილისის არც ერთი არ არის...

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 30 ივლისი, პარასკევი, №34, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

დრო გამოშვებით აქ იმართება სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენები. საზოგადოებაც თეატრს უყურადღებოდ არ ტოვებს თითქმის ყოველ წარმოდგენაზე ბლომად ესწრება. წარმოდგენები იმართება თითქმის საქველმოქმედო მიზნით. გასულ ივლისში განეზრახა წარმოდგენის გამართვა ქ-ნ ბ. დადიანისას. მომზადდა 20 ივლისისათვის წარმოედგინათ ა. ცაგარელის პიესა „ ციმბირელი“. ერთი მეორის დაუჯერებლობამ სცენის მოყვარეებში და წესრიგის უქონლობამ იმ ზომაზე აგვირია საქმე, რომ ერთი სერიოზული რეპეტიციაც არ გაგვიმართავს, რომლებიც ზოგს გადაუწერელი ჰქონდათ. ამ მომზადებით გვქონდა ბედნიერება გამოვსულიყავით სცენაზე. პირველ მოქმედებასვე ძალიან დაეტყო სისუსტე. პირველი მოქმედების სუსტად ჩატარებამ ცუდი გავლენა იქონია სცენის მოყვარეებზე და მეორე მოქმედება კიდევ უფრო სუსტად ჩატარდა. მესამე მოქმედების დაწყებისთანავე ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, რამაც გამოიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან სცენის მოყვარენი და საბაბი მისცა შეეწყვიტათ.

სასურველია შემდეგში მაინც აღარ განმეორდებოდეს ასეთი ამბები, საჭიროა მეტი პატივისცემით მოვეპყრათ თეატრს, მეტი შრომა და ენერგია უნდა დაიხარჯოს როლების შესწავლაზე და სხ. ამით, იმედია გულს არ გაიტეხენ სცენის მოყვარენი და გაკვეთილის შემდეგ მომზადებული გამოვლენ სცენაზე და სერიოზულათ ენერგიულად მოეკიდებიან საქმეს.

პატარა კაცი

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 4 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 38.

კოდორის ნაწილი (სოხუმის ოლქი)

სწავლა-განათლების კულტურული განვითარების მხრივ აფხაზეთი ერთი ჩამორჩენილი კუთხეთაგანია. აქ მინდა შევეხო ერთ კუთხეს აფხაზეთს, კოდორის ნაწილს. გასულ წელს გადაწყვიტეს გაეხსნათ დ. ოჩემჩირეში სამოქალაქო სასწავლებელი და ზოგიერთ საზოგადოებებში ორკლასიანი სამინისტრო სკოლები. სამოქალაქო სასწავლებლის შენობის ასაგებად გაინაწილეს საჭირო თანხა, ორ-კლასიანი სკოლებიც იხსნება სოფლებში და იმედია დღეიდან მაინც აფხაზები სწავლა-განათლების მნიშვნელობას ყურადღების ღირსად გახდიან და საერთო წინსვლის ფერხულში ჩაებმებიან. დღემდე კი არსებობს აქ სოფლებში მხოლოდ ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სამინისტრო და ზოგან სამრევლო სკოლები და მხოლოდ ერთი ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი დ. ოჩემჩირეში, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ოჩემჩირის რაიონი რამდენიმე ათეულ ვერსზეა გადაჭიმული, დავინახავთ რომ დაბაში არსებულ ნორმალური სასწავლებლით არ შეეძლოთ ესარგებლინათ ამ რაიონის მცხოვრებთ, რაც ნათლად მტკიცდება ახალგაზრდა აფხაზთა წერა-კითხვის სრული უცოდინარობით. საერთოდ აფხაზები, მეზობელ ხალხთან შედარებით, კარ- ჩაკეტილად ცხოვრობენ, სამხედრო ბეგარისაგან თავისუფალნი არიან და აფხაზეთის საზღვრებს იქით. ნაკლებად აქვთ საქმე. აფხაზების უმთავრეს სატრფიალო და გასართობ საგანს შეადგენს ცხენოსნობა და „მარულას“ (დოღი) თამაში, მუშაობაზე კი ნაკლებად იწუხებენ თავს. ნოყიერი ნიადაგი აფხაზეთის მიწისა, საშუალებას აძლევს მათ, თუ ხელს გაანძრევენ, გურულ ან იმერელ გლეხებთან შედარებით, უდარდელად იცხოვრონ, მაგრამ საზოგადოების ნაწილს სიზარმაცისათვის ვერ დაუღწევიათ თავი, შრომას თაკილობეთ დაურდობას ეტანებიან. ქურდობას თავადებმაც მიჰყვეს ხელი... და ა .შ.

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 8 აგვისტო, კვირა, გვ. 41.

დ. ოჩამჩირე

6 აგვისტოს ბოქაულის თავმჯდომარეობით, შესდგა კოდორის ნაწილის თავად აზნაურთა და ოჩამჩირის საზოგადოების შეერთებული კრება, როგორც ამ კრებაზე გამოირკვა, თავადაზნაურთ მიუმართათ თხოვნით სოხუმის ოლქის უფროსისათვის მიეცეთ მათ (თავადაზაურებს) სამოსახლოთ დაბისადმი კუთვნილი,ზღვის პირად მდებარე ადგილი, სახელდობრ „ძველი ოჩემჩირე“. ოლქის უფროსს მოწერილობა გამოუგზავნია დაბის მმართველობისთვის, მოეწვიათ კრება დაბისა, განეხილათ ეს კითხვა და პასუხი მიეცათ თავადაზნაურებისათვის. ამ მიზნით იყო მოწვეული ეს კრებაც. საზოგადოებას კრების გახსნისთანავე გაეცნო კითხვას და წინადადება

მიეცა, ბოქაულის მიერ, პასუხი გაეცათ ამ კითხვაზე. თავადაზნაურობა თავიანთ მოთხოვნოლების საფუძვლიანობას ასაბუთებდა შემდეგი მოსაზრებით: „ჩვენ აფხაზები აქაურნი მკვიდრნი ვართ და დაბის მცხოვრებთ არა აქვთ უფლება არ მოგვცენ აქ დასახლების საშუალება, ამას გარდა, ჩვენ ვაკისრებთ სამოქალაქო სასწავლების შენობის ასაგები თანხის ნაწილის გადახდა, იმ მოსაზრებით რომ ვისარგებლებდით იმ სასწავლებლით და თუ აქ ვერ დავსახლდით, ისე სასწავლებლით ვერ ვისარგებლებთო.“ თავად-აზნაურები ამ მოთხოვნილებას აყენებენ, როგორც მაღალი წოდების ისე გლეხთა სახელითაც, თუმცა გლეხები არც კრებებზე ესწრებიან და არც დაინტერესებულნი არიან ამ კითხვაში. „უჩასტკების“ დანაწილებაში, ცხადია, მაღალწოდებას უპირატესობა მიეცემა და ხსენებულ ადგილას სიმცირის გამო (დაახლოებით 50-60 სამოსახლო ნაჭერი იქნება) ეს ადგილი მარტო თავად-აზნაურთ დააკმაყოფილებს და გლეხები განზე დარჩებიან; მაგრამ თავად-აზნაურებს გლეხების სახელით ლაპარაკი სახეიროთ მიაჩნიათ, რადგანაც ასეთი გულკეთილობით ნიადაგს იმზადებენ გლეხებში და საჭიროების დროს, მათგან ზურგის გამაგრებას მოელიან ამ კითხვაში. ეს კითხვა თავად-აზნაურებში დაიბადა მას შემდეგ, რაც სამოქალაქო სასწავლებლის შენობისათვის ფული გაწერეს კოდორის ნაწილის მცხოვრებლებს თავად აზნაურებს სასკოლო ფულის გაღებით საბაბი მიეცათ დაბისაგან სამაგიეროს მოთხოვნისა და ზემოთ ნათქვამი მოთხოვნილება წამოაყენეს. ოჩემჩირის სამოქალაქო სასწავლებლის შენობის აგებისთვის თანხის ნაწილის გადახდა იკისრა, როგორც ვიცით, მთელმა კოდორის ნაწილმა და არა მარტო თავად აზნაურობამ, მაგრამ, ალბათ, მაღალ წოდებას გლეხები თავიანთ მაჩანჩალებად მიაჩნია და სურს გლეხების მიერ გადახდილი სამოქალაქო სასწავლებლის ფულით, დაბის სამოსახლო დალალო ხელიდან. ოჩემჩირელებისათვის ეს კითხვა ახალი იყო ამ დღეს და ამიტომ სთხოვეს თავადაზნაურთ მოსაფიქრებლად დრო და მომავალ კრებაზე შეპირდნენ პასუხის გაცემას. თავადაზნაური ასეთი პასუხით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა ჩქარი და გადაჭრილი პასუხი ოჩამჩირელებისაგან. ერთმა თავადმა ჯერ ჯიქური სიტყვებით ლაზათიანად მილანძღა ოჩემჩირელები – ეს „მეგრელები თუ ვიღაც ხონიდან მოთრეულები ქართველები“ და ბოლოს მუქარა დააყოლა „თუ მოგიციათ რიგიანი პასუხი ჩვენ მოთხოვნილებაზე ხომ კარგი, თუ არა, ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანთ და ვნახოთ ვის მეტი შეუძლიაო“. თავადების ასეთმა საქციელმა დაბელები ჭკუაზე მოიყვანა და ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილებმა დაიწყეს კითხვაზედ სჯა-ბაასი, რომ პასუხი გაეცათ მბრძანებელთათვის და თავიდან აეშორებინათ მათი რისხვა. როგორც აქ გამოირკვა, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ოჩემჩირელები დაპირებიან „ძველი ოჩემჩირის“ უფროსთ დათმობას. ინჟინერ კაცმან-ბუთმანს, რომელიც იმ დროს აპირებდა ს. ტყვარჩელში შავი ქვის წარმოების დაწყებას და ოჩემჩირელებისთვის აღუთქვამს ბუხტის გაშენება ოჩემჩირეში, თუ ხსენებულ ადგილს უფასოთ დაუთმობდნენ დაბაც დათანხმებია. მას შემდეგ ათი-თხუთმეტი წელიწადი გადის და ხსენებული ინჟინერის არაფერი ისმის და ბუხტის გაშენებაზეც არავინ იწუხებს თავს. 6 აგვისტოს სხვა რომ ვერაფერი გაახერხეს ოჩემჩირელებმა, გაიხსენეს ეს დაპირება ხსენებულ ინჟინერზე და თავადაზნაურებს შემდეგი მოახსენეს; ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ მოგცეთ (რა თქმა უნდა ფასათ) სამოსახლოთ ხსენებული „ძველი ოჩემჩირე“, თუ თავიდან მოგვხსნით პასუხისმგებლობას ინჟინერ კაცმან-ბუთმანის წინაშეო“. ცხადია

ზემო აღნიშნული საბითუმო გაჭირვებისა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა საზოგადოებამ მეტი ვერაფერი გაახერხა და ასეთი საბუთებით აიცილა ამ დღეს გადაჭრილი პასუხის მიცემა.

ეს რამდენიმე წელიწადია შესამჩნევათ იზრდება ეს დაბა, რამაც გამოიწვია სამოსახლო მიწების სიძვირე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თავად-აზნაურობა დღემდე დაბის ცხოვრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა და დაბაში დასახლება არაფრად ეჭაშნიკებოდათ, რადგანაც მონა-მორჩილი გლეხობა სოფლათ ეგულებოდათ და მათთან ბატონყმურ დამოკიდებულობით სარგებლობდნენ. ახლა კი ბატონ-ყმური დამოკიდებულება მათ შორის შეირყა ხსენებულ წოდებას გავლენა ეკარგვის გლეხებში, ამიტომ ცდილობენ არსებობის შესარჩენ ახალი გზის აღმოჩენას დაბის ზრდა და გაშენება დაინახეს თავიანთ თავს მკვიდრად აცხადებენ. მე არ შეუდგები იმის განხილვას, თუ როგორ მოიქცევა აქ დაბა, მხოლოდ მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგს: თავად-აზნაურთ თავის ინტერესები გამოაქვთ მთელი გლეხობის ინტერესებათ ოჩემჩირელებზე ილაშქრებენ ამ კითხვის გარშემო, რამაც შეიძლება გლეხობაზე გასჭრას მტრული თვალით დაუწყონ ცქერა ოჩემჩირელებს.

გაზ. „ახალი გზა“, 1910 წ. 19 აგვისტო, ხუთშაბათი, №50, გვ. 4.

გაზეთი „დროება“

...უმწეო მდგომარეობაში ადგილობრივ ბიუროკრატებს ჩაუგდია არა მარტო პარნაუთელი მეგრელნი: იგივე უბედურება თავს დაატყდათ დალელ. სვანებსაც 1905 წელს – გაზაფხულზე. მე მათ ვესტუმრე 1908 წელს ივლისში და აქ მომყავს ზოგიერთი ცნობა ჩემი უბის წიგნაკიდან, მაგრამ იძულებული ვარ ცოტა უფრო შორიდან დავიწყო.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, პირველ ხანებში, როცა აფხაზეთი დაცარიელდა, ბიუროკრატია მაინცდამაინც ხელს არ უშლიდა ქართველები დასახლებულიყვნენ პარტახად ქცეულ აფხაზთა ნამოსახლარზე და ამის წყალობით გაშენდა რამდენიმე სოფელი მეგრელთა სოხუმის ოლქში. შემდეგ კი ადმინისტრაციამ აზრი შეცვალა და ყოველ ღონეს ხმარობდა აფხაზეთიდან ქართველთა გამოსაძევებლად. სხვათა შორის, აფხაზს წაართვეს უფლება მეგრელი ჩაესიძებინა და თავისი სათემო უფლება ამ გზით მეგრელებისათვის გადაეცა. საზოგადოების თანხმობით, რასაკვირველია! წინათ კი ოროდე მარკა სჭირდებოდა ამ საქმეს და მეტი არაფერი. ამ გზით დიდ-ძალი მეგრელობა ჩაითესლა აფხაზთა შორის, რადგან აფხაზის აზრით, მეგრელის ხელში ქალი ბედნიერია, ეს ერთადერთი საშუალებაც მოუსპო ბიუროკრატიამ მეგრელთ.

სწორედ ასეთ დევნის ხანაში ოცდაათი კომლი სვანი გადმოვიდა კოდორის ხეობით და დასახლდა დალის ხეობაში აფხაზთა ნასოფლარ ტიშში, რომელიც მდებარეობს მდ. ჩალთის ხეობაში, 84 ვერსზე ქ. სოხუმიდან. ტიში (ТЫШЬ) დაცარიელდა 1664 წელს და მას შემდეგ ადამიანის ხელი არ მიჰკარებია, რის გამოც ეს ოდესღაც მშვენიერი სოფელი ტყედ გარდაიქცა. ამ ტყის გადაჩეხა და გაწმენდა ბედმა არგუნა 30 მოსახლე სვანს. ესენი თავიანთ სამშობლოში, სვანეთში, ბატონობის უზომო გა-

დასახადებით შეწუხებულნი იძულებულნი იყვნენ აფხაზეთში გარდასახლებულიყვნენ. აქ „ლესნიჩიმ“ რუსთა „ხოდოკებისაგან“ ათვალისწუნებული ტიში გარდასცა იჯარით მათ. გაჭირვებისაგან შეწუხებულ ადამიანის მხნეობას რა დაუდგება წინ? სვანებმა მიჰყვეს ხელი მუშაობას და 4 – 5 წლის განმავლობაში დათვთა და მგელთა საბუდარი მშვენიერ სოფლად გადააქციეს და ის იყო, ამოდენა ვაი-ვაგლახის შემდეგ თავისუფლად ამოსუნთქვას აპირებდნენ, რომ ახალი უბედურება დაატყდათ თავს: გამოვიდა ბრძანება: დაუყოვნებლივ აჰყარეთ სვანები და ეს ადგილი მიუზომეთ რუსებსაო!“ ვის არ მიმართეს, ვის არ შესჩივლეს საცოდავმა სვანებმა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, გაზაფხულზე ამოვიდნენ სტრაჟნიკები და აჰყარეს სვანები. მათი ქოხმახები და სასიმინდეები მიწასთან გაასწორეს და მცხოვრებნი გარეთ გამოჰყარეს და ამ რიგად, სვანს, როგორც „ტუზემცს“, იჯარითაც არ მისცეს ის ადგილ-მამული, რომლის გაწმენდაში ჩაღუპა მან „საუკეთესო ნაწილი თავისი ცხოვრებისა“ და მის გულის გასახეთქად იგივე ბინა ხვეწნით და დიდის შეღავათით შორეულ ადგილებიდან მოსულებს შეაძლიეს.

...უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც ეს ადგილი არც ერთმა „ხოდოკმა“ არ მოიწონა და ამიტომ სვანთაც იმედი არ დაჰკარგვიათ მისი დაბრუნებისა. მით უფრო, მითხრეს რომ „ქუთაისში გუბერნატორს ვეახლეთ (ვგონებ 80 კაცი ერთად) დაგვპირდა, დაგიბრუნებთო. ახლა მღვდელიც (რუსია) გვეხმარებაო.

ასე და ამ რიგად, აყრილმა სოფლებმა თავი შეაფარეს ალ. სარაჯიშვილს და უფ. კეცენკოს, რომელთაც დალის ხეობაში აქვთ მამულები. ამ ჟამად (უკვე ჩემი ყოფნის დროს 1908 წ.) დალის ხეობაში ცხოვრობდა 76 მოსახლე. ეხლა ალბათ მეტიცა იქნება. ესენი დაფანტულად ცხოვრობენ სხვა და სხვა მემამულის „ნადელებზე“, უმთავრესად კი სარაჯიშვილისა და კეკენკოსა და ძმათა ვოინო-ორანსკების მამულებზე. იჯარის ქირა დიდი არ არის: კეცენკო და ალ. სარაჯიშვილი ახდევინებენ დესეტინაზე 5 მ. ხოლო ვოინო-ორანსკები კი 6 მ. საიჯარო გადასახადის ასეთი სიმცირე აიხსნება ბაზართან დაშორებით: 74-90 ვერსით დაშორებულია სოხუმზე, რის გამოც მაგ: ერთი ფუთი მარილი აქ 90 კ. სოხუმში 1 ფუთი ტვირთის ჩატანა ღირს 50 კაპ. ზაფხულობით, ხოლო ზამთრობით გზა თითქმის შეკრულია. ამათ არც სკოლა, არც ეკლესია აბადიათ. საკუთარი მამასახლისიც არა ჰყავთ: ზედ მიწერილნი არიან აჭარას (აჟარას – რედ.), სოფ ააგრაში (აჟარა – რედ.) ცხოვრობს 19 კომლი რუსი, რომელთაც სკოლაც და ეკლესიაც აქვთ. აი, 19 კომლს უნდა დაემორჩილოს 76 კომლი სვანი.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დალის ხეობას მოაწყდა სვანობა, აქ მათ კონკურენტი არა ჰყავთ კერძო პირთა ნადელებზე, რადგან მეთუთუნე სომეხ-ბერძენ-თათარს აქეთკენ ჯერ ფეხი არ ჩაუდგამს და ამიტომ მოსალოდნელია დიდი ძალი სვანობა გადმოსახლდეს. აი ამათ ესაჭიროებათ ეხლა დახმარება და შემწეობა. აქ შედარებით მამულებიც იაფად იყიდება, რომ სესხს მოუხერხებდეს ვინმე, მივაქცევთ გულშემატკივართა ყურადღებას.

გაზ. „დროება“ 1910 წ. 31 იანვარი, კვირა, №24, გვ. 3.

აფხაზეთისა და აფხაზთა შესახებ

ამ მოკლე დროში სოხუმშიაც დაარსდა ფილიალური განყოფილება ქ. შ. წ-კ. გ. საზოგადოებისა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

– რედ.), რაიცა დიდად სასიხარულოა. სოხუმელთ და კერძოთ საქმის მოთავეთ მხნეთ მოჰკიდეს საქმეს ხელი, რის გამოც წევრთა რიცხვი 200-მდე ავიდა. საზ-ბის სასარგებლოდ გამართულმა საღამომაც ჩინებულად ჩაიარა...

...ქალაქი სოხუმი და მისი მიდამო, რაღაც განგებით გადაიქცა ასპარეზად ქართველთა დევნისა და შევიწროებისა: აქ ხშირად სრულიად საკმაოა მარტო „ქართველობა“, რომ ცივ გუბერნიებში გიკრან თავი! ქართული ენა განდევნილია სკოლიდან, ეკლესიაში არ აძლევენ ნებას ქართველებს ქართულად მოისმინონ წირვა-ლოცვა; ამასაც აღარ დასჯერდნენ და სლავურად სრულდება კერძო ხასიათის მღვდელ-მოქმედებასაც – დასაფლავება, ჯვრისწერა, თუ მონათვლა შეიძლება ისიც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ისევ ძველი დრო დაგვიბრუნდეს. აქაურ ჭეშმარიტ რუსთა თვალში ყველა „ტუზემცი“ „ოსნოვების“ ძირის გამომთხრელია, ხოლო „გრუზინები“ კი „ტუზემცთ“, კვინტ-ესენცია. აი ამიტომ ჩვენზე იერიში მოაქვთ და არავითარ ძალ-ღონეს და საშუალებას არ ზოგავენ, რომ რაიმე გვავნონ...

...რითი და როგორ ეშველება საქმეს? – გზა მხოლოდ ერთია შეერთებული ძალებით ბრძოლა უკუღმაღთ ბედთან...

საჭიროა დღესვე დავაარსოთ პირველდაწყებითი სასწავლებელი ქ. სოხუმში, მართალია, საშუალება ცოტა გვაქვს, და გაგვიჭირდება მისი შენახვა, თუმცა შეუძლებელი არ არის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი და კერძოდ ქველმოქმედნიც დახმარების ხელს გამოგვიწვდიან და საშუალებას მოგვცემენ ამ საქმეს საძირკველი ჩაუყაროთ. ჩვენ, სოხუმელთ, მშვენიერი მარგალიტიც თვალწინა გვაქვს: აფხაზეთში გაფანტული სომხობა 10 კომლი სადმე მოიყრის თავს თუ არა, მაშინვე სკოლას დაარსებას. მათთვის პირველი საკითხია სკოლა და სკოლა. ნუთუ ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ და არ მივბაძოთ სოფლის კეთილ საქმეს? დროა გონს მოვეგოთ და დაუყონებლივ საქმეს შევუდგეთ...

...აკი ასწავლიანო ქალთა გიმნაზიაში, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებლებშიო, იტყვით. დიახ, ასწავლიან მაგრამ ვაი ამისთანა სწავლებას! იქ-სადაც სასწავლებლის ატმოსფერო გაჟღენთილია უზომო სიძულვილით ამ ენისადმი, სადაც ეს ენა დევნილია, მისი გაკვეთილები, ისიც კვირაში ორიოდე, მეექვსე საათზე დანიშნული, როცა ყრმათა გონება სულ აღარ მუშაობს, სადაც ბბ-ნნი პედაგოგნი წარშეუხრელად უწოდებენ ამ ენას „животный язык“-ს, იქ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, იქ მასწავლებელს თითქმის არაფრის მიცემა არ შეუძლიან... (შემდეგ საუბარია საზოგადოების როლზე არსებულის გამოსასწორებლად – რედაქტორი).

...დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან პირველ-დაწყებით სკოლას, რომლის გამართვას სოხუმელნი ეხლავე უნდა შეუდგნენ. თან ეს სკოლა უნდა გადაიქცეს პატარა კერად, რომლის გარშემოც მოიყრის თავს სოხუმელი ქართველობა. შეხეთ კავკაველთ: თავიანთი სკოლა კულტურულ ცენტრად გადააქციეს და მასთან ეკლესია, თეატრი და სხვ. დაარსეს...

ჰამუთ-ბეი

გაზ. „დროება“, 1910 წ. 7 მარტი, კვირა, №52, გვ. 3-4.

სოხუმი

ტფილისის დასი ვლ. ალექსი-მექსხიშვილისა და კ. მესხის მეთაურობით სოხუმსაც სწვევია. ორ აპრილს წარმოუდგენიათ „ურიელ-აკოსტას“, სამ აპრილს – „ჰამლეტი“.

გაზ. „დროება“, 1910 წ. 7 აპრილი, ოთხშაბათი, №77, გვ. 4.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“

ჩვენმა რედაქციამ კიდევ მიიღო შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები... სოხუმიდან: სოხუმიდან ქართველები გრძნობენ რა განსაკუთრებულ სიმწარეს ჩვენი შემოქმედებითის ძალთა ნიჭიერ წარმომადგენლის გარდაცვალებისა გამო, ვაცხადებთ ჩვენ უღრმეს მწუხარებას.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 27 აგვისტო, პარასკევი, №93, გვ. 2.

სოხუმში

საადგილ-მამულო გადასახადების გამწერმა საოლქო საკრებულომ დაადგინა გაამრავლოს სოფლად სამკურნალოთა რიცხვი, გახსნას ახალი საფერშალო პუნქტები და ორი სასოფლო სკოლა.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1971 წ. 21 აგვისტო, შაბათი, №88, გვ. 3.

ზომები შავი ჭირის წინააღმდეგ სოხუმში

როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება კავკასიის სამედიცინო ნაწილის გამგის თავმჯდომარეობით სოხუმში შემდგარა ხსდომა შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. საჭიროდ უცვნიათ ყველა იმ გემებს, რომელნიც შავი ჭირით დაავადებულ პუნქტებიდან მოდიან მოსთხოვონ მოწმობა, რომ მათ ვირ-თაგვები არ მოჰყოლიათ.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 20 აგვისტო, პარასკევი, №87, გვ. 2.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ნება დართო ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას სკოლის გახსნისა ქ. სოხუმში. სკოლა გაიხსნება 1 ენკენისთვიდან. მასწავლებლად გადაყვანილია ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი ნიკო ჯანაშია.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 8 მაისი, №2, გვ. 3 ან 4.

აფხაზეთისა და აფხაზთა შესახებ

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი და წარუშლელი კვალი დატოვა. აფხაზმა მწარე გამოცდილებით შეიგნო ის ჭეშმარიტება, რომ მის ძალთა გარეშე მისთვის ხსნა და შველა არსად არ არის, და ამიტომაც ზღაპრებსა და ილუზიების სამთავროს და სასარგებლო საქმეს ორივე ხელით ეჭიდება. საიმედო ნიშნები ამ გამოღვიძებისა

ჯერ-ხნობით მაინც ყველაზე უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოიხატება სწავლი-სადმი უსაზღვრო მისწრაფებაში. მდიდარი თუ ღარიბი გლეხი თუ აზნაური – ყველა უკანასკნელ ლუკმას არ იშურებს, ოღონდ თავისს შვილებს მეტი ცოდნა, მეტი შეგ-ნება მისცეს ცხოვრების ულმობელ ტალღებთან საბრძოლველად. რაც უფრო სასიხა-რულოა, ჩვენმა გლეხობამ შეიგნო, რომ ამ უკუღმართ სენთან – უვიცობასთან ნაყო-ფიერი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ შეერთებულის ძალღონით და სწორედ ამ გზას დაადგა იგი. აი მთელმა სამურზაყანომ ერთხმად გადაწყვიტა საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დაარსოს გალის სამრევლო საოსტატო სკოლასთან. სამურზაყანოე-ლი მთავრობაც ადგილობრივი სამრევლო სკოლების მეთვალყურის პირით ჰპირდება ხარჯების ნახევარში მოგიდგებიო. დაბა გუდაუთამ რის ვაი-ვაგლახით და როგორც იყო დაიარსა ვაჟთა პროგიმნაზია: ოჩამჩირეში უკვე გაიხსნა სამოქალაქო სასწავ-ლებელი და სხვადასხვა. ამჟამად მე მსურს მკითხველის ყურადღება შევაჩერო აქ-ვიბაქელებზე (სოფ. აქვიბაქა-კოდორი) სძევს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე და შედგება სულ ას სამოცი კომლისაგან (160) აი ამ პატარა საზოგადოებამ თავი გამოიდო და არა ერთსა და ორს საზოგადო საქმეს მოკიდა ხელი. ჯერ იყო სასოფლო დუქნები გაიშენა, რომელიც ყოველწლიურად აძლევს 300-400 მანეთს ნაღდ შემო-სავალს; ამ ზამთარში მეორე მეტად სასარგებლო საქმეს მიჰყო ხელი: საცაა დამ-თავრდება საზოგადო წისქვილის აშენება, რომელიც ყოველწლიურად არანაკლებ ასი თუმნისას მისცემს, შარშანვე დაიწყეს აქვიბაქელებმა სკოლის უზარმაზარი შენობის შენება, რომელიც მთავრობის „სმეტით“ 14. 500 მანეთამდის ეღირება. აი ამ პატარა, გარნა დიდი სურვილით შეერთებულმა და შეკავშირებულმა სოფელმა თითქმის სხვის დაუხმარებლად ამთავრებს ამ მეტისმეტად სასარგებლო საქმესა: ხუმრობა როდია ას-სამოცი მოსახლისათვის ოციათასად ღირებულ შენობის გაკეთება, გარნა საქმე ჩინებულად მიდის იმის წყალობით, რომ საზოგადოებამ შეიგნო თუ რაშიცაა ხსნა და შველა. უფრო სასიხარულოა ის რომ ეს პატარა საზოგადოება სხვისგან ძალა დაუტანებლივ და ერთსულად მოქმედებს. მე დავესწარი ამ კრებას, რომელზედაც დაადგინეს ამ სასკოლო შენობის აშენების შესახებ განაჩენი. აი ამ კრებაზე ერთ კაცს ხმა არ ამოუღია ამ საქმის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ამავე საზოგადოებამ 7 წლის წინათ თითქმის ერთხმად უარი ჰყო და არ მიიღო ისეთი მზა-მზარეული სკოლა, რომელიც მისგან თხოულობდა მარტო შეშასა და ნავთს. აი რა დიდი ნაბიჯი წასდგა წინ ამ პატარა სოფელმა. ხოლო სამწუხაროდ სხვადასხვა ვაჟბატონთ სოფლის სიბ-ნელეში ბედის მაძიებელთა წყალობით სოფელი აქვებაქა სკოლის საკითხებში ჩამოა-შორეს ამავე საზოგადოების სოფელი ათარა, რითაც დიდი ზარალი მიაყენეს თვით ათარელთ: მათ შვილთ ეხშობა გზა ამ სკოლისაკენ!

აქვე არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი ფაქტიც. როგორც მთავრობა, აგრეთვე სოხუმის საზოგადოებამ დიდ დახმარებას, ზნეობრივს თუ ქონებრივს უწევს ამ შემთხ-ვევაში სოფელ აქვებაქას. ასეთსავე დახმარებას მოელოდნენ ადგილობრივ უჩასტკის უფროსისაგან გარნა მოსტყუვდნენ. ამ ბატონის „პრიკაზით“ დაინიშნა კრება ათასელ აქვიბაქელთ უთანხმოების მიზეზთა გამოსარკვევად. ამ კრებას თვით პირადად უნდა დასწრებოდა. ჯერ სამ დღეს აცდევინა და აღარ მოვიდა, მეოთხე დღესაც კი იმდენად ბახუსის გავლენის ქვეშ მყოფი ჩამოვიდა, რომ არავითარი საქმე აღარ ეკითხებოდა. მან ქვევით განაგრძო, ხოლო ექვსი კაცი კიდევ ორ დღეს გააჩერა... მორიგების

მაგიერ საქმე ერთიანად გააფუჭა, აუწერელია ამ ვაჟბატონის მოქმედება...

ჰამუთ-ბეი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 1 ივნისი, სამშაბათი, №21, გვ. 3.

აბჟუვა (კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქისა)

...ამავე სახელმწიფო ადგილებზე მდინარე ღალიძგის პირად, არის ტყვარჩელის შესანიშნავი მინერალური წყლები (გოგირდი) ამ წყლების მკურნალობითი თვისებები ეჭვს გარეშეა, ეს წყლები აღმოჩენილია აფხაზეთის მთავრის დროს და მას აქეთ ყოველი წლობით დიდძალ ხალხს იზიდავს, როგორც აფხაზეთის ყველა კუთხიდან ასე უფრო სამეგრელოდან, მაგრამ მოსარჩენად მოსული ხალხი აქ დიდ გაჭირვებაში ვარდება: გარდა ერთი რამოდენიმე ოთახიანი სახლისა აქ სადგომი ბინა არ იშოვება, რადგან აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს გაშენებული სახლები გაფუჭდა და ახალი სახლების აშენების უფლებას არ იძლევა სახელმწიფო ქონებათა უწყება. ასე რომ აქ ფანჩატურებსა და უფრო ნოშოსაგან გაკეთებულ კარვებშია ხალხი ერთმანეთზე მიყრილი. ასეთ ბინაში ცხოვრებით რა შვება უნდა მიეცეს ქარებიან ავადმყოფებს, რომლებიც უმეტესად აქ მოდიან.

თვით აბანოც მეტისმეტად მოუწყობელია, რადგანაც არც იმის შეკეთების ნებას იძლევა მთავრობა. აბანო არის მთლად მდინარე ღალიძგის პირზე და მას პირდაპირ ზედ აკრავს მაღლად ამართული ციცაბო კლდე და ამ ფრიალოდან ცვივდება უზარმაზარი ქვები, რომლებიც ხვდება აბანოსა და მის მიდამოს. ერთი ასეთი ჩამოგროვებული ქვის მსხვერპლი შეიქმნა ამ მარიამობის თვის მეორე ნახევარში ზუგდიდის მაზრის ს. ლედგები ეს მცხოვრები ვიღაც ბულია. რომელსაც ქვამ თავი გაუჩეხა და იმ წამსვე სული დაალევია. რადგან ქვები მერეც ცვივოდა. ხალხი დაშინდა და წავიდ-წამოვიდა. თუმცა აქ სეზონი მაისის თვიდან ენკენისთვის შუამდე გრძელდებოდა.

არიან ბევრი კერძო პირნი, რომლებიც გვარიანად შეაკეთებდნენ ამ აბანოს, მთელი საზოგადოებაც შესდგებოდა ამ წყლების მოსაწყობად და საექსპლუატაციოდ, მაგრამ მთავრობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ამის ნებას არ აძლევდა არავის. ასე უპატრონოდ იყო დარჩენილი ტყვარჩელის მინერალური წყლები.

გუფუს საზოგადოებაში, რომელიც მოსაზღვრეა ამ ტყვარჩელთან. 1907 წლის შიმშილობის დროს დარიგებული სიმინდის ფასს ეხლა ახდევინებენ საზოგადოებას. პირველად თხოულობენ ვალის ერთ მესამედსა. ამ საქმეში ზოგი შეცდომა თუ ბოროტება აღმოჩნდა. იმ წელს შედგენილ მთავრობისაგან დახმარების მიმღებთა სიაში ჩატანილნი არიან რამდენიმე პირნი (ხუთამდი), რომელთაც იმ დროს ერთი მარცვალი სიმინდი და მაშასადმე ერთი კაპიკი ფული არ მიუღიათ. ამ თხოვნით მიმართეს მთავრობას და გამოძიება ვნახოთ რას გაარკვევს. მაგრამ სამაგიეროდ ისეთები გამოჩნდნენ რომ სიმინდი კი აუღიათ მაგრამ ამღების სიაში არ ჩანან.

აბჟუფაში მთავრობის სტრაჟნიკების გარდა სოფლის ყარაულები, სოფლის სტრაჟნიკებიც მოქმედებენ, რომელთა შესანახად კოდორის ნაწილის საზოგადოება 18 ათას მანეთს იხდიდა. ამ „ კამანდის“ უფროსებად არიან ურიაო, ავთ. ზვედელავა და აზ. ი. მარღანია. ამათ შესახებ თავად აზნაურობასა და გლეხობას შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი; თავად აზნაურობას სურს ესენი გამოსცვალონ და მათ ალა-

გას სხვები ჩააყენონ. ვინაიდან ამბობს გლეხობა ჩვენ ახლა თავისუფლად გვძინავ-სო. ქურდბაცაცები არ გვაწუხებენ. ხოლო მათი გამოცდა ქურდობის გამოღვიძებას მოასწავებსო. ასეა თუ ისე ღმერთმა ნუ ქნას რომ ქურდობა დაწყებულიყოს, აქაური ქურდობის მთელი ნება-ზარალი მხოლოდ იმას შეუძლია გაითვალისწინოს ვისაც აქ დიდხანს უცხოვრია...

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 2 სექტემბერი, ხუთშაბათი, №98, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

8 სექტემბერს მე დავესწარი სოხუმელ ქართველობის კულტურულ დღესას-წაულს: ამ დროს იყო დანიშნული კურთხევა სოხუმში ახლად გახსნილი ქართულ სკოლისა და არ შემიძლიან ის ბრწყინვალე იმედები მომავლისა, რომელიც ამ შემთხ-ვევამ აღძრა არ გავუზიარო მკითხველს.

თუმცა კურთხევა პირველ საათზე იყო დანიშნული, მაგრამ ხალხმა დილიდანვე დაიწყო დენა სკოლისაკენ, შენობა ვიწრო და უეზოოა, ამიტომ განიერი და ლამაზი ქუჩა ხალხითაა მოფენილი: ხალხის ზღვა ჭრელი და ფერადოვანი, სიხარულითა ღე-ლავს და ტოკავს შავი ზღვაც მათს საფუძვლიანს სიხარულს თავისი ტალღების დუ-დუნით ბანს აძლევს. ყველას პირსახეზე აღბეჭდილია სიხარული და კმაყოფილება; ყველას, დიდსა თუ პატარას, ახალგაზრდას თუ მოხუცს, ქალსა თუ კაცსა მხოლოდ ერთი სიტყვა „სკოლა“ აკერიათ პირზე „რა ბედნიერს დღეს მოვესწარიო, რომ საკუ-თარი სკოლა დავიარსეთო“, გაიძახიან ერთნი. ნუ დავზოგავთ ძალ-ღონეს, რათა ჩვე-ნი პირმშო – შვილი – ქართული სკოლა წელში გავამაგროთ, „აღვაყვავოთო“, იმედით აღსავსენი იმეორებენ მეორენი. ეჭვს, უიმედობას აქ ადგილი აღარა აქვს. „ერი გუ-ლადი, პურადი, მებრძოლი თავის ბედისა“, იქმნა უმოქმედებისაგან და ერთგულად და ერთსულად საწმეს ხელი მოჰკიდა, და რა შავბნელ ძალას შეუძლიან გზიდან გადაარეევინოს, საშვილიშვილო საქმე ჩაუფუშოს?! წინ, მხნედ და გაბედულად წინ!!

აი, პირველი საათიც შესრულდა; საპატიო სტუმარიც მობრძანდა, და სანამ მღვდელ-მოქმედებას შეუდგებოდა, მამა მიხეილ გვაზავა გრძნობიერი სიტყვით მი-ჰმართა საზოგადოებას, უსურვა სკოლის აყვავება და ეკლესიის საჭიროებაც განუმარ-ტა. ამის შემდეგ იწყება მღვდელ-მოქმედება. ხალხი სმენადაა გადაქცეული, ამჟამად მთელი მისი არსება მხოლოდ ამ სკოლის გარშემო ტრიალებს. მას დასტრფის, მას შეჰხარის. მისი ლოცვის საგანი ახლად დაარსებული, სოხუმელ ქართველობას კულ-ტურულად შემაერთებელი სკოლა. თავდება მღვდელ-მოქმედება, და ნ. თავდგირიძე გრძნობით აღსავსე სიტყვაში უხსნის საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამ-შობლო ენას, კერძოთ თვითოეულ ადამიანისა და საზოგადოთ ერის ცხოვრებაში: მეტად ნასიამოვნები საზოგადოება იფანტება და ზანტად იშლება. ბავშვთა მალხაზი გუნდიც გაუდგა გზასა...

...ახლა საზოგადოება მარტო იმასღა სცდილობს, რომ გალის ამ დრომდე სკოლას საკუთარი შენობა გაუჩინოს. მიწა უკვე ქალაქმა დაუთმო – 1248 ოთხკუთხი საჟენი, უკვე შედგა სამშენებლო კომისია, რომელიც ხელის მოწერით ფულს აგროვებს და თვითოეული წევრი საზოგადოებისას მიაქვს თავისი წვლილი და სიხარულით ეწევა. აი, ორიოდე მაგალითი: აგერ ბახვა მოსეს ძე გაბუნია სწირავს ამ სკოლას ორმოც ქცევა მიწას; არც ისე მდიდარია ქონებით ეს პატიოსანი მამულიშვილი, მაგრამ შეგ-

ნებით, გულით კი უხვი და მდიდარია და ორმოც ქცევას სწირავს. აი კიდევ პატივცემული ილარიონ მერაბის ძე მაღლაკელიძე 500 მანეთს სძღვნის ამ სკოლას, და თან უმატებს: „თუ კი საჭირო იქნება ამას არ დაგაჯერებთო“. აგერ ქ. საჩინო იოსელიანი ერთი წლით უფასოდ უთმობს სკოლას სამს ოთახს. (წლიურად ღირს არა ნაკლებ 400-500 მან.) – აბა ერთი კიდევ რომელი ჩამოგითვალოთ მკითხველო. აი კიდევ ბრჭყვიალა ფოლაქებით დამშვენებული „ჩინოვნიკიც“ კი გემის საუცხოვო მოდელით მიეშურება სკოლისაკენ და სხვა და სხვა.

რასაკვირველია, აქაც გამოჩნდა თითო-ოროლა „ქართველი“, რომელსაც სხვისი ჭირი ღობეს ჩხირად მიაჩნია, და საზოგადო საქმის ხსენება მეფისტოფელური ღიმილით გიმასპინძლდება, საბედნიეროდ ესენი გამონაკლისნი არიან.

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეში სოხუმელ ქალებსაც მეტად საპატიო ადგილი უჭირავთ. ესენიც მამაკაცებს არ უვარდებიან და ქართული სკოლისათვის დიდათა ზრუნავენ. მაშ, ვუსურვოთ სოხუმელ ქართველობას გამარჯვება, ხოლო მათ ახალ სკოლას სრული წარმატება.

ჰამუთ-ბეი

გაზ. „სახალხო გაზთი“, 1910 წ. 25 სექტემბერი, შაბათი, №116, გვ. 3.

სახარება აფხაზურს ენაზე

ამ ჟამად გაზეთების სიტყვით, ნამესტნიკის სტამბაში თურმე იბეჭდება სახარება აფხაზურს ენაზე. მოკლე ხანშივე შეუდგებიან საეკლესიო საგალობლების ნოტებზე ბეჭვდას აფხაზურს ენაზე.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 28 სექტემბერი, სამშაბათი, №118, გვ. 3.

უფასო სკოლა

სოხუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ ქ. სოხუმში დააარსა უფასო სკოლა ღარიბი მოწაფეებისათვის. ამ სკოლაში ასწავლიან ჭრა-კერვას. მოწაფეთა მიღება უკვე დაიწყო. სულ მიიღებენ 40 ბავშვს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 11 ოქტომბერი, სამშაბათი, №129, გვ. 3.

სამრევლო სკოლები

უმაღლესი მთავრობის მიერ გადადებული 53398 მ. უკვე გადანაწილდა სამრევლო სკოლებს შორის. კავკასიის ეპარქიის სამრევლო სკოლებს მიეცათ წელს – 9,010 მ. ქართლ-კახეთისას – 11, 984 მან. გურია-სამეგრელოსას – 13,766 მან. იმერეთისას – 12,738 მან. და სოხუმისას 5,900 მან.

1911 წლისთვის დანიშნული თანხა (160, 197 მან.) ასე იქნა გადანაწილებული: კავკასიის ეპარქიას – 27, 032 მან. ქართლ-კახეთისას – 35, 952 მან. გურია -სამეგრელოსას – 41,258 მან. იმერეთისას – 38,215 მან. სოხუმისას – 17, 700 მან.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 17 ოქტომბერი, კვირა, №134, გვ. 3.

კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქისა

იხ. აქვე: ოჩამჩირეში – იყოლიონ თუ არა რაზმი – ავაზაკთაგან, ყაჩაღთაგან თავდასაცავად.

ყაჩაღობა დაჭრის მაგალითები (რედ.).

გენერალი ტიზენგაუზენი დ. ოჩამჩირეში სენაკ-ტუაფსეს რკინიგზის თაობაზე და სოხუმისაკენ გაემგზავრა.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 21 ნოემბერი, კვირა, №164, გვ. 4.

ათონის მონასტრის ქართველმა ბერებმა კავკასიის ნამესტნიკს სთხოვეს, დაგვიფარეთ ბერძენ – ბერთა შევიწროებისაგან. ისინი იძულებულ გვყოფენ ათონიდან სხვაგან გადავსახლდეთ; მას გარდა მათ დაგვინგრიეს ახლად შეკეთებული იოანნე ნათლისმცემლის ტაძარი.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 27 ნოემბერი, შაბათი, №169, გვ. 3.

სოხუმი

(იხ. აქვე ლექიანები – სანატორიუმებში უადგილოების გამო უკანვე ბრუნდებიან ყავახანები – ნარდი, კარტი – რედ.)

...ინტელიგენციას ხომ სძინავს.

კარგი იქმნებოდა რომ აქაურ ნოქრებს, როგორც სხვა ქალაქის ნოქრებს, მაგ; ქუთაისის, ტფილისისას, ფოთისა და სხვა ქალაქებისას, ჰქონდეთ პროფესიონალური კავშირი და დიდი ხნის ძილისთვის მიენებებინათ თავი და გამოღვიძებულიყვნენ.

ქართული ენა ხომ თითქმის განდევნილია აქაური საშუალო სასწავლებლებიდან. აქაურ რეალურ სასწავლებელში მარტო ოთხ კლასამდი ასწავლიან ქართულს. ისიც კვირაში ერთი გაკვეთილია თითო კლასში, როცა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მეშვიდე კლასამდის არის შეემოღებული ქართული ენა და თითო კლასში 2 გაკვეთილია კვირაში.

არც რეალურ სასწავლებელშია კარგად დაყენებული ქართული ენა. საქალებო გიმნაზიაში, როგორც ერთმა მოწაფემ გადმომცა, ამ სასწავლებელში მოწაფეებს ქართულად ლაპარაკსაც კი უშლიან.

ერთად ერთი აქაურ ქართველების გული ადგილობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოები თავმჯდომარე ქ-ნი მაშო ანჩაბაძისა, იგი, რაც კი ძალა აქვს საზოგადოებას ახმარებს. მისი თაოსნობით გაიხსნა ქართული სკოლა წ. კ. გ. ს. სახელით.

აქაურ საქალაქო სამკითხველოში კაცის თვალი ვერ ნახავს ქართულ გაზეთს.

მიკვირს, რომ ბ-ნი მაჭავარიანი არ აქცევს ყურადღებას, რომელიც ამ ბიბლიოთეკის მეთვალყურეა და ქალაქის თავის მოადგილე.

ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები ხომ სანთლითაა საძებნი.

იმედია, თუ აქამდის არა, ეხლა მაინც მოიგონებს ბ-ნი მაჭავარიანი, და ბიბლიოთეკისათვის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. №170, გვ. 3.

1911

გაზეთი „ბათუმის გაზეთი“

სოხუმელ ქართველ მუშათა და ნოქართა მდგომარეობა

სოხუმის მკვიდრთა დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. შედარებით ეკონომიურათაც წელმაგარია ადგილობრივი ქართველები, მაგრამ მიუხედავად ამისა აქაური ქართველები ჩაფლულია წყვდიადის მორევში. აქ არ არის არავითარი გონებრივ-ზნეობრივათ წინ წამწევი რაიმე კულტურული დაწესებულება. ამ მხრით განსაკუთრებით სამწუხაროა დაბალი კლასის, მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა. მათთვის არავითარი გონებრივი საზრდო არ არის. ქალაქის სამკითხველოში სრულიათ არ მოიპოვება ქართული ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. სახალხო უნივერსიტეტმა ხომ სალათს ძილით მიიძინა. ასეთივე ბედი ეწია ქართულ სცენის მოყვარეთა წრესაც.

სამაგიეროდ აქ მრავლათ არის საყავეები და სამიკიტნოები, სადაც ჩვენი მუშები და ნოქრები თავიანთ თავისუფალ დროს ატარებენ ბანქოს თამაშში და ღვინის სმაში.

მთელი დღის ნამუშევარი ორი გროშიც აქ მოაქვთ და ფლანგავენ. ამას ჩადიან ისეთი მუშები და ნოქრებიც-კი, რომელთაც თავი მოწინავეებით მოაქვთ.

დროა თვით ჩვენ, მუშებმა ჩავუკვირდეთ ჩვენს მდგომარეობას, შევქმნათ კულტურული დაწესებულებანი და ჩვენ თავსა და მოძმეთ მივაწოდოთ გონებრივ-სულიერი საზრდო, რომ უკეთესი პირობები მოვიპოვოთ, თორემ მარტო „დუშაშ-დუიაქე“ და ბახუსით შორს ვერ წავალთ.

ი. ჩხარელი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 4 ოქტომბერი, სამშაბათი, №63.

სოხუმის ქართულ-დრამატიული წრე

უკანასკნელ ხანებში აქაურმა ხალხმაც იგრძნო სახალხო თეატრების მნიშვნელობა და საჭიროება, და, შეძლების დაგვარათ, ხელსაც უწყობს მის აღორძინებს.

გასულს წელს სოხუმში შედგა მცირე რიცხოვანი წრე, რომლის მიზანი იყო შეედგინათ მოწინავე მუშათაგან სცენის მოყვარეთა დასი, ხელმძღვანელად-მოეწვიათ რომელიმე გამოცდილი მსახიობი და ემართათ იაფ-ფასიანი წარმოდგენები ადგილობრივ და მახლობელ პროვინციებში.

ამით წრეს უნდოდა საძირკველი ჩაედგა ადგილობრივ მუდმივ სახალხო თეატრისათვის. წრემ ნივთიერი უსახსრობის გამო დიდ ხანს ვერ განახორციელა თავისი მიზანი. იმავ წლის უკანასკნელ თვეებში სოხუმს ეწვიან მსახიობნი ქ. ელენე ანდრონიკაშვილი და ბ. შალვა დადიანი, რომელთაც რამდენიმე წარმოდგენების დადგმა სურდათ.

წრემ მოინდომა ესარგებლა ამ შემთხვევით და მიზანს დაახლოვებოდა წინადადება მისცა ბ. ა. დადიანს, რომ მას ეკისრა წრის ხელმძღვანელობა, ბ. დადიანი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას. შედგა დრამატიული წრე. დაიდგა წარმოდგენებიც. პირველ წარმოდგენებზევე წრემ საკმაო უნარი და შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, რითაც საზოგადოების მხრით ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა.

ამის შემდეგ ინტელიგენციაც მოგროვდა წრეში. ამას მოყვა წრეში კინკლაობისა და ინტრიგანობის გამეფება და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, წრემ წარმოდგენები მაინც მართა 1911 წლის მაისამდის. წარმოდგენების შემოსავლიდან წრე შრომის ფასს აძლევდა სამ მოწვეულთ მსახიობთ. ისტუმრებდა თეატრის შენობისა და სხვა ხარჯებს, რომელიც თითო წარმოდგენზე კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ადგილობრივ ქართულ სკოლას. ივნისში ქ. ან-ლი და ბ. დ-ნი კახეთისაკენ გაემგზავრნენ. ადგილობრივი საზოგადოებაც სააგარაკოთ წავიდწამოვიდა და ქართული წარმოდგენებიც შეწყდა. 1911 წლის სეზონისათვის წრემ კვლავ მოიწვია ქ. ან-ლი და ბ. დ-ნი, რომელთაც წრემ დაუნიშნათ თვიური სასყიდელი. (თვეში 150 მან. ორივეს და თითო ბენეფისი).

მოწვეულნი ამ დღეებში უკვე ჩამოვიდნენ და შეუდგნენ მუშაობას. წრემ შეიმუშავა და დაამტკიცა სახელმძღვანელო წესდება, ამოირჩია გამგეობა და სხვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წრე შეუდგება თანხმობით ენერგიულ მუშაობას, მოისპობა ყოველგვარი კინკლაობა და შეერთებული ძალღონით მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს, ამ საკეთილო საქმეს. წრეს განზრახვა აქვს ამ სეზონში დადგას შინაარსიანი პიესები, გამართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენები, მოიწვიოს გასტროლიორები და სხვა. დრამატიული წრე უკვე შეუდგა პიესების მზადებას. სეზონის გასახსნელი წარმოდგენა გაიმართება 15-ტოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება ვიქტორ რაშკოვის 4 მოქმედებიანი კომედია „სახელმწიფო სადგომი“ მ. მარჯანიშვილის თარგმანი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წრის განძრახვას და მუშაობას თანაგრძნობით შეხვდება ჩვენი საზოგადოება.

ი. ჩხარელი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 12 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №70, გვ. 3.

სოხუმში არსდება ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება, ამის გამო პეტერბურგის მთავარი გამგეობა სთხოვს ბათუმის ქალაქის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებას, რომ გაგზავნოს ერთი წევრთაგან ამ საზოგადოებისა სოხუმში და ადგილობრივ გაეცნოს ამ საკითხს და ეს ცნობები გაუგზავნოს პეტერბურგის მთავარ გამგეობას.

12 ოქტომბერს მოხდა საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქნა სოხუმში გასაგზავნათ საზოგადოების წევრი დ. გ. ელიავა, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება სოხუმში. აგრეთვე კრებამ სთხოვა ბ. მეფისოვს შეადგინოს ბროშურა ბათუმის ქალაქის ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების საქმის მდგომარეობის შესახებ საერთოთ. ბროშურები სახლის პატრონებს დაურიგდებათ.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 15 ოქტომბერი, შაბათი, №73, გვ. 3.

სოხუმიდან გვწერენ: ამ მოკლე ხანში დაიწყება მეცადინეობა საღამოს კურსებზე, რომელსაც სახალხო უნივერსიტეტი აწყობს სამოქალაქო სკოლაში. გარდა ამისა სახ. უნ. გამგეობას აზრათ აქვს გახსნას საბუღალტერო კურსები, რაც მეტად სასარგებლო იქნება. კარგი იქნება, რომ სხვათა შორის გამგეობა ლექციებს სისტემატიურად კითხვასაც მოაწყობდეს. უპირატესობა უნდა ქართულ ლექციებს მიეცეს, რადგან აქ მუშა ხალხის დიდ უმრავლესობას ქართველობა შეადგენს.

ქალაქის გამგეობის წევრი არჩევნები მოხდება 30 ოქტომბერს, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს „ანჩიბაძისტები“ თუ „ცეცხლაძისტები“.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 19 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №76, გვ. 2.

სოხუმი

შაბათს, 15-ს ოქტომბერს სამურიდის თეატრის შენობაში, ქართულმა დრამატიულმა წრემ ბ. შალვა დადიანის ხელმძღვანელობით ქ. ელენე ანდრონიკაშვილის მონაწილეობით გაიმართა პირველი სეზონის გასახსნელი წარმოდგენა.

„სახელმწიფო სადგომის“ მაგივრად, რაც აფიშაში იყო გამოცხადებული, წარმოადგინეს ა. ცაგარელის 3 მოქ. ისტ. დრამა „ლეკის ქალი გულჯავარი“. ყველამ იცის, რომ „გულჯავარ“ მეტად დრომოჭმული პიესაა, და არცა ღირს მისი ეხლა წარმოდგენა, მიუხედავად იმისა რომ პიესამ ძლიერ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. კარგმა და მოხდენილმა თამაშმა პიესის ყველა ნაკლი შეავსო. მშვენიერი იყო ქ. ე. ან-ლი გულჯავარის როლში, თავის თამაშით მან აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ქ. კ. კუხალეიშვილმაც კარგად შეასრულა ფატმანის როლი, მხოლოდ ცოტას ჩქარობდა ლაპარაკში, რის გამო გარკვევით არ ისმოდა მისი ნალაპარაკევი. ბ. შ. დ-ნი შეუდარებელი იყო ლევანის როლში, მან პირდაპირ განახორციელა ცაგარელის ლევანი. განსაკუთრებით II მოქმედების იმ ადგილას, სადაც ის სულიერ ტანჯვას განიცდის და ვერ გადაუწყვეტია ირაკლის მოკვლა, ბ. დ-ნის გრძნობიერმა თამაშმა ხალხში ქვითინიც გამოიწვია. კარგი იყო ბ. გ. ერქომაიშვილი რამაზის როლში. ბ. ერქომაიშვილს ეტყობოდა რომ ემუშავა და როლი კარგად შეეგნო და შეესწავლა. ბ. დ. კობახიძე (რევაზი) ბ. ვ. კოზმავა (ირაკლი) და ბახვისპირელი (ლევანის მხლებელი და აღმზრელი) ხელს უწყობდნენ წარმოდგენების მწყობრად ჩატარებას. ბოლოს ითამაშეს ახოსპირელის „გეურქ აღა და შანაჟისტები“, ამ უკანასკნელმაც კარგად ჩაიარა, ირჩეოდნენ ბ. ა. სანაძე, (გეურქაღა) და ბ. ს. ფრანდულიანცი (აკოფია).

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, რაც მეტად სამწუხაროა. სამწუხაროა, რომ სოხუმის ქართველი საზოგადოება ასე გულგრილად შეხვდა პირველი სეზონის პირველ წარმოდგენას.

შაბათს 22 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ერვიეს 3 მოქმედებიანი „ბრჭყალები“.

ი. ჩხარელი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 21 ოქტომბერი, პარასკევი, №78, გვ. 3.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

10 ოქტომბერი

I ნაწილი

12 წელია, რაც არ მენახა სოხუმი, ცვლილება ძალიან დიდია ამ ხნის განმავლობაში. თვალ-წარმტაცი სანახავია სოხუმის მიდამოები, როცა გემით უახლოვდებით და ხედავთ მის გარშემო გორებზე სხვადასხვა სტილზე აშენებულ თეთრ შენობებს. აქედან სულ სხვა სოხუმის სურათი: უფრო ევროპული, კულტურულათ მეტად განვითარებულ მხარეს ჰგავს იგი, ვიდრე კავკასიის რომელიმე ქალაქს. მაგრამ სულ სხვაა

ქალაქის შიგ მცხოვრებთა პირობები: აქ ჯერ ბევრი რამეა ისეთი, რასაც ჯერ კიდევ მტკიცე რწმუნებით შეუნახავს თავისი აზიური ცხოვრების დამღა. ქალაქის წინ, ზღვის პირას, სადაც პატარა და ვიწრო ბულვარია მოფენილი, ზღვიდან ქალაქში მიმავალ გზის პირას, ერთი ხის შენობაა აგებული – ბუფეტი, სადაც ასობით ხალხი სხედან და ნაწევარ პაპიროსის ბოლში ნარდის თამაშის საზარელი რახა-რუხი ისმის. ამ მდგომაეობაშია აგრეთვე ქალაქის წინ სიგრძეზე დამწკრივებული ყავა-ხანები და ამაზე უარესათ კი ქალაქის შუაგულში. ქალაქის შენობების უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის, როგორც მითხრეს, ჯერ ბერძნებს, მერე ქართველებს, თათრებს, რუსებს, სომხებს და სხვათა. (აგარაკებს არა ვგულისხმობთ). საკვირველია ირჩევა მამულები, რომელი ერის კუთვნილებას შეადგენენ. როგორც მამულებით, ისე წესრიგითა, ვაჭრობით და სისუფთავით უფრო წინ არიან ქართველები და მერე სხვა ერები. მაგრამ როგორც ვთქვით, რადგანაც სოხუმის გარშემო სოფლებში მცხოვრებლები უმთავრესად ოსმალეთიდან არიან მოსულნი, ამიტომაც ქალაქში ფეხს შედგამთ თუ არა უფრო ისევე როგორც ოსმალეთის რომელიმე ქალაქში ვაჭრობა და მოძრაობა მშვენიერია. მხოლოდ ყველაფერი მეტის-მეტად ძვირია და ამის მიზეზად ყველა იმას ასახელებს, რომ შენობების ქირა ნამეტანი ძვირია და დღე დღეზედ უმატებენ ფასებს. თუმცა ახალი შენობები ბევრი კეთდება, მაგრამ მაინც ჯერ დიდხანს გასწევს ეს პირობები.

ასეა თუ ისე ჯერჯერობით ბევრი რამე აკლია სოხუმს, როგორც ბევრგან, აქაც მისი მშვენიერი ჰავით ჯერჯერობით სარგებლობს მხოლოდ ხალხის „ბედნიერი“ ნაწილი. დრო არ დამირჩა, რომ სანატორიუმის შესახებ დაწვრილებით ცნობები გამეგო. სასტუმროები სულ გაჭედილია და ამიტომ მეტად ძვირი, მაგ: ჩვეულებრივი ბათუმში და თბილისში 1-2 მ-თიანი ნომერი აქ ღირს 3-4 მან. და მეტი. რასაკვირველია ცოტაოდენ სუფთა და რიგიან ადგილებში

როგორც დავატყვე აქ კვირაობით დიდძალი ხალხი აწყდება გარშემო სოფლებიდან სავაჭროდ, მაგრამ კვირაობით – კი სულ დაკეტილია მაღაზიები.

როგორც გადმოგვცეს თუთუნის ვაჭრობა, რომელიც შეადგენს სოხუმის ოლქის და ზღვის განაპირა სხვა ადგილების უმთავრეს სავაჭრო საგანს, წელს მეტად ნაკლებათაა. ამ გარემოებამ დიდი განვლენა იქონია მშრომელ ხალხზე და გულდაწყვეტილი უყურებს, თუ რა იქნება მომავალში. საერთოდ ძალიან ძნელია, როდესაც სოფლელს კაცს იმედები უცრუვდება და მისი შრომა არ ჯილდოვდება ამ მხრით უფრო ძნელია აქაური სოფლელი მეურნის მდგომაეობა, რადგანაც მამულების უმეტესი ნაწილი მისი საკუთრება არაა და მისი ცხოვრების სახსარი დამოკიდებულია თამბაქოს მომავალზე და გასაღებაზე, რაიცა მოჰყავს იჯარით აღებულ მიწაზე.

დრო არ დამრჩა, რომ დაახლოვებით გამეგო აქაური სასწავლებლების რიცხვი და მდგომარეობა. ისე კი უნდა ვთვა, რომ საერთოდ ძალიან მცირე უნდა იყოს ქალაქში სასწავლებლების და მოსწავლეთა რიცხი.

(გაგრძელება იქნება)

გ. გრიგორიანცი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 21 ოქტომბერი, პარასკევი, №78, გვ. 3.

სოხუმი

შაბათს, 22 ოქტომბერს, სოხუმის დრამატულმა წრემ ბ. შალვა დადიანის მეთაურობით გამართა მეორე წარმოდგენა. წარმოდგენის ერვიეს 3 მოქმედ. დრამა „ბრჭყალები“. პიესა კარგი შინაარსიანი აღმოჩნდა. ერვიე მეტად მარტივად გვიხატავს, – ერთი მხრით, დღევანდელ უუფლებო ქალს, მეორე მხრით მამაკაცს, რომელსაც ქალი – თავის მონა მორჩილად მიაჩნია, თავისი თავი კი ყოველივე უფლებით აღჭურვილათ. ამასთანავე კარგად გადმოცემულია თუ, რა საშინელი შედეგი მოჰყვება ხოლმე ხან და ხან ანგარიშით დაქორწინებას. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ქ. ქ. ე. ანდრონიკაშვილი, მ. კუხალეიშვილი. ბ-ბ შ. დადიანი, ი. კორტი და ბ. ბაქრაძე. I-II მოქმედებამ უფერულათ ჩაიარა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ-ნ ანლის მეორე მოქმდებაში გრძნობიერ თამაშს. მესამე მოქმედებაში კარგი იყვნენ: ქ. ან-ლი და ბ. დ-ნი წარმოდგენის დაწყებაზე ბ. შ. დადიანმა საზოგადოებას მოკლეთ აუხსნა პიესის დედა აზრი. საზოგადოება მთელ პიესას დიდ ყურადღებით ისმენდა და ძლიერ კმაყოფილი დარჩა. დასასრულს წარადგენს ერთ მოქ. ვოდევილი „ქარიშხალი“.

კვირას 23 ოქტომბერს, ამავე წრე წარმოადგინა ბ. ცაგარელის „გულჯავარ“ და 1 მოქმედებიანი ვოდევილი „ქარიშხალი“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დასწრებია და ძლიერ კმაყოფილნიც დარჩენილან. მოწინავე მკვიდრთ კიდეც უთხოვნიათ, რომ დასმა იქაც ხშირ ხშირათ მართოს ხოლმე წარმოდგენები. შემოსავალი მიუხედავათ მცირე ფასებისა, ყოფილა 99 მ და 80 კ. ეს I წარმოდგენა იყო პროვინციაში. სოხუმის ქართული დრამ. წრის მიერ დადგმული და ამ I-მა ნაბიჯმა კარგი იმედი მოგვცა. 12 ნოემბერს, წრე და გუდაუთაში წარმოადგენს „გულჯფარს“, შემდეგ გაგრაში და სოჩაში. ფოთში დაიდგმება ერვიეს „ბრჭყალები“, კ. მესხის „რუსთაველი“ და ცაგარელის „გულჯავარ“.

ი. იმერელი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 30 ოქტომბერი, კვირა, №86, გვ. 3.

იმავე განყოფილების წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლისა და თეატრის შენება ძლიერ შეფერხდა, რადგან საზოგადოებას ფული აღარა აქვს. საზოგადოების ბევრ წევრს საწევრო ფული ჯერაც არ შეუტანიათ.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 30 ოქტომბერი, კვირა, №86, გვ. 3.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

II გაგრძელება

ამ წერილს ვწერ სოხუმიდან ადესისაკენ მიმავალი. სოხუმს მოსცილდებით თუ არა, თქვენს თვალწინ, ჩრდილოეთისაკენ ეხატება მშვენიერი სურათები მდიდარი ბუნებისა და კაცის ხელის დაუღალავ შრომისა ეტყობა, რომ ეს ადგილები წინათ ტყით ყოფილა შემოსილი და ცხოვრების მოთხოვნილებას ძალა დაუტანებია ადამიანისათვის რომ ბოლო მოეღო ერთი მხრით სიმდიდრე-ტყისათვის და ესარგებლა მეორე მხრითა-მიწით თუთუნის მოსაყვანათ და დასამუშავებლად. და ამ დაუღალავ შრომით და მეცადინეობითაა, რომ დღეს მთების გულზე იქა-აქ ბრჭყვინავს მშვენიერი შენობები, მონასტრები და სხვანი. ამ მშრომელ ხალხს შეუსრულებია და დღე-

საც ასრულებს თავის ვალდებულებებზე მეტს „ღმერთის ღმრთისადმი და კეისარს კეისრისადმი“ მიცემით, მაგრამ თვითონ-კი დამცირებულია ყოველ მხრივ. აქვე გემზე ცხადათ სჩანს ესა. მესამე კლასის მგზავრებს ნება არა აქვთ, რომ ფეხი შედგან გემის მეორე ნახევარზე, სადაც უფრო სისუფთავეა და წმინდა ჰაერი. და მართლაც ძნელათ თუ სადმე, რომელიმე სხვა ალაგას ადამიანი იმდენად გრძნობდეს დამცირებას, როგორც ეს სჩანს აქ, გემზე. მესამე კლასის მგზავრებს უზრდელათ უყვირის მატროსი, მეფილუგე და სხვანი, მათს უზრდელობას და აბუჩად აგდებას თქვენდამი საზღვარი არა აქვს და მწარეთ, როგორც იტყვიან გულის ტკივილით ეკითხებით თქვენს თავს: რათა?

აგერ უკვე მიუახლოვდით ახ. ათონს „წმინდა მამების“ დიდებულ მონასტერს.

ოჰ, ღმერთო ჩემო! რამდენად გადაჭარბებულია ამ იესო ქრისტეს სადა და მახვილი საქადაგო ადგილები, ის მოყვრისადმი განუსაზღვრელი სიყვარული და მისთვის თავის დადება, რომელიც იქადაგა მან... (აქ იხ. მხატვრული სიტყვითაწყობა – რედ.).

აქ გემიდან რომ გადახედავთ ახალ ათონს, მხოლოდ ისაა სასიამოვნო, რომ გაგივლით გულში, თუ რა არ შეუძლია ადამიანის ხელს...

გ. გრიგორიანცი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 1 ნოემბერი, სამშაბათი, №87, გვ. 3.

მგზავრის შთაბეჭდილებანი

III ნაწილი

როგორც ეტყობა გუდაუთიდან გაგრამდე ნელ-ნელა იცვლება ბუნების სურათები, აქეთ უფრო სიმშრალე ეტყობა. ხე-ტყე და კლდიანი მთები უფრო ქართლის მხარეს ჰგავს, ვინემ სოხუმის ამწვანებულს და აბიბინებულ ტყეებსა. მიუხედავად ამისა, როგორც კურორტზე ჯერ-ჯერობით ორნაირი აზრი ტრიალებს ამ მხარეზე და მის მომავალზე. ზოგი ამ აზრისაა, რომ ნიცა ვერ შეედრება გაგრას და საზოგადოდ შავი ზღვის განაპირა ადგილებს სოხუმიდან ტუაფსემდეო. ზოგი კი იმას ამბობს, რომ გაგრა დიდებულ იქნება მხოლოდ პრინც ოლდენბურგელის პატრონობის წყალობით, უმისოთ კი ვინ იცის რა იქნებაო...

სწორედ საუცხოვო და მშვენიერი სანახავია გაგრა, მის უმაღლესობას პრინც ოლდენბურგელს არაფერი და არავითარი შრომა და ზრუნვა არ დაუზოგავს, რომ გაგრა ექცია მით, რაც დღეს არის იგი. მშვენივრათ, მწვანით მორთულ მთების გულზე დაურთავს კაცის ნახელავი, ადამიანის ტვინისა და შრომის ნაყოფი ხელოვნური უზარმაზარი შენობები, სანატორიები, კიოსკები, საბანაოები, ახალი სტილის სასახლე სასტუმროები და სხვა...

სოხუმში

ხმოსანთა დადგენილება – რომ ნება მიეცეს რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას სასტუმრო „რუსეთის“ პირდაპირ ააშენოს ნავთ სადგური და ქუჩაზე გაიყვანეს რკინის გზის ლიანდაგი – ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 2 ნოემბერი, ოთხშაბათი, №88, გვ. 2.

ხორცის ფასები

ამ დღეებში სოხუმში მოელიან მიწად-მომქმედთა უფროს სპეციალისტ ტაგანოვს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რამდენი დაჯდება სიმინდისა და სხვა სათესი ბალახების გამოცდა.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 2 ნოემბერი, ოთხშაბათი, №88, გვ. 2.

სოხუმის ბოტანიკურ ბაღთან კონსერვების ქარხნის ასაშენებლად და შესანახად მიწათ-მოქმედთა დეპარტამენტმა გადასდო 5000 მან. ქარხნის შენებას უკვე შეუდგნენ ბოტანიკური ბაღის გამოსაცდელ სადგურთან.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 2 ნოემბერი, ოთხშაბათი, №88, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: სოხუმში მოაწყოს შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებისა და დაბების წარმომადგენელთა კრება, რათა საერთოდ შეიმუშავონ შავიზღვის ნაპირას სარკინიგზო საკითხი და გეგმა. ბ-მა დ. მაჭავარიანმა, ასეთი წინადადებით უკვე მიმართა სხვა ქალაქებისა და დაბის მოურავებსა და სამმართველოებს, ამასთანავე აცნობა, რომ კრების ნებართვაზე უკვე აღძრულია შუამდგომლობა სადაც ჯერ არს.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 18 ნოემბერი, პარასკევი, №102, გვ. 2.

სოხუმი

შაბათს 19 ნოემბერს, სამურიდის თეატრში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა დრამატულმა წრემ გამართა წარმოდგენა. პირველად წარმოადგინეს „სტუმარი“ ე. ბრანდერის დრ. 2 მოქმ. ეს პიესა სუსტად უნდა ჩაითვალოს, როგორც დრამატიული ნაწარმოები და აგრეთვე შინაარსითაც.

სამწუხაროა, რომ ერთი თვის შეჩერების შემდეგ, გამგეობამ და სარეპერტუარო კომისიამ ეს პიესა დაუშვა. პიესის პირველმა მოქმედებამ სუსტად ჩაიარა, მეორემ კი ძლიერ კარგად – შესანიშნავი ნერგონი იყო ბ. დადიანი. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე მოქმედებაში ქ. ნ. ანდრონიკაშვილიც კარგი იყო ფროლიზელის როლში. ბ. ერქომაიშვილიც ხელს უწყობდა ანსამბლს. პიესის შემდეგ ქ. ანდრონიკაშვილმა ძლიერ მოხდენილათ წაიკითხა სცენა მონოლოგი „მშვიდობით ოცნებავ“. დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი ბ. ბ. ზომლეთელმა, სანაძემ, დადიანმა, კორტმა და კობახიძემ მოხდენილათ წაიკითხეს სხვადასხვა მწერალ-პოეტთა ნაწარმოებნი.

რეჟისორის საყურადღებოდ: „სტუმარი“-ს I მოქმედებაში რეპორტის შემოსვლისთანავე, მიდის ბუხართან და ხელებსა და ფეხებს ითბობს, და საშინელ სიცივეს უჩივის. ბუხარი კი გამქრალია ნერგონსაც თეთრი ტანსაცმელი და ყვითელი სანდლები აცვია. გარდა ამისა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს სცენიდან გაგონილი არა ლიტერატურული სიტყვები, რაც არა იშვიათია ჩვენს სცენაზე. მაგ: „შაირთო, შავირთავ“ და სხვ.

წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

ერთ თვეზე მეტია მას შემდეგ რაც სხვადასხვა მიზეზების გამო წარმოდგენა ვეღარ გამართა-წრემ-იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ამის შემდეგ, მაინც შედგება ხოლმე

მორიგი წარმოდგენები. გამგეობამ უნდა ყურადღება მიაქციოს შემდეგს. წრეს გადაწყვეტილი ჰქონდა, გაემართა სახალხო იაფ ფასიანი შინაარსიანი წარმოდგენები და სალიტერატურო დილა-საღამოები. ეს მით უმეტეს ადვილი მოსახსენიებელია, რომ სამურიდის თეატრს დილაობით მცირე ფასებში უთმობენ, და ამ მცირე ხარჯს კი თვითონ ეს იაფფასიანი წარმოდგენები და ლიტერატურული დილებიც დაჰფარავს. გარდა ამისა სასურველი და მოსახერხებელიც არის ამავე წრემ გამართოს ყურადღება მიაქციოს პიესებს და დაუშვას შინაარსიანი და ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი პიესები.

„ისარი“

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 27 ნოემბერი, კვირა, №109, გვ. 2.

სოხუმი

20 ნოემბერს ელინთა საზოგადოებამ გადასწყვიტა – ააგოს საკუთარი ეკლესია. ამისათვის ბათუმიდან მოიწვიეს ხუროთმოძღვარი ბ. ეფრემიდი. ბ. ეფრემიდმა უკვე აიღო ეკლესიის აშენება 28 ათას მანეთად. ეკლესია უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში.

ქალაქის თავმა თ-დ შერვაშიძემ პრინც ოლდენბურგს, რომელიც ამჟამად პეტერბურგში იმყოფება, გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: – „გთხოვთ თქვენ დახმარებას შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანის დახმარებაში, რომელიც საყურადღებოა თქვენი მფარველობის ქვეშ მყოფ მხარისათვის“.

სიმინდის აღება დასრულდა.

ქალაქის საბჭოს შემდეგი სხდომა, 5 ნოემბერს შესდგება.

სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგი საზოგადო კრება 4 ნოემბერს შესდგება.

ჩერნიევის მთის მახლობლად აგარაკის პატრონებმა ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართეს, რომ იქ ქუჩების გაყვანისა და განათების მოწყობისათვის დახარჯული ფულის ნაწილი ქალაქმა გაიღოსო.

(იხ. ინფორმაცია სასამართლო პროცესზე. – რედ.).

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 27 ნოემბერი, კვირა, №109, გვ. 2.

სოხუმი

ქალაქის გამგეობა შეეკითხა სოხუმის განყოფილების, აზოვი-დონის ბანკს, – შეუძლია თუ არა ქალაქის გამგეობას, ამ ბანკიდან აიღოს სესხად 53 000 მან. დამატებით წყალ-სადენ მილების მოსაწყობად, არა უმეტეს 8%-ისა. ვალი დახურული იქნება, ქალაქის მიწების ერთ-ერთ სადგილმამულო ბანკში დაგირავებით შემდეგ. ასეთივე შეკითხვით მიმართა ქალაქის გამგეობამ სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებასა და სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილებაში.

გუდაუთაში ბოროტმოქმედი სპირიდონ ხვიჩია შეიპყრეს.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 30 ნოემბერი, ოთხშაბათი, №111, გვ. 2.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი

3 დეკემბერს, სამურიდის თეატრში ქართულმა დრამატულმა წრემ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“. ამ პიესას ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ამიტომ მას არ შევეხებით. მხოლოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ გამგეობამ მგონი სიადვილისათვის ამოირჩია ეს პიესა, რაც ჩვენი აზრით დიდი შეცდომაა. ერთი შეხედვით ეს პიესა მართლაც ადვილი სათამაშოა, მაგრამ თუ ცოტა ღრმად დააკვირდებით, ეგრე არ არის. მთელი პიესა წვრილმანებითა სავსე. ყველა სიტყვასა და მიხვრა მოხვრას თავისი მნიშვნელობა აქვს და ჩვენმა რეჟისორებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ამ წვრილმანებსაც კი ანგარიშის გაწევა უნდა. ამ წარმოდგენაზე კარგს ბევრს ვერას ვიტყვით, როლების ცოდნაზე ყველანი მწყრალად გახლდნენ. კარგი იყო მხოლოდ ბ. შ. დადიანი აბესალომის როლში. არა უშავდა ბ. ა. სანაძეს – ფილიპეს სახლში, სოფელში. ფილიპეს წვეულება და დროს ატარებენ მისი სტუმრები. ვეჭვობთ რომ სოფელში ერთ ოჯახში იკრიბებოდნენ ხოლმე ათითორმეტი „კრახმალოიანი“ სტუმრები და ისიც როგორნი? თითოს თითო მტკაველის სიმაღლე საყელოები ჰქონდათ. მართალია ჩვენმა ქალებმა მოდებზე შეკერილი კაბებითა და „შანტეკლიორებით“ პარიზელებსაც კი გადააჭარბეს, მაგრამ იმერეთის სოფლებში ჯერ მაინც არ არიან შებორკილი ქალები და თუ არიან კლდიაშვილის გლეხების ქალები იქნებოდნენ. ეკას მორთულობა სრულიად არ ვარგოდა. ლაპარაკის დასასრულს ითამაშეს 1 მოქმედებიანი ა. ცაგარელის ვოდევილი „ოინბაზი“, რომელმაც კარგად ჩაიარა. მშვენიერი იყო ქმრის როლში ბ. შ. დადიანი, ცოლისაში ქ. ე. ანდრონიკაშვილი და ნოქრის როლში ბ. ს. ფრანგულიანცი. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწო და ნასიამოვნებიც დარჩა. სუფლიორის ყვირილმა ძალიან შეგვაწუხა.

„ისარი“

სოხუმი

ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა სახელმწიფო დუმის დეპუტატს თავ. შერვაშიძეს, რომ მან შეატყობინოს გამგეობას, როდის გაირჩევა სახელმწ. დუმაში, შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანის საკითხი, ან რა მდგომარეობაშია ამჟამად ეს კითხვა.

აქ ჩამოდიოდა ექიმი ღამბაშიძე, რომელსაც აზრადა აქვს აქ გახსნას სანატორიუმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ღამბაშიძე თავისი უანგარო შრომით აქაც დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, რომელიც ისე ღარიბია უნაგარო მუშაკისა და განათლებულ ადამიანების მხრივ.

ქართულმა დრამატულმა წრემ დეკემბრის წარმოდგენებისათვის 4 დღით დაიკვეთა სამურიდის თეატრი: 10, 14,17 და 18 დეკემბერს. 10-ში გაიმართება ჩვეულებრივი წარმოედგინა, დილით იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა და სალიტერატურო დილა, 17 და 18-ში აზრადა აქვთ ქ-ნ რიონელის საგასტროლოთ მოწვევა.

ქალაქის გამგეობამ სმეცკოის სანატორიუმს სთხოვა, გააცნოს მისი მოღვაწეობის ანგარიში.

სოხუმის მეთევზეებმა დაიჭირეს არაჩვეულებრივი თევზი, სიგრძით 71/2 არშინია და იწონის 18 ფუთს და 16 გირვანქას.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 8 დეკემბერი, ხუთშაბათი, №117, გვ. 2.

სოხუმი

ქალაქის გამგეობას სახ. დუმის დეპუტატმა თავ. შერვაშიძემ მის შეკითხვაზე დეპეშით უპასუხა შემდეგი: „საკითხი შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანისა, დუმაში შეტანილ იქნება 1 მარტს“.

ამის შემდეგ ქალაქის გამგეობა ხელმეორედ შეეკითხა თავ. შერვაშიძეს და სთხოვა, რომ მან აცნობოს, თუ როდის შემუშავდება ეს საკითხი სამინისტროში, და საჭიროა თუ არა, – პეტერბურგში წამოვიდნენ შავი ზღვის ნაპირა ქალაქების წარმომადგენელნი საქმის უკეთეს ნიადაგზე დასაწყებლადაო.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 9 დეკემბერი, პარასკევი, №118, გვ. 2.

სოხუმი

10 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა სამურიდის თეატრში გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ტ. რამიშვილის „მეზობლები“.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 14 დეკემბერი, ოთხშაბათი, №12, გვ. 2.

სოხუმი

11 დეკემბერს, საკათედრო ტაძრში წირვის შესრულების შემდეგ სამღვდელოება ეპისკოპოზ ანდრიას მეთაურობით გაემართა ბერძნების მომავალი ეკლესიის ასაშენებლად ადგილისაკენ, ადგილის საკურთხებლათ. გალობდა ორი ხორო კურთხეების გათავების შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ბ-მა იოსიფიდმა.

ბოროტმოქმედი ოვანეზ ავაგიადის შეპყრობა.

ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა 19 დეკემბერს მოხდება.

17 დეკემბერს, ქართ. დრამ. წრე ბ. ს. ფრანგულიანცის საბენეფისოდ სდგამს ვ. გუნიას დრამას „და-ძმა“-ს. 18 დეკემბერს კი, ჭანტურიშვილის ახალ პიესას „მორევში“ ორივე წარმოდგენები აბონიმენტის გარეშეა.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 17 დეკემბერი, შაბათი, №125, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველო

ყველამ უწყის, რომ სოხუმი მდიდარი ქალაქია. თუ სადმე სამართალია ეს სიმდიდრე ყველაზე უფრო ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველოს უნდა ეტყობოდეს, რადგან ადგილობრივ მკვიდრთ გარდა, რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან მოსულნიც მრავლად დაიარებიან სამკითხველოში. მიუხედავად ამისა, აქაური სამკითხველო ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. სამკითხველოში სრულიად არ მოიპოვება რიგიანი ლიტერატურა, გამოჩენილი მწერლების ნაწერიც კი არ არის. ახალ მწერლების ნაწარმოებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე ითქმის სამეცნიერო ლიტერატურაზედაც, სამკითხველო სავსეა, მხოლოდ ძველი და გამოუსადეგარი ჟურნალებითა და წიგნებით, რომელნიც სხვადასხვა პირთ შეუწირავთ შემთხვევით. ცოტაა აგრეთვე ჟურნალ გაზეთებიც. ამის მიზეზათ ქალაქის გამგეობა უსახსრობას ასახელებს ხოლმე. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ სამკითხველოში თითქმის უმრავლეოსობა ქართველები დაიარებიან და დიდი მოთხოვნილებაც არის. ქართული

პრესისა და ლიტერატურისა. ამ გარემოებაზე კი ყურსაც არ იბერტყენ ჩვენი „ქალაქის მამები“. სამკითხველოს გამგე ბ. ძ. ლოლუამ არა ერთხელ მიმართა თხოვნით ქალაქის გამგეობას, რომ დაეკმაყოფილებინათ საზოგადოს მოთხოვნილება. მაგრამ თხოვნა ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა ხოლმე. ამას წინად ბ. ლოლუამ კვლავ მიმართა თხოვნით ქალაქის გამგეობას. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, გამგეობამ და საბჭომ ამოირჩია კომისია და მიანდო მას სამკითხველოს მდგომარეობის გამორკვევა და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ერთხელ ამ კომისიამ კრება დანიშნა და ისიც არ შესდგა წევრთა დაუსწრებლობისა გამო. გარდა ამისა სამკითხველოს ბინა მხოლოდ იანვრამდის აქვს, იანვრის შემდეგ კი ბ. ალოიზი ბინას აღარ იძლევა. ამას წინად ეს კითხვა ქალაქის საბჭოს მოურავის თავ. დ. ა. შერვაშიძის წინადადებით საბჭომ დაადგინა, რომ სამკითხველოსათვის ქალაქის ბაღში ქალაქმა ააგოს საკუთარი ბინა. მაგრამ „სიტყვა სხვაა და საქმე სხვაა“-ო. ამ დაგენილების ოქმში შეტანის შემდეგ აღარაფერი არ ისმის. ეხლანდელი ბინა კი გამოუსადეგარია სამკითხველოსათვის, რადგან ძლიერ ნოტიოა, და ამას ისიც დაუმატეთ, რომ სამკითხველოში ცეცხლის დასანთებლის უქონლობის გამო, გაუთბობელია იგი. ვნახოთ რა აზრს დაადგენდა ქალაქის გამგეობა და მათ მიერ არჩეული კომისია ან და როგორ გამოაკეთებენ სამკითხველოს საქმეს. ვნახოთ როგორი მზრუნველნი და საზოგადო საქმისათვის გულშემატკივარნი არიან ქალაქის გამგეობა, კომისია და თვით ქალაქის საბჭო.

„ისარი“

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. 25 დეკემბერი, №132, გვ. 3-4.

თეატრი და ხელოვნება

სოხუმი

17 დეკემბერს ქართ. დრამ. წრემ სამურიდის თეატრში, სცენის მოყვარის ფრანგულიანცის საბენიფისოთ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა“. ფაშა ეფენდის როლს მობენეფისე ასრულებდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს როლი დ. ფრანგულიანცს არ შეეფერება, რის გამოც მობენეფისემ ეს ტიპი ვერ გააპიროვნა. მარინეს როლს ქ-ნი ანდრონიკაშვილი ასრულებდა მეოთხე მოქმედების ბოლოს კარგი იყო იგი, ხოლო დანარჩენ ადგილებში სუსტობდა. ქ. ე. ლოლუა გადიას როლში ძლიერ კარგადაც. განსაკუთრებით კარგი იყო მესამე მოქმედებაში, როცა მთვრალი სტუმრებს ისტუმრებს და მარტო რჩება. გაიოზის როლს ბ. გრიშა ერქომაიშვილი ასრულებდა, და ზოგიერთი ადგილები ბრიელ კარგათაც ჩაატარა. ბ. ა. სანიძის ადამია უკეთესი იქნებოდა, რომ ხმისთვის მოემატებინა და თავის პარტნიორისათვის არ მიეძებნა. ყარა – ოღლის როლში ბ. კ. თოხაძეს არა უშავდა რა. გიორგი ადამიას როლს ბ. ი. კორტი ასრულებდა. ბ. ბ. ვადჭკორია ჯანვერდის როლში მოისუსტებდა. საზოგადოთ ამ პიესამ სუსტად ჩაიარა, წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. გარდა ქართველებისა იყვნენ: რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა. ქართული სცენის მოყვარეებმა მობენეფისეს უძღვნეს ვერცხლის საღვინე ჭიქა.

18 დეკემბერს, ამავე წრემ იმავე თეატრში წარმოადგინა ს. ჭანტურიშვილის პიესა „მორევში“ სამწუხაროთ ეს პიესა მეტად სუსტი ნაწარმოები აღმოჩნდა. ყველა ტიპები ყალბი და ფანტაზიის ნაყოფია, ამის გარდა მთელი პიესა ბუნდოვანი და გაუგებარია,

შეუძლებელია ამის გაგება, თუ რა უნდოდა ეთქვა ავტორს. შეიძლება ავტორს უნ-დოდა წმინდა სიყვარულის სიდიადე ეჩვენებინა? მაგრამ სად არის ამ პიესაში წმინდა და უზადო სიყვარული? მაროს ქმარი ბეგლარის მეგობარია, მაროს ბეგლარისაგან შვილი ყავს, მაროს ქმარმა, კოტემ, იცის რო ბავშვი სხვისია. მარო და და კოტე მის სახლში არიან და ერთი მეორესთან სქესობრივი დამოკიდებულება აქვთ, რომ კოტე იძულებულს არ ხდიდეს მაროს, მარო და ბეგლარი არც კი გაუმჟღავდნენ კოტეს მათ საიდუმლო კავშირსა და სიყვარულს. მარო კიდევ აფრთხილებდა ტრიფონს „არაფერი დაგცდეს“-ო, თუმცა ერთი მხრით ამ ადგილას მართალია ავტორი, ეს ისე უნდა ყოფილიყო. რადგან ჩვენ, საუკუნოებიდან მონობს შეჩვეულ და გაუნათლებელ ქალს არა აქვს იმდენი გამბედაობა, რომ პირდაპირ ეთქვა ყველაფერი ქმრისათვის. ხალხი ბეგლარს ჩაქოლვას უპირებს. ეს ძლიერ იშვიათი მოვლენაა. სოფელი ასეთ შემთვევაში არ ერევა ხოლმე სხვის საქმეში. მით უმეტეს არ ერეოდნენ ბეგლარის საქმეში, რადგან ის ხალხის მასწავლებელი და ჭირისუფალი ყოფილა. ვთქვათ რომ ხალხი გაერია მის საქმეში, ნუთუ ხალხი მართლა ისე მხეცი და ყრუა, რომ საქმის გამოურკვევლად სიკვდილი და ჩაქოლვა მოუნდომოს თავის საყვარელ ადამიანს? – ეს წარმოუდგენელია ვთქვათ, ეს ასე მოხდა, ნუთუ ბეგლარი თავის რევოლვერის ქიცინით შეაშინებდა და გააბრუნებდა აზვირთებულ ხალხს? კოტეც გამოურკვეველი პიროვნება, ის ხანდახან ისეთი მხეცია, რომ შურისძიებისათვის ბოქაულობას ეძებს, ბავშვს მოკვლას უპირებს და სხვა. ხანდახან კი ძლიერ კეთილია ბოლოს თავის სიმ-დიდრესაც მაროს უტოვებს და თავს იკლავს. კოტესთანა კაცები ასე არ იქცევიან ხოლმე. ასევ ჭრელია მაროც, როცა კოტე მას ეუბნება, რომ ის გაშორდეს ბეგლარს, მარო ყოყმანობს, მაგრამ როცა ანდერძს კითხულობს უცებ სწყვეტს გაშორდეს ბე-გლარს. თუმცა სიყვარულით ბეგლარი უყვარს, მაგრამ „მოვალეობასაც შესრულება უნდაო“. ეუბნება იგი ბეგლარს. ბეგლარისა და მაროს სიყვარული თავიდან ბოლომ-დის ქურდული იყო. ასეთ სიყვარულს ვერ ვუწოდებთ წმინდა და იდეალურ სიყვარ-ულს. ვერ გაგვიგია ვასოთი რისი დასურათ-ხატება უნდოდა ავტორს საზოგადოდთ მთელი პიესა ყალბი ადგილებით არის სავსე, პიესა გვარიანად დადგმული იყო. მაროს როლს ქ. ე. წუწუნავა ასრულებდა. ჩვენ მისგან ამ როლის უკეთესად შესრულებას მოველოდით. ზოგიერთ ადგილას მაინც კარგი იყო ქ. წუწუნავა. ფოტინეს როლს ქ. ვ. ანდრონიკაშვილი ასრულებდა და კარგადაც ჩაატარა. სუსტი იყო გულჩინას როლში ქ. ლოლუა. კოტეს როლში შესანიშნავი იყო ქ. შ. დადიანი. ბ. ს. ცხომელიძე სუსტი იყო ტრიფონის როლში. ბ. ცხომელიძეს ეტყობოდა შრომის მოყვარეობა და ჩვენც ვუსურვებთ წინმასვლელობას. ვასოს როლში მოგვეწონა ბ. აბაშიძე (სცენის მოყვა-რეა). ამ პიესას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო.

„ისარი“

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ. დეკემბერი,პარასკევი, №134, გვ. 3.

გაზეთი „თემი“

წერილი აფხაზეთიდან, სოხუმი

სამ დღეს ბაზრის ქუჩებს და წმენდნენ. სასწავლებლები ცარიელია.

დიდთოვლობის გამო: თოვლით თავისუფლად შეგეძლოთ დუქნების სახურავზე უკიბოთ ასულიყავით. დიდი ზიანი მოუტანა შენობებსაც, ფარდულების ხსენებაც არ დაუტოვებია; ბ-ნ ალაფუზოვის ხუთი ქვის დუქანიც გაეტიალებინა, აგრეთვე თამბაქოს უზარმაზარი საწყობიც ასფადუროვისა თოვლ ქვეშ მოექცა; დაინგრა ბევრი სხვა შენობაც, სხვათა შორის ადგილობრივ სკოლის ფარდულიც თოვლის მსხვერპლი შეიქნა – სამ დღეს ჯარი ეხვაია ბაზრის ქუჩებს და სწმენდნენ, რათა ბაზარში საცალფეხო გზა გაეყვანათ. მხოლოდ 27 იანვარს, ეგერ-აგერ მოსახლეები გამოჩნდა.

დიდი ზარალი მიეცა აგრეთვე აქაურ მშვენიერ ბაღებს; ამბობენ, მარტო ბოტანიკურ ბაღის რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მიეცაო. სასწავლებლები ცარიელია. ხალხიც მოუმზადებელი დახვდა და მეტად გაჭირვებულია, სანოვაგე ძალიან გაძვირდა – ხორცი 18-20 კაპეიკია გირვანქა, შეშა ფუთი 40 კაპეიკია. ტომარა ნახშირი 4 მანეთად იყიდებოდა, წინეთ კი 1 მან. კვერცხი ათი – 80 კაპეიკია. ვაჭრობა ერთიანად შეჩერებულია, დიდს განსაცდელს განიცდიან ვაჭრები: თუ ვექსილები დროებით არ შეუჩერეს, ბევრს შავი დღე მოელის უნებლიედ.

პროვინცია მოწყვეტილია ქალაქს – აქეთ თბილი ზამთრები იცის და ამით განებივრებული აფხაზი თავის დროზე როდი იმზადებს შეშასა და ჩალას. მეთუთუნეების ფარდულები უმრავლესობა დანგრეულია, 7 იანვარს ქ. სოხუმში ჰამუთ-ბეი სოფ. ჯგერდაში ზვავის ქვეშ მოყოლია მწყემსი, მისი ამხანაგისათვის ორივე ხელი მოუწყვეტია.

კადირ-აშუბა

გაზ. „თემი“, 1911 წ. 7 თებერვალი, ორშაბათი, №5.

გაზეთი „კოლხიდა“

თემატიკა: განათლება

მიიღება ხელის მოწერა არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე „ჩვენი საზოგადოებრივობა“...

ხელის მოწერა მიიღება თბილისსა და სოხუმში.

სოხუმში ნ. ჯანაშიასთან...

ვისაც სურს წიგნი ფოშტით მიიღოს, მან ხარჯათ 2 შაური უნდა გადაიხადოს.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 11 ივნისი, შაბათი, №60, გვ. 1.

სოხუმი

4 ივნისისათვის აქ სამურიდის თეატრში იყო დანიშნული ს. დადიანის საბენეფისო ბერშტეინის პიესა „ქურდი“ და ვ. გაბუნიას ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „არც იქით-არც აქით“. თუმცაღა ამინდი ძლიერ გლახა შეხვდა, მაგრამ უნდა ითქვას

საქებრათ აქაური ქართველებისა სიმართლე, რომ ხალხი ბლომათ დაესწრო თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ წესიერების მხრით უხეიროთ იქცეოდნენ. სანამ თამაშს არ შეუდგნენ სცენაზე, მანამდი არავინ დაჯდა, ხოლო შემდეგ შეიქმნა ერთი აურზაური, ერთი ადგილების ძებნა და ნახევარი მოქმედება არავის მოუსმენია, ყოველ მოქმედებაში ასეთი ისტორია მეორდებოდა – და ხალხს ინტერესი დაეკარგა კიდეც; ძალას ატანდნენ თავს, რომ არ ჩამოძინებოდათ, და ტაშს წარამარა უკრავდნენ, რის გამოც შეიძლება არტისტები კმაყოფილი დარჩნენ. გარდა შალვა დ-ისა, როლების უცოდინარობა ყველას ეტყობოდა, ამას ყველა მაყურებელი ამჩნევდა. პიესის შინაარსიც, ჩემი აზრით, ინტერესს არ იწვევს, თანამედროვე შიგ არაფერი მოეპოვება.

დიდცხვირა

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 12 ივნისი, კვირა, №61, გვ. 4.

სოხუმის დრამატიული წრე

ქ. სოხუმში შესდგა დრამატიული წრე, რომელმაც მოიწვია ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილის ასული და ბ. შალვა დადიანი, რომელთა დახმარებით და ხელმძღვანელობით 23 აპრილიდან ვიდრე 4 ივნისამდე გაიმართა 5 წარმოდგენა. წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივნი სცენის მოყვარე ქალ-ვაჟნი. და მომღერალთა გუნდიც ბ-ნ ნ. ურუშაძის თაოსნობით. წარმოდგენილი იყო პირველათ 23 აპრილს „დედა და შვილი“. ი. ჭავჭავაძისა, „დილა ქორწილის შემდეგ“. ა. ყაზბეგის „ცოცხალი სურათი“. გრ. ორბელიანის სადღეგრძელოდან და შ. დადიანმა წარმოდგენის წინ წაიკითხა რეფერატი თეატრსა და მის მნიშვნელობის შესახებ.

მეორედ დაიდგა „აღდგომა“ ტოლსტოისა; მესამედ „არსენა“ და „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“, მეოთხედ „როს ნადიმობდენ“ და „ დავიდარაბა“ და მეხუთედ შ. დადიანის საბენეფისოთ „ქურდი“ – ბერნშტეინისა და „არც აქეთ, არც იქეთ“ ვ. გუნიასი: ადგილების ფასი იყო ხუთი შაურიდან ორ მანეთი და ათი შაურამდი. ლოჟების ფასი ექვსი მანეთი და 30 კაპ. წარმოდგენები იმართებოდა ბ. სამურიდის ახლათ აგებულ თეატრში. შემოსავალი იყო: პირველ წარმოდგენაზე 230 მ. 10კ. მეორეზე 222 მ. 8 კ. მესამეზე 141 მ. 15 კ. მეოთხეზე (რომელიც ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ იყო) 321 მ. 8 კ. მეხუთეზე (ბენეფისი შ. დადიანისა) 265 მ. 95 კ. სულ 1182 მ. 80 კ.

გასავალი:

თეატრი შაბათობით 75 მ. 400 მ. 00

ერთი კვირა 100 მ.

სტამბა 72 მ. პარიკმახერის 17 მ. აფიშების გაკვრა 9 მ. 50 კ. დამრიგებელის 6 მ. 50 კ. როლების გადამწერს 10 მ. 33 კ. არტისტების გასამრჯელო 312 მ. 65 კ. სკოლის წმინდა 184 მ. 98 კ. მარკებია 71 მ. 1კ. ტანისამოსები შეძენილი იქმნა 6 მ.7 კ. წვრილი ხარჯები 24 მ. 37 კ. ფონდისთვის გადაიდო 31 მ. 70 კ. სულ. 1182 მ. 80 კ.

მომავლისთვის წრეს მიზნათ აქვს, რომ შემოდგომაზე მოიწვიოს რამდენიმე არტისტი და შეუდგეს პერიოდულ წარმოდგენების მართვას.

ხაზინდარი გრ. ერქომაიშვილი

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 25 ივნისი, შაბათი, №72, გვ. 3.

სოხუმიდან

(იხ. სიცხეების გამო მუშათა აუტანელი მდგომარეობის შესახებ. – რედ.).

...ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველო უნდა წარმოადგენდეს ისეთ დაწესებულებას, სადაც შეიძლება სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ აქაურ სამკითხველოში ისეთ უსისტემოთაა წიგნების, გაზეთების გამოწერის საქმე, რომ კაცი იშვიათად, თუ რასმე იშოვი.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 8 ივლისი, პარასკევი, №82, გვ. 2.

სოხუმში გამოვიდა ყოველდღიური რუსული გაზეთი „სუხუმსკაია ვესტი“.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 19 ივლისი, სამშაბათი, №91 გვ. 2.

სოხუმი

26 ივლისი ხმოსანთა კრება „მომავალი რკინის გზის საკითხის გამოსაკვლევად“.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. №103, გვ. 2

სოხუმში – ეპისკოპოზ ანდრიას დანიშვნის და მის შემდეგ მომხდარ ინციდენტის გამო, საეკლესიო კითხვების მცოდნე ცნობილი დურნოვო „პეტერბურგის ვედომოსტში“ წერს. „საქართველოში სამსახურს განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ვინც საქართველოში სამსახურს იკისრებს, ის ჩვენიაო, ამბობდა პობედონოსცევი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის ყველაფერზე დათანხმდებაო.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 10 სექტემბერი, შაბათი, №132, გვ. 2.

სოხუმში კვირას, 11 სექტემბერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. ადგ. განყ-ბის შკოლის სასარგებლოთ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მომღერალი ი. სარაჯიშვილი და ახალგაზრდა მგოსანი გრიშაშვილი. დიდი საზოგადოება დასწრებია და შემოსავალიც შკოლას ბლომათ დარჩენია.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 14 სექტემბერი, ოთხშაბათი, №135, გვ. 2.

გუშინ სოხუმს გაემგზავრნენ მსახიობნი ელ. ანდრონიკაშვილის ასული და შალვა დადიანი. სადაც 15 ოქტომბრიდან დაიწყებენ ქართული წარმოდგენების მართვას. ბ-ნ შალვა დადიანს განუზრახავს, რომ სოხუმში ახლად დაწყებულ ქართულ დრამატიულ საქმეს მჭიდრო საძირკველი ჩაუყაროს. მას აზრად აქვს დადგას ისეთი პიესები, რომელიც სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს შეეხება. წარმოადგენენ ისტორიულ პიესებსაც. დროგამოშვებით საგასტროლოდ მიიწვევენ დამსახურებულ მსახიობთ როგორც თბილისიდან ისე ქუთაისიდან.

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 26 სექტემბერი, სამშაბაბათი, №145, გვ. 2.

სოხუმი

დრამატული საზოგადოება დაარსდა საქმის კარგად წასაყვანათ და ფართო მასის დასაინტერესებლათ აბონემენტური სისტემა შემოიღეს. აბონომენტი 10 ბილეთს შეიცავს და ჩვეულებრივ ფასზე 40% ნაკლები ღირს. ვინც აბონემენტს იყიდის ის დრამ. საზ-ბის წევრია, ასე რომ ის მსმენელიცაა და პატრონიც. ამ საზ-ბის დროებითი გამგეობა და კომისია აბონემენტურ სისტემის მოსაწესრიგებლათ უკვე არჩეული ყავს. ასეთი ღირსშესანიშნავი აზრი სასურველია სოხუმის ქართველობამ შეიგნოს და დააფასოს სხვაგან დრამ. საზ-ბის წევრი, საწევრო ფულს ცალკე იხდის და წარმოდგენისას ცალკე. აგრეთვე ვინც აბონემენტს იყიდის ის 10 წარმოდგენაზე ძალაუნებურად მოვა და ამნაირათ თეატრი შეუყვარდება.

წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობენ: შალვა დადიანი (რეჟისორი) ელო ანდრონიკაშვილის ასული კობახიძე და ადგ. სცენის მოყვარენი. თვეში 5 წარმოდგენაა დანიშნული 4 ჩვეულებრივი და 1 ხალხური. პირველი წარმოდგენა უკვე იყო 15 ოქტ-ს. წარმოადგინეს „ლეკის ქალი გულჯავარ“ ავ. ცაგარელისა და „გეურქ აღა და შანტაჟისტები“ ახ-ლესა. წარმოდგენამ მშვენიერათ ჩაიარა ყველა თავის ადგილზე იყო, საზ-ბა დიდათ ნასიამოვნები დარჩა, ასეთი მოწყობილი და დალაგებული წარმოდგენა სოხუმისთვის იშვიათია და ჩანს სოხუმის ქართულ თეატრის ბედი კარგი იქნება. თუ კი საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

ბ-ღა

გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ. 28 ოქტომბერი, პარასკევი, №172, გვ. 4.

სოხუმელ სცენის მოყვარეთა საყურადღებოდ

საზოგადოდ, როგორც ყველგან ისე ჩვენშიც ადგილობრივი სცენის მოყვარეებისაგან ხშირად გამიგონია საყვედური საზ-ბისადმი: – წარმოდგენაში არ დაიარებიან, ჩვენში არტისტი ვერ იარსებებს, ჩვენში თეატრის საქმე უკუღმა მიდის და ყველა გულ გრილათ გვიყურებსო.

ჩემის აზრით მათი საყვედური სინამდვილეს ეწინააღმდეგება; თუ საზ-ბა წარმოდგენებს არ ესწრება, აქ ბრალი თვით სცენის მოყვარეებს ედება. პირველი, იმიტომ, რომ ჩვენში და განსაკუთრებით სოხუმში მაღალი საფეხურის ხალხი, ნაკლებათ მოიპოვება; ეს ჩვენი სცენის მოყვარეებმა კარგათ უნდა იცოდნენ, მაშასადამე ნაშვაღამევამდი თეატრში ჯდომა და მეორე დღეს შუადღემდი ძილის ნება ცოტასა აქვს. თუ წარმოდგენას დაესწარი მეორე დღე უნდა დაკარგო, მიუხედავად იმისა რომ აფიშაში გამოცხადებულია 9 ს, – იწყება 11, 12 სთ-ზე და გრძელდება 3 სთ-მდი, საზ-ბამაც იცის რომ ეს ასეა და არც ესწრება, ვინაიდან მეორე დღე არ შეუძლია ძილში გაატაროს.

მეორეთ, სულით და გულით რომ გინდოდეს თქვენი ესტეტიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოთ და ცოტათ თუ ბევრად გონებრივიც მიიღოთ, – ამის ნაცვლათ უსიამოვნებას მიიღებთ იმიტომ, რომ უმრავლესობა, როგორც ბატონები ისე ქალბატონებიც წარმოდგენაში უფრო ხშირათ საარშიყოთ მობრძანდებიან: – არის ერთი ლაზღანდარობა, სიცილ-ხარხარი, ღლაბუცი.

ფარდა აიხდება წარმოდგენა იწყება, და ეს პატივცემული პირები მერე იწყებენ შემოსვლას, ფეხს მაგრა აბრახუნებენ, რომ საზ-ბის ყურადღება მიიქციონ, აი, ეს არის შემოვბრძანდიო; ასეთი ბრახუნი გრძელდება თითქმის ნახევარ საათს. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ზიხართ, გაიცქირებით სცენისკენ, და გგონიათ პანტამინას უყურებთ. კაი მოქართულეებით ისეც კოჭლობს ჩვენი სცენა, და თუ კი ყური ძალიან დაცქვეტილი არა გაქვთ, ისე ვერაფერს გაიგებ. და, აბა ამისთანა ალიაქოთში რა უნდა გაიგონო.

თუ ადგილობრივ არტისტებს სურთ, რომ მათი საქმე წინ წავიდეს, წარმოდგენა უსათუოდ დანიშნულ დროს უნდა იწყებოდეს, ფარდა აიხდება თუ არა, შესასველი კარები იმწამსვე უნდა იკეტებოდეს, ჩიქორთულს სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ჯიბის ქუდ-ბაცაცებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

ჩემის აზრით თუ მეტ მხნეობასა და ენერგიას გამოიჩენს ჩვენი არტისტი ბ. შალვა დადიანი ადვილად შეუძლია ყოველი ნაკლი თავიდან ააცილოს იმის ხელქვეით მყოფს ადგილობრივი სცენის მოყვარეებს, და, იმედია, მის ღვაწლს საზ-ბა დააფასებს.

ივანე თურქია

გაზ. „კოლხიდა“, 1911წ. 30 დეკემბერი, პარასკევი, №223, გვ. 3-4.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“

წერილი სოხუმიდან

...14 იანვარსა, წმ. ნინოობის დღე სოხუმელთ ქალთ ბრწყინვალედ იდღესასწაულეს. 7 იანვარს დიდად პატივცემულ მ. ნ. ანჩაბაძის თაოსნობით ქართველ ქალთა, თავი მოიყარეს თვითმმართველობის დარბაზში და გადაწყვიტეს ერთხმად. ახლად დაარსებულ ქართული სკოლის სასარგებლოდ გემართათ „ქართული საღამო“. თავიანთ შორის იქვე გაინაწილეს სხვადასხვა როლები და თადარიგს შეუდგნენ. თითქმის მთელი კვირა მოუსვენრად მუშობდნენ. მათ ხელს უცერავდათ ბუნება, მთელი კვირის განმავლობაში თოვდა და თოვდა, მაგრამ კაცის ენერგიას წინ რა აღუდგება? დადგა 14 იანვარიც, და მოწვეულმა საზ-ბამ თავი მოიყარა მშვენივრად მორთულ დარბაზებში – კლუბისა და კრუჟოკისაში. ორივე დარბაზი მზრუნველი ხელით გამშვენებულიყო ყვავილებითა და მწვანეთი, – მეტადრე კლუბის დარბაზი. ამ მოწყობაში მათ დიდი დახმარება გაუწიეს გსანდილევსკიმ მეუღლითურთ. აქ, სუხუმში, დიდი დარბაზი აღარ მოიპოვება, და ამიტომ კლუბი მოაწყვეს მოწვეულ სტუმართათვის (არა ქართველთათვის) მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო, რომელზედაც სხვათა შორის მშვენივრად წაიკითხა ორი ლექსი რუსულად ქ-ნმა ო. ა. გეორგობიანისამ.

ხოლო კრუჟოკის დარბაზში (ორივე ერთ შენობაშია) ქართულად წარმოადგინეს ბრანდესის „სტუმარი“ და ვოდევილი „უბედური დებიუტი“. მოთამაშეებმა ორივე პიესა მშვენივრად ჩაატარეს. თამაშობდნენ ქუთაისიდან მოწვეული არტისტები მ. მდივანი, ივ. ბარველი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი ქ. ერქომაიშვილი და არ. ლოლუა. საღამო ცეკვით დასრულდა. უცხო სტუმრები გაარკვია ჩვენებურმა თამაშობამ – უზუნდარამ და ლეკურმა-ამ საღამოსათვის სპეციალურად გამოიწერეს

ზურნაც. კი, რომ მეტი ნაციონალური ელფერი მიეცათ საღმოსათვის. საერთო შემოსავალი 1200 მან. იყო. ნაღდად 600-700 მან-მდე დარჩა. ქება და დიდება კერძოდ სოხუმელთ ქალთ და საერთოდ სოხუმელთ, რომ არაფერს იშურებენ თავიანთ ახლად გახსნილი სკოლისათვის. უსურვოთ, რომ თვით სკოლამ და მის ხელმძღვანელთ გაემართლებინოთ ეს იმედები, რასაც საზ-ბა ამყარებს მათზე. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, რომ არა ქართველთ-უფრო ბერძენთა და სომეხთ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინეს ქართველთ ამ საღამოზე.

ჰამუთ-ბეი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 30 იანვარი, კვირა, №220, გვ. 3-4.

სოხუმის ოლქში კვლავ დიდი თოვლი მოდის. სოფლები სულ მთლიანად მოწყვეტილია. ბევრგან სახლები ჩაწვა. ოლქს შიმშილობა მოელის.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 2 თებერვალი, ოთხშაბათი, №222, გვ. 3.

უწმ. სინოდის სასკოლო კომიტეტმა კავკასიის სამრევლო სკოლისათვის წელს 17, 300 მან. გადასდო. აქედან იმერეთის ეპარქიის სასკოლო კომიტეტს მიეცემა 1, 850 მან. გურია-სამეგრელოსას 950 მან. სოხუმისას- 1000 მან და საქართველოსას 13. 500 მან. აქედანვე ტფ. სასულიერო სემინარიასთან არსებულს სამაგალითო სკოლას მიეცემა 1000 მან და ტფ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებელთან არსებულს ასეთივე სკოლას 500 მან.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 6 თებერვალი, კვირა, №225, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

...მთელი დეკემბრის განმავლობაში აქ აქ მშვენიერი დარები იდგა. ასე გასინჯეთ, შიდსაც ყვავილი გამოსტყუა, ყველას უკვირდა ასეთი ზამთარი. მაგრამ დადგა იანვარი და პირველსავე დღეს დაუშვა წვიმა. 3-ში ღამე თოვლი დაიწყო. 4-დილით კი მთელი აფხაზეთი არა ჩვეულებრივ თოვლში იყო გახვეული. 10-12 გოჯი სისქე ჰქონდა, რის გამოც მოძრაობა ერთიანად შეწყდა. აქ, სოხუმში, არავინ არ ხმარობდა მარხილებს, აი რატომ შეწყდა მოძრაობა. გვეგონა, ჩვეულებრივ ორ-სამ დღის შემდეგ თოვლს აიღებსო; მაგრამ მწარედ მოვტყუვდით: თოვლს უმატა, მთელი 20 დღის განმავლობაში თითქმის შეუწყვეტლიც სთოვდა (დღეში) 5-6-სთ-ს. თითქოს ბუნება ისვენებდა, შემდეგ ისევ დაუშვებდა. სიცოცხლე შეწყდა: მუდამ მოფუსფუსე და მხიარული სოხუმი სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა. ხალხი სადღაც მიიმალა და ჩვენი ქუჩებიც დაცარიელდა. სანოვაგე გაძვირდა, მაგრამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა 23 იანვარმა. დილითვე 10-სთ-დან დაიწყო არაჩვეულებრივად თოვა და მთელი დღე განუწყვეტლივ სთოვდა. ბუნებისაგან განებივრებულმა ადამიანებმაც ყურები სცქვიტა, შეეშინდა და ამოსძვრა:

...ვინ ბარს ეცა, ვინ ნიჩაბს, ვინ თოხს და სახურავებზე მოექცნენ, რის წყალობითაც ბევრი შენობა გადაარჩინეს. ორშაბათ დილას მთელი სოხუმი თოვლში გახვეული აღმოჩნდა. ღარიბ უბნებში ქალთა და ბალღთა კივილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. მოძრაობა ერთიანად შეწყდა. მარჯვე მუშა დღეში 10-15 მან-ს

აკეთებდა. საბედნიეროდ ქალაქში ბევრი სვნი აღმოჩნდა, რომელთაც სოხუმელნი ერთი მეორეს სტაცებდნენ და თავის სახურავებისაკენ მოჰყავდათ. დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა მუშაობდა და სახურავებს სწმენდდა. ვინც ცოტათი მოიცლიდა, გარბოდა ბაზრისაკენ, რათა სარჩო შეეძინა ერთი კვირის სამყოფი მაინც ქუჩებზე გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ყველაფერი გაძვირდა. კვერცხი თითო 7-8 კაპ-ია. შეშა საჟენი 80-100 მან-ია; თითო ოროლას ჰქონია რამდენიმე საჟენი შეშა და ფუთს ორ-ორ აბაზად ჰყიდდენ: ნახშირი ტომარა 4 მან-ად იყიდებოდა. გირვანქა ხორცი დღესაც 18 კაპ-ადაა. ბევრი შენობა შეიქმნა თოვლის მსხვერპლად. ბატ. ალფუზოვის ოთხი მაღაზია დაინგრა და დიდი ზარალი მიაყენა იქ მოვაჭრეთ. სხვათა შორის ნესტორ გოგოჯანაშვილის წიგნის მაღაზიას 200 თუმანზე მეტი ზარალი მიეცა. ბ. ასვადუროვის თამბაქოს საწყობი ჩაინგრა და საქონელიც ქვეშ მოჰყვა. ბ. გერშინოსოს შუშეულობა-ავეჯეულობის მაღაზიას სახურავი ჩაენგრა და საგრძნობი ზარალი მიაყენა. ქართული სკოლის ფარდულიც თოვლის მსხვერპლი შეიქმნა. ყველა ამას უწყლოობა ერთვის და ისედაც უწყლოდ შეწუხებულ მოქალაქეს ეხლა უფრო გაუჭირდა, მეტადრე მდაბიო ხალხს. სოფლის უბნებში წყალი დღისით დიოგენის ფარნით საძებარია. სოფელი კი უმწეო ყოფაშია.

ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა ვიცით სოფლის შესახებ. რამოდენიმე თხილამურებით ჩამოვიდნენ და საზარელ ამბებს ჰყვებიან. მაგ. სოფ. აქვიბაქიდან ჩამოსულმა გვიამბო: 23-ს კვირას ღამით არავის დაუძინია. ყველა ბარ-ნიჩბით სახურავებზე იყო ასული და თოვლს ხვეტდაო. გათენდა 24 იანვარი და ქალ-ბავშვთა ტირილ-კივილი ქვეყანას აყრუებდა. ბოსლებთან მისვლა შეუძლებელი იყოო. ხალხს რა ექნა არ იცოდა ისე დაიფანტა და გონება დაკარგაო. მდინარის რუები ამოივსო წყლითა, წისქვილები გაჩერდა, ხალხი ეხლაც მოხარშულ სიმინდით იკვებება, პირველ 3-4 დღეს თოვლის წყალს ხმარობდნენ საქონლისათვისა და ადამიანებისათვისაც. მეტად გაჭირდა საქონლის გატანა. აქეთ საზოგადოდ ჩალა მინდვრად აქვთ: სადაც ყანა, არის იქ ხეზე ჩამოაკოპწიალებს, და ზამთარში ნელ-ნელა მოაქვს საჭიროებისამებრ. აი ამიტომ უჩალოდ დარჩნენ და ძალიან შეწუხებულები არიან. აუწერელ მდგომარეობაში არიან საწყალი მწყემსები. ერთ მწყემსს სოფ. აქვიბაქაში შემდეგი საშუალებისთვის მიუმართავს: თავისი 90 სული ძროხა და ხარი გაუნაწილებია სოფლელთა შორის სამესამედოთ, ესე იგი ამ ერთ თვეში 3 ძროხის გამოკვებაში ერთს გამომკვებს აძლევს, ორი კი მას რჩება: დიდი ზარალი მიადგა მწყემსებს. მეთუთუნეები ერთიანად დაიღუპნენ უმეტეს მათგანს ფარდულები დაენგრათ და თუთუნები თოვლ-ქვეშ მოჰყვა.

თოვლმა ნადირი სოფლად ჩამორეკა, და ეხლა ხელით იჭერენ შვილებს! გარეული ღორები თურმე ორი-სამი ერთად დადიან სოფლად. ფრინველი შიმშილით იხოცება. თუმც ყინვები დიდი არ არის. ყველაფერი თოვლ-ქვეშ მოჰყვა და პატიოსანი ნადირი და ფრთოსანი საზრდოს ვერ შოულობს და იხოცება.

ამისთანა ზამთარი აფხაზეთში არავის ახსოვს. ყველა სასოწარკვეთას მიეცა. 31 აინვარს სოფლებისაკენ საცალფეხო გზაც კი არ არის გახსნილი – რის გამოც სოფელი მოწყვეტილია ქალაქს და ორივე დიდ გაჭირვებას განიცდიან.

...რა თქმა უნდა ბევრი კაციც იმსხვეპლა თოვლმა, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის, არ ვიცით თუ რა და ვინ. სკოლებში სოფლად მეცადინეობა

შეწყვეტილია. ქალაქის სასწავლებლებში კანტიკუნტად კი დადიან. წესიერი მეცადინეობა შეუძლებელია.

ნიკო ჯანაშია

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 18 თებერვალი, პარასკევი, №235, გვ. 4.

...ამ უმაგალითო ზამთარმა მიწასთან გაასწორა სოხუმი, მისი შეუდარებელი ბაღები ვერანადაა ნაქცევი. ქალაქს ეხლა შემოდგომის ფერი ადევს, ყველა ძვირფასი ტროპიკული მცენარე გამხმარა, გაყვითლებულა. უკვე ამ ხეებს ჩეხვა დაუწყეს. ნაირ-ნაირი მცენარეები – ციტრონები, ევკალიპტები, მუდამ ამწვანებული აკაციები, სამხრეთის ნაძვები, პალმები – ყველა დაბა, დაჭკნა და ბუჩქებიც კი დაუშნოვდა და გაფუჭდა... დღეს სოხუმში გზები გაიხსნა, ხოლო სოფლებში ალაგ-ალაგ არშინი თოვლი სძევს, რის გამოც აუწერელ გაჭირვებას განიცდიან სოფლელები. სოფ. ფშაფში უბრალო თხრილის წყალმა გადმოხეთქა ღამით და აქ მცხოვრებ ალექსი ჯანაშიას ხუთი ღვინით სავსე ქვევრი ამოუთხარა და ორი მეწველი ძროხა იმსხვერპლა. სოფ. წყურვილში თავად ალექსანდრე შერვაშიძის საჯინიბე ჩამოინგრა და 18 ცხენი ხუთი ძროხა-ხარი იმსხვერპლა. სოფ. ბომბორაში შენობები ჩამოინგრა და უამრავი საქონელი იმსხვერპლა. ცხენების ჯოგები წყურვილში საერთოდ გაწყდა, რადგან მინდვრად იყვნენ. მეძროხეები, მეცხვარეები ხელცარიელნი დარჩნენ რაც გაუწყდათ, რაც არა სანახევროდ გასცეს და თავის სახლ-კარს მოაშორეს. აი რას ამბობს აფხაზი სამსონი: მეზობლებმა მალთაყვას სახლი და ოჯახი გადაურჩინეს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 3 მარტი, ხუთშაბათი, №245, გვ. 5.

წერილი სოხუმიდან
დიდთოვლობა

ამას წინათ სოხუმიდან სოფ. ათა სოა-აძვიბჟანში ავედი, და ღმერთო ჩემო, რა სურათის მოწმე შევიქმენი! – ხალხი, ნაცნობი თუ უცნობი შეგვხვდა თუ არა, გეხვევა და მშვიდობით გადარჩენას გილოცავს.

მეთუთუნეს ბერძენ – სომხებს საქონელი ნაკლებად ჰყავდათ.

ს. ანუხვაში ზვავმა იმსხვერპლა 16 კაცი, – ბერძნები და 8 მძიმედ დაშავდა. ბევრი საზოგადო შენობა დაანგრია.

დაინგრა სოფ. აძვიბჟის ხის ეკლესია, სასკოლო შენობები ლიხნისა, ტამუშისა, ჯგერდისა და ფოქვეშისა...

დაე მომავალმა თაობამ იცოდეს თუ რა დღეები დადგა 1911 წელს მთელს მხარეს.

გაზ. „სახ ალხო გაზეთი“, 1911 წ. 3 მარტი, ხუთშაბათი, №245, გვ. 5.

სოხუმი

19 თებერვალი გლეხთა განთავისუფლების 50 წლის თავი, არც სოხუმში დარჩა აღუნიშნელი. ჯერ დილით პირველ საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დღესასწაული გადიხადა სოხუმის სამოქალაქო სასწავლებელმა. თვითმმართველობას პასსივში უნდა ჩაეთვალოს ის, რომ მისს სასწავლებელს საკუთარი შესაფერი შენობა არ აქვს და იძულებულია ყოვლად მოუხერხებელ შენობაში ატაროს დღენი. სამოქა-

ლაქო სასწავლებელს ბარათებით მოეწვია რჩეული საზ-ბა. შენობა გატენილი იყო. წინა დღით ამავე შენობაში ამავე სასწავლებელს ღარიბ მოსწვლეთა სასარგებლოდ იყო გამართული მასკარადი, რის გამოც ზალა ჩინებულად იყო მოწყობილი. დაიწყო სალიტერატურო დილა. მეექვსე კლასის მოსწავლემ მკაფიოდ წაიკითხა ალექსანდრე II-ის ბიოგრაფია. შემდეგ რიგ-რიგად ლექსი სიმღერას სცვლიდა, სიმღერა ლექსს. ბავშვები კარგად იყვნენ მომზადებულნი და კარგადაც კითხულობდნენ. ხოლო ყოველ მოლოდინს გადააჭარბა მოსწავლე გიორგი სალუქვაძემ, რომელმაც ჩინებულად წაიკითხა პუშკინის ლექსი „სოფელში“ და ნაწყვეტი ნეკრასოვიდან. უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი ქართული ლექსი არ იქმნა წაკითხული, თუმც რა თქმა უნდა დროის შესაფერისი ლექსები ბლომათ მოგვეპოვება და ბავშვებსაც ჰქონდა წაეკითხათ. სასწავლებლის გუნდი კარგად გაეწვრთნა ლოტბარს ბ. სააკაძეს. სხვათა შორის მასწავლებელმა ბ. პასკომ ვრცელი რეფერატი წაიკითხა ბატონ-ყმობის შესახებ რუსეთში. საზოგადოდ დილამ მშვენივრად ჩაიარა.

იმავე შენობაში საღამოს სახალხო უნივერსიტეტმაც გადაიხადა ეს დღესასწაული. ერთობ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. საღამო დაიწყო ილიას „მესმის, მესმის“-ის სიმღერით. გუნდმა როგორც ეს, ორი სხვა ნომერიც კარგად შეასრულა ბ-ნ ურუშაძის ლოტბარობით. შემდეგ შინაარსიანი ლექცია რუსულად წაიკითხა კოწია ის. ჯაფარიძემ ბატონ-ყმობის შესახებ. მერე ლიტერატურული განყოფილება დაიწყო. ქართულად წაიკითხეს „გუთნის დედა“, ნაწყვეტი „აჩრდილიდან“, „სამზითვო“ ერისთავისა, „მესმის, ხოლო რუსულად „Ермолай и мельничиха“, „Последнимь“ და „Железная дорога“. საზოგადოდ საღამომ კარგად ჩაიარა. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

...ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია 15 მარტს.

ახალმოსული

გაზ. „სახალხო გაზეთი“ 1911 წ. 3 , 4 , 5 მარტი, ხუთშაბათი, №247, გვ. 5.

სოხუმის სასოფლო სამეურნეო საზ-ბა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობას 1,200 მანეთი გადასდოს აფხაზეთისათვის სამეურნეო ლექციების მოსაწყობად.

გაზეთი: „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №236, გვ. 5.

28 თებერვალს გადაიბუგა საჩინო იოსელიანის სახლი, ზარალი 15 ათას მანეთამდეა.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 10 მარტი, ხუთშაბათი, №251, გვ. 2.

იხ. წერილი თემაზე: სოხუმი და მომავალი არჩევნები 15 მარტი. 451 ბედნიერ პირს აქვს უფლება 20 ათასიანი სოხუმის ბედის გადაწყვეტილება.

(ვრცელი სტატია – რედ.).

სოხუმი

ქალაქის უმთავრეს შემოსავლის წყაროს დღეს შეადგენს მისი „ლატიფუნდია“: მას აქვს 11,000 ქცევა მიწა, რომელსაც ძლიერად შემოაქვს 45000 მანეთამდის.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 10 მარტი, ხუთშაბათი, №251, გვ. 2-3.

სოხუმი

სოხუმიდან გვწერენ ქალაქის მოურავად გენერალ რულიცკის ასახელებენ. (იხ. ასევე აქვე – სროლა – მკვლელობა – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 27 მარტი, ხუთშაბათი, №265, გვ. 3.

სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ-ბის წევრთა წლიური კრება მოხდა ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში 27 მარტს. კრებას დაესწრო 677 წევრთაგან 297.

გაზ. „სახალხო გაზეთი,“ 1911 წ. 10 აპრილი, კვირა, №276, გვ. 5.

სოხუმის ქალაქის საბჭოს ხაზინისთვის 10.000 მან. უთხოვია. ეს ფული სახადთან საბრძოლველად და დრანდისა, ახალ-თონის და სხვა მონასტრების გასასუფთავებლად უნდათ.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 17 აპრილი, კვირა, №280, გვ. 2.

სოხუმის სამეურნეო საზოგადოებამ წელს 400 მან. გადასდო სახალხო სამეურნეო კურსების მოსაწყობად.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 19 აპრილი, სამშაბათი, №281, გვ. 5.

სოხუმელთა შორის

...უგზოობას უნდა მიეწეროს, რომ აქაური ქართველობა გონებრივს საზრდოს დრამატიული ხელოვნების სახით აქამდის მოკლებულნი ვიყავით. ხოლო ამ გაზაფხულიდან ბედმა გაგვიღიმა. შალვა დადიანის ხელმძღვანელობითა და ელო ანდრონიკაშვილის მონაწილეობით დაარსა დრამატული ხელოვნების მოყვარულთა წრე, რომელმაც საქმეს მეტის-მეტად ენერგიულად მოჰკიდა ხელი, და მათ და სასიხარულოდ ჯერხნობით ჩინებულად მიჰყავთ საქმე. უკვე სამი წარმოდგენა გაიმართა ამ წრის მიერ და სამივემ მწყობრად ჩაიარა. ხალხიც ბლომად ესწრება და დიდად კმაყოფილიც არის. ხოლო ერთი გარემოება ხელს უშლის ამ წრის ნახოფიერ მოქმედებას: შესაფერი შენობა არა გვაქვს. მართალია, ბატონმა სამურიდმა ააშენა, როგორც ის უწოდებს „პირველი თეატრი“, რის გამოც მისი სახელი (სამურიდის) „უკვდავთა სიაში“ ჩაწერეს ბ. ბელიაევმა და მისმა ამხანაგებმა, რომელთა დევიზია: „დიდი უკმიე, სხვათ არა“...

...წრის აზრი და მიზანი ის არის, რაც შეიძლება იაფად მიაწოდოს აქაურს არა მდიდარს საზოგადოებას ხშირ-ხშირად წარმოდგენები, გარნა სწორედ აქ უშლის მათ ხელს უბინაობა. ჯერ-ერთი რომ ბ. სამურიდის თეატრს ყოველთვის ვეღარ იშოვნი და მეორეც, მეტად ძვირია. კვირა-უქმით ასი მანეთია, ხოლო დანარჩენ დღეებში კი 75 მან. და რასაკვირველია, რომ პროვინციალურმა წრემ ასეთი დიდი ხარჯები ვეღარ აიტანოს. აი სწორედ ამ მხრივ მოელის ჩვენ წრეს საფრთხე. სხვა შესაფერი შენობა კი ჯერ-ჯერობით ქ. სოხუმში არ მოიპოვება, თუმცა ახლო მომავალში გვექნება მართლა თეატრი ბ. ალიზისა.

როგორც უკვე მოგწერეთ, ამ გაზაფხულზე სოხუმს ესტუმრა საშინელი მტერი კაცობრიობისა – სახადი და ერთ დროს დიდი შიში მიაყენა სოხუმელთ. თითქმის ერთი

კვირის განმავლობაში ამ სენით გახდა ავად 41 კაცი. ისე რომ ქალაქის თვითმმრთველობა იძულებული იყო ქალაქის საავადმყოფო (პირველად აქ იჩინა თავი) ამ სენით შეპყრობილთათვის დაეთმო. ენერგიული ზომების წყალობით თვით ქალაქში სენი სუსტდება და მისი მიმდინარეობა მშვიდობიანია. ამდენ ავადმყოფთაგან მხოლოდ 2 კაცი იმსხვერპლა: ერთი თათარი და მეორე საავადმყოფოში მოსამსახურე ქუჩულორია. მაგარი ის არის, რომ სოფლებშიც აქა-იქ იჩინა თავი, მაგ: მერხეულში, ნააში და სხვაგან. როგორც მცოდნე კაცები ამტკიცებენ, მოარული სენის გამავრცელებელი ადგილებია – ათონისა და დრანდის მამათა მონასტრები: მიუხედავად თავიანთ სიმდიდრისა, სანიტარულის მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ხოლო რუსეთიდან მლოცველები, დღე ერთია და ათასობით აწყდება. მათთვის მომზადებული ბინები კი უფრო საღორესა ჰგავს, ვიდრე ადამიანისათვის საცხოვრებლად დანიშნულის ბინას. ამ მონასტრებს სერიოზული ყურადღება უნდა მიეცეს, თორემ ახლო მომავალში, თუ სახადმა თავი დაგვანება, ... არ აუცდებათ. აქვე არ შემიძლია არ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმას, რომ ამ სენთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა ექიმ-ქალმა ხაზაროვისამ და ექ. ფაშალიდიმ.

სოხუმელი ჩიორა

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 5 ივნისი, კვირა, №319, გვ. 3.

სოხუმელთა შორის
(დასასრული)

24 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის სოხუმის განყოფილების წევრთა წლიური კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა მომავალ სექტემბრიდან მოიწვიოს მეორე მასწავლებელი, ჯამაგირად დაუნიშნა 600 მან. ხოლო სანამდის საკუთარ ბინას გაიჩენდეს სკოლა – ბინის ქირად დაუნიშნა თვიურად 20 მან. სკოლის გამგეს კი 720 მან. გადაიხადა ჯამაგირი. კრებამ სურვილი განაცხადა 1 სექტემბრამდის 2 საკლასო ოთახი მაინც მომზადდეს. სკოლის შენებას უკვე შეუდგა. ამისთვის საგანგებოდ არჩეული სამშენებლო კომისია, რომელმაც უკვე საძირკველი ჩაუყარა შენობას ქალაქის მიერ დათმობილ ადგილზე (1326 ოთხკ. საჟენია). საზ-ბას შენობა დაუჯდება არანაკლებ 25000 მანეთისა. შენობის სიგრძეა 55 ალაბი, განი – 23 ალაბი, ხუთი საკლასო ოთახი იქნება, ერთი დიდი ზალა – ტალანი (10 ¼ ხ 36 ალაბზე) და სცენა, ხოლო ცალკე მოშენებული იქნება მასწავლებლებისათვის ოთახები. სოხუმელი ქართველობა ისე მეტის მეტად სიყვარულით ეკიდება ამ საქმეს, რომ ახლო მომავალში ჩინებული შენობა ექნება სკოლას, თუ კი მასალას უქონლობამ ხელი არ შეუშალა, – აქ ქვა, კირი, აგური და ხე-ტყე მეტად ძვირია და თან ამ ჟამად ძნელი საშოვარია. გარდა ამისა, კრებამ გამგეობაში 8 ახალი წევრი აირჩია და ამ რიგად დღეს გამგეობა შესდგება 24 პირისაგან. საზოგადოდ დიდს ენერგიას და საზოგადო საქმისადმი სიყვარულს იჩენს ადგილობრივი ქართველობა. როცა თავდება საზოგადო საქმეთა კარგად წარმოებისა.

15 მაისს ადგილობრივმა ქართველობამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის განყოფილების გამგეობის თაოსნობით ჩინებულად გადაიხადა ეკატერინე გა-

ბაშვილის იუბილე. როგორც თქვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, ჩემის აზრით, მწერლის სახელი მეტად სიმპატიურად აღნიშნა აქაურმა ქართველობამ: სამუდამოდ დააწესა ადგილობრივ ქალთა სკოლაში ქ-ნ ეკატერინეს სახელზე ერთი სტიპენდია ქართ. სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფე – ქალს თავის ხარჯით გადაიყვანენ ქალთა გიმნაზიაში, ხოლო სანამდის სკოლა მოამზადებს ბავშვს, უნდა დაურიგდეს ეკატერინეს სახელით საყმაწვილო მოთხრობები. იმ დღეს კი მ. სამურიდის თეატრში „დილა მეჯლისი“ გაიმართა, რომელიც საზოგადოდ კარგად ჩაატარეს მონაწილეებმა. ვარდ-ყვავილებით მორთული მის სურათის წინ წარმოსთქვა მეტად მოხდენილი და შინაარსიანი სიტყვა კნეინა მარიამ ნიკოლოზის ასულმა ანჩაბაძისამ, მწერლის ბიოგრაფია წაიკითხა თავად შ. დადიანმა, ხოლო კნ. ელო ანდრონიკაშვილმა, ბ. მ. კობტიამ, კ. ჩაჩავამ, კაჭარავამ, ა. სანაძემ და მოწაფემ № წაიკითხეს – ზოგმა ნაწყვეტები მწერლის ნაწარმოებებიდან, ზოგმა კი ლექსები. ქართველმა ხორომ ბ. ნ. ურუშაძის ლოტბარობით შეასრულა 10-ზე მეტი ეროვნული სიმღერა. ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო ამ „დილა-მეჯლისს“, რომელიც ლეკურით დაბოლოვდა.

აქვე არ შემიძლია ეგრედ წოდებულ „ქალაქის სამკითხველოს“ გვერდი აუქციო და ორიოდ სიტყვა არ ვუძღვნა მას. ქალაქს, რომლის წლიური ბიუჯეტი 200000 მან-ს გადასცილდება ხოლმე, თითქმის წიგნთსაცავ – სამკითხველო აღარ აქვს. ამ საპატიო სახელით რაღაც დაუარსებიათ, გარნა ეს რაღაცა ყველაფერია, გარდა წიგნთსაცავისა. შედიხარ სამკითხველოში აქ წიგნები არსად აღარ არის; რუსული და ფრანგული ძველის-ძველი ჟურნალები მაგრ. შებოჭვილ-შებორკილი ღია თაროებზედაა უკანა ოთახში მტვრის სამფლობელოდ დაწყობილი, ხოლო რიგიანი წიგნი არ მოიპოვება არმც თუ ქართულს ენაზე, რუსულზედაც კი. ქართული წიგნი ამ სამკითხველოში სანთლით საძებარია, ისიც დიოგენისა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ქართველობაა და ქალაქის გამგეობა ვითომდა ქართველთ ხელშია, ამ დაწესებულებას მოსდის ორიოდე რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები და ესაა და ესაა. როგორც სჩანს, დიდი სურვილი ჰქონებია სამკითხველოს გამგეს ბ. ლოლუას როგორმე ქართული წიგნებიც შეეძინა, ამისათვის ტფილისშიაც კი წასულ წერა-კითხვის საზ-ბის გამგეობასთან საქმის მოსაწყობად, გარნა ვერაფერი მოუგვარებია: დაპირებებით დატვირთული გამოუსტუმრებიათ ბ. ლოლუა, ხოლო ვერც ერთი წიგნი ამ მოგზაურობიდან სამკითხველოს არ შესძენია. წიგნები კი მეტად საჭირო და აუცილებელია. ქალაქი იზრდება და მასთან სოხუმს აწყდება ახალი მკითხველები დაბალი წრეებიდან, განსაკუთრებით, ქართველთა, სომეხთა და ბერძენთა წრეებიდან და ვინც თავის ვიწრო ინტერესებს ჯიბისას გასცილებია. ამან ეს მოთხოვნილება აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს ან და ჩვენი ქალაქის მამები მარტო კენჭობანიაობის დროს არიან ქართველნი? სამწუხაროდ ასეცაა, ვგონებ... ასე თუ ისე, ქალაქის სამკითხველო აღარ აქვს და ისედაც ბნელი კუთხე უფრო ბნელით იმოსება... და ჩვენს ძალად მაცხონეთ ამის მეტი რაღა უნდათ?

(შემდეგ იხ.: სოფლის მეურნეობა: სიმინდის ფასი დაეცა 50 კაპიკად იყიდება, „სოხუმელი ჩიორა“ – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 7 ივნისი, სამშაბათი, №320, გვ. 3.

სოხუმში

ამ დღეებში სტუდენტი პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტისა ლადო გეეგჭკორი წაიკითხავს საჯარო ლექციას: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. ხუთშაბათი, 16 ივნისი, №320, გვ. 3.

სტუდენტ ლ. გეგეჭკორის ლექცია ნ. ბარათაშვილზე ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ დაბრკოლებისა გამო, არ შესდგა. იქაური პოლიც-მეისტერი ბოლო ხანებში თურმე სასტიკად კრძალავს ქართულ ენაზე ლექციებს. თვით სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასაც, ბევრჯერ მიუღია უარი ქართულ ენაზე ლექციის გამათვისა.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 21 ივნისი, სამშაბათი, №232, გვ. 2.

სოხუმი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ადგ. განყ-ბის გამგეობამ 18 ივნისს სხდომაზე დაადგინა მეორე მასწავლებლის ადგილზე მოიწვიოს ს. ცაიშის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი ნოე ალმასხანის ძე ქურიძე (ზომლეთელი)

(იგივე გვერდზე იხ.: დაბა ოჩამჩირე: მკვლელობა 13 ივნისს, სიმინდი დიდი-ძალი მოაქვთ მაგრამ ფასებია დაბალი, გვალვაა. სოხუმის ამბები: ხმოსნების სხდომა (მცირე სტატია) – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 23 ივნისი, ხუთშაბათი, №334, გვ. 3.

სოხუმი

„კოლხიდას – სიტყვით ქალაქის საბჭოს რამდენიმე საჩივარი შეუტანია ადგილობრივ საქალაქო საკრებულოში შესახებ იმისა, რომ 31 მაისს თავ. ალ. შარვაშიძის უკანონოდ იყო არჩეული სოხუმის ქალაქის მოურავადო.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 28 ივნისი, სამშაბათი, №338, გვ. 2.

სოხუმი

საქალაქო საქმეთა საკრებულოს უყურადღებოდ დაუტოვებია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთი ჯგუფის საჩივარი შესახებ იმისა, ვითომც თავ. შარვაშიძის არჩევანი ქალაქის მოურავის თანამდებობაზე, უკანონოდ მომხდარიყოს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 5 ივნისი, სამშაბათი, №343, გვ. 2.

სოხუმი

ქართ. დრამ. ხელოვნების მოყვარეთა წრემ დაადგინა, მთელი სეზონის განმავლობაში წარმოდგენები ჰმართოს. წრემ ჯერ-ჯერობით მოიწვია ქ. ე. ანდრონიკაშვილი, და ბ. შ. დადიანი. მათ შრომის ფასად დაენიშნათ 150 მანეთი. სეზონი 1 სექტემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება.

3 ივლისს ქალაქის თვითმმართველობაში მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ოთხი ახალი წევრის არჩევნები. გამგეობის წევრებად აირჩიეს ბ. კ. ჯაფარიძე,

ბ. დ. ქობალავა, ბ. თამარა და ბ. მაკაროვი.

ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დავითი.

ამ ჟამად სოხუმიდან ოსმალეთში დიდი ძალი სიმინდი გააქვთ. რუსეთში კი დიდი ძალი ადგილობრივი ხილი იგზავნება.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. კვირა, 10 ივნისი, №340, გვ. 2.

მეაბრეშუმეობა აფხაზეთში

აბრეშუმის მოყვანა აფხაზეთში პირველად ამ ერთი წლის წინად დაიწყეს და ისიც მხოლოდ ზოგიერთ სოფლებში. წელს კ. ბ-ნმა შარვაშიძემ, ბ. მიქელაიშვილმა და ბ. ტუღუშმა, სოხუმის ყველა ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებ გლეხებს დაურიგეს აბრეშუმის ჭიის თესლი და ასწავლეს მისი მოვლა, მოყვანა. საშინელ ზამთრისგან გაღარიბებული და შეწუხებული ხალხი, ერთგულად შეუდგა აბრეშუმის მოყვანის საქმეს. საბედნიეროდ პირველად ცდამ მუქთად არ ჩაიარა და შრომამ ნაყოფი გამოიღო. ყველა ოჯახში მოუყვანიათ პარკი 1-დან 4-5 ფუთამდე. ბ-ნმა შერვაშიძემ და ამხანაგებმა ქ. სოხუმში მოაწყეს ფარდული, რაც მთელ აფხ-ში პარკი მოვიდა, ყველას ესენი ყიდულობენ. სამწუხაროდ. ეს ამხანაგობა პარკს ყიდულობს 12-13 და არა უმეტეს 14 მანეთისა, მაშინ როდესაც საქ-ლოს სხვა კუთხეებში პარკის ფასი 17-18 მან-ია. ამ ამხანაგობის ფარდულში მუშაობს თითქმის 30 კაცი, ქალი და ბავშვი. ფარდულს განაგებს ბ. ოდიშარია. ამ უკანასკნელის მეცადინეობით მეცადინეობით ფარდულში შემოღებულია 8-სთ-აინი სამუშაო დღე. დღიურად მომუშავე ქალებს და ბავშვებს 304 აბაზი. თვიურად მომუშავეთ 17-20 მან-მდე. გლეხები მეაბრეშუმეობით კმაყოფილნი არიან. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ მომვალში მთელ აფხ-ში გავრცელდება მეაბრეშუმეობა; რაც ძლიერ ხელს შეუწყობს აფხაზთა სოფლების კულტურულ და ეკონომიკურ წინმსვლელობას.

ი. ჩხარელი

გაზეთი: „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 21 ივნისი, ხუთშაბათი, №357, გვ. 3.

სოხუმი

შესდგა მომხმარებელი საზოგადოება, რომელმაც წესდება უკვე შეიმუშავესდა დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა. საზოგადოებას სახელად „სოლიდარობა“ ერქმევა.

ამ მომავალ ხანში გამოვა რუსული გაზეთი „სოხუმის ცნობარი“.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 26 ივნისი, სამშაბათი, №361, გვ. 2.

სოხუმი 26 ივლისს ქალაქის გამგეობაში შედგა ხმოსანთა კერძო კრება. (განიხილავდნენ რკინის გზასთან დაკავშირებულ საკითხებს).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №367, გვ. 2.

სოხუმი

28 ივლისს, მამასახლისად, 65 ხმით 35-ის წინაღმდეგ, ფარნა ჩაბრავა აირჩიეს, მის თანაშემწედ – ზელინსკი.

გაზ. „სახ გაზეთი“, 1911 წ. 4 აგვისტო, ხუთშაბათი, №367, გვ. 3.

სოხუმის ცხოვრება

31 ივლისს ქართველთა შორსი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. გამგეობის თაოსნობით, განსვენებულ ქართველ ქველმოქმედ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდის წინ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა დავითმა. მისმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მითუმეტეს, რომ დიდი ხანია ამ ტაძარში ქართული სიტყვა არავის გაუგონია.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო გარემოება. როცა პანაშვიდის წესი ქართულად სრულდებოდა და მთავარ დიაკონი ბ-ნი მეშკოვსკი, ტომით რუსი, ლოცვებს ქართულად კითხულობდა, მგალობელთა გუნდი ბ-ნი საკაძის ლოტბარობით რუსულად გალობდა. ჩვენი დაუდევრობა ამაზე შორს ვერ წავა. ნუ თუ სოხუმის ქართველ საზ-ბას არ შეუძლიან ქართველ მგალობელთა გუნდი იყოლიოს, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაგვიხსნას ხოლმე სირცხვილისაგან! პანაშვიდს საზ-ბა საკმაოდ დაესწრო, თუმცა შესაძლებელი იყო გაცოლრბით ბევრი დასწრებოდა. ამის ბრალი წ. კ. ს. გამგეობას მიუძღვის. ნუ თუ გამგეობას არ შეეძლო ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში მოეთავსები განცხადება და საზოგადოებისათვის ეცნობებინა.

ი. ჩხარელი

გაზ. „ სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 10 აგვისტო, ოთხშაბათი, №373, გვ. 3.

სოხუმი: 5 აგვისტოს შეიპყრეს ირაკლი თეიმურაზის ძე ჯაბუა.

გაზ. „ სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №376, გვ. 2.

სოხუმი

ქალაქის აუზებში წყალი სრულად არ არის, და მკვიდრნი უწყლობას ითმენენ. წყალი ღამით მიაქვთ მეთულუხებს და ონკანი დილიდანვე დაკეტილია. დანარჩენებს ქალაქის გამგეობაში უხდებათ სიარული რათა პირი მაინც დაისველონ.

გაზ „ სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 17 აგვისტო, ოთხშაბათი, №378, გვ. 2.

სოხუმი

ქუთაისის გუბერნატორმა სოხუმის თვითმმართველობას ნება დართო, გადამდებ სენით ავადმყობთათვის ბარაკი ააგოს, ხოლო ქალაქის საავადმყოფოდან 20 საჟენის მოშორების.

გაზ. „ სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 21 აგვისტო, კვირა , №382, გვ. 3.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა იოსე-

ლიანის სახლიდან ეგნატე გეგენავას სახლში გადაიტანეს. ბავშვების I და II განყოფილებაში 25 აგვისტოს დაიწყება. მეორე მასწავლებლად მოწვეულა ნოე ქორიძე.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 24 აგვისტო, ოთხშაბათი, №384, გვ. 2-3.

სოხუმი

30 აგვისტოს, ადგილობრივ ქართულ სკოლის სასარგებლოდ მომღერლის ვ. სარაჯიშვილის მონაწილეობით კონცერტი გაიმართება.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 25 აგვისტო, ხუთშაბათი, №385, გვ. 2.

სოხუმი

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას განზრახვა აქვს, მოკლე ხანში საზოგადოების წევრებს შეეკითხოს, როგორი შინაარსის ლექციების გამართვა არის საჭირო. გამგეობა ამას გარდა გამგეს იწვევს შარშან მოზრდილთათვის დაარსებულ უფასო სკოლისათვის.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 8 სექტემბერი, ხუთშაბათი, №396, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის წიგნთსაცავ-სამკითხველო

მთელ სოხუმში მხოლოდ ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველოა, რომელიც ქალაქს ეკუთვნის. ყველამ უწყის, რომ სოხუმი მდიდარი ქალაქია. თუ სადმე სამართალია ეს სიმდიდრე ყველაზე უფრო ქალაქის სამკითხველოს უნდა ეტყობოდეს, რადგან ადგილობრივ მკვიდრთა გარდა რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მოსულნიც მრავლად დაიარებიან სამკითხველოში, მაგრამ აქაური სამკითხველო ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაშია: სამკითხველოში სრულად არ მოიპოვება ახალი ლიტერატურა კი არა და ისეთ მწერალთა ნაწარმოებიც კი არ არის, როგორც, მაგალითად: – ტოლსტოი, პუშკინი და სხვებია. სამკითხველოში მრავლად არის მხოლოდ საარხივო ლიტერატურა და ჟურნალები, რომელნიც სხვა და სხვა პირით შეუწირავთ, და ზოგი შემთხვევით შეუძენია ქალაქის გამგეობას. სამეცნიერო წიგნებიც ძლიერ ცოტაა. ჟურნალ-გაზეთების გამოწერისა ქალაქის გამგეობამ უარჰყო. ამ უარის გასამართლებლად უსახსრობა დაასახელა. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამკითხველოში თითქმის უმრავლესობა ქართველები დადიან და დიდი მოთხოვნილებაა ქართული ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთებისა, მაგრამ ამ გარემოებაზე ყურსაც არ იბერტყავენ ჩვენი „ქალაქის მამები“. სამკითხველოს გამგემ ბ-ნმა ლოლუამ არა ერთხელ მიმართა ამის შესახებ ქალაქის გამგეობას და სთხოვა, როგორმე დაეკმაყოფილებინათ საზოგადოების მოთხოვნილება, მაგრამ თხოვნა ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბ-ნმა ლოლუამ კიდევ ითხოვა, ყურადღება მიექცია ქალაქის გამგეობას წიგნთსაცავ-სამკითხველოს მდგომარეობისათვის. დიდი ხნის დუმილის შემდეგ გამგეობამ და ხმოსნებმა ამოირჩიეს კომისია და მიანდეს მას, – გამორკვევა ქალაქის სამკითხველოს მდგომარეობისა და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ერთხელ ამ კომისიის კრებაც იყო დანიშნული ქალაქის თვითმმართველობაში, მაგრამ წევრების დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. მას შემდეგ წიგნთ-საცავის საქმე ჩვეულებრივად დავიწყებას მიეცა. ვნახოთ როგორი მზრუნველნი და საზოგა-

დო საქმისთვის გულშემატკივარნი აღმოჩნდებიან ზემო ხსენებულ კომისიის წევრები. სამკითხველოს ხარჯების დასაკმაყოფილებლად გადადებულა წლიურათ 1000 მან. აქედან ბინის ქირად იხარჯება 400 მ. დანარჩენი კი, – ჟურნალ-გაზეთებში, გათბობა განათებაზე და მსახურებაზე. სამწუხაროდ მდგომარეობა ისევე უყურადღებოდ არის დატოვებული, როგორც ყველა სხვა მხრით. ხუთი-ექვსი წლის ნამსახურ გამგეს ეძლევა თვეში 25 მან. მის თანაშემწეს კი 15 მან. ნორმალური დასვენებაც ეხლა უწესოდ არის დაყენებული. სამკითხველო იღება დილის 9 ს. შუად. 2 ს სა დარ. 5 ს. 9 საათამდე. ასევეა კვირა-უქმე დღეებშიაც. კარგი იქნება თუ კომისია ამ გარემოებასაც მიაქცევს ყურადრებას.

ი. ჩხარელი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 8 სექტემბერი, ხუთშაბათი, №396, გვ. 3.

სოხუმი

ქალაქის გამგეობის წევრების კანდიდატებად, გარდა დასახელებული გამგეობის წევრის ი. ზ. ცეცხლაძისა, ასახელებენ აგრეთვე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-სამამულო ბანკის შემფასებლად ნამყოფ დგებუაძეს და ხმოსან ვ. თ. პრეობრიაჟენსკის.

გაზ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 23 სექტემბერი, პარასკევი, №407, გვ. 2.

სოხუმი

შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველებმა ეკლესია გაძარცვეს და 200 მანეთი წაიღეს.

გაზ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 24 სექტემბერი, შაბათი, №408, გვ. 3.

სოხუმი

სასოფლო-სამეურნეო საზ-ბის განყოფილება წელს შეუდგა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის „ჩერნომორსკი სელიანინის“ გამოცემას და მიწათმოქმედების დეპარტამენტს სთხოვა, ყოველ წლიურად 700 მან. დაგვეხმარეთო.

გაზ „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 14 ოქტომბერი, პარასკევი, №424, გვ. 2.

სოხუმი

სოხუმის სცენის მოყვარეთა წრეს ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის საზ-ბასთან შეერთება განუზრახავს.

ქალაქის გამგეობა შეუდგა ძვ. წყალსადენი მილების შეკეთებას, რომელსაც 3 კვირის განმავლობაში დაამთავრებს.

რადგან ტუაპსეს ნავთსადგურის აშენებაში ბევრი მუშა იღებს მონაწილეობას, სოხუმში მუშების რიცხვი ძლიერ შემცირდა და მუშა ხელის საჭიროებაა (სოხ. გაზ.).

თეატრი

იქვე: სოხუმის ქართული დრამატიული წრე საბედნიეროდ უკანასკნელ წლებში

ჩვენმა ხალხმაც იგრძნო სახალხო თეატრების მნიშვნელობა და საჭიროება და შეძლების გვარად ხელს უწყობს მის აღორძინებას. 1910 წელს ქ. სოხუმშიაც შესდგა მოწინავე მუშების მცირე-რიცხოვანი წრე, რომლის მიზანიც იყო, – შეედგინათ სცენის მოყვარეთა დასი, რომლის ხელმძღვანელადაც უნდა მოეწვიათ ორი მსახიობი, ერთი ქალი და ერთი კაცი. წარმოდგენების მართვა განზრახული ჰქონდათ მახლობელ სოფელ-დაბებშიაც. წარმოდგენები უნდა ყოფილიყო შინაარსიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასიანები. წრეს მიზნად ჰქონდა, საძირკველი ჩაედგა ადგილობრივ მუდმივ ქართულ სახალხო თეატრისათვის, მაგრამ უსახსრობის გამო დიდ ხანს ვერ განახორციელა თავისი მიზანი.

საბედნიეროდ ამავე წლის მიწურულს სოხუმს ეწვივნენ მსახიობი ქ-ნი ელენე ანდრონიკაშვილი და ბ. შალვა დადიანი, რომელთაც რამდენიმე წარმოდგენის დადგმა ჰსურდათ. წრემ მოინდომა ამ შემთხვევით მიზნის დაახლოება და წინადადება მისცა ბ. დადიანს – მას ეკისრა წრის ხელმძღვანელობ. ბ. დადიანი სიამოვნებით დასთანხმდა. შესდგა პატარა დრამატიული წრე. დაიდგა წარმოდგენებიც. წრემ საკმაო უნარი და შრომა გამოიჩინა, რითაც საზ-ბის ყურადღებაც დაიმსახურა. ამის შემდეგ ინტელიგენციაც შეგროვდა წრეში, ამას მოჰყვა წრეში პირადი კინკლაობა და ინტრიგები და სხვა, მაგრამ წრე წარმოდგენებს 1911 წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებამდე მაინც ჰმართავდა, წარმოდგენების შემოსავლიდან შრომის ფასს აძლევდა სამ მოწვეულ მსახიობს, აძლევდა თეატრის ხარჯებს, რომელიც არა უმცირესი 130 მან-მდე იყო ხოლმე და სხვა. ამას გარდა წრემ ერთი საბენეფისო წარმოდგენა მისცა ბ. შ. დადიანს, ერთი წარმოდგენა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ სკოლას.

ივნისში ქ. ე ანდრონიკაშვილი და ბ. შ. დადიანი კახეთისაკენ გაემგზავრნენ, ადგილობრივი საზ-ბაც სააგარაკოდ წავიდ-წამოვიდნენ და ქართული წარმოდგენებიც შესწყდა. 1911 წლის სეზონისათვის წრემ კვლავ მოიწვია ქ. ანდრონიკაშვილი დაბ. დადიანი, რომელთაც წრემ დაუნიშნა განსაზღვრული შრომის ფასი (150 მან. თვეში ორივეს და თითო ბენეფისი).

ამ თვის პირველ რიცხვებში ქ. ანდრონიკაშვილი და ბ. დადიანი უკვე ჩამოვიდნენ და მუშაობას შეუდგნენ. წრემ შეუმუშავა და დაამტკიცა სახელმძღვანელო წესდება, ამოირჩია გამგეობა და სხვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წრე შეუდგება თანხმობით ენერგიულ მუშაობას, წრეში მოისპობა ყოველგვარი კინკლაობა და შეერთებულის ძალ-ღონით მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს ამ დიად საქმეს. წრეს განზრახვა აქვს ამ სეზონში დასდგას თანამედროვე პიესები, მოიწვიოს ხოლმე გასტროლიორები და იაფფასიანი წარმოდგენებიც ჰმართონ. დრამატ. წრე უკვე შეუდგა პიესების მზადებას. სეზონის გასახსნელი წარმოდგენა დაიდგმება 15-ს ოქტომბერს. წარმოადგენეს ა. ცაგარელის „გულჯავარ“-ს!..

ი. ჩხარელი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 20 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №429, გვ. 3.

სოხუმი

შაბათს 15 ოქტ-ერს, სამურიდის თეატრში ქართ. დრამ. წრემ ბ. შალვა დადიანის ხელმძღვანელობით და ქ. ელენე ანდრონიკაშვილის მონაწილეობით სეზონის

გასახსნელად დაიდგა ა. ცაგარელის ისტ-ლი პიესა „ლეკის ქალი გულჯავარ“ და ახოსპირელის „გეურქ-აღა და შანტჟისტები“, ყველამ იცის, რომ „გულჯავარ“ დრომოჭმული პიესა, ამისდა მიუხედავად პიესამ მეტად კარგად ჩაიარა და საზ-ბაც ძლიერ კმაყოფილი დარჩა. პიესის ყოველივე ნაკლი შეავსო კარგმა თამაშმა, ეს მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ მოთამაშეთაგან გარდა ქ. ე. ა-ლი და ბ. შ. დ.-ნისა ყველა ადგილობრივ სცენის მოყვარენი იყვნენ. ძალიან კარგად შეასრულა „გულჯავარის“ როლი ქ. ე. ანდრ-შვილმა მისმა თამაშმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა ქ. ვ. კუხალეიშვილიც კარგი იყო ფატმანის როლში მხოლოდ ცოტა ჩქარობდა. ბ-ნ დადიანმა პირდაპირ განახორციელა ცაგარელის პიესის უმთავრესი გმირი ლევანი. მან მეორე მოქმედების ის ადგილი, სადაც სულიერ ტანჯვას განიცდის, და ვერ გადაუწყვეტია ირაკლის მოკვლა, იმდენად მგრძნობიერად ჩაატარა, რომ საზ-ბაში ქვითინი გამოიწვია. კარგი იყო ბ-ნი გ. ერქომაიშვილი – რამაზის როლში. ბ-ნი კობახიძე (ირაკლის სახლთ-უხუცესი, ბახვისპირელი (რევაზი) და ბ. ვ. კოზმავა (ირაკლი) ხელს უწყობდნენ წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას.

ბოლოს ითამაშეს ბ. ახოსპირელის „გეურქ-აღა და შანტაჟისტები“. ამ უკანასკნელმაც კარგად ჩაიარა. განსაკ. კარგები იყვნენ ბ-ნი ა. სანაძე (გეურქ-აღა) და ბ-ნი ს. ფრანგულიაცი (აკოფა). უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროთ მა ვოდევილმა დამსწრეთა ერთ ჯგუფში უკმაყოფილება გამოიწვია; ვითომდა ამით, ჩვენ სომხები, ვილანძღებითო. ერთმა მათგანმა კიდეც დაიძახა: „შეცდომააო“. მეორე დღეს მოწინავე ელემენტებმაც კი უკან დააბრუნეს აბონემენტის ბილეთები, „ჩვენ გვლანძღავენ და როგორღა მოვაღოთო?“

წარმოდგენას ხალხი ცოტა დაესწრო, რაც მეტად სამწუხაროა, რომ სოხუმის ქართველი საზ-ბა ასე გულცივად შეხვდა პირველი სეზონის პირველ წარმოდგენას.

შაბათს 22-ს ოქტომბერს წარმოადგენენ ერიეს 3 მოქმ. დრამას – „ბრჭყალებში“

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 21 ოქტომბერი, პარასკევი, №430 გვ. 4.

სოხუმი

ამ მოკლე ხანში დაიწყება მეცადინეობა საღამოს კურსებზე, რომელსაც სახალხო უნივერსიტეტი აწყობს სამოქალაქო სკოლაში. სახ. უნ. გამგეობის აზრით აქვს გახსნას საბუჰალტერო კურსები, რაც მეტად სასარგებლო იქნება. კარგი იქნება, გამგეობა ლექციების სისტემატიურად კითხვასაც მოაწყობდეს. უპირატესობა ქართულ ლექციებს უნდა მიეცეს. რადგან აქ მუშა ხალხის დიდ უმრავლესობას ქრთველობა შეადგენს.

ქალაქის გამგეობის წევრების არჩევნები 30 ოქტ-ს მოხდება (ბათ. გაზ.)

(შემდეგ იხ.: ნავთსადგურის შესახებ. – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 23 ოქტომბერი, კვირა, №432, გვ. 2.

სოხუმი

სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსებზე უკვე დაიწყო მეცადინეობა. ჯეროჯერობით მოწაფეთა რიცხვი 40-მდეა. მეცადინეობა კვირაში 5 დღეს სწარმოებს,

ქალაქის სკოლაში. განსაზღვრულია შემოიღონ ქართული წერა-კითხვის სწავლებაც.

30 ოქტომბერს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში ბ. მახვილაძემ ქართულ ენაზე წაიკითხა ლექცია ჭლექზე.

6-ნოემბერს საბოტანიკო ბარის მუზეუმის დარბაზში მოხდება მიწად-მოქმედ საზ-ბის კრება. გასარჩევია 8 საყურადღებო კითხვა.

ამ დღეებში სამურადის თეატრში ქართ. დრამტ. წრის საზოგადო კრება მოხდება.

20 ოქტომბერს ტფ. პალატის სესიამ გაარჩია ქალაქის მოურავად ნამყოფ ნ. კ. თავდგირიძის საქმე. ბრალად ედება მოურავობის დროს ბოროტ-მოქმედებთა ჩადენა. სესიის განაჩენით ბრალდებულს აეკრძალა, სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სამსახური.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლისა და თეატრისათვის შენობის აგება ძლიერ შეფერხდა, რადგნ საზ-ბას ფული აღარა აქვს. საზ-ბის ბევრ წევრს, საწევრო ფული ჯერაც არ შეუტანია.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, №440, გვ. 3.

სოხუმში 31 ოქტომბერს შესდგა ხმოსანთა მორიგი კრება.

სოხუმი

ქართველობა ძლიერ შეაწუხა დაუღალავ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძის დაკარგვამ.

თავდგირიძე

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 5 ნოემბერი, შაბათი, №443, გვ. 3.

სამურზაყანოს ავ-კარგი

სამურზაყანოს მცხოვრებთა უმეტესობის უმაღლეს სურვილს და მისწრაფებას მხოლოდ ცხენების ქურდობა შეადგენს; სამწუხაროდ ეს სენი სამარცხვინოდ აქ სულაც არ მიაჩნიათ, პირიქით, ქურდობით ამაყოფენ კიდეც. ამის შემდეგ ეს მხარე სხვა კუთხესთან შედარებით რომ ყველაფერში ჩამორჩენილი იყოს რა გასაკვირია? სამურზაყანოს დაბურულ ტყეებში ბევრი ყაჩაღი აფარებს თავს, მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება. შეუძლებელია ყველა იმ ბოროტ-მოქმედებათა ჩამოთვლა, რაც ყაჩაღებს ჩაუდენიათ აქ: კაცის კვლა, დაცემა და ძარცვა-გლეჯა ყოველდღიურად მოვლენად იქცა... (მფრინავი რაზმის უნიათობა).

...სამურზაყანოში არ მოიპოვება არც სამკითხველო და არც წერა კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა. ის ფული რაც „მფრინავ რაზმზე“ იხარჯება, რომ რაიმე კულტურული დაწესებულებას მოხმარდეს დიდი ნაყოფს მოიტანდა.

სამურზაყანოს სკოლებში მუნჯური მეთოდია გამეფებული; დასაგმობია დაბა გალის ორ კლასიან სკოლის ქართველ მასწვლებლების საქციელი, გალის სკოლაში ქართ. ენაზე სწავლება გააუქმა, რადგანაც უმეტეს ნაწილათ მასწავლებლებად გალის ორ კლასიან სკოლაში კურს დამთავრებულნი არიან, რომელთაც ბ. ბ. სვანიძის, ჩირაკაძის და მასხარაშვილის წყალობით ქართ. ენისა არაფერი გაეგებათ.

ბლაღოჩინი სვანიძე გამგეა გალის ორ კლასიან სასწავლებლისა. მან სკოლა-

ში არ გვაკმარა ქართ. ენაზე სწავლების გაუქმება და ეკლესიაშიც რუსულ-ნარევ წირვა-ლოცვით გვიმასპინძლდება. ეს სვანიძეს სტუმართმოყვარეობით ემართება, რადგანაც წირვა-ლოცვას ხანდახან 2-3 რუსი ესწრება...

ურიგო არ იქნება სვანიძე იმასაც მიაქცევდეს ყურადღებას, რომ გალის სკოლაში მასწავლებელმა უზარმაზარი სასკოლო ოთახები საცხოვრებლად თვითონ დაირიგეს და მოსწავლეები მოათავსეს პატარა ოთახებში, სადაც ნამეტანი სივიწროვის გამო იმგვარი ჰაერი დგება, რომ პირველ გაკვეთილის შემდეგ სუნთქვაც შეუძლებელია; წლეულს სკოლის გამგეობამ უადგილობის გამო სკოლაში შესვლის მსურველთ ბევრს უთხრა უარი.

სამურზაყანოში ჭეშმარიტ რუსთა კავშირიც პოულობს ნიადაგს, თუმცა სკოლებში რუსები სრულიად არ მოიპოვებიან, მაგრამ მელიტონ ემუხვარის და თარხან ბაკურბეის ზეგავლენით ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებლებს ნამდვილ ჭეშმარიტ რუსებად მოაქვთ თავი; ხმა დადის, სოფ. მუხური მთლად

ჩაეწერა ჭეშმარიტ რუსთა კავშირშიო. სამურზაყანო განთქმულია სტუმართმოყვარეობით; ყოველი ოჯახის სახლის კარები ღიაა გამვლელ-გამომვლელთათვის. მხოლოდ ის ქართველები რომელთაც სხვა და სხვა საქმის გამო სამურზაყანოში უხდებათ ცხოვრება, აქაურ მცხოვრებლებს ათვალწუნებული ჰყავთ; ქორთუ (ქართველი) აქ საგინებელ სიტყვათ არის გადაქცეული; იმერეთიდან, ქართლ-კახეთიდან მოსულებს აქ ქორთუებს ეძახიან და თავის თავს კი ქართველებად არა სთვლიან, რასაკვირველია ეს მათ გაუგებრობით მოსდით. საკმარისია იმერელს ან კახელს სამურზაყანოელთან ცოტა შელაპარაკება მოუვიდეს, მაშინვე მას უთვალავი სამურზაყანოელი მიესევა და, თუ გინდ ის ცამდის მართალი იყოს, მაინც ძალთმომრეობის მსხვერპლი გახდება.

(შემდეგი თემები წერილში: მოსავალი, რკინის გზა. ძველად ქართველების მონასტერი დაბა დრანდაში – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 6 ნოემბერი, კვირა, №444, გვ. 3.

სოხუმი

ქალაქის განაპირა ქუჩები ძლიერ უყურადღებოდ არის დატოვებული. ქუჩები დაულაგებელია, რის გამოც დარში-საშინელი მტვერი დგება, ავდარში კი – გაუვალი ტალახი. დიდი უსუფთაობაა. საჭირო ყურადღება მიაქციონ ქალაქის „მამებმა“ და სასანიტარო კომისიამ.

12 ნოემბრის სამურიდის თეატრში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებული ქართ. დრამ. წრე გამართავს წარმოდგენას. წარმოადგენენ ფულიდის „ჩერჩეტს“

13 ნოემბერს, დილით იგივე წრე, იმავე თეატრში გამართავს იაფ-ფასიან სალიტერატურო დილას. მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ე. ანდრონიკაშვილი, ბ. ბ. შ. დადიანი ნ. ჯანაშია, ნ. ზომლეთელი, ი. კორტი, ვ. ჯუღელი და სხვანი.

(იხ.: მკვლელობა სოხუმში – რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 9 ნოემბერი, ოთხშაბათი, №446, გვ. 2.

სოხუმი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ქართულ სკოლაში 7 ნოემბერს მეცადინეობა განაახლეს. ამ სკოლაში წელს 113 მოსწავლე ირიცხება – 7-8 ვერსიის მანძილიდანაც კი დაიარებიან ქართველი მოწაფეები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-თან არსებულ ქართ. დრამ. წრის წარმოდგენები, ბინის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, დროებით შეფერხდა.

რეალურ სასწვლებლის მესამე კლასი დროებით დაიხურა, რადგან რამდენიმე ბავშვი მოარულით გახდა ავად.

8 ნოემბერს ქ. გაგრაში მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების დღიდან 200 წლის შესრულების გამო, შესდგა საიუბილეო საღამო. მონაწილეობას ღებულობდა გაგრის ყველა სასწავლებლის მასწავლებელ-მოსწავლეები, წარმოითქვა სიტყვებიც.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 16 ნოემბერი, ოთხშაბათი, №452, გვ. 2.

სოხუმი

20 ნოემბერს ბერძენთა საზ-ბამ გადაწყვიტა ააგოს საკუთარი ეკლესია. ამისთვის ბათუმიდან დეპეშით გამოიწვიეს ხუროთმოძღვარი ბ. ეფემიდი. ბ-ნმა ბატონმა ეფემიდმა უკვე იჯარით აიღო ეკლესიის აშენება 28000მ. ეკლესიას ორი წლის განმავლობაში დაამთავრებენ.

კვირას, 20 ნოემბერს, სამურიდის თეატრში ბ. გაბლაიამ კოოპერაციაზე ქართულად წაიკითხა 2 ლექცია. ლექციის თემა და პროგრამა კარგი იყო. ლექციების მეორე ნახევარში გვიჩვენებდა სურათებს და ძლიერ კარგ შთაბეჭდილებასაც სტოვებდნენ. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი ორივე ლექციაზე ძლიერ ცოტა დაესწრო.

(იხ. ინფორმაცია – ქალაქის საბჭოს სხდომა, ძარცვა, წყალსადენი, რკინის გზა. რედ.).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 29 ნოემბერი, სამშაბათი, №262, გვ. 2.

(ქალაქის გამგის შუამდგომლობა წყალსადენის შესაკეთებელ თანხებზე. ყაჩაღის შეპყრობა).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №464, გვ. 2.

ფრენა სოხუმში

27 ნოემბერს 2 საათზე აფრინდა ა. ა. კუზმინი.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 465, გვ. 3.

სოხუმი

უცნობმა პირმა გადასცა სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ-ბის თავჯდომარეს თ. დ. თავდგირიძეს 500 მან. საქველმოქმედო საქმეებზე გასანაწილებლად. თ-დმა თავდგირიძემ ეს ფული ასე გაანაწილა: 1). 100 მან. საქველმოქმედო საზ-ბას. 2). 100 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზ-ბას. 3). 100 მან. ჭლექთა მებრძოლ საზ-ბას. 4). 100 მან. ქართულ სასკოლო საზ-ბას. 5). 100 მან. აფხაზეთის სასკოლო საზ-ბას.

(„ს.ვ“)

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 14 დეკემბერი, ოთხშაბათი, №475, გვ. 3.

1912

გაზეთი „ბათუმის გაზეთი“

ქუთაისის გუბერნაიში ყოფილა სულ 380 სამრევლო და სამინისტრო სკოლა. გადაწყვეტილი კი ყოფილა 1489 შკოლა. ამიტომ წელს კიდევ განზრახვაა გაიხსნას 540 სკოლა და შემდგომშიაც ამ რიცხვს მიემატოს – სანამ გადაწყვეტილი რიცხვი არ შესრულდება.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 19 იანვარი, ხუთშაბათი, №15, გვ. 2.

ოჩამჩირე

არა გვგონია მოიპოვებოდეს სადმე ისეთი ყველაფერს ჩამორჩენილი დაბა, როგორც ოჩამჩირე. არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს. ხოლო ყავახანებს ყოველ ნაბიჯზე ფეხის გადადგმაზე შეხვდებით. დღეს არამც თუ დაბებში, არამედ სოფლებშიაც ხშირია ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. აქ კი ოდესღაც დაუარსებიათ, მაგრამ რაკი მკითხველი არავინ გამოჩენილა ისევ მოუხურავთ, ყავახანებში კარტ-ნარდის თამაშით და სამიკიტნოებში ქეიფით, რომ მარტო დაბალი წრის პირნი კმაყოფილდებოდნენ, არას ვიტყოდით, მაგრამ სამწუხარო და სავალალო სწორედ ისაა, რომ ადგილობრივი ინტელიგენციაც შესისხორციელებია ამ ყოვლად უვარგო და სამარცხვინო ჩვეულებებს... არ ვიცი როგორ მოხდა და აქაურ ნოქრებს გვარიანი თავისუფალი დრო აქვთ, (განსაკუთრებით საგალანტერიო და მანუფაქტურული სავაჭროების), მაგრამ ყოველნაირი თავისუფლება ხომ მაშინ არის სანატრელი თუ ის ხმარდება წინ სვლა განვითარება. აქაური ნოქრები კი ყველა ამაოებს დაშორებულნი არიან, მათ ეს არ აინტერებთ.

...?

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 7 თებერვალი, სამშაბათი, №30, გვ. 2.

წერილი ოჩამჩირედან

(ცოტა რამ ნოქარ-შეგირდთა ცხოვრებიდან)

(წერილის დასაწყისში იხ.: ზოგადი განხილვა ნოქარ შეგირდთა ურთიერთობათა შედეგის – რედ.).

...არც ერთ დარგში ჩვენსკენ ისე მრავლად არ არის მცირე – წლოვანთა რიცხვი, როგორც სავაჭრო დაწესებულებებში, ისე იგი მაღაზიებ-დუქანებში. აქ შეყავთ შეგირდები 10-11-დან 14 წლამდე მაგრამ იმ მოსაზრებით კი არა, რომ დღეს ვითომ შრომას ავალებდნენ. არამედ აბარებენ ვაჭარს გამოსაზრდელად. ახლა ვიკითხოთ როგორ მზრუნველობას უწევენ ხაზეინები ამ შეგირდებს და რა ცოდნით აჯილდოებენ. 11-12 წლის ბავშვი, რომელიც ხალისით უნდა იზრდებოდეს ცხოვრებაში, დღიდან მაღაზიაში ფეხის შედგმისა იმყოფება მისი ხაზეინის სრული ბრძანებლობის ქვეშ. ამ მაღაზიებში არ არსებობს არავითარი წესი სამუშაო დღის და ან შრომის განსაზღვრისა. სანამ მაღაზია ღიაა, და ჩვეულებრივ კი ღია, დილიდან ღამის თერთმეტ საათამდე, ამ დროის განმალობაში ნოქრებიც ვერ დატოვებენ დუქნებს, მაგრამ პატარა ნოქრები და შეგირდები კი დუქნების დაკეტვის შემდეგაც არ არიან მოსვენებული და ხაზეინები სახლში იმსახურებენ. ნოქრებს და შეგირდებს მაღაზიაში არ აქვთ ნება,

თუ „ხაზეინი“ უყურებს, – დაჯდომისა. საქმეს აკეთებს თუ არა აუცილებლად ფეხზე უნდა იდგეს და ყურ-აცქვეტილი უყურებდეს ხაზეინის ბრძანებას. თანახმად ვაჭრებში გამეფებული ჩვეულებისა და მცნებისა, როცა დუქანში ნოქარს საქმე არა აქვს, რომ ის უსაქმობას არ მიეჩვიოს და არ გაფუჭდეს, მას უნაყოფოდ ამუშავებენ. მაგ: დაწყობილ საქონელს ხელ-ახლა დააგროვინებენ და დააწყობინებენ. მუშტართან ხომ მრავალ დამცირებას განიცდიან. ეხლა ვიკითხოთ სამაგიეროდ რა ცოდნა, აღზრდას ღებულობს ნოქარ-შეგირდნი ხაზეინებისაგან. ცხადია, ბავშვს რასაც ასწავლიან და შეაზრდიან იმას ისწავლიან და ასევე მართლდება ნოქრებზედაც. დღევანდელი ვაჭრები თეატრს, ჟურნალ-გაზეთობას და წიგნებს ისე ერიდებიან, როგორც შავ ჭირს და თავიანთ ხელქვეითების ესე იგი ნოქარ-შეგირდებისთვის ასეთი რამეები ხომ სულ გამრყვნელ საშვალებათ მიაჩნიათ. შეგირდები კი ხაზეინებოს წინააღმდეგ ვერ მიდიან და ცხოვრებას უკან მისჩანჩალებენ. გაათავებს ყმაწვილი შეგირდობას, გახდება ვთქვათ მაგ: 20 წლისა და ცხოვრების ჩარხავანჩავანიც არ იცის. აბა ვიკითხოთ რა ასწავლა და რა გაუკეთა მას ხაზეინმა, როგორ გამოზარდა ის, ან რა იცის მან. აი რა იცის: – მან იცის, როგორ გაყიდოს მანეთად ნასყიდი საქონელი, როგორ დაიმდაბლოს თავი ხაზეინის და მუშტრის წინაშე. მოკლეთ რომ ვთქვათ მან ისწავლა შეგირდობაში: მოთმინება, მორჩილება და მოტყვილება. აუწერელია სახელოსნოებში, ისე თერძებდთან, მეჩექმეებთან და ხარაზებთან მომუშავე ახალგაზრდათა მდგომარეობა. იმათთან შედარებით ხომ ნოქარ-შეგირდნი, სავაჭროებში მოსამსახურენი ბევრით მაღლა დგანან. მდგომარეობით დუქნების დაკეტვა-გაღება, როგორც სავაჭრო დუქნებში. ისე სახელოსნოებში ერთ და იმავე დროთი განისაზღვრება და მხოლოდ ამ მხრით სამუშაო დღის სიგრძით უახლოვდებიან ერთმანეთს ნოქარ-შეგირდნი და ქარგლები. მათ მდგომარეობაზე დაწვრილებით შემდეგ.

ვ. ჟ

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 9 თებერვალი, ხუთშაბათი, №32, გვ. 2.

თ-დ თავდგირიძის საქმე სენატში

სენატმა გაარჩია სოხუმის ყოფილი ქალაქის თავის თ-დ თავდგირიძის ოპელაციონური საჩივარი თბილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებაზე, რომლითაც თ-დ თავდგირიძეს სამსახურიდან დათხოვნა ჰქონდა მის წილი, სენატში თ-დ თავდგირიძეს იცავდა სახელმწიფო დუმის წევრი. მაკლაკოვი, სენატი დაუდგენია: ჩაითვალოს თ-დ თავდგირიძე სამსახურიდან დათხოვნილათ.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 16 თებერვალი, ხუთშაბათი, №38, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის გამგეობა სთხოვს ბათუმისას, გაუგზავნოს ბათუმის საკურორტო საზოგადოების წესდება.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 21 მარტი, ოთხშაბათი, №67, გვ. 2.

ქართ. დრამ. დასის გასტროლები დაიწყება 26 მარტიდან ქ. ქუთაისში...

...სოხუმში კოზლოვის ახალ თეატრში წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა „სიმახინჯე“. შემდეგ დასი შეივლის გუდაუთში, გაგრაში, სოჩაში და ოჩამჩირეში.

დასი შედგება ქუთაისის მსახიობთა სრული ანსამბლისაგან. დასს თან ახლავს ახალგაზრდა მგოსანი ი. გრიგალაშვილი, საღამო მეჯლისებისათვის. საკუთარი დეკორაციები, რომელსაც დასდგამს დეკორატორი ს. ჭელიძე, ...

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 25 მარტი, კვირა, №70, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე

რამდენიმე წელიწადია დაბა ოჩამჩირე გაიზარდა, როგორც მცხოვრებთა აგრეთვე, სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვით. რომ დღევანდელი ოჩამჩირე ზოგიერთ პატარა ქალაქებს არც კი ჩამოუვარდება თავის შემოსავლით და ეკონომიკურ განვითარების სიმაღლით. მაგრამ სამაგიეროდ კულტ. განვითარებით და განათლებით კი ზოგიერთ პატარა დაბებსაც ჩამორჩა უკან. ის მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას, სასწავლებლებს არ აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება, საავადმყოფო და სხვა მის მაგვარ რამ დაწესებულება ხომ სიზმრადაც არ მოელანდება მას. მისი ასე დაქვეითება რა თქმა უნდა პირველ ყოვლისა აიხსნება უმთავრესად დაბელების გულ-გრილობით და მასთან სხვა მიზეზებითაც, რომელთა შორის ერთ უმთავრეს მიზეზად მიმაჩნია დღევანდელი დაბის მმართველობა, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ცხოვრება თანდათან რთულდება და ახალ-ახალი კითხვები იბადება. მასზე პასუხის გაცემას მეტი სწავლა-დაკვირვება, უფლება და სპეციალობა სჭირდება ამიტომაც დღეს არსებული დრომოჭმული მმართველობა დაბისა, ეგრეთ წოდებული „Мъстечкого Хоз, Управление“, რომელიც შესდგება დაბის მიერ არჩეულ ორ დეპუტატისა (მთავრობა), პოლიციის ბოქაულისაგან, თავის ვიწრო ფარგლებში მოქცეულებათა და უცოდინარობის გამო, უძლურია დაბის საქმეების გაძღოლაში. ამგვარი მმართველობის წესი უკვე აღარ შეეხამება ეკონომიურ წესში აგებულ დაბას. რაც მტკიცდება არა 2 და 3, არამედ მეტი წყლების პრაქტიკიდან. დაბელები უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოჩამჩირეში საჭიროა საქალაქო თვითმართველობის შემოღება. რის შესახებაც გასულ წელს არჩეულ რწმუნებულების საშუალებით აღძრული იქმნა სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მისთვის თვითმმართველობის მინიჭებისა, რომ მართლა გაგვიღიმებდეს ბედი და შემოიღებოდეს აქ თვითმმართველობის წესს, წოდებული „Упрощен. Поряд, гор. Самоупр“-თ, მაშინ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ შედარებით წინ წავა დაბის საქმეები. თუ ასეთ დამახინჯებულ მმართველობის ხელში დაბის შემოსავალი 25 000 მან. აღემატება თვითმართველობის ხელში ის ერთი ორათ მაინც გაიზრდება პირველ წლებშივე და შემდეგ თუ გავითვალისწინებთ იმ ზრდას დაბისას, რაც დღეს, მჩვევია, მარა მისი შემოსავალიც თან და თან გაფართოვდება. თვითმართველობის უპირატესობა სადავო კითხვათ არ ითვლება დაბელებისათვისა, საჭიროა უკვე აღძრული შუამდგომლობის ისევ გაღვიძება. და რწმუნებულების ამუშავება ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. უკვე წელიწადი სრულდება რაც შუამდგომლობა იქმნა აღძრული და ჯერ პასუხი არაფერი ისმის და რომ ის არ მორჩეს მთავრობის კანცელარიების არქივში საჭიროა ამ საქმეზე მეტი ყურადღების მოქცევა.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 12 აპრილი, ხუთშაბათი, №83, გვ. 3.

ორიოდე სიტყვა სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრების შესახებ

კვირა 15 აპრილს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ჩვეულებრივი წლიური კრება სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. მრავალრიცხოვანი კრება ინჟინერის ბ-ნ რ. კაკუბავას თავმჯდომარეობით გაიხსნა დაახლოებით დღის 5 საათზე. განსახილველი იყო 1911 წლის ანგარიში და სხვა, სანამ დღის წესრიგიდ გარჩევას შეუდგებოდნენ, კრების თავმჯდომარემ წაიკითხა გამგეობის და საბჭოს მოხსენება, რასაც მოჰყვა აღნიშნულ ორგანოთა მთელი წლის მოქმედების საერთო განხილვა. წაკითხულ იქნა ამ საგანზე სარევიზიო კომისიის აზრი. ეს აზრი და აგრეთვე საზოგადოების წლიური ანგარიში ნათლად მოწმობენ, რომ სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმე მკვიდრ თავმჯდომარის თ. ნ. თავდგირიძის მხნე და მუყაითი შრომის. ეს შრომა დაფასებულიც იქნა კრების მიერ მით, რომ თ. ნ. თავდგირიძე ერთხმად, უკენჭოთ, არჩეულ-დატოვებული იქნა საზოგადოების თავმჯდომარედ და მასთან ჯამაგირზედაც 600 მან. მიუმატეს. ჯამაგირი გაუდიდეს აგრეთვე მის თანამოსამსახურეებსაც. რა თქმა უნდა, პატარა დეფექტს აქაც ჰქონია ადგილი, რაიცა გამოიხატება იმაში, რომ გამგეობის ზოგიერთ წევრთთათვის გაუდიდებია ეგრეთ წოდებული „სპეციალური სესხი“, როცა ეს უკანასკნელი უზრუნველი ყოფილა სანდო პირთა ვექსილებით, თუმცა ასეთი ოპერაციის უფლება გამგეობას წესდებით არა ჰქონია მინიჭებული. მიუხედავად ამისა, რომ ამ ოპერაციას საზოგადოებისათვის სარგებლობის მეტი არა მოუტანია რა, კრებამ მაინც უხერხულად სცნო მისი განაგრძობა, სანამ თვით გამგეობა ამ საგანზე დასაბუთებულ მოხსენებას არ წარუდგენს მომავალ კრებას, რომელიც, წესდებაში შესაფერისი მუხლის შეტანით, არ დაადასტურებს ამ გვარი ოპერაციის უფლებას. შემდეგ კრება შეუდგება ანგარიშის განხილვას. ამ ანგარიშიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ საანგარიშო 1911 წ. საზოგადოების საერთო აღებ-მიცემობა გამოხატულა ჯამით 26 756 831 მან. 18 კაპ. წლიური ბალანსი 13 378415 მან. 59 კაპ. და დარჩენილა წმინდა მოგება 14050 მან. 19 კაპ. დიდი კამათი გამოიწვია ამ მოგების მოხმარების საკითხმა. წამოყენებული იყო 3 წინადადება: გამგეობა და საბჭო მოითხოვდნენ, მთელი მოგების გადადებას საზოგადოების ახალი შენობისათვის; ბ-ნი კოდბაშიანი იძლეოდა წინადადებას, რომ ეს ფული თითოეულს და ყველას ერთად გადაედოთ თავთავიანთ ეროვნული-კულტურულ დაწესებულებათა (სკოლების) სასარგებლოთ. თავისი წინადადება ბ-ნმა კოდბაშიანმა დაასაბუთა მშვენიერი სიტყვით, რომლითაც ნათელი ჰყო ხსენებულ საზოგადოებათა ნივთიერი გაჭირვება და აღიარა დახმარების აუცილებელი საჭიროება. ქართველთაგან ამ წინადადებას ემხრობოდნენ თავადი კ. შერვაშიძე, ბ-ნნი გახუ, პ. თურქია, ივანე ცეცხლაძე და სხვა. მიუხედავად იმისა რომ კენჭისყრის დროს ადგილი ჰქონდა წაქეზებას, რათა საკითხი არასასურველად გადაჭრილიყო. ჩვენ მაინც იმედი გვქონდა, რომ ბ-ნი კოდბაშიანის და სხვების სიმპატიური წინადადება გავიდოდა მით უფრო, რომ ქართული ერთად-ერთი კულტურული დაწესებულებაა. – სოხუმის ქართული სკოლა – დიდ ნივთიერ გასაჭირს განიცდის და ქართველების ხმა კი დანარჩენ ეროვნებათა ყველა ხმებს ბევრათ სჭარბობდა. სამწუხაროდ, კენჭის ყრით გავიდა მესამე და

უკანასკნელი წინადადება ვაჭარ ზაგრაფოპულოსი და სხვა ვაჟბატონებისა. ბ-ნი ზაგრაფოპულო გაიძახოდა: „ჩვენს ეროვნულ დაწესებულებას (ბერძნულ სკოლას) თუ გაუჭირდება, ჩვენ ათასობით შემწეობას აღმოვუჩენთ მას, თქვენ კი გვირჩევთ რაღაც კაპეიკებით დახმარებასო; არა, ჩემის აზრით, ეს მოგება უნდა განაწილდეს დივიდენდებათ და წევრებს დაურიგდესო“ მან თავისი ნახევრად კომიკური, ნახევრად ცინიკური სიტყვით ისეთი გავლენა მოახდინა კრების შეუგნებელ ნაწილზე, რომ მეტად სიმპატიური წინადადება სულ რაღაც ორი ხმის უმეტესობით გააშავეს და გაიტანეს თვისი. სამაგიეროთ, ამავე თანხიდან 1500 მანეთამდე სხვადასხვა კერძო პირთ დახმარებათ დაურიგეს. ჩვეულებრივ ნათლი-მირონობას და დეიდა-მამიდაშვილობას ამ შემთხვევაშიაც დიდი გასავალი დაურჩა. სამწუხარო აქ ის არის, რომ ქართველ წევრთა დიდ ნაწილს არ მიეცა მისთვის ხმა, ჩემის აზრით, მოხდა რაღაც გაუგებრობა, თორემ სხვანაირად ყოვლად შეუძლებელ იყო ქართველების მიერ თავისი სკოლის დავიწყება. მით უფრო, რომ ჩვენს წინ ნათლად დგას კავკასელთა და ბათუმელთა მაგალითები: პირველმა მთელი წლის მოგება სკოლას მისცა, ხოლო მეორემ გულუხვი შემწეობა აღმოუჩინა ქართულ ეკლესიას. და რომ საკითხის ასე გადაჭრა რაღაც გაუგებრობის ბრალია ეს იქიდანაც სჩანს, რომ როგორც ვიცით, ქართველ წევრთა უმეტესობა თავიანთ დივიდენს მაინც უტოვებს სკოლას, რომელიც, მართლაც დღეს სუსტია ნივთიერად, მაგრამ თუ ამ თავითვე მას ცოტას დაეხმარებიან, სულ ცოტა ხანში ის იმდენად უზრუნველყოფილი შეიქმნება, რომ საკუთარის ძალით შესძლებს იარსებოს და გადაიქცეს მთელ ამ მხარეში ეროვნული კულტურის დამნერგველ გამღვივებელ კერად. სოხუმელებიც ზნეობრივად ვალდებულნი არიან ამ თავისივე შრომითა და ცდით ანთებულ ლამპარს ყურადღება არ მოაკლონ. მართალია დღეს ეს დაწესებულება სუსტია და შრომას და ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ნუ ავიწყდებათ, რომ მისთვის აღებული გროშები ოქრო-ვერცხლად მათვე დაუბრუნდებათ: ამ მათ ნაამაგარ სკოლაში მათი შვილები და შვილიშვილები საღ, უტყუარ ცოდნას შეიძენენ და აღიზრდებიან საღი და თავისუფალი მამულიშვილები ეს კი უდიდებულესი ძეგლი იქნება მათთვის! მაშ, ვუსურვებთ სოხუმელ ქართველობას გამარჯვებას და თან გამოვსთქვამთ იმ იმედს, რომ ერთი და ორი ჯამი ფრთა ვერ შეუკვეცს მათს სიმპატიურ მიზნებს და კეთილშობილურ მისწრაფებებს.

ნარ-ქანი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 28 აპრილი, შაბათი, №95, გვ. 3.

დღეს შმავევის (ბათუმში) ახალ თეატრში თბილისის ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენა გაიმართება...

წარმოდგენის შემდეგ დასი ზღვით გაემგზავრება სოხუმში სადაც კოზლოვის საზაფხულო თეატრში აპირებს 2 წარმოდგენის გამართვას. სოხუმიდან დასი შესაძლებელია ესტუმროს ოჩამჩირეს საიდანაც გაბრუნდება ფოთსა და ახალსენაკში და მერე ზუგდიდში...

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 17 მაისი, ხუთშაბათი, №108, გვ. 2.

დ. ოჩამჩირიდან

ვგრძნობთ რა ქართველობისათვის დიდ დანაკლისს სასიქადულო პედაგოგის, პირველ ხარისხოვან მოღვაწის და დიდებული მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვით, გამოვსთქვათ ჩვენს ღრმა მწუხარებას და ვიზიარებ ქართველი ხალხის საერთო გლოვას.

ჟორჟოლიანი და მ. გალდავაძე

გაზ. „ბათუმის გაზეთი“ 1912 წ. 13 ივნისი, ოთხშაბათი, №130, გვ. 2.

გუდაუთი

აქ ქართველ საზოგადოებას ფიქრად ფქონდა დაეარსებინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდი ხნის სურვილი მგონი ეხლა მართლდება. 35 კაცმა მოაწერეს ხელი თხოვნაზე და გაგზავნეს დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს. ვნახოთ დაამტკიცებენ თუ არა. ვუსურვებ ქართველ საზოგადოებას, პროგრესის გზას დასდგომოდეს და თავიანთი წვლილი არ დაეშუროთ ამ დიად საქმის მოსაწესრიგებლათ.

ამ დღეებში აქ გარდაიცვალა ღრმათ მოხუცებული კაცი მიხეილ ბუაძე, როგორც ამბობენ განსვენებული 120 წლის უნდა ყოფილიყოს.

მაკრატელი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912 წ. 27 ივნისი, ოთხშაბათი, №142, გვ. 3.

გაზეთი „დილა“

საარჩევნო სამზადისი სოხუმში. პოლიციის მანდატის მიღება. თვითმართველობის უნდობლობა.

გაზ. „დილა“, 1912 წ. 1 ენკენისთვე, შაბათი, №10, გვ.4.

სოხუმი

ეს ორი წელიწადია სოხუმში არსებობს დრამატული წრე, რომელიც ორი წლის განმავლობაში ავათ თუ კარგათ განაგრძობდა მუშაობა, ყავდა რეჟისორი ისე მსახიობებიც და მართავდენ წარმოდგენებს, მესამე წელს ე. ი. 1912-1913 წ. იმის ნაცვლათ, რომ წრეს უფრო ენერგიით ემუშავა, წრე დაიქსაქსა, დაიშალა და გაქრა. მიზეზია უფულობა, ვალის დადება, ბინის უქონლობა და სხვა, ასახელებენ ინიციატორები, მაგრამ ჩვენის აზრით არც ერთი ეს არაა ნამდვილი მიზეზი. უგულობა, არაა ენერგიულათ მუშაობა, კერძო ინტერესები და სხვა – აი რამ დაშალა ვალი დაედვა, მაგრამ ეხლა ვკითხოთ რა მიზეზით მოხდა ვალის დადება? იქნებ ვინმემ გვიპასუხოს ხალხი არ ესწრებოდაო და სხვა. სრულიათაც არა. ხალხი გასაკვირველ თანაგრძნობას უწევდა და თეატრი ყოველთვის სავსე იყო, მაშ რა მიზეზია? გავიმეორებთ, არა ენერგიული მუშაობა, კერძო კინკლლაობა – აი რამ გამოიწვია ყოველივე ეს. სეზონის გათავების დროს მეორე გამგეობა აირჩიეს, რომელმაც მხოლოდ ერთი წარმოდგენა გამართა და ერთი დადგენილება გამოიტანა: ზაფხულში ყველამ ენერგიული ზომები

მივიღოთ, წარმოდგენების, სეირნობის და სხვა. გამართვით ეს ვალები დავფაროთ და მომავალი სეზონი უკეთ მოვაწყოთო. მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ დადგენილებით დარჩა და მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ არა თუ წარმოდგენების გამართვა, არამედ ამის შესახებ არც წარმოთქმულა რამე, თუმცა მათ ხშირათ აგონებენ ამას სცენის მოყვარენი. მიზეზი? აქაც გულგრილობა, აქაც კინკლაობა და სხვა. თუმცა აქ გაიმართა ორი წარმოდგენა, მაგრამ ეს ორივე კერძო იყო. აგვისტოს რიცხვებში ქვემოთ ჩამოთვლილმა პირებმა, ს. ფრანგულიაცმა, ი. კორტმა, ს. სანაძემ, ანჯაფარიძემ, ი. თურქიამ, დ. შავიშვილმა, კ. თოხაძემ და სხვებმა ვისარგებლეთ მალოროსიული დასის ჩამოსვლით და დრამატიული წრის სასარგებლოთ გავმართეთ წარმოდგენა. მივმართეთ დასახმარებლად გამგეობის წევრებს და ერთი ორი პირის გარდა ყველასაგან უარი მივიღეთ. ავათ თუ კარგათ. საზოგადოება შევაწუხეთ თუ ვასიამოვნეთ ეს ერთი წარმოდგენა მოვახერხეთ, თუმცა ბევრი რამ არ დაგვრჩენია, და რაც დაგვრჩა, ამაზედაც შექმნეს განგაში, ვალებში მივცეთო. ჩვენი მიზანი კი, როდესაც ამ წარმოდგენას ვმართავდით, სხვა იყო და ეხლაც სხვა არის. ჩვენ გვსურდა და გვსურს ამ ფულით სეზონის დაწყება, რომ ენერგიული მუშაობით ვალებიც დაგვეფარა. რა საკვირველია ჩვენ არ გვქონდა იმის იმედი, რომ აქედან დაგვრჩებოდა ისეთი თანხა, რომ სეზონი დაწყებულიყო; მხოლოდ გვეგონა სხვებიც დახმარებას გაუწევდნენ ამ საქმეს. ზემოთ ჩამოთვლილი პირები კიდევ უცდიან გამგეობის და წრის სხდომას, რა თქმა უნდა თუ მოიწვევენ მას, ისინი ვისგანაც ჯერ არს; და თუ არა, შემდეგ ამ ფულებს სხვა რაიმე საზოგადო საქმეს გადასცემენ და მას მოახმარებენ.

გამგეობა ამ ერთად ერთი წარმოდგენისა

გაზ. „დილა“, 1912 წ. 7 სექტემბერი, პარასკევი, №15, გვ.4.

სოხუმი

ანგარიში სოხუმში 7 აგვისტოს 1912 წ. გამართულ წარმოდგენის ადგილობრივ დრამატიული წრის სასარგებლოთ. შემოსავალი: 294 მ. 81 კაპ. ხარჯი: მუზიკას 25 მ. და მარკის 20 მ. 87 კ. სულ – 45 მ. 87კ. ორშანოვს და კაზლოვსკის 144 მ. 94 კ. დაგვრჩა 104 მ. ჩვენი ხარჯი 23 მ. 90 კ. წმინდათ შემოსავალი დაგვრჩა 80 მ. 10 კ. რომელიც ჯერ-ჯერობით ინახება ამავე წრის კასირთან იასონ თურქიასთან.

დაწვრილებით ყოველივე ანგარიში შეგიძლიათ ინახულოთ თვით კასირთან.

გამგეობა ამ ერთად-ერთი წარმოდგენისა.

კასირი იასონ ნ. თურქია

გაზ. „დილა“, 1912 წ. 7 სექტემბერი, პარასკევი, №15, გვ.4.

გაზეთი „თემი“

სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმეების გამო

სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმეები ისე გაფართოვდა, რომ დღეს მას უკვე ჰყავს 900 წევრი. დღითი-დღე მათი რიცხვი მატულობს. ოპერაციები

გაიზარდა, საქმე გართულდა. შეუძლებელი გახდა და ყველა წევრების ერთ ადგილას თავის მოყრა. ამოდენა დარბაზის შოვნაც შეუძლებელი შეიქნა. ამიტომაც დაიბადა აზრი საზოგადო კრების სახის შეცვლისა. თვით გარემოებამ მიუთითა გამგეობასა და საბჭოს იმ საშუალებაზე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად შემოიღეს და სხვა და სხვა მრავალი წევრიან ფინანსურ საზ-ში, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიან კრედიტის სახისა.

ეს საშუალება გახლავთ წარმომადგენლების ანუ რწმუნებულების წესი ანუ სისტემა.

სხვაგან, სადაც უფრო მეტი მდიდარი, შეძლებული წევრებია, ე. ი. ვაჭრობის და მრეწველობის მხრით განვითარებულ ქვეყნებში, შეიძლება არ მიჰმართონ წარმომადგენლობით წესს, რადგანაც იქ ადვილია როგორც ფორმალური მხრით ახალი ფინანსური დაწესებულების დაარსება, ისე საკმაო საჭირო თანხის შეგროვების მხრითაც.

რუსეთში და ჩვენში, სადაც ისე არ არის განვითარებული ვაჭრობა და მრეწველობა, უნებლიედ უნდა ისეთი ღონე ვიღონოთ, რომ საზო-ების წევრები უფრო დავუახლოვოთ საქმის წარმოებას, რათა ისინი ყოველთვის ჩახედულნი იყვნენ აღმსრულებელ ორგანოთა მოქმედებაში. დიდი კრება მეტად უხერხული ფორმაა საქმეების მსვლელობის თვალყურის დევნისა და ხელმძღვანელობისა.

ეს საკითხი სოხუმის საურთ. ნდობის საზ-სათვის მართლაც საჭირ-ბოროტო საკითხად გადაიქცა.

ამ საზ-ბის გამგეობის დაუღალავმა თავჯდომარემ, ენერგიულმა ნიკ. თავდგირიძემ, შეიმუშავა კიდეც ამ საკითხის გამო შესაფერისი მოხსენება, რომელიც უნდა განიხილოს ამ დაწესებულების საზოგადო კრებამ 5 ოქტომბერს.

ბ. მომხსენებელი ამბობს, სხვათა შორის, რომ „სოხუმის საურთ. ნდობის ბანკმა ხალხთან დაახლოვებაში სხვა თავის მოძმეთ წინ წაუსწრო, საზ-ბის დიდძალი ნაწილის კუთვნილებად გადაიქცა.“

მისი აზრით, მომავალშიც ბანკი „ყოველგვარ ზომას მიიღებს და ეცდება უფრო დაიკავშიროს და დაიახლოვოს ფართო მასა, რათა ამათ სესხი გასცეს და მეტი მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს.“

ამასთანავე ბ. მომხმარებელი ჰფიქრობს, რომ საჭირო შეიქმნება „მცოდნე ადამიანთა მკაცრი კრიტიკა და ზედამხედველობა“, რომელსაც უფრო ადვილად შესძლებს წარმომადგენელთა მართვა-გამგეობა.

მოხსენებისთანავე კრებას წარედგინება განსახილველად პროექტი, რომელშიაც, აღნიშნული არის, რომ რწმუნებულნი ანუ წარმომადგენელნი ირჩევიან 3 წლის ვადით, რიცხვით 120 კაცი. ამათ ასარჩევად დაწესებული იქნება წევრების 3 კრება.

წარმომადგენლობითი ანუ რწმუნებულთა სისტემა შემოღებულია აგრეთვე საკრედიტო საზ-ბაში ყველგან, ჩვენს საადგილმამულო ბანკებშიაც.

სამწუხაროდ, ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ აუარებელი კრება წევრებისა ცუდი ზედამხედველია ჩვენში ფინანსიურ დაწესებულებათა საქმეთა მსვლელობისა, ამიტომ საერთო პრინციპი-ყოველი ადამიანი თვითონ პირდაპირ ურწმუნებულოდ იღებს მონაწილეობას ყოველ-გვარ მართვა-გამგეობაში – აქ გამოსაყენებელი ვერ გამოდგა საუბედუროდ.

ყველაფერი დროსა და გარემოების მიხედვით უნდა განიჭვრიტოს. ამიტომ ჩვენ

საქმის სასარგებლოდ მიგვაჩნია განზრახული ცვლილება სოხუმის ბანკის მართვა-გამგეობაში.

ვინმე მოკეთე

გაზ. „თემი“, 1912 წ. №91, გვ. 3.

დ. ოჩამჩირეს ავ-კარგი

ამ დაბას ღირსეული გულ-შემატკივარი პატრონი და მოთავე ვინმე რომ აღმოჩენოდა, ეჭვი არ არის, ბევრი რამ კარგი გაკეთდებოდა. დღეს კი ეს დაბა მარტო ჩონჩხს წარმოადგენს თანამედროვე დაბისას. იგი მოკლებულია ყოველ გვარ მზრუნველობას და შემოსავლის წყაროების გაფართოებას. თამამად შეიძლება ითქვას: დას. საქ-ლოს თანამედროვე დაბებს შორის შემოსავლის მხრით ამ დაბას უპირველესი ადგილი უჭირავს: აქედან ყოველ წლობით შავი ზღვით 9-10 გემი სიმინდი გააქვთ. გააქვთ აგრეთვე დიდ ძალი ხე-ტყე. ნიგვზის, ბზის, წაბლის და სხვა, ყოველ ზამთრობით ბლომად იგზავნება რუსეთის სხვადასხვა ადგილებში ღორი, როგორც დაკლული, ისე ცოცხალი. ყველა ეს დიდ სარგებელს უტოვებს დაბას – საფუთო გადასახადის სახით, თუ სხვა რიგად. ახლა ამას დავუმატოთ კიდე დაბის სხვადასხვა შინაური შემოსავალი და, მგონი, არავის შეეპარება ეჭვი დაბის სიმდიდრეში. მაგრამ რამდენადაც ამ მხრით წინ სდგას მეზობელ დაბებზე, იმდენად უკან არის ჩამორჩენილი სხვა მხრით. იგი დღეს თავისი შინაგანი და გარეგანი მოწყობილობით მოგაგონებთ ნამდვილი ჭლექით ავადმყოფს – გარდა ამისა, რომ აქ არავითარი საზოგადო, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება არ არსებობს, მაგ: ბიბლიოთეკა, სამკითხველო, თეატრი და სხვა, უბრალო რამეც ვერ მოუწყვიათ, როგორიც არის მაგ: მწვანე ბაზრის მოწყობა, სასწორ-ყანთრის დადგმა, კვირაში ერთხელ ბაზრობა დღის დანიშვნა, რაც ძალიან მიიზიდავდა სოფლის ხალხს თავის შინაურის ნაწარმოების გამოტანით ბაზარში. ეს სოფელსაც გამოაღვიძებდა და ორთავეს წინ სვლის გზას მისცემდა.

რაც შეეხება დაბის სისუფთავეს, ჭაობის ამოშრობას, ქუჩებში ხრეშის მოყრას ქუჩების განათებას ამაზე ხომ სულ არავინ ზრუნავს და ღვთის ანბარად არის მიტოვებული.

ბაზრის უქონლობის გამო დღეს სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე თუ სხვა რამე პირდაპირ მომხმარებელს გვერდს უვლის და ხელში უვარდება ჩარჩებს, რომელნიც მომხმარებლებზე მეტ ფასად ჰყიდიან. ბაზარი რომ მოეწყობა, მაშინ თუ სულ არ აილაგმება ჩარჩების თარეში, რამდენადმე მაინც შემცირდება, მათი სამოქმედო. ასპარეზი შეიზღუდება რადგან სოფლიდან შემოტანილი სანოვაგე პირველად ბაზარში ამოყოფდა თავს.

აქ პირდაპირ მომხმარებელს შეხვდებოდა და მწარმოებელიც და მომხმარებელიც მოგებაში დარჩებოდნენ. ჩარჩებისათვის დღევანდელი ხელსაყრელი პირობები საბუთი შეეძლო მიეცა ვინმესთვის, რომ ისინი არიან მიზეზი უბაზრობისა. მაგრამ როგორც ირკვევა, ამათ იმდენი ძალა არ შესწევთ, სულ სხვა გარემოება გადაჰღობებია წინ – ორიოდე ვაჭრების გაუმაძღრობა.

ერთს უნდა თურმე ბაზარი მოეწყოს იქ, სადაც თავის შენობები აქვს გადაჭიმული, მეორეს იქ, სადაც თვითონაა მოკალათებული. ეს ორი კაცი გაწი-მაწიობს და მთელი ხალხი კი გაჭირებაშია.

ყველა ეს ხდება უმეტესად აქაური დეპუტატების უმოქმედობის გამო. ამათ რომ გაემართლებიათ აღმრჩევლების იმედი და მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად გაბედული საქმიანობა გამოეჩინათ, ბაზრის გაკეთება – მოწყობა არ გაუჭირდებოდათ. ბევრი სხვა კარგის გაკეთება შეუძლიანთ დაბისათვის: დაბის გასუფთავება, გაწმენდა, ჭაობების ამოშრობა, ქუჩებზე ხრეშის დაყრა.

ერთად ერთი ადგილია, სადაც ხალხს შეუძლიან გამოვიდეს და სუფთა ჰაერი ისუნთქოს – ბაღი, ბულვარი, მაგრამ ისეა მიტოვებული, რომ სოფლის სანახირო გეგონებათ. ერთის სიტყვით ეს ჩვენი ბუნებით შემკული დაბა აოხრებულია უპატრონობით. გვიკვირს, „ჩვენი მამები"- დეპუტატები, რატომ ყურს არ იბერტყენ?

ასევე, ითქმის აქაურის ინტელიგენციაზედ, მაგრამ იგი დღეს იღვიძებს: ამ უკანასკნელ ხანებში ინტელიგენცია ცდილობს კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულების დაარსებას, ამათი რიცხვი აქ არც ისე მცირეა მეზობელ დაბების შედარებით.

რაკი არავითარი ისეთი დაწესებულება არ არსებობს, სადაც შესაძლებელი იყოს სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამიტომ, დაიარებიან ყავა-ხანებში და ქაღალდ-ნარდის თამაშით ატარებენ თავისუფალი დროსა. არა მგონია სხვა ქალაქებში იყოს იმდენი ყავახანა, რაც ოჩამჩირეშია. განურჩევლად უქმე და საქმიანი დღეებისა, მუდამ ჟამს ბლომად ნახავთ ყავახანებში როგორც ინტელიგენტს, ისე მუშებს, მოსამსახურეებს.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, დღეს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულების საძირკველი უკვე ამოყვანილია და, ვნახოთ, ეხლა მაინც გამოიჩენენ თუ არა ჩვენი ინტელიგენტები საზოგადო საქმისადმი სიყვარულს.

შესდგა პატარი ჯგუფი, რომელმაც სხვათა შორის, წასულ ზაფხულს რამოდენიმე წარმოდგენა მოაწყო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის, წმინდა შემოსავალი დარჩათ 120 მ. თუ მუყაითად მოეკიდა საქმეს ეს ჯგუფი ინტელიგენციისა, მოკლე დროში აქ დაარსებული იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და წ.კ.ს. განყოფილებაც, და ამას ზედ მოჰყვება თეატრიც. ამ საქმის დაჩქარებას დიდად ჩეუწყო ხელი ეხლახან ნოტარიუსად ჩამოსულმა ჩვენმა საზ. მოღვაწემ თ. ხუსკივაძემ, რომელიც ენერგიულად შეუდგა ამ საქმესა და ურჩია ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების და უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა. ბ. თ. ხ-ძეს წინადადება ერთხმად მიიღო წინასწარმა კრებამ და დროებით გამგეობაც აირჩია, სამი კაცისაგან შემდგარი, აქვე კრებამ, წევრად ჩაეწერა 30 კაცი, რომელთაც სამ-სამი მანეთი წარადგინეს.

ამ ნაირად უნდოდათ, ბიბლიოთეკისათვის საკუთარი სახლი აეშენებინათ, მაგრამ რადგან განზრახულია თეატრისათვის შენობის აგება, უმჯობესად იცნეს თეატრი ისე გაშენდეს, რომ შიგ ბიბლიოთეკაც მოთავსდეს მანამდის კი დაქირავებულ ოთახში იქონიონ ბიბლიოთეკა.

აქ კარგა ხანია აზრად ჰქონიათ კლუბების გახსნა და ამ მიზნით ექიმ ბ. არ-ძის თაოსნობით საქმესაც შესდგომიან მაგრამ როგორც გვესმის, საქმე ვერ ხერხდება, რადგან წევრობის მსურველნი ძლიერ ნაკლებად არიან.

კლუბის ზოგიერთმა წევრებმა სურვილი განაცხადეს, კლუბისათვის გადადებული ფული ბიბლიოთეკას მოხმარდეს. კარგი იქნება, სხვებიც დაუჭერდნენ მხარს

ამ მეტად კეთილ აზრს. ფული 350 მ-დე აქვთ შეკრებილი; ეს ფული კარგ ძალას შემატებს ბიბლიოთეკას. იმედია ექიმი ბ. არ-ძეც გამოიჩენს ამ კეთილი საქმისადმი სიყვარულს და მხარს დაუჭერს.

ლას-განი

გაზ. „თემი“, 1912 წ. 10 დეკემბერი, ორშაბათი, №101. გვ. 4.

სოხუმი

აქ არსებობს მესამე წელია დრამატიული წრე გასულ ორ წელიწადში წრე იწვევდა მსახიობებს, ჰყავდა რეჟისორი. წლეულს ძველმა გამგეობამ არ იზრუნა ამის შესახებ, ასე რომ დრამატიული წრე – ეს ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება – უნდა გამქრალიყო, რომ თვით სცენის მოყვარეებს, ზოგიერთ დაინტერესებულ პირთ არ გამოეწყოთ საქმე. წრემ კვლავ განაახლა თავის მოქმედება, ამ ხანად თვით სცენის მოყვარეები გაუძღვებიან საქმეს. უმთავრეს მიზნად დასახულია სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვა, წრემ აგრეთვე დაადგინა დაარსოს ფონდი საკუთარ სცენის გასაკეთებლად ქართულ სკოლაში. ეს საქმე უკვე დაწყებულია, მხოლოდ დახმარებაა საჭირო. რადგანაც ძველმა გამგეობამ უარი განაცხადა მუშაობაზე, ამიტომ წრემ დროებით აირჩია ხელმძღვანელი: ნ. ქურიძე, ს. სანაძე, ვ. აბაშიძე, გ. ერქომაიშვილი და დ. ბიძინა. ესენი მხნედ შეუდგნენ მუშაობას, გამართეს სამი სახალხო წარმოდ-გენა, რომელმაც რიგიანად, მწყობრად ჩაიარა. ხალხი ნასიამოვნები და მადლობელი დარჩა. 21 ნოემბერს მოხდა წრის მორიგი კრება, ანგარიშების და სხვა საკითხების განსახილველად. ანგარიშებიდან გამოირკვა, რომ ორი წარმოდგენის დროს ზარალი უნახავთ, მესამიდან კი მოგება. დაადგინეს განაგრძოს კვლავ მოქმედება და აირჩიეს ახალი გამგეობა. ქ- ნი კ. კუხალაშვილისა, ს. ცხომელიძე, ვ. აბაშიძე და ქობალავა. საქმის განაგრძობას მოწესრიგებულად უპირველესად საჭიროა, რომ გამგეობამ არა-ვითარი ყურადღება არ მიაქციოს იმ პირების ინტრიგას, რომელნიც კერძო ინტერე-სების გამო ხელს უშლიან საერთო საქმეს, იმედი უნდა ვიქონიოთ, საზოგადოებაც მაშინ არ მოაკლებს ამ წრეს ყურადღებას და მიზანსაც მიაღწევინებს.

ასკანელი

გაზ. „თემი“, 1912 წ. 10 დეკემბერი, ორშაბათი, №101, გვ. 4.

გაზ : „იმერეთი“

წერილი აფხაზეთიდან

არ ვფიქრობ კიდევ მოიპოვებოდეს ასეთი ჩამორჩენილი კუთხე, როგორც აფხა-ზეთ-სამურზაყანოა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებს აქედან ცნობები იშვიათად მიუდით და საზოგადოებაც ნაკლებად იცნობს თანამედროვე აფხაზეთს...

თქვენ რომში და აფხაზეთში იმოგზაუროთ ერთი შეხვედრით ბატონყმობა წარ-მოგიდგებათ თვალწინ... აქაურ თავად-აზნაურობას ქონების მხრივ ჯერ კიდევ გვარი-ანი ქონი აკრავს და გაუნათლებელი ღარიბი გლეხობის კვლავ „ბატონია“. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ კაი ხანია ბანკებსა და კერძო მდიდრებს ჩააბარეს

თავიანთი მიწა-წყალი და მით ახლაც ემჩნევა მეტ ნაწილს უკიდურესი მდგომარეობა. აფხაზეთის მემამულეებს კი ამ მხრივ თავი დღემდე დაუცვია.

მაგრამ, რა კი მოთხოვნილება ამათაც გაუფართოვდა და დამაკმაყოფილებელი საშუალება კი არსად მოიპოვება, ამათაც მიყვეს ხელი მამულის დაგირავება-გაყიდვას. ადგილ-მდებარეობით აფხ-თი დიდია, ხოლო მცხოვრებთა რიცხვია მცირე და აი ამიტომაც აქ იშვიათია თავადი, რომელსაც არ მოეპოვებოდეს 300-მდი დესეტინა მიწა. ურევია ისეთებიც 1000-1500 დესეტინა აქვთ...

გლეხობა ხომ ყოველგან და ყოველთვის დაბეჩავებულია და რაღა გასაკვირია, თუ აქაც აუტანელია მათი ცხოვრება.

საშინელ სიღარიბეში სულსა ღაფავენ და საუბედუროდ, ეს მათი ტანჯვა დღითი-დღე გაიზრდება, თუ რამენაირათ დროზე არ უშველეს საქმეს. მაგრამ შველის ბედნიერება ხომ მეცადინეობა-გამრჯელობაშია, რაზეც აფხაზი ისეა დაშორებული, როგორც დედა-მიწა ვარსკლავებს. აფხაზი მეტნაწილად ზარმაცია და რამენაირათ თუ მოახერხა ცხენ-უნაგირის, იარაღის და ტანსაცმელის თავმოყრა, ხვალისთვის არაფერს დაგიდევს... განვითარებას, მეურნეობასა და საზოგადო საქმეებს აფხაზი არ ეტანება და ქურდ ბაცაცობას, კაცის კვლასა და ავაზაკობას დღესაც ვაჟკაცობას ეძახის და სასახელოთაც მიაჩნია.

და მართლაც იმდენი საზიზღარ მკვლელობას ძვირათ, შეხვდებით, რამდენიც აქეთაა. 7 თვეა, რაც ფოთიდან დ. ოჩამჩირეში გადმოვბინავდი და განცვიფრებაში მოვყავარ მახლობელ სოფლებიდან მოსულ ამბებს. დღე ისე არ გაიარს რომ არ შევიტყოთ ამ და ამ სოფელში ეს მოკლეს და ამ და ამაში ესაო. ქურდ-ბაცაცებს კი ანგარიში არა აქვს, ამას აქ ისე არიან შეჩვეულნი, რომ ჩვეულებრივ მოვლენათ მიაჩნიათ. ყაჩაღები ერთიანად იკლებენ აქაურობას. მთავრობა რომ ვერაფერს გახდა, ამ ათი დღის წინ სოფ. მოქვში შეიპყრო 15-მდი ის პირნი, რომელნიც ავაზაკებს ვითომდა ინახავენო. მათ ეუბნებიან: – „მიგვასწავლეთ, შეგვაპყრობინეთ ავაზაკებიო“, მაგრამ შეპყრობილნი არაფერში ტყდებიან...

აფხ-ში მთავრობას განსაკუთრებული წესები აქვს შემოღებული. მაგ.: როგორიც არის მფრინავი რაზმი (летучая команда), მათ მოვალეობას შეადგენს: მხოლოდ თვალ-ყური ადევნონ და დაიცვან ხალხი ყაჩაღებისა და ქურდობისაგან. კოდორის ნაწილის უფროსმა ამ მფრინავ რაზმის გაძლიერების დღიდან „სტრაჟნიკთა“ რიცხვი შეამცირა და მათი მოვალეობას ასრულებინებდა რაზმელებს. ამაზე რამდენიმე საზ-ბამ უმაღლეს მთავრობას მიმართა. – ჩვენ ფულებს ვიხდით რაზმელებისათვის და, მიუხედავად იმისა, რომ იმათ ჩვენ უნდა დაგვიფარონ ავკაცებისაგან, „უჩასტკის ნაჩალნიკი“ „სტრაჟნიკთა მოვალეობას ასრულებსო“. გაიგო რა, რომ მის წინააღმდეგ ხალხს საჩივარი ჰქონდა აღძრული, ნაწილის უფროსმა უბრძანა ყველა მამასახლისს – რომ უკლებლივ მოებოჭათ და წარმოედგინათ ყველა გადასახადი საზ-საგან. მამასახლისებმა ყველა ღონეს მიმართეს, მაგრამ ბრძანება მთლად ვერ მიიყვანეს სისრულეში, რის გამოც ოთხი მათგანი დაპატიმრებულ იქმნა...

მეორე დღეს მამასახლისების დაპატიმრებისა, ნაწილის უფროსი სოფ. ჯგერდის კანცელარიაში საზ-ბის ყრილობას დასწრებია და მათრახებიც დატრიალებულა იქ.

ამაზე მთელი საზ-ბა ამდგარა და წინააღმდეგობა გამოუცხადებია. ნაწილის უფროსი დარაჯებით წამოსულა ოჩამჩირეს. ორი საათის შემდეგ დ. ოჩამჩირეს ჩამო-

სულან სოფლელი აფხ-ბიც, სხვა სოფ-დანაც მოვიდა ხალხი ოჩამჩირეს და ყველა მოითხოვა უდანაშაულოთ დაპატიმრებული მამასახლისების გათავისუფლება.

ნაწილის უფროსმა გაათავისუფლა მამასახლისები, თვით კი სოხუმს გაემგზავრა, რომ ამ საქმის ვითარება ოლქის უფროსისათვის ეცნობებია. ამის შემდეგ ნაწილის უფროსი არ დაბრუნებულა, ხოლო მის თანამდებობის აღმასრულებლად დროებით დანიშნა დ. ოჩამჩირის ბოქაული კატლეროვსკი.

ამ საქმის თაობაზე ოლქის უფროსი ჩამოვიდა ოჩამჩირეს; გამოძიება ჯერაც არ დამთავრებულა და მცოდნენი ამბობენ, რომ მრავალი პირი სასტიკათ დაისჯებაო...

გრ. ელისაბედიშვილი

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 29 სექტემბერი, შაბათი, №4, გვ. 4.

ოჩამჩირე

ა) (იხ.: ინფორმაცია სასამართლო პროცესი ოჩამჩირეში – რედ.).

ბ) ოჩამჩირესთან გემი „შავი ზღვა“ დაეჯახა გემს „ვიზიტი“ მსხვერპლი არ არის ზარალი 2000 მან-მდე.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 6 ნოემბერი, სამშაბათი, №35, გვ. 2.

ოჩამჩირე

ადგილობრივმა ვაჭრებმა უკვე შეუმუშავეს გეგმა საურთიერთო გამსესხებელი ამხანაგობის დასაარსებლად. სულ მოკლე დროში ნებართვისთვის თხოვნა გაეგზავნა უმაღლეს მთავრობას.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 11 ნოემბერი, კვირა, №40, გვ. 2.

სოხუმში აკურთხეს 4 ნოემბერს საურთიერთო ნდობის ბანკის შენობა. შენობის კურთხევას დაესწრო ეპისკოპოსი ანდრია კრებულით. კურთხევის გათავების შემდეგ ეპისკოპოსმა მიმართა საზ-ბის წევრებს გრძნობიერი სიტყვით. საუცხოვო სიტყვა წარმოუთქვამს აგრეთვე გამგეობის თავჯდომარეს ბ. ნ. თავდგირიძეს. საზ-ბამ ფინანსთა მინისტრის დეპეშა გაუგზავნა. ბევრი მისალოცი დეპეში მიუღიათ ამ დღეს სხვადასხვა ბანკებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 14 ნოემბრი, ოთხშაბათი, №42, გვ. 2.

სოხუმში ამხანაგობა შემდგარა რომელსაც სტამბა შეუძენია.

ამ ამხანაგობამ განაახლა ორჯერ მიცვალებული რუსული გაზეთის გამოცემა.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 1 დეკემბერი, შაბათი, №56, გვ. 2.

წერილი სამურზაყანოდან

(მგზავრის ნახული)

4 წელიწადი არც კი იქნება, რაც სოხუმის ქართ-მა საზ-ბამ განიზრახა სოხ-ში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის შკოლის დაარსება. გამართეს ხელმოწერა, შემომწირველთა შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ – ას-ორას

თუმნობითაც გაიღეს ფული ამ კეთილი საქმის სასარგებლოთ.

დამლევ ოქტომბერს შემთხვევით ვნახე შენობა შკოლისა. ფართო აუშენებიათ დიდი ქვიტკირის სახლი, რომელშიც სხვათა შორის წარმოდგენების გასამართავად მოთავსებულია ერთი დარბაზი. საღამო იყო, მოსწავლეთა გაკვეთილებს ვერ დავესწარი, სასწავლო ოთახები კი ვნახე, ლაზათიანად მორთული. ოცდახუთამდი ქალ-ვაჟნი ერთს ოთახში ლოტბარის მეთაურობით ქართულ ხმებს მღეროდნენ: მწყობრმა სიმღერებმა ცნობისმოყვარეობა გამიცხოველეს, აღარ ვიცოდი ლოტბარობისათვის მადლობა როგორ გადამეხადა. შკოლის მასწავლებელი ბ-ნი ნ. ჯანაშია ბევრს მესაუბრა შკოლის დაარსების შესახებ და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ამ კუთხეში.

შკოლის შენობა 60.000 მან-მდი დამჯდარა. სოხუმის მცირე რიცხოვანმა საზ-ბამ სასახელოთ დააგვირგვინა ეს საშვილიშვილო საქმე.

სურვილი იყოს და, ქვასაც ზეთი გამოედინებაო, – ნათქვამია. სწავლა-აღზრდის მხრიდაც, მადლიანი მზრუნველობა აშკარათ ეტყობა სოხუმის ახალ შკოლას...

(იხ.: ავტორის შეხედულებები და სურვილები სკოლის როლზე ზოგადად – რედ.).

ი. გეგია

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 5 დეკემბერი, ოთხშაბათი, №56, გვ. 3-4.

ოჩამჩირე

ოჩამჩირე გვარიანად მოზრდილი და მასთან ცოცხალი დაბაა. გარდა აფხაზებისა აქ მრვალი სხვაც ცხოვრობს: მეგრელი, რუსი, თათარი, სომეხი, ბერძენი და სხვა. ვაჭრობაში მეტ ნაწილათ თათრები და ქართველობაა ჩაბმული, ხოლო მოხელეებად რუსი და ქართველიც ინტელიგენციას აქ გვარიანათ აქვს თავი მოყრილი, მაგრამ მაინც ვერავითარ საზოგადო განმანათლებელ დაწესებულებას ვერ შეხვდებით. აგერ რამდენი ხანია, სამკითხველოს დაარსებაზე დაიწყო ერთმა ჯგუფმა მეცადინეობა, რის სასარგებლოთაც ამ ზაფხულს წარმოდგენებიც გაიმართა. მაგრამ დღესაც არავინ უწყის როდის ეღირსება ოჩამჩირეს სამკითხველო... კარტ-ნარდის მოტრფიალენი ყველგან ბევრია, ღვთის მადლით, მარა აქ როა, იმდენი, სხვაგან დაიფაროს ღმერთმა. ვაჭრები, ნოქრები, მუშები, სხვა და სხვა უწყებათა მოხელეები, მასწავლებლები, ვინ არ გინდათ, რომ ამ ყოვლად „სასახელო“ ხელობას არ ეწეოდეს. ჩვენ ამ უკანასკნელზე მეტი გული გვტკივა, და ვისაც წარმოდგენილი აქვს დღევანდელ მასწავლებელთა მოვალეობა, და დააკვირდება აქაურ მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრებას, აუცილებლათ აღშფოთდება. ამ ნახევრად ველურ ქვეყანაში მასწავლებელს რამდენი სამუშაო აქვს, ვინ მოსთვლის და უმრავლესობა კი ასე ფუქსავატობს. მწარე კვნესით გევსება გული...

იმედი

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 14 დეკემბერი, პარასკევი, №66, გვ. 3.

გუდაუთა

6 დეკემბერს მოხდა წერა-კითხვის საზ-ბის ადგილობრივი განყოფილების კრება. კრებას ახალი გამგეობის წევრები უნდა აერჩია, წევრები უნდა მიეღო და ფონდის დაარსებაზე უნდა ემსჯელა. არც ერთ ზემოთ დასახელებულ საკითხს კრება არ

შეხებია ისე დაიშალა. კრებაზე ტარაპიძესა და მღვდ. ლაკირბაიას ჩხუბი მოუვიდათ. ორივე პოლიციაში წაიყვანეს.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 19 დეკემბერი, ოთხშაბათი, №70, გვ. 3.

გუდაუთში სასოფლო საავადმყოფოს გახსნის ნებართვა აიღეს. საავადმყოფოს მოსაწყობად 50 ათასი მანეთი გადაიდვა.

გაზ. „იმერეთი“, 1912 წ. 22 დეკემბერი, შაბათი, №73, გვ. 3.

გაზეთი „კოლხიდა“

სოხუმის ეპისკოპოსის ყ-დ სამღვდელო ანდრიას (გვარად უხტომსკის) სურვილი გამოუხატავს, რომ საქ-ლოს ეკლესიის წმინდანების ცხოვრება ქართულ ენაზე ეშოვა. ეს სურვილი დაუკმაყოფილა ადგილობრივმა სარწმუნოებრივ განმანათლებელმა ძმობამ და რამდენიმე წიგნი მიაწოდა. ყ-დ სამღვდელო ანდრიას განძრახვა ქონია – ქართველ წმინდანთა ცხოვრება რუსულ ენაზე გადათარგმნოს.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 4 იანვარი, ოთხშაბათი, №2, გვ. 2.

სოხუმი

თებერვალში ქ. სოხუმში მსახიობის შ. დადიანისა, ელო ანდრონიკაშვილისა ასულისა და აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ სამურიდის თეატრში წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. აქაურ საზ-ბას, აქაურ სცენაზე ბევრჯერ უნახავს ქართული დამახინჯებული პიესები, მარა „სამშობლოს“ დამახინჯებამ კი ყველას გადააჭარბა.

წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო, მაგრამ ცუდი თამაშის გამო ძლიერ გულ ნატკენი დარჩა.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 26 თებერვალი, კვირა, №44, გვ. 2.

სოხუმის ქალაქის გამგეობა შეეკითხა ქუთაისისას აცნობოს როგორი წესით აპირებს ქუთაისი 300 წლის რომანოვების ტახტზე ასვლის დღესასწაულის მოწყობას.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 1 მარტი, ხუთშაბათი, №47, გვ. 1.

სოხუმი

წლევანდელ სეზონს ადგ. ქართ. საზ-ბამ დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა და ამხნევებდა სცენის მუშაკთ, როგორც ზნეობრივათ, ისე ნივთიერათაც, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს პირველი სეზონი ქართული მუდმივი წარმოდგენებისა სოხუმში მაინც საგრძნობელი ზარალით დასრულდა. ამის მიზეზი თეატრის სიძვირე იყო (ღამეში 70-100 მ), რაც ხარკად დააწვა სოხუმის ნორჩ დრამატიულ წრეს.

თეატრის ქირით გამოწვეული აუტანელი პირობები თავის დროზე აღნიშნული იყო კიდეც ქართულ პრესაში. წრემ დროებით შეაჩერა მუშაობა სანამ უფრო იოლი პირობებით იშოვიდეს ან იმავე სამურიდის თეატრს და ან ქალაქის ბაღში საზაფხულო შენობას გააწყობდეს.

შემოდგომიდან წრეს იმედი აქვს, ქართ. შკოლის შენობა დასრულდება და იქვე ცალკე დარბაზში საკმაო სცენაც იქნება მოთავსებული.

ამ სეზონში გაიმართა სულ 12 წარმოდგენა. მთელი ნოემბრის თვე თეატრის იჯარა დროის ჯიუტობის გამო გაუცდათ. მეტ ნაწილათ ორიგინალურ პიესებს ადგენდნენ. ხშირად წარმოდგენებს წინ უძღოდა პიესების ახსნა-განმარტება, ან პიესებში აღძრული საკითხის გარკვევა. სეზონის განმავლობაში 40-ზე მეტმა ქალმა და კაცმა მიიღო წარმოდგენაში მონაწილეობა და ყველა თავის მოვალეობას და ნაკისრ როლს ასრულებდა გულმოდგინებითა და საქმის სიყვარულით. ბევრი შრომა გასწია ძველმა და ახალმა გამგეობამ: – დაუღალავი ენერგიით, თამამათ შეიძლება ითქვას ხალხს ქართული წარმოდგენები მოთხოვნილებად გადაუქციეს. ასე რომ, თუმცა წრემ ქონებრივათ ზარალი ნახა, მომავლის უკეთესი იმედი მაინც არ დაუკარგავს.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 2 მარტი, პარასკევი, №48, გვ. 2.

გუდაუთა

აქიდან გადაიყვანეს გორის მაზრაში მღვდელი ივანე კავჟარძე და მის ადგილზე დანიშნეს რუსი მღვდელი. ამ ამბავმა გუდაუთის ქართველი საზ-ბა ძლიერ დააღონა. მართალია მამა ივანეს აქაური ქართველი საზ-ბის წინაშე დიდათ აღსანიშნავი ღვაწლი არ მიუძღვის, მაგრამ იგი პატიოსანი ადამიანი იყო, სულითა და გულით ქართველი და ვწუხვართ, რომ ამისთანა კაცი წაგვართვეს. 26 თებერვალს, კვირას უკანასკნელად სწირა მამა ივანემ, უკანასკნელად მოგვასმინა მშობლიურ ენაზე სახარების წაკითხვა... ვინ უწყის, – მოესწრება თუ არა გუდაუთის ქართ. საზ- ბა მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვას. წირვის გათავების შემდე მამა ივანემ სიტყვა წარმოსთქვა. – არა ერთსა და ორს დაედინა ცრემლი, ტიროდენ ასეთი კაცის მოშორებას. გაათავა მამა ივანემ სიტყვა ერთი უკანასკნელად გადახედა მრევლს, ნაღვლიანად ამოიოხრა და თვალები ცრემლებით აევსო. ქართველებმაც ნიშნათ პატივისცემისა სამახსოვროდ ხატი უძღვნეს. მასწავლებელმა ბ. სიმონ გიგინეიშვილმა ქართველების დავალებით გამოსათხოვარი, გრძნობიერი სიტყვით მიმართა მამა ივანეს.

იხ.: 26 თებერვალს, კვირა საღამოს ძარცვის შესახებ – რედ.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 7 მარტი, ოთხშაბათი, №52, გვ. 4.

გუდაუთა

აქაური ცხოვრება დღითიდღე იზრდება, მაგრამ ზოგ საქმეს დიდი ნაკლი აქვს და შესაფერ ყურადღებას არავინ აქცევს. მაგ: – მეტყველების თავხედობა იქამდი მივიდა, რომ ქუჩაში გასვლა შეუძლებელია.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 4 სექტემბერი, სამშაბათი, №138, გვ. 2.

ახალ დასს „მოგზაურის“ სახელით უკვე დაუწყია საქმე ბათომიდან; გუშინ და დღეს ბათომში, 22, 23 ნოვოროსიაში და 29, 30 სოხუმს გამართავენ წარმოდგენებს. თან ეს დასი გაზეთის გამოცემასაც შედგომია. პირველი ნომერი (ბათუმში) ამ „სათეატრო ფურცლისა“ უკვე გამოვიდა. იგი მხატვრულად და საყურადღებოდ არის შედგენილი.

გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ. 16 სექტემბერი, კვირა, №147 გვ. 2.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“

სოხუმი

1 აპრილს ქუთაისის ამხანაგობამ გამართა პირველი წარმოდგენა. წარმოადგინეს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ პიესამ კარგად ჩაიარა.

შესანიშნავი იყო საბას როლში ი.ზარდალიშვილი. მან უნაკლოდ დაგვიხატა ადამიანი, რომელიც მახინჯია არა მარტო გარეგნობით, არამედ ყოველი მხრივ. (ხასიათის დახასიათება „მე“) ბ. ზარდალიშვილის თამაში სავსე იყო გრძნობითა და დაკვირვებით. იშვიათის ხელოვნებითა და გრძნობით ასრულებდა სონას როლს. ქ. ვ. შოთაძე. მისმა გონიერმა თამაშმა სრულიად მოხიბლა საზ-ბა. ქ. შოთაძე უნაკლოდ დაგვიხატა შიუკაშვილის საბრალო სონა. განსაკუთრების კარგი იყო მეორე და მეოთხე მოქმედებაში.

ძლიერ დაკვირვებით ასრულებდა დარეჯანის როლს ლ. ღოღობერიძე. მისი დარეჯანი ყოველ – მხრივ უნაკლულო იყო.

კარგი იყო ბ. პ. კორიშელი გიმნაზიელის როლში. კარგი იყო ბ. ი. ბარველი. კარგი იყო აგრეთვე ბ. ა. ყალაბეგიშვილი. ილიკოს როლში. დანარჩენნი ხელს უწყობდნენ ამ მოთამაშეს.

ისარი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 5 აპრილი, ხუთშაბათი, №566, გვ. 4.

სოხუმის სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 29 აპრილს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდა წლიური კრება ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის წევრთა. კრებას მოახსენა ანგარიში გამგეობის მოქმედებისა, საიდანაც სჩანს, რომ მთელი წლის განმავლობაში გამგეობას მოუწყვია მხოლოდ სამი ლექცია, ორი რუსულად და ერთიც ქართულად. როგორც ამ კრებაზე გამოირკვა, მიზეზი ასეთი უნაყოფო მოქმედებისა ყოფილა ის რომ ლექციების წამკითხველნი არ აღმოჩენილან ქ. სოხუმში. აქ ბევრი – ბევრი ექიმ – ვექილი და სხვა ინტელიგენციაა, მაგრამ ასეთი საქმისათვის მათ არა სცხელათ თურმე. ხოლო მასწავლებელთ არა ჰქონიათ ლექციების წაკითხვის უფლება ბ. მზრუნველის ნება-დაურთველად. რაც შეეხება ქართულ ლექციებს, ამათი საქმე უფრო ცუდად ყოფილა: მათი ნება – რთვა ცხრა – კლიტულში ყოფილა ჩაკეტილი. უცდიათ ქუთაისიდან მოეწვიათ ლექტორები, დაჰპირებია, მაგრამ ჯერ არავის არ აუსრულებია თავისი დაპირება. ძალიან კარგს იზამენ ჩვენი ლექტორები, რომ სოხუმელ ქართველებს მისცემდნენ საშუალებას ქართულად მოისმინონ ლექციები. – თავი ვერ შემიკავებია ერთი სასაცილო და მასთან სამწუხარო ამბავი არ გაუწყოთ. პატ. ექიმ ვლ. მახვილაძე დაუმზადებია ლექცია ჭლექის შესახებ (წაკითხული იყო შარშან გვირილობას). მაგრამ, ეს „ჭლექი“ ისეთი საშიშარი გამომდგარა, რომ ყველა ინსტანციები დაუვლია, და როგორც იყო დღის სინათლეს ღირსებია მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, ეხლა ხან! ასეთ უუფლებო მდგომარეობაში ვართ ჩვენ სოხუმელები! – საღამოს კურსები მუშათათვის კარგად

ყოფილა მოწყობილი. დასასრულ არჩევნები მოხდა სხვათა შორის აირჩიეს ბ. სევა კუხალეიშვილიც გამგეობაში.

სოსო

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 6 მაისი, კვირა, №592, გვ. 3.

სოხუმი

18 მაისს საგაზაფხულო თეატრში თბილისის ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა, „პარიზელი ბიჭი“. მონაწილეობას ღებულობდა მარიამ საფაროვ-აბაშიძისა. სამაგალითო იყო იგი ჟოზეფის როლში. საზ-ბამ ძლიერი ტაშისცემით დააჯილდოვა იგი.

კარგი იყო კოტე ყიფიანი მორენის როლში. ბოლოს ითამაშეს „რაც არ მერგება არ შემერგება“ – ვოდევილი. ორივე პიესამ კარგად ჩაიარა. იყო აგრეთვე დივერტის მენტიც, რომელმაც ვერ დაგვაკმაყოფილა.

19 მაისს წარმოადგინეს შიუკაშვილის „მეგობრობა“, დიდი დაკვირვებითა და გრძნობით ასრულებდა ტასო აბაშიძე. არჩილი უნაკლოდ დაგვიხატა ვალერიან გუნიამ. კარგი იყო ჩვენი სანაქებო მსახიობი ვასო აბაშიძე ვიქტორის როლში. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი თვალსაჩინო დეფექტი. მესამე მოქმედებაში გამოტოვეს სცენა მეძავ ქალებთან. არჩილმა მსახურს უბრძანა: „იქით ღამის პეპლები დადიან და დაუძახეო“. მაგრამ ეს უკანასკნელნი არ შემოსულან. შემდეგ არჩილი სვამს მათ (მეძავ ქალების) სადღეგრძელოს, და ეს უკანასკნელნი კი არსადა სჩანან. ჩვენი აზრით, თუ ამ სცენის გამოტოვება საჭირო იყო მაშინ სჯობდა სრულად აღარ არ ეხსენებინათ „ღამის პეპლები“.

ბოლოს ითამაშეს ვოდევილი „გულმა იგრძნო“. ნინოს როლს ასრულებდა მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, რომელმაც სრულიად მოხიბლა საზ-ბა. საზ-ბამ ის მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. საჩუქრად მიართვეს ვერცხლის ალბომი და 50 მ. ფულად.

ისარი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 25 მაისი, პარასკევი, № 607, გვ. 4.

28 მაისს ქუთაისში საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე დადგენილ იქნა: გ) უარყოფილ იქმნეს გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წინადადება სოხუმში აგენტ-დამფასებლის დანიშვნის შესახებ (60 ხმის უმეტესობით 57 ხმის წინააღმდეგ).

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 31 მაისი, ხუთშაბათი, №612, გვ. 2.

1912 წ-ის 1 თიბათვეს საღამოს 6 სთ-ზე გარდაიცვალა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.

(იხ.: სამგლოვიარო დეპეშების ჩამონთვალი – რედ.).

სოხუმი

სოხუმის ქართველობა უღრმესად დაამწუხარა სამშობლო ქვეყნის აღფრთოვანებულ მოთაყვანის, სამაგალითო პედაგოგისა, ენერგიული მოღვაწის და სამ-

შობლოს კეთილდღეობის თავგამოდებულ მოსარჩლის დაკარგვა.

სოხუმის ქართული სკოლა თავის მწუხარებას უერთებს ქართველი ერის უდიდეს მწუხარებას, იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო, რომელიც ასე მტკიცე და სახელოვან დარაჯად ედგა ახალგაზრდობას რაციონალურ აღზრდას.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 6 ივნისი, ოთხშაბათი, №617, გვ. 3.

სამგლოვიარო დეპეშები

სოხუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის სოხუმის განყ-ბამ, მოისმინა სამწუხარო ამბავი, სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწე სამაგალითო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებისა, რომელმაც საუკეთესო საძირკველი ჩაუყარა დედაენის არსებობას და განვითარებას, დაუღალავად მოღვაწეობდა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ საქმიანობის ყოველ დარგში. გამგეობამ დაადგინა: მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადოს სოხუმის ქართულ სკოლაში. მისი სახელობის ერთი სტიპენდია დააარსოს, და განსვენებულის ნაწარმოებნი დაურიგოს სოხუმის საქალაქო სკოლების ყველა ღარიბ მოსწავლეებს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 8 ივნისი, პარასკევი, №619, გვ. 3.

სოხუმი

17 ივნისს სამურიდის თეატრში ქ-ნ. ე. ანდრონიკაშვილმა დაუვიწყარ პედაგოგისა და საზ. მოღვაწის იაკობ ს. გოგებაშვილის სახელით გამართა დილა.

აიხადა ფარდა და გამოჩნდა დიდებული მასწავლებლისა და საზ. მოღვაწის დიდი სურათი. საზ-ბამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას. ბ. სპ. კუხალეიშვილმა მშვენივრად წაიკითხა ი. ს. გოგებაშვილის ბიოგრაფია, რის შემდეგაც პატარა ბავშვებმა ბ. ურუშაძის ხელმძღვანელობით იგალობეს „წმინდაო ღმერთო“.

მეორე განყოფილებაში დიდი მოძღვარის აქეთ-იქით იდგნენ ბ. ბ. გ. ერქომაიშვილი, ვ. აბაშიძე, ი. კორტი და ბავშვების გუნდი. ჯერ ბავშვებმა იგალობეს, შემდეგ ლექციები წაიკითხეს ვ. აბაშიძემ, ი. კორტმა და გ. ერქომაიშვილმა.

მესამე განყოფილებაში სურათის წინ ქ-ნმა ე. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა ლექსი. ბ. ნ. ურუშაძის ლოტბარობით მომღერალთა გუნდმა იმღერა „აღსდექ გმირთა-გმირო“, რომლითაც დილა დასრულდა.

დილას ხალხი ბევრი დაესწრო და წმინდა შემოსავალიც 170 მან-მდე დარჩა.

18 ივნისს კაზლოვსკის საგაზაფხულო თეატრში ადგ. სცენის მოყვარეთა წრემ გამართა ქართ. წარმოდგენა. მონაწილეობდა ქ-ნი ე. ანდრონიკაშვილი, რომელიც მოიწვიეს ქუთაისიდან. წარმოადგინეს არაქსიანის სამმოქმედებიანი დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“. პიესა შინაარსიანი აღმოჩნდა. კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს: ქ-ნი ე. ანდრონიკაშვილი (დედა), მ. კუხალეიშვილი (თამრო), ბ. ბ.ს. ფრანგულიაცი (ზაქრო), ვ. ვადაჭკორია (გიორგი), ვ. აბაშიძე (დათიკო), ი. კორტი (ალექსანდრე).

ითამაშეს აგრეთვე მალოროსებმა ვოდევილი „სამი საყვარელი ტომრებში“, რომელმაც ბევრი აცინა საზოგადოება. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

ისარი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 8 ივლისი, კვირა, №644, გვ. 3.

ქართული კონცერტი სოხუმში

...ამ რამდენიმე ხნის წინათ ქ. სოხუმშიაც შესდგა თავ. ნ. ყ. თავდგირიძის მეთაურობით, მეგრელ ქართველ მომღერალთა გუნდი. ამ გუნდის მიზანია: შეაგროვოს და შეისწავლოს სხვა და სხვა ხალხური სიმღერები, სრულიად გადაუკეთებლად, შემდეგ კი გადასცეს და გააცნოს იგი საზ-ბას, სწორედ ისე როგორც ხალხი მღერის მას. გუნდს ხელმძღვანელობს აქეთ კარგად ცნობილი, სხვა და სხვა ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე ბ. ძ. ლოლუა. გუნდი ჯერჯერობით 22 კაცისაგან შესდგება. გუნდი მეცადინეობდა თითქმის 2 თვე (დღეში 2 საათი) და დღემდი თითქმის 35 ხალხური სიმღერა მოამზადა; – კახური, აფხაზური, სვანური და ხევსურული.

გუნდში არიან სვანურ ჭიანურისა და ჩონგურის დამკვრელები, მოცეკვავენი: მეგრულისა (სხაპუა), სვანურისა, აფხაზურისა, ხორალისა, დავლურისა, უზუნდარისა, ლეკურისა და სხვა. გუნდში არიან აგრეთვე კარგი დეკლამატორები.

1 ივლისს ამ გუნდმა ქ. სოხუმში თავ. ნ. ყ. თავდგირიძის გამგეობით პირველად გამართა (კონცერტი). გუნდი დიდხანს ემზადებოდა ამ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად და უნდა ვაღიაროთ რომ შრომას უბრალოდ არ ჩაუვლია. კონცერტი ჩინებული გამოდგა. ისიც უნდა ვაღიაროთ რომ კონცერტს ბევრი ნაკლოვანებაც ჰქონდა, მაგრამ ნაკლოვანებებს სრულიად აქარწყლებს კონცერტის ღირსებები.

კონცერტი შესდგებოდა 4 განყოფილებისაგან, შესრულებული იქმნა 30 სხვა და სხვა ხალხური სიმღერა.

საზოგადოებას უფრო კახური და ქართული სიმღერები მოეწონა და ხშირადაც თხოულობდნენ მათს განმეორებას (უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სიმღერა არ გაუმეორებია გუნდს). ამათ შემდეგ გურული მოეწონათ და ითხოვეს მათი განმეორება. მეგრული სიმღერებიდან მოიწონეს „ სო ურქ ბაბა, მა დომტალენქო“ და „მა ვა მოკო სიცოცხლე“. ხევსურულიდან „ ლაშქრად წასვლა“, აფხაზურიდან „ აყიში“ და „ღიღინი“. კარგი იყო აგრეთვე ორ სართულიანი ფერხული და ნადური. ყველა სიმღერები შესრულებულ იქნა უნოტოდ.

ყველა განყოფილების ბოლოს იყო ცეკვა, იკითხებოდა საოხუნჯო ხალხური თქმულებანი, ლექსები და სხვა. გურული და იმერული თქმულებანი კარგად წაიკითხა ბ. გ. ანჯაფარიძემ. ახალგაზრდა პოეტმა ბ. ლ. გეგეჭკორმა წაიკითხა საკუთარი ლექსები. ბ. ი. კორტმა წაიკითხა ი. გურამიშვილის „ოქროს ფეხი“ და ვ. რუხაძის „შავი ძალა“. გუნდი და კონცერტის მონაწილენი საზ-ბამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. კონცერტის დაწყებამდე პოეტმა ლ. გეგეჭკორმა მოკლე მაგრამ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, ეროვნულ ხალხურ სიმღერების მნიშვნელობაზე, ახლად შემდგარ გუნდზე და მოუწოდა საზ-ბას: „ამ გუნდს, რომელიც დაარსებულია სიმპათიური მიზნით, შეძლების დაგვარად დაეხმარეთ და რომ ამ გუნდს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ეროვნული მუსიკის გასამდიდრებლად – ამას თქვენცა ნახავთ მომავალში“. საზ- ბა ამ სიტყვას ტაშის ცემით შეეგება. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის გულგრილობა, რომელიც სოხუმის ქართველმა საზ-ბამ გამოიჩინა ამ კონცერტზე. ბილეთის ფასები ძლიერ მცირე იყო. მიუხედავად ამისა ხალხი მაინც მცირე დაესწრო. გარდა ამისა საზ-ბის ერთ ნაწილს სრულებით არ ეყიდა ბილეთები; რადგან კონცერტის გამგენი ამას არ მოელოდნენ და არაფერი ზომა არ იყო მიღებული.

ამის გამო შემოსავალმა ხარჯი ვერ დაფარა და გამგეობას ვალი დაედო.

3 ივლისს ამავე გუნდმა კონცერტი გამართა დაბა გუდაუთში. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა. მიუხედავად ხალხის სიმრავლისა შემოსავალმა ხარჯი ვერც იქ დაფარა, რადგან მთელი შემადგენლობის მოგზაურობა და ხარჯი არც ისე ცოტა იყო. კონცერტი უნდა გამართულიყო ბევრ დაბა ქალაქებში, მაგრამ უსახსრობისა და დავალიანების გამო გუნდი გუდაუთიდანვე სოხუმში დაბრუნდა და დროებით მუშაობაც შეაჩერა. დიდად სასურველია, რომ საზოგადოება მხარს დაუჭერდეს ამ გუნდს და შეაძლებინებდეს მუშაობის გაგრძელებასა და სხვა და სხვა ადგილას კონცერტების გამართვას; რაც უეჭველია დიდად სასარგებლო იქნება ეროვნული ხალხური მუსიკის გამოსაკვლევად და შესასწავლად. სასურველია რომ ფილარმონიული საზოგადოებაც ყურადღებას მიაქცევდეს ამ გუნდს, გაეცნობოდეს მის სიმღერებსა და შემდეგ თავის აზრს გამოსთქვამდეს.

ისარი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 13 ივლისი, პარასკევი, №648, გვ. 3.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზ-ბამ 80 მან. გადასდო აფხაზური ლოცვანის გამოსაცემად.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. 24 ნოემბერი, შაბათი, №757.

გაზეთი „ცხოვრება“

წერილი სოხუმიდან

მხოლოდ ერთის მხრივ სოხუმს ბედმა გაუღიმა წრეულს. შალვა დადიანის და ელო ანდრონიკაშვილის დაუღალავი მუშაობის წყალობით აქ შესდგა დრამატიული წრე, რომელმაც ამ სეზონში და თან პირველად სოხუმელებს მისცა რეგულარული წარმოდგენები. ბევრი დაბრკოლება ეღობებოდათ წინ წრის მოთავეთ, მაგრამ ამ დაბრკოლებებს არ შეუშინდნენ და პირნათლად წარუძღვებიან საქმესა, რამდენადაც შესაძლებელი იყო აქ. ვინც დაწვრილებით იცნობს ადგილობრივ პირობებს, იმას არ შეუძლია განცვიფრებაში არ მოვიდეს თუ როგორ შესძლეს და სეზონი პირნათლად ჩაატარეს უმთავრესი დაბრკოლება უბინაობაა. აქ არსებობს სინემატოგრაფისათვის მოწყობილი ეგრეთ წოდებული „პირველი თეატრი სამურიდისა“ ამას გარეშე აქ ხსნა აღარ არის: სხვა ბინა აღარ მოიპოვება, და ამით სავსებით ისარგებლა ამ თეატრის იჯარადარმა ვინმე გრიგორმა. ჯერ იყო და პატიოსანი სიტყვით დაპირდა საქმის მოთავედ ყოველი შაბათი მოეცა მათთვის „სინემატოგრაფის სურათებიანად“ 60 მ. გამოაწერა არტისტები, საქმე გამოაწყობია და მერე კი ნამდვილი გრიგორული ატკაზი სტკუცა: „შევცდიო ვერც სურათებს მოგცემთ და 75 მ. ნაკლებ არ შემიძლიან დაგითმოთო! და ისიც ყოვლად მოუწყობელ თითქმის უდეკორაციო კლუბის მაგვარ ზალაში, რომელიც იტევს მხოლოდ 350 კაცს! კეთილი საქმის გამოუცდელი მოთავენი ხახა-მშრალნი დარჩნენ: აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, მარა ბინა ვერსად ვერ იშოვნეს. შეურიგდნენ ბედს და ისევ ბ. გრიგორს მიმართეს და დღეები გამოართვეს. აქაც გრიგორმა თავისებური კვანტი გამოუდო წრეს: თეატრს მხოლოდ ათის ნახევარზე უთავისუფლებდა, მანამდი კი სინემატოგრაფი მუშაობდა. ქართული საზოგადოება

კი სათეატროდ მისული ამ ზამთრის სიცივეში კარში უყურყუტებდა, სანამ გრიგორი კეთილს ინებებდა და კარებს არ გაუღებდა ბ. გრიგორი კი გამარჯვებით დამტკბარი ხითხითებდა და კარებს არ გაუღებდა. და ხითხითებს დღესაც. აი ასეთ აუტანელ მდგომარეობაში მუშაობა აქ ამ წრესა, მაგრამ მისდა სასახელოდ და გრიგორის ჯიბის გასასაქელებლად საქმე ბოლომდის მოიყვანა. აი დღეს თითქმის უკანასკნელი სახალხო წარმოდგენა იყო. თამაშობდნენ ჭანტურიშვილის პიესას – „მორევში“. ხალხი დიდძალი მოაწყდა და პიესაც ჩინებულად ჩაატარეს. დიდი მადლობის ღირსნი არიან როგორც შალვა დადიანი და ელი ანდრონიკაშვილი, ისე წრის გამგეობა, რომ დრამატულ საქმეს აქ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს და ურწმუნო თომად დაუმტკიცეს, რომ სოხუმს შეუძლიან თავისი მუდმივი წრე იყოლიოს და არსად ისეთი დიდი მნიშვნელიბა არა აქვს თეატრს, როგორც აქ, სოხუმში, სადაც, ლამის არის, ყოველი კულტ-ლი მუშაობა მიმქრალა, ჩაფერფლილა.

აქ თავი ვერ შემიკავებია, რომ თეატრის პატრონსაც ბ. სამურიდასაც ორიოდე სიტყვა არ ვუძღვნა. მე შემთხვევით დავესწარი ამ თეატრის კურთხევას გაზაფხულზე და გამიკვირდა, თუ როგორ ქება-დიდებით მიმართა ცხოვრებაში გზა-დაბნეულმა და უსაქმო ინტელიგეციამ, იმ ინტელიგენციამ, რომელსაც ერთ დროს ქვეყნის მმართველად მოჰქონდა თავი და ბევრ გულუბრყვილოსაც სჯეროდა ესა. ამ ინტელიგენციის მიერ მირთმეულ ადრესზე ეწერა სხვათა შორის შემდეგი ფრაზა: „როგორც ხელოვნება უკვდავია ისე უკვდავია ამიერიდან შენი სახელით.“ სწორედ გითხრათ, შემშურდა ბ. სამურიდის ბედი; „უკვდავია ხელოვნება, უკვდავია სამურიდი.“ ნეტავ მეც სამურიდი ვიყოთქო. ეხლა ეს ჩემი ნატვრა უკან მიმაქვს: თუ ბატონ სამურიდის უკვდავებას მოუპოვებენ ორპირ გრიგორის კაპარე და შანსონისტკები, ასეთი უკვდავება ღმერთმა მაშოროს! და ბ. სამურიდისაც ვურჩევ ასეთს იაფფასიან და ბალაგანურ უკვდავებას თავი მოარიდოს და ეს უკვდავება მხოლოდ და მარტო ბ. გრიგორის დაუთმოს; ხოლო თვით მთავარი თეატრის პირველობით ისარგებლოს და რაც შეიძლება მეტი წვენი გამოადენიოს, სანამ უფრო ღონიერი და უფრო მოწყობილი ნამდვილი თეატრი ბ. ალოიზისა არ დაჩრდილავს მის დიდებასაც და პირველობასაც. ხოლო იმედია, წრის მოთავენი ამიერიდან მაინც ბ. ბ. გრიგორთან პატიოსან სიტყვას შესაფერის ფასს დასდებენ და ნაკლებ ნდობას გამოუცხადებენ: ამით სახალხო საქმე მოიგებს და სასურველად გაიჩალხება.

კობა

გაზ. „ცხოვრება“, 1912 წელი. 10 თებერვალი, პარასკევი, №13, გვ. 3

(იხ.: პროვინციის ქრონიკა სოხუმი. ამინდის შესახებ, თამბაქოზე ფასების დაცემის შესახებ. ქუჩების მოწყობილობის შესახებ. – რედ.).

ზოგიერთ აქაურ ქუჩებისათვის საკმარისია სულ პაწია წვიმა, რომ გაუალი ტყლაპო დადგეს. ეს ბედი უფრო ამ ქუჩების ხვედრია, სადაც ჩვენი ქალაქის მამინაცვლებს არ აქვთ საცხოვრებელი ბინა, და თუ რომ ჰქონდეთ, მათ ხომ შეიძლება აქვთ, არ ჩაიფლან ტალახში. და თუ ფეხით მოსიარულე, ღარიბი მოქალაქენი იძულებულნი არიან ზილონ ეს მუხლამდი დამდგარი ტალახი – ეს რა ჩვენი ქალაქის მამინაცვლების სადარდებელია?

აქ უკვე გაიხსნა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, როგორც ხმები დადის, ამ

ბანკთან არსებულ კომიტეტს კრედიტის განსაზღვრის დროს სხვა და სხვა პირთა შესახებ ვერ გამოუჩენია მიუდგომლობა.

გაზ. „ცხოვრება“, 1912 წელი. 16 თებერვალი, ხუთშაბათი, №12, გვ. 4.

სოხუმი

კისერა (ბატონები) მძინვარებს. ცრუმორწმუნეობისა და ექიმის უგულებელყოფის გამო კვდებიან უმეტესად ბავშვები.

გაზ. „ცხოვრება“, 1912 წელი. 17 თებერვალი, პარასკევი, №13, გვ. 4.

სოფ. ილორი

ამ სოფელში დაარსებულია ერთ კლასიანი და მეორეც ორ. კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვიან: პირველში მასწავლებელს ირ. ჩიგოგიძეს, ხოლო მეორეში კი შკოლის ზედამხედველს ბ-ნ თოფურიას, ისინი შეძლებისდაგვარად შრომობენ და იღვაწიან თავიანთ სოფლის კულტურით აღორძინებისათვის.

დიდ გაჭირვებას განიცდიან აქაური გლეხები ათას გვარ გადასახადების გამო: დღე არ გავა ისე, რომ „პომოშნიკი“ და „სტრაჟი“ არ იძახოდეს გლეხის „ჭიშკარზე“, ეს ღვდლის დრამაა, ეს მწერლის, ეს მიწის ბაჟის, „ნედოიმკის“, მამასახლისის და სხვადასხვა.

სოფ. გამოღმა საჭილოა, ეს ილორის მეზობელი სოფელია. თუმცა მცხოვრებთა რიცხვით პატარაა, მარა აქაც არის დაარსებული ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომლის მასწავლებლათ ითვლება ბ-ნი ივ. ჯანელიძე. ეს მასწავლებელი ერთხანს პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და გლეხებიც, რასაკვირველია, მადლიერიც იყვნენ მისი. ხოლო ამ ბოლო დროს ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს შკოლას და სანახევროდ აღარ მეცადინეობს. გულახდილად ვურჩევთ ბ-ნ ჯანელიძეს ყურადღებით მოეპყრას თავის წმინდა მოვალეობას და შეეცადოს ენერგიული მოქმედებით ხალხის ყურადღების და მადლობის დამსახურებას.

ამ სოფლის გლეხებიც ისე როგორც ილორის, სიმინდის მოყვანას მისდევენ. მოსავალი კარგი იყო იცის, მარა ათას გვარ გადასახადებს ვერც აქაური გლეხი უძღვება. თუ რამდენად აწუხებს გლეხს ეს გადასახედები და სასოწარკვეთილებაში აგდებს მას, ეს შემდეგიდანაც აშკარათ სჩანს: ახლანდელ სიცოცხლეს თუ სიკვდილი არ მერჩიოს, ძაღლის ... ვიყო „მითხრა ერთმა გლეხმა“ – რაა შე კაცო ღმერთს რაზე შესცოდებ მეთქი – როგორ თუ შევცოდებ?! – გაოცდა ის, ადამიანის თუ აჩენდა თან ამდენი გასაჭირი რაღა�ა. კაცს ერთი რიგირნიც ვერ ამოგისუნთქავს ამ ოხერი გადასახადებისა გამოო? გაათავა გლეხმა სიტყვა და სასოწარკვეთილებით ახლო ჩაიქნია.

ს. მეთვალყურე

გაზ. „ცხოვრება“,1912 წ. 3 მარტი, შაბათი, №26, გვ. 4.



ლიხნის ტაძარი, X ს.

1913

გაზეთი „მერცხალი“

სოხუმიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ ვლ. მესხიშვილის საიუბილეო წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დასწრებია, მესხიშვილისათვის მიურთმევიათ ფულად 800 მან-მდი და ამდენივე საჩუქარი.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 2 მარტი, შაბათი, №49, გვ. 1.

... აქვე იყვნენ სამურზაყანოდან გამოგზავნილი წარმომადგენლებიც, რომელთაც სთხოვეს შუამდგომლობა (დეპუტატს) სკოლის გახსნის, ქართული ენის სწავლების შესახებ და სხ. მოვიდნენ აგრეთვე ოჩამჩირედგან. ამ დაბებს სურთ თვითმართველობის შემოღება, რაზედაც დეპუტატმა შესაბამისი ზომების მიღება აღუთქვა. ყველა დეპუტაციები ჩხენკელს სთხოვდნენ თავიანთი კუთხეებში ჩამოსვლას...

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 10 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №58, გვ. 2.

დეპუტატის მოგზაურობა

სოხუმი

დეპუტატი ჩხენკელი სოხუმში ავადმყოფი ჩამოვიდა...

დეპუტატს ნახულობენ სოფ. ბაგავეშტას გლეხების წარმომადგენლები და თავიანთ მიწისა და გადასახადების პრობლემას ამცნობენ და დახმარებას სთხოვენ.

...კვირას 6 ოქტომბერს დეპუტატი ინახულა იმავე საზოგადოების სოფ. ბაბუშერის გლეხების წარმომადგენლებმა. მათ უამბეს ჩხენკელს, რომ ისინი 40 წელიწადი იქნება, რაც თავად გიორგი შერვაშიძის ადგილში ცხოვრობენ და განიცდიან დიდ შევიწროებას მოურავებისაგან. სკოლის შენობის დასადგამ ადგილშიაც ფულს ახდევინებენ რის გამო სკოლის შენობის აგება შეფერხდა.

ამის წინათ თურმე უმცროსმა მოურავმა გრიგოლიამ, მობოჭა გლეხებში კომლზე სამ-სამი მანეთი ცემენტის ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ დღემდე არ გაუკეთებიაო. იჯარის კონტრაქტის ხელშია და გლეხებს პირა არა აქვსთ. ასე რომ ჩვენ კანტრაქტის შინაარსი ზეპირად უნდა დავიხსომოთ ამბობდნენ გლეხები. უამბეს რა ყოველივე ეს ბაბუშერის წარმომადგენლებმა, სთხოვეს დეპუტატს, თუ მოხერხდება ხსენებული ადგილების მათ კუთვნილებაში გადასვლას შეუწყოს ხელი. დეპუტატმა აუხსნა, რომ მას ასეთი პირობის მიცემა არ შეუძლია, რადგანაც დღევანდელი კანონები არ გადასჭრიან ამ კითხვას გლეხების სასარგებლოთ. ის მხოლოდ ინახულებს პეტერბურგში თავად გიორგი შერვაშიძეს, გადასცემს ყოველივე მათ გაჭირვებას და სთხოვს რომ ყურადღებით მოუკიდოს ის გლეხების მოთხოვნილებას.

ბაბუშერაში 400-მდე კომლი ცხოვრობს, ის 20 ვერსით არის დაშორებული ქალაქ სოხუმზე. მცხოვრებთა უმრავლესობა მეგრელებია.

დეპუტატი ინახულეს აგრეთვე სოხუმის ოლქის მასწავლებელთა წარმომადგენლებმა, ისინი ამბობენ, რომ მათ სდევნიან, უკრძალავენ ქართულის სწავლებას და სხვა. სახალხო სწავლების ინსპექტორმა პროგრამის დებულებას და მოითხოვს მუნჯური მეთოდის შემოღებას. დეპუტატმა სთხოვა მასწავლებლებს ხსენებული ცირკულიარის პირი და აღუთქვა, რომ ყოველივე ამ უკანონობის და შევიწროების წინააღმდეგ გაილაშქრებს და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდგან ყველაფერს

გამოაქვეყნებს. სამურზაყანოდან ჩამოსულმა მღვდელმა შესჩივლეს დეპუტატ ჩხენ-კელს, რომ მეგრელ მღვდლებს სდევნიან.

გალში არის სასულიერო-სამასწავლებლო ორ კლასიანი სკოლა, რომლის კურს-დამთავრებულნი ინიშნებიან ამ მღვდლებად ან მასწავლებლად; მაგრამ ქართულს ამ სკოლაში არ ასწავლიან და ამნაირად სამურზაყანოსათვის ხსენებულ სკოლიდან გამოდიან ქართულის არ მცოდნე მღვდლები და მასწავლებლები, მაშინ როდესაც სამურზაყანოში მეგრელები ცხოვრობენ და სწავლა-განათლებას ითხოვენ ქართულ ენაზე. დეპუტატმა ურჩია მღვდლებს, რომ მათ შეკრიბონ ყოველივე ცნობები ეკლე-სიაში და სკოლებში ენის სდევნის შესახებ და გაუგზავნონ მას დუმაში რათა სინოდის სმეტის განხილვის დროს გამომჟღავნებულ იქნეს ყველაფერი.

ელი

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 17 მარტი, ხუთშაბათი, №64, გვ. 2.

სამურზაყანო

დიდი ხანია რაც სამურზაყანო განაცალკევეს სამეგრელოდან და მიაკუთვნეს აფხაზეთს. ამის გამო სამურზაყანოს მცხოვრებნი ხელოვნურად დააშორეს ქართვე-ლებს და ხელი შეუწყვეს ამ კუთხის გონებრივად ჩამორჩენას. მიუხედავად იმისა, რომ სამურზაყანო მიწისმფლობელობით და სხვა საარსებო საშუალებებით, შედარ-ებით სამეგრელოსთან გაცილებით უფრო კარგ პირობებში იყო ჩაყენებული, აქამდე იგი მაინც ჩამორჩენილია სწავლა-განათლებით სამეგრელოზე, ამის მიზეზი თავის-თავად ცხადია: ერთი მუჭა ხალხი, რომელიც სამურზაყანოს შეადგენს, უნებურათ ჩამოაშორეს მის დიდ ნაწილს სამეგრელოს და ამით შეაფერხეს სამურზაყანოელების წინსვლა. სამურზაყანოს მცხოვრებნი სულით და გულით მოუსვენერნი პირნი არი-ან, რომ ახლო კავშირი ჰქონდეთ მათ მოძმე-მეგრელებთან. მაგრამ მათი სურვილი ჯერ-ჯერობით რჩება მხოლოდ სურვილად. უმთავრესი მიზეზი სამურზაყანოელების სწავლა-განათლებაში ჩამორჩენისა არის არა ნორმალური მდგომარეობა სწავლა-გა-ნათლების საქმეში, მიუხედავად იმისა რომ აქ თითქმის ყველა სოფლებში არსებობს სამრევლო ანუ სამინისტრო სკოლა (ზოგად ორივეც) და სწავლა-განათლების საქ-მეზე სამურზაყანოში იხარჯება გვარიანი თანხა, როგორც ვსთქვით ეს ქვეყანა მაინც ჩამორჩენილია სწავლა-განათლებით. სკოლები ვერ აღწევენ თავის დანიშნულებას, რადგან იქ გამეფებულია უცხო ენა, რაიცა სპობს და აქარწყლებს განათლების მის-წრაფებას მოზარდ თაობაში. სამურზაყანოელები, როგორც მეგრელები, უძველეს დროიდან სცნობენ თავის მშობლიურ ენად ქართულს, ისინი ქრისტიანობის მიღების დროიდან იძენენ წირვა-ლოცვას ამ ენაზე და დღეს კი ამ ენას ართმევენ.

სამურზაყანოს ეკუთვნის ადგილები მდებარე მდ-ენგურსა და ღალიძგას შუა. სამურზაყანო შედგება 63 სოფლისაგან. აქ არიან შესანიშნავი სოფლები: ბედია (ძვ. ეგრისი) ოქუმი, გალი, ილორი, მოქვი და დაბა ოჩემჩირე. ბედიაში არის ძველი ქა-რთული მონასტერი, რომელსაც განახლებას უპირებს მღვდელი-მონაზონი იოსებ შელია; უკვე დაწყებულია მუშაობა. ოქუმი არის მოზრდილი სოფელი სამურზაყა-ნოში. ილორსა და მოქვში არის ძველი ქართული ტაძარი, რომელიც გადააკეთეს რუსულ დედათა-მონასტრად. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ძველი ილორის წმ. გიორგის ტაძარი, აშენებული იმერეთის მეფისგან ბაგრატ III, აქვე არის მრავალი

ძველი ქართულ წარწერებიანი ნივთები. სოფ. გალი ამჟამად წარმოადგენს მთელი სამურზაყანოს ცენტრს. ამ სოფელში არის სამრევლო ორ კლასიანი სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი და სხვ. დაბა ოჩამჩირე არის მახლობელი ნავსადგური, საიდანაც გააქვთ ხე და სიმინდი. მცხოვრებნი და მოვაჭრენი არიან სამურზაყანოელი მეგრელები და აგრეთვე ლაზებიც. თითქმის მთელ სამურზაყანოს სკოლებიდან განდევნილია ქართულის სწავლება. ყ-დ უსამღვდელოეს ეპისკოპოს კირიონმა თავის აქ ყოფნის დროს (1906) ითხოვა სინოდისაგან და დაბრუნება არამც თუ სამურზაყანოს შკოლებს, არამედ მთელი აფხაზეთისასაც ქართული ენის სწავლების უფლება, მაგრამ როცა გადაიყვანეს ეპისკოპოსი კირიონი მისმა მოადგილემ, ეპისკოპოს დიმიტრიმ ბრძანება გასცა: გაეუქმებინათ ქართული ენის სწავლება მთელ სამურზაყანო-აფხაზეთში. აფხაზეთში კი ქართულის მაგიერ ნება დართო ესწავლათ აფხაზური ენა. ხოლო სამურზაყანოს მცხოვრებთ აფხაზური ენისა სრულებით არაფერი გაეგებათ. ჩვენ არა ერთისა და ორის მაგალითის მოყვანა შეგვეძლო აქ განსაკუთრებით ეპისკოპოს დიმიტრის „მოღვაწეობის“ შესახებ, რომელმაც დიდი ვნება მოუტანა სამურზაყანოელების სწავლა-განათლების საქმეს, მაგრამ განა ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც დღესაც ადასტურებენ მისგან ნაანდერძევს? თუ საქმე არ წავიდა აფხაზეთის ხალხს მალე მოელის გადაგვარება; მხოლოდ ამ უბედურებას საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს სამურზაყანოს ინტელიგენციამ და განსაკუთრებით მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ საამისოთ, თორემ მარტო ჯიბისა და კუჭისათვის ვერაფერი თავდება სასურველ მომავლის მოსაახლოვლებლათ...

სოხუმი

კვირას 6 ოქტომებერს შესდგა ნოქრების კრება, კრებას დაესრო 60-მდე ნოქარი.

ხოჯანა

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 16 ოქტომბერი, შაბათი, №66, გვ. 4.

სოხუმი

19 ოქტომბერს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა მსახიობის ვასო არაბიძის რეჟისორობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის სასარგებლოთ წარმოადგინეს ერისთავის ისტორიული პიესა „სამშობლო“ წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა, ხალხი ბლომათ დაესწრო – შემოვიდა 450 მანეთამდე.

სოხუმის თვითმართველობა შეუდგა მოიჯარადე ი. ბურჭულაძისაგან აფთიაქის ჩაბარებას.

სოჩაში აგარაკში ანდრია ივანოვისა დაიწვა.

შაბათს ორ ნოემბერს სახალხო წარმოდგენების მმართველი ადგილობრივი დრამატიული წრე გამართავს ილიას საღამოს.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №76, გვ. 2.

სოფ. გალი (სამურზაყანოს საბოქაულო. სოხუმის ოლქი).

(იხ. ინფორმაცია ვაჭრობის გაცხოველება. პირველი გალი, ოჩამჩირა (ვაჭრობაში) – რედ.).

60-მდე ვაჭარს შორის თუ გამოერევა მხოლოდ სამი-ოთხი უცხო ტომისა, თორემ სხვები ყველა ქართველებია – ადგილობრივი მეგრელები თუ ჩამოსულნი არიან. გზები, რომელიც ხელს უწყობს აღებ-მიცემობის განვითარებას ცოტა ხნის უკან პირველყოფილ ბილიკს წარმოადგენდა, ხოლო ამ ბოლო ხანებში შეაკეთეს. მაგრამ სამწუხაროთ აქ გონებრივათ დიდად ჩამორჩენილნი არიან. ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს ვერ ნახავთ აქ. საქართველოს ყოველ კუთხეში ეშურებიან წინ სინათლისაკენ, აარსებენ სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, აქ კი სიბნელეა.

ხოჯანა

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №76, გვ. 3.

სოხუმი

სოხუმის ექიმების ერთმა ნაწილმა ამასწინათ ექიმ მახვილაძის თაოსნობით განიზრახა ქ. სოხუმში ექიმთა საზოგადოების დაარსება, შეიმუშავა შესაფერი წესდება და გაუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლად. წესდება უკვე დაუმტკიცებია გუბერნატორს.

27 ოქტომბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა წლიური კრება. კრებამ განიხილა და დამტკიცა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება. აირჩია გამგეობის ხუთი ახალი წევრი. ვადაგასულების ადგილზე. ამავე კრებაზე გადაწყდდა სახალხო წარმოდგენების მმართველი ქართული დრამატიული წრის მიღება სახალხო უნივერსიტეტის მფარველობაში.

კრებამ დაადგინა სახალხო უნივერსიტეტთან გახსნან საკუთარი სამკითხველო ბიბლიოთეკა.

2 ნოემბერს გაიმართა ილიას საღამო. საღამოს უსიცოცხლობა და უფერულობა ეტყუბოდა.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 10 ნოემბერი, კვირა, №85, გვ. 2.

დაბა ოჩამჩირე ერად ერთი სავაჭრო ადგილია მთელ სამურზაყანოში და კოდორის ნაწილში. აქედან გააქვთ ხე-ტყე, სიმინდი და სხვ.

სანაოსნო მოწყობილობისა და პროფესიონალი მეზღვაურების სინაკლებეა.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 13 ნოემბერი, ოთხშაბათი, №87, გვ. 4.

...დ. მომუშავე მეწაღეებისათვის, თერმებსა და ქარგლების და სხვებისათვის 14 საათის სამუშაო დღეა შემოღებული, ხოლო ოჩამჩირეში, ტამიშში, კოდორში და დანარაში თექვსმეტ საამთადინაც ჭაპანწყვეტაში აბამენ დამქირავებლები დაქირავებულთ და ამ დაჩაგრულ წრიდან ჯერ ერთხელაც არავის ხმა არ ამოუღია ადამიანური უფლების აღსადგენად (მიზეზი-კარჩაკეტილობა, მიმოსვლის პირობების არ ქონა).

გრ. ელისაბედიშვილი

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 14 ნოემბერი, ხუთშაბათი, №88, გვ. 4.

სოხუმი

(იხ.: თუთუნის წარმოებას – უმეტესად მისდევენ ბერძნები და სომხები. „სკუპ-შიკების“ მაქინაციები, დაბალი ფასებით გულგატეხილი მეთამბაქოებლები. – რედ.).

სისორდია

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 21 ნოემბერი, ხუთშაბათი, №99, გვ. 4.

ოჩამჩირე – დეპუტატის ა. ჩხენკელის ჩამოსვლა 13 ნოემბერს. მიწების საკითხი.

სოხუმი. გასულ მარიამობისთვეში რამდენიმე აფხაზმა ინტელიგენტმა სთხოვა სოხუმის ოლქის უფროსად ახლად დანიშნულ ბ-ნ ედ. ვეტცელს, მოეწვია სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი იმის გამოსარკვევად, თუ რას გაიღებდნენ მცხოვრებნი საოსტატო სემინარიის დასაარსებლად აფხაზეთში. ბატ. ნ. ვეტცელმა დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა და აღუთქვა ინიციატორთ ყოველგვარი დახმარება, თუ საზოგადოებას წარმომადგენელნი თანაგრძნობით მიეგებებოდნენ ამ აზრს. კრება მოხდა მარიამობისთვეს. კრებას დაესწრო 56 სოფლის საზოგადოების წარმომადგეგელი და საქმის ინიციატორნი, სულ ას ოც კაცამდის.

კრების მონაწილენი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ აზრს და ხანგრძლივ თათბირის შემდეგ ერთხმად დაადგინეს: „ეთხოვოს სათანადო მთავრობას, საოსტატო სემინარია გახსნას ქ. სოხუმში და თუ კი გახსნას, მიეცეს წინადადება ერთდროულად ამ სასწავლებლის შენობის ასაგებად თითოეულმა კომლმა სოხუმის ოლქში მცხოვრებმა განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა გაიღოს ხუთ-ხუთი მანეთი; კრებამ სთხოვა ბ-ნ ოლქის უფროსს შუამდგომლობა გაეწია მთავრობის წინაშე ამის შესახებ, თვითონ წარმომაგენელთა კი ვალათ იდვეს ადგილობრივ თავიანთ საზ-ბას განუმარტონ სემინარიის საჭიროება და, თუ დაეთანხმებოდნენ მათს დადგენილებას, შეედგინათ შესაფერისი პრიგოვორები. როგორც უკვე გამოირკვა, თითქმის ყველა საზ-ბას შეუდგენიათ ოლქის უფროსისათვის, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსიც დიდი თანაგრძნობით მიეგება მცხოვრებთა შუამდგომლობას, თუ კი დანაპირებს შეასრულებთო. ამ განაჩენების ძალით უნდა შეგროვდეს არა ნაკლებ ასოცი ათას მანეთისა. გარდა ამისა 12 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა, მისცეს სემინარიას 5 დესეტინა მიწა და ერთდროულად ათი ათასი მანეთი. ამ რიგად ახლო მომავალში ქ. სოხუმს ერთი საშუალო სასწავლებელი მიემატება. ათი ქალაქის თვითმართველობა დაეთანხმება ბ. მზრუნველს და ორი წლით, სანამ საკუთარი შენობა აიგებოდეს, მისცა ვონა სემინარიისათვის, მომავალ ენკენისთვიდან გვექნება ეს ფრიად საჭირო სასწავლებელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. ილორის საზოგადოებას დაუდგენია განაჩენი, რომლის ძალითაც მომავალ სემინარიას უთმობს 40 დესეტინა მიწასა და ერთდროულად 16 ათას მანეთს ფულად თუ სასწავლებელი ილორში გაიხსნება. ვნახოთ, ვის გაუღიმებს ბედი: ილორს, თუ სოხუმს.

სისორდია

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 24 ნოემბერი, კვირა, №96, გვ. 4.

გაზეთი „ბათუმის გაზეთი“

აფხაზეთი

.... „აფხაზის ქალი საუცხოვო ცხენოსანია, გულადია და მასთან შვილების კარგი აღმზრდელია“.

ა. მაჭავარიანი

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1913 წ. 14 თებერვალი, ხუთშაბათი, №8, გვ. 4.

გაზეთი „თემი“

სოხუმის ამბები

ადგილობრივ წერა-კითხვის გ. ს. ცუდ პირობებში. ქართული სკოლა სულს ღაფავს უსახსრობის გამო, მასწავლებლებს 3 თვე გადის ჯამაგირი არ მიუღიათ. აქ ხშირად ამ სკოლის და ამ საზოგადოების სასარგებლოდ ხან სეირნობა, ხან წარმოდგენა, ხან ლატარია – ალეგრი და სხვა რამე იმართება. ხალხი ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდება და თავის უკანასკნელ გროშს არ ზოგავს, ოღონდ რაიმე ეშველოს, მაგრამ საუბედუროდ არაფერი არ შველის, როგორც სჩანს. ჩვენი აზრით დამნაშავეა მმართველების, უენერგიობა.

საზოგადოების მეთაურებმა უეჭველად უნდა გამოაცხადონ თავიანთ მოქმედების ანგარიში, რამდენიმე შემოვიდა წარმოდგენებიდან და რაზე დაიხარჯა, თორემ ხალხს გული სრულებით უცრუვდება.

აქ ბევრი შეძლებული ქართველი არის, მაგრამ ესენი უფრო სიტყვით საქართველოს ამშენებლები არიან, თორემ, თუ თავიანთ ესთეტიკურ გრძნობების დასაკმაყოფილებლად შეუძლიათ შანსონეტების მომღერალ ქალებზე ხარჯონ ასობით ფული ნუთუ არ შეუძლიათ ერთდროულად დახმარება მაინც აღმოუჩინონ ამ სკოლას?! ისევ მარტო ხალხის, ნამდვილი ხალხის იმედი უნდა ვიქონიოთ.

საჭიროა ხალხი ჩაერიოს საქმეში. ყოველივე დაწვრილებით, ნათლად და გარკვეულად, უნდა იცოდეს, სად მიდის მისი გროშები, სად იხარჯება...

აქაური დრამატული წრის საქმეები სცენის მოყვარულებს ჯერჯერობით კარგად მიჰყავთ და რიგიან წარმოდგენებსაც მართავენ, თუმცა ამ ხანად ნივთიერის მხრით გაჭირვებას განიცდის. მისი არსებობა დამყარებულია მარტო წარმოდგენების შემოსავალზე, რომელიც არ ჰყოფნის. ჩვენი ბობოლები ხომ ძალიან გაურბიან ამ წარმოდგენებს. მუშა ხალხი კი ყველაფერს ვერ გასწვდება, თუმცა ამ წრეს ამ ხალხით უდგას სული და დარწმუნებული უნდა ვიყვეთ შემდეგშიაც რომ იარსებებს, ბოლოს არ შეგვიძლია პატარა საყვედური არ ვუძღვნათ წრეს. ამ ბოლო დროს გაიმართა რამდენიმე კერძო წარმოდგენა ჩვენის აზრით კარგი იქნება წრე წარმოდგენებს კერძო ხასიათს არ მისცემდეს, რადგან ამას შეუძლია სახელი გაუტეხოს ახლად დაწყებულ კულტურულ საქმეს. მასთან ძალიან უნდა ერიდონ ბილეთების ხელზე გაყიდვას, რადგან ბილეთების ძალათ გაყიდვით უეჭველად გააფუჭებენ სრულებით საქმეს. თუ წრის რომელიმე მუდმივი მომუშავე პირს დახმარება ესაჭიროება, შეიძლება გაიმართოს მისი ბენეფისი. დიახ, წრის მმართველებმა უნდა შეიგრძნონ, რომ ხვეწნა-

ვედრება ბილეთები აიღეთ და მათი ძალით მიება ვერაფერი ხელოვნების სამსახურია. ამ ნაირი ქცევით აქაურ თეატრს საძირკველს ვერ ჩაუყრიან.

17 დეკემბერს ადგილობრივმა წრემ დადგა პიესა „ქართველი დედა“ ა. ცაგარელისა. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა. ყველას ეტყობოდა რიგიანი მომზადება. ხალხი ბლომად დაეწრო, და ნასიამოვნებიც დარჩა.

ი. ასკანელი

გაზ. „თემი“, 1913 წ. 7 იანვარი, ორშაბათი, №105, გვ. 4.

გაზეთი „იმერეთი“

სოხუმი

შესდგა წრე, რომელიც მოკლე ხანში, სოხუმში გამოსცემს ქართულ ყოველდღიურ გაზეთს. გაზეთი უპარტიო იქნება, და მიზნად ექნება დაიცვას ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები, ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს წრეს თ-მა ნ. ყ. თავდგირიძემ და სხვა მოწინავე ქართველობამ. რედაქტორათ მოწვეულია ახალგაზრდა მწერალი ლადო გეგეჭკორი.

ს. გ

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 10 იანვარი, ხუთშაბათი, №8, გვ. 2.

სოხუმელ ქალებს ქალთა წრის დაარსება განუზრახავთ. ამათ ქუთაისის ქალთა წრისათვის შემოუთვლიათ საზოგადოების წესდება გამოგვიგზავნეთო.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 18 I, პარასკევი, №14, გვ. 2.

სინოდი თანახმაა, რომ სოხუმის ეპარქია საქ-ლოს საეკზარხოსოდან დამოუკიდებელ ეპარქიათ გახდეს.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 23 I, ოთხშაბათი, №18, გვ. 2.

გუდაუთა

გუდაუთაში... 700 კომლზე მეტია და ამ რიცხვში ძვირათ ნახავთ ისეთ პირს, რომელსაც საზ-ბა ნდობის თვალით უცქერდეს. გამეფებულია პირფერობა, პირში სიტყვით ლაქუცი და პირს რომ აარიდებს, გინებას გოდრით გასდგამს. საზოგადო საქმისათვის კი თავდადებულნი არიან ყავა-ხანებში დილიდან საღამომდე; რომელიმე მოწინავე ქართველის ნახვა თუ გესაჭიროება უნდა გასწიო ყავა-ხანაში და იქ უეჭველათ იპოვი. იქ ნახავთ კერძო ვექილსაც, რომელიც სასამართლოში სტატიებს მძივივით ააწყობს და რაკრაკებს, ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გუდ. განყ-ბის კრებას ერთჯერაც არ დასწრებია და ამ საზ-ბის სასარგებლოთ კრინტიც არ დაუძრავს...

მთელი აფხაზეთი საშინელ მდგომარეობაშია. კვირა არ გაივლის ისე, რომ რაიმე ავკაცობა არ მოხდეს... მიმოსვლა შეუძლებელია (იხ.: ძარცვის მაგალითები რედ.).

გუდაუთი უნუგეშო მდგომარეობაშია ბევრ-ნაირათ. გწყურია და წყალს ვერ

პოულობ; მილებია გამოყვანილი, მაგრამ მოახლოვდება ზაფხული და გუდაუთელებს ხახა-მშრალია დაერქმევათ. წყალისთვის გუდაუთამ გაიღო 23 000 მანეთი, მაგრამ ამ ფულით გამოყვანილი წყალი შულიშევის აბანოს არ ყოფნის.

იყო მაგალითი, რომ მეპურემ პური გუდაუთის დამდგარი წყლით მოზილა, სადაც დამხრჩვალი კატები და ძაღლები ყრია ხშირად...

...ქართველ საზ-ბას არა ჰყავს დეპუტატი, და ამიტომაც ასე უმწეო მდგომარეობაშია ის უბანი, საცა ისინი ცხოვრობენ.

ბეჟანთომიძე

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 9 მაისი, ხუთშაბათი, №51, გვ. 4.

სოხუმი

31 მაისს სოხუმის ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნული იყო თვითმმართველობის ერთ-ერთი წევრის არჩევა. დარბაზში შეიკრიბა ყველა ხმოსანი და ბევრი გარეშეც. კანდიდატებათ დაასახელეს: ს. შ. გიგინეიშვილი, ვ. ფ. პრეობროჟენსკი და ა. დ. მაჭავარიანი, რომელიც ახლა ქალაქის თავის მოადგილეა, და რომელსაც 20 ივნისს უთავდება სამსახურის ვადა. ბ. გიგინეიშვილმა ყუთის დადგმაზე უარი თქვა, უკანასკნელებმა ყუთები დაიდგეს. ბ. მაჭავარიანმა მიიღო 11 თეთრი და 28 შავი, ბ. პრეობროჟენსკიმ 17 თეთრი და 22 შავი, ამნაირათ ორივე კანდიდატი გააშავეს. არჩევანი გადაიდო 10 ივნისისათვის.

ახლა ერთადერთი კანდიდატი ხმოსანი ს. გიგინეიშვილია. ბ. გიგინეიშვილმა 1906 წელს დაასრულა სტავროპოლის სასულიერო სემინარია. იგი ჯერ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე ადამიანია. მუშაობს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში. დიდი ხანია არ არის რაც ჩაერია საზ-ბრივ საქმეში, მაგრამ უკვე მოიპოვა ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

ყოველივე ეს საბუთია იმისი, რომ თუ ბ. გიგინეიშვილი აირჩიეს წევრათ, იგი პირნათლათ და ერთგულათ გაუძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

იტი

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 11 ივნისი, სამშაბათი, №76, გვ. 4.

კნეინა დესპინე შერვაშიძეს ასული გელოვანისას გარდაცვალების გამო: სოხუმიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღეთ (პირი დეპეშისა თავ. გელოვანი):

„ღრმა სევდა მოგვგვარა დაუვიწყარი დესპინეს დაკარგვამ. გვირგვინის ნაცვლათ გადავწყვიტეთ – სოხუმის ქალთა გიმნაზიის უღარიბესი მოწაფე გავათავისუფლოთ სწავლის ფულიდან.

ქალაქ სოხუმის ქართველი ქალები.

„უზომოთ შეგვაწუხა ძვირფასი საზოგადო მოღვაწის დესპინეს სიკვდილმა. ყოველ კეთილ საქმეს ხელს უმართავდა, დახმარებას უწევდა განსვენებული, რომლის წმინდა სახე მუდამ მოსაგონებელი და დაუვიწყარი დარჩება სოხუმის ქართული საზ-ბის ყოველი წევრისაგან.

საზ. თავჯდ. კნ. მარიამ ანჯაფარიძისა.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 13 ივნისი, ხუთშაბათი, №78, გვ. 2.

სწავლა-განათლების მინისტრმა ბრძანება გასცა, კერძო გიმნაზიათა დირექტორებათ მართლმადიდებელნი ინიშნებოდენო.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 16 ივნისი, კვირა, №81, გვ. 2.

გუდაუთი – 15 ივნისი

...გუდაუთში არსებობს საზოგადო სასწორი, საზოგადო ვამბობ იმიტომ, რომ ყოველი პატიოსანი კაცი, რომელიც სინიდისქვეშ განსაჯავს ზემოხსებულ სასწორს საზ-ბას აკუთვნებს. მაშასადამე ამ სასწორით შემოსული თანხაც საზ-ბას უნდა ეკუთვნოდეს და არა ერთს ვისმეს, რომელსაც თუ არა წაუხდენია, არც რამე გაუკეთებია საზ-თვის.

31/2 წლის წინ ერთმა ვაჟბატონმა ჩაიგდო ხელში რაღაც მანქანები ძალით გუდაუთის სასწორი. ამ სასწორის საშუალებით მიწებებულა ხალხის ჯიბესთან და ცინცლის და ცინცლის ოფლითა და სისხლით დასოვებულ კაპიკებს. ამ სასწორის დღევანდელი უფალი იღებს ფუთზე კაპიკს, ყოველგვარ საქონელზე, რაც კი გუდაუთიდან სხვა მხარეში გააქვთ.

ჩამოსდევს საწყალი აფხაზი ურემს ფეხშიშველი, დიდი გზიდან რაღაც ჩამოუტანია, რუსეთს გზავნის ან სამურზაყანოს ღვინოა თუ არაყი, აქ შეხვდება მებაჟე, სასწორის ფული მიბოძე! რა ქნას კანონი სასწორის მეფის ხელშია. ასევე ემართება ყველას. ხარკი ყველას აწევს კისერზე. სასურველია სასწორის ანგარიში ხსენებულმა ვაჟბატონმა ჩააბაროს საზ-ბას დღიდან სასწორის ჩაბარებისა და აწინდელი ბედი სასწორისა კი საზ-ბის ხელში ჩააგდოს, სადაც ნაკლები ჩხუბისა და ნაკლები ლანძღვა გინების მოწმე გახდება ეს წვალებული სასწორი...

ჯ. ღონდოძე

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 21 ივნისი, პარასკევი, №85, გვ. 3-4.

სოხუმიდან ეროვნული საბჭოს წევრი გიზო ანჯაფარიძე ატყობინებს ს. დემ. ფრაქციის თავჯმდ. ი. წერეთელს. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია. რამოდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და არც იციან სად უნდა მიიღონ. მოახდინონ განკარგულება მათ ჯამაგირი მიეცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფოსტა-ტელეგრაფის მოძრაობა შეწყდება. ჩვენ მივიღეთ ცირკულიარი ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც უნდა გავიდნენ სამსახურიდან, თითქმის ყველა მოსამსახურენი, ვინაიდან სოხუმისა და ახლო-მახო სოფლების უმრავლესობამ ქართული სრულებით არ იციან – სოხუმის ოლქი დროებით გამონაკლის უნდა შეადგენდეს. ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა აფხაზთა სახალხო საბჭომ.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 3 აგვისტო, შაბათი, №163, გვ. 2.

გუდაუთის (აფხაზეთი)

საზოგადოება თხოვნით მომართავს საზოგადოებას ხელი შეუწყონ იქ ახლად დაარსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს, რომელიც ღარიბია წიგნებითა და გაზეთებითაც.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 3 ივლისი, ოთხშაბათი, №93, გვ. 2.

მოწერილი ამბავი, ოჩემჩირე

კვირას, 30 ივნისს ადგილობრივი კლუბის დარბაზში თეოფ. ხუსკივაძემ წაიკითხა ლექცია: „ქელეშშეი შარვაშიძე და აფხაზეთის რუსეთთან შეერთება“. ლექციას საზოგადოება ბლომათ დაესწრო. შემოსავალი დანიშნული იყო ადგილობრივ წერა-კითხვის საზ. განყოფილების სამკითხველოს სასარგებლოდ. ლექციის დასაწყისში ბ. ხუსკივაძემ საზოგადოებას აუხსნა თავის ქვეყნის ისტორიის ცოდნის საჭიროება: უამბო მოკლეთ და გარკვევით აფხაზეთის მოკლე ისტორია მეხუთე საუკუნიდან ვიდრე 1810 წ; რუსეთთან შეერთებამდე. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და ხელმეორეთ გამეორება სთხოვეს.

ამგვარი საღამოებით და მასთან მისვე თაოსნობით გახსნილ სამკითხველოს დაარსებით ბ. რუსიძე დიდ სარგებლობას მოუტანს აქაურ მიძინებულ ერთფეროვან ცხოვრებას.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 6 ივლისი, შაბათი, №96, გვ. 2.

მოწერილი ამბავი

გუდაუთა (აფხაზეთი) ივნისის შუა რიცხვებში დ. გუდაუთში ხელჩართული ჩხუბის დროს დასჭრეს ვინმე გუნია. გუნიამაც არ დასტოვა თავის მოწინააღმდეგე უჭრილობოთ. გუნიას და მჭრელ აფხაზი იყო. ის დაიჭირეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. გათავისუფლებულმა აფხაზმა შეკრიბა 50-ამდი აფხაზი და გუნიას მიუხტნენ, როცა პოლიციელის თანხლებით ეტლში იყო. კეტებით შეიარაღებულმა აფხაზებმა მოსთხოვეს პოლიციელს გუნია. პოლიციელმა უარი უთხრა და ხმალი ამოიღო. საქმეში ჩაერია ფერშალი არდიშვილი და ამისმა გონიერმა სიტყვამ ყველა დააშოშმინა. ამ დროს მოვიდენ პოლიციელებიც და აფხაზები გარეკეს. საქმე გამოძიებაშია, 17 ივნისს აქ. ლ. ძიძისური მოკლეს. მკვლელები შეიპყრეს.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 7 ივლისი, კვირა, №97, გვ. 2.

– სოხუმის სამეურნეო საზოგადოებას მიწათმოქმედოების სამინისტროსგან საცდელი საფრინველეს მოწყობათ 300 მანეთი მისცა.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 9 ივლისი, სამშაბათი, №98, გვ. 3-4.

აფხაზეთი, ოჩამჩირე

გასული ივნისის პირველ რიცხვებში უმთავრესათ ბ. თ. ხუსკივაძის თაოსნობით აქ გაიხსნა სამკითხველო. უნდა ავღნიშნოთ, რომ ბ. ხუსკივაძის აქ დაბინავებას შემდეგ აქაურ საზოგადოებას გამოფხიზლება ემჩნევა. ბ. ნოტარიუს ხუსკივაძეს ბევრი კეთილი განზრახვა აქვს ფიქრათ, მასთან ერთად სხვანიც სულითა და გულით ცდილობენ ჩვენი დღემდი მიყრუებული ოჩამჩირე წინსვლის გზაზე დააყენონ სხვადასხვა კულტურული დაწესებულების დაარსებით. ვუსურვოთ ყველას გამარჯვება. სამკითხველომ 9 ივნისიდან იწყო არსებობა, ამ დღეს აკურთხეს იგი და კურთხევის დღეს ადგილობრივმა მოძღვარმა მარღანიამ რუსულათ აუხსნა ხალხს სამკითხველოს მნიშვნელობა. აქვე მოგვყავს თ. ხუსკივაძის მიერ ამ დღეს ნათქვამი სიტყვაც ქართულ ენაზე.

„ბატონებო! როდესაც ვხედავთ საზოგადოებას და ვიცი, რომ იგი ერთ საქმეს შეუკავშირებია, საერთო საქმისთვის გული უსძგერთ უმაღლეს სიხარულს ჰგრძნობ და მამულის იმედები იდუმლად ყურში ჩამძახიან: არა, არ მომკვდარვართ მხოლოთ გვძინავსო... ახლაც სწორეთ ამასა ვგრძნობ.

ერთ წამს რომ თვალი გადავავლოთ ყოველ თქვენგანს, შევამჩნევთ, რომ რაღაც გახარებული, გაბრწყინებული პირის სახე გაქვთ. ყველას რაღაც აღტაცებულ სიხარულს და სიამოვნების სხივი გაცისკროვნებს; მერე რა არის თქვენი ამგვარი სიხარულის მიზეზი? რას მოუყვანიხართ აქ? რას შეუკრებიხართ ერთად ამოდენა საზოგადოება? ნუთუ ამის მიზეზი ეს პატარა, თეთრათ შეფეთქილი ოთახია, და შიგ გამართული გრძელი სუფრა, ლურჯი მაუდით გადაფარებული და რამდენიმე ცალი ჟურნალ-გაზეთებია?.. ნუთუ ამისთვის თავი მოიყარა დღეს ამდენმა საზოგადოებამ?..

დიახ! თქვენი დღევანდელი სიხარულის და სიამოვნების მიზეზი სწორეთ ეს უბრალო, პატარა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი სამკითხველოს ოთახია. და სამკითხველოც ის პატარა სინათლის შუქია, რომლის სინათლეც, ვეება ოთახშიც შეტანის დროს, ბნელით მოცულ არემარეს, სწრაფ გაანათებს და ბნელის მოყვარულ ჭიაჭუებს ააწრიალებს, მიფანტ-მოფანტავს. სამკითხველოს – ეს გონებითი სალაროა, სადაც ყოველთვის მოიპოვებთ გონებითი საზრდოს, გონიერ საკვებს.

ეს განვითარება კი გაგიადვილებთ ცხოვრებასთან ბრძოლას, მოგცემთ საშუალებას უფრო ფართოდ, უფრო შეგნებულად იბრძოლოთ. იგი მუდამ თქვენი მეგობარი იქნება. მისი მეგობრობა მუდამ ხელს მოგცემთ, სასარგებლო იქნება თქვენთვის. მაშ, იარეთ ხშირად ამ პატარა ოთახში. გული ნუ გაგიტყდებათ იმით, რომ ჯერ ეს ოთახი უბრალოთ მორთულია. მისი გაზრდა თქვენზეა დამოკიდებული. რამდენათ აქ გაახშირებთ სიარულს, შეიყვარებთ მას, იმდენათ დღითი დღე გაიზრდება და განვითარდება სამკითხველო საქმეც. დღეს თუ აქ ამ მივარდნილ ადგილას ხედავთ მას, ხვალ თქვენის შემწეობით, ქალაქის ბაღის გვერდით დაინახავთ სამკითხველოს საკუთარ შენობას.

ბ-ბო, მოგილოცავთ განვითარების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმას, გაუმარჯოს თქვენს ახალ საქმეს. გისურვებთ ამ სამკითხველოს მალე გვერდი დაუმშვენოს ქართულმა შკოლამ, თეატრმა, წიგნის მაღაზიამ და ყველა ამას წარმატებისკენ წაეყვანოს თქვენი საქმე“...

მოქართულე აფხაზი

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 9 ივლისი, სამშაბათი, №98, გვ. 3-4.

სოხუმში მოვიდნენ მსხვილი მოიჯარადეები და შავი ზღვის ნაპირას გასაყვანი რკინის გზის ადგილები დაათვალიერეს. ამ დღეებში მოხდება საიჯარო ვაჭრობა სამუშაოების იჯრით გაცემის შესახებ. ხმებია მუშაობას 12 აგვისტოდან დაიწყებენო.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 14 ივლისი, კვირა, №103, გვ. 2.

სოხუმსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში 14-დან 16 ივლისამდი საშინელი წვიმები ყოფილა. გაფუჭებულა ბოსტნეულობა, ბაღები, თუთუნის პლანტაციები და სხვა. ზარალი დიდი ყოფილა. ტყეში მეხისგან ცეცხლი გაჩენილა, მაგრამ წვიმებს

ჩაუქრია. მთის სოფლებთან დამოკიდებულება დროებით შეწყვეტილია.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 21 ივლისი, კვირა, №106, გვ. 2.

სოხუმში ცეცხლს უმსხვერპლია თითქმის მთელი ბაზარი. ზარალი 300 ათას მანეთამდეაო.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 20 აგვისტო, სამშაბათი, №127, გვ. 2.

რუსის ცნობილი მომღერალი თ. შალიაპინი სოჩაში (აფხაზეთი) ს. ენესანასის გემოზე სასახლეს იშენებს, სადაც მოხუცობისას იცხოვრებსო.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 22 აგვისტო, ხუთშაბათი, №129, გვ. 2.

მსახიობი ვ. არაბიძე სოხუმში მიიწვიეს რეჟისორად და მსახიობად.

გაზ. „იმერეთი“, 1913 წ. 4 სექტემბერი, ოთხშაბათი, №135, გვ. 2.

გაზეთი „მერცხალი“

სოხუმიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ ვლ. მესხიშვილის საიუბილეო წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დასწრებია, მესხიშვილისათვის მიურთმევიათ ფულათ 800 მან-მდი და ამდენივე საჩუქარი.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 2 მარტი, შაბათი, №49, გვ. 1.

...იყვნენ სამურზაყანოდან გამოგზავნილი წარმომადგენლებიც, რომელთაც სთხოვეს შუამდგომლობა (დეპუტატი) სკოლის გახსნის, ქართული ენის სწავლების შესახებ და სხ. მოვიდნენ აგრეთვე ოჩამჩირედგან. ამ დაბებს სურთ თვითმართველობის შემოღება, რაზედაც დეპუტატმა შესაბამისი ზომების მიღება აღუთქვა. ყველა დეპუტაციები ჩხენკელს სთხოვდნენ თავიანთი კუთხეების ჩამოსვლას...

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 10 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №58, გვ. 2.

დეპუტატის მოგზაურობა

სოხუმი

დეპუტატი ჩხენკელი სოხუმში ავადმყოფი ჩამოვიდა...

დეპუტატს ნახულობენ სოფ. ბაგავეშტას გლეხების წარმომადგენლები და თავიანთ მიწისა და გადასახადების პრობლემას ამცნობენ და დახმარებას სთხოვენ.

...კვირას 6 ოქტომეტერს დეპუტატი ინახულა იმავე საზოგადოების სოფ. ბაბუშერის გლეხების წარმომადგენლებმა. მათ უამბეს ჩხენკელს, რომ ისინი 40 წელიწადი იქნება, რაც თავად გიორგი შერვაშიძის ადგილში ცხოვრობენ და განიცდიან დიდ შევიწროებას მოურავებისაგან. სკოლის შენობის დასადგამ ადგილშიაც ფულს ახდევინებენ რის გამო სკოლის შენობის აგება შეფერხდა.

ამას წინათ თურმე უმცროსმა მოურავმა გრიგოლიამ, მობოჭა გლეხებში კომლზე სამ-სამი მანეთი ცემენტის ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ დღემდე არ გაუკეთებიაო.

იჯარის კანტრაქტის ხელშია და გლეხებს პირა არა აქვთ. ასე რომ ჩვენ კანტრაქტის შინაარსი ზეპირად უნდა დავიხსომოთ ამბობდნენ გლეხები. უამბესრა ყოველივე ეს ბაბუშერის წარმომადგენლებმა, სთხოვეს დეპუტატს, თუ მოხერხდება ხსენებული ადგილების მათ კუთვნილებასი გადასვლას შეუწყოს ხელი. დეპუტატმა აუხსნა, რომ მას ასეთი პირობის მიცემა არ შეუძლია, რადგანაც დღევანდელი კანონები არ გადასჭრიან ამ კითხვას გლეხების სასარგებლოთ. ის მხოლოდ ინახულებს პეტერბურგში თავად გიორგი შერვაშიძეს, გადასცემს ყოველივე მათ გაჭირვებას და სთხოვს რომ ყურადღებით მოეკიდოს ის გლეხების მოთხოვნილებას.

ბაბუშერაში 400-მდე კომლი ცხოვრობს, ის 20 ვერსით არის დაშორებული ქალაქ სოხუმზე. მცხოვრებთა უმრავლესობა მეგრელებია.

დეპუტატი ინახულებს აგრეთვე სოხუმის ოლქის მასწავლებელთა წარმომადგენლებმა, ისინი ამბობენ, რომ მათ სდევნიან, უკრძალავენ ქართულის სწავლებას და სხვა. სახალხო სწავლების ინსპექტორმა პროგრამის დებულებას და მოითხოვს მუნჯური მეთოდის შემოღებას. დეპუტატმა სთხოვა მასწავლებლებს ხსენებული ცირკულიარის პირი და აღუთქვა, რომ ყოველივე ამ უკანონობის და შევიწროოების წინააღმდეგ გაილაშქრებს და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ყველაფერს გამოაქვეყნებს. სამურზაყანოდან ჩამოსულმა მღვდელმა შესჩივლეს დეპუტატ ჩხენკელს, რომ მეგრელ მღვდლებს სდევნიან.

გალში არის სასულიერო-სამასწავლებლო ორ კლასიანი სკოლა, რომლის კურსდამთავრებულნი ინიშნებიან ამ მღვდლებად ან მასწავლებლად; მაგრამ ქართულს ამ სკოლაში არ ასწავლიან და ამნაირად სამურზაყანოსათვის ხსენებულ სკოლიდან გამოდიან ქართულის არ მცოდნე მღვდლები და მასწავლებლები, მაშინ როდესაც სამურზაყანოში მეგრელები ცხოვრობენ და სწავლა-განათლებას ითხოვენ ქართულ ენაზე. დეპუტატმა ურჩია მღვდლებს, რომ მათ შეკრიბონ ყოველივე ცნობები ეკლესიაში და სკოლებში ენის სდევნის შესახებ და გაუგზავნონ მას დუმაში რათა სინოდის სმეტის განხილვის დროს გამომჟღავნებულ იქნეს ყველაფერი.

ელი

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 17 მარტი, ხუთშაბათი, №64, გვ. 2.

სამურზაყანო

დიდი ხანია რაც სამურზაყანო განაცალკევეს სამეგრელოდან და მიაკუთვნეს აფხაზეთს. ამის გამო სამურზაყანოს მცხოვრებნი ხელოვნურად დააშორეს ქართველებს და ხელი შეუწყვეს ამ კუთხის გონებრივად ჩამორჩენას. მიუხედავად იმისა, რომ სამურზაყანო მიწისმფლობელობით და სხვა საარსებო საშუალებებით, შედარებით სამეგრელოსთან გაცილებით უფრო კარგ პირობებში იყო ჩაყენებული, აქამდე იგი მაინც ჩამორჩენილია სწავლა-განათლებით სამეგრელოზე, ამის მიზეზი თავისთავად ცხადია: ერთი მუჭა ხალხი, რომელიც სამურზაყანოს შეადგენს, უნებურათ ჩამოაშორეს მის დიდ ნაწილს სამეგრელოს და ამით შეაფერხეს სამურზაყანოელების წინსვლა. სამურზაყანოს მცხოვრებნი სულით და გულით მოუსვენარნი პირნი არიან, რომ ახლო კავშირი ჰქონდეთ მათ მოძმე-მეგრელებთან. მაგრამ მათი სურვილი ჯერ-ჯერობით რჩება მხოლოდ სურვილად. უმთავრესი მიზეზი სამურზაყანოელების სწავლა-განათლებაში ჩამორჩენისა არის არა ნორმალური მდგომარეობა სწავლა-გა-

ნათლების საქმეში, მიუხედავად იმისა რომ აქ თითქმის ყველა სოფლებში არსებობს სამრევლო ანუ სამინისტრო სკოლა (ზოგად ორივეც) და სწავლა-განათლების საქმეზე სამურზაყანოში იხარჯება გვარიანი თანხა, როგორც ვსთქვით ეს ქვეყანა მაინც ჩამორჩენილია სწავლა-განათლებით. სკოლები ვერ აღწევენ თავის დანიშნულებას, რადგან იქ გამეფებულია უცხო ენა, რაიცა სპობს და აქარწყლებს განათლების მისწრაფებას მოზარდ თაობაში. სამურზაყანოელები, როგორც მეგრელები, უძველეს დროიდან სცნობენ თავის მშობლიურ ენათ ქართულს, ისინი ქრისტიანობის მიღების დროიდან იძენენ წირვა-ლოცვას ამ ენაზე და დღეს კი ამ ენას ართმევენ.

სამურზაყანოს ეკუთვნის ადგილები მდებარე მდ-ენგურსა და ღალი ძგა შუა. სამურზაყანო შედგება 63 სოფლისაგან. აქ არიან შესანიშნავი სოფლები: ბედია (ძვ. ეგრისი) ოქუმი, გალი, ილორი, მოქვი და დაბა ოჩამჩირე. ბედიაში არის ძველი ქართული მონასტერი, რომელსაც განახლებას უპირებს მღვდელი-მონაზონი იოსებ შელია; უკვე დაწყებულია მუშაობა. ოქუმი არის მოზრდილი სოფელი სამურზაყანოში. ილორსა და მოქვში არის ძველი ქართული ტაძარი, რომელიც გადააკეთეს რუსულ დედათა-მონასტრად. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ძველი ილორის წმ. გიორგის ტაძარი, აშენებული იმერეთის მეფისგან ბაგრატ III, აქვე არის მრავალი ძველი ქართულ წარწერებიანი ნივთები. სოფ. გალი ამჟამად წარმოადგენს მთელი სამურზაყანოს ცენტრს. ამ სოფელში არის სამრევლო ორ კლასიანი სკოლა, სავაადმყოფო, აფთიაქი და სხ. დაბა ოჩამჩირე არის მახლობელი ნავსადგური, საიდანაც გააქვთ ხე და სიმინდი. მცხოვრებნი და მოვაჭრენი არის სამურზაყანოელი მეგრელები და აგრეთვე ლაზებიც. თითქმის მთელ სამურზაყანოს სკოლებიდან განდევნილია ქართულის სწავლება. ყ-დ უსამღვდელოეს ეპისკოპოს კირიონმა თავის აქ ყოფნის დროს (1906) ითხოვა სინოდისაგან და დაბრუნება არამც თუ სამურზაყანოს შკოლებს, არამედ მთელი აფხაზეთისასაც ქართული ენის სწავლების უფლება, მაგრამ როცა გადაიყვანეს ეპისკოპოსი კირიონი მისმა მოადგილემ, ეპისკოპოს დიმიტრიმ ბრძანება გასცა: გაუქმებინათ ქართული ენის სწავლება მთელ სამურზაყანო-აფხაზეთში. აფხაზეთში კი ქართულის მაგიერ ნება დართო ესწავლათ აფხაზური ენა. ხოლო სამურზაყანოს მცხოვრებთ აფხაზური ენისა სრულებით არაფერი გაეგებათ. ჩვენ არა ერთისა და ორის მაგალითის მოყვანა შეგვეძლო აქ განსაკუთრებით ეპისკოპოს დიმიტრის „მოღვაწეობის“ შესახებ, რომელმაც დიდი ვნება მოუტანა სამურზაყანოელების სწავლა-განათლების საქმეს, მაგრამ განა ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც დღესაც ადასტურებენ მისგან ნაანდერძევს? თუ საქმე არ წავიდა აფხაზეთის ხალხს მალე მოელის გადაგვარება; მხოლოდ ამ უბედურებას საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს სამურზაყანოს ინტელიგენციამ და განსაკუთრებით მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ საამისოთ, თორემ მარტო ჯიბისა და კუჭისათვის ვერაფერი თავდება სასურველ მომავლის მოსაახლოვლებლათ...

სოხუმი

კვირას 6 ოქტომებერს შესდგა ნოქრების კრება, კრებას დაესრო 60-მდე ნოქარი.

ხოჯანა

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 16 ოქტომბერი, შაბათი, №66, გვ. 4.

სოხუმი

19 ოქტომბერს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა მსახიობის ვასო არაბიძის რეჟისორობით ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზ-ბის სასარგებლოთ წარმოადგინეს ერისთავის ისტორიული პიესა „სამშობლო“ წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა, ხალხი ბლომათ დაესწრო – შემოვიდა 450 მანეთამდე.

სოხუმის თვითმართველობა შეუდგა მოიჯარადე ი. ბურჭულაძისაგან აფთიაქის ჩაბარებას.

სოჩაში აგარაკში ანდრია ივანოვი დაიწვა.

შაბათს ორ ნოემბერს სახალხო წარმოდგენების მმართველი ადგილობრივი დრამატიული წრე გამართავს ილიას საღამოს.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №76, გვ. 2.

სოფ. გალი (სამურზაყანოს საბოქაულო. სოხუმის ოლქი).

ვაჭრობის გაცხოველება. პირველი გალი ოჩამჩირის შემდეგ (ვაჭრობაში).

60-მდე ვაჭარს შორის თუ გამოერევა მხოლოდ სამი-ოთხი უცხო ტომისა, თორემ სხვები ყველა ქართველებია – ადგილობრივი მეგრელები თუ ჩამოსულნი არიან. გზები, რომელიც ხელს უწყობს აღებ-მიცემობის განვითარებას ცოტა ხნის უკან პირველყოფილ ბილიკს წარმოადგენდა, ხოლო ამ ბოლო ხანებში შეაკეთეს. მაგრამ სამწუხაროთ აქ გონებრივათ დიდად ჩამორჩენილნი არიან. ვერც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს ვერ ნახავთ აქ. საქართველოს ყოველ კუთხეში ეშურებიან წინ სინათლისაკენ, აარსებენ სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, აქ კი სიბნელეა.

ხოჯანა

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №76, გვ. 3.

სოხუმი

სოხუმის ექიმების ერთმა ნაწილმა ამასწინათ ექიმ მახვილაძის თაოსნობით განიზრახა ქ. სოხუმში ექიმთა საზოგადოების დაარსება, შეიმუშავა შესაფერი წესდება და გაუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლად. წესდება უკვე დაუმტკიცებია გუბერნატორს.

27 ოქტომბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა წლიური კრება. კრებამ განიხილა და დაამტკიცა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება. აირჩია გამგეობის ხუთი ახალი წევრი. ვადაგასულების ადგილზე. ამავე კრებაზე გადაწყდა სახალხო წარმოდგენების მმართველი ქართული დრამატული წრის მიღება სახალხო უნივერსიტეტის მფარველობაში.

კრებამ დაადგინა სახალხო უნივერსიტეტთან გახსნან საკუთარი სამკითხველო ბიბლიოთეკა.

გაზ. „მერცხალი “, 1913 წ. 10 ნოემბერი, კვირა, №85, გვ. 2.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“

აბჟუა (კოდორის ნაწილი). 9 ნოემბრის კანონი, რომელმაც საზოგადო მიწათ-მფლობელობა დაარღვია რუსეთში, ჩვენც, აფხაზთაც, შეგვეხო. აქაც დაირღვა „ობ-შჩინა“, თვითოეულს ეძლევა თავისი ნაჭერი საკუთრებად. გუდაუთის ნაწილში თითქ-მის უკვე გათავებულია დამიჯვნა, ხოლო აბჟუაში ეხლა გაცხარებული მუშაობა, უკვე ცნობაში მოყვანილია თუ თვითოეულს „ობშჩინნიკს“ რამდენიმე დღიური მიწა აქვს მისაკუთრებული. თან უნდა აღინიშნოს, რომ იმ „ობშჩინაში“, სადაც ნამყოფი მიწა თვითოეულს მონაწილეს მესაკუთრების, რაც მას დღეს უჭირავს, თუნდაც ნორმაზე-დაც მეტი იყოს. არიან ისეთი გლეხები, რომელთაც მიეზომათ 20-25 დესეტინა მიწა, რადგანაც დამუშავებული ჰქონდათ. ნორმა კი ასეთია: იმ ოჯახს, სადაც მარტო ერთი ადამიანია, ეძლევა 3 დესეტინა, – ორ-სამიანს – 5 დესეტინა, 4-5 ექვსი დესეტინა, უმაღლესი ნორმაა 7 დესეტინა. თან აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: მეფის მოად-გილის რჩევის დადგენილების თანახმად აგრეთვე მესაკუთრეებად ცნობილ იქმნენ ყველა ის გარეშე პირნი, რომელნიც 1906 წლის პირველი იანვრამდის დასახლებულან ამა თუ იმ საზოგადოებაში, მხოლოდ ის ნაჭერი ესაკუთრება, რომელიც დღეს უჭი-რავს მათ. თუ ცოტაა, დამატების უფლება არა აქვთ. არც საზოგადო ტყე-საძოვრით, ამ რიგად კიდევ ორიოდე წელიწადი, და „ობშჩინის“ ხსენებაც არ იქნება აფხაზეთში. ეს კი იმის ნიშანია, რომ აქამდის ეთნოგრაფიულად წმინდად შენახული ნაწილები აფხაზეთისა ათიოდე წლის განმავლობაში ჭრელდება...

უკანასკნელ წლებში აფხაზეთში საზოგადოდ და კერძოთ აბჟუაში დიდი ყუ-რადღება აქვს მიქცეული სასოფლო სკოლებს. ეხლა არსად არ შეხვდებით ისეთ საზოგადოებას, სადაც ორკლასიანი თუ არა, ერთ კლასიანი სკოლა არ არსებობ-დეს. ზოგ საზოგადოებაში კი, მაგალითად აძვიბჟაში ორ-ორ კლასიანია. სასიხარუ-ლო სიმპტომებია გამოფხიზლებისა. ეხლა აფხაზთ 25 ამ თვეს სახეში კრება აქვთ გამართული, სადაც უნდა გადაწყდეს – საისტორიო შუშანასის ბედ-იღბალი. აფხაზნი ქ. სოხუმთან შეთანხმებით ცდილობენ სემინარია დაიარსონ. ვნახოთ, რით დაბო-ლოვდება ეს საქმე.

მგონი რკინის გზასაც მალე მოვესწროთ. ფიცხელი წინასწარი მუშაობაა გაჩაღე-ბული. დღე-დღეზე ინჟინერ-ტეხნიკები სოკოსავით მრავლდება.

ჰამუდ-ბეი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 27 აგვისტო, სამშაბათი, №978, გვ. 4.

სოხუმი

სოხუმის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, აღარ მისცენ გაზეთ „სუხუმსკი ვესტ-ნიკს“ ცნობები, რადგან ეს უკანასკნელი ბოროტად სარგებლობს და ყველაფერს დამ-ახინჯებულად ჰბეჭდავსო.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 1 სექტემბერი, კვირა, №982, გვ. 2.

სოხუმი

დეპუტატი ა. ჩხენკელი ამჟამად სოხუმშია. დეპუტატი „იშიას“-ით (საჯდომი ნერვის ანთება) გამხდარა ავად.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 17 სექტემბერი, ხუთშაბათი, №1019, გვ. 2.

სოხუმი

გაგრის კლიმატიურ სადგურიდან სოხუმში მიიღეს, სოხუმის მახლობლად მდებარე გოგირდის წყლის შემადგენლობის შემოწმება. სადგურის აზრით ეს მადნეული წყალი პიატიგორსკისას არ ჩამოუვარდება, პირიქით უკეთესიც ყოფილა, რადგანაც რკინა ურევია, თურმე, რასაც მოკლებულია ჩრდილო კავკასიის მადნეულის წყლები.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 2 ნოემბერი, შაბათი, №1033 გვ. 3,

სოხუმი

ხუთშაბათს 7 ნოემბერს ავადმყოფი მგოსანი ირ. ევდოშვილი სოხუმში ჩამოიყვანეს და პანსიონში მოათავსეს. ჩინებული გავლენა იქონია მგოსანზე ზღვის ჰავამ და მიწყნარებულ ზღვაზე მოგზაურობამ. სოხუმის მადლიანი თბილი ზამთარი და ხელშემწყობი ჰავა, იმედია საუკეთესო მკურნალობას გაუწევს ავადმყოფ მგოსანს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 13 ნოემბერი, ოთხშაბათი, №1042, გვ. 2.

სოხუმი

12 იანვარს გაბუნიას მეუღლეს ნინოს 4 შვილი დაებადა ერთად. 2 დაიღუპა, 2 ცოცხალია.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. №1102, გვ. 2.

გაზეთი „სიმართლის ხმა“

დ. ოჩამჩირე

24 აპრილს „გვირილობა აქაც მოაწყვეს. მთელ დაბაში შეგროვდა 172 მან. იმავ დღეს, საღამოს, საზოგადო საკრებულოში ექიმმა ბ. მ. არჯევანიძემ რუსულ ენაზე ჭლექის შესახებ ლექცია წაიკითხა. ლექციის მოსმენა 10 შაური ღირდა, აფიშების მაგიერ, პოლიციის მიერ იყო განცხადება გაკრული. აი მოკლეთ აქაური ამბავი. მაგრამ თუ ნებას მომცემთ ეს ამბავი ცოტა გრძლათაც ითქმის და სხვებისათვის არა, ჩვენთვის, ოჩამჩირელებისათვის მაინც იქნება საყურადღებო. ოჩამჩირეში ეს პირველი ლექცია იყო თუ ლექცია დაეთქმის ისეთ დიდ მნიშვნელოვან საგნის შესახებ – 15 მინუტიან ბაასს, როგორც ჭლექია. სასურველი იყო ლექცია უფასო ყოფილიყო ან ძლიერ იაფფასიანი, წაკითხულიყო ქართულ ენაზე და ისიც დღისით, სანამ თეთრი ყვავილების გაყიდვა დაიწყებოდა. მაგრამ ეს ლექცია მოაწყო საზოგადო კლუბის წევრებმა და მათ ესეც რომ ქნეს, კიდევ ბარაქალა. არც ექიმია გასამტყუნარი, რომ ჭლექზე მეტი არ შეჩერდა და თავისი ლექცია 15 წამში დაასრულა, ამისათვის მას

ტაშიც კი დაუკრეს, რადგან მსმენელები კლუბის წევრები იყვნენ და თამაშობა (ბანქოს) და ცეკვა უფრო ეჩქარებოდათ, ვიდრე სამეცნიერო საგანზე საუბრის მოსმენა. ექიმმაც მათი სურვილი დააკმაყოფილა, ჭლექს ზერელეთ შეეხო და სტატისტიკური ცნობები მეტი მოიყვანა, ვიდრე ჭლექის გამომწვევი პირობები და მასთან ბრძოლის საშვალებანი.

კაცუნა

გაზ. „სიმართლის ხმა“, 1913 წ. 8 მაისი, ოთხშაბათი, №1, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

ჩვენც ვუცხადებთ გულის წყრომას და პროტესტს „სახალხო გაზეთსა“ და სხვების მესვეურთ ბინძური დემაგოგიისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან ილია ჭავჭავაძის მოკვლის გარშემო.

კ. ნ. გ-ვა. აკაკი ადანია, მიხაილ ალასანია, ვ. გაბელია, პავლე გეგენავა, მიხაკო მებუკე, რაფიელ ტუღუში, კოწია ჩიქვანი, პლატონ დეჯანოიძე, ლევან ალასანია.

გაზ. „სიმართლის ხმა“, 1913 წ. 7 სექტემბერი, შაბათი, №13, გვ. 3.

ოჩამჩირედან გვატყობინებენ: ორი კვირაა, რაც რუსეთის სანაოსნო საზოგადოების აგენტი პავლე ხაუსტიანი მიიმალა, კასაში აღმოაჩნდა მის მიერ გაფლანგული 6000 მანეთზე მეტი.

გაზ. „სიმართლის ხმა“, 1913 წ. 21 სექტემბერი, შაბათი, №24, გვ. 2.

გაზეთი „სიტყვა“

დ. გუდაუთი

აქაურ ქართველებში წინსვლისა და კულტურული აღორძინების ნაცვლად გამეფებულია ურთიერთ-შორის შური და მტრობა, შენ-ჩემობა და გაუტანლობა.

ოთხი თუ ხუთი წლის წინათ აქაურ ქართველებს გვქონდა სამკითხველო, სადაც მოგვდიოდა ჟურნალ-გაზეთები და მით გონებრივ საზრდოს ვიძენდით, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, წინსვლის ნაცვლად ბოლოს უკან დავიწყეთ სიარული. ამით ისარგებლეს უცხოელებმა და ჩვენი გამოწყობილი საქმე იმათ ჩაიგდეს ხელში. ჩვენ კი დავრჩით ხახა-მშრალი. ისინი ენერგიულათ ეკიდებოდნენ და დღესაც ეკიდებიან საქმეს. მართალი შემოგვითვალეს რომ რუსები და ქართველები შევერთდით და ისე ვიმოქმედოთ-დავაარსოთ ყოველგვარი კულტურული დაწესებილებები, მაგალითად, სამკითხველო, თეატრი, და სხვა და სხვა. მაგრამ ზოგიერთმა ვითომ და ინტელიგენტმა ეს არ მოისურვა, – ჩვენ რა გვაქვს საერთო რუსებთან, ქართველებმა საკუთრათ ვიმოქმედოთო, მაგრამ სიტყვა სიტყვით დარჩა. დღეს ჩვენარც სამკითხველო გვაქვს, არც თეატრი და არც სხვა რამე, მხოლოდ როგორც იქნა ბატონ დ. ნადარეიშვილს და ნ. გულივერდაშვილის თაოსნობით დავაარსეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გუდაუთის განყოფილების. მაგრამ როგორც ეტყობა ამასაც ის დღე მოელის რაც სამკითხველოს.

საქმეს ისეთი პირები უდგანან სათავეში რომ საზოგადო საქმეზე ზოგიერთ მათგანს სულ არ შესტკივათ გული, აქაც უმრავლესობა ვიწრო მოსაზრებით არის გამსჭვალული, აქაც პოლიტიკანობაა გამეფებული.

ამას წინათ აქ კრება ქონდათ ქართველი სცენის მოყვარეებს, უნდოდათ დაეარსებიათ სცენის მოყვარეთა წრე. მარა საუბედუროთ აქაც იჩინა თავი შენ ჩემობამ და საქმე ჩაიშალა.

კ. ბალავაძე

გაზ. „სიტყვა“, 1913 წელი. 6 დეკემბერი, პარასკევი, №5, გვ. 4.

გუდაუთში დიდთოვლობა (ტროპიკული მცენარეების დაზიანება. – რედ.) სოხუმში დიდ თოვლობაა.

გაზ. „სიტყვა“, 1913 წელი. 13 დეკემბერი, პარასკევი, №11, გვ. 3.

გაზეთი „ფიქრი“

გაგრა

ადგილობრივი მცხოვრებლები ფიქრობენ ტელეგრაფის განყოფილების გახსნას. ამ საქმისათვის უკვე შეუდგნენ ფულის შეგროვებას.

გაზ. „ფიქრი“, 1913 წ. 6 დეკემბერი, ორშაბათი, №6, გვ. 2.

ანაკოფიის ციხე, VII-VIII სს.

1914

„ბათუმის გაზეთი“

სოხუმის ქალაქის საბჭო სთხოვს მთავრობას, რომ დაარსდეს სოხუმის გუბერნია და საგ. ქალაქად დამტკიცდეს სოხუმი.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ. 8 მაისი, ხუთშაბათი, № 36, გვ. 2.

გუდაუთი – არყის გამოხდისას დაიწვა ივანე აშრაფიანის მეუღლე სოფიო.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ. №49, გვ. 3.

გუდაუთი

არჩევნების გამო 20 ივლისს. ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში დანიშნულია კრება – დეპუტატის არჩევნების შესახებ. მონაწილეობის მიღება ეძლევათ მხოლოდ იმ პირით, რომელსაც ქალაქის საზღვრებში უძრავი ქონება აქვთ. ასეთ ცენზიან პირებს უკვე დაურიგეს უწყებები. საუბედუროდ ასეთი უფლებით აღჭურვილი მშრომელი მდაბიო ხალხი უმცირესობას წარმოადგენს. მოსალოდნელია, უწინდებურად შეძლებულებმა გუდაუთის ქალაქის ბედ-იღბლის გამგედ -წამოასკუპონ ისეთი პირი, რომელიც მხოლოდ მათ ინტერესებს დაიცავს, თვით-ნებობის გაბატონებას, როგორც ეს წინათ იყო.

ამისათვის საჭიროა არჩეულ იქნას ისეთი დეპუტატი, რომელიც პირნათლათ დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ერდიშხან

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ. 6 ივლისი, კვირა, №53, გვ. 4.

სოხუმის ქალაქის გამგეობა სთხოვს ბათუმის – გამოგვიგზავნეთ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა სია ჯამაგირების რაოდენობის აღნიშვნითო.

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ. 10 ივლისი, ხუთშაბათი, №54, გვ. 3.

დ. გუდაუთი

10 წლის წინეთ დ. გუდაუთში დაარსდა წიგნთსაცავ სამკითხველო, მის შენობას ქალაქმა მიწა უფასოთ დაუთმო სამკითხველოს წევრებათ ითვლებოდნენ ქართველები, რუსები და რამოდენიმე სომეხიც, რომელნიც აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ამ ხალხთ შემაკავშირებელ და გამათვითცნობიერებელ დაწესებულებას. მოიწვიეს სამკითხველოს წევრთა კრება, ამოირჩიეს სამკითხველოს გამგეობა და გამოიწერეს ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სახელმძღვანელო ნივთები და სხვა. მაგრამ სამკითხველოს არ დასცალდა სიცოცხლე – ასეთ სიმპათიურ დაწესებულებას, სხვადასხვა ერებს შორის ჩამოვარდა რაღაც ჯგუფობრივი ჟინიანობა, შენ ჩემობა, კინკლაობა. სამწუხაროდ ასეთ საქმეში შეიჭრა ნაციონალისტური ქარიშხალი, და ეს გამთვითცნობიერებული ტაძარი მიანგრ-მოაგრია. გაჩაღდა ეროვნული შუღლი. ხალხმა ზურგი აქცია სამკითხველოს. წევრთა რიცხვი თანდათან აკლდებოდა. უწინ ქართველობა უმრავლესო-

ბას შეადგენდა. ცოტახნის განმავლობაში ქართველთა უმრავლესობა ჩამოშორდა.

ნათქვამია „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო“ და მართლაც ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა არევით ისარგებლეს დაიტაცეს საუკეთესო წიგნები. ამ საპატივცემლო დაწესებულებას მთელი ქართველობა თანდათან ჩამოშორდა. იმის მაგიერ, რომ ამ კულტურულ დაწესებულებში ხალხი იყრიდეს თავს და თავის ბედს უფიქრდებოდეს, იქაურობას ვირთხები დაპატრონებია და ხრავენ დაყრილ ნივთებს.

ამ ნაირად ჩაქრა სინათლე გუდაუთაში. სამაგიეროდ გაძლიერდა უკეთურთ ბანაკი და ყოველი ბოროტი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ სამკითხველოს მთელი მამოძრავებელი ძალა გამოეცალა, -25 წევრს – რუსებას – მაინც არ დაუკარგავს სამკითხველოს ნებართვის ფორმალური უფლება. სამკითხველოს კარები უფრო დაკეტილია. ხალხს ეს დაწესებულება სრულებით დავიწყებული აქვს. აქაური ინტელიგენცია უფრო ყავა-ხანებში ატარებს დროს, ბანქო-ნარდის თამაშობაში.

ამ წინეთ რამდენიმე ამხანაგებმა განიზრახა ქართველების მიერ მიტოვებულ სამკითხველოს გამოცოცხლება და ამ მიზნით იმ ობლად დარჩენილ რუსებთან შეერთება, რომელთაც ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოს ნებართვის უფლება არ დაუკარგავთ. გამოცხადდა სურვილი მათთან შეერთებისა. რუსები სიხარულით მიეგებდნენ ქართველების სურვილს და სთხოვეს ინიციატორებს მსურველთა სიის შედგენა დაეჩქარებიათ. მაგრამ ამას გადაეღობდნენ წინ ე. წ. ფედერალისტები.

თუ თქვენ არ გსურთ ჩაეწეროთ სიაში, ხელს რაღად გვიშლიო, უთხრეს ისინი ამბობდნენ გვაქვს, კრება. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებისა და სამკითხველოს აგერ 3 თვე გადის სამკითხელოს შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს. ეს მოტყუებაა და ამის მიზეზად იმას აცხადებენ, რომ ჩვენ სხვებთან რა გვინდა, ჩვენ უნდა დავაარსოთ ცალკე ქართული სამკითხველოვო.

ამ ნაირათ მათი მეოხებით ჩაიშალა ჯერ-ჯერობით, ეს სასარგებლო საქმე.

ნაციონალისტური ჯგუფი ცდილობს ქართველები ჩამოშორდნენ სხვა ერს ყოველ კულტურულ საზოგადო საქმეში, და ისედაც დასუსტებული ძალები დაქსაქსოს.

ერდიშხან

გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914 წ. 10 ივლისი, ხუთშაბათი, №54, გვ. 4.

გაზეთი „ახალი აზრი“

დ. ოჩამჩირე

3 ივლისს გაიფიცნენ შავი ზღვის რკინის გზის ლიანდაგის საზღვრების გამთიბავი მუშები რიცხვით 20 კაცი და მოითხოვეს „პოდრიაჩიკის“ სამუშავო დროის შემოკლება. „პოდრიაჩიკმა“ მათგან 9 მუშა დაითხოვა, დანარჩენებმა ისევ ძველ პირობებში დაიწყეს მუშაობა და ამგვარათ გაფიცვა გასტეხეს.

გაზ. „ ახალი აზრი“, 1914 წ. 12 ივლისი, შაბათი, №1, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე
(სადალაქოებში მომუშავეთა ცხოვრებიდან)

როგორც იქნა დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ამ დარგის მომუშავენიც დაადგნენ გამოფხიზლების გზას. დღემდე ესენი ალმაცერათ შესცქეროდნენ სხვა მუშების შეგნებულათ გამოსვლებს და თვითოეული მათგანი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ესიამოვნებინა ხაზეინისათვის; იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ამით ისინი თავიანთ თავსვე ორმოს უმზადებენ. სხვა დარგის მუშები უქმე დღეებში მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ესენი კი ყველა ამბებზე მოკლებულნი იყვნენ, მათთვის საქმე და უქმი ერთია. ამ აუტანელმა პირობებმა მათში უკმაყოფილება დაბადა და კიდეც ამოიღეს ხმა. კვირას 6 ივლისს, დილიდანვე მისცენ ყველა ხაზეინებს წინადადება, რომ ისინი კვირა უქმე დღეებში არ იმუშავებენ. ხაზეინებმა დაინახეს რა მუშათა სოლიდარობა და ერთსულოვანი გამოსვლა. მაშინვე დათანხმდენ წაყენებული პირობის ასრულებას, ჯიუტობს მხოლოდ ერთი მათგანი და ისევ ძველ გზას ადგია. იმედია ეს მუშები აწიც შეგნებულათ იმოქმედებენ: გამოიწერენ მუშათა გაზეთებს, დაეწაფებიან განვითარებას და ამ გზით მებრძოლ მუშათა რაზმს ძალას შემატებენ.

გოჩა-ჯიხაიშელი ლადო

გაზ. „ახალი აზრი“, 1914 წ. 13 ივლისი, კვირა, №2, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

გაზ: „აზრის“ №66 და №68-ში მოთავსებულ ბელას და გ. ჯიხაიშელი ლადოს წერილებმა ააღელვა აქაური აღები და გაფაციცებით დაეძებენ კორესპოდენტებს. ხაზეინებს არ სურთ გაიგონ ის ჭეშმარიტება, რომ ყოველ შავ საქმეს ნათელი უნდა მოეფინოს და საზ-ბის წინაშე მთელი თავისი სიგრძე სიგანით წადგეს. განა საკვირველი არა, როდესაც მთავრობის წარმომადგენელი, ასე თუ ისე ნეიტრალობას იცავს და ცოტათი მაინც მხარს უჭერს ნორმალურ დასვენების წესის შემოღებას და ამავე დროს კი ჩვენ ლიბერალ ხაზეინები თავგამოდებით იბრძვიან, რათა დაასამარონ ეს წესი? ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდნენ ამ ვაჟბატონებმა, რომ რაც უნდა ეცადონ ჭეშმარიტებას ვერ მიაფუჩეჩებენ და ტყუილათ კორესპოდენტთა წინააღმდეგ ნუ ეწევიან! რაც უნდა ეცადონ ძველ, მათთვის სანატრელ წესებს მაინც ვერ დაიბრუნებენ. აქაური ხელოსანი ნოქარი უკვე შედგა შეგნების გზაზე და მათ ვერაფერი მუქარა უკან ვერ დააბრუნებს.

ჩიტუნია

გაზ. „ახალი აზრი“, 1914 წ. 15 ივლისი, სამშაბათი, №3 გვ. 4.

გაზეთი „ახალი ივერია“

ქართველათა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ-ბის წლიური კრება №36-37-38 (იხ. გამომსვლელთა სიტყვები. – რედ.)...

პ. საყვარელიძე – გამგეობას სკოლებისათვის სანიმუშო პროგრამა შეუდგენია, მაგრამ არ სჩანს, ხორციელდება თუ არა ეს რამა შეუდგენია, მაგრამ არ სჩანს, ხორ-

ციელდება თუ არა ეს პროგრამა. ბათომისა, სოხუმისა და ბაქოს სკოლებში საღმრთო სჯული უსწავლებიათ რუსულ ენაზეც, თუმცა მხოლოდ ქართულ ენაზეც კმაროდა. ეს უკვე ორი გაკვეთილი გამოდის და არ ვიცი რომელ პედაგოგიურ პრინციპზეა დამყარებული. საჭიროა ინიციატივით მოსილი ხალხი, საქმის მოყვარული, ენერგიული და ქართულ ენის გამტარებელი, განსაკუთრებით დაბალ კლასებში.

გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ. 14 ნოემბერი, პარასკევი, №38, გვ. 3.

გაზეთი „იმერეთი“

სოხუმი

საზოგადოდ, ხალხისთვის კონცერტებს, რომელიც დროგამოშვებით იმართება ჩვენს მივარდნილსა და გონებრივად ჩამორჩენილ დაბა-სოფლებში მომღერალთა გუნდის მიერ, დიდი მნიშვნელობა აქვს. ესენი, გარდა ამისა, რომ ატკბობენ ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ხელს უწყობენ ჩვენი ეროვნული სიმღერების დაცვას.

ერთი ამგვარი გუნდი მოქმედებდა ქ. სოხუმში, შარშან ზაფხულში შემდგარი სიმღერების მოყვარეებისაგან. მადლობის ღირსია ამ გუნდის მომწყობი. სასურველია, რომ ბ-ნი ხელმძღვანელი და მომწყობი შარშანდელი გუნდისა წლეულსაც იკისრებს ამ საყურადღებო და სასარგებლო საქმის მოწესრიგებას.

ამით ის დიდს სამსახურს გაუწევს, როგორც ხალხს, ისე ჩვენს ეროვნულ საქმესაც.

კოლია ხ-ვა

გაზ. „იმერეთი“,1914 წ. 29 მაისი, ხუთშაბათი, №65, გვ. 3-4.

ოჩამჩირიდან და ართვინიდან საოლქო სასამართლოს თავჯდომარე ბ-ნი ფედოროვი ჩამოვიდა.

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 22/VI, კვირა, №86, გვ. 2.

ქართული ენა და სამურზაყანოელნი

სამურზაყანო არ არის ისე ცნობილი, როგორც სხვა ნაწილები ჩვენი სამშობლოსი, ამიტომ საჭიროა მოკლეთ შევეხოთ მის გეოგრაფიულ მდგომარეობას. სამურზაყანოს უჭირავს ქუთაისის გუბერნიის განაპირა ადგილი, სადაც ნაკლებათ ხვდება ჩვენს ხალხს ამ ადგილში გავლა, რომ საშუალება მიეცეს გაიცნოს ეს ბუნებით დაჯილდოებული ქვეყანა. აღმოსავლეთით სამურზაყანოსს საზღვრავს სვანეთი და სამეგრელო. ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედი, დასავლეთით – აფხაზეთი და სამხრეთით შავი ზღვა. როგორც ვიცით სამურზაყანოს 2.000 ოთხკუთხი ვერსი უკავია და სცხოვრობს ამ ადგილზე 50.000 კომლი სამურზაყანოელი (ასე უწოდებენ თავის თავს). ამ პატარა ქვეყანას ბევრი რამ გადახედია თავს და თავის ისტ-ია აქვს მასაც, მაგრამ ამ ჟამათ ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმას, თუ რა მდგომარეობაშია იქ ქართ. ენა და რა ყურადღებას აქცევენ მას სამურზაყანოელნი.

იმისთანა კუთხეებში, როგორიც მაგალითად: სამეგრელო, სვანეთი, სამურზაყანო და სხვ. სადაც მკვიდრნი, უცოდინარობისა გამო, ვერ ლაპარაკობენ ქართულად

და მხოლოდ მის მონათესავე ენაზე საუბრობენ, ქართ. ენის ჭირისუფალი უნდა იყონ სკოლები და ეკლესიები, ეს ორი, ასე ვთქვათ დაწესებულება არის მისთანა დაწესებულება, სადაც თავს იყრის მთელი ხალხი და ვერც ძალუძს ასცილდეს მას. ორ დაწესებულებას სათანადო ენერგიით შეუძლია დიდი როლი ითამაშოს მის ცხოვრებაში – საზოგადოთ, კერძოთ კი მისთანა ადგილებში, როგორც მაგ. სამურზაყანოა. სკოლა და ეკლესია, სხვათა შორის, უნდა აკავშირებდეს ხალხს სულიერათ, უნდა აყენებდეს მას კეთილ გზაზე და მათ მესვეურთ უნდა ეჭიროს ხელში ლამპარი მდაბიო ხალხის გასათვითცნობიერებლათ, წყვდიადის გასაფანტავათ, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, ვერც სკოლები და ვერც ეკლესიები სამურზაყანოში ნათლად ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას.

რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ შედარებით სხვას მაინც არ უნდა ჩამორჩნენ უკან სხვასთან ერთად საერთო ფერხულში უნდა იყვენ ჩაბმული.

როგორც ყველგან ჩვენში ისე სამურზაყანოშიც სკოლა შორს არის დაცილებული ხალხზე. სწავლა-აღზრდის საქმე იქ ვერ არის დაყენებული წმინდა პედაგოგიურ პრინციპებზე. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო კი სკოლებში დედაენის მაგიერათ ორი ძნელი ენაა: რუსული და აფხაზური, რაც ბავშვებს აუტანელ მდგომარეობაში აგდებს. ორი სიძნელის ერთად გამკლავება. თუ რისთვის ასწავლიან ზოგიერთ სამურზაყანოს სკოლაში აფხაზურს და რა მიზანი აქვს ამ ენის სწავლებას, კომენტარები არ არის საჭირო მისთვის, ვისაც თვალი უდევნებია აფხაზეთ-სამურზაყანოს ცხოვრების მიმდინარეობისათვის.

როდესაც ვეხებით ქართ. ენის მდგომარეობას საზოგადოთ სამურზაყანოში და კერძოდ კი სკოლებში, იბადება შემდეგი კითხვა: თვით მცხოვრებნი – სამურზაყანოელნი, როგორ უყურებენ ქართ. ენასა, რა ყურადღებას აქცევენ მას და როგორი აზრისა არიან მისი სკოლებში შემოღებისა? ამ კითხვებზე ჩვენ თამამათ შეგვიძლია დადებითი პასუხები მივცეთ. ეს ასეც უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც სამურზაყანოელი გადმოაბიჯებს ფეხს თავისი სახლის საძირკველზე, ირგვლივ ქართული ენა ესმის: მიწერ-მოწერა ხომ სულ ქართულათაა, მაშასადამე, ერთი უბრალო წერილი რომ მოუვიდეს საიდანმე, თვითონ ვერ წაიკითხავს და ან უნდა გაიქცეს, გაიაროს რამდენიმე მანძილი, მივიდეს სოფლის მასწავლებელთან, თუ ეს უკანასკნელი ქართულის მცოდნეა და წააკითხოს მას, ან და თავადთან, ან აზნაურთან გაიქცეს, რომელთაც სამურზაყანოში და აფხაზეთშიც უმეტეს შემთხვევაში ქართულათ ლაპარაკობენ. ამნაირ უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებამ ჩააფიქრა სამურზაყანოელნი, მათ კარგად დაინახეს და იგრძნეს დედა ენის აუცილებელი საჭიროება და მოითხოვეს, რომ სკოლებში ქართულიც შემოიღონ, რისთვისაც ადგენდნენ განაჩენებს და ითხოვდნენ ქართული ენის შემოღებას სკოლებში, მაგრამ მათი თხოვნა დღემდი თხოვნათ არის დარჩენილი. ხშირად მცხოვრებლები მასწავლებელთანაც, შეხვეწნიან რაიმენაირად შეესწავლებია ქართული მათი შვილებისათვის, მაგრამ ერთმა და ორმა კაცმა რა უნდა ქნას, თუ ათი და ასი ხელს უცარავს.

მაშასადამე, სამურზაყანოელთ სურვილი აქვთ ქართ. ენის შესწავლისა, მაგრამ მათ სურვილს სკოლები ვერ აკმაყოფილებენო და ერთ მთავარ მიზეზათ ეს უნდა ჩაითვალოს, რომ სამურზაყანოს სკოლებს ხალხი გაურბის და მოსწავლეთა რიცხვი მეტად მცირეა. მაგალითად: მისთანა ვეებერთელა სოფ-ში როგორიც არის სოფ. ბე-

დია, რომელშიც მცხოვრებთა რიცხვი ათას ორასამდეა, მეოთხე და მეხუთე განყოფილებაში 1911 წ. მხოლოდ თერთმეტი მოწაფე ითვლება და მთელ სასწ-ში 40-მდე ძლივს ადიოდა. რომ ეს ასე არ გაგრძელდეს, სკოლა ახლოს უნდა იდგეს ხალხზე, იგი ჰუმანურ დაწესებულებათ უნდა იქნეს აღსარებული, სადაც ნორჩი თაობის სულიერ ძალებს შეეძლოს თავისუფლათ გადაფურჩქვნა სამშობლო ენის საშუალებით და მაშინ კი ისე ცარიელი აღარ იქნებიან სამურზაყანოს სკოლები როგორც არიან ამ ჟამათ.

სამურზაყანოში არც ეკლესიები თავისი წინამძღვრებით დგანან კუთვნილ სიმაღლეზე. ზოგი სულიერი მამა ქრისტეს მოძღვრების მსახურების მაგიერათ კერპებს ემსახურება და წარმოიდგინეთ, რომ პოლიტიკანობს კიდეც, როგორც მაგ: ეს ჩაიდინა ერთ დროს ბლაღოჩინმა მ-ნიამ ბედიის პატივცემულ მამა იესე შელიას მიერ აშენებული საყრდის კურთხევის დროს სოფ. ბედიაში. იმის ისტ-იას აღარ მოვყვები აქ, რაც ამ „სულიერმა მამამ“ ჩაიდინა იმ დროს, თავის დროზე ეს ერთ-ერთ ჟურნალში იყო გამოქვეყნებული, მაგრამ საზოგადოთ საჭიროა, რომ ქრისტეს მიმდევარი თავის ნების მიმდევარი არ უნდა გახდეს, თორემ სამურზაყანოელებმა კარგად იციან როგორ უნდა მოიქცნენ, მხოლოდ საჭიროა ხელმძღვანელი. თუ სამურზაყანოელთ ხელმძღვანელი ეყოლა, ხალხი საკმაოდ არის გამოფხიზლებული და ეს გამოფხიზლება ნათელი მაჩვენებელია, რომ იქ ვერ გაიმარჯვებს საბოლოოთ ის ტენდენციები, რომელიც არის მიმართული სამურზყანოელთ კეთილ გზაზე ასაცდენად და ეს კუთხე მალე საქ-ლოს ერთ საუკეთესო ნაწილად გადაიქცევა, რასაც, სხვათა შორის დიდათ შეუწყობს ხელს ბედიის ძველი მონასტრის განახლება.

ბაგრატ გვიმრალელი

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 8 ივლისი, სამშაბათი, №99, გვ. 2-3.

რელიგია

P. S. სოფ. ბედიაში (სამურზაყანო) გამოჩინებულ მაღლობზე მეფე ბაგრატ III-გან X ს-ში აშენებული მონასტერია, რომელიც ამ ჟამად დაობლებული სდგას და განახლებას ელის. ამ მონასტრის იქვე მახლობლად მამა იესე შელიამ ააგო პატარა საყდარი, რომელშიაც დღეს არის გაჩაღებული ღვთისმსახურება სამშობლო ენაზე.

მამა იესე შელია დიდი მოყვარულია ჩვენი სამშობლოსი, ამასთანავე, გამოცდილი, ჭკვიანი, სათნო და ღრმა აზრების პატრონი. ერთ-ერთ ბაასის დროს მ. იესემ, სხვათა შორის გამიზიარა თავისი აზრი იმის შესახებ, თუ ვის ვენდო და ვის ჩავაბარო ეს ჩემი დაწყებული ნაშრომი საქმეო. მამა იესე შეუდგა ძველი მონასტრის განახლებას და თითქმის მალეც მოათავებს.

რამდენჯერ მთხოვა მონასტრისათვის მომეკითხა და მეშოვა მისთანა „სანდო“ კაცი, რომელიც მონასტრის წინამძღვრად გამოდგებაო, მაგრამ არავინ გამოჩნდა და ეს თხოვნა თხოვნათ არის დარჩენილი. სასურველი იქნება, თუ კი ვინმე მოიპოვება ზემო აღნიშნულ თანამდებობისათვის, პრესის საშუალებით შემატყობინოს ან თვითონ გაიგოს ამბავი მ. შელიასთან, რითიც დიდ სამსახურს გაუწევს ამ საქმის დაგვირგვინებას. სასურველ კაცის ხელში ეს მონასტერი დიდ როლს ითამაშებს სამურზაყანოელთ ცხოვრებაში.

ბ. გ

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 8 ივლისი, სამშაბათი, №99, გვ. 2-3.

დ. ოჩამჩირე

დ. ოჩამჩირე სამურზაყანოს, თუ შეიძლება ასე ითქვას დედაქალაქია, ეს ბულაზია, რომელშიაც აღებ-მიცემობა, ვაჭრობა ფართოდ არის განვითარებული, რის წყალობითაც შემოსავლის წყარო კარგი აქვს. ოჩამჩირე პატარა დაბაა, მაგრამ ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო გამხდარიყო ინგურის გამოღმა მხარეში, სოხუმს შემდეგ, პირველ სავაჭრო ცენტრათ. ერთი მხრივ ზღვა და მომავალში მეორე მხრითაც უკვე დაწყებული რკინის გზა, ეჭვი არაა, ხელს შეუწყობს ოჩამჩირეს ზრდა განვითარებას და მოზრდილ ქალაქად გადაქცევას.

კულტურული მხრით ამ ორი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. დაარსდა სამკითხველო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის სახელით. სამკითხველო დღეს კარგ ნიადაგზეა დაყენებული. არსებობს წერა-კითხვის საზ-ბაც რომლის თავმჯდომარედაც თეოფ. ხუსკივაძეა. გამგეობის წევრები შეძლებისდაგვარათ ცდილობენ კულტურული საქმიანობა ამ საზ-ბისა წინ წასწიონ.

დღეს მთავარ გამგეობასთან შუამდგობლობენ ქართ. სკოლის დაარსების შესახებ; ფიქრად აქვთ სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა გააკეთონ, რისთვისაც გამგეობამ სთხოვა აქაურ მრეწველ ფეტერს უფასოთ დაეთმო მასალა სამკითხველოსათვის, რომელმაც სიამოვნებით 120 მან. მასალა შესწირა სამკითხველოს მომავალ შენობისათვის.

აგრეთვე ბ. ხუსკივაძის თაოსნობით დაარსდა ოჩამჩირეში საურთიერთო საზ-ბის ბანკი, რომელიც 15 ივლისიდან დაიწყო მოქმედება. როგორც ვხედავთ ამ 2 წლის განმავლობაში, მოწინავე ელემენტების წყალობით ოჩამჩირემ დიდი ნაბიჯი გადასდგა და, იმედია, მისი წინმსვლელობა ამით არ დასრულდება.

7-8 ივლისს აქ გვეწვია ქართ. დასი ვალ. გუნიას მეთაურობით. წარმოადგინეს 2 პიესა: დ. ერისთავის: „ოჯახის გაუბედურება“ და ზუდერმანის „მუშის პატიოსნება“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა და ხალხიც ბლომათ დაესწრო. უკანასკნელი წარმოდგენის გათავების შემდეგ, თ. ხუსკივაძემ მიმართა ვალ. გუნიას დაახლოებით შემდეგი სიტყვებით: „ბატონო, ვალერიან! მადლობას გიძღვნის შენ და შენს ამხანაგებს ჩვენი ოჩამჩირის პატარა ქართველობა, მადლობას გიძღვნის ჩვენი ნახვისათვის და ესთეტიური გემოვნების გაღვიძებისათვის. დარწმუნდით, ბატონებო, თუ სადმე ეჭირვება ქართულ სიტყვას თქმა და გავრცელება – ეს აქ, ჩვენში, აქაურ ქართველებს შორის. ნუ შეგაშინებთ ნურც სიშორე, ნურც უგზოობა, რაიმე გაჭირვებები, მობრძანდით და გვასმინეთ წმინდა ქართული – გაგვიღვიძეთ წმინდა გრძნობანი, მიგვითითეთ ჩვენს ნაკლოვანებაზე, ჩაგვახედეთ ცხოვრების სარკეში, დაგვანახეთ ჩვენი მახინჯი და სწორი სახენი და, დარწმუნდით, იმავე გრძნობით, გულის სიღრმიდან ამონახეთქ ცრემლთა ნაკადულით, გიპასუხებთ ჩვენც, როგორც გიპასუხეთ გუშინ, როდესაც ხელოვნურდ დაგვისურათეთ ჩვენი უკუღმართი ცხოვრების მოქმედებანი. მაშ, ამ გამომშვიდობების დროს კვლავ გთხოვთ, ნუ დაგვივიწყებთ, ხშირათ მობრძანდით ხოლმე ჩვენთან და ნიშნათ ჩვენი მადლობისა მიიღეთ ეს მცირე ცოცხალი ყვავილებით შეკონილი თაიგული, რომელ ყვავილებშიაც ჩაქსოვილია ჩვენი თქვენდამი მადლობის, პატივისცემისა და ღრმა სიყვარულის გრძნობანი!“

ქეთოშვილი

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 18 ივლისი, პარასკევი, №108, გვ. 4.

დ. ოჩამჩირის საურთიერთო ნდობის საზ-ბის ბანკის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ-ნი ევგენი ბოკერია.

დ. ოჩამჩირეში, საურთიერთო ნდობის საზ-ბის ბანკის შენობა უკვე დაამთავრეს და პირველ ამ თვიდან ბანკის წარმოება ახალ შენობაში მოხდება.

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 15 აგვისტო, პარასკევი, №130, გვ. 3.

ამ ჟამათ ქ. სოხუმში ხორცისა და პურის ნიხრი ამნაირია: ყუბანის საქონლის ხორცი-18 კაპ; სული-22 კაპ; ტვინი-16 კაპ; ენა-18 კაპ; ცხვრის ხორცი-18 კაპ. თხის ხორცი-15 კაპ; ხბოსი-15 კაპ; კამეჩის-8 კაპ; პური I ხარისხის გირვანქა 4 კაპეიკ-ნახევარი, მეორე ხარისხის 3 კაპეიკ-ნახევარი, III ხარისხის კი-3 კაპ, ხოლო ჭვავის-3 კაპიკათ.

გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. 17 აგვისტო, კვირა, №131, გვ. 3.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“

ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში

სოხუმის ოლქში, როგორც ყველას მოეხსნება, ბევრია მეგრელებით დასახლებული სოფლები. აი, მაგალითად გუმისთის ნაწილში: ბაბუშერა, ფშავი, მარხეული, ნაა, აბჟაყა და სხვ. აბჟუვაში ანუ კოდორის ნაწილშიც არის სოფლები, სადაც სამეგრელოდან გადმოსახლებული მეგრელობა სახლობს და სადაც მარტო მეგრულად ლაპარაკობენ. აქ ჩვენ არ ვახსენებთ იმ მცირე რიცხვით არა მცირე მეგრელობას, რომელიც აფხაზების სოფლებშია ჩასახლებული ამა თუ იმ სახით. ბოლოს მთელს სამურზაყანოში, გარდა ბედის საზოგადოების ერთის ნაწილისა (ამაზე ქვევით მოგახსენებთ), ყველა სამურზაყანოელები მეგრულად ლაპარაკობენ.

და აქ სოხუმის ოლქში, ამ სკოლებში მეგრელების ბავშვები სწავლობენ, როგორც იქ, სამეგრელოში უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, როგორც სამწერლო-სალიტერატურო საეკლესიო სამშობლო ენა, მაგრამ, როგორც სამინისტრო, ისე საეკლესიო სკოლების უფროსნი ყოველ ნაბიჯზე სხვა და სხვა საშუალებით სდევნიან ქართულ ენას სკოლებიდან. მართალია, გარეგნულად თვალის ასახვევად თითქმის ეს ასე არ არის, უმაღლეს მთავრობის მოსაჩვენებლად თითქმის ყველაფერი რიგზე სწარმოებს: გაკვეთილების ნუსხაში სამშობლო ენას დათმობილი აქვს კვირაში რანდენიმე საათი. სახელმძღვანელო წიგნებს ქართულისა და აფხაზურისას, ჰგზავნიან შესაფერის სკოლებში. მაგრამ საქმე ცხრილსა ან რვეულსა და წიგნებში ხომ არ არის, საქმე თვით სასწავლებელშია. ხოლო ქართულისა და აფხაზურის სწავლებას კი, როგორც ზევით მოგახსენებთ ყოველმხრივ აფერხებენ.

თქვენი სამშობლო ენა ხომ მეგრულია, ქართულს რა უნდაო, ამბობენ ზოგიერთები, რომლეთაც არც მეგრელების და სამეგრელოს წარსულისა და აწმყოსი და არც მეგრულისა და ქართულის დამოკიდებულებისა არაფერი გაეგებათ.

რომ სამშობლო ენის სვე-ბედი აქ სამოსწავლო მთავრობის უახლოეს წარმომადგენლებს ბევრად არ აწუხებს, ამის საბუთს ახლავე წარმოგიდგენთ. გუფას ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლების ზედამხედველ-მასწავლებელმა ამ ორიოდე

წლის წინად მოახმარა აფხაზურის სწავლებას წლის განმავლობაში დადებული რიცხვი გაკვეთილებისა. წლის ბოლოს სასწავლებელს ეწვია ინსპექტორი ბ. ხაუსტოვი, რომელიც მეტად უკმაყოფილოდ დარჩა, ამდენი დრო რად დაჰკარგე აფხაზურის სწავლებაშიო, უსაყვედურა მასწავლებელს. ახლა კი ამ სკოლაში მეორე მასწავლებელი რუსია, და ეს უკანასკნელი სამშობლო ენის უშუამოვლობით, მუნჯურის მეთოდით ასწავლის პირველ განყოფილებაში და სკოლაში აფხაზურის ხსენებაც არ არის.

ასეთსავე მაგალითს ვხედავთ, როგორც ქვევით დავინახავთ, ინგურის პირას მდებარე ს. საბერიოს სკოლაში, სადაც პირველ განყოფილებაში მეგრულად მოლაპარაკე ბავშვებს ასწავლის მეგრულის არა მცოდნე ბზიფელი აფხაზი, რომელსაც ქართული წერა-კითხვის სწავლება არც შეუძლია და არც ასწავლის, რასაკვირველია.

მე ამ 1913 წლის გასულ ღვინობისთვეში სოხუმის ოლქში ბევრ სოფლებში ვიყავით და ყველგან ვაკვირდებოდი ქართული ენის მდგომარეობას მეგრელთა სკოლებში. გავუზიარებ მკიხველს ჩემს ნახულსა ანუ გაგონილს, რომ ცხადად წარმოიდგინოს, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილა ქართული ენა ამ სკოლებში.

ს. აბჟაყვაში სამრევლო სკოლის მეთვალყურეს მეტად პატივცემულ მღვდელს მივმართე თუ როგორ არის დაყენებული ქართული ენა მის სკოლაში? (სკოლის რაიონი დასახლებულია სენაკის მაზრიდან გადმოსახლებული მეგრელობით). „მოიცალფეხებსო“ გულ-ახდილად მიპასუხა პატივცემულმა მღვდელმა. თვით მასწავლებელმა ქალმა მიამბო, კვირაში ორ გაკვეთილს ვაძლევ ქართულშიო. იმავე კუთხის მასწავლებისაგან გავიგონე, რომ ეპარქიის მეთვალყურეს ეთქვა: „კვირაში ოთხზე მეტი გაკვეთილი ქართულში არ შეიძლება, ნაკლები ჰოო“. მაშასადამე ის პირი, რომელიც მასწავლებლობას მეგრელებით დასახლებულ სოფელში და კვირაში მარტო ორ გაკვეთილს აძლევს ქართულიდან, თვით ღალატს ქართულ ენას, თორემ გარეშე მიზეზი აქ მოსატანი არ არის.

ისეთ სკოლებში, სადაც მეგრელებთან რუსები ან ბერძნებიც სწავლობენ, იგზავნება მასწავლებლად ქართული ენის უცოდინარი, მაგ: გულრიფში, დრანდა და სხვა.

მდ. კოდორის მდებარე ს. ნიკოლაევკა – ანასტასიევკაში (ძველი სახელთანაა) არსებობს ეკლესიის გვერდით ორ-კლასიანი სკოლა, სადაც მარტო მეგრელების ბავშვები სწავლობენ. მე ამ სკოლაში შევედი, რადგან ორივე მასწავლებლები ჩემი კაი ნაცნობნი არიან. აქ შედარებით ცოტა გვარიანად იცოდნენ ქართული. მაგრამ ეს უნდა მიეწეროს ახლანდელ მასწავლებლებს კი არა (ესენი ახლა დანიშნეს) შარშანდელ მასწავლებლებს. საზოგადოდ მეგრელთა სკოლებში სადაც ქართულს ასწავლიან. იქ რუსული უკეთ იციან, ვინემ ისეთ სკოლაში, სადაც ქართულს სტაცებს გაკვეთილებს და რუსულს უმატებს, მაგრამ ამისდაკვალად რუსულის ცოდნა არ მატულობს. ასეთ მასწავლებლებზე ეს ახია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ აქ უდანაშაულო ბავშვები იჩაგრებიან. ს. მერხეულში ორკლასიანი საეკლესიო სკოლაში ქართულის მდგომარეობაზე მასწავლებელმა მითხრა: „არაფერი იციან, გუშინ „ნუცას სკოლა“ ავუხსენიო“ (ვგონებ მესამე განყოფილების ბავშვზე მითხრა) ს. ბაბუშერას სამინისტრო სასწავლებელთან არ გამივლია, ხოლო შორიდან კი მომესმა და მესმის, რომ იქ ქართულს გვარიანად ასწავლიან.

აბჟუვაში (კოდორის ნაწილში) ოჩამჩირის გარდა, ხუთიოდე სასწავლებელია, სადაც ქართულს უნდა ასწავლიდნენ, რადგან ამ სკოლებში მარტო მეგრელები სწავ-

ლობენ. ამათში რიგიანად დაყენებული ქართული მარტო ილორის ორკლასიან სასწავ-ლებელში თუ, და კოჩორას სამონასტრო სასწავლებელში, თუმცა სკოლის რაიონში მეგრელები სახლობენ და სკოლაშიაც მარტო მათი შვილები სწავლობენ, სადაც არ ასწავლიან ქართულს: აქ წლეულს ქართულის არ მცოდნე ბერძენი გაუგზავნიათ მას-წავლებლად. მასწავლებელი თვითონ სჩივის, აქ მასწავლებლად ქართულის მცოდნე იყო საჭირო, და მე რად გამომგზავნესო.

კიდევ უარეს მდგომარეობაშია ქართული ენა სამურზაყანოს სკოლებში. სამურზაყანოში მარტო ბედიის საზოგადოების ერთ ნაწილში ლაპარაკობენ აფხაზუ-რად, მეორე ნაწილში კი მეგრულად. ხშირად გამიგონია ქვემდებარე აფხაზური და შესმენილი მეგრული ან წინაუკმო. ყოვლად სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოსი ბედიის ძველ ტაძართან პატარა სამლოცველო სოხუმის ეპისკოპოსი ბედიის ძველ ტაძართან პატარა სამლოცველო ეკლესიის საკურთხად რომ ამობრძანდა, ბედიის საზოგადოე-ბის წარმომადგენლებმა მოახსენეს – ჩვენ ნახევარს, განსაკუთრებით ახალგაზრ-დობას, არ გვესმის აფხაზურიო და ნუ გაგვაცალკევებთ (წირვა-ლოცვით, სკოლაში სწავლებით) დანარჩენ სამურზაყანოელებისაგან.

დანარჩენ სამურზაყანოში, სადაც ირიცხება 55000 სულზე მეტი, ყველგან მე-გრულად ლაპარაკობენ და მაშასადამე, ყველგან ქართულს უნდა ასწავლიდნენ სკო-ლებში. მაგრამ ზოგ სამურზაყანოელებს თავი აფხაზებად წარმოუდგენიათ. თუმცა აფხაზური ენისა არა გაეგებათ რა. მე ხალხზე კი არ ვამბობ, არამედ ზოგიერთ მოინტელიგენტე პირებზე. ამათ, ალბად, უფლებიან პირთაგან ყურადღების დამსახ-ურება და განმასხვავებელი ნიშნები ალაპარაკებს. ასეა თუ ისე, ეს ვაჯბატონები აფ-ერხებენ როგორც ქართულისა, ისე აფხაზურის საქმეს სკოლებში. მ. ვოსტორგოვის მიმდევართაც ეს უნდათ. ისინი გაიძახიან: რაკი აფხაზები არიან და არა ქართველები ქართულს ვერ ვასწავლითო. აფხაზურის სწავლებაც არ მოხერხდება, რადგან იქ არა თუ სამურზაყანოელები, მეგრელებიც (საზოგადოდ ქართველებიც) აფხაზების მოძმე და მონათესავენი არინ. მე ამაზე არ მოგახსენებთ ახლა. მე აქ ენა მაქვს სახეში. ენით კი სამურზაყანოელები დაკავშირებულნი არიან მეგრელებთან და, მაშასადამე, ქართველებთან ხოლო ზნე-ჩვეულებით, ხასიათით და სხვ. ისინი უახლოვდებიან მე-გრელებსაც და აფხაზებსაც.

აფხაზურად არ ლაპარაკობენო, პირველ დღიდგანვე დაუწყებენ რუსულ სწავ-ლებას. ვინც პოლიტიკანობას არ მისდევს, მისთვის საქმე სული ადგილგამოსაწყო-ბია: რომელ სოფელში მცხოვრებნი ლაპარაკობენ აფხაზურად, იმ სოფლის სკოლაში უნდა ისწავლებოდეს აფხაზური, ხოლო რომელ სოფელში მეგრულად ლაპარაკობენ, იმ სოფლის სკოლაში – ქართული. ფორმალურად ეს თითქოს ასეც არის. მაგრამ ნამდვილად კი ქართულს სანახევროდაც არ ასწავლიან სკოლებში. ამის უმთავრესი მიზეზი იმაშია, რომ მასწავლებლებად სკოლებში ინიშნებიან ისეთი პირნი, რომელთ-აც თვითონაც არსად უსწავლიათ ეს საგანი.

ზოგიერთი სკოლის მასწავლებელი, იმდენად კი არის მომზადებული, რომ თამამად შეუძლიან ქართული ასწავლოს სკოლაში. მაგრამ, რათა დაიმსახუროს უფროსთა ყურადღება, ამ საგანს ის გაურბის, როგორც ურია ღორის ხორც-სა. აი, მაგალითად, პირველი გალის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლის მასწავლებელი თავის სკოლაში ქართულს არ აჭაჭანებებს, თუმცა ასეთი

საქციელით ვერაფერი „წინსვლა“ შეუძენია. ამავე ტიპის ოქუმის ორკლასიან სამრევლო სკოლაში ერთი მასწავლებელი რუსია, მეორე კი ადგილობრივი მცხოვრები. ეს უკანასკნელი ცოტად თუ ბევრად ასწავლის ქართულს. მაგრამ რაკი შეგირდები მეორე სასწავლებლის ხელში გადავლენ, იქ სწყდება ქართული სწავლებაც. ოქუმელები იმასაც სჩივიან რომ მათ ამოდენა ხანია ქართული წირვა-ლოცვაც არ ესმით.

ამავე ტიპის (ე. ი. ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების) ს. საბერიოს სკოლის მასწავლებელთანაც მქონდა ლაპარაკი მისდამი რწმუნებულ სკოლაში ქართული ენის სწავლების შესახებ; მე ვკითხე: ვინ და რომელ განყოფილებას ასწავლით მეთქი? „მე ვასწავლი უფროსს განყოფილებებს. ხოლო მეორე მასწავლებელი პირველსა და მეორესაო“, იყო პასუხი. რადგან მეორე მასწავლებელი ბზიფელი აფხაზი იყო და მას ქართულის სწავლება შეეძლო, ცხადი იყო, რომ ქართული ამ სკოლაში „მოიცალფეხებდა“, მაგრამ მე მაინც დავეკითხე: მაშ, ქართულს არ ასწავლით მეთქი? როგორ არა, ჩემს განყოფილებებში რომ გადმოვლენ ბავშვები, ქართულს ვასწავლი, თუმცა იგი სავალდებულო არ არისო.

ზემოხსენებული მასწავლებელი ადგილობრივი მცხოვრებია, ქართულ გვარს ატარებს, განათლება სემინარიაში მიუღია და ასეთი პირი საბერიოს (ინგურის პირას მდებარე სოფელია) სკოლაში ქართულ სწავლებას სავალდებულოდ არ სთვლიდეს, ეს ცოტაც არ იყოს საწყენად მივიჩნიე... არ გვანებია ხომ, მკითხველო, ეს მასწავლებელი მასწავლებლებს ბ. ვლ. ნაცვლიშვილსა და ა. ოდიშარიას.

ეს მასწავლებელი ფორმალურადაც მართალი არ გახლავს. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს მიერ დამტკიცებულ და გამოგზავნილ გაკვეთილების ნუსხაში აღნიშნულია სამშობლო ენა და ამ სამშობლო ენად იმ სკოლებში, სადაც მეგრელები სწავლობენ, ქართული მიაჩნიათ და ქართულ სახელმძღვანელო წიგნებს „დედა-ენას“ და სხვ. ასეთ სკოლებს უგზავნიან კიდეც. ერთ-ერთ მეგრულ სკოლაში ეპარქიის მეთვალყურეს ბ. ალფეროვას კიდეც ეთქვა ქართული უნდა ასწავლოთო და ასეთს გარემოებაში როგორ არ უნდა მიაჩნდეს მასწავლებელს საბერიოს სკოლისას ქართული ენა სავალდებულო საგნად?!

ზოგან ცოტად თუ ბევრად ვითომ სკოლაში ქართულს ასწავლიან. თუ ქართული არ ვასწავლეთ, იქნება სლავიანური ენის სწავლება დაგვავალონო. (ასე მითხრა ერთმა მასწავლებელმა).

არის სამურზაყანოში ორიოდე ისეთი სკოლაც, სადაც ქართულს როგორც სავალდებულო საგანს ასწავლიან კიდეც. ასეთი სკოლების მეთვალყურე მღვდლები და მასწავლებლები ჩივიან: ვასწავლით ქართულ ენას, ამ საგნის სწავლებაშიაც მიგვდის ჯაფა, მაგრამ ჩვენს შრომას არავინ აფასებს ე. ი. არც რევიზიის დროს და არც გამოცდაზე ამ საგანს არ კითხულობენო. ამიტომ შემდეგ წლებში ზოგ მასწალებლებს ამ საგნის სწავლებაზე გული უცრუვდება.

სახალხო მასწავლებელი, რომელსაც უკისრნია ბავშვის აღზრდა-განათლება არავითარ გარეგან წამქეზებელ რამეს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს და ბავშვისა, მისი მშობლებისა და საზოგადოების წინაშე თავისი აღმზრდელობითი მოვალეობის შესრულებისაგან გამოწვეულ სულიერ კმაყოფილებასა და სიმშვიდეში უნდა პოულობდეს საკმაო ჯილდოს თავის მძიმე შრომისათვის, მაგრამ ასეთ მასწავლებელთა რიცხვი არამც თუ აქ, არამედ სხვაგანაც თითით ჩამოსათვლელია. ამიტომ ზემო

აღნიშნულ მეთვალყურე-მასწავლებელთ დრტვინვა-საჩივარი მთლად უსაფუძვლო არ არის. ეს მით უფრო, რადგან ვინ გვითავდებებს, რომ ქართული ენის გაკვეთილები მართლა ამ საგანს მოახმარა მასწავლებელმა. ერთი სიტყვით, თუ სხვა საგნის სწავლებას სჭირია დახედვა და კონტროლი, ნუთუ ეს ქართულს არ ესაჭიროება?

სამინისტრო სკოლების ინსპექტორი და საეპარქიო მეთვალყურე ხომ რუსები არიან. ის კი არა, სამაზრო მეთვალყურედაც ისეთ აფხაზებს ნიშნავენ, რომელთაც ქართული არ იციან. ამ ორიოდე წლის წინათ დავეკითხე სოხუმის ოლქის სამაზრო მეთვალყურეს მ. ნ. ლადარიას. ქართულ ენაში როგორ გამოცდით სამურზაყანოს სკოლებში მოწაფეებს მეთქი! იმან გულახდილად მიპასუხა: ბავშვები რაღაცას კითხულობენ ან ამბობენ ზეპირად და მე თავს უქნევ ნიშნად თანხმობისა, თუმცა არაფერი გამეგებაო. ახლა სამაზრო მეთვალყურედ მ. პატეიფა გახლავს, ესეც ბზიფელი აფხაზი.

საქმის მდგომარეობა იმას მოითხოვს, რომ სამაზრო მეთვალყურემ აქ უნდა იცოდეს როგორც აფხაზური, ისე ქართულიც. ასეთი პირის მოძებნა ძნელიც არ არის. მაგრამ თუ ერთი პირი ვერ მოიძებნა ასეთი, ორი მეთვალყურე უნდა დაინიშნოს, რომელთაგან ერთმა ქართული სკოლები უნდა ინახულოს, მეორემ აფხაზური. დროებით კიდეც დაინიშნა ოლქში ორი მეთვალყურე, მაგრამ ორი ზემოხსენებული პირნი, ორივე ქართულის უცოდინარნი.

გალის კლასიან სკოლიდან ქართული ენა განდევნილია. ამ სასწავლებელში კურსდამთარებულნი შემდეგ ეგზამენს იჭერენ სოფლის მასწავლებლის ხარჯზე და ასეთებია მომეტებულად საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი სოხუმის ოლქში. და რაც თვითონ არ უსწავლიათ, როგორ უნდა ასწავლონ მოწაფეებს?!

ამ წლის გაზაფხულზე სამურზაყანოს სამღვდელოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ს. გალში და ყ. დ. სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოსი ანდრიას თავმჯდომარეობით მსჯელობა ჰქონდათ ქრისტიანობრივის ცხოვრებისა და სწავლა-განათლების გაუმჯობესებაზე სამურზაყანოში. აქ, სხვათა შორის, აღძრეს საკითხი, რომ გალის მეორე კლასიან სასწავლებელში შემოეღოთ ქართული ენის სწავლება. ასწავლეთ, ვინ გიშლითო, ბრძანა თურმე მათმა მეუფებამ. რუსული ენის შესახებ რომ ვინმემ თქვას: ისწავლეთ რუსული ენა, ხომ არავინ არ გიშლით რუსულის სწავლასო და ამ საგნის სწავლების მოწესრიგებაზე არავინ თითიც არ გაანძრიოს, რომ არ შეიძლება?

მარტო ნებართვით, მარტო არდაშლით ქართულის სწავლება ხომ ვერ გაჩაღდება სკოლაში, თუ მასწავლებელნი ამ საგნის სრული უცოდინარნი იქნებიან, თუ ქართული ენა გაკვეთილების ნუსხაში შეტანილი არ იქნებიან, თუ ქართული ენა გაკვეთილების ნუსხაში შეტანილი არ იქნა, თუ ბ. ბ. რევიზორები რევიზიას არ გაუკეთებენ ამ საგნის სწავლებას, და პირიქით კიდეც უსაყვედურებენ მასწავლებელს ქართული ენის სწავლებას. საშუალების უქონლობითაა საქმე დაბრკოლებულიო, რომ შეიტყვეს მღვდლებმა, ერთმა მათგანმა, ვგონებ, მ. ბ. ხარებავამ მოახსენა ყ-დ უსამღვდელოესობას: ჩვენ თვითონ დავაარსებთ ფონდს გალის მეორე კლასიან სკოლაში ქართული ენის მასწავლებლის შესანახად, გთხოვთ აკურთხოთ ჩვენი დაწყებაო. მაგრამ სხვაზე გადავიდნენ და ეს საკითხი გადააფუჩეჩეს.

იმ მღვდელისაგან, რომელმაც ქართული ლოცვანი დაურიგა მლოცველ ქრისტიანებს ბედიაში და რომელიც აფხაზურისა და ქართულის მდევნელად სამართლი-

ანად არ ითვლება, სამწყსო (სამურზაყანოელები და მეგრელები ოლქისა) ცოტა მეტს მზრუნველობას მოელოდა გალის მეორეკლასიან სკოლაში და სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლებას მოწესრიგების საქმეში.

ვერც გალის მეორე კლასიან სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებლებმა გამოიჩინეს საკმაო საქმიანობა, რომ ამ სასწავლებელში ქართულის სწავლება შემოეღოთ. ის კი არა, ამ ორ პირთა მეოხებით მთლად მოისპო ერთხელ შემოღებული ქართულის სწავლებაო, ამბობენ ზოგიერთები და მეც ასე მგონია.

მას ნუღარ ვჩივით, რაც უკვე მომხდარა, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადიო“ და ზემოხსენებულ პირთ ახლაც შეუძლიათ გამოასწორონ თავისი შეცდომები: მოინდომონ და მოითხოვონ ქართულის შემოღება სასწავლებელში. საშუალება ადვილი აღმოსაჩენია. ვნახოთ, რას იზამენ.

რადგან სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შესახებ ვლაპარაკობ, უნდა ვახსენო სოხუმის ქართული სკოლაც. მე ამ წელს პირველად ვნახე ეს სასწავლებელი, რომელმაც ბევრი საიმედო აზრები აღმიძრა გულში. ვაშა სოხუმის ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმეს. მე ქართულ სკოლაში 11 ოქტომბერს შევიარე. სკოლის გამგემ ბ. ნ. ჯანაშიამ დიდი კმაყოფილებით დამათვალიერებინა სასწავლებელი.

ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ რაიმე იღონოს, რომ ქართულის სწავლება შესაფერის დონეზე დააყენოს სოხუმის ოლქის ქართულ სკოლებში („განათლება“).

პ. ჭ-ა

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 29 იანვარი, ოთხშაბათი, №1102-1103, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

12 თებერვალს ალიოზის თეატრში გაიმართა ქართული სამუსიკო საღამო ბ. ძუკუ ლოლუას ლოტბარობით, რომელსაც ნამდვილი ეროვნული ხალხური ხასიათი ჰქონდა. დამსწრენი აღტაცებულნი იყვნენ.

საღამო ოთხ განყოფილებიანი იყო; ყოველი განყოფილება თავდებოდა ცეკვით და დივერტისმენტით. მესამე განყოფილებაში ფარდის ახდამდის მოისმა შორიდან ძველ მებრძოლთა გამამხნევებელი სიმღერა „მგზავრული“ სროლითა და დოლით. მეოთხე განყოფილებაში შედიოდა ჩვენებური ღამის თევა: ეკლესიის ეზოში ისხდნენ სუფრის ქარს ქულაჯით გამოწყობილი ახალგაზრდობა. იმღერეს „მრავალჟამიერი“ „თამარ ქალი“, „მურმან“ და სხვა. ამ დროს შორიდან გამოჩდნენ ჩოხოსნები „ხასანბეგურისა“ ძველი „აბადედის“ სიმღერით. ჩოხოსნები მიიწვიეს ქულაჯებიანებმა. მოუსხდნენ სუფრას და სხვა და სხვა სიმღერები შემოსძახეს. განყოფილების ბოლოს იყო ორ სართულიანი „ფერხული“ მეგრული „ძამრალეთ“. განსაკუთრებითი აღტაცებით მიეგებნენ სიმღერებს: „სი ქოულ მატა მაქომიტალენქო“, ეს სიმღერა ძველთაძველ ხალხურია. მეგრული თვით ძ. ლოლუასაგან არის გადაკეთებული; ჯერ მღერის ტრიო, ბოლო კი ერთად გუგუნით თავდება. ეს სიმღერა იმიტომ ავღნიშნე, რომ ჯერ ამ სიმღერას ნაკლებ იცნობენ საქართველოს კუთხეები, თორემ სხვა სიმღერებიც საუცხოოდ იყო შესრულებული.

ლექსი „განთიადი“ გრ. ორბ. წაიკითხა ვ. კიზირიამ; იმერული სცენები წაიკითხა შ. ს. ანჯაფარიძემ, გურული სცენები, თორმეტი წლის ბავშვმა ი. კ. აღსანიშნავია საუცხოო ცეკვა ბ. თეო გაბუნიასი და ბ. ა. სახოკიასი. მესამე მუშა გ. მარგიანი (სვანი) ორი ხანჯლითა და ხმლით ისე ცეკვავდა, რომ დამსწრეთა გაკვირვებას იწვევდა; ამათ ცეკვის დროს ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთი სიტყვით, საღამომ მშვენივრად ჩაიარა. განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. საღამოს შემდეგ, გაიმართა ნადიმი. დიდი ოვაციით შეხვდნენ ბ. ლოლუას, სიმღერითა და ტაშის ცემით ატარებდნენ მას. სუფრაზე გაიმართა სადღეგრძელოები და შესაფერისი სიტყვები წარმოსთქვეს თ. ჯ. შ-ძემ და ნაფიც ვექილმა ბ. მა-ძემ აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მუსიკას და კერძოთ ჩვენში. დილის ხუთ საათზე საზოგადოება დაიშალა.

როგორც გადმომცეს დიდი მადლობის ღირსია ბ. ალექსანდრე ჯაიანი, რომლის დახმარებით შეუძენიათ ხოროსთვის ახალი ტანსაცმელები. უსურვოთ ბ. ლოლუას და მის ჯგუფს მეტი სიმხნევე და ენერგია.

დამსწრე

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 4 მარტი, სამშაბათი, №1130, გვ. 3.

წერილი ოჩემჩირიდან

სამოსწავლო მთავრობას განუზრახავს სოხუმში საოსტატო სემინარიის დაარსება. ქალაქი სოხუმი აძლევს საჭირო მიწას და ფულად 10 000 მანეთამდე. ოლქის მცხოვრებთაგან მოითხოვეს ამავე საგნისთვის ხუთ-ხუთი მანეთი კომლზე და წინადადება მისცეს თითოეულ საზოგადოებას განაჩენი შეედგინათ ამ დახმარების თაობაზე. ბევრი საზოგადოება, ზოგი სიღარიბის გამო, ზოგიც სხვა მოსაზრებით, უარზე იყო განაჩენის შედგენაზე. მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ მოიხმარა ცოტაოდენი გავლენა და ასე თუ ისე შეადგენინა განაჩენი. ბევრგან მაინც ვერ შედგა განაჩენი.

ეხლა 26 თებერვალს სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილის (აბჟუვის) საზოგადოება წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ დ. ოჩემჩირეში განზრახულ საოსტატო სემინარიის დახმარების აღმოჩენაზე. ზ. ილორი, რომელიც ორი ვერსით არის ოჩამჩირეს დაშორებული, დაჰპირდა, – თუ სემინარიას ილორში გახსნიან ოცი ათას მანეთამდე ფულით შევეწევით და 40 დესეტინა მიწასაც შევწირავთო. სამურზაყანოელები მიემხრნენ ამ აზრს, მაგრამ აბჟუვის (კ-დ. ნაწილის) წარმომადგენლებმა ილორში სემინარიის გახსნის წინააღმდეგი ხმა მისცეს, და თანხმობაც განაცხადეს (თუმცა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ხალხი ბევრგან წინააღმდეგია) ხუთ-ხუთ მანეთს გადავიხდით, თუ სემინარია სოხუმში გაიხსნებაო. სამურზაყანოს წარმომადგენელნი კი ამის წინააღმდეგ შეიქმნენ: სოხუმში დაარსებული საოტატო სემინარია სიშორის გამო ჩვენთვის მაგრა სასარგებლო არ არისო და, იმიტომ ამ საგანზე არც ფულის გაღება შეგვიძლიაო,

ამ ზამთრის სეზონში ტყვარჩელის სახაზინო ტყეში თხები არ შეუშვეს საბალახოდ და ამით პატრონნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ. წინა წლებში კი უშვებდნენ თხებს; თითო სულ თხაზე ექვს-ექვს შაურს ახდევინებდნენ. მართალია ეს გადასახადი მცირე არ იყო, მაგრამ მაინც იხდიდნენ. წლეულს კი ბევრი ეხვეწეს და ემუდარეს სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ წარმომადგენლებს თხის მეჯოგეებმა; ადგილობრივმა

ადმინისტრაციამაც ამათ მხარი დაუჭირა, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ს. ტყვარჩელის მცხოვრებმა უმრავლესობა წვრილფეხა რქოსან საქონლითა სცხოვრობს და თუ შემდეგ წლებშიაც აუკრძალეს მათ ზამთრის სეზონში სახელმწიფო მიწების სარგებლობა დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდებიან ისინი და იძულებულნი იქნებიან გაწყვიტონ თხები, ხოლო ეს კი სახელმწიფო თვალსაზრისითაც არ იქნება სასარგებლო.

გუფის საზოგადოებაში შარშან მიწის გამიჯვნა სწარმოებდა. მთლად ვერ მოათავსეს. მთის ძირში დარჩა საზოგადო თავისუფალი მიწა, და აქ უნდა მიუზომონ მიწები იმ მცირე-მამულიანს, ვისაც ერგება დასამატებელი ნაჭრები. მაგრამ სანამ მიუზომავდნენ, ახლა მაინც ვისარგებლოთო, და ბევრი ნებადაურთველად შეესია თურმე ამ ტყეს და უწყალოდ სჭრიან წაბლის ხეებსა. კანონით კი ჯერ სოფელმა განაჩენი უნდა დაადგინოს, თუ ვის რამდენი ხის მოჭრის ნება მისცეს, მერე ეს განაჩენი მომრიგებელმა შუამავალმა უნდა დაამტკიცოს და ხოლო მას შემდეგ უნდა მოსჭრან ხეები. ახლა კი როგორც ამბობენ, თავის ნებით ჭრიან საზოგადო ტყესაო. ამაზე ეგრედ წოდებულ საზოგადო მიწებისა და ტყეების ზედამხედველებმა უკვე მოახსენეს მომრიგებელ შუამავალსა. ვნახოთ რა გამოვა.

კოდორის ნაწილის ყველა საზოგადოება ორ-ორ კაცს ჰგზავნის სოხუმში, სადაც 4 მარტს სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებთან ერთად უნდა აირჩიონ დეპუტაცია ტფილისში გასაგზავნად. დეპუტაციამ უნდა იშუამდგომლოს მეფის მოადგილის წინაშე: 1. დასავლეთ კავკასიის დამშვიდების 50 წლისთავზე ამ წლის 21 მაისს, ნება დართონ გარდაიხადონ საიუბილეო დღესასწაული; მეორე. სთხოვონ მეფის მოადგილეს, რომ სოხუმის ოლქი ისეთ ადმინისტრაციულ ერთეულად გადაკეთდეს, რომელიც შეეფერება მისს დღევანდელს მდგომარეობას.

კვირას, ორ მარტს, ადგილობრივ სამკითხველოს დარბაზში მოხდა წერა-კითხვის საზოგადოების ოჩამჩირის განყოფილების წლიური საზოგადო კრება. კრებამ დაამტკიცა 1913 წლის შემოსავალ-გასავალი, დაავალა გამგეობას დ. ოჩამჩირის წარმომადგენლებისაგან შეიძინოს მიწა, სადაც უნდა აშენდეს სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა. დაავალა გამგეობას დროზე იზრუნოს და ამ თავითვე იშუამდგომლოს დ. ოჩამჩირეში ქართული სკოლის გახსნის თაობაზე. ბოლოს გამგეობიდან გასული ორი წევრის მაგივრად ახლები აირჩიეს: ქ-ნი მარიამ ჩაჩავა და პ. ჭარაია. განყოფილების თავმჯდომარედ, მის ამხანაგად და დანარჩენ გამგეობის წევრებად და კანდიდატებად ისევ ძველები დასტოვეს.

გაზ. „სახალხო გაზეთი,“ 1914 წ. 14 მარტი, პარასკევი, №1139, გვ. 3.

თავად დ. ე. ჩოლოყაშვილის მოხსენება საერობო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ

1915-17 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის ცალკე გუბერნიებში ყოველწლიური შემოსავალ-გასავალი ასეა განაწილებული:

ყოველწლიური შემოსავალი: ყოველწლიური ხარჯი:

სოხუმის ოლქი: 139,021 234, 310

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 18 აპრილი, პარასკევი, №1165, გვ. 3.

ტკვარჩელის სამკურნალო წყლები

ტკვარჩელის ხეობაში მდინ. დალიმყის პირად არის თბილი გოგირდის წყლები, რომლებიც ღირსებით არ ჩამოუვარდება კავკასიის ბევრ ამგვარ წყლებს. ეს სამკურნალო წყალი სახაზინო მიწაზე, მაგრამ სრულიად მოუწყობელი. აქ მარტო ერთი ფიცრულის სახლია, ოთხიოდე ოთახია, უმუხრო, და უბრალო წკნელით დადობილი კარვები, ერთი სიტყვით სრულიად მოუწყობელია ეს აბანო. ბევრნი არიან მსურველნი იჯარით აიღონ ეს წყლები, მოაწყონ რიგიანი აბანო, თვითონაც ისარგებლონ, ხაზინასაც მეტი შემოსავალი მისცენ. მაგრამ სახელმწიფო ქონებათა უწყება არც თვითონ აკეთებს, ხოლო იჯარით იძლევა მხოლოდ თითო წლობით, და ერთის წლისათვის და ერთის წლით როგორ შეიძლება სამკურნალო წყლების გაუმჯობესება? ხალხი მოდის აქ, და ბევრნი, მორჩენის მაგიერ, კიდეც უფრო დაავადებულნი ბრუნდებიან.

წლეულს ეს ტკვარჩელის აბანო ძალიან ძვირად არის იჯარით გაცემული – 1250 მან. (შარშან 600 მანეთად იყო იჯარით აღებული) ამიტომ, როგორც დანამდვილებით ამბობენ, მოიჯარადეებმა მეტად აუწიეს როგორც წყლების ისე ბინების ქირას. სრულ მოუწყობლობასა და უბინაობასთან ერთად აქ მეტისმეტი სიძვირეა ყოვლის დროსა.

სეჰ

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 14 მაისი, ოთხშაბათი, №1186, გვ. 3.

კოტე მესხის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშები და წერილები (ქართული თეატრის დედაბოძთაგანი).

სოხუმი – ძვირფასი კოტეს გარდაცვალებამ თავზარი დამცა დაუყონებლივ მივემგზავრები.

ლადო მესხიშვილი

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 18 მაისი, კვირა, №1189, გვ. 2.

სოხუმი – ტუაფსეს ოლქში გაჩნდა მინდვრის თაგვი, რომელიც სიმინდს აფუჭებს.

გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. 22 მაისი, ხუთშაბათი, №1192, გვ. 2.

გაზეთი „საალხო ფურცელი“

წერილი ღალიძგის პირიდან

(გაჭირვებული მდგომარეობა გადმოსახლებულ მეგრელებისა და ზოგიერთ საზოგადოებათა აფხაზებისა)

უკანასკნელი რუსეთ-ოსმალეთის ომიანობის შემდეგ, როცა აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობას მიუზომეს საკუთრებად კერძო ნადელები, იწყება სამეგრელოს სხვა და სხვა კუთხიდან მეგრელების გადმოსახლება სოხუმის ოლქში. პირველ ხნობით, როდესაც მოჰაჯირებად ოსმალეთში გარდახვეწილი აფხაზების მამულები გაპარტახებული ეგდო და შიგ ტურა-მგლების შიშით კაცს ვერ გაევლო, რუსის მთავრობა დიდის სიამოვნებით ასახლებდა მეგრელებს ამ სახაზინოდ ქცეულ

მიწებზე ახლანდელი გუმისთის ნაწილის ზოგიერთ ადგილებზე. მართალია, მთავრობას იმთავითვე საუკეთესო ადგილები რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის ჰქონდა შენახული, მაგრამ მაინც მეგრელების და საზოგადოდ ქართველების დენას სოხუმის ოლქში მთავრობა თუ თვალსაჩინოდ ხელს არ უწყობდა, არც ძლიერ აფერხებდა მაინც. მაშინ დასახლდნენ მეგრელები აბჟაყვაში, ნააში, ფშაფში და სხვა. მთავრობის პოლიტიკამ იცვალა გეზი: მეგრელებს და საზოგადოდ ქართველებს სოხუმის ოლქის სახაზინო თავისუფალ მიწებზე გადმოსახლება სრულიად მოუსპეს.

უფრო ამის შემდეგ მიწის სიმცირისა გამო სამეგრელოდან გადმოსახლებულ მეგრელებმა კერძო მემამულეებს თავი შეახიზნეს. ყიდულობდნენ მეგრელები კერძო მემამულეთაგან თითო-ოროლა დესეტინა მამულს შინაურად შედგენილი ნასყიდობის წერილებით, ან იჯარას აძლევდნენ მემამულეებს ამა თუ იმ სახით. მაშინ ეს კერძო „ნადელები“ (საუკეთესო საშენი მასალა, საბოჭკო და სხვა, იმთავიდვე უკვე გაჰყიდეს მემამულეებმა) უბრალო ტყითა, ჩირგვნარითა და გვიმრით იყო შემოსილი. იძენდნენ თუ არა ასეთ მიწებს, მეგრელები კაფავდნენ მიწებს, წმენდნენ, იღებდნენ ახოებს და „უყსა საყანედ განამზადებდნენ“ სხვაგან აშენებდნენ ვენახსა და ხეხილსა. ერთი სიტყვით უბრალო დაუმუშავებელ მიწებს კულტურულ მიწის ნაჭრებად აქცევდნენ. პირველ ხნობით ასეთ მეგრელთა მდგომარეობას არა უშავდა რა. მაგრამ მალე გარემოება შეიცვალა. სხვა და სხა მიზეზთა გამო როგორც ფულის მოთხოვნილებამ, ისე მამულების ფასმაც აიწია. მაშინ მემემულეებმა დაუწყეს გლეხებს ნაყიდ მიწებში დამატებით ფასების მოთხოვნა. ვინც ასეთ მოთხოვნაზე უარს იტყოდა, იმას მამულიდან აყრასა და გადასახლებას ემუქრებოდნენ და გლეხებიც იძულებული იყვნენ ეს დამატებითი ფასები ეძიათ, ან მემამულეების ყანაში უსასყიდლოდ ემუშავათ, ხვნასა,მარგვლასა და სხვა სამინდვრო და საოჯახო საქმეებში. ასე რომ ბევრს, როგორც თვითონ ამბობენ, ერთი და იგივე ნაჭერი მიწა ნაყიდი აქვთ ორჯერ და სამჯერ მეტადაც. ერთი სიტყვით იქიდან, სამეგრელოდან, გამოეცნენ დროებით ვალდებულებას და აქ სოხუმის ოლქში მოექცნენ იმავე დამოკიდებულებებში მემამულეებთან. ზოგნი როცა ვერ ეწყობოდნენ თავის მემამულეებს, სტოვებდნენ ოფლით გაწმენდილ ყანებს, ვენახებსა და ხეხილს, გადადიოდნენ მეორესთან, ხშირად მესამესთან, მაგრამ ყოველგან წინ უხვდებოდათ ერთი და იგივე ხვედრი. სხვა რა უნდა ექნათ გლეხებს, როცა, როგორც ზევით მოგახსენებთ, მიწები ნაყიდი ჰქონდათ შინაურულად შედგენილი პირობებით და ასეთ პირობების დარღვევას ადვილად პირდებოდნენ და პირდებიან მემამულეებს ადგილობრივი „ აბლაკატებიც“.

ასეთ გადმოსახლებულ მეგრელთა და საზოგადოდ ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნა ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ოსმალეთიდან მრავალი თათარი, ბერძენი და სომეხი მოაწყდა სოხუმის ოლქს. ესენი სულ მეთუთუნეობას მისდევენ, თუთუნი ძლიერ ღლის და აფუჭებს მიწას, მაგრამ ამას ვინ დაგიდებს, როცა თუთუნი ძალიან ძლიერ ფასად იყიდება. ამიტომ თუთუნის პლანტატორები მიწის დიდს იჯარას უძლებენ. ახლა აბჟუვაში (კოდორის ნაწილში), თუთუნისათვის 20-30 მანეთად ქირაობენ ერთ დესეტინა მიწას, მეგრელები კი სიმინდის მოწევას მისდევენ, ხოლო სიმინდით ამ სიდიდე იჯარის გადახდა ძნელია. და, აი, მემამულეებიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, მეგრელებს ამა თუ იმ სახით აგდებენ თავის მამულებიდან, და მათ დამუშავებულ ადგილებს აძლევენ სხვებსა. რატომ დროზე არ

დაიმტკიცეს კანონიერად ნაყიდი მიწებიო, იტყვის ბევრი. ეს მარტო დაუდევრობისა და უცოდინარობის მიზეზით არ მომხდარა, თვით მამულებს არა ჰქონდათ საჭირო დოკუმენტები და აბა როგორ დაიმტკიცებდნენ გლეხები ნაყიდ მიწის ნაჭრებს? ნუ თუ ისეთ გლეხებს, რომლებსაც შინაურად შედგენილი ნასყიდობის ქაღალდებით უყიდიათ მიწა, და ეს მიწა თავის ოფლით გაუპოხიერებიათ, ზედ სახლობენ 20-30 წელიწადი, არ უნდა შერჩეთ ეს მიწა მარტო იმიტომ, რომ მათ ფორმალურად არა აქვთ ეს მიწა ნაყიდი. კანონის სრულის დარღვევა ხომ არ არის, არამედ მისი ფორმის.

ასეა თუ ისე დღეს აბჟუვაში მიწის ფასმა საკმაოდ აიწია. დესეტინა მიწა ფასობს 100 მ-270 მან. მიწის ფასის აწევას ხელს უწყობს მოლოდინიც შავი ზღვის სანაპირო რკინის გზისა. მყიდველად გამოვიდნენ ამ ბოლო დროს რუსები და სომხები. მეგრელებსაც კი აქვთ დიდი სურვილი მიწის შეძენისა, მაგრამ კერძოობით ასე დიდი ფასების გამოღება არ შეუძლიანთ, ხოლო შეერთებულად მიწის შეძენას, შეერთებულად საქმის კეთებას მაგრა დაცული ვერ არიან და ვერც მცოდნე მოთავეებიცა ჰყავთ. აქა-იქ მეგრელ-იმერლებიც ჰყიდულობენ მამულს, მაგრამ უფრო წვრილ ნაჭრებად.

ვერც ადგილობრივი მკვიდრი აფხაზებიც არიან მაინცა და მაინც უკეთესს მდგომარეობაში. მხოლოდ ზოგიერთ საზ-ბაში აღმოჩნდა საკმაო მიწა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მიწის მხრივ გვარიანად მოწყობილიყვნენ. ზოგ საზ-ბაში („ობშჩინაში“) მაგ: ტკვარჩელში, გუფში დიდი მიწის სიმცირეა. და აქ აფხაზებს ხრიოკ უნაყოფო მთებზე მიუზომეს ნაჭრები, რადგან მეტი თავისუფალი საზოგადო მიწა არ აღმოჩნდა. ამ ორ საზ-ბაში გამიჯნვა თითქმის გათავდა და ვითომ მოაწყეს გლეხები, მაგრამ დღესაც მიწის სიმცირით შეწუხებულთა რიცხვი იგივეა რაც წინათ იყო.

ს. ტკვარჩელში რამდენიმე მოსახლე გლეხები გვარად არიშბაიები სარგებლობდნენ უხსოვარი დროიდან 20 დესეტინა მამა-პაპეული მიწით. ახლა, როცა „ობშინა“-სა და ხაინის მიწების საზღვრებს არკვევდნენ, ეს 20 დესეტინა ხაზინის საკუთრებათ აღმოჩნდა. თუმცა ამოდენა ხანია ეს გლეხები ზედ ესახლდნენ ამ მიწაზე, სახნავ-სათესად და სხვა მხივაც მუდამ სარგებლობდნენ ამ მიწას, ხაზინას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ამ გლეხებთან, არც არაფერს ახდევინებდა. ახლა ამ გლეხებს ამ მიწიდან გადასახლებას უპირებენ. ს. ტკვარჩელში სამოსახლოდ და სახნავ-სათესად გამოსადეგი მიწა, გამიჯვნის შემდეგ სრულიად აღარ დარჩა, რაც შეუძლიან დაამოწმოს ადგილობრივმა მომრიგებელმა შუამავალმაც. და რაღა უნდა ეშველოს ამ გლეხებს, თუ ასევე მიწა არ მიეცა იმათ რამენაირად.

კერძო მემამულეებს რომ მიმართონ, აფხაზებსაც იგივე ემართებათ, რაც გადმოსახლებულ მეგრელებსა. მთებისკენ არის სახაზინო მიწები. და ეს მთის ადგილები ბევრგან გამოსადეგია აფხაზებისათვის, რადგან ესენი წვრილფეხა რქიან საქონლის მოშენებასაც მისდევენ. მაგრამ სათანადო უწყება ამ მიწებს იჯარით არ აძლევს სამოსახლოდ აფხაზებს. ერთი სიტყვით უმიწა-წყლობით შეწუხებულ აფხაზებსაც არსაით გასანძრევი არა აქვთ.

შეჰ

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 14 ივნისი, შაბათი, №12, გვ. 4.

ხმა სამურზაყანოდან

(იხ. ბუნების აღწერა – რედ.).

...მთელს სამურზაყანოში ნამდვილი დაბა არ არსებობს. არის მხოლოდ 3 სოფელი: გალი, ოქუმი, ტოგონი (აჩიგვარა), რომელნიც ძლიერ მოგვაგონებენ დაბას. დუქნები თითოეულ მათგანში 60-მდე აღწევს. ამ სოფლებში მოვაჭრეთ არიან, როგორც მეგრელნი, ისე იმერელნი, გურულნი. ყველა აქ მოვაჭრენი თავისუფლად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე. დავთრებსა თუ სხვა სავაჭრო ანგარიშებს ქართ. ენაზე აწარმოებენ. თავად-აზნაურობაში დღემდე კარგად არის ქართული ენა გავრცელებული. როგორც ეტყობა მას მათ შორის ძველათ უფრო მტკიცეთ ჰქონია ფეხ-გადგმული. სოფლებშიც შეხვდებით გლეხებს ქართული უბრალო წერა-კითხვის მცოდნეს.

თითქმის ყველა აქაური სასწვალებლები მთავრობის მიერ არიან გახსნილნი. სწავლა სწარმოებს მუნჯურის მეთოდით. სამურზაყანოს სკოლებში წინად რუსულთან ქართულსაც ასწავლიდნენ.

მაშინ სამურზაყანოში ჯერ არ იყო ორკლასიანი სამრევლო სასწავლებლებზე მაღალი სასწავლებლები. აქაურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლამ მისცა ამ მხარეს ქართული ენის მცოდნე პირები; სოფლის მასწავლებლები და სხვ.

დღესაც შეხვდებით აქ ქართულად ნაწერ ხელშეკრულების პირობებს, მოწმობებსა და სხვა ამგვარ ბარათებს იმ დროს სოფლის მწერლების მიერ, როცა დღევანდელი მწერლები თავიანთ სახელის და გვარის მიწერასაც ქართულად ძლივსღა ახერხებენ. ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში, გამოდის ოფიციალური განკარგულება, რომლის წყალობით სამურზაყანოელთა სკოლებიდან იდევნება ქართული ენა. ზოგიერთი მასწავლებლები, რომლებსაც პირველდაწყებითი სწავლა სამურზაყანოშივე აქვთ მიღებული ეროვნულ ნიადაგზე და მერე მასწავლებლად. მომზადებული სხვაგან და აქვე დაუნიშნავთ მასწავლებლათ, ამ მთავრობის განკარგულებას პროტესტს უცხადებენ და მეცადინეობენ რუსულ ენასთან ერთად ქართულადაც განაგრძონ სწავლა. აი რა ღრმა კვალი დაუტოვებია 60-იან წლებში აქაურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლას. მაგრამ მათ რა ძალა შესწევდათ. რუსული ენა ფართოდ იშლის ფრთებს, ქართული კი უფრსკულისაკენ მიექანება. ახლა ის მასწავლებლები აღარ გყვანან, სკოლები სხვაგვარ ფერსა ღებულობენ. თუ წინათ აქაურ სკოლებში სწავლა დამთავრებულნი შიდა საქ-ში მიდიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, ეხლა მათთვის ჯერ გუდაუთში და შემდეგ გალში მთავრობა დაარსა ორკლასიანი სამასწავლებლო სამრევლო სასწავლებელი, სადაც ქართულის ხსენებაც არ არის. ზუგდიდიც გვაძლევდა მასწავლებლებს, მაგრამ ამ მხრივ იმ დროს არც ის იყო შორს წასული. რას უნდა მოველოდეთ ამგვარ არსებობაში მყოფი სკოლებიდან?ასეთ ფერ-შეცვლილმა სასწავლებლებმა მოგვცა ფერ-შეცვლილი მასწავლებლები: თვით-ცნობიერებას, საქართველოზე, მის ჭირ-ვარამზე, მისი კულტურულ ენაზე წარმოდგენას მოკლებულნი. ერთი სიტყვით, შინაურის უცნობი. ასეთ მასწავლებლებს მოუხდათ მოღვაწეობა იმ დროს, როცა ამ ახლო წარსულმა განმათავისუფლებელი მოძრაობას (ამოხეულია) მიანიჭა სამურზაყანოელთა სკოლების (ამოხეულია) უფლება, ქართულ ენაზე სწავლებისა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენთან ერთად ჩვენი მშობლებიც დიდ სიხარულს განიცდიდნენ. მაგრამ სკოლებს თავში უდგანან მასწავლებლები უცნობნი ქართულ ენისა. მახსოვს ჩემს მასწავლებელს თვითონ

ჰქონდა ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და რვეული, საცა ქართული ანბანის წერას სწავლობდა, როგორც მახსოვს მისი სწავლაც იმ დედა-ენით და რვეულით დაგვირგვინდა. არ ვიცი ვინ იყო ის მასწავლებელი თუ მოწაფე, მაგრამ ის კი ცხადია ჯერ თვითონ დაისწავლიდა და მერე ჩვენ გვაძლევდა გაკვეთილებს „დედა ენიდან“. მგონია ბევრგან სხვაგანაც სამურზაყანოში ასეთი მაგალითები მეორდებოდა. დღეს აქაურ სკოლებში ქართული ენა უკან თუ არა წინ არ წასულა, ერთი სიტყვით, ქართ. ენა სამურზაყანოელ სკოლებში სატირალ მდგომარეობაშია, ქართულ წერა-კითხვის მცოდნეს იშვიათათ შეხვდებით, სასულიერო წოდებაშიც ბრძანდებიან ისეთნი, რომ ქართული წირვა-ლოცვა არ ეხერხებათ.

(გაგრძელება იქნება) სამურზაყანოელი თ. ნ.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 26 ივლისი, შაბათი, №48, გვ. 3.

ხმა სამურზაყანოდან

(გაგრძელება)

თუ წინათ ქურდობა იყო საერთო სენი, რომელიღაც ბოლო დროში ცოტათი შემცირდა, ახალ მეორე სენმა იჩინა თავი, რომელიც მასზე არანაკლებ ვნებს მოსახლეობას.

ჟურნალ-გაზეთები ორიოდე პირის გამოკლებით არავის მოსდის და არც არავინ ზრუნავს აქ მის გავრცელებაზე. ჟურნალ-გაზეთები მეტ ბარგად მიაჩნიათ.

საკვირაო სკოლების ხსენება ხომ არ არის აქ. წიგნთ-საცავ-სამკითხველო მთელ სამურზაყანოში არც ერთი არ მოიპოვება. როცა სამურზაყანოში კარგი ამინდი იდგა, პატივცემულ ივანე კონსტანტინეს ძე გეგიას მიერ დაარსდა დ. ოქუმში წიგნთ-საცავ-სამკითხველო. იმ დროს მას აქ საკვირაო სკოლაც ჰქონდა გახსნილი.

სალიტერატურა დილა-საღამოები, წარმოდგენები აქ სულ უცნობი ხილია. მის მაგივრად ცირკი, სინემატოგრაფი, ჭიდაობა და სხვა ამგვარ გასართობები იმართება. სადაც ხალხი ბლომად ესწრება.

სამურზაყანოელი გლეხი სოფლის მყუდრო ცხოვრებას მიჩვეული ვერ ხედავს კულტურულ იარაღებს, სრულიად არ ზრუნავს მეურნეობის გაუმჯობესებაზე. ბევრი ხანია ადესის ვაზის მოსავალმა იკლო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ ნაცვლად დამყნილ ვენახების გამრავლება.

დაფნა, რომლის მოყვანას მიზდევენ ცაისში, ხეთაში, ხობში, რომლით დიდძალ ფულს იძენენ, სამურზაყანოს ბუნებისათვის ზედ გამოჭრილია, საუბედუროდ აქ არავის აზრადაც არ მოსვლია მისი მოშენება.

აბრეშუმის მოყვანა, რომლის გამოსაკვები ფოთლის მომცემი თუთის ხეები ტყეშიც კი იზრდება, არ არის გავრცელებული. ცრუ მორწმუნეებს ცოდვად მიაჩნიათ, წმინდა გიორგისა ეშინიათ.

ნოქართა რიცხვი მოსახსენებელ დაბებში საკმაო რიცხვს შეადგენს. ესენი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. მათთვის არ არსებობს არავითარი ნორმა დასვენებისა.

ყველანი ხაზეინების ყურმოჭრილ ყმათ ქცეულან. კვირა უქმე დღეებში დუქნები არ იკეტება. დილის რიჟრაჟიდან იღება დუქნები და ღიაა შუაღამის 1სთ-მდე. ხელოსნებისა და მიკიტნების დუქნები ზოგჯერ კიდევ უფრო გვიან იკეტება. წვრი-

ლი ხელოსნებისა, ნამეტურ ხარაზებისა და შეგირდების უმწეო მდგომარეობა, მათი გაჭირვება სწორედ აუტანელია.

გადავავლოთ თვალი სამეგრელოს პირველ ნაწილს ოდიშსა, არც ეს იმყოფება სასურველ დონეზე, მაგრამ მაინც სამურზაყანოსთან შედარებით აქ სიცოცხლის მაჯა უფრო მაგრად სცემს. თუ ყოველ საზ-ბაში და არა ყოველ მეორეში მაინც იშვიათად არ შევხვდებით წიგნთ-საცავ-სამკითხველოსა, კოოპერატიულ დაწესებულებებს, აქაიქ იმართება სალიტერატურო დილა-საღამოები, წარმოდგენები, უფრო ვრცელდება გაზეთები, აბრეშუმის მოყვანაში ხომ ბადალი არ ჰყავს მთელს საქ-ში, მწირი მიწები სიმინდისთვის გამოუსადეგარი დაფენილია დამყნილი ვენახებით და თუ ამ ბოლო დროში ოდიშელებსა აფხაზეთიდან და სამურზაყანოდან გამოჰქონდათ ღვინო, მგონია შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა წინააღმდეგ მოვლენას ვიხილავთ.

ხალხის ამამოძრავებელი, მისი მაცოცხლებელი, მისი წინსმვლელობისაკენ დამყენებელი არის ენა. მკვდარია ის ერი, რომელს არ მოეპოვება თავისი საკუთარი კულტურული ენა. ხოლო სამწუხაროთ მეგრელთა ხალხური ენა რამოდენიმედ დაშორებულია ჩვენი სამშობლო კულტურული ენისაგან.

ამიტომ ზნეობრივად, ჩვენი საკეთილდღეოდ ვალდებული ვართ სკოლებში მაინც დავიცვათ ჩვენი კულტურული ენა. სადაც მეტი ვიქნებით მისი მცოდნე, იმდენად მეტი სიცოცხლე დაგვემჩნევა, იმოდენათ ბევრ რამეს გავაკეთებთ. ვისაც სამურზაყანოზე გული სტკივა, სრულიად სამართლიანად მოითხოვს მისი მასწავლებლებისაგან მათ ნაკლის შევსებასა, რასაც ქართული ენის ცოდნით შესძლებენ და აქაურ სკოლებში ქართულ ენას ღირსეულ სიმაღლეზე დააყენებენ. ეს ასეც უნდა იყოს, თუ ხალხისათვის არის გაჩენილი მასწავლებლები და სკოლები.

სამურზაყანოელი თ. ნ.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. ივლისი, №49, გვ. 4.

გაგრა

პირველ ოქტომბერს გაგრაში (შავი ზღვის გუბ.) გამართულმა ბაირაღობამ კარგად ჩაიარა; უხვად შეგროვდა შეწირულება.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 7 ოქტომბერი, სამშაბათი, №105, გვ. 3

ჩაის მოყვანა ჩვენში

„ამ ჟამად საცდელი ჩაის მინდვრების რიცხვი დას. საქ-ში 23-ს უდრის და ასე ნაწილდება.

ოზურგეთის მაზრაში – 9.
ზუგდიდის – 6.
სენაკის – 2.
ქუთაისის – 2.
სოხუმის ოლქში – 4.

დ. არონიშიძე.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 13 ნოემბერი, ხუთშაბათი, №137, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან
ქართულ აფხაზური ურთიერთობის შესახებ

(იხ.: ინფორმაცია საშუალო სტატია – რედ.).

ჰამთ – ბეი

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 26 ნოემბერი, ოთხშაბათი, №147, გვ. 3.

განათლება

გამოვიდა ახალი ისტ-ლი გამოცემანი ს. კაკაბაძისა: ისტ-ლი საბუთები, წიგნი IV და V, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, წვრილი სტუდიები საქ-ოს ისტ-ის საკითხების შესახებ, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914 წ. 28 დეკემბერი, კვირა, №173, გვ. 3.

გაზეთი „სიმართლის ხმა“

4 იანვარს დააპატიმრეს სოხუმში სულ ექვსი კაცი – იმავ დღეს გაათავისუფლეს.

გაზ. „სიმართლის ხმა“, 1914 წ. 16 იანვარი, ხუთშაბათი, №12, გვ. 2.

ქ. სოხუმი

ბევრჯერ დაწერილა გაზეთში, რომ სოხუმის ნოქრები ძლიერ ჩამორჩენილი არიან, მარა ნოქრებზე ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია აქ სახალხო უნივერსიტეტ-თან არსებობს საღამოს კურსები მოზრდილთათვის. დღემდის უსაყვედურებდნენ სახალ. უნივერსიტეტის გამგეობას, რომ კურსების სკოლა ქალაქის განაპირასა და ავდრებში ვერ ვივლითო. ეს საბუთიანი ჩივილი იყო და გამგეობამ შუა ქალაქში იშოვა ოთახები და მით კურსები ყველა პროფესიის მუშებისათვის მისაწვდომი გახდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას შემდეგ ნოქრები და სხვა მოსამსახურენი გულმხურვალეთ შეუდგებიან ცოდნის შეძენას და უკუაგდებენ კარტ-ნარდის თამაშს.

სახალხო უნივესიტეტთან არსებობს ქართული დრამატული სექცია, რომელსაც ყავას მოწვეული ხელმძღვანელად არტისტი არაბიძე და მართვის დროგამოშვებით წარმოდგენებს. სეზონის დასაწყისში წარმოდგენები ძლიერ კარგად მიდიოდა, პიესაც ძლიერ კარგად მზადდებოდა ეტყობოდა სცენის მოყვარეებს ხელმძღვანელის ყოლა და გამოფხიზლების ნიშნები, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს უკან დახევას ვამჩნევთ. ამას წინათ ითამაშეს „სისხლის ლაქა“ და ორ მოქმედებიანი კომედია ი. გომართელის „დრამატიული საზოგადოების წევრნი“ პირველის შესახებ არას ვიტყვი. მეორეს რომ კომედიის ავტორი დასწრებოდა თავის დღეში ვერ დარწმუნდებოდა, ეს მისი დაწერი-ლი იყო. უზომო და უადგილო სიტყვების ჩამატებამ ზოგი მოთამაშეთაგან ბალაგანად გადააქცია წარმოდგენა. მაგრამ ამის შესახებ რეჟისორს არც წინათ და არც შემდეგ არ მიუღია ზომები, რაც ძლიერ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ამის შემდეგ კიდევ დაიდგა გორკის „ნაძირალნი“, ჩატარდა ძლიერ ცუდად და გვიკვირს როგორ რთავს ნებას რეჟისორი როდესაც მოთამაშეებმა როლი არ იციან

და მოუმზადებლათ გამოდიან.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ სოხუმელ ნოქრებმა პროფესიონალური კავშირის წესდება გაგზავნეს გუბერნატორთან დასამტკიცებლათ მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის იმისი შესახებ, ნოქრები კი მოუთმენლად მოელიან წესდების დამტკიცებას და კავშირის გახსნას.

ნოქარი ეფროსინეშვილი

გაზ. „სიმართლის ხმა“, 1914 წ. იანვარი, კვირა, №20, გვ. 3-4.

გაზეთი „ტალღა“

სოხუმი

სასტუმრო რესტორნებისა და ყავახანების მომსახურეთა მდგომარეობას კაცი ვერ აღწერს. ჩვენთვის არ არსებობს განსაზღვრული სამუშაო დრო. მუშაობენ დილის 4 სთ-დან დაწყებული ღამის 12 სთ-მდის. სრული 20 საათია სამუშაო დრო. წარმოიდგინეთ არც კვირა-უქმე დღეებში აქვთ დასვენება. რა გასაკვირალია, რომ ასეთ ხალხს არავითარი წარმოდგენა არ ქონდეს ცხოვრებაზე, ისინი არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს და ისე კი რა უნდა გაიგონ! ამით სარგებლობენ ხაზეინები და სავსებით გვიმონებენ ჩვენ თავისუფალი ვართ მხოლოდ ხუთი დღე წელიწადში: შობა-ახალი წელი, ნათლისღება და აღდგომაც 2 დღე, დანარჩენი დრო ჩამწყვდეული ვართ სარდაფში და აბა რა უნდა ვიხილოთ.

დროა ჩვენც გავახილოთ თვალები და შევეცადოთ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამოვიწეროთ და ვიკითხოთ მუშათა გაზეთები და გავიგოთ ქვეყნის ავკარგი. გვეყოფა, რაც გვეძინა. ახლა მაინც შევუდგეთ საქმეს.

20 საათით მომუშავე ერმილე

გაზ. „ტალღა“, 1914 წ. 11 ივნისი, ოთხშაბათი, №1, გვ. 3.

სოხუმი

(სტატიის დასაწყისში საუბარია: ზინგერის მაღაზიების მოსამსახურეების გაფიცვა... სამუშაო დროის შემცირების მოთხოვნა და ადამიანური მოპყრობის მოთხოვნა – რედ.).

...სოხუმის ქალაქის აფთიაქის გამგეს ბ. ანდრია ჩხეიძეს განუცხადებია იქ მომუშავე აფთიაქის მოწაფეთათვის, რომ ქალაქის თავს თავად შერვაშიძეს სურს ყველა ძველი მოსამსახურე ფარმაცევტების დათხოვნაო. მუშაობა დილაობით ცხრა საათის მაგიერ ცხრის ნახევარზე უნდა დაიწყოთო, მუშათა გაზეთებს ნუ იწერთო. საინტერესოა ვიცოდეთ, მართლა თავად შერვაშიძის განკარგულებაა ეს თუ მის ზურგს უკან ამოფარებული ანდრია ჩხეიძის.

გაზ. „ტალღა“, 1914 წ. 12 ივნისი, ხუთშაბათი, №2, გვ. 2.

სოხუმი

აქაურ სამკითხველოს ქალაქი ინახავს, სამკითხველოში დღე თვალს ვადევნებ, მაინტერესებს თუ როგორი ხალხი უფრო ხშირად დადის: მაგრამ ერთხელაც ვერ ვნახე ვერც ხელოსნები და ვერც მუშები. განგებ მთელი დღე ვიდარაჯე, მაგრამ მაინც ვერ ვნახე ეს მუშა ხალხი. მიზეზი ჩემის აზრით ის უნდა იყოს, რომ მათი ინტერესის დამცველი გაზეთები არ მოსდის სამკითხველოს. ვინ არის ამაში დამნაშავე? რასაკვირველია, ის პირნი, რომლებსაც მინდობილი აქვს სამკითხველოს საქმეები.

ნუთუ ქალაქს შეუძლია თხუთმეტი მანეთი წლიურათ ზედ-მეტი გადაიხადოს და გამოიწეროს ორი ქართული გაზეთი მაგალითად: „აზრი“ და „ფიქრი“. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

დალაქებსა და პარიკმახერებთან მომუშავეთ კვირა – უქმე დღეებში დასვენების უფლება წაერთვათ დიდი ხანია. ახლა ხაზეინებსაც სურთ ცოტა-რამ დასვენება მისცენ თავიანთ ნოქრებს. მაგრამ „აღები“ ერთი-მეორეს ჯიბრში უდგანან და ამბობენ: თუ სხვა დახურავს მე დავხურავო. მაგრამ ხაზეინიდან ნოქრები კარგს რას უნდა მოელოდენ! საჭიროა ნოქრებმა მიაქციონ ამას ყურადღება.

დროა გამოვიღვიძოთ და ძმურათ შეუდგეთ საქმეს; დროა გამოიწეროთ და იკითხოთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთები.

ილია პერევისელი

გაზ. „ტალღა“, 1914 წ. 12 ივნისი, ხუთშაბათი, №2, გვ. 4.

გაზეთი „ჩვენი აზრი“

ოჩამჩირე. შავი ზღვის რკინის გზის მუშების აუტანელი – მდგომარეობა, ხელფასების პრობლემა, „პოდრიაჩიკების“ უდიდესი მოპყრობა. მუშაობის აუტანელი, „ძლიერ ცუდი“ პირობები.

აღსანიშნავია ის, რომ აქაური მუშები ნაკლებათ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს“.

დღიური მუშა

გაზ. „ჩვენი აზრი“, 1914 წ. 26 ივლისი, შაბათი, №5, გვ. 4.

1915

გაზეთი „იმერეთი“

როგორც გეორგიევიდან გვწერენ, ქ. სოხუმიდან მოწაფეები უკვე ჩამოსულან.

გაზ. „იმერეთი“, 1915 წ. 20 იანვარი, სამშაბათი, №11, გვ. 3.

გაზეთი „საქართველო“

კაკალი (ნიგოზი) ოჩამჩირესა და ახალ სენაკში კაკლის სყიდვა დაიწყეს. კაკლის მოსავალი საშუალოზე მეტია. ფუთი 5 მანეთად ფასობს. ჯერჯერობით გაყიდულია 50 000 ფუთზე მეტი, ტომრების ნაკლებობა მეტის მეტი საგრძნობელია. ნაყიდი კაკალი უმთავრესად ოდესასა და მოსკოვში გააქვთ.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 22 ნოემბერი, სამშაბათი, №89, გვ. 3.

ქუთაისის და სოხუმის თავებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა ქუთაისში და სოხუმში გაიხსნას, ქალაქთა კავშირის ლაზარეთი.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 26 სექტემბერი, №102, გვ. 3.

სოხუმის ქალაქის თავად გუბერნატორმა დაამტკიცა თავადი ნ. კ. თავდგირიძე.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 26 სექტემბერი, №102, გვ. 3.

სამურზაყანო

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად წელს სამურზაყანოც დიდ განსაცდელშია. ამ მხარეს რაც ადამიანის ხელმა და მკაცრმა პირობებმა ვერ ავნეს, იგი განრისხებულმა ბუნებამ შეასრულა, გასულ თვეში ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს სამურზაყანოს ყანები. უკიდურესობაში მყოფ ხალხმა ნათლად დაინახა, რომ თავის თავს ისევ თვით უნდა უშველოს. უპირველეს ყოვლისა ასალაგმავი თავგასული ჩარჩები, რომელნიც ისედაც ბეჩავ ხალხს ტყავს აძრობდნენ.

ეს კიდეც მოახერხა აქაურმა ხალხმა. ამას წინათ გახსნეს კოოპერატიული ფურნე, რომლის სამოქმედო ასპარეზი მომავალში უფრო გაფართოვდება სხვადასხვა სანოვაგეულობისათვის განყოფილებათა გახსნით.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი, №2, გვ. 123.

სოხუმი

ამ დღეებში მოქმედებას დაიწყებს კოოპერატივის მომხმარებელი საზოგადოება „პატრონი“.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ.სამშაბათი, 3 ნოემბერი, №4, გვ. 133.

სოხუმი

ქალაქში საუცხოო ამინდია, ზღვა წყნარია. ავადმყოფთათვის უმჯობესია ახალსენაკით ან ზუგდიდით მგზავრობა.

– ადგილობრივი კოოპერაციას საქმე გვარიანად მიდის, ამ მდაბიო ხალხმა უკვე შეიგნო მისი მნიშვნელობა.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 12 გიორგობისთვე, ხუთშაბათი, №141, გვ. 4.

სოხუმი

დამპალ ციებასთან საბრძოლველად შემდგარმა კომისიამ ქალაქის გამგეობის წინაშე იშუამდგომლა, რათა მიეცეს კომისიას ერთი დესეტინა მიწა ქალაქის განაპირა ადგილას ინსტიტუტის ასაშენებლად, სადაც გამოიკვლევენ ტრაპიულ ავადმყოფობათა გაჩენის მიზეზს.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 14 გიორგობისთვე, შაბათი, №4, გვ. 143.

სოხუმი

12 გიორგობისთვეს სოხუმში მოვიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი სკობელევი, რომელიც მეორე დღეს რუსეთისკენ გაემგზავრა.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 25 გიორგობისთვე, ოთხშაბათი, №4, გვ. 151.

სოხუმი

სოხუმის ქალაქის მოურავს თ. თავდგირიძეს ქუთაისის გუბერნატორისაგან დეპეშა მოუვიდა, სადაც ატყობინებს: სოხუმის თხოვნა, შესახებ 20 დესეტინა მამულის დათმობისა სამკურნალო მიზნისათვის შეწყნარებულიაო.

სოჩა

აქ შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, წრე იმოქმედებს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ განყოფილებასთან თანხმობით, ამ დღეებში წარმოადგინა წერეთლის 5 მოქმედებიანი პიესა „დამარცხებულნი“, რომლის შემოსავალიც გადაიდება გამოქცეულთა სასარგებლოდ.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 14 ქრისტეშობისთვე, შაბათი, №4, გვ. 160.

სოხუმი

მოქმედება დაიწყო აქაურმა სახალხო უნივერსიტეტმა. კურსებზე 40 კაცი დაიარება, რომელთაგანაც უმეტესობა ქართველები და რუსები არიან. მიუხედავად ამისა კურსებზე არც ქართული წიგნი იკითხება და არც ქართული ლექცია. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

სამურზაყანო

წელს მთელი ეს მხარე დამშეულია, უკვე გამოჩნდა შიმშილობისაგან გამოწვეული ცუდი ნიშნები.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 6 ქრისტეშობისთვე, კვირა, №4, გვ. 161.

დ. ოჩამჩირე

დ. ოჩამჩირის მცხოვრებნი ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობენ, ნება დართონ, „ოჩამჩირის მომხმარებელთა საზოგადოება“.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 12 ქრისტეშობისთვე, შაბათი, №4, გვ. 166.

სოხუმელი „მოღვაწენი“

...ქ. სოხუმის თვითმმართველობის ხმოსნები და მათი თავი თავ. ნიკო ყარამანიძე თავდგირიძე – ისეთი „მოღვაწეები“ რომლებსაც ორჯერ ორი რომ ოთხია ამის მტკიცებაც კი სჭირიათ. ეროვნული ღალატის ჩამდენი ყველა პასუხს აგებს თავის მდგომარეობისა და შეგნების მიხედვით. ამის მიხედვით აქ თავდგირიძეს მეტი მოეთხოვება. ჩვენ სრულიად არ მოველოდით მისგან ისეთი პროექტების დაცვას, რომლებიც მან დაიდო ამ რამდენიმე დღის წინათ.

„ერთი ბრიყვი ზღვაში მარგალიტს გადააგდებს და ასი მეცნიერი რომ დაეხვიოს ველარ ამოიღებსო“ – იტყვიან...

... ნიკო თავდგირიძე დაემყარა თავის თავს, ის ბრმად მიენდო გარეშე „მოკეთეებს“ არ დაეკითხა არავის და ამის მიზეზით მან უღალატა სოხუმს, უღალატა აფხაზეთს, სამურზაყანოს და სამეგრელოს დიდ ნაწილს...

...ამ ერთი თვის წინათ სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ დაადასტურა სამი პროექტი წარმოდგენილი ხმოსნების მაკაროვიჩის, ქალაქის თავის თავდგირიძის და ტომარასი. დაადასტურეს სამივე, აირჩიეს წარმომადგენლებათ თვით პროექტის ავტორები. აახლეს საცა ჯერ არს და დაავალეს პროექტების განხორციელების შუამდგომლობა. განვიხილოთ პირველი, მაკაროვიჩის პროექტი.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 18 ქრისტეშობისთვე, პარასკევი, №171, გვ. 4.

სოხუმის გუბერნია
გაგრძელება (სოხუმელი „მოღვაწენი“)

სოხუმის ოლქის (ოკრუგი) უფროსს, ბრძანებს მაკროვიჩი, ერთ დროს გუბერნატორის უფლება ჰქონდა მინიჭებული და ეს მაშინდელი დრო ოლქისთვის ბედნიერ დროთ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მაშინ დაარსდა სოხუმში საშუალო და სამთო სასწავლებელი. სტავროპოლის გიმნაზიაში მთელ მოწაფისათვის დაინიშნა სტიპენდია, გაკეთდა გზები და სხვა. მაგრამ 1903 წ-დან ოლქის უფროსის უფლება შეზღუდეს, ის დაუმორჩილეს ქუთაისის გუბერნატორს, ამიტომ აღარაფერი არ ხერხდება: ადმინისტრაცია, გზის გამგეობა თვითმართველობა და სხვა დამოკიდებულია ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაზედ, სოხუმიდან ქუთაისში მიმოსვლა ცუდი გზებისა და უხიდობის გამო გაძნელებულია... ამიტომ სოხუმის ოლქის საკეთილდღეოდ არაფერი კეთდება. აქ არის (სოხუმში) ეპისკოპოსის კათედრა და ამიტომ სოხუმი საგუბერნიო ქალაქად უნდა იქნას ცნობილი და გუბერნატორმაც აქვე უნდა იცხოვროს. ამასთანავე საჭიროა აქაური სახალხო განათლების ინსპექტორს მიენიჭა დირექტორის უფლება.

პროექტის ბოლოს მაკაროვიჩს მოჰყვა შემდეგი სტატისტიკური ცნობა:

მიწის სივრცე		მცხოვრ. რაოდენობა
ბათომის ოლქი:	638,433	158,796
სოხუმის:	725,327	161,947
„ჩერნომ“. გუბ:	611,024	93,908

როგორც ამ ცხრილიდან ხედავთ, ჩერნომორის გუბერნია მიწის სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით ყველაზე მცირე ყოფილა, მაშასადამე უმჯობესი იქნება სოხუმის ოლქი მიაწერონ ჩერნომორის გუბერნიას, ვიდრე ცალკე გამოყონ და ახალი გუბერნია დაარსონ.

სოხუმში საოლქო სასამართლო

სოხუმში საოლქო სასამართლოს დაარსების პროექტი თვითონ ნიკო თავდგირიძეს ეკუთვნის. თ. თავდგირიძის აზრით ზუგდიდის მაზრა უნდა გამოყონ ქუთაისის გუბერნიიდან, მიაწერონ სოხუმის ოლქს და სოხუმში დაარსდეს საოლქო სასამართლო. ამის საბუთად იგივე უგზოობა და ზედმეტი ხარჯია მოხსენებული.

როგორც ხედავთ ეს ორივე პროექტი აფხაზეთს, სამურზაყანოს და ზუგდიდის მაზრას სწყვეტს ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ ქუთაისს. თუ ეს შუამდგომლობა შეიწყნარეს მთელი ეს ვეება მხარე უნდა გათიშონ, უნდა მოსწყვიტონ საქართველოს დედაგულს, და რომ ეს ერთობა ან სხვა რამ (სკოლების რეფორმა და სხვა) რომ გვეღირსოს, ცხადია მაშინ უფლება ექნებათ იქ ქართული ენა სულ არ აბოგინობს. სოხუმში სასამართლოს დაარსებაც რომ ვერაფერი სახე ეგეც ადვილი მისახვედრია. დღეს აფხაზი, ზუგდიდელი მეგრელი და სამურზაყანოელი ქუთაისში დადის სასამართლოში, აქ ის ეცნობა ვექილებს, მიდის ქართულ ოჯახში, ესწრება ქართულ წარმოდგენებს, კითხულობს ქართულ გაზეთებს ან ნამკითხველს უსმენს და ამით ცხადია ერთგვარი მეზობლურ-ეროვნული ურთიერთობა განმტკიცებას სასამართლოში მიმოსვლაც ხელს უწყობს. დღეს, როგორც ვიცით შავი ზღვის პირა ადგილებს რკინის გზით უერთებენ ქუთაისს და ნუთუ რკინის გზის გაყვანის შემდეგ კიდევ საჭირო იყო ასეთი პროექტის შეთხვზა?! მიუტევე უფალი.

მესამე პროექტ-შუამდგომლობა მთლად გაკეთებაა. ვთარგმნით სიტყვა-სიტყვით.

მოხსენება ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანეთა უფლების შესახებ.

„დიდი ხანია სოხუმის ოლქში კარგა ბლომად ცხოვრობენ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები სომხები და ბერძნები, რომლებიც გამოექცნენ ოსმალთა ბარბაროსობას. ეს გამოსახლებულები შეადგენენ სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ყველაზე შრომის მოყვარე ნაწილს. მათ ჩვენში შემოიტანეს თამბაქოს კულტურა, რომელიც სიმინდის კულტურზე გაცილებით სარგებლიანია. ამის მეოხებით მიწის შემოსავალმა დიდათ იმატა და სოხუმის ოლქი და ყოველწლიურად გასაყიდათ გააქვთ რვა მილიონის მანეთის თამბაქო. ამრიგად ამ ემიგრანტებს ჩვენს მხარეში ყოფნა ფრიად სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ბერძნებმა ბევრმა მოასწრო და მოახერხა ბერძენთ სამეფოს ქვეშევრდომათ ჩაწერილიყო. სომხები კი შეეცადნენ რუსეთის ქვეშევრდომათ ჩაწერას, მაგრამ კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფ გალიცინის წყალობით ეს არ მოხერხდა. გალიცინის შემდეგ სომხები აღარ ცდილან რუსეთის ქვეშევრდომათ ჩაწერას. მიუხედავად ამისა ატყდა ეს ომი თუ არა, სომხებმა მაშინვე

შეადგინეს „დრუჟინები“ და გააგზავნეს ოსმალეთის სომეხთა გამოსახსნელად, იმ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელთა ბარბაროსობა და სიმხეცე აბრუნებს მთელ განათლებულ კაცობრიობას.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები რუსეთის დიდი ერთგულები არიან, რუსეთში მათი უფლება მაინც შეზღუდულია, მაგრამ ისინი (სომხები) მაინც თავგანწირვით იბრძვიან რუსეთის სასარგებლოთ. სომეხთა უფლების შეზღუდვის გამო განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც სომხები ისე სოხუმის ოლქის მცხოვრებნი, რადგანაც ამათი ეკონომიკური კეთილდღეობა ერთი მეორეზე მჭიდროთ არის დაკავშირებული. სომეხთა უფლებების შეზღუდვას ხელს უწყობს სენატის განმარტება, რომლითაც სომხებს არ აქვთ უფლება სასამართლოში დამცველი იყოლიონ. არ აქვთ უფლება საკუთრებათ მიწის შეძენის და იჯარით აღების და სხვა.

ამის შემდეგ თვითმართველობა ტომარას პირით ითხოვს გადასინჯოს სენატის განმარტებანი და აღდგენილ იქნას სომეხთა უფლებები, ესე იგი მათ მიენიჭოს მიწის საკუთრებათ შეძენის უფლება, თუ ეს ასე არ მოხდა მაშინ სოხუმის ოლქს განადგურება მოელის, მას დაეკარგა თამბაქოდან წლიური რვა მილიონი მანეთი, ამით კი მთელი რუსეთიც დიდ ზარალს ნახავს, რადგან ერთად ერთი სოხუმის ოლქი უწევს კონკურენციას ოსმალეთის თამბაქოს, და მხოლოდ სოხუმის ოლქმა შესძლო და განდევნა რუსეთის ბაზრიდან ოსმალეთის თამბაქო“.

ჰუმანიური შუამდგომლობა, ეს სხვისი ხარჯით ქორწილ-ქეიფი ეკუთვნის ხმ. ტომარას, მაგრამ მის გულუხვობას იზიარებენ ხმოსნები და იზიარებს უმთავრესად თვითონ სოხუმის მოურავი ბ-ნი ნიკო თავდგირიძეც. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

გაზ. „საქართველო“, 1915 წ. 19 ქრისტეშობისთვე, შაბათი, №3, გვ. 172.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“

სოხუმი

ჩვენი ხალხის სულიერ კვეთების გამომხატველთაგან უკანასკნელ ბუმბერაზის დაკარგვა აუწერელ ტკივილებს აგრძნობინებს ყველა ქართველს. აკაკის სახელის გარშემო გაერთიანდნენ განცალკევებული და გაფანტული ელემენტები ჩვენი ერისა. სოხუმის ქართველობა უერთდება საერთო მწუხარებას და ჰსურს თავისი წვლილი შეიტანოს ხალხის სათაყვანო პოეტის ხსოვნის სამარადისოდ.

თავდგირიძე

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 28 იანვარი, ოთხშაბათი, №196, გვ. 3.

სოხუმი

ომისაგან მტირალთ აკაკის სიკვდილმა გაგვიორკეცა ვაება დაგვავიწყა ყოველივე. ვუერთდებით მგლოვიარე საქართველოს.

ანთიმოზ ჟუღელი, ბუდუ თურქია.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 30 I, პარასკევი, №198, გვ. 3.

სოხუმიდან

დიდებულო მგოსანო აკაკი, შენმა შარბათ ნარევმა წკრიალ ენის დადუმებამ თავზარი დაგვცა, გული მოგვიკლა ჩვენს სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ-ბის ქართველ მოსამსახურეთ.

იქვე:

სოხუმი

გულდათუთქული უზომო მწუხარებით ჩემის სათაყვანებლის აკაკის გარდაცვალების გამო ვიზიარებ მთელი ერის მწუხარებას.

ტრიფონ კაჭარავა

იქვე:

სოხუმი

მხურვალედ ვსტირით პირველი გაზაფხულის დიდებულ მახარობელის, ერის სიამაყის ნოქრები.

ელიზბარ კაჭარავა

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 4 თებერვალი, ოთხშაბათი, №201, გვ. 2-3.

18 იანვარს ოქტომბრის ამბების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ადგ. განყ-ბის გამგეობამ პირველად მოიყარა თავი; რადგანაც ამ ჟამად სოხუმის ქართველობა ეკონომიურად ძალიან დაცემულია, ამიტომ გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა მთავარ გამგეობის წინაშე, ერთის წლით მან, მთავარ გამგეობამ, სოხუმის სკოლის შენახვა მიიღოს თავის თავზე, რითაც ამ სკოლას იხსნის დროებით დახურვისაგან. ამჟამად სკოლაში მეცადინეობს ორი მასწავლებელი; 48 შეგირდია, მაგრამ მათ თანდათან ემატებათ და მასწავლებელნიც იძულებულნი არიან მიიღონ თავისი ძველი შეგირდები.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 5 II, ხუთშაბათი, №202, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

როგორც მთელს დასავლეთ საქ-ში, სოხუმის ოლქსაც გასულ წელს დიდი მოუსვლობა ეწვია, მეტადრე იმ სოფლებს, რომელნიც ზღვისა თუ მდინარეების პირად მდებარეობენ და ვაკე-ადგილი უჭერიათ. განსაკუთრებით დიდი განსაცდელი მოელის სამურზაყანოს. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ოქტომბერს ოლქის სამმართველოსთან შემდგარმა „სამეურნეო თათბირმა“ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და აღძრა შუამდგომლობა მეფის მოადგილის კანცელარიის წინაშე. ხოლო დეკემბრის პირველ რიცხვებში სამრევლო სკოლათა მეთვალყურემ ბ. სტ. ალფიოროვმა დასაბუთებული მოხსენება წაიკითხა ადგილობრივ სამეურნეო საზ- ბის წევრთა საზოგადო კრებაზე. კრებამ ყურადღებით მოისმინა მოხსენება და დაწვრილებით განსახილველად გადასცა სამეურნ. საზ-ბის ეკონომიურ კომისიას რომელმაც აღძრა სადაც ჯერ არს შუამდგომლობა მცხოვრებთათვის სათანადო დახმარების მიცემის შესახებ. თავის მხრით ოლქის უფროსმა გენერალ ზასიპკინმა მოიწვია მომრიგებელი შუამავლები, საერობო აგრონომები, საბოქაულოთა უფროსები და სხვა პირნი და გაჰმართა თათ-

ბირი, რომელმაც გამოარკვია, რომ მთელს ოლქს დასჭირდება არა ნაკლებ 450 000 ფუთი სიმინდისა და, მიიღო რა მხედველობაში, რომ ორთა შუა რიცხვით, ფუთი სიმინდი ეღირება თითო მანეთი, აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ოლქის მცხოვრებთ მიეცეს სესხად სიმინდი საყიდლად 450 000 მანეთი; ამ ფულიდან მარტო სამურზაყანოელთათვის გამოანგარიშებული იყო 250 000 მან. სამწუხაროდ ეს შუამდგომლობა მხოლოდ სამესამედოდ დააკმაყოფილეს: სასურსათო კომიტეტს გადაუდვია ჩვენთვის მხოლოდ 150 000 მან. დღევანდელ ჩვენს გაჭირვებას ეს „წვეთად“ არ ეყოფა.

ეხლა მთელს რუსეთში დღიურ საკითხად გადაიქცა კურორტების საკითხი და რომელს ადგილს მთელს რუსეთის იმპერიაში შეუძლიან შეადარონ, როგორც საზამთრო კურორტს, ჩვენს კეკლუც სოხუმსა. ყველაფრით უხვად დაგვაჯილდოვა ბუნებამ, მხოლოდ მზრუნველ-პატრონი არ გვაღირსა და ეს უადამიანობა ჩვენს ქალაქს ჩქარი ნაბიჯით დაღმართისაკენ მიაქანებს! ... ამ ბოლო ხანს სოხუმელებმაც ყურები გამოიფშვნიტეს და გაგზავნეს პეტროგრადის საბალნეოლოგიო კრებაზე თავის წარმომადგენელად თვითმმართველობაში მოსამსახურე ექიმი-დოსტაქარი ბ. ალ. მენჩინსკი, კაცი პატიოსანი და ქალაქის ზრდის მოსურნე. ვნახოთ, თუ რას მოგვიტანს ბატ. მენჩენსკი. ხოლო ოლქის უფროსი გენერალი ზასიპკინი უფრო ნაყოფიერსა და სწორს გზას დაადგა. მან მოუწოდა 2 იანვარს მცოდნე პირთა კრებას, რომელსაც განსახილველად წარადგინა ვრცელი მოხსენება ექიმ რუკინისა იმის შესახებ, თუ რითაა ჩვენი სოხუმი და მთელი მხარე შემკული და რა აკლია. კრებამ ყურადღებით მოისმინა, შეიტანა თავისი მხრით განმარტებანი და შენიშვნები, და ეხლა მოხსენება ხელახლა შემუშავდა, რის შემდეგ კრებას წარედგინა ისევ. ქალაქის თვითმმართველობაც ამზადებს თავის მხრივ მოხსენებას, – ასე რომ დღეს ჩვენ განვიცდით მოხსენებათა პერიოდს, და ვნახოთ, თუ რას გვეტყვის მომავალი. ხოლო მომავალი ჩვენსკენაა მდიდარ ბუნების წყალობით, თუ კი ჩვენი ცხოვრების ბელადნი შესძლებენ ისარგებლონ იმ სიუხვით რაც ხელთ ჩაუგდო ბუნებამ.

ჩვენს ქალაქშიაც უკვე იწყება არჩევნების ციებ-ცხელება; 15 მარტისთვის დანიშნულია ქალაქის ხმოსანთა არჩევნები. პროგრესიული ელემენტები უკვე ამოძრავდნენ და შეუდგნენ მუშაობას. სასურველზე მეტია, რომ პროგრესიული ჯგუფები გამოიტანდნენ სახმოსნო კანდიდატთა საერთო სიას და მედგრად შებრძოლებოდნენ მოწინააღმდეგეებს. არ დაივიწყოთ ბატონებო, რომ მეორე მხარესაც არ სძინავს, და მეტი ენერგია, მეტი წინდახედულებაა საჭირო, რიმ ქ. სოხუმი იხსნათ განსაცდელისაგან. ერთი უკუღმა გადადგმული ნაბიჯით უფრსკრულისაკენ დააქანებს ჩვენს ქალაქსა. დროა შენ-ჩემობას თავი დავანებოთ და ამ საერთო კულტურულ მუშაობაში ხელიხელს ჩაკიდებულნი და შეკავშირებულნი გამოვიდეთ ბრძოლის ასპარესზე, და გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქნება.

ნაახალწლევს სოხუმიდან ომის შიშით გახიზნულთ ისევ უკან დაიწყეს დაბრუნება. სოხუმს უწინდელი ელფერი დღითი-დღე უბრუნდება: მცხოვრებთა რიცხვს თან და თან ემატება. ჩვენებური ვაჭრებიც ბრუნდებიან თან და თან.

სკოლებში სწავლა სწარმოებს. შეგირდებიც თან და თან იყრიან თავსა.

ჰამუთ- ბეი

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 5 II, ხუთშაბათი, №202, გვ. 4.

სოხუმიდან – აკაკის ფონდის სასარგებლოდ ერასტო სომინის ძე საბაშვილისაგან მიღებულია 10 მან.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 24 II, სამშაბათი, №218, გვ. 4.

განათლება

სოხუმის სკოლა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის სოხუმის განყ-ბამ მთავარ გამგეობას სთხოვა, რათა ამ გამგეობას ეკისრა სოხუმის სკოლის ხარჯები 1915 წლის განმავლობაში. გამგეობამ შუამდგომლობა უარყო, რადგანაც განყოფილებას ამ სამოსწავლო წელს ისედაც ეძლევა სესხის სახით 2000 მან.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 24 II, პარასკევი, №221, გვ. 4.

დეპუტატ ვარლამ გელოვანის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილები-დეპეშები.

სოხუმიდან

დიდად დაგვამწუხრა დაუღალავი საზოგადო მოღვაწის და მებრძოლის ვარლამის დაკარგვამ. ვწუხვართ, რომ ვერ დაინახა ნაყოფი თავისი უშიშარი ბრძოლისა; გამარჯვებული რუსეთი და ეროვნულად განახლებული თავისი საყვარელი საქართველო.

ძუკუ ლოლუა, მომღერალი გუნდი

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 3 მარტი, სამშაბათი, №224, გვ. 3.

... მთავრობის ცნობით კავკასიაში ქართველთა რაოდენობა შეადგენს 1913 წ. სოხუმის – 70, 114 სულ 40 %.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 15 მაისი, პარასკევი, №281, გვ. 4.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო

დეპეშები:

სოხუმი

საქ-ლო სტირის და ჰგოდებს თავის საუკეთესო შვილთა დაკარგვას. პოეტი ვაჟა-ფშაველა ერთი ასეთი შვილი იყო ქართველი ერისა. განისვენე მშვიდად ძვირფას სამშობლოს საყვარელო შვილო.

სოხუმის ქართველ ქალთა მონდობილობით

მარიამ ანჩაბაძე.

სოხუმი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის განყ-ბა ღრმად განიცდის ნიჭიერ პოეტის ვაჟა-ფშაველას დაკარგვას და უერთდება საერთო მწუხარებას.

თავმჯდომარე: მარია ანჯაფარიძე

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. 1 აგვისტო, შაბათი, №347, გვ. 3.

1916

გაზეთი „საქართველო“

სოხუმი

ქალაქში შაქარი სრულებით აღარ იშოვება. ქალაქის გამგეობამ ზომები მიიღო შაქრის კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 3 იანვარი, კვირა, №2, გვ. 4.

ბ-ნ ნ. თავდგირიძის შუამდგომლობის გამო „ნება მივცეთ მოსულებს სოხუმის ოლქში მამულის შეძენისაო“ – ოსმალეთიდან გამოხვეწილი

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 3 იანვარი, კვირა, №7, გვ. 3.

დ. გალი (სამურზაყანო)

პ. ჭარაია შუამდგომლობს ქუთაისის გუბერნატორს. გახსნან სკოლები დაბა გალში.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 23 იანვარი, შაბათი, №17, გვ. 3.

სოხუმში-ფასების იზრდება. გემების ბილეთების ფასები გაძვირდა (იხ. დაწვრილებით).

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 23 იანვარი, შაბათი, №21, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

აქ მომხმარებელი ამხანაგობა ფურნის სახით უკვე არსებობას და დახმარებას უწევს ხალხს. ეს ამხანაგობა მხოლოდ სამი თვეა, რაც არსებობს და უკვე კვალიც დაამჩნია.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 9 თებერვალი, სამშაბათი, №30, გვ. 4.

სოხუმი

14 იანვარს, წერა-კითხვის გამავრცელებელი ს-ის ადგილობრივ განყოფილების თაოსნობით გამართულ იქმნა ქართული საღამო, რომლის შემოსავალი დაახლოებით 4 ათას მანეთამდე ავიდა. წარმოდგენილი იყო „ქართველი დედა“.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 26 თებერვალი, პარასკევი, №44, გვ. 4.

ს. გუდაუთი

ს. გუდაუთის მცხოვრებლმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, ნება დაერთოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 1 მარტი, სამშაბათი, №47, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან

ამას წინათ „საქართველოში“ ვწერდი. აქ გაიხსნა ქართული კიოსკი „დიოსკურია“ რომლის მიზანი ქართველ ხალხში ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება თქო, და გამოვსთქვამდი – აზრს, რომ ყველა დაგვეხმარებოდა ამ საქმე და ყოველივე მხრით ხელი შეეწყოთ. მწუხარებით უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მოწოდება არ გამართლდა და იმის მაგივრად, რომ ხელი შეგვიწყონ – გვიშლიან კიდეც. ჩვენი კიოსკის არსებობას ბევრი ვერ ინელებს და ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ხალხში. ამას წინათ სახალხო უნივერსიტეტის კრება იყო და იქ ბ-ნ სტ. ჯ-ლს ხალხისთვის უთქვამს: „ჩვენს კიოსკის (აქ არსებობს მეორე კიოსკი მეორე კიოსკი სახალხო უნივერსიტეტისა) წინააღმდეგ აქ „რაღაც“ კიოსკი დაარსეს და ჩვენ თუ მარჯვეთ არ დავხვდით, არ ვარგაო; ჩვენც ავაშენოთ უკეთესი კიოსკის შენობაო და სხვა“. სამწუხაროდ, აქაურმა დასელებმა აქაური სახალხო უნივერსიტეტი პარტიულად გადააქციეს და ყველაფერს თავიანთ გემოვნებაზე ლაპარაკობენ თუ აკეთებენ, თითქოს სხვა ჯგუფები წინააღმდეგი იყვნენ უნივერსიტეტისა. ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ ბატონებო, რომ ყველგან ჯგუფებრივობა არ ვარგა. ამით საქმეს თუ წავახდენთ თორემ ვერ გავაკეთებთ. ჩვენი კიოსკი არავის საწინააღმდეგოდ არსებობს და მით უფრო სახალხო უნივერსიტეტისა, მხოლოდ რადგან განსაკუთრებით ქართულ საქმეს დასელები გაურბიან და „მათი“ კიოსკი ინტერნაციონალურია, ამიტომ კიოსკი „დიოსკურია“ ძლიერ საჭიროა აქ, მით უფრო მაშინ, როდესაც ყოველგან ყველაფერში რუსული სული ტრიალებს. ავიღოთ ერთი მაგალითი: ამას წინათ აქ დავესწარი კოოპერატიულ კრებას. კოოპერატიულ სათავეში ყველა რუსებია გარდა ორიოდესი. ერთმა ქართველმა მუშამ თავისივე ენით, მაგრამ რადგან გამგეობის წევრებმა ვერა გაიგეს რა მუშის სიტყვიდან, მოითხოვეს რუსულათ გადმოეთრგმნა თავისი აზრი. მუშამ განუცხადა მათ: ძლიერ კარგი ბატონებო, მაგრა რუსული არ მისწავლია და ვერ შევძლებო, მაგრამ რადგან სხვა თარჯიმანი აღარ აღმოჩნდა ისევ მუშამ იკისრა ეს მისთვის მძიმე მოვალეობა და როგორც იქმნა გაჭირვებით რუსულადაც გამოთქვა თავისი აზრი. რა თქმა უნდა, ქართველი მუშის რუსული რაღას მოეწონებოდათ გამგეობის წევრებს და ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ კიდეც. რაღა ბევრი გავაგრძელო, ბევრს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ როცა თავის ენაზე საშუალება არა აქვს ილაპარაკოს, იძულებულია დამუნჯდეს. ასეთი მაგალითები გახლავთ ხმოსნებშიც. ეს სხათა შორის, 3 კიოსკზე მოგახსენებდით: ქართულ კიოსკს „დიოსკურიას“ ხშირად არ მოსდის ქართული გაზეთები, იმ დროს როდესაც მეორე კიოსკს მოსდის. ვინ არის ამის მიზეზი და სად იკარგება ვერ გავიგეთ. მაგალითად ჩვენს კიოსკ არ მიუღია „სამშობლო“, „საქართველო“ და „ჩვენი მეგობარი“ 17 თიბათვის ნომრები. აგრეთვე ვერ გაგვიგია, რატომ არ გზავნის „სახალხო ფურცელი“ თავის გაზეტს. რამდენჯერ წერილობით თუ დეპეშით მივმართეთ, მაგრამ არ აგზავნიან, ნეტავი რისთვის?!

პრ. ასკანელი

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 7 მკათათვე, ხუთშაბათი, №150, გვ. 4.

აფხაზთა და ინგილოთ ჯარი გაწევის გამო

...აფხაზთა და ინგილოთა ოჯახებს ერთბაშად ჰშორდება მთელი ჯანსაღი მამაკაცობა 19 წლიდან დაწყებული 45 წლამდე. ეს გარემოება დამღუპველი იქმნება, თუ მთავრობა და საზ-ბა დროზე არ იზრუნებს გაწეული ოჯახების დახმარებაზე.

კავკასიის უმაღლესი მთავრობის ხელთ არის შემსუბუქება აბხაზთა და ინგილოთა მდგომარეობისა და ეს მიღწეულიც იქნება, თუ ჯარში გაწვევა მოსავლის დაბინავებამდი გადაიდება, როგორც ეს ნათხოვია უკვე მეორე და პირველ ხარისხის მოლაშქრეთათვის.

ჩვენი საზ-ბის მოვალეობა კი ის არის გაწვევისთანავე ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩინოს სახლში დარჩენილ ოჯახობას.

ქართულმა საქველმოქმედო საზ-ბამ უნდა ახლავე იზრუნოს გაწვეულ აბხაზთა და ინგილოთა შესახება.

აბხაზეთში უკვე არსებობს ამ საზ-ბის განყოფილება.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 14 მკათათვე, ხუთშაბათი, №155, გვ. 2.

სვანები აფხაზეთში

დღეს დაბრუნდნენ თბილიდან ორი სვანი, რომელნიც ამოურჩევიათ სოხუმის ოლქში დალის ხეობაში გადასახლებულთ, რომელნიც არიან დასახლებულნი განსვენებულის ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის და სხვა მემამულეთა ადგილებში. მათ, სვანებს აღებული აქვთ გასაწმენდი ადგილები რომლის ბაჟასაც იხდიან წელიწადში დესეტინაზე ხუთ მანეთს. ეს რამოდენიმე წელია დასახლებულნი არიან, მაგრამ წლიური სარჩო ვერ მოსდისთ. ეხლა მოურავს რომელიც უსწავლელი მეგრელი მოუთხოვია ბაჟი ათ-ათი მანეთი დესეტინაზედ, რაც მგონი მემამულესაგან სრულებით ნათქვამი არა ჰქონია და რომლის გადახდაც მათ არ შეუძლიათ, ჯერ სვანეთში არა ჰქონიათ ადგილი და ეხლა რომ იქიდანაც აიყარონ ეს ორასამდინ მოსახლე და მათი ე.ი ქართველების ადგილი სომხებმა დაიჭირონ რომელნიც აქ სახლობენ და როგორც გავიგე მოურავიც მათკენ არის – არ იქმნება სასიამოვნო.

ადგილის გარდა კიდევ სწავლა-განათლებით არიან ძლიერ დაშორებულნი. არ მოეძევებათ არც მღვდელი, არც მასწავლებელი. ისე ყრუდ არიან დარჩენილი ეს ორასი მოსახლე. იქ მცხოვრებთ რუსებს და სომხებს ეს ყოველივე აქვთ. სვანებს კი თუ ვინმე მოუკვდებათ მაზიარებელი ხომ არავინ არა ჰყავთ, რუსის მღვდელი მოჰყავთ რომელსაც ჯერ „პრაგონას“ ძლევენ და შემდეგ წესის ასაგებს მაგრამ მღვდელი მკვდარს რაც უნდა იყოს არ გაჰყვება და არ დამარხავს, ისე ჩაუშვებენ საფლავში.

თვით მე ვიყავი ერთს ზამთარს ამ სოფელში. მთხოვეს სვანებმა და წავედი მასწავლებლად, რომ მივედი ყველა აღტაცებაში მოვიდნენ (ეს იყო 1910 წლის შემოდგომაზე) შევადგინე პრიგოვორი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სოხუმის განყოფილების სახელზედ, რომელმაც დანიშნა ჯამაგირად მხოლოდ წევრებისაგან შეგროვებული დახმარება – ასე რომ თვეში ათიდან თხუთმეტ მანეთამდე. თვით მოურავმა დამითმო ერთი ოთახი რომელშიდაც ვასწავლიდი და კიდეც ვცხოვრობდი, მოწაფეების რიცხვი ბევრი იყო მაგრამ ადგილი არა მქონდა, რუსებიც სწავლობდნენ ქართულს.

ასე დავყავი მაისის დამლევამდე – შემდეგ წავედი სვანეთში. შემოდგომაზედ 1911 წელს კიდევ დავბრუნდი მაგრამ განყოფილებამ უარი მითხრა – ჩვენ სოხუმში გავხსენით ქართული სკოლა რომლის შენახვაც გვიჭირს თორემ იმას ე. ი. სვანების სკოლას სულ ვერ შევინახავთო. მე იძულებული შევიქმენი დავბრუნებულიყავი ქუთაისში სადაც მომცეს ადგილი სვანეთში.

დღეს ეს ორი სვანი დილიდან მოსულები ვნახე. მათ გაჭირვებას უცრემლოდ ვერ მოისმენთ. მთხოვეს წავსულიყავით მათთან, მაგრამ მე ეს არ შემეძლო და შემდეგისათვის შევპირდი.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 24 მკათათვე, კვირა, №164, გვ. 4.

ქართული ენის შემოღება

...სამურზაყანოში, დაბა გალში, არსებობს მეორე ხარისხოვანი სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელი. ამ სკოლაში სწავლობენ მხოლოდ მეგრელები, სვანები და ქრისტიანი აფხაზები. სკოლის დამთავრებულებს აწესებენ სამურზაყანოში და სამეგრელოში მასწავლებლებად და მედავითნეებად. ზოგი მათგანი შემდეგ მღვდლადაც მიდის. ამ სასწავლებელში ქართული ენის ხსენებაც არ იყო. წერა-კითხვის საზ-ბის გამგეობის მეცადინეობით, საზოგადოებისავე ხარჯით წარსულ 1915 წელს ამ სკოლაშიაც შემოღებულ იქნა ქართულის სწავლება, როგორც კერძო საგნისა. მასწავლებლად დანიშნა საზ-ბამ ბ-ნი პეტრე ჭარაია. იმავე წლის განმავლობაში საზ-ბას დაეხარჯა აღნიშნულ სკოლაში 198 მან.90 კაპ.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 10 ენკენისთვე, შაბათი, №201, გვ. 3.

ოჩამჩირე – 23 ენკენისთვეს ურადნიკმა ალექსი ქვაჩახიამ შეიპყრო ყაჩაღი ვ. ანჩაბაძე.

24 ენკენისთვეს ილორთან მომავალნი დააყაჩაღეს, წაღებულია არანაკლებ 2000 მანეთისა.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. №219, გვ. 3.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1915 წლის ანგარიში

სოხუმის სკოლა დაარსდა 1910 წელს. ინახავ წ. კ. ადგილობრივი განყოფილება. 1914 წლის 17 ღვინობისთვიდან სოხუმის სკოლის ვითარება ომიანობის გამო აირია. იმ დროს სოხუმიდან ხალხი გაიხიზნა და სხვათაშორის, სკოლის შემადგენლობაც. იმავე წლის გიორგობისთვეში ხალხი დაბრუნდა სოხუმს და ჩვენს სკოლაშიაც თანდათან იწყეს დენა მოსწავლეებმა, ასე რომ იანვარში სკოლა შევსებული იყო, მაგრამ 14 მარტს მთავრობის განკარგულებით ყველა სასწავლებლებიდან ბავშვები დაითხოვეს, და მათ შორის, ჩვენი სკოლიდანაც ამ რიგად ხსენებ სამოსწავლო წელს პროგრამა არც ერთ კლასში არ გაუვლიათ სავსებით. ვინაიდან ომიანობის გამო სოხუმში ერთობ აირივ-დაირია საქმე და საზ-ბის განყოფილებას არავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა სკოლის შესანახად, მთავარმა გამგეობამ ასესხა მას 2400 მან. სკოლა საკუთარ შენობაშია მოთავსებული, მაგრამ შენობა ჯერ არაა სულ დამთავრებული

და მის დამთავრებას 10 ათას მანეთზე მეტი სჭირდება.

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 9 გიორგობისთვე, ოთხშაბათი, №250, გვ. 4.

სოხუმი – გუმისთაზე გადებული რკინის ხიდი წყალდიდობამ წაიღო, შეწყდა გაგრასა და სოხუმს შორის მიმოსვლა, ზარალი დიდია...

გაზ. „საქართველო“, 1916 წ. №287, გვ. 3.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“

განათლება, თეატრი

სოხუმი

14 იანვარს ადგილობრივ ქართ. სკოლის სასარგებლოდ გაიმართა საინტერესო „საღამო-მეჯლისი“ ხალხი აუარებელი დაესწრო, და წმინდა შემოსავალი დარჩა სამი ათას სამოცდა ერთი მანეთი და 44 კ. აღსანიშნავია, რომ დამსწრე საზ-ბა თითქმის მარტო ქართველობა იყო.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 4 თებერვალი, ხუთშაბათი, №494, გვ. 3.

სოხუმი

ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სოხუმის შუამდგომლობა შეეხებოდა გადმოხიზნულთა დაცვის უფლებას სასამართლო წესით, ამ უფლების აღდგენას, რომელიც წაერთვათ ომიანობის გამო, რომ საკუთრების შეძენის უფლება მათ ომამდისაც არ ჰქონდათ და საფუძველს მოკლებულია ცნობა მიწების დარიგების შესახებ.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 19 იანვარი, სამშაბათი, №481 .

სოხუმი

სოხუმელ ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა ფრიად სასარგებლო საერთო საქმეს მოჰკიდა ხელი. სოხუმსა და მთელს სოხუმის ოლქში ქართველობამ მხოლოდ ბოლო დროს დაიწყო გამოფხიზლება და აღორძინება. ფეხს იკიდებს ქართული სკოლა, ქართ. წიგნი, გაზეთი. ქართველები ერთდებიან და კავშირდებიან, რომ შეთანხმებულის ძალებით გაუძღვნენ საერო საქმეებს... ჯერ რასაკვირველია დიდი მუშაობაა საჭირო, დიდი თავგამოდებული მეცადინეობა, რომ ქართველებისა და აფხაზების ინტერესი სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნეს სოხუმის ოლქში, მაგრამ მუშაობა დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მუშაობა გაფართოვდება, გაღრმავდება და სასურველ ნაყოფს მოიტანს. ამ ეროვნულ მოძრაობას, სხვათაშორის, მეტად აბრკოლებს ქართული წიგნის სიძვირე, უქონლობა, ამ დაბრკოლების თავიდან ასაშორებლად ზემო დასახელებულმა ჯგუფმა ცნობილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას მეთაურობით შეიძინა ქალაქისაგან სოხუმში საუკეთესო ადგილზე ბულვარში კიოსკი და იქ მართავს ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სავაჭროს. ჯგუფის მიზა-

ნია ქართული გამოცემების გავრცელება მთელს ოლქში. ენერგიულად შეუდგა საქმეს და საჭიროა, რომ ჩვენმა კულტურულმა დაწესებულებებმაც მხარი დაუჭირონ და დახმარება აღმოუჩინონ.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 10 თებერვალი, ოთხშაბათი, №499, გვ. 3.

სოხუმის ამბები

6 თებერვალს ქ. სოხუმის ბუნების მოყვარულთა საზ-ბაში საინტერესო მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა ალფეროვმა აფხაზების შესახებ. დაახასიათა იგინი როგორც კულტურის პირველ საფეხურზე მდგარნი, რომელთაც ანბანი და წერა-კითხვა ამ რამდენიმე წლის წინად შემოიღეს. შეეხო მათ ზეპირსიტყვაობას, ზღაპრებს და საგმირო თქმულებებს, აღნიშნა მათში საერთო აღმოსავლური გადაჭარბება და გაზვიადება და ხაზი გაუსვა, რომ აფხაზურ საგმირო თქმულებებსა და რუსულ ბლინებს შორის ბევრი საერთო ელემენტიაო. თითქმის ასე მეგონა, იტყოდა ამ თქმულებებს რუსული გავლენა აქვსო. აფხაზური სიმღერები უსიტყვოა, მხოლოდ მოტივებიაო, მაგალითად; ა-ა-ა, და ლექსებს კი არა აქვთ სიმღერებში ადგილიო. ენის შესახებ განაცხადა რომ ზოგიერთი ახალი სიტყვები მთლად რუსულიდან არის გადაღებული და სასაცილოდ ნახმარიო. მაგ: ვიღაც მოხელე კალესნიკოვს უცხოვრია აფხაზეთის ერთ სოფელში ამ რამდენიმე წლის წინად, მას ჰყოლია მოსამსახურე და მისთვის „კალესნიკი“-დაურქმევიათ და ეს სიტყვა ახლა ყველა მოხელის მოსამსახურეს აღნიშნავსო.

როცა ერთ ინტელიგენტ აფხაზს მივმართე და ვურჩიე აფხაზურად გადაეათარგმნა მეფუტკრეობის ერთი რუსული წიგნი, მან განაცხადა, ბ. ალფეროვმა გადაჭრით და რეზონურად უარი განმიცხადა. ჯერ დრო არ არის, რადგან მეფუტკრეობის აფხაზური ლექსიკონი ძალიან ღარიბია და ვთარგმნი, მე მომიხდება სიტყვის შექმნა, ეს კი საქმეს ძალიან გააძნელებს და წიგნს მთლად გაუგებარს გახდისო. ჯერ ორი-სამი წელიწადი მოვითმინოთ, რათა ხალხმა თვითონ შექმნას (ალბათ დამახინჯებული რუსული სიტყვებით) აფხაზური ლექსიკონიო. დასასრულ ბ. ალფეროვმა მადლობა გადაუხადა აფხაზების ინტელიგენტებს, რომელნიც ძალიან ეხმარებიან აფხაზეთის შესწავლაში, ალფეროვი თურმე კარგა ხანია მოღვაწეობს ამ ჩვენს მიყრუებულ და ჩვენგან სრულიად მივიწყებულ ჩვენს პროვინციაში, თუ არ ვცდები, მგონი აფხაზეთის სახალხო სკოლების ინსპექტორია კიდეც.

5 თებერვალს შესდგა ქართული საქველმოქმედო საზ-ბის სოხუმის განყოფილების წევრთა კრება, რომელზედაც დაადგინეს ორგანიზაციის მოწყობა მიენდოს სტუდენტს ალ. მამულაიშვილს და ი. კორტს.

8 თებერვალს ამ საზ-ბამ განიხილა ალ. მამულაშვილის მოხსენება ბიუროს დასაარსებლად. ეს ბიურო იქნება ცენტრალური დაწესებულება მთელი სოხუმის ოლქისათვის. კრებამ დაადგინა აგრეთვე მთელ სოხუმის ოლქში ფილიალური დაწესებულების მოწყობა, რის გამოც მალე მიჰმართავს სოფლის ინტელიგენციას დასახმარებლად.

კორესპოდენტი

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 17 თებერვალი, ოთხშაბათი, №505, გვ. 3.

სოხუმი

კვირას 21 თებერვალს, ქ. სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართველ. ინტელიგენციის თანდასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი მესამე სათათბიროს დეპუტატის, ვარლამ ლევანის ძის გელოვანის სულის მოსახსენებლად.

საქველმოქმედო საზ-ბის სოხუმის განყ-ბამ უკვე 10 თებერვლიდან დაიწყო თავისი მოქმედება. ბინადრობს საურთიერთო ნდობის საზ-ბის შენობაში. ქ. სოხუმში და მის ახლო-მახლო რეგისტრაციას უკვე აწარმოებენ. სოფლებიდან ცუდი ამბები მოდის და თხოულობენ სიმინდის ყიდვაში დახმარებას მაინც.

„დიოსკურიის“ კიოსკი დღითი დღე იზრდება და მშვენიერდება. გარეგანის შეხედულებით მთელს სოხუმში არც ერთი კიოსკი არ მოიპოვება ამაზე უკეთესი. იმის და მიუხედავად, რომ ყველას კარგად ესმის მისი დანიშნულება და იციან კიდეც, რომ ქართული წიგნების მაღაზია აქ სხვა არ არსებობს და რაც უფრო მეტი გვექნება ამნაირი დაწესებულება მით უკეთესია, მაინც ზოგიერთ აქაურ სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელს თვალში დიდ ჩხირად ეჩვენება და ყოველივე ვიხმართ იმის უკუღმართად საქმის წასასვლელადო, ასე განმიცხადა ერთმა მოწინააღმდეგეთაგანმა. თურმე ამის აშენება სახალხო უნივერსიტეტისა და ამის კიოსკის მოსპობას უქადის, რადგან ამ კიოსკით სულდგმულობს უნივერსიტეტიც. თუ, ბატონებო, თქვენი უნივერსიტეტის მოღვაწეობა მარტო ამით განისაზღვრება, ძალიან უნივერსიტეტი გქონიათ, ან რა გააკეთა იმან და რა სარგებლობა მოუტანა ისეთი სოხუმს, რომ კიოსკის აგებით მას (უნივერსიტეტს) ძირი გამოუთხაროს, უნივერსიტეტიც და ჩვენი კიოსკიც სახალხო განათლებას ემსახურება და ამ აშენებით ჩვენ კონკურენციას გავუწევთ, თუ საერთო განათლებას ხელს მივაშველებთ?

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 2 მარტი, ოთხშაბათი, №516, გვ. 2.

სოხუმი

მოწერილი ამბავი

ქართ. საქველმოქ. საზ-ბის სოხუმის სარაიონო განყ-ბა თანდათან აფართოვებს მოქმედებას. ამას წინად განყოფილების გამგეობამ დაადგინა თავის ღონისძიებათა გასაძლიერებლად „ძმური ნუგეშის“ მაგვარი დაწესებულება გაიჩინოს. და რადგან საკუთარ ბინის შესაძენად იმდენი ჯანი არ მოსდევს. აირჩია კომისია 5 კაცისაგან შემდგარი და მიანდო რომელიმე საჩაიეს პატრონს, მოელაპარაკოს ბულვარის საუკეთესო ნაწილში, კვირაში ორი დღით მოგვცეს ჩვენ და შემოსავალი ჩვენი იყოს.

სარაიონო განყ-ბამ მთავარ გამგეობას ტფილისში თავისი მოქმედების ანგარიში გაუგზავნა.

მოგვყავს იქიდან ზოგიერთი ცნობები: სოხუმის განყ-ბა დაარსდა შარშან (1915) ნოემბერში. პირველ ხანებში საორგანიზაციო მუშაობა ჰქონდა და სახმარს ეძებდა მოქმედების დასაწყებად. 10 თებერვალს სარეგისტრაციო ბიურო გაიჩინა და მოიწვია გამგე და მდივანი. ერთი თვის განმავლობაში დახმარების სათხოვნელად 166 ოჯახი მისულა, რომელნიც 654 სულს შეადგენს. ამათში მამაკაცი 150, დედაკაცი 185 და ბავშვი 319. დახმარება აღმოუჩინეს 31 ოჯახს, -102 სულს, გასცეს 168 მან. ერთდროული დახმარება; საშუალოდ ოჯახს 5 მან. აძლევდა. დახმარების სათხოვნე-

ლად იყვნენ ქ. სოხუმის გაჭირვებულები და აგრეთვე ეშტუხიდან, ლეჩქოფიდან, ბირცხიდან, მატროსკაია სლაბოდკიდან, მაიაკიდან, აბჟაყვადან, აკაფადან, და სხვა სოფლებიდანაც. განყ-ბა ცდილობდა უმუშევარ მამაკაცთათვის სამუშაო ეშოვნა და ზოგიერთებს, ვინც კი სურვილს აცხადებდა ყველას ეხმარებოდა. უკვე ქალაქის იჯარადები შეჰპირდნენ განყ-ბას მუშების მიღებას მათგან. და თუ ეს საჭირო დონეზე ვერ დადგა, იმით აიხსნება, რომ ყველა მიწის მუშაა და თუ ეხლა არ მოხნა, მოთესა და არ უპატრონა მთელი წლის მოსავალი დაეკარგება, გარეთ გამოსასვლელათ არა სცალიან. სოხუმის განყ-ბამ დაკარგულ და ტყვედ წაყვანილ მეომართა მოძებნაშიაც დახმარება აღუთქვა ხალხს, რისთვისაც ქალაქების კავშირის ტფილისის განყოფილებისაგან 40 ღია ბარათი მიიღო. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენს მოძმე ლაზებს, ესენი აჭარლებზე ნაკლებად არ დაზარალდნენ.

განყ-ბამ გუდაუთშიც მოიწადინა მოქმედების დაწყება, რისთვისაც ერთს იქაურ კაცს მიანდო საქმის ინიციატორობა. დარწმუნებულნი არიან ამას მალე განახორციელებენ. აგრეთვე საჭიროდ მიაჩნიათ მალე კოდორშიაც და ოჩამჩირეშიაც სარეგისტრაციო პუნქტების დაარსება.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 7 აპრილი, ხუთშაბათი, №546, გვ. 4.

სოხუმი

„დიოსკურიის“ ამხანაგობის წიგნის კიოსკის გახსნა შეფერხებულია რაღაც გაუგებრობისაგან გამოწვეული მიზეზებით. ახლა ნებართვის აღებისათვის მეფის ნაცვალს მიჰმართეს. მოსული გამოწერილი გაზეთები ხელზე იყიდება ჯერ-ჯერობით. წიგნის მყიდველი ბევრი ჰყავს და სულ ახალი გამოცემები კი ცოტა ეპოვება, როგორც მაგ. ჩვენი პოეტების ს. შანშიაშვილის, ი. ევდოშვილისა და სხვა ნაწარმოებებიც.

„საქველ“ საზ. სოხ. სარაიონო განყ-ბას მთავარ გამგეობისაგან თვიურად რეგისტრაციის საწარმოებლად 200 მან. ეგზავნება.

სოხუმში მცხოვრები ლაზები საზ-ბის სარაიონო განყ-ბას სთხოვენ,- დაგვეხმარეთ, რომ ნება დაგვრთონ დავბრუნდეთ ჩვენს მიწა წყალზეო.

სოხუმის დრამატიულ საზ-ბის წესდება უკვე შედგენილია და ბ. ნიკო თავდგირიძეს მიენდო მისი მთავრობასთან დასამტკიცებლად წარდგენა.

17 აპრილს მ. წულუკიძემ წაიკითხა ლექცია ვაჟა-ფშაველაზე. ხალხი უფრო მეტს შინაარსიანობას მოელოდა და მისი თეზისები ბევრ საწინააღმდეგო აზრს იწვევდა. ლექციის შემდეგ ბ. ძუკუ ლოლუას ლოტბარობით ქართულმა ხორომ შეასრულა ქართული სიმღერები. კონცერტმა მწყობრად, მოხდენილად და რიგიანად ჩაიარა.

ბ.ზ. ფალიაშვილს განუზრახავს ამ ზაფხულს სოხუმის ოლქში იმოგზაუროს მეგრულ-აფხაზურ სიმღერების ნოტებზე გადასაღებად და ჩასაწერად ფონოგრაფის შემწეობით.

სოხუმის საურთიერთო ნდობის საზ-ბა დიდი ხანია თავმჯდომარის ძიებაშია, მაგრამ დღევანდელამდისინ ვერავინ გამოუძებნიათ.

წერა-კითხვის საზ-ბის სოხ. განყ-ბას, თავისი ქონების გასაძლიერებლად „ძმური ნუგეშის“ გახსნა უნდა, რისთვისაც საგრძნობ ხარჯის გაწევასა ჰფიქრობს. ამისივე გახსნა საქვ. საზ. სოხ. განყ-ბასაც უნდოდა, ხუთი კაცისგან კომისიაც აირჩიეს, მაგრამ კომისია კომისიადვე დარჩა და საქმე გაიყინა.

სოხუმიდან მე-4, გვერდზე მდებარე სოფ. მატროსკაია სლაბოდკის სამრევლო სკოლაში მეცადინეობა წესიერად ვერ მიმდინარეობს უკანასკნელ შუშიანობის გამო. ხალხი ამ ორი თვის განმავლობაში სამჯერ გაიხიზნა.

ტფილისიდან ჩამოსულმა სახაზინო თეატრის საოპერო დასმა რამდენიმე ოპერა დასდგა. ხალხი ბლომად ესწრებოდა და კმაყოფილიც დარჩა.

იხ. იქვე 18 მარტს სოხუმის საბჭ „ისტ. სხდომა“

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 1 მაისი, კვირა, №564, გვ. 5.

აფხაზეთის მცხოვრებთა რიცხვი

ადგ. მთავრობის ცნობებით აფხ-ის (სოხ. ოლქი) მცხოვრებნი ასე განაწილდებიან:

აფხაზნი (აფხაზურად მოლაპარაკენი) – 47, 751 სული. აფხაზნი- სამურზაყანოელნი (ლაპარაკ.მეგრულად) – 36, 836 სული სამეგრელოდან გადმოსახლებული მემამულენი – 25, 734 სული

ქართველნი (ლაპ. ქართულად) – 2320 სული.

სულ ქართველნი – აფხაზნი – 102, 641 სულია სოფლად და დაბებში, ხოლო აფხაზეთშივე სოფლად არის: 6.585 რუსი, 13, 847 სული ბერძენი, სომეხი-12, 493 სული, დანარცენი – (ესტები, მოლდავანები) და სხვა 2818 სული. სულ ოლქში გარდა ქ. სოხუმისა ითვლება 148,563 სული. ხოლო ქ. სოხუმში ირიცხება 30.000 მცხოვრები და როგორც ქალაქის თვითმმართველობის ცნობებიდან სჩანს-70% ქალაქის მცხოვრებთა ქართველები შეადგენს მე განზრახ დავიტოვე ოფიციალური ცნობების ტერმინები- „ქართველი“, „მეგრელი“, „სამურზაყანოელი“ და სხვ.

იგივე

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 27 ივლისი, ოთხშაბათი, №634, გვ. 4.

შიმშილი სამურზაყანოში

2 წელიწადი სრულდება რაც სამურზაყანოელი გლეხი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება, ომისაგან გამოწვეულ აუტანელ სიძვირეს დაერთო მოუსავლიანობა. გლეხი ძალზე მოიხარა წელში, მისი ეკონომიურად გამობრუნება ძნელი საქმეა.

შარშან, დამშეულების გამოსაკვები სიმინდი ჩრდილოეთ კავკასიიდან წესიერად მოდიოდა, ხალხმაც იოლად აიტანა შიმშილი. შარშანვე ადრე შეუდგა მთავრობა მიმდინარე წლისათვის დამშეულების გამოსაკვებ სიმინდის შეძენის თადარიგს, აღმოჩნდა, რომ ხალხს თავი დაეღწია შიმშილისაგან, უნდა მიეღო 440, 000 ფუთი სიმინდი, აგერ ზაფხული ილევა, ერთი თვემდი ახალ მოსავალს მოველით და, ჯერ დამშეულებისთვის რაღაც 30, 900 ფუთი გვაქვს მიღებული. მოყვანილ ანგარიშების შედარებით აშკარა ხდება, რომ ხალხი ძალზედ დამშეულია. შიმშილისაგან სიკვდილის მაგალითი ბევრია, სოფლებში მზრუნველებად არჩეული პირები ყოველ კვირა აგზავნიან თხოვნებს, ვიზედაც დამოკიდებულია სასურსათო საქმის მოწყობა ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში, მაგრამ ჩვენი ხვეწნა, ცრემლები სად ინთქება, აღარ ვიცით.

იქნება ბ. შაშკოვსკიმ თავი იმართლოს. ზღვაში მოსალოდნელი ხიფათის მეოხებით ვერ მივაწოდეთ ნოვოროსიისკიდან საჭირო სიმინდი დამშეულებს ოჩამჩირე-

შიო და სხვა... მიზეზების ახსნა ხალხს ვერაფერს შველის, არც თავის მართლება დააკმაყოფილებს და იხსნის დამშეულებს გაჭირვებიდან, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჩვენთვის სიმინდი იყო და არის საჭირო, რადგან სურსათის გადმოტანა ზღვით ცოტა არ იყოს სახიფათო შეიქმნა. მიუცილებელი საჭირო იყო ნაწილი ხალხისათვის შეკვეთილი სიმინდისა რკინის გზით გამოეგზავნათ. მართალია, ამ საშუალებით სიმინდის ახალ სენაკში მოტანა ცოტა ძვირი დაგვიჯდება, მაგრამ ამდენი ადამიანის სიცოცხლე უზრუნველ-ყოფილი საკვების მხრივ. თუმცა-ღა მარჯვე დროს შერჩევით ზღვითაც მოხერხდებოდა საყოფი სიმინდის მიღება, რასაც ვასაბუთებთ შემდეგი ფაქტებით: მიმდინარე წლის დაწყებიდან დღემდე კერძო (გემების) პირების გემებით ვაჭარმა ბესარიონ სანაიამ ხუთ გზობით გადმოზიდა ოჩამჩირეში პურის ფქვილი, თითოჯერ არა ნაკლებ ხუთ-ხუთი ათასი ფუთისა და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა უბედურება შემთხვეოდა ზღვაში, სხვებმაც მიიღეს ოჩამჩირეში და სოხუმში საქონელი ზღვით რუსეთიდან.

აშკარა საქმეა ბ. შაშკოვსკიმ ხალხის გაჭივრებას საჭირო ყურადღება უნდა მიაქციოს ახალ მოსავლის გამოყენებამდე მოქანცული, არაქათ გამოლეული ხალხი შიმშილს ვერ აიტანს და მათ უმრავლესობას (შიმშილი) გაანადგურებს. ჩვენ, როგორც ხალხის რწმუნებული პირი, იურიდიულად და ზნეობრივად მოვალე ვართ თხოვნით თუ გაზეთის საშუალებით უმაღლეს კავკასიის მთავრობას ვაცნობოთ ხალხის უკიდურესი გაჭირვება, რათა შიმშილისაგან ილაჯ გამოლეული ხალხი დაკმაყოფილებულ იქმნას სიმინდის დარიგებით.

სამურზაყანოს მცხოვრებთა რწმუნებული

ივანე გეგია

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 24 აგვისტო, ოთხშაბათი, №656, გვ. 4.

სოხუმში შემოხიზნულ აფხაზთა დასახმარებლად ქართულმა საქველმოქმედო საზ-ბამ სოხუმის განკარგულებაში 500 მან. გადასდო.

სოხუმში შემოხიზნულ ჭანების მდგომარეობის გამოკვლევა ქართულმა საქველმოქმედო საზ-ბამ სოხუმის განყოფილებას მიანდო.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 30 აგვისტო, კვირა, №660, გვ. 2.

მაგრამ აწერია შეცდომით 28 – რედ.

ქართ. საქველმოქ. საზ-ბის სოხ. განყ-ბის კრება, როგორც იტყობინებიან, ამ დღეებში მომხდარა გამგეობის ახალ წევრთა ასარჩევად. აურჩევიათ: ნიკო თავდგირიძე (თავმჯდომარე) ბ-ნი კაჭარავა, ბ-ნი გოკიელი, ნინო თურქია და სევასტი თურქია.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 13 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №695, გვ. 2.

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“

სოხუმი

ჩვენში მრეწველობის სფეროში კარგათ ცნობილი. რაფაელ იოსებიძის ძე გოკიელოვმა 4 მარტს, ინახულა ჩვენი ქართული შკოლა, შკოლის შენობა რადგან ჯერ

მოუთავებელია მისი ასაშენებელ ფონდს შემოსწირა 300 მანეთი; ხოლო ათი მანეთი აქვე ღარიბ მოწაფეთა ნივთების შესაძენად გადასცა შკოლის გამგეს; მომავალშიც დიდ დახმარებას მოელიან. თითონ გამოთქვა დახმარების სურვილი და სწუხდა დღემდი რომ არ იცოდა ჩვენი შკოლის ასეთი უნუგეშოდ მდგომარეობა. ბ. ბ. ნიკო ლუარსაბის ძე გეგელაშვილმა და ძმებმა ილარიონ და რაჟდენ შეფგელაიებმა შემოსწირეს იმ დღეს ას-ასი მანეთი. ქართული შკოლის ამ მაგალითებს, როგორც გვითხრეს აქაური ბევრი თანაგრძნობს და თუ ასე გაგრძელდა მოკლე ხანში შეიძლება ქართული შკოლის მოწესრიგება.

ძუკუ ლოლუა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 22 მარტი, სამშაბათი, №19, გვ. 4.

სოხუმიდან გადაუსახლებიათ სამი ხერთვისელი კაცი როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომი. ისინი ეს ორი წელიწადია რიაზანის გუბერნიაში იმყოფებიან, როგორც სამხედრო ტყვეები.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 30 მარტი, ოთხშაბათი, №25, გვ. 2.

სოხუმი
4 მარტს შკოლა მოინახულა...

ფრიად საყურადღებო ხმა გავრცელდა ქალაქებში. ჯერ რამდენათ დასაჯერებელია არ ვიცით, მაგრამ ცხადზე უცხადესია თუ ბ. ქალაქის თავი მოინდომებს და არ მიაქცევს კერძო ინტრიგანობას ყურადღებას, ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს ქალაქის სასარგებლოდ განახორციელებს.

მეექვსე წელიწადია ზღვის განაპირად სადაც ქალაქის ბაღია იქვე, თვალსაჩინო ადგილას უზარმაზარი შენობა ააგო ბ. იოსებ მიხეილის ძე ალოიზემ (ფრანგია). ამ შენობაში მოთავსებულია თეატრი თავის მშვენიერ ფოიეთი, პირველ ხარისხის სასტუმრო გრანდ-ოტელით (3 სართულია); ქვედა სართული მაღაზიებით ზღვისკენ გაშლილი ეზოთი, სადაც საზაფხულო მშვენიერი შენობაა „სინემატოგრაფისათვის“: ეს ძვირფასი შენობა ბ. ალოიზს ძვირად დაუჯდა, გასავალმა დასძლია შემოსავალს, მასთან დღევანდელი საერთო უბედურ მდგომარეობაში ძლიერ გაუტეხა გული და ალოიზემაც გადაწყვიტა თავიდან მოიშოროს ეს შენობა, რაღა სალაპარაკოა, გამყიდველისთვის სულ ერთია ვინც უნდა იყოს მყიდველი, ოღონდ ღირებული ფული მიიღოს, მაგრამ აგრე არ უნდა ითქვას ბ. ალოიზეზე. თუ ქალაქი შეიძენს ამ ქონებას 50 000 მანეთით ნაკლებს დაუთმობს თურმე და თან მადლიერიც დარჩებათ. აი სწორედ ამ საგანზე აქვს ბ. თავგირიძეს მოლაპარაკება ბ. ილოიზესთან იმედი უნდა ვიქონიოთ სასურველად დაბოლოვდება ეს დიდი საქმე და სასარგებლოდ. კიდევ ვიტყვი თუ კერძო ინტრიგანებმა არ შეუშალეს ხელი.

18 მარტს გვეწვია მტრის წყალქვეშ მავალი გემი...

მიჭვიტინა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 2 აპრილი, შაბათი, №28, გვ. 4.

სოხუმის ქალაქის თვითმმართველობა სთხოვს ქუთაისის თვითმმართველობას, შეატყობინოს დადგენილება მოსამსახურეთა შტატის შესახებ.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. №30, გვ. 3.

სოხუმი

...ბოლო დროს ამ საშინელმა ომმა მუჯლუგუნი გვკრა და გამაჰმადიანებულ ქართველებს ჩვენი დახმარების ხელი გაუწოდეთ, ახლა კი გამოვფხიზლდით და ვცდილობთ მათ გათვიცნობიერებას. ჩვენს ძველ 70-80 წლისა და 90 წლის მოღვაწეებს ესმოდათ ეს და ქობულეთიდან და სხვადასხვა გამაჰმადიანებულ საქართველოს კუთხიდან ჩამოჰყავდათ ახალგაზრდები ქართულს გიმნაზიაში აღსაზრდელად. ამნაირად იდებოდა ხიდი ჩვენსა და ჩვენს მოძმეთა შორის.

ამნაირივე ხიდის გადება საჭირო აგრეთვე ჩვენსა და და აფხაზეთს შორის. აფხაზი, როგორც ყველა ქართველი ადამიანია, და ამ უკანასკნელ დროს ძლიერ ეტანება სწავლა-განათლებას.

საჭიროა მალე შევიტანოთ აფხაზებში შეგნება და თუ ამ დუხჭირ დროს იმდენი ღონე არ შეგვწევს, რომ ჩვენი შკოლები გავხსნათ იქ, ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისმა დასავლეთ საქართველოს განყოფილებებმა უნდა თავს იდვან ორ-ორი, ან სამი აფხაზი ყმაწვილის აღზრდა ჩვენს ქართულ შკოლებში, როგორც დაბალსა და საშუალოში, ისე მაღალშიაც. აი როგორ გაიდება ხიდი ჩვენი და აფხაზთა შორის.

ვთხოვთ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ძუკუ ლოლუა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 5 აპრილი, სამშაბათი, №30, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

აქ ს. აბჟუადან აუარებელი თუთუნი მოაქვთ ყოველ დღე გასაყიდათ, თურმე ვერ ნახავთ სოფელში ისეთ მოსახლე აფხაზ გლეხს, ვინც ბოსტნის ოდენა ადგილიც დაამუშავა, რომ არ გაეყიდოს 50 მ. თუთუნი – ვისაც კი დაუმუშავებია დესიატინაზე 1000 მან. მოსვლა, ახლა სოფ. აბჟუას მაგალითმა სამურზაყანოც დაინტერესა, და აქაც მოკიდეს ხელი მეთუთუნეობას. სამურზაყანოში უფრო სიმინდის მოყვანას მისდევენ. ახლა კი ყანები სათუთუნეთ აქციეს. სხვათა შორის ეს გარემოენა იმანაც გამოიწვია, რომ სამურზაყანოელებს ეს ორი წელიწადია სამი თვის საზრდო არ მოსვლიათ. უწინ სამურზაყანოს სიმინდით დღეში ხუთი-ექვსი გემი იტვირთებოდა საზღვარი გარეთ გასაგზავნათ, მაშინ დესიატინა მიწა აძლევდა 120 ფ. სიმინდს; ახლა კი 15 ფუთიც არ მოსვლიათ, თუთუნი კი 40 ფუთი მოდის დესიატინაზე. თუთუნი ფასობს 22 მ-25 მ. ძლიერ ბევრი მყიდველია ჩამოსული სოხუმიდან. ამ გარემოებამ დიდად აამოძრავა აქაურობა.

გ. ა. ვ – დია

გაზ. „ჩვენი მეგობარი“ 1916 წ. 8 აპრილი, პარასკევი, №33, გვ. 4.

აფხაზეთის დეპუტაცია

მისი იმპერატორობითი უმაღლესობას დიდი მთავარის ნიკოლოზის ძეს საღამოს 5 საათზე წარუდგა აფხაზეთისაგან გამოგზავნილი დეპუტაცია. დეპუტაციაში შედიოდა თ-დი ალექსანდრე შერვაშიძე, თ-დი მელიტონ ემხვარი, თ-დი დიმიტრი მარღანია, თ-დი გიორგი შერვაშიძე, თ-დი ოსტა მესი ინალიპა, თ-დი პეტრე ანჩაბაძე და

თ-დი ნოჩო მარღანია. გლეხების აზრით იყვნენ გლეხები: ანტონ ჩუკბერია და მიხეილ ეზუგბაია.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 29 აპრილი, პარასკევი, №47, გვ. 2.

სოხუმი

ორი სიტყვა ჩვენი საჩაიეს შესახებ

პირველ მაისში გაიხსნა, ფრიად საპატიო მიზნით ეს ქართული „საჩაიე“. წარმოუდგენელია დაუღალავი შრომა და ენერგია დამაარსებელ და თანამშრომელ მანდილოსნებისა, განსაკუთრებით საყურადღებოა მათი მეცადინეობა დღევანდელ პირობებში. ჯერ ფულები იყო საჭირო „ინვენტარიის“ შესაძენათ. ამას არანაკლებ 2,500 მანეთისა უნდოდა, მერე კი ბინა შესაფერისი და მრავალი სხვა. მაგრამ მათ გადალახეს დაბრკოლებები და ერთხელვე გადაწყვეტილებამ, – ეროვნულმა სურვილმა თავისი გაიტანა და აი კიდეც მშვენიერი თვალსაჩინო ალაგზე გახსნეს ქართული წარწერთ „ფინჯანი ყავა“. ყველა ხედავს როგორ პირნათლად მსახურობენ საზოგადოების წინაშე საჩაიეს მართველნი. ეს იმით მტკიცდება, რომ გახსნის დღიდან ყოველ დღიური შემოსავალი არანაკლებ ერთი მეორესთან თორმეტი-ცამეტი თუმანი აქვს დღეში. მაისის თვის შემოსავალი საერთოდ იყო 30700 მანეთამდე.

მაშასადამე, ცხადია ამ საჩაიეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი საზოგადოებისთვის, ყველამ უნდა ვიცოდეთ აქედან შემოსავალი, დიდს დახმარებას გაუწევს ღარიბ ფილიალური სოხუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. განყოფილებას. ვინც თვალს არ აიხვევს, ყველა დაინახავს რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ჩვენი ქართული შკოლა და მომავალში რა მოვალეობა, მზრუნველობა გვაწევს შკოლისადმი, რამდენი კიდევ სხვადასხვა საჭიროებაა, რომლის ზედმეტად მიმაჩნია. აი, სწორედ ეს საჩაიე არის ერთადერთი წყარო, რომლის არსებობა ცოტად შეღავათს მისცემს ადგილობრივ მცხოვრებთ. დღემდე საშვალების გამოსაძებნელად დგამდნენ წარმოდგენებს, მართავდნენ ალეგრებს, დაძრწოდნენ ქუჩაში და ამგვარად აგროვებდნენ გროშებს. ამ საშუალებით აკმაყოფილებდნენ შკოლასა და შკოლის მასწავლებლებს. დღეს კი ამ წანწალს ავშორდით ამ საჩაიეს იმედით.

შემოსავალის ერთი ნაწილი გადაიდება მეომართა ოჯახების სასარგებლოდ, რაც ფრიად სასიამოვნო და სასურველი მოვლენაა.

საქმეს მეთაურობენ: – კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა, ქ-ნ ნინა ალექსანდრეს ასული თურქიასა, ნ. გელოვანისა, ნ. ალოიზისა, ს. მახარაძისა, თ. ერქომაიშვილისა სალომე, ნ. პ. ლოლუასა და ქ-ნ ჯანაშიასა. ეს ქ-ები დაარსების დღიდან დილის 6 საათიდან საღამოს 12 საათამდე აუტანელ შრომას ეწევიან. ხედავ ამათგან ამ თავგანწირულ შრომას და გიხარიან. მაგრამ სამწუხაროდ ამ საქმით გამოწვეულ სიხარულს რაღაც დამაფიქრებელი მხარეც აქვს, ეს გახლავთ ის, რომ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ქალბატონები უნდა ეწეოდნენ ასეთ ტანჯვას, როგორიცაა დილიდან საღამომდე ფეხზე ტრიალი? სად არიან სხვა ქართველი ქალები. ყველასთვის ცხადია ორჯერ სჭარბობს ქართველი სხვა ერებს: მაშ ათი-თხუთმეტ ათასამდე ვყოფილვართ, აქედან ნუთუ 50 ქალი არ ისურვებდა დახმარების სურვილი გამოეთქვათ ამ ფრიად დიდი სიმპატიური საქმისადმი? რა იქნებოდა ერთხელ მაინც შეკითხებოდნენ თავიანთ თავს, ეს საზოგადო ეროვნული საქმეა და საზოგადოების გარეთ ცხოვრება ფუჭი და მავნე-

ბელია. ნუთუ არ ვიცით ეს? შეიძლება ფიქრობენ, ფართე საზოგადოება ქალებისა ოფიციალურად არ მოუწოდებივართო, ეს არ კმარა. გაუგებარმაც გაიგო თუ რა დანიშნულებას ემსახურებოდა ჩვენი საჩაიე. ყველა მოვალეა მიუხედავად წოდებისა, მდგომარეობისა და მიმართულების მობრძანდნენ და შრომა გაინაწილონ.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 21 ივნისი, სამშაბათი, №89, გვ. 3.

სოხუმი

სოხუმის ახლო-მახლო სოფლებიდან მუდამ დღე ჩამოაქვთ ადგილობრივ გლეხებს ქვა-ნატეხი სხვადასხვა მადნეულებისა მცოდნე პირთათვის სანახავად.

უკანასკნელების შემოწმების შემდეგ ირკვევა, რომ ეს მადნები დიდი პროცენტიანები არიან და მასთან უზარმაზარი მთებათ აღმართული. გლეხების მოტანილი ნიმუშებით ირკვევა, რომ სოხუმის მთელ ოლქში ყველანაირი მადნები იპოვება: რკინა, ფოლადი, სპილენძი, ტყვია და სხვა. საღებავებიდან: ბაკანი, მუმია, ოხრა და სხვა. ორი დღის უკან ს. ჩხალთიდან ჩამოვიდნენ სოხუმის გლეხები, რომლებმაც ამცნო სოხუმელებს რომ იქ, ამ ორ-სამ დღეში სხვადასხვა ადგილას ამოხეთქეს სამკურნალო წყლებმა და ეს შადრევანი რამოდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე ამოქუხს. ეს შადრევანი დიდხანს ვერ გრძელდება თავისი შხაპუნითო – დასძენენ გლეხები, რადგან მთების კალთებიდან გადმონაცვენი მიწა – ქვებით იფარებაო. ასეთი ბუნებრივი სიმდიდრით სხვადსხვა მადნეულობით, სამკურნალო წყლებით, აბანოებით შემკულია არა მარტო სოხუმის ის ოლქი, არამედ მთელი დასავლეთ საქართველო.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 5 ივლისი, სამშაბათი, №100, გვ. 4.

სოხუმელი „მოღვაწენი“

...რუსიფიკატორები მოქმედებენ დღეს სოხუმის ოლქში. ისინი უმტკიცებენ აფხაზებს რომ აფხაზეთს ქართველთან არაფერი არ აერთიანებს, რომ ქართველები მუდამ აფხაზის მტერი ყოფილა და დღესაც შემოსევიან აფხაზეთს, სურთ საცხოვრებელი და მიწა-წყალი წაგვართვან და თვით დამკვიდრნენ თქვენს სამშობლოში. ჩვენ რუსები კი თქვენ გიცავთ და გიფარავთ მათგან, თქვენი ქომაგი ერთგულნი ვართო.

ამ მიზნით შეიქმნა აფხაზური ანბანი. ამავე მოღვაწეებს ყავთ აფხაზეთში თავისი აგენტები, რომელნიც უსიანებენ აფხაზებს მეგრელებზე; ამ მიზნით სწარმოებს ფართო ორგანიზაციული მუშაობა; თუ რამდენად ძლიერია ეს რიცხვით მცირედი ჯგუფი ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ქალაქ სოხუმის სკოლებში, საცა მცხოვრებთა 70 პროცენტია. სოხუმის პირველ დაწყებით სკოლებიდან ქართული ენა სრულად განდევნილია. ამათივე მეოხებით აღიძრა საკითხი სოხუმის ოლქის გუბერნიად გადაკეთებისა. ამავე ოლქის ეპარქიის საქართველოს საეგზარხოდან გამოყოფისა, საოლქო სასამართლოს გახსნის და სხვა... აფხაზეთში ქართული გავლენა, ჩააგონონ აფხაზთ, რომ ისინი ქართველი ტომის არ არიან და ამით გამოაცალონ ნიადაგი მათ არსებობას, შემდეგ მათი გარუსება სულ ადვილი საქმე იქნება.

...სოხუმის რუს მოღვაწეთა ჯგუფი მოითხოვს სოხუმის გუბერნიის დარსებას...

დალი

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 6 ივლისი, ოთხშაბათი, №101, გვ. 1.

როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, სოხუმიდან ტფილისს გამგზავრებულან ქალაქის თავის მოადგილე პ. ლ. გელოვანი, ხმოსანი ტ. ი. ანუა და საქალაქო ინჟინერი ვ. ა. ოსტროვალოვი, რომელნიც წარუდგებიან მეფის მოადგილეს.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 15 ივლისი, პარასკევი, №109, გვ. 2.

მთელი სოხუმის ოლქის ხელმძღვანელობა ამჟამად მინდობილი აქვს აგრონომს იაკოვლევს (მოსკოვის გუბერნიის ყოფილ საერთობო აგრონომს). ცალკე უბნებში: 1) სამურზაყანოში თავად დიმიტრი კონსტანტინეს ძე ემხვარს. 2) კოდორის უბანში, ამავე უბნის წვრილი საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს ვასო გურჯიანს. 3) გუმის უბანში საბაღოსნო ინსტრუქტორის ბლოკს და 4) გუდაუთის უბანში კი საერობო აგრონომს პრომანს. დანარჩენ ადგილებში უმთავრეს ნაწილად სამეურნეო აღწერას ხელმძღვანელობს მასწავლებელთა პერსონალი და ადგილობრივი ინტელიგენცია.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 19 ივლისი, სამშაბათი, №112, გვ. 3.

პროვინცია

სოხუმი

გუშინ ქუთაისს ჩამოვიდა სამეურნეო აღწერის ცენტრალური ბიუროს ინსტრუქტორი სტატისტიკი ა. ვ. კალომენსკი, რომელიც ხელმძღვანელობს სოხუმის ოლქის სამეურნეო აღწერას.

– სოხუმის ოლქის სამეურნეო აღწერას, როგორც ბატონი კალომენსკი გადმოგვცემს მცხოვრებლები ძალიან გულით ეკიდებიანო, არის ისეთი შემთხვევები რომ, რეგისტრატორის მიერ აუწერელი გლეხები თვითონ მოდიან ადგილობრივ რეგისტრატორთან და ატყობინებენ, რომ ისინი გამორჩა მას სხვებთან აღწერაში და აგვწერეო.

– სოხუმის ოლქის უფროსი ყოველგვარ ზომებს ღებულობს სამეურნეო აღწერაში დასახმარებლად.

– სოხუმის ოლქის სამეურნეო აღწერის ტექნიკურად მოწყობის მეთვალყურეობა მინდობილი აქვს ზუგდიდის მაზრის ხელმძღვანელს სამიწადმოქმედო დეპარტამენტის უმცროს წევრს თავად ერმილე ნაკაშიძეს.

სოხუმის ოლქის სამეურნეო აღწერა უნდა დამთავრდეს აღწერის დაწყებიდან 25 დღის განმავლობაში არა უგვიანეს 10 აგვისტოსა.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 20 ივლისი, ოთხშაბათი, №113, გვ. 2.

სოხუმიდან ქალაქის მოურავისაგან თავდგირიძისაგან მივიღე შემდეგი დეპეშა:

დარბეულნი თხოვენ დეპუტატ კ. ჩხეიძეს გამოსაძიებლათ ჩამობრძანდეს. ბევრი საინტერესო ცნობების შეკრებილი. რუსეთის ცენტრალური გუბერნიების „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის გავლენა ფაქტია. რუსეთიდან ჩამოსული „პოგრომჩიკი“, რომელიც აქეზებდა ბრბოს სხვადასხვა უბანში და რომელსაც აღმოაჩნდა „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციების ატესტაცია, დაპატიმრებულ იქმნა.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 24 ივლისი, კვირა, №117, გვ. 2.

სოხუმის პოლიტმეისტერის კანცელარიის მოსამსახურე პეტრე ლომაია დაინიშნა

დაბა გუდაუთის ბოქაულის თანაშემწედ.

ბედიელ. შერვაშიძეს სასამართლომ 2500 მ დაადვა გადასახდელად.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 29 ივლისი, პარასკევი, №121, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

ადგილობრივი სამკითხველოდან ვიღაცას გააქვს ახალი გაზეთები და მკითხველები მოტყვილებული ბრუნდებიან. კარგი იქნება, რომ სამკითხველოს გამგეობას მიიღებდეს სათანადო ზომებს.

ოჩამჩირე

18 ივლისს ადგილობრივმა მთავრობამ მოიწვია როგორც ვაჭრები ისე ხელოსნები ნიხრის შესადგენად. შედგენილი ნიხრი 19 ივლისს უკვე ქუჩაში გამოაკრეს.

დ. გალი (სოხუმის ოლქი)

15 ივლისს აქაური სასტუმროს არენდატორს დვალიშვილს უცაბედად ლევორველი გაუვარდა და იქვე მდგომ ახალგაზრდა ყმაწვილს გაბუნიას მოხვდა 20 წთ-ის შემდეგ გარდაიცვალა.

10 ივნისს სამურზაყანო ს. ცხირის მცხოვრებს ნაყოფიას ლევეორველი გაუვარდა, მოხვდა თავის მეზობელ ნაყოფიას და იქვე გარდაიცვალა.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 31 ივლისი, კვირა, №123, გვ. 3.

სოხუმში უკვე დაუწყია საექიმო ორგანიზაციას დაფნის ფოთლის ყიდვა. ფუთი გამხმარი დაფნის ფოთოლი ფასობს 16 მან.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 21 აგვისტო, კვირა, №139, გვ. 3.

ქ. სოხუმსა და ფოთს შორის (შუა) მატორის ნავით განახლებულა მიმოსვლა, რომელსაც გადაყავს 10 კაცი/ ნავი მოცურავს ნაპირის ახლოს და სრულიად უშიშარია მგზავრობისათვის. თითოეულ კაცის გადაყვანა ფოთიდან სოხუმამდის ღირს 10 მან.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 28 აგვისტო, კვირა, №145, გვ. 2.

ოჩამჩირე

აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ნოქრების მოთხოვნილება მათ მინიმუმს არ გასცილებია, მაგრამ ვაჭარ-ხაზეინებმა ეს მოთხოვნილება დაინახეს გადაჭარბებულად და მათი დაკმაკოფილება შეუძლებლად სცვნეს.

უმრავლესობა მათგანი იმდენ კადნიერებასაც კი სჩადიოდა გაიძახოდა: „ჩემთან და ჩემგან გამოჩიჩქნილს“ ბავშვს ნებას როგორ მივცემ მე მოთხოვნილებები წამოიყენოს და ან მე როგორ მეკადრება მასთან მოლაპარაკება გავმართოო“. ჩვენ თუ მხედველობაში მივიღებთ ნოქრების მდგომარეობას დ. ოჩამჩირეში, სრულიად არ უნდა გაგვიკვირდეს ვაჭრების ასეთი თავხედური მსჯელობა: დღიდან სავაჭროში დადგომისა, აქაური შეგირდი რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობს ვაჭრის

ოჯახში, ან მის თუთუნის პლანტაციაზე, თუმცა შეგირდი აყვანილია იმ პირობით, რომ ბავშვს ვაჭრობა შეასწავლონ ოჯახში შეგირდი ეჩვევა უპირველეს ყოვლისა-მონობას ანუ „მორჩილებას“, როგორც ამას თვით ვაჭრები ბრძანებენ. ეს თვისება აუცილებელი ყოფილა მათთვის, რომ შეგირდი მომავალში კარგი ვაჭარი შეიქმნეს. ხუთი წლის შემდეგ მას უჩვენებენ მაღაზიის კარებს, სადაც ის უჯამაგიროდ მსახურობს კიდევ რამდენიმე წელს. ამგვარად შეგირდი 5-6 წლის შემდეგ ეღირსება გაიგონოს ის, რომ მას ჯამაგირი ეძლევა, მხოლოდ ნუ დაგავიწყდებათ, ვაჭარი მას ეუბნება „შენ ჯამაგირი დაგენიშნა დღეიდან“, ხოლო რამდენიმე ან რა პირობებში ამის შემდეგ სდუმს ბაგენი ვაჭრებისა. შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ მთელი ჯამაგირი ნოქრისა წასულა მხოლოდ მის ტანისამოსის ან სხვა რაიმე საფეხურში, რომელიც მან შეიძინა თავისი ხაზეინისაგან. თუ რამდენად აუტანელია ნოქართა ცხოვრება დ. ოჩამჩირესი, ამას ერთი თვალის გადავლებით დაინახავს კაცი: მაღაზიები კვირა-უქმე დღე არ იკეტება, გაღება და დაკეტვა დილა-საღამოებით მოუწესრიგებელია, ხაზეინების მხრით უკიდურესი შეურაცხმყოფელნი არიან ნოქრები, ერთი სიტყვით სრული უუფლებობა...

...ზოგმა ვაჭარმა აუცილებლობისა თუ სხვა მიზეზის გამო დააკმაყოფილეს რამდენიმე მუხლი მოთხოვნილებისა, მხოლოდ არიან ისეთი ვაჭრებიც, როგორიც ბრძანდებიან ი. არშიბაია და ე. ჭაჭია, რომელთაც თავის დამცირებათ აღიარეს ნოქართან მოლაპარაკების გამართვა...

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 1 სექტემბერი, ხუთშაბათი, №147, გვ. 3.

სოხუმში უკვე ქალები გამოვიდნენ მეეტლებათ და არანაკლებ ასრულებენ მოვალეობას მამაკაცებისას, მათი ტანისამოსი ისეთივეა როგორიც მამაკაცების.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 1 სექტემბერი, ხუთშაბათი, №153, გვ. 3.

სოხუმი

წარსულ თვეს ახალგაზრდა ლექტორმა მ. წულუკიძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“. ლექცია შესდგებოდა 2 ნაწილისაგან.

I ნაწილში პატ. ლექტორმა გაარჩია ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ნაწარმოებნი. მოხენებულ იქმნენ: ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ტაბიძე, რუხაძე, ჩხიკვაძე და აბაშელი.

(იხ. გარჩევა მათი შემოქმედებისა – რედ.).

II ნაწილში პატ. ლექტორმა პატივისცემით მოიხსენია ჩვენი ცნობილი დრამატურგნი: იოს. გედევანიშვილი, იუკაშვილი, რომლების ნაწარმოებით პირველი ადგილი დაუთმო დრამატულ პოეზიასი. შეეხო-განიხილა ლორთქიფანიძის „მრისხანე თავადი“ ჯ. ჯორჯიკიას ნაწარმოებნი პირველხარისხოვნად აღიარა...(გარჩევა).

...ახალგაზრდა ლექტორი დიდი ხანი არ არის, რაც სოხუმელებს გვესტუმრა, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში დიდი სიმპათია დაიმსახურა. დიახ, მან დაიმსახურა ეს სიმპათია და კიდევაც ღირსია იმ დამსახურებისა, რადგან არა ჰგავს გელეიშვილებს და ჩვენ მათში ვხედავთ მეორე დარჩიაშვილს.

ავტორი ო. ჭავჭანიძე.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 8 სექტემბერი, ხუთშაბათი, №153, გვ. 4.

სოხუმი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილებამ კნ. ანჩაბაძის თავჯდომარეობით წარსული გაზაფხულის დასაწყისში გახსნა „ფინჯანი ჩაი“, რომლის შემოსავალი 10%-ის გარდა უნდა მოხმარებოდა ხსენებული საზოგადოებას, 10% კი წითელი ჯვარის სასარგებლოდ უნდა გადაედვათ.

გაზაფხულის დამლევს მოხდა ხსენებული საზოგადოების ახალი გამგეობის არჩევნები, რომელზედაც გავიდა ჩვენ მიერ წამოყენებული კანდიდატები. თავჯდომარეთ კი ისე კნ. ანჩაბაძისა იქმნა არჩეული, უნდა ითქვას რომ ჩვენს მოწინააღმდეგებსაც თავჯდომარის კანდიდატად წამოყენებული ყავდათ კნ. ანჩაბაძისა.

ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენშიაც მარქსისტებშიაც დიდი პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული.

და, ჩვენ მიერ არჩეულმა ახალმა გამგეობამ სრულის ნდობით მიანდო „ფინჯან ჩაის“ საქმეები ძვ. მუშაკ-თავჯდომარეს კნ. ანჩაბაძისას.

მაგრამ, ამ ზაფხულის დამლევს „ფინჯან ჩაის“ ანგარიშებით გამოირკვა, რომ საქმეები დეფიციტით დამთავრდა, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ზაფხული „ფინჯან ჩაის“ კოხტა დარბაზი მუდამ სავსე იყო სტუმრებით. რის გამო ჩვენ მიერ არჩეულ გამგეობამ, რომელშიაც შედიოდნენ ისეთი პირნი, როგორიც არიან ბატ. პ. გელოვანი და მისთანები, აირჩია სარევიზიო კომისია და დაავალა შემდეგი: გამოერკვიათ „ფინჯან ჩაის“ მდგომარეობა, თუ რისთვის დაედვათ ვალი, როდესაც მთელი ზაფხულის შემოსავალი უდრიდა ათიათასს მანეთს. რევიზიის შემდგომ გამოირკვა, რომ კნ. ანჩაბაძისა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავჯდომარე და „ფინჯან ჩაის“ გამგე, როგორც ქალი, სუსტი გამომდგარა ასეთ კომერციულ საქმეში, როგორიც არის „ფინჯან ჩაი“: ის თურმე სუყველას ენდო და ამ ნდობამ კი საქმე ზარალამდე მიიყვანა.

ამის გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ შემდეგი განცხადებით მიმართა წევრთ 1 ოქტომბრის ნომერში სოხუმის რუსული გაზეთის ფურცლებზე: 2 ოქტომბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გაიმართება კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ „ფინჯან ჩაის“ ანგარიშებიო და, რადგან სოხუმის რუსულ გაზეთს უმრავლესობა წევრებისა აღარ კითხულობდა. ვერც კი გაეგოთ ეს კრება და უმრავლესობა არ დასწრებია ხსენებულ კრებას.

უმცირესობას გაუთვალისწინებია რა „ფინჯან ჩაის“ ანგარიში მთელი გამგეობა შეუცვლია, რის გამო ბევრი დაუსწრებელი წევრები აღშფოთებული არიან მით, რომ თუ გამგეობის რამდენიმე შემდგენელნი პირნი, ისიც ქალებიდან, დამნაშავენი იყვნენ „ფინჯან ჩაის“ საქმეებში თავისი გამოუცდელობით, შეიძლებოდა მათი შეცვლა ახალ პირებით, როგორც არიან ქ-ნი ს. ლოლუასა და კნ. გელოვანისა და არა მთელი გამგეობის შეცვლით, რადგან ზოგიერთნი ისეთებია გადაყენებული, რომელთაც კეთილი საქმის მეტი არა მიუძღვით. დასასრულ არ შემიძლია არ დავძინო ჩემი აზრი: დღეს თქვენ გაიყვანეთ თქვენი კანდიდატები, ხვალ ჩვენ გავიყვანთ, ამით ჩვენ ერთი მეორეს ვერ დავამარცხებთ, პირიქით უფრო გავამწვავებთ საკითხებს. ჩემის აზრით ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ჩვენი საზოგადოება მოიზარდა, მასში დაიბადა სხვა და სხვა შეხედულებანი, იდეები, მიმართულება, და ყოველი მიმართულების ჯგუფს უნდა ყავდეს თავისი წარმომადგენელნი ისეთ დაწესებულებებში, როგორიც

არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის მიზანია გაავრცელოს ჩვენს ხალხში, მასაში, ქართული წერა-კითხვა და კულტურა.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 18 ოქტომბერი, სამშაბათი, №184, გვ. 4.

სოხუმის ქალაქის საბჭომ თავის წარმომადგენელთა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან თათბირზე დასასწრებლათ ქალაქის გამგეობის წევრი თ-დი პლატონ გელოვანი აირჩია.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 3 ნოემბერი, ხუთშაბათი, №198, გვ. 2.

ახალი სკოლები

კავკასიის ოლქის მზრუნველმა ნება დართო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გახსნას სოხუმსა და გალში ქართული სკოლები, რომლის დაარსებასაც დიდი ხანის წინ ეღობებოდა სოხუმის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 9 ნოემბერი, ოთხშაბათი, №203, გვ. 2.

სოხუმის ნოქარ-შეგირდთა ცხოვრება

...ისეთ დიდ ქალაქში როგორიც სოხუმია, სადაც თამამად შეიძლება თვითგანვითარების მიღება, მუშათა კლასმა ვერ შეიგნოს თავის მდგომარეობა და ძილს მისცეს თავი, სირცხვილია, სხვა რომ არ იყოს რა. 1905-ის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და მიმდინარე ომმა მეტად ხელი შეუწყო მშრომელ ხალხს გამოფხიზლებაგათვითცნობიერებაში.

ნოქრები ჯერ კიდევ საღათას ძილისაგან ვერ გამორკვეულან; ყველა თავისთვის ზრუნავს (ზრუნავს კი?!) და ერთი მეორის ჯავრი აქვთ. აქედან არ მინდა ვსთქვა, რომ ცოტა შეგნებული ამხანაგი თავს არ იწუხებს რამე შეაგნებიოს თავის ამხანაგებს.

...ასეთი ჩამორჩენა და შეუგნებლობა მათ აღარ ეპატიება იმ უკაცრავად პასუხია „მუშათა პარტიას“, რომლის ბრმა იარაღს პირველნი წარმოადგენდნენ, დიახ, დასელები აბა რისს დასელები არიან რომ ყველგან თავისი ესდევური სუნით არ მოწამლონ ატმოსფერო, და მუშის შეუგნებლობით არ ისარგებლონ... თუ მუშას „თანამედროვე აზრი“ აჩვენებს, თავის „პროგრამა“ აუხსნეს და ფედერალისტების გინება შეასწავლეს, აი მუშის სრული განვითარების კურსი, აი ამას უძახიან დასელები „დემოკრატიის გამოფხიზლებას“. აქაც ასე მოხდა, აქაც გაჩნდნენ პატარა პეტრე გელეიშვილები, როგორიც არის მეკრივე ჯუღელი და სხვა... და ჩვენი სოხუმელი ნოქარ-შეგირდები მათი ბრმა იარაღი, უბრალო ავტომატი გახდნენ „აზრი“ მისი მოწაფენი დასელებიაო, – იკითხეთ მარტო ის, დანარჩენ სხვას ხელს ნუ ახლებთო“. რასაკვირველია, ნოქრებიც ასრულებენ ამას და წარმოიდგინე, მკითხველო, თუ რა განვითარება შეუძლია მიიღოს იმ ადამიანმა, რომელიც მარტო „აზრის“ ყალბი ფურცლებით საზრდოობს. თუ რამე კრება მოხდა აქ, ან არჩევანი, მაშინვე ეს ვაჟბატონები მოუყრიან თავს მუშა-ნოქარ-შეგირდებს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად და თავისი კანდიდატურის გასაყვანად მოუწოდებენ. მაგრამ იციან ნოქრებმა, ვის აძლევენ კენჭს, გამოდგება თუ არა ის ამ საქმეში? არა! ისინი ასრულებენ „ლიდერი“, რა ღმერთს ემსახურება.

ერთი სიტყვით ნოქრები არიან ერთგვარი უსულო მექანიზმი, რომელიც მოძრაობს სხვის გავლენის ქვეშ. როდესაც ცნობილი ჯუღელი „ინტერნაციონალურ“ საღამოზე ღიპიან სომხის ვაჭრებს ძმობას და ერთობას უქადაგებდა და მეგობრობას ეფიცებოდა, ჩვენი ნოქრები ამას ტაშს უკრავდნენ, რადგანაც ის ინტერნაციონალს ნიშნავსო. იმას კი არ დაუკვირდნენ, რომ სომხის ვაჭრებთან მათ საერთო არაფერი ქონდათ.

ასეთია მოკლედ სოხუმის ნოქარ-შეგირდთა ცხოვრება, ისინი მონა არიან როგორც „ხაზეინების“ ისე „ცნობილი პარტიისა“, მაგრამ მომავალში მაინც შეიგნებენ და...“

ვ. ცაიშელი

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 16 ნოემბერი, ოთხშაბათი, №209, გვ. 3-4.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის კრება 22 მოემბერს გაიმართა (თბილისში)... შემდეგ გამგეობამ მიიღო მოხსნება სოხუმის განყოფილების გამგეობის ახალ წევრთა არჩევის შესახებ.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 25 ნოემბერი, პარასკევი, №216, გვ. 3.

სოხუმის განყოფილება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას აცნობებს, რომ მას მოქმედება გაუძლიერებია, ერთდროული დახმარება მიუცია ლტოლვილ აფხაზებისათვის და საერთო ომიანობისაგან დაზარალებულთათვის. ამის გარდა განყოფილება ატყობინებს, რომ ქართველ მაჰმადიანებს სოხუმის ოლქში სდევნიან, რადგანაც მათ ოსმალეთის ქვეშევრდომებთან სთვლიან.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 14 დეკემბერი, ოთხშაბათი, №232, გვ. 2.

დ. ოჩამჩირე

აქ 550 კომლამდე მცხოვრები ითვლება. უმეტესი ნაწილი ვაჭრობასა და თამბაქოს მოშენებას მისდევს. თამბაქოს ფასი 5 თუმნამდე აღწევს ფუთი. აქ არსებობს 2 სავაჭრო სასწავლებელი: ორ-კლასიანი და მაღალდაწყებითი. ერთიც ქალთა ერთ-კლასიანი. უნდათ აგრეთვე გაეხსნათ ქალთა ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, რომლის განზრახვამაც აღტაცებაში მოიყვანა მცხოვრებნი, მაგრამ ამ განზრახვას და პლანის შედგენას საქმე არ მოჰყოლია.

იმედია ოჩამჩირის ინტელიგენცია, სადაც შეუწყობს მომავლისათვის ქალთა სასწავლებლის დაარსებას.

აქ არსებობს სამკითხველო, სადაც ორი-სამი გაზეთის მეტი აღარაფერი მოიპოვება. განა არ ძალუძს ოჩამჩირის საზოგადოებას მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციოს მას? არა, აქაური მოინტელეგენტონი ყურს არ იბერტყავენ. ბატონებო, მეტი ყურადღება და ენერგია!

ილია ლე-ბაღათურელი

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ. 22 დეკემბერი, ხუთშაბათი, №239, გვ. 4.

1917

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა

...შემდეგ ტრიბუნაზე ადის აფხაზთა წარმომადგენელი, რომელიც თავის რუსულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ქართველი ერი რუსეთის რევოლუციის განცდის დღეს ზრუნავდა არა მარტო თავის თავზე, არამედ მთელი რუსეთისა და კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. კავკასიის ერთა თავისუფლებას საფრთხე რუსეთის იმპერიალიზმისგან კი არა, ევროპის კაპიტალისგან მოელის. ჩვენ თავდადებით უნდა ვიბრძოლოთ, რომ კავკასია ევროპის კაპიტალიზმის კოლონიად არ გახდეს.

რევოლუციური ძალა ცენტრიდან პერიფერიებში უნდა იყოს გადატანილი. რუსეთის იმპერიალიზმთან ბრძოლაში კულტურული მებრძოლის როლი ხვდა ქართველ ერს – მან უნდა გამოჭედოს ჩვენი მომავალი თავისუფლება. აფხაზეთი ამ აზრით უკვე შევიდა მთიულებთა კავშირში. არ დაივიწყოთ, რომ ჩვენი თავისუფლება მოპოვებული კი არა-დაბრუნებულია. ჩვენი ლოზუნგია: კავკასიის ყველა ხალხებო შეერთდით!...

გაზ. „ალიონი“, 1917 წ. 14 დეკემბერი, ხუთშაბათი, №64, გვ. 4.

გაზეთი „ერთობა“

სოხუმი

2 მარტს ადგ. ს-დ პარტიას და სალდატთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა დიდებული მიტინგი, რომელსაც ათასი ხალხი დაესწრო. ამ დღეს სხვათა შორის მთელ გარნიზონს ფიცი უნდა მიეღო დროებითი მთავრობის ერთგულებაში. წინა დღით ქალაქის საბჭოს სხდომაზე ერთხმად დადგენილ იქმნა, რომ გარნიზონთან ერთად ფიცი მიეღო ხმოსნებს და მოქალაქეთ.

დილის 11 სთ-დან ხალხმა იწყო დენა ქალაქის ბულვარისკენ, რომელიც ზღვის პირად მდებარეობს. იქვე შეიკრიბნენ ს-დ წარმომადგენლები (სოც-დებ) წითელი დროშებით. აქედან შეკრებილი ხალხი გაექანა ე. წ. მწვანე მინდვრისაკენ, რომელიც რეალურ სწავლების წინ იმყოფება. მალე აქვე შეიკრიბა მთელი ადგილობრივი გარნიზონი წითელი დროშებით. გარნიზონს წინ მიუძღოდა რეალურ სასწავლებლის და უმაღლესი სკოლის დუხოვი ორკესტრი. აქ ჯარმა, ხმოსნებმა და მოქალაქეთ ფიცი მიიღეს, რის შემდეგ გარნიზონის უფროსმა და ქალაქის თავის მოადგილემ შესაფერისი სიტყვები წარმოსთქვეს. შემდეგ ხალხი გარნიზონთან ერთად მეორეთ გაემართა ბულვარისაკენ. წესიერება საუცხოვოთ იყო დაცული, ყველა გრძნობა სიხარულს და მომენტის დიად მნიშვნელობას.

სასტუმრო „სან რემო“-ს აივნიდან ორატორებმა ხალხს და ჯარს მიულოცეს ძველი, დახავსებული წესწყობილების დანგრევა და ბრწყინვალე მომავალი. მოუწოდენ ხალხს და ჯარს მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას და მედგარი ნაბიჯით გაექანონ დამფუძნებელი კრებისაკენ და დემოკრატიული რესპუბლიკისკენ. ს-დ. პარტიის სახელით ილაპარაკეს დ. ზახაროვმა, ნ. ქურაოძემ და ექიმმა პ. შალიდმა. შემდეგ გარნიზონის წარმომადგენელმა ა. ურუშაძემ და ოფიცერმა. სიტყვები წარმოისთქვა:

ქართული, სომხური და ბერძნულ ენებზე.

მიტინგმა მიიღო დროის შესაფერისი რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნა თ-დ ლვოვს, ჩხეიძეს, კერენსკიდ და მუშათა დეპუტატების საბჭოს, რის შემდეგ მიტინგი ხუთ საათზე დაიშალა.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 21 მარტი, სამშაბათი, №6, გვ. 3.

სოხუმი

სოხუმის რ. ს დამ. პარტიის კომიტეტის ინიციატივებით, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ და აგრეთვე სოხუმის მოქალაქეებმა და გარნიზონმა 23 მარტს გადაიხადა რევოლუციის დღესასწაული. ყველა სახელწიფო და კერძო დაწესებულებები ამ დღეს დაკეტილი იყო. პანაშვიდის შემდეგ წარმოთქვა სიტყვები.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 28 მარტი, სამშაბათი, №11, გვ. 2.

ძველი გაგრა

9 მარტს გაგრაში დიდი მიტინგი გაიმართა, ქალაქის მინდორი ხალხით იყო გაჭედილი, სადაც მრავალი სიტყვები ითქვა. მიტინგი ერთხმად მიესალმა დახავსებული ძველი რეჟიმის დანგრევას და ახალი თავისუფლების დამყარებას. დააფიცეს ყველა სალდატები და ოფიცრები, ორკესტრი მარსელიოზას უკრავდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სხვა მონაწილეობას ღებულობდნენ რკინიგზის მუშები, სალდატები და სხვა. მიტინგმა შესაფერისი რეზოლუცია გამოიტანა – მუშათა კომიტეტის დაარსება, სამოქალაქო თვითმართველობის და ორგანიზაციების მოწყობა, რომელშიც არჩეული იქნა წარმომადგენლები.

15 მარტს მოხდა რწმუნებულების კრება კომიტეტის წევრების ასარჩევათ. საუბედუროთ კომიტეტში ისეთი პირები მოხვდნენ, რომელიც მუშათა ინტერესებს ძალიან ცოტა ანგარიშს უწევენ. ასეთი მოვლენა იმით აიხსნება, რომ საზოგადოთ გაგრის რაიონი და კერძოთ თვით გაგრა ძველი ბატონ-ყმური ატმოსფერით არის გაჟღენთილი. ამნაირი ატმოსფეროს ხელს უწყობდა, პრინც ოლდენბურგსკიდ თვითმპყრობელობის გავლენა, მაგრამ დღეს ამას ბოლო მოეღო.

მუგულია

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 28 მარტი, სამშაბათი, №11, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

19 მარტს, დილის 11 საათზედ ოჩამჩირეში ზღვის პირს მდებარე მწვანე მოედანზე საერთო ფიცი ახალი მთავრობის ერთგულებაზედ.

დაესწრნენ და ფიცი მიიღეს: ადგილობრივმა ჯარისკაცებმა, შავის ზღვის სიკ. გზის მუშა-მოსამსახურეებმა და დანარჩენმა მცხოვრებლებმა განურჩევლად სქესისა, წოდებისა და პოლიტიკური მსოფლ-მხედველობისა.

„ცერემონიალს“ ამშვენებდნენ ჰაერში აფრიალებული წითელი დროშები, რომლის მეტი ნაწილი ეკუთვნოდა ჯარისკაცებს და რომლებზედაც რუსულსა და ქართულს ენებზედ ამოქარგული იყვნენ სადღეისო დევიზები: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“ და სხვადასხვა.

...წესიერებას თვით ხალხი იცავდა“...

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 7 აპრილი, პარასკევი, №17, გვ. 4.

ძველი მთავრობის დაცემით გამოწვეული აღტაცება გუდაუთაში (ვრცელი წერილი. – რედ.)

„აფხაზეთი ღარიბი არის ინტელიგენცია თუ მოიპოვება ისიც თავადაზნაურთაგან არიან“.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 12 აპრილი, ოთხშაბათი, №21, გვ. 4.

(იგივე თემაზე გუდაუთაში იხ. – რედ.).

იხ. გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №22, გვ. 4.

დეპეშა, სოხუმი

ქალაქის საბჭოს მდივანი სპირიდონ კუხალაშვილი მიიმალა. მას პროვოკატორობას სწამებენ. გთხოვთ მიიღოთ მის დასაპატიმრებლად ზომები.

კომიტ. თავჯდომარე: თავდგირიძე

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 13 აპრილი, ხუთშაბათი, №22, გვ. 2.

სოხუმი

დღიდან თავისუფლებისა აქ არსებობს სალდათების დეპუტატთა საბჭო, რომელშიც შედიან რიცხით 22 ჯარისკაცი და სამი აფიცერი, თავჯდომარედ ჰყავთ ერთხმად არჩეული ამხ. ამბ. ურუშაძე, რომელიც პირნათლად და მედგრათ ასრულებს თავის მოვალეობას.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 30 აპრილი, კვირა, №36, გვ. 4.

გაგრა

აქაურობა ოდენბურგელის წყალობით მუდამ ბნელეთის და შეუგნებლობის ადგილათ იყო ცნობილი. პრინცი არას დაგიდებდა მუშის ინტერესებს და ფეხქვეშ თელავდა მის უფლებებს. დღეს კი მდგომარეობა მართალია, მარა არც ისე, როგორც ეს საჭიროა. იმედის ახლო მომავალში ახალ არჩეულნი ყველაფერს მოაგვარებენ და ძველი ბნელეთის არაფერი დარჩება.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 2 მაისი, სამშაბათი, №37, გვ. 4.

სამურზაყანო

16 აპრილს დ. გალში თავი მოიყარა სამურზაყანოს სამრეკლო და სამინისტრო სკოლების მასწავლებლებმა კავშირის დასაარსებლად. კრება გახსნა ამხ. პ. ჭარაიამ. თავჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს მასწავლებელი პეტრე ჭარაია, მის ამხანაგთ ვ. ჭარაქაძე, მდივნათ ს. შონია. კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცემა რევოლუციის მსხვრეპლთა ხსოვნას.

კრებამ დაადგინა: 1) შეერთებულ იქნას ორივე უწყების სკოლები ერთ ორგანოს

ქვეშ. სანამ ს განხორციელდებოდეს მღვდლები დღესვე უნდა ჩამოშორდნენ სკოლის საქმეს. 2) საეპარქიო საბჭო გადაყენებულ იქნას ეხლავე მათ შორის, ეპარქიის მეთვალყურეს ალფეროვს გამოეცხადოს საერთო გულისწყრომა. სკოლის ყოველგვარი საქმეები და მათი ყურის გდება მიენდოს მასწავლებლებისგან არჩეული სასკოლო ინსპექციას. 3) რადგან მოწაფე ახალგაზრდობას შეუძლია დახმარება გაუწიოს ხალხს მუშა ხელის ნაკლებობის დროს, კრებამ დაადგინა: დაითხოვონ მოწაფეები 20 აპრილიდან. 4) მასწავლებელი ასწავლიდეს მხოლოდ თითო განყოფილებას. 5) ის მასწავლებლები რომლებიც დანიშნულნი არიან ჯარში გაწვეულ მასწავლებელთა ადგილზე, გათანასწორებულ იქნან მატერიალურის მხრით სხვა მასწავლებლებთან. 6) მასწავლებლების გადაყვან-გადმოყვანა, მათი სურვილის წინააღმდეგ არ უნდა ხდებოდეს. არც საზოგადოების და არც უბნის კომიტეტის დადგენილებით. ასეთ გადაყვან-გადმოყვანის საქმეს აწარმოებს ადგილობრივ კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით, ის ახალი დაწესებულება სოხუმის ოლქში, რომელიც დაჭერის სასწავლო საბჭოსა და სასკოლო ინსპექციის ადგილს. 7) გაეგზავნოს მისალმების დეპეშები ჩვენს სახელოვან დეპუტატს კ. ჩხეიძეს, იუსტიციის მინისტრს კერეენსკის და კავკასიის კომისარიატს.

მეურნე

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 3 მაისი, ოთხშაბათი, №38, გვ. 4.

გუდაუთი

– საბჭო დაუღალავად მუშაობს მათი მოწოდებით მოაგროვეს 3000 მანეთამდე სახალხო სასამართლოს გასახსნელად.

– საბჭომ გადააყენა პიცუნდის მონასტრის გამგე, როგორც არაკეთილი საიმედო პირი. დაატუსაღეს და გამოკითხვის შემდეგ სოხუმის ციხეში გააგზავნეს.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 16 მაისი, სამშაბათი, №47, გვ. 3.

დ. გუდაუთი

ამ დღეებში გუდაუთში მოხდა გუდაუთის ს. დ. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო 60 წევრი.

...სხვა კითხვათა შორის იყო კითხვა პარტიული გაზეთების სასარგებლო ფულის მოგროვება. კრებამ აირჩია 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოაგროვოს გაზეთი „ერთობა“ და „ფაიქრი“-ის ფონდის გასაძლიერებლად ფული.

ი. კვათანელი

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 17 მაისი, ოთხშაბათი, №48, გვ. 4.

გაზეთის სასარგებლოდ

ოჩამჩირის ამხანაგებს შორის შეგროვდა 66 მან. და 50 კაპიკი, 26 მან. გადასაცემად გაზეთ „ბორბას“, 20 მან. „ერთობას“, 20 მან. „ფაიქარს“.

ოჩამჩ. ს. დ. კომ. მონდ. მდ. ვ. ჟორჟოლიანი.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 20 მაისი, შაბათი, №51, გვ. 4.

გაზეთის სასარგებლოთ დ. გუდაუთი

– ვაგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ 22 აპრილის აღსანიშნავად 155 მან. და გთხოვთ გაანაწილოთ თანასწორათ გაზეთ „ერთობას“ „პაიკას“ „კავკაზ. რაბოჩ“ და „ბარმას“.

მონდობ. ს გოგიჩაიშვილი

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 27 მაისი, შაბათი, №56, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

ამ ბოლო ხანებში აქ ხმები გავრცელდა „აფხაზეთი იარაღდება და ქართველების დარეკვას ეპირება აფხაზეთიდანო. ზოგიერთები გაიძახიან ოდიშზე აპირებენ გალაშქრებასო. ეს ხმები დღითი დღე იზრდება და ოჩამჩირე სოხუმში ხშირათ შეხვდებით ამის შესახებ ცხრა მაისს. ეს ხმები რასაკვირველია და ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

აფხაზეთს ჯერ არ დაუკარგავს მოდა: მუშების ინიციატორობით აქ ადგილობრივ თეატრში იმართება წარმოდგენა.

საქარელი მ.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 6 ივნისი, სამშაბათი, №64, გვ. 4.

სოხუმი

გაზეთის სასარგებლოდ

მუშათა პრესის დღეს, მუშათა დეპუტატების ინიციატივით შეგროვდა სოხუმში 2400 მ. მუშათა პრესის სასარგებლოთ აქედან 300 მ. ვაგზავნით პეტროგრადში „რაბ. გაზ“ რედაქციისთვის. 1100 მ. კი გიგზავნით თქვენ შემდგომი წინადადებით 100 მან. გადაეცეს „კავკ. რაბ“. 100 მ კი თანასწორად განაწილდეს „ბორბას“ „ერთობას“ „ფაიქარს“. ამხ. სალამით სევ. რამიშვილი.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 8 ივნისი, ხუთშაბათი, №66, გვ. 4.

გუდაუთი

გუდაუთის ს. დ. კოლექტივმა გაგზავნა სოხუმში პროპაგანდისტთა კურსებზე 10 ამხანაგი (9 კაცი, 1 ქალი) უმრავლესობა სოფლის მასწავლებელია.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 10 ივნისი, შაბათი, №68, გვ. 3.

სოხუმი

4 ივნისს ვაჭრობა მრეწველობის მოსამსახურეთა პროფკავშირის კრება შესდგა.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №77, გვ. 2.

სოჩა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობამ მიიწვია საზოგადო კრება, რომელზედაც აერჩიათ თბილისში

გასაგზავნი დელეგატი. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. დელეგატად აირჩიეს მ. მგელაძე. შემდეგ გამოითქვა აზრი აერჩიათ ახალი გამგეობა.

მეორე დღეს ისევ მოიწვიეს ახალ გამგეობის ასარჩევათ. კრება მოისმინა, კომისიის მოხსენების, შემდეგ ფარული კენჭის ყრით აირჩია ახალი გამგეობა. არჩეულ იქმნენ მ. მგელაძე, მ. ხოფერია, გ. ნიკოლაიშვილი, პ. ქვარცხავა, კ. ლოლუა, ი. ნიკოლაიშვილი, რ. კოპეშავიძე. სარევიზიო კომისიაში ჭ. მიქაძე, კ. ჯანაშვილი, ა. ბლაგიძე 8 სოც. დემოკრატი და 2 თანამოაზრე. ფედერალისტებს ძლიერ არ ესიამოვნათ ეს ამბავი და თავიდანვე მოინდომეს კრების ჩაშლა, მაგრამ ვერ გახდნენ სოჩელი მუშები.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 24 ივნისი, შაბათი, №80, გვ. 4.

დ. ოჩამჩირე

პარტიული ლიტერატურის გავრცელება პარტიული ამხანაგების ხელშია. ამჟამად ვრცელდება ოჩამჩირეში „სუხუმსკაია იზვესტია“ – 100 ცალი, „ერთობა“ – 50 ცალი, „კავკასკი რაბოჩი“ – 20 ცალი, „ბორბა“ – 40 ცალი, „ალიონი“ – 15 ცალი და სხვა.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 27 ივნისი, სამშაბათი, №82, გვ. 4.

8 ივნისს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კრება შესდგა.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №84, გვ. 3.

გაგრა – გაზეთის სასარგებლოთ

გიგზავნით 6 მან. გაზ: „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლად. მე-32 მუშათა ბატალიონის მეხუთე როტის ჯარისკაცები.

გრ. მ. ღლონტი და ვ. ფ. აფხაზავა

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 1 ივლისი, შაბათი, №85, გვ. 4.

ღალე (სამურზაყანო)

2 ივლისს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების დროს სოფ. ოქუმში, ცნობილმა რეაქციონერმა მელიტონ ემუხვარმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა, ჩვენს პატივცემულ ამხანაგს, პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლს, სარაიონო კომიტეტის წევრს ივანე გეგიას.

სარაიონო კომიტეტი

სოხუმი

საქალაქო არჩევნები დასრულდა, აირჩიეს 40 ხმოსანში სოც-დემ 18, სოც-რევოლუციონერი – 10, კადეტი – 4, ფედერალისტი – 2, ნაც – დემ – 2, ებრაელთა ჯგუფი – 2, უკრაინელი – 1, დაშნაკელი – 1.

ესვანჯია

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 6 ივლისი, ხუთშაბათი, №89, გვ. 3.

აკაკი ჩხენკელი სოხუმის ოლქში

13 ივლისს დეპ. ჩხენკელი გაემგზავრა სოხუმის ოლქის დასათვალიერებლად.

სხვათაშორის მას მიზნათ ჰქონდა სოხუმის ოლქის გლეხთა კრებაზე დასწრება...

15 ივლისს დეპუტატი სოხუმს ჩამოვიდა, ამ დღეს გაიხსნა გლეხთა ყრილობა...

18 ივლისს დასრულდა გლეხთა ყრილობა. არჩეულ იქნა გლეხთა დეპუტატების საბჭო...

19 ივლისს დეპუტატი გაემგზავრა სამურზაყანოში. ქ. ოჩამჩირეში მას დაუხვდა მრავალრიცხოვანი კრება, რომელსაც ხანგრძლივათ ესაუბრა დეპუტატი...

სამურზაყანოს ცენტრში დ. გალში დაუხვდა 14 საზოგადოების მცხოვრებნი, კრება გაიმართა ადგილობრივ სკოლის წინ (უმთავრესი თხოვნა მესაქონლეობა ავადმყოფ დეზერტირების სიმრავლე).

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 27 ივლისი, ხუთშაბათი, №107, გვ. 3.

სოხუმის ოლქი

აზრად აქვთ – გამოყონ საბჟითალო ნაწილათ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა ცნობა მიიღო, რომ სოხუმის ოლქში გლეხები თურმე მემამულეებს არ აძლევენ საიჯარო გადასახადს და ამ ნიადაგზე უთანხმოებას აქვს ადგილი. საქმის ადგილობრივად მოსაგვარებლად იქ გაიგზავნა საბჭოს წევრი ძუკუია.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 13 აგვისტო, კვირა, №122, გვ. 2.

სოხუმი

როგორც ყველგან, ისე აქაც ჩვენი პარტია (სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) სათავეში მოექცა დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. გაჩაღდა ლეგალური პარტიული მუშაობა. მოწყობილ იქნა კომიტეტის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭო, ქალაქისა და საოლქო კომისარიატი და სხვა. პირველ ხანებში სულ ხშირათ იმართებოდა სახალხო მიტინგი-დემონსტრაცია, კრებები, სახალხო ლექციები და სხვ. მარტ-აპრილ-მაისის თვეებში აქ ბევრი რამ საგულისხმო მოხდა. მაისის რიცხვებში მოხდა სამღვდელოებათა კრება-ყრილობა, რის შედეგებმა აქ არასასურველი ექსესები და აურ-ზაური გამოწვია. ამ რამოდენიმე ხნის წინათ აქ ცნობა მოვიდა დრანდის მონასტერში, რომელიც ძევს სოხუმიდან 17 ვერსზე, პროგრამული ხულიგანური ბროშურები – თუ პროკლამაციები იბეჭდებაო – სადაც ღვთის „მსახურ“ ბერებს მშვენიერი სტამბა ჰქონიათ მოწყობილი და „სანაქებო“ საქმეს თურმე მართალია განაგებდნენ. სტამბას კონფისკაცია უყვეს და ახლა იბეჭდება საბჭოს გაზეთი.

მიუხედავად აშკარა თუ ფარული ჩვენს წინააღმდეგ ყოვლისმხრით ბრძოლისა და იერიშებისა, ჩვენმა პარტიამ საქალ. თუ სხვა არჩევნებში ქალაქში თუ პროვინციაში, საერთოდ აფხაზეთში დიდი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ძარცვა-გლეჯა ამ ბოლო დროს ძლიერ იკლო. რაც დღე გადის ცხოვრება თანდათან ძვირდება. ავიღოთ სანოვაგე მაგ: გირ. ყველი მ. 80 კ. სიმინდის ფქვილი ფუთი 12-13 მ. ფასობს და ასე.

პარტიული ორგანიზაციები თავგამოდებით მუშაობენ. დემოკრატიული ნორჩი, ქალაქის თვითმმართველობა, ჩვენი სახელოვანი ამხანაგის ქალაქის თვის ბენია ჩხიკვიშვილის მეთაურობით ეხლავ, შეუდგა ენერგიულ მუშაობას.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 13 აგვისტო, კვირა, №122, გვ. 4.

გუდაუთი

12 ივნისს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის დადგენილებით ყოფილ დაბა გუდაუთს მიენიჭა საქალაქო თვითმმართველობის არჩევნების უფლება... (არჩევნების გარშემო; მიტინგი. იხ. დაწვრილებით – რედ.).

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 18 აგვისტო, პარასკევი, №125, გვ. 4.

გუდაუთი

აქ 12 და 13 მარიამობის თვეს სახალხო სახლში ამხ. მ. წულუკიძემ წაიკითხა მოხსენება სოციალ-დემოკრატიული თეორია და პრაქტიკა რუსულ-ქართულ ენას. ლექცია აქ პირველად იკითხება. ძლიერს კარგს იზამს ამხ. წულუკიძე, რომ თვეში ერთხელ მაინც ჩამოვიდოდეს სოხუმიდან და წაიკითხავდეს ლექციებს გუდაუთში. ლექცია უფასო იყო და ხალხიც ბლომათ დაესწრო.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 24 აგვისტო, ხუთშაბათი, №130, გვ. 2 (ვრცელი).

სოხუმი

აქ 8 აგვისტოს გარდაიცვალა ხელოსანი სერგო ლორთქიფანიძე. მის პატივსაცემად ამხანაგ ხელოსნებში ურთიერთ შორის შეაგროვეს 138 მ. გვირგვინისათვის, მაგრამ გადაწყვიტეს მიცვალებულის სახსოვრად ეს ფული გაენაწილებიათ და 46 მ. გადაეცათ ც. ჩ. ნ. კ. გ-ს. სოხუმის განყოფილებისათვის ღარიბ მოწაფეთათვის სასწავლო ნივთების შესაძენათ. 92 მ. ვგზავნით „ერთობის“ რედაქციაში, რომლიდან 46 მ. გაზეთის ფონდს უნდა გადაეცეს. 46 მან-ით გაზეთი უნდა გამოეწეროს ჯარისკაცთ ფრონტზე გასაგზავნად (ვრცელი წერილი. – რედ.).

ამხანაგების მინდობილობით:

თეოფილე შათირიშვილი, ლადი ქუთათელაძე

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 21 სექტემბერი, შაბათი, №137, გვ. 4.

ჯარის-კაცთა წერილები

ახალი გაგრა. აქ ციებ-ცხელება საშინლად დავაადმყოფა ხალხი. ვერ ნახავ ისეთ კაცს, რომ ციებისაგან არ იყოს გაყვითლებული. წამალი არსად არ იშოვება. მეტად გავრცელდა სხვადასხვა სენი სამხედრო ტყვეებში. დღე არ გადის ისე, რომ სამოოთხი ტყვე არ მოკვდეს. აქა-იქ მშვიდობიანი მცხოვრებნიც იმსხვერპლა. როგორც ირკვევა გადამდები სენი უნდა იყოს. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიაქციონ, რათა მშვიდობიან მცხოვრებთ სენი არ გადაედვას.

სიძვირე უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ყველი 6 მანეთი ღირს 1 გირვანქა, კარტოფილი 12 მ. კომბოსტო ახალი 12 მ. ფუთი, პური ხომ საზოგადოდ გაძვირდა, აქ სასურსათო კომიტეტმა ბევრჯერ დააწესა ნიხრი, მაგრამ ამაოდ. ვაჭრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. სოფლიდან გასაყიდი არაფერი არ შემოაქვთ, ამიტომ მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან აქაური მუშები. პური ვერ აკმაყოფილებს აქაურთ, სიმინდის ფქვილი ფუთი 12 მანეთი ფასობს და ისიც არ იშოვება. შიმშილი მოსალოდნელია. აქ არ მოდის ჟურნალ-გაზეთები, თუ ვინმეს მოსდის 3-4 ცალი, და-

ნარჩენებს კი ვერ ჩაახედებ გაზეთებში!... აქ დგას მესამე მუშათა ბატალიონის მე-5 როტა, ამ როტაში ნახევარი ქართველები არიან. ამათთვის არც გაზეთია საჭირო, არც ჟურნალი, თუმცა მოგვდის ერთი ცალი „ერთობა“, მარა წაკითხვა არავის აინტერესებს, რომ წაიკითხო პირიქით ხელს გიშლის ზოგიერთ კითხვაზე. ამათი სულიერი საზრდო კარტის თამაშია, ამიტომ ყველა ნაწილზე ჩამორჩენილა ჩვენი როტა. აქ არ მინახავს ერთი ვინმე მოსულიყოს და აეხსნას ჯარისთვის დღევანდელი მომენტი და რევოლუციის მნიშვნელობა. ამათთვის დღევანდელი რევოლუცია და ძველი რეჟიმის მოსპობა თითქოს სიზმარი იყოს, მეტი არაფერი. ამ საერთო გამოფხიზლების დროს ეს ხალხი საღათას ძილს მისცემია.

ჯარისკაცი ვასილ აფხაზავა

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 20 ოქტომბერი, პარასკევი, №175, გვ. 4.

სამურზაყანოში

ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა მწვავე ხასიათს ღებულობს. როგორც გადმოგვცემენ აქ ბევრი ყოფილა ისეთი გმირები, რომლებიც ომში წასვლის ნაცვლად ყაჩაღთა ბრბოებს ადგენენ და იმის მაგივრად, რომ სამშობლო გარეშე მტრებისგან დაიცვან, თითონვე შინაურები ანადგურებენ მას. მოგზაურობა ყოვლად შეუძლებელი ხდება: მგზავრებს ართმევენ ყოველნაირ ხარკს, აძრობენ აგრეთვე ტანისამოსს. ვინც კი გააცხადებს რამეს, მოკვლით ემუქრებიან. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს მათი. ესენი ის ხალხია, რომლებიც ცდილობენ არევ-დარევა გამოიწვიონ და რევოლუცია დაამარცხონ. ნუ დაიფარავთ მათ იცოდეთ, რომ ისინი სულ ცოტანი არიან რიცხვით და დემოკრატია კი მრავალრიცხოვანია. სამურზაყანოს დემოკრატია შეერთებული ძალით გამოვიდეს და სამუდამოთ ბოლო მოუღოს ასეთი ნაძირალების გამოსვლებს.

ს. ბ.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 22 დეკემბერი, კვირა, №177, გვ. 4.

დამფუძნებელი კრების არჩევნები
სოხუმი
ქალაქში არჩევნები დამთავრდა

მენშევიკებმა მიიღეს – 1,330 ხმა
ბოლშევიკებმა – 435
კადეტებმა – 376
ფედერალისტებმა – 186
დაშნაკცაკანებმა – 173
ნაციონალ-დემოკრატებმა – 142
სიონისტებმა – 14
სომხის კადეტებმა – 14
ამ ათ რიცხვში არ შედის გარნიზონის ხმები

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 18 ნოემბერი, შაბათი, №199, გვ. 2.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

დ. დრანდა. დამფ. კრების არჩევნები დამთავრდა
მენშევიკებმა მიიღეს – 1691 ხმა
კადეტებმა – 7
სოც-რევოლუციონერები – 45
ბოლშევიკებმა – 30
ნაციონალ-დემოკრატებმა – 4

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 2 დეკემბერი, შაბათი, №210, გვ. 3.

სოხუმის ოლქში დამფუძნებელი კრების საარჩევნო ხმები ასეა განაწილებული:
მენშევიკებმა მიიღეს – 26, 336 ხმა
კადეტებმა – 910
ესერებმა – 1985
დაშნაკელებმა – 232
ბოლშევიკებმა – 3336
ს. ფედერალისტებმა – 656
სომეხთა სახალხო პარტიამ – 18
ეროვნ-დემოკრატებმა – 683
დას. კავკასიის მუსულმანებმა – 14
სხვა პარტიებს არცერთი ხმა არ მიუღიათ. სულ სხვა მისცა სოხუმის ოლქში 34, 170 ამომრჩეველმა.

გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 17 დეკემბერი, კვირა, №219, გვ. 2.

გაზეთი „საქართველო“

სოხუმი: სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწე თ-დი ჯავახიშვილი სოხუმის ეპარქიაში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა გამოწვეულია სოხუმის ეპისკოპოს სერგეიზე საჩივრებით. სხვათა შორის მან უნდა გამოარკვიოს საქმე ტუაპსის რუსის დედათა მონასტრისა, რომელიც დაარსებულ იქმნა ეპისკოპოს სერგის მეთაურობით და განკარგულებით. თავად ჯავახიშვილმავე უნდა გამოიძიოს ილორის (აფხაზეთში) ეკლესიისა და ამ ეკლესიის ყოფილი მღვდლის კონსტანტინე მაჯგანაძის საქმე. ეს მღვდელი უსამართლოდ გააძევა ილორის სამრევლოდან ეპისკოპოსმა სერგიმ და მისი საქმე სინოდში იქნა გაგზავნილი გასარჩევად. სოხუმის საეპარქიო მთავრობამ განიზრახა ილორის მდიდარი ეკლესია ქართველებისათვის წაერთმია და გადაეკვეთებინა რუს მონოზნების მონასტრად, რომ ამ გზით მიეთვისებინა ამ ეკლესიის ქონება, რომელსაც აქვს ფულად 50 000 მანეთი და საეკლესიო ნივთებადაც 100 000 მანეთი მღვდელი კონ. მაჯგანაძე წინააღუდგა ამ ბოროტ განზრახვას და მსხვერპლი გახდა ამ ეკლესიის ერთგულებისა.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. 5 თებერვალი, კვირა, №28, გვ. 4.

სოხუმის ოლქის მცხოვრებთა შესახებ
(ნ. დურნოვის წერილი „პეტ. ვედომოსტებიდან“)

სოხუმის ოლქი 4 საბოქაულოდ იყოფა. მათში უმეტესად აფხაზები ცხოვრობენ, რომელნიც ქართველ მოდგმას ეკუთვნიან. მართალია აფხაზურ ენა ძლიერ ირჩევა ქართული ენისაგან, მაგრამ ამ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ არსებობს, ამის გამო ძველიდგან აფხაზები ხმარობენ ქართულს ანბანს და ქართულ სალოცავ წიგნებს. თუ ეს ასე არ ყოფილიყო აფხაზები ქრისტიანულ სარწმუნოებას ვერ შეინარჩუნებდნენ და ისე გაეთიშებოდნენ მას.

სამურზაყანოს საბოქაულო ქართველებითაა დასახლებული, აქედან სამურზაყანოელები, რომელნიც მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ – 35, 923-ია; მეგრელები – 9, 202; ქართველები – 173; სულ ქართველები 45, 292; რუსები – 87 და სხა ეროვნება-72.

გუმისთის საბოქაულოში ცხოვრობენ: მეგრელები – 7, 471; სამურზაყანოელები – 166; ქართველები – 772; სულ – 8,409; აფხაზები – 955; რუსები – 2, 037; აგრეთვე დროებით ჩამოსულები – 215; ბერძნები – 12, 321; სომხები – 6, 308; დანარჩენი ეროვნება – 1, 847. თავის ეროვნებათა შედგინებით ეს საბოქაულო ბერძნულ-ქართულია.

კოდორის საბოქაულოში: მეგრელები – 9, 155; მათში სამურზაყანოელები და ქართველები – 1, 424; აფხაზები – 23, 275; რუსები – 325; ბერძნები – 574; სომხები – 2, 748 და სხვა ეროვნების 611. ეროვნებით ეს საბოქაულო აფხაზებითაა დასახლებული.

მაშასადამე, სოხუმის ოლქში, ქართველები, მეგრელები და სამურზაყანოელები ყოფილა 47, 767; ბერძნები – 13, 307; რუსები. დროებით მცხოვრებლებით და იჯარით – 6, 585; სხვა რჯულის მცხოვრებნი, რასაკვირველია მართლმადიდებელ ეპარქიას არ ეკუთვნიან.

მაშ, როგორ გგონიათ, რომელ ერს უნდა ეკუთვნოდეს მათი ეპისკოპოსი და თუ რუსის ეპისკოპოსია დანიშნული, უნდა იცოდეს თუ არა მან ქართული?

ჩემის ზრით საქართველოს ეკლესიაში სულ არ უნდა ჰქონდეს ადგილი რუსის ეპისკოპოსს და სოხუმის საკრებულო ეკლესია ქართველ სამღვდელოებას უნდა გადაეცეს, რადგან რუსებს სოხუმში ორი ეკლესია აქვთ, მათ შორის ერთი სამხედროა.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. 15 თებერვალი, ოთხშაბათი, №35, გვ. 3.

სოხუმი წებელდის ოტო რეინჰარდის მამული ქუთაისში გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. №51, გვ. 3.

აფხაზეთისათვის

მაისის 24 სოხუმში აფხაზთა საეკლესიო კრება არის დანიშნული. კრება სამღვდელოც არის და საერისთავოც. კრებამ აფხაზეთის ანუ „სოხუმის“ ეპარქიის საეკლესიო ბედი უნდა გადაწყვიტოს. ავტოკეფალისს ძირითადი დებულება ამ საქმეს აფხაზებს ანდობს.

აფხაზეთის საეკლესიო „თვითგამორკვევის“ და ორიენტაციის საკითხი მარტო ეკლესიური საკითხი კი არ არის, იგი იმავ დროს ეროვნულ-პოლიტიკური საკითხია,

როგორც ქართველთათვის, ისე თვით აფხაზთათვის. ვინც აფხაზეთი სოხუმის ეპარქიის ჩამოშორებას სცდილობდა ქართული ეკლესიისაგან, ის ყოველთვის საქართველოს მტრობა და მარტო ქართველ მღვდელს კი არა, ქართველ გლეხსაც სდევნიდა. კერძოდ მეგრელს. ასე ყოფილა და ასე იქნება.

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ საკითხში, რასაკვირველია, თვით აფხაზთა თვალსაზრისი. მოვიგონოთ ამიტომ ის „მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნილებათა შესახებ“, რომელიც შარშან ამ დროს „საქართველოში“ იყო დასტამბული. ეს წერილი აფხაზთა მეთაურ წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა: თ. მელიტონ ემხვარს და თ. პეტრე ანჩაბაძეს. წერილი აფხაზთა „საკუთარი ადმინისტრაციული მმართველობის მოპოვების საქმით“ იყო გამოწვეული და შიგ საკმაოდ ნათლად იხატება აფხაზთა გულისნადები.

თუ ამ წერილის დედა აზრს მივყვებით, აფხაზები გვეუბნებიან: „ჩვენი სურვილია შევინახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისთვის... ჩვენ გვინდა ისეთი ადმინისტრაციული და თუ შესაძლებელია, საერობო მმართველობაც, რომელიც განსაკუთრებულად იზრუნებს სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვისო“... ქართველებთან განწყობილება კი წერილის ავტორთ ასე ესმით: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირი განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთანაო“...

ასე კარგად სწყვეტენ ქართულ-აფხაზურ კითხვას აფხაზთა წარმომადგენელნი შარშან ძველი რუსეთის მთავრობის საერობო კანონის მოლოდინში.

დღეს სხვა რუსეთია და სხვა კანონებსაც ველით. დღეს ერობის ბედი კი არა, ეროვნების ბედი სწყდება. ავტოკეფალია ხომ მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი საკითხისა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური და თუ გნებავთ საერთაშორისო საკითხიც ჰქვიან და რომელიც ჯერ-ჯერობით „ავტონომიის“ სახელით ითქმის. ავტონომიის განხორციელება მარტო მისი ძალა-უფლებით, კომპენტენციით კი არ არის საგულისხმო, არამედ იმ მიწა-წყალითაც, იმ ტერიტორიით, რომელზედაც ეს ძალა-უფლება ქართული თვალსაზრისი ამ საქმეში ბუნებრივ ისტორიულად, ეკონომიკურ-კულტურად შედუღებული საქართველოა.

მთლიანად საქართველოს თავისუფალ განვითარებას ჩვენს მეზობლებში ბევრი მტერი ჰყავს და სწორედ ესენი არიან საქართველოს განაპირათა ბედის უკუღმა დატრიალებას რომ ესწრაფვიან. ესენი არიან საქმეს რომ ჰრევენ როგორც აფხაზეთში ისე აჭარაში და თვით სვანეთშიაც კი.

აფხაზებს მტერი ჩასჩურჩულებს: „თქვენ აფხაზები ხართ, აფხაზეთი არასოდეს საქათველო არ ყოფილა, მეგრელები მუდამ თქვენი მტრები იყვნენ, თუ საქართველოს ავტონომია ექმნა და თქვენ მის საზღვრებში შეხვალთ. სრული განადგურება მოგელითო პირიქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით. მაშინ მეტი ფასი გექნებათო“. მობეზრებული სიტყვით რომ ვსთქვათ, ამას „პროვოკაცია“ ჰქვია და ამ პროვოკაციასთან ბრძოლა თვით აფხაზებს ჰმართებს.

ქართველობის აზრი იქით არის მიმართული, რომ უცხო ელემენტების მეცადინეობა, რომელნიც ქართველებსა და აფხაზებს შუა ჩამდგარნ და ყოველ ღონეს ღონობენ, რომ დაარღვიონ ჩვენს შორის საუკუნოებით განმტკიცებული პოლიტიკური და კულ-ლი ერთობა განელდეს და მავნებელი აღარ იყოს.

აფხაზეთის მატიანე ბევრს გაკვეთილს გვაძლევს უცხოელთა და ქართველთა „შედარებითი შეფასებისათვის“.

როცა აფხაზეთს ბერძნები ჰფლობენ მთელი მათი პატრონობა კოლონიიდან პურისა და ჯანსაღ-ლამაზ ხალხის გაზიდვით იხატებოდა. რომაელთ რომ აფხაზეთი დაიპყრეს, ყაჩაღთა გადასახლებელი აგარაკად აქციეს; მხოლოდ შუა საუკუნეში ეღირსა აფხაზეთს საქართველოსთან ერთად თავისუფალი სახელმწიფოებრივი განვითარება. ბიჭვინთის, დრანდის და ილორის ტაძარნი სწორედ ამ ქართული დროისა და ერის დიდებული ნაშთებია.

როცა „შვილდოსნობით ქებულ“ აფხაზებს და ქართველებს ერთი სახელმწიფო ჰქონდათ, მაშინ ეკლესიაც ერთი იყო. ამიტომ გიორგი მთაწმინდელი რომ ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართულ ეკლესიის თვით მწყოსობის უფლებას იცავდა, იმ საბუთითაც ამტკიცებდა: „ერთი მოციქული სიმონ კანანელი, ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთში არის დამარხულიო“.

მონღოლთა დაუძლურებული საქართველო მე-15-ე ს-ში რომ დაიყო, აფხაზეთი ოსმალეთის სამფლობელო გახდა. ოსმალთაც, ძვ. ბერძნების არ იყვეს, გარდა სატუსაღო ციხეების შენებისა და ხალხის გაზიდვისა მეტი სურათები არ გადაუშლიათ აფხაზეთის ცის მნათობზე. 1810 წ-დან აფხაზეთი საქართველოსავით მოტყუებულ იქმნა რომანოვთა რუსეთისაგან. ძველი მთავრობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს მოშორებოდნენ, ამიტომ იყო რომ სამურზაყანო ქუთაისის გუბერნიის სამეგრელო-სენაკის მაზრას მოსჭრეს და აფხაზეთს მიაწერეს, თვით აფხაზეთის საუკეთესო და კულტურისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი და ჯანსაღი ჩრდილო ნაწილი, სოჭის ოლქი კი მოსჭრეს და ჩერქეზეთის ძვლებზე ნაშენებ რუსულ „ჩერნომორიის“ გუბერნიას მიაწერეს. თვით სოხუმის ოლქშიაც მოსვენებას არ აძლევდნენ აფხაზებს რუსული კოლონიზაციით და იქამდე მიიყვანეს ისინი, რომ წარსულ რუსეთ ოსმალეთის ომის დროს ააჯანყეს და მერმე თითქმის ნახევარს კარი უჩვენეს ოსმალეთისაკენ. აფხაზეთი, ისე, როგორც აჭარა „რუსულ რივიერად“ მოლოდინში მარტო სოხუმის ოლქი მრავალი ათასი ნაჭერი მიწა მოუზომეს რუსებს.

ასეთია ისტორიის გაკვეთილი.

დღეს სიტყვა აფხაზებს ეკუთვნის, იმ აფხაზებს, რომელნიც ტომითაც და ენითაც ქართველებს ენათესავებიან და რომელთა სულიერი კულტურა ყოველთვის ქართული სიტყვით და ქართ. წიგნი ვითარდებოდა. ამიტომ ამბობს ვახუშტი: „აფხაზებმა ქართული წარჩინებულად იცინიანო“. დღევანდელ აფხაზთ სჯული სამგვარი აქვთ: ქრისტიანებიც არიან, მაჰმადიანნიც და კერპთმსახურნიც, მაგრამ მათი ქრისტეც და მათი მაჰმადიც ისევე ქართულნი უნდა იყვნენ, როგორც იყო ძველი ქართული არმაზი.

ასეთია საკითხი სამკვიდრო აფხაზეთისა; მაგრამ „სოხუმის ოლქში“ მარტო აფხაზეთი ხომ არ არის. აქ არის წმინდა მეგრელებით სადახლებული სამურზაყანო, რომელიც შეიძლება ერთ დროს მართლაც სამურზაყანო – (სა-დადიშკელიანო) იყო,

ახლა კი მარტო საქართველოა; ეს ერთი იმ სახელოვან ქართულმხარეთაგანია, სადაც ბატონყმობას ვერასოდეს ფეხი ვერ მოიკიდნია და თვით აფხაზეთში რამდენია მეგრელ-ქართველთა სოფლები, რამდენია ისინი ჩასახლებული თვით აბხაზების სოფლებში? ქალაქი სოხუმი და დაბები ოჩამჩირე-გუდაუთა. სულ მცირე, ამ ადგილებში არა ნაკლებ ოცი ათასი სული ქართველი იქნებოდა 1897 წელს. ეს ანგარიში აკაკი ჩხენკელის ეკუთვნის და ეს ხომ იმას გვიკარნახებს, რომ სოხუმის ოლქის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ კავშირს საქ-თან აუცილებლად ჰქმნის მარტო ის ფაქტიც, რომ სოხუმის ოლქში სოც-დემ ანგარიშითაც უმრავლესობას ქართველობა შეადგენს.

ისტორიას თავისი კანონები აქვს. ერთი ამ კანონთაგანი ამბობს, რომ ყოველმა ჯანსაღმა ერმა უნდა მოიპოვოს საკუთარი სახელმწიფოებრივი გამგებლობა თავის ბუნებით, ისტორიით და კულტურით ჩვეულ ტერიტორიაზედაო. თუ ეროვნულ სხეულს რომელიმე ნაწილი მოაშორეს, ადრე თუ გვიან, ეს უკანონობა აღმოიფხვრება და ერის ტანი კვლავ გასწორდება. ასე ყოფილა და ასე იქმნება.

აფხაზეთი, ისე, როგორც სამურზაყანო მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირით არის უზრუნველყოფილი.

აფხაზეთის საეკლესიო "თვითგამორკვევა" პირველი საფეხურია პოლიტიკური თვითგამორკვევის და ამიტომაც ისიც ქართულად უნდა გადაწყდეს ადრე თუ გვიან.

გრიგოლ ვეშაპელი

გაზ. „საქართველო", 1917 წ. მაისის 20 (2), შაბათი, №107, გვ. 2.

საინგილოდან აფხაზეთამდის

...ეტლი წინ მიჰქრის. აგერ სამურზაყანო, აგერ სოხუმის მიდამოებიც, აქაც უშველებელი მინდვრები თამბაქოთი დათესილი, ბარი, მთა თითქმის უმთავრეს შემთხვევაში თამბაქოს უჭირავს.

სოხუმში მაშინ მივედით, როცა ავტოკეფალიის შესახებ ცხარე კამათი იყო გამართული. აფხაზებმა ლოზუნგად თავისი ეკლესიის ავტოკეფალობა წარმოადგინეს, მათ არა სურთ არც საქართველოს ეკლესიასთან შეერთება და მით უმეტეს რუსეთთან. საბუთად იმის ასახელებენ, რომ საქართველოს ეკლესიასთან რომ შევერთდეთ, მაშინ საქართველოს ავტონომიაც თუ გამოცხადდა ჩვენც იმაში მოგვათავსებენ და რადგანაც ჩვენში ბევრი მამულია ქართველები მოვლენ და ჩაგვისახლდებიანო, გარდა ამისა ამბობენ იგინი, საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებასთან ერთად ისინი თავიანთს მღვდლეებს, სასულიერო გამგეებს გამოგვიგზავნიან და ეს ჩვენთვის სასურველი არ წინამძღოლი, პარ. გოთუა, შ. ქარუმიძე და სხვანი. ბოლოს კრებამ კომისია ამოირჩია რომელსაც მიანდო შემუშავება იმ პირობებისა, რომელშიაც შესაძლებელი იქნება განხორციელება აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიისა.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო", 1917 წ. თიბათვის 9 (21), პარასკევი, №123, გვ. 4.

ავტონომია და ფედერალიზმი

...ავტონომიური საქართველოს მიწა-წყალს უნდა შეიცავდეს: თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე სოხუმის, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები, სოჩის ოლქის ნაწილი და ახლათ დაპყრობილი ოსმალეთის საქრთველოს პირი, თორთუმი, ლაზისტანი...

ამ მიწა-წყლის არც ერთ გოჯის დათმობა არ შეუძლია ქართველ ხალხს, რადგან იგი მის წინაპართა სისხლით არის გაპოხიერებული, მათი დაუღალავი შრომისა და გარჯის ბეჭედი აზის, მისი დიადი სტილი ცხოვრების და საეროვანო მოქმედების ასპარეზი გახლავთ...

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. თიბათვე 11 (23), კვირა, №125, გვ. 1.

ავტოკეფალიის საკითხი აფხაზეთში

ჯერ კიდევ აფხაზეთის ავტოკეფალიის შესახებ ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა არ შეწყვეტილა. აფხაზები საზოგადოდ უკმაყოფილონი არიან, რომ ქართველებმა არ შეატყობინოს და არ მიიწვიეს ავტოკეფალიის გამოცხადების დროს, გარდა ამისა ემდურებიან სამურზაყანოს ქართველ სამღვდელოებას, რომელთაც კერძო კრება ჰქონიათ და დაუდგენიათ საქართველოს საკათალიკოზოსთან შეერთება და აფხაზეთის სამღვედლოებისათვის კი არაფერი შეუტყობინებიათ. ყველა ეს სწყინთ აფხაზებს, და უფრო კი დამოკიდებულებას პროვოკატორები ამწვავებენ, რომელნიც ხმებსა ჰყრიან ქართველებს თქვენი ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება უნდათო. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჯარისკაცთა საბჭოსაც კი მიჰმართეს, მაგრამ ამგვარს პროვოკაციისათვის ბოლო მოელოთ. ერთმა აფხაზმა მღვდელმა საჯაროდ განაცხადა კრებაზედ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ ავტოკეფალურ ეკლესიის მოსაპოვებლადო. ასეთი განწყობილებაა აფხაზეთის სამღვდელოებაში. ახალგაზრდა აფხაზი სამღვდელოება რუსიფიკატორების ხელში აღზრდილი, რუსიფიკატორებმა აფხაზების სამღვდელოება ქართველებთან მტრულად გაწვრთვნესო და მათგან განდგომის მეტს არაფერს არ უნდა მოველოდეთო მითხრეს სოხუმელებმა. ხალხი კი უფრო ქართველებისაკენ მიიწევს. ერთმა ხნიერმა და გავლენიანმა პირმა კრებაზედ განაცხადა, ჩვენ ვეცდებით ავტოკეფალურ ეკლესიის აღდგენასაო და თუ ეს ვერ მოვახერხეთ უპირატესი იქნება ჩვენთვის წყალში გადავცვივდეთ, ვინმე ისევ რუსების სინოდის ქვეშევრდომობაში დავრჩეთო.

ასე დღეს-დღეობით, ვნახოთ რას გააკეთებს ავტოკეფალიის საკითხის შესარჩევად არჩეული კომისია.

თიბათვის 4 ამავე საკითხის შესახებ მოხდა დიდი კრება მთელს სამურზაყანოში სოფ. გალში, რომელსაც 2000 კაცზედ მეტი დაესწრო. აქაც იგივე უთანხმოება, იგივე გამოყოფის სურვილი აფხაზების მხრივ, რომელნიც დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ თუ აფხაზეთის ეკლესია დამოუკიდებელი შეიქმნა, მაშინ სამურზაყანოც მას უნდა შეუერთდესო. მაგრამ სამურზაყანო ხომ ქართველ-მეგრელებით არის დასახლებული და როგორც ამგვარნი უნდა დაემქვემდებარონ საქ-ლოს ავტოკეფალურს ეკლესიას. ეს ხომ ასეა, მაგრამ მთელს აფხაზეთში წმინდა, მარტო აფხაზთა ეკლესია მხოლოდ 30 სამრევლოა და მათთვის ცალკე ავტოკეფალური ეკლესიის დაარსება კანონიერის

სამართლით შეუძლებელია. კრება ერთს საბოლოო გადაწყვეტილებამდის ვერ მივიდა და კომისია ამოირჩია ოთხს პირისაგან, რომელთაც უნდა შეიმუშაონ საკითხი, რამ-დენად შესაძლებელი იქმნება ავტოკეფალურ აფხაზეთის ეკლესიის დაარსება.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. თიბათვის 15 (27), ხუთშაბათი, №128, გვ. 4.

წარმოდგენები პროვინციაში (ოჩამჩირე)

კვირას, თიბათვის 4-ს ადგილობრივ ორკლასიან სკოლის შენობაში მოწაფეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა „ვნების ბრჭყალებში“ 5 მოქმ. დრამა ბოჭორიშვილისა და რუსული ერთ მოქმედებიანი პიესა. ადგილობრივ წარმოდგენა გაიმართა ახლად გახსნილ ქალთა საპროფესიო სკოლის სასარგებლოდ. აუარებელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, ბევრი უადგილობით დარჩა. საერთოდ პიესა კარგად იყო შესრულე-ბული, ეტყობოდა მოწაფეებს შრომა გაეწიათ. საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოსწავლე ქალმა ვერა მარღანიამ აღოლას როლში. პიესებს შემდეგ წაკითხული იქმნა ლექსი ქართულად და რუსულად. ქართული პიესის რეჟისორად ჯარისკაცი ა. აღანია, რუსულია ფარშალი გავჯაბიძე.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, კონცერტს მეთაურობდა რეალურ სასწავლებლის მოწაფე კ. გოგიტიძე. საზოგადოება ღამე სამ საათზე დაიშალა.

ი. ბაღათურელი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. თიბათვის 20 (2), სამშაბათი, №132, გვ. 4.

სამურზაყანო

15 მარტს 1917 წ. დ. გალში მოხდა სამურზაყანოს ნაწილის მცხოვრებთა საზოგა-დო კრება, კრებამ თავმჯდომარედ ამოირჩია თ. ა. გ. შარვაშიძე, თავმჯდომარის ამხანაგად თ. დიმიტრი (იგივე არზაყან) ემხვარი, მდივნებად ნ.კ. მეუნარგია, და პ. გ. ქარაია...

...სამურზაყანოს ნაწილის აღმსრულებელ კომიტეტის წევრებად ამოირჩიეს: მ. ზ. ჩქოტუა, ი. კ. გეგია, ი. ს. სართანია, ე. ა. ეშბაია, ნ. ბ. ქირთბაია. სამურზაყანოს კომისრებად დ. ემუხვარი, თ. ვარლამ შარვაშიძე და მ. ცაავა. საოლქო კომიტეტში მი-ლიციის მოწყობის საქმეში ა. შარვაშიძის თანაშემწედ – ჯოტო შარვაშიძე. ამ დღეებში სამურზაყანოს თითოეულ საზოგადოებში ამოირჩევა სასოფლო კომიტეტების წევრე-ბი და სოფლის კომისარები. და ამის შემდეგ ადგილობრ. სამურზაყანოს ნაწილის კომიტეტი შეუდგება ჯეროვანად საქმის წარმოებას. საჭიროა საქმის წარმოება ქარ-თულად იწერებოდეს.

დამსწრე

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. 22 მარტი, ოთხშაბათი, №65, გვ. 4.

აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია

მოგეხსენებათ აფხაზეთის სამღვდელოებამ გადაწყვიტა აღადგინოს ავტოკეფალია აფხაზეთის ეკლესიისა, ამიტომ ურიგო არ იქნება მცირედ მაინც გავიხსენოთ წარსული აფხაზეთის ეკლესიისა.

აფხაზეთი აკვანია დიდებული საეკლესიო ნაშთებისა და არქეოლოგიისა. გაიხსენა დიდებული ტაძრები პიცუნდისა, აშენებული იმპერატორ იუსტინესაგან 551 წელს, დრანდა ილორი, მოქვი და სხვანი, რომელნიც საკვირველებს წარმოადგენენ დღევანდელის არქიტექტურისათვის და ნათელი იქნება თქვენთვის თუ რანაირი ღირსებისა არის აფხაზეთის ნაშთები. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ეს ტაძრები უმდიდრესნი იყვნენ შინაგანის მოწყობილებით და სამკაულით. ფას-დაუდებელია ბედიის, დღეს ილორის ოქროს ბარძიმი, პიცუნდის ღვთის მშობლის ხატი, რომელიც დღეს გელათის მონასტერში ინახება, აგრეთვე სვანეთში შენახული დრანდის მონასტრის ხატი წმ. იოანესი და სხვა მრავალი მისთანი, ჩვენ მხოლოდ გარდა ამისა ვიტყვით, რომ აფხაზეთი იმ წმ. ადგილად ითვლება სადაც გადმოცემით საფლავია იოანე ოქროპირი და უქადაგნია ქრისტიანობა მოციქულებს ანდრია პირველწოდებულს და იოანე კანანელს. აი ამ უკანასკნელთ პირველად შემოუტანიათ სხივი ქრისტიანობისა აფხაზეთში, მაგრამ შემდეგში ბერძნებს და უფრო ქართველებს განუმტკიცებიათ ქრისტიანობა. აფხაზეთის ეკლესია საქ-ლოს კულტურული გავლენის ქვეშ იყო მთელი თავისი ხანგძლივი ცხოვრების განმავლობაში. ქართულად სწარმოებდა წირვა-ლოცვა და მღდელ-მსახურება აფხაზეთში, ქართული მწიგნობრობა იყო დამკვიდრებული მონასტრებში და ქართულივე წარწერანი აქვთ როგორც ეკლესია-მონასტრებს აგრეთვე სხვა ნაშთებს.

ასეთს ძლიერს ქართულ კულტურის გავლენის ქვეშ აფხაზეთი, მაგრამ ამავე დროს არ იყო მოკლებული თავისიანობას. როგორც მოგახსენებთ აფხაზეთის ეკლესია ერთს დროს და კარგა დიდ ხანსაც სრულად დამოუკიდებელიც იყო საქ-ლოს ეკლესიისაგან და თავისი საკუთარი საკათალიკოზო ჰქონდა პიცუნდაში, რომელსაც ექვემდებარებოდნენ აფხაზეთის გარდა სამეგრელო, გურია, სვანეთი და სხვანი. ეს კათედრა კათოლიკოსისა დაარსდა მე-16 საუკუნის დასაწყისში და არსებობდა თითქმის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულებამდის. ცნობილნი არიან აფხაზეთის კათოლიკოსნი მალაქია, ევდემონი ექვთიმე, მალაქია II, მაქსიმე და გრიგორი, ზაქარია და სხვანი, სულ რიცხვით 16-ის. უკანასკნელი კათალიკოსი აფხაზეთისა იყო მაქსიმე II, რომელიც გარდაიცვალა კიევში 1795 წელს.

გარდა ამისა თვით აფხაზეთში იყო X ს-ის დასაწყისიდან შემდეგში ეპისკოპოსთა კათედრები ...გრაშ პიცუნდაში, სოუხ-სუში, ანაკოპიაში, გუმში, სოხუმში (ცხუმში), დრანდაში, ილორში, მოქვში, ბედიაში.

მას შემდეგ რაც საქ-ლო რუსეთს შეუერთდა და მით საზოგადოდ კავკასიის ბედიც გადასწყდა, აფხაზეთმაც ვეღარ მოისვენა, ერთის მხრით რუსეთმა და მეორეს მხრივ ოსმალეთის პროპაგანდის ქსელში გახვეულს ეკლესიისათვის აღარ ეცალა, საეკლესიო საქმეც მიყუჩდა და დავიწყებას მიეცა. კავკასიაში რუსეთის ფეხის მოკიდების შემდეგ აფხაზეთმა და ვეღარ მოისვენა, ბევრმა ქარტეხილმა და გრიგალმა გადაიარა მის თავზედ, ბევრმა შავმა დღემ დაუქროლა და წალეკვასა და განიორწყალებას დაემუქრა, ამ ქარტეხილთა სილაღით ძლიერს აფხაზეთს ქედი სავსებით ვერ

მოახრევინა, მაგრამ სამაგიეროდ გაანახევრა იგი და ძალზედ შეასუსტა. მრავალი აფხაზი ვერ შეურიგდა რუსეთის ბიუროკრატიის მუხრუჭებს, რუსეთის ორთავიანს არწივს გაექცა და ოსმალეთს შეაფარა თავი. უკანასკნელ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მაინც ამ გადასახლებამ ოსმალეთში ეპიდემიური ხასიათი მიიღო და მრავალი ადგილი დაცარიელდა და გაპატარხდა.

ამასთანავე დაცარიელდა და დაეცა ეკლესიაც, მრავალმა მამა-პაპათა სარწმუნოებას ზურგი შეაქცია და ისლამი ამჯობინა. დღეს ნახევრად გადამტვერებულს აფხაზეთში სულ 23 აფხაზთა სამრევლოღა არის, რომელსაც რასაკვირველია თუ არ მიემატებათ სამოცამდის მეგრელთა სამრევლოს სამურზაყანოში.

აი ამ მცირე რიცხვს ეკლესიებისას, აფხაზეთისას, რუსეთის სინოდმა ყოველივე იღონა, რომ როგორმე ქართული სული ამოეხადა და თავისი მონა-მორჩილი დაეხადნა. საქმე იმითა დაიწყო, რომ ყველა აფხაზს, რომელსაც სასულიერო სემინარიაში შესვლა სურდა თბილისის სემინარიისაკენ კარს უხშობდა და რუსეთის სემინარიებისაკენ უთითებდა, რათა თბილისში ქართველებისა არა გადაედოს რა და სრული მორჩილი იყოს რუსეთის ბიუროკრატიული სინოდისი. ერთმა მღვდელმა მითხრა სტავროპოლის სემინარიაში გადავეყვანეთ, მაგრამ მუდამ იმას მიპასუხებდნენ აფხაზეთისათვის იქ ვაკანსია არ არის. ამის შემდეგ რუსეთის სინოდმა ხომ ქართული წირვა-ლოცვაც აკრძალა აფხაზეთში და აფხაზური შემოიღო, რათა სამუდამოდ ჩამოეშორებინა საქართველოს ეკლესიისათვის.

დღეს ამ ცხოვრების ყოველგვარი მხარეების განახლების დროს აფხაზეთსაც სასულიერო კაცთა თუ ერის კაცთ ყველას ერთმხრივ მოუწადნიათ აღადგინონ საკუთარი ავტოკეფალიური ეკლესია. ამის გამომხატველია უფრო ახალგაზრდობა, რომელიც სულით და გულით მონდომილის აფხაზეთის აღორძინება-განახლებისა. შესაძლებელია საკუთარ ავტოკეფალურ ეკლესიასთან ერთად გაერთიანდეს მთელი აფხაზეთის, ისევ თავის წინაპართა ეკლესიას დაუბრუნდეს და მით აფხაზეთს ახალი სული და ახალი ცხოვრება ჩაჰბერონ, ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ აფხაზი ჯერ კიდევ სავსებით გამუსულმანებულია და ყოველივე ქრისტიანული წესი და ადათი მათში დღესაც ტრადიციით სიწმინდით არის დაცული. ვუსურვებთ ახალგაზრდა აფხაზებს სულით და გულით თავიანთი წადილის განხორციელებას და მასთან ერთად მათს მეზობელსა და დიდად მათთვის მუდმივ მოჭირნახულე და მოამაგე საქართველოს ეკლესიასთან მეგობრობასა და კეთილ-განწყობილების არ დავიწყებას.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. მკათათვის 6 (18), ხუთშაბათი, №145, გვ. 4.

სამურზაყანო

მეტად მიყრუებული და მივარდნილი კუთხეა სამურზაყანო. იშვიათად თუ შეჰხვდება ადამიანი მის შესახებ რაიმე ამბავს ჩვენს პრესაში. სამურზაყანოს არა ჰყავს ისეთი ჭირისუფალი, რომელიც მუდამ მას თავს ევლებოდეს და მის ჭირ-ვარამს ყველას ატყობინებდეს. გამოსამზევებელი და დასაწერი ბევრი რამ არის, მაგრამ ყველაზე დიდს სატკივარს სამურზაყანოსას სახალხო სკოლების ბედშავობა და გადაგვარება წარმოადგენს. სამურზაყანო არ არის ღარიბი სკოლებით, იქ 70 სკოლაზედ მეტია, მაგრამ საქმე ეს არ არის, საქმე ის არის, რომ ყველა ეს სკოლები მთელის თავისის შემადგენლობით გარუსების პოლიტიკას ემსახურება. ყველა ამ სკოლებიდან გამ-

დევნილი იყო სამშობლო ქართული ენა, არც ერთს მათგანში ხსენებაც კი არ იყო ქართულისა. ყოფილი და დღეს განმდევნილი ზედამხედველი სკოლებისა ბ-ნი ალ-ფეროვი სასტიკად სდევნიდა ყველაფერს მშობლიურს და სამარეს უთხრიდა იმ მას-წავლებლებს, ვინც გაჰბედავდა და სასწავლებლის გარეშე მაინც ასწავლიდა ვისმეს ქართულს წერა-კითხვას. ისეთ უკიდურესობამდის მიდიოდა ასეთ მასწავლებლის დევნა, რომ ოცდაოთხის წლის ნამასწავლებელი ემუხვარი იმისთვის დაითხოვა, რაკი გაჰბედა და შეგირდებს ქართული წერა-კითხვის სწავლება დააწყებინა.

ამგვარმა გარუსების პოლიტიკამ თუმცა თავისი დღენი მოჭამა პოლიტიკანი ალ-ფეროვიც აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისუფლების გამოცხადებისთანავე იქით გაისტუმრა საიდანაც მობრძანდა, მაგრამ გარუსების პოლიტიკის შედეგი და კვა-ლი კი დიდია სამურზაყანოში. ჩემს წინ აწყვია რამდენიმე სოფლის განაჩენი ერთის სოფლის გამო. აბა ჩაათვალიერეთ, რამდენს უწერია ხელი ზედ, თითქმის არავის. ან კი ვინ მოაწერს ხელს ქართულად, როცა არავის უსწავლებია მათთვის ქართული წერა-კითხვა. ასეა ყველა საქმეში.

მაგრამ დღევანდელმა განმანთავისუფლებელმა ხანამ საჩქაროდ უნდა აღმოფხ-ვრას ყოველივე ეს. ამ საზაფხულოდ ზუგდიდში გახსნილი ქართული ენის და ლიტ-ის კურსები მასწავლებელთათვის, სწორედ რომ მისწრებაა სამურზაყანოს მასწავ-ლებელთათვის, რომელნიც თითქმის სულ მეგრელები და აფხაზები არიან. მათში ქართული ენის ცოდნა და მით უმეტეს ლიტერატურისა მეტად მცირეა. საგაზაფ-ხულო კურსები, რასაკვირველია, ისეთს მასწავლებელს, რომელსაც სრულიად არა აქვს ცოდნა ქართული ენისა ბევრს ვერას შესძენს და გინდაც შესძინოს ცოტა რამ, მაინც ეს საკმარისი არ იქნება, რომ ამ ენაზედ მეცადინეობა მოაწყოს სასწავლებ-ელში. ამიტომ სასურველია საქმე იმგვარად მოეწყოს, ის აფხაზი მასწავლებლები, რომელნიც სამურზაყანოში მეგრელთა სკოლებში მასწავლებლობენ უნდა წავიდნენ სოხუმის ოლქის აფხაზთა სკოლებში, აფხაზების სკოლებიდგან კი, პირიქით, სამაგი-ეროდ უნდა წამოვიდნენ ქართველი მასწავლებლები და სამურზაყანოში გადმოვიდ-ნენ. სასურველია სწორედ ასე მოეწყოს საქმე, თორემ ის მასწავლებელი, რომელმაც არ იცის ქართული, რაღანაირად ასწავლის ბავშვებს ქართულ ენას.

სამურზაყანო – სოფლის მეურნეობის დაბალი დონე, „მთელს კუთხეში ვერსად ნახავთ ხეხილის ბაღებს, ვენახებს...“

სოხუმში არის მცირე სანერგე მეურნეობა მაგრამ შორია...

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. მკათათვის 7 (19), პარასკევი, №146, გვ. 4.

სამურზაყანოდან

ქურდობამ იმატა. 26 მაისს კრება სოფ. ზენაში აირჩიეს მეთვალყურენი.

...კიდევ უფრო აღვნიშნო, რომ სამურზაყანოში გაჩნდნენ ისეთი პირები, რომ-ლებიც ავრცელებენ სოფლად ავტონომიის შესახებ ყოვლად შეუფერებელ ჭორებს, ვითომც ავტონომია ძვ. ბატონყმობის აღდგენა... (იხ. ვრცლად – რედ.).

ი. ბაღათურელი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. მარიამობისთვე 8 (21), სამშაბათი, №173, გვ. 4.

სამურზაყანოდან

თუ ადამიანს თვითონ არ უნახავს სამურზაყანო, ძნელად წარმოადგენს თუ გამარუსებელს პოლიტიკას რა უხვი ნაყოფი მოუტანია სამუზაყანოში. სკოლებიდან ქართული ენის განდევნას თავის დანიშნულებისათვის მიუღწევია: სოფლებში ძალიან იშვიათია ქართ-ენისა და წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის პოვნა, იმ დროს, როცა რუსულის მცოდნენი უხვად მოიპოვებიან.

ამ მოკლე ხანში ს. გალში ქართ. წარმოდგენა უნდა გაემართათ მოთამაშეებათ სულ ქართველი მოსული მოსამსახურეები გამოდიოდნენ. აქაურ მოსწავლე ახალგაზრდობაში იმდენად ქართული არავინ იცის, რომ მონაწილეობა მიიღეს ასეთს წარმოდგენებში. ასეთს უბედურ გადაგვარების გზაზედ დაუყენებია რუსეთის ძლევამოსილის ბიუროკრატიას აქაურობა. ყველას, ვისაც კი ქართულის სწავლა მოუნდომებია, ან რუსეთისკენ გადაუყვანიათ, ან ერევან-განჯისაკენ და სრულიად მოუშორებიათ საქართველოს. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდობა მწყრალად არის ქართულზედ ერთს ყრილობაში, სადაც ბლომად იყო განათლებული ახალგაზრდობა და ადგილობრივი ინტელიგენცია სიტყვა ვსთქვი ქართულად. კრება როცა გათავდა ერთი დამსწრეთაგანი მომიახლოვდა და მითხრა: – თქვენი სიტყვა მოსაწონი იყო, მაგრამ იცით რომ ოცს კაცში ერთმა ძლივს გაიგო, ქართული და მეტადრე ისეთი წმინდა როგორც თქვენა ლაპარაკობთ აქ არ ეყურებათ.

აი ასეთი იყო დღევანდელამდის სამურზაყანოს მდგომარეობა, მაგრამ რამდენადაც სასტიკი იყო წარსული პოლიტიკა რუსეთის, იმდენად მუყაითია, მედგარი და შეუპოვარი დღევანდელი მუშაობა განახლებულ ქვეყანაში ერთი ბეწვმა ინტელიგენტურ ადგილობრივ ძალებისა, რომელნიც შემოკრებილან წერა-კითხვის ს-ბის სამურზაყანოს განყოფილებასთან. აი ეს პატარა წრე. რომელსაც სათავეში უდგას სამურზაყანოს მოჭირნახულე, ყველგან პატივცემული ი. გეგია, თავისუფლების გამოცხადებისთანავე გახსნეს სამურზაყანოში შვიდს ადგილას სამკითხველოები, სადაც მოიპოვება ყველა ქართ. წარმოდგენების მართვა, რომლებსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა და რომლის შემოსავლითაც ინახება სამკითხველოების.

განზრახულია აგრეთვე სამკითხველოებში და ზოგიერთს სოფლებში ლექციების მოწყობა თანამედროვე საკითხებზე. გარდა ამისა ბ. გეგიას მეცადინეობით გამართული იყო კრება ს. გალში, რაზედაც გადაწყდა სახალხო სახლის აგება, რისთვისაც პატივცემულმა თავადმა შერვაშიძემ განაცხადა ათი ათასი მანეთის შეწირვით დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც უღრმესი მადლობის ღირსია ბ-ნი შერვაშიძე. ჩვენ ჩვენის მხრივ ვუსურვებთ, რომ ჩქარა განხორციელებულიყვეს ეს მთელის სამურზაყანოსათვის მეტად სასარგებლო კულტურული დაწესებულება და მით მკვიდრი და სამუდამო საძირკველი ჩაჰყროდეს სახალხო საქმესა, მივარდნილ ქვეყანაში.

(მოსავლის საკითხი. მუშა ხელის ნაკლოვანება – ქალები მუშაობენ. – იხ. დაწვრილებით – რედ.).

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. მარიამობისთვე 10 (23), ხუთშაბათი, №175, გვ. 4.

აფხაზეთის სიწმინდენი

მას შემდეგ, რაც რუსეთის ორთავიანი არწივი დაეპატრონა აფხაზეთის მიწა-წყალს, იგი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე საუკუნოდ სული ამოეხადა ამაყ და შეუპოვარ აფხაზებისათვის და უპირველეს ყოვლისა საქართველოსათვის ჩამოეშორებინათ და გამოეცალკევებინათ ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა ეკლესიას დაეტაკნენ და მთლად გაარუსეს იგი. აბა შეჰხედეთ ეხლა ბიჭვინთის, ათონის, დრანდის, მოქვისა და სხვა ქართველ-აფხაზთა სიწმინდეებს რა მოუვიდათ იმათ, მთლად ერთიანად რუს ბერთა და მონაზონთა სავანედ გადაქცეულან იგინი. რუსნი დაჰპატრონებიან ამ სიწმინდეთ და ასე გასინჯეთ გარეგნული მხარეც კი ეკლესია-მონასტრებისა მთლად შეუცვლიათ და შეუბღალავთ, რათა ყოველივე ნიშანწყალი ქართულის კულტურისა და ხუროთმოძღვრებისა აღმოეფხვრათ მათში. ამ ზღვასავით წამოსულს ტალღას ყოველი ქართულის განადგურებისას ძლივსძლივობით გადაურჩა აფხაზეთში ორათ-ორი-ღა სიწმინდე ქართველებისა. ეს გახლავთ ბედიის მონასტერი და ილორის წმინდა გიორგი. ბედია ეს დიდათ შესანიშნავი მონასტერ-სავანეა. ბედია მისი ისეთივეა, როგორიც დანარჩენ საქართველოსი. დროთა ვითარების გამო იგი ქართველთაგან მიტოვებული მთლად ტყესა და ბუჩქნარს დაეცა და ისეთ ნაირად დაეფარა და დაეჩქმალა, რომ აფხაზები აქ თურმე მარტოღა ნაპარავ საქონელს ინახავდნენ და მალავდნენ. ასეთს გარემოში იყო თურმე ეს მონასტერ სავანე, სადაც ბაგრატ მესამეს საფლავია და მხოლოდ ამ 15 წლის წინათ ერთ ქართველ ბერ-მონაზონს უდვია თავზედ მისი განახლება-გამშვენიერება. ბევრი ცდა და გაჭირვება გამოსცადა ამ ბერმა, ვიდრე უბრალო ნებართვას მისცემდნენ მონასტრის განახლებისას. რუსებს თავისთვის სდომებით მისი გამოყენება და რუსულ მონასტრათ ქცევა და ამიტომ სოხუმის ეპისკოპოსი წინ აღუდგა მის განახლებას და ქართულ მონასტრად ქცევას. ბერი იძულებული იყო მონატრის ზღუდეთა გარეთ აეშენებია მომცრო ეკლესია და იქ ევედრებინა ღმერთი. მხოლოდ ეპიკოპოსის გამოცვლამდე ახლის დანიშვნამ გადასწყვიტა მონასტრის ბედი. მოგეხსენებათ სოხუმის ეპისკოპოსი ანდრია, რომელიც დიდხანს არ დააყენა კავკასიაში რუსეთის ბიუროკრატულმა სინოდმა – ქართველებისადმი თანაგრძნობისათვის, ნება დართო ბედიის მონასტრათ გადაკეთება-განახლებისა და კარგა ბლომა შეწირულობანიც უძღვნა მონასტერს. აქეთგან იწყება მონასტრის ბედის გაუკეთესება. ადგილობრივმა თავდიშვილებმა შერვაშიძეებმა კიდევ 50 დესეტინაზედ მეტი შესწირეს მონასტერს, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში, მონატრის მთავარი ტაძრის განახლებას დიდძალი ფული სჭირია. დღეს მისი გუმბაზი და ნახევარსახურავი ჩამონგრეულია და გატიალებული. უცქერით საბრალო ბედიის გულსაკლავად ჩამომტირალს კედლებს, მის ჯერ კიდევ კარგად შენახულს ფრესკებს, მის ირგვლივ კიდევ სხვა დარღვეულს შენობებს, ღარიბ-ღატაკ ბერ-მონაზონებს და ძალაუნებურად გაგონდებათ სხვა მონასტრები აფხაზეთისა, დრანდა, მოქვი, ათონი, ბიჭვინთა და გული ბოღმით გევსება. იქ სიმდიდრე, ფუფუნება, განცხომა, საუცხოვოთ შემკულ ეკლესია-ტაძრები, დართული მონაზონ-ბერები და აქ კი ქართულს მონასტერში ყოველივე დარღვეული და უფლება ყრილი. – დიახ, დიახ ნამდვილი გერები და უძღები შვილები ვიყავით ჩვენ რუსეთის ეკლესიისათვის. ნუთუ იმას არ უნდა ეზრუნა ბედიისათვის, ნუთუ მისთვისაც არ უნდა მიეცათ დახმარება-შემწეობა, ნუთუ მისთვისაც არ უნდა გადაეგდოთ ერთი ლუკმა, რომ ჩამომტირალი კედლებისათვის

მაინც არის ცრემლები მოუწმინდათ.

– ეჰ, ხელის ჩაქნევით ამბობთ თქვენს, და მიმოავლებთ თვალს ადგილმდებარეობას მონასტრისას, რომელიც მეტად თვალწარმტაცია და მოხდენილი. უშველებელი მთის ბორცვი, რომელიც კავკასიის ერთ შორეულს სვეტს წარმოადგენს, აღმართულია სხარტულად საუცხოვო ადგილას, რომელზედაც გაშენებულია მონასტერი. ერთის მხრივ თქვენს თვალს იტაცებს კავკასიის მთაგრეხილი... ბუნების აღწერა... ადვილად მიხვდებით თუ რათ არ უნდოდათ რუსებს მისი ხელიდან გაშვება. ეს ტურფა წარკოტი მშვენიერს ადგილს წარმოადგენს ყოველმხრივ სანატორიუმის გასახსნელად და ჩვენს ავტოკეფალურს ეკლესიას თავისუფლად შეეძლო სასულიერო პირთათვის მაინც გაეხსნა სანატორიუმ-მონასტერი...

...ქართველი ეკლესიისან მოითხოვს აღადგინოს „მისი გავერანებული და ჩამომტირალი კედლები“. ამას მოითხოვს სამართლიანობა და გულშემატკივრობა ქართველთა ეკლესიისა“...

მეორე სიწმინდე რომელიც გადარჩა გარუსებას გახლავ ილორიის წმინდა გიორგი, რომელიც უპირველეს სიწმინდეთ ითვლება მთელს აფხაზეთში და რომელსაც მოწიწებით და კრძალვით ექცევა ყველა აფხაზი. ეს ისეთი წმინდათწმინდაა ყოველი აფხაზისა და მეგრელისთვის, რომ მასზედ-ღა მარტო ლოცულობს და ევედრება ღმერთს აფხაზი. რაკი სხა სიწმინდენი რუსებს ჩაუგდიათ ხელი, ამიტომ მთელი აფხაზეთი მხოლოდ ამ ეკლესიის გარშემო იკრიბება, ქრისტიანი და ხშირად მუსულმანიც აქ მიდის სალოცავად და ფიცის მისაღებად. დააშავა რამე აფხაზმა ან მეგრელმა, ცილი დასწამეს რამე თუ ბოროტმოქმედება დააბრალეს იგი მიდის ილორში და თუ იქ წმინდა გიორგის ხატის წინ დაიფიცა, რომ იგი უდანაშაულოა, მაშინ ყოველივე ეჭვის მის დანაშაულობაში ისპობა და ის მართალი ადამიანი ხდება და უნდა იცოდეს ადამიანმა თუ რამოდენა სახელი აქვს და რანაირად სწამს მთელს აფხაზეთში ილორი, რომ სრულიად დარწმუნდეს ადამიანი ფიცის სიმართლეში. ვერც ერთი რაც გინდა რეგვენი და ურწმუნო იყვეს ვერ გაკადნიერდება და ვერ გაჰბედავს ტყუილი ფიცი მიიღოს. ილორი ყოველი აფხაზისათვის ისეთი სათუთი რამ არის, ისეთი ზესარწმუნოებრივი რამ, რომ აფხაზეთი უმალ სიკვდილს ირჩევს ვიდრე ტყუილ ფიცის მიღებას. და მართლაც როგორ არ უნდა სწამდეს აფხაზს ილორი, იმ აფხაზს რომელსაც ცოტათი მაინც აქვს პატივისცემა თავისი წარსულის და კულტურისა. აქ ილორის ეკლესიაში არის თავმოყრილი ყოველივე საეკლესიო კულტურული ნაშთა აფხაზეთისა. აქ არის დიდებული ხატი ილორის წმინდა გიორგისა, მეორე უფრო დიდი ხატი წმინდა გიორგისავე დადიანისაგან შეწირული, ოქროს ბარძიმი, ბედიის მონასტრის კუთვნილი და სხვა მრავალი ნივთები – სხვა და სხვა ეკლესიებიდგან გადმოტანილი, ერთის სიტყვით ამ ეკლესიაში თავი მოუყარიათ ყველა იმ საეკლესიო ნივთებისათვის რაც კი სხვაგან გადარჩენილა რუსთა ჩანთქმას და გატაცებას. აი სწორედ იმიტომ სწამს, უყვარს და პატივით ექცევა ილორს ყოველივე აფხაზი. იგი დააქციეს, წაართვეს მას ყოველივე და აი მხოლოდ ესღა ერთად-ერთი სიწმინდე-ღა შერჩენია და მას-ღა შეჰხარის იგი, მისით ითქვამს სულს და მასზედ იკლავს სარწმუნოებრივს ჟინსა და ლტოლვილებას. ილორი მისთვის – ეს მთელი სარწმუნოებრივი სოფლმხედველობა და აი ამიტომ რომ ყოველდღე მლოცველებით სავსეა იგი. ისე დღე არ გაივლის, რომ ასი-ორასი კაცი არ მოვიდეს მის წმინდათა-წმინდა ტაძარში და წმინდა

გიორგის ხატს არ ეხვიოს და არ შეევედროს.

ასეთია ილორი აფხაზეთისათვის, ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც, რომ დღეს საქართველოს ეკლესიის განახლებასთან აღდგენილი იქნეს კათედრა ბედიელის ეპისკოპოსისა, რომელსაც მუდმივ საცხოვრებელი ბინაა ილორში ექნება. დიდ მნიშვნელობა ექნება აქ, საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას, მაგრამ ამაზედ შემდეგ წერილებში.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. ღვინობისთვე 27 (9), პარასკევი, №237, გვ. 4.

აფხაზეთის ვითარება

აფხაზეთი – ეს ის ტურფა წალკოტია, რომელთანაც საქართველოს მუდმივი მეგობრობა, ურთიერთობა და დამოკიდებულება ჰქონდა. ძველად, ისტორიულად საქართველოსა და აფხაზეთს ერთის ცხოვრებით უცხოვრიათ, საქართველოს წარსული და აფხაზეთისა ისე არიან ერთმანეთში გადახლართულნი, რომ ძნელად მიხვდება კაცი თუ სად იწყება პირველი და სად მთავრდება მეორე. ხშირად საქართველო აფხაზეთის ფარგლებში შედიოდა და აფხაზეთის საზღვრები ლიხის მთებით ისაზღვრებოდა, ხან კი და უფრო ხშირად აფხაზეთი შედიოდა საქართველოს საზღვრებში და აი ამ დამოკიდებულობის შედეგი იყო ხოლმე რომ ხშირად ქართველთა მეფენი და კათოლიკოსნი აფხაზეთ ივერიელებად იწოდებოდნენ ხოლმე. აფხაზეთი საქართველოს მუდმივ კულტურის გავლენის ქვეშ იყო, მწერლობა, მღვდელმსახურება, მიწერ-მოწერა ქართულად სწარმოებდა. დღესაც ცოცხალი ნაშთები ამას ნაილად ღაღადებენ, ეკლესიის წარწერანი, საფლავის ქვები და სხვანი სავსენი არიან ქართულის წარწერებით. მუდმივი მსვლელობა, ნათესაობა ამტკიცებდა კიდევ ამ დამოკიდებულებასა და ამ ურთიერთობას.

ასე იყო მოკლედ რომ ვთქვათ წინეთ, ვიდრე საქართველოს და კავკასიას რუსეთი დაეპატრონებოდა, ვიდრე საქართველოს მოთავეობა და წინამძღოლობა არ მოისპობოდა კავკასიაში. რუსეთის ჩამოსვლამ, რასაც ჩქარა აფხაზეთის განიავებაც მოჰყვა, სრულიად მოსწყვიტა იგი საქართველოს. რუსეთი როგორც ყოველთვის იმ გატკეპნილ გზას მისდევდა, რომელიც სამკვიდრო დაუტოვა რომმა, ესე იგი ძმა ძმას წაჰკიდე დააშორე და იმეფე მათზეო. ამიტომ რუსეთმა აფხაზეთის სრული ჩამოშორება დაიწყო საქართველოსაგან. უპირველეს ყოვლისა, რომ ეკლესიები და მონასტრები რუს ბერ მონოზნებით აავსო და ყოველივე ქართული იქიდგან განდევნა და მოსპო. ამ მხრივ მეტად უკიდურესობამდის მივიდა რუსეთის სინოდი: ეკლესია-მონასტრებს სტილი და გარეგანი მხარეც კი აღარ შეარჩინა მათ ქართული, ისინი მთლიანად აღმოფხვრა, მათ მაგიერ რუსული გაამეფა. ენა ხომ ქართული სრულიად დავიწყებას და ამოვარდნას მისცა აფხაზეთში, განგებ აფხაზთთათვის განსაკუთრებული ანბანი შეადგენდა. მისი შემდგენელი იყო ცნობილი ლიგვინსტი უსლარი, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ ყველა კავკასიური ენებისათვის ყველაზედ უფრო გამოსადეგი ანბანი ქართული არისო და ამიტომ რუსულ ანბანში რომელიც აფხაზთთათვის გადააკეთეს ის ასოები რომლის გამოსათქმელად რუსული ანბანი არ კმაროდა ქართულისაგან ისესხა და ჩაუმატა. მაგრამ მისი მემკვიდრენი ამითი დაკმაყოფილდნენ, რათა სრულად ამოეგდო აფხაზეთში ქართველის ხსენება, ამიტომ უსლარის ანბანიდან ქართული ასოები სრულიად განდევნეს და რუსული ასოების გადაბ-გადმობმით ის უცნაური

ანბანი შექმნეს, რაიც სრულიად გამოუსადეგარად იცნეს თვით აფხაზებში. რამდენიმე სოფლის მასწავლებელმა მითხრა, რომ ვერც სკოლაში და ვერც მიწერ-მოწერაში ვერ გვიხმარია ეს ახალი ანბანი, რადგან მის მიერ შეუძლებელიაო და ამიტომ იგი თუ არ მოისპო სულ შეაძულებს ხალხს წერა-კითხვასო. აი სანამდის მიაღწიეს რუსეთის პოლიტაკანებმა. რუსეთი ძალუმად ცდილობდა აფხაზეთის ჩანთქმას და მათ სრულ გარუსებას. ეკლესიებში, სადაც მთელის საუკუნოების განმავლობაში ქართული წირვა-ლოცვა წარმოებდა რუსულ-აფხაზური გაამეფეს.

რას ვშვრებოდით ჩვენ ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ძველი აფხაზები, მათი ძმანი ჭირში თუ ლხინში? – სრულიად არაფერს. გაჩუმებულნი შევცქეროდით თუ თან და თან როგორ სთნქავდა გამარუსებელი პოლიტიკა აფხაზეთს და ყოველივე ქართულს სდევნიდა და სპობდა. გამუსულმანებულ საქართველოს თუ ასე თუ ისე უგდებდით ყურს, აფხაზეთს სრულებით უპატრონოდ ვსტოვებდით და აინუშიც არ მოგვდიოდა მისი ბედ-იღბალი. ამდენის ხნის განმავლობაში ერთი აფხაზიც კი ვერ ჩამოიყვანეთ და ვერ გავზარდეთ ჩვენს ქართულ გიმნაზიაში, რომ ამით მაინც ცოტაოდენი მალამო მაინც მოგვესვა განაწამებ აფხაზთა გულისათვის. აფხაზეთი კი ამის გამო თანდათან საქართველოს საკითხმა, როცა ჩვენი ეკლესიის შვილებმა-აფხაზებმა აღარ ინდომეს ჩვენთან ერთად საეკლესიო ჭირ-ვარამის გაყოფა, თუმცა ეს საკითხი დღესაც საბოლოოდ გადაჭრილი არ არის, მაგრამ ერთი ეს მითხარით მის სასურველად გადასაჭრელად რამე ვიღონეთ ქართველებმა თუ არა. იმ კომისიას, რომელიც ამ საკითხის გამოსარკვევად იყო არჩეული დღემდისაც არაფერი გაუკეთებია.

დროა ბატონებო ეხლა მაინც გამოვერკვიოთ საღად ძილისაგან, მივხედოთ აფხაზეთს, განვამტკიცოთ ძველებურად ჩვენი მათთან დამოკიდებულება და მეგობრობა-ძმობა. მივეხმაროთ აფხაზეთს ყოველს საქმეში სკოლაა იგი თუ ეკლესია, რადგან ჯერ-ჯერობით ის იცვლება-რეფორმები რომელნიც უკვე შემოვიდა საქართველოში, აფხაზეთში ჯერედ განხორციელებას ვერ ეღირსებიან. აფხაზებს არა ჰყავთ მომუშავენი, მიჰხედეთ, გაუგზავნეთ მათ მუშაკნი და მათი გულისყურიც ჩვენსკენ იქნება.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. ღვინობისთვე 24 (1), სამშაბათი., №234, გვ. 4.

სამურზაყანოდან

მოგეხსენებათ, რომ მთიელებმა მრავალჯერ განვლეს აფხაზეთი და ათასი პროპაგანდა გასწიეთ, რათა ისინი თავიანთ კავშირის მომხრენი გაეხადათ. შედეგად მათ დაუცხომელ მუშაობას ის მოჰყვა, რომ აფხაზეთი სავსებით მათკენ გადაიხარა, განმარტოებით იდგა მხოლოდ სამურზაყანო-ეს აფხაზეთის უდიდესი ნაწილი. მაშინ, როცა აფხაზეთი მთიელთ ემხრობოდა, სამურზაყანოელებს აინუშიაც არ მოსდიოდათ მათი ამგვარი საქციელი. მხოლოდ 29 ოქტომბერს, როცა აფხაზ-სამურზაყანოელთა შეერთებულმა კრებამ წამოაყენა ეს საკითხი და აფხაზებმა გადაჭრილი პასუხი მოსთხოვეს სამურზაყანოელებს, მაშინ უარის ყოფით უპასუხეს მას სამურზაყანოელებმა და მედგრად გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ, თუმცა მათ დასათათბირებლად ათასი ხრიკი იყო ხმარებული. როგორც ვიცით საბოლოოდ ამ კრებაზედ ვერ გადაწყდა ეს საკითხი, რადგანაც საჭირო იყო ხალხში პროპაგანდის გაწევა, ახსნა-

გათვალისწინება ხალხისათვის ყოველივე წვრილმანისა და მოსალოდნელი შედეგისა. ეს მისია თავს იდვა სამურზაყნოში კარგად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბ-მა ივანე გეგიამ. ამან თავი მოუყარა სამურზაყანოს ყოველი სოფლის წარმომადგენელთ სოფელ გალში, დაწვრილებით და სავსებით განუმარტა კავშირი უარყოფითი შედეგები და შემდეგ სავსებით დაუსურათხატა ძველი წარსული საქართველოსი და ურთიერთობა საქ-თან აფხაზეთისა, როცა ისინი ერთის ცხოვრებითა ცხოვრობდნენ და ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი განაგებდნენ საერთო სამშობლოს დღესაც დაუმატა მან, ნუ უღალატებთ ჩვენ საერთო სამშობლო საქართველოს, ძველებურად ერთგულნი ვიყვნეთ ყოველივე ღონისძიებით ვეცადოთ, რომ მთლად აფხაზეთმაც არ გადასდგას ასეთი ნაბიჯი.

ბ. გეგიას აღტაცებულის სიტყვას ხალხი მხურვალე ტაშიცემით შეეგება. შემდეგმა ორატორებმაც ბანი მისცეს ბ. გეგიას და მთელმა კრებულმა შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს მათ განაჩენიდან: „ვინაიდან ჩვენ აფხაზებთან ძმობისა და კეთილგანწყოფილების მომხრენი ვიტყვით და ვართ ამისი მოურნენი, მაგრამ, რადგან ჩვენ ორგანულად განუყოფელნიშვილნი ვართ საქართველოსი, ჩვენ სამურზაყანოელნი შევალთ მთიელთა კავშირში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა მთელი საქართველოც შევა მთიელთა კავშირში, ჩვენი გადაწყვეტილება ასეა, საითაც დანარჩენი საქართველო – ჩვენც იქით“.

აი ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა მთელის სამურზაყანოს შეერთებულმა კრებამ, რომელიც მცხოვანი მოღვაწის ბ. გეგიას ინიციატიივით შესდგა და რომლის ღვაწლიც სამშობლო ქვეყნისადმი აუარებელი და დაუფასებელია.

როცა ეს გადაწყვეტილება სამურზაყანოელებისა გამოქვეყნდა, აფხაზეთიც შეირყა და ტორტმანი დაიწყო, მთიელმა ძახილს ფრთები შეეკვეცა და იმედია ჩქარა, მთელი აფხაზეთიც თავისს უფროსს ძმის საქართველოსაკენ ოქმს პირს.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. გიორგობისთვის 30 (13), ხუთშაბათი, №264, გვ. 4.

აფხაზეთიდან

შავი ზღვის რკინის გზის გაყვანასთან დაკავშირებული პრობლემები, მუშათა გაფიცვები, ხელფასის სიმცირე, „მთელი აფხაზეთი ძარცვა-გლეჯის ალშია გახვეული“ ფოსტას დაუხვდნენ ყაჩაღები...

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. ქრისტეშობისთვის 13 (26), ოთხშაბათი, №271, გვ. 4.

აფხაზეთის სახალხო საბჭო

აფხაზებმა დააარსეს „აფხაზეთის სახალხო საბჭო“ საბჭოს მიზანი და მოვალეობა:

1) რევოლუციის მოპოვება დაცვა და განმტკიცება და ხალხის პოლიტიკურად აღზრდა და ორგანიზაცია;

2) ა/რ აფხაზეთის სახ. საბჭომ უნდა დაიცვას აგრეთვე აფხაზების ეროვნული კულტურულ-ეკონომიკური უფლებები მათი შელახვის ყოველგვარი ცდისაგან, საიდ-

ანაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის;

3) აფხ. სახ. უმთავრესი საზრუნავია, იმუშაოს აფხაზეთის ხალხის თვითგამოსარკვევად;

4) აფხაზეთის ხალხი შედის ჩრ. კავკასიის დაღესტნის და აფხაზეთის შეერთებულ მთიელთა კავშირში, და რასაკვიერველია, ის საჭიროებს მჭიდრო კავშირი იქონიოს ჩრ. ძმებთან. აფხ. სახ. საბჭო იქნება ის ორგანო, რომელიც შეაერთებს აფხაზებმა მთიელთა კავშირთა და გაატარებს ცხოვრებაში კავშირის პოლიტიკურ ლოზუნგებს და დადგენილებებს.

გაზ. „საქართველო“, 1917 წ. ქრისტეშობისთვის 21 (3), ხუთშაბათი, №278, გვ. 3.

გაზეთი „სახალხო საქმე“

სოხუმი

როგორც დეპეშით გვატყობინებენ, სოხუმის ქალაქის თავათ აურჩევიათ ამხ. ბენია ჩხიკვიშვილი. ქალაქის გამგეობაში – ვლადიმერ ემუხვარი (სოხ. დემ) და მელიქ. გრიგოლია (სოც. დემ) ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ სოც-დემ. დიმიტრი ესვანჯია.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ. 18 ივლისი, სამშაბათი, №2. გვ. 3.

დრანდის მონასტერში, როგორც სინოდის ობერ-პროკურორი ატყობინებს კავკასიის საგანგებო კომიტეტს, სალდათთა დეპ. საბჭ. მოუხდენია ჩხრეკა და აღმოუჩენია დიდძალი შავრაზმული ლიტერატურა, ჩამოუხსნიათ აგრეთვე რომანოვების სურათები და ბერებისათვის წინადადება მიუციათ, თუ განმეორდება ამნაირ ლიტ-ის შენახვა გავრცელება სუყველას აქედან გავრეკავთო.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ. 27 ივლისი, ხუთშაბათი, №10, გვ. 3.

სოხუმის დელეგატმა ნ. ჯანაშიამ შუამდგომლობა აღძრა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მთავარ გამგეობის წინაშე, რომ იმ კურსებზე რომელიც 10 აგვისტოსაა განსაზღვრული აფხაზების სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის გაიგზავნოს გამოცდილი ხელმძღვანელი 1 კვირის ვადით.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ. 3 აგვისტო, ხუთშაბათი, №16, გვ. 3.

გუდაუთი (აფხაზეთი)

ძარცვა-გლეჯვამ იმატა ასეთივე მდგომარეობაა სოხუმშიც (რამდენი მაგალითი იხ. ამ თემაზე დაწვრილებით – რედ.).

წელს ჩვენში სიმინდის მოსავალი კარგია-თუთუნისა საშუალო, ყურძენი სულ გაფუჭდა, ამის გამო ღვინო ძლიერ გაძვირდა – ერთი ვედრა აქაური ღვინო ღირს 30-40 მანეთი. ძროხა და ხარი ჭირისაგან მთლად გაწყდა. გირვანქა ყველი ღირს 3 მ. 50კ. კვერცხი თითო 30 კ.

ძველი მეგობარი

გაზ. „სახალხო საქმე“ 1917 წ. 5 ნოემბერი, კვირა, №95. გვ. 34,

გაზეთი „სახალხო ფურცელი“

სოხუმის განყ-ბას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ-ბამ სთხოვა, გამოუგზავნოს სოხუმის თავშესაფარს გაწეული ხარჯების ანგარიში.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 5 იანვარი, ხუთშაბათი, №764, გვ. 3.

წერილი სამურზაყანოდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს განყოფილების თაოსნობით სამურზაყანოში სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა წარმოდგენები. 1916 წლის 29 დეკემბერს დ. აჩიგვარაში, 1917 წლის 3 იანვარს დ. გალში და 6 I ოქუმში. წარმოდგენებს ხალხი ყველგან საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. განყ-ბის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენებიდან დარჩა 400 მანეთამდის, დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში. წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა პირებმა: ქ-ბ. ვ. ოქროპირისამ, ნ. ჭირაქაძისამ, ნ. სჩეპანსკისამ, პ. კვარაცხელიამ, ბ. კიკალიშვილმა, ლ. სვანიძემ, ფ. გამისონიამ, ი. აქირთავამ; ბ.ბ.კ. კამკიამ, ნ. მეუნარგიამ, ი. სართანიამ, ბ. ეზუგბაიამ, და ა. შარანგიამ. ყველა ზემოხსენებულნი პირნი, რომლებმაც შრომა არ დაიზარეს და უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენებში, დიდი მადლობის ღირსნი არიან.

სასცენო ანუ სადეკორაციო ფონდი დაარსეს და ამ ფონდის სასარგებლოდ შემოსწირეს: ლ. ჩხეტიამ 3 მ. ძ. კიკალიშვილმა 3 მან. პ. კვარაცხელიამ 3 მან. კ. კამკიამ 10 მან. წ. საზ-ბის სამურზაყანოს განყოფილების სასარგებლოდ შემოსწირეს ბ. ჩ. მარღანიამ 5 მ. აბიბარცუმ, გ. ავდესიანცმა (სოხუმის მცხოვრ) 15 მან.

ყველა აქ ჩამოთვლილ პირთ (და ზოგ სხვებსაც), რომლებმაც თანაგრძნობა და დახმარება გაგვიწიეს ამ ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯში, დიდს მადლობას უძღვნის სამურზაყანოს განყ-ბის გამგეობა.

ვსთხოვთ „თანამედ. აზრის“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს თავის პატივც. გაზეთში. ამასვე ვსთხოვთ „საქართველოს რედაქციას“.

გამგეობის მინდობილობით, თავმჯდომარე განყ-ბის გამგეობისა.

ივ. კ. გეგია

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 22 იანვარი, კვირა, №777, გვ. 4.

სამურზაყანო (სოხუმის ოლქი)

16 აპრილს გალის 2 კლასიან სასწავლებელში შედგა სამურზაყანოს ორივე ტიპის სკოლების მასწავლებელთა კრება. კრებას დაესწრო 50 მასწავლებელი. ამორჩეული იქნა თავმჯდომარედ პ. ჭარაია, რომელმაც მიმართა სიტყვით კრებას და დაასურათა დიადი მნიშვნელობა მომენტისა და უნატრა მას სამუდამო დამკვიდრება ჩვენს ცხოვრებაში იმ განთიადის სხივისა, რომელმაც მოფინა სრულიად რუსეთის სხვა და სხვა ერს; სთქვა, რომ ჩვენ სახალხო მასწავლებლებს, როგორც ხალხთან ახლო მდგომს გვმართებს აღმოვუჩინოთ ახალ მთავრობას ყოველივე ღონის ძიებით შემწეობა რევოლუციით მოპოვებული თავისუფლების განსამტკიცებლად და

დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სკოლის ნაციონალიზაციას. შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ფეხზე ადგომით პატივისცემა იმათი, ვინც თავისუფლების მოპოვებას თავი შესწირა. თავმჯდომარემ დღევანდელი სასიხარულო მოვლენა მიამსგავსა ქრისტეს აღდგომის სასიხარულო დღესასწაულს და სთხოვა ეგალობათ „ქრისტე აღსდგა“. შემდგომ ამისა წარმოთქვა ზოგიერთი მასწავლებლებისაგან მნიშვნელოვანი სიტყვები დღევანდელი საქმის მდგომარეობის შესახებ და კრება გადავიდა მორიგ საქმეებზე. კრებამ დაადგინა: დაარსდეს სამურზაყანოს მასწავლებელთა კავშირი, კავშირის წევრებად ამოირჩიეს პ. ჭარაია, ი. სართანია, ვ. ჩირიკაძე და ნ. ქირთბაია; ამორჩეულ იქნა, სხვა და სხვა საქმეებისთვის სამი დელეგატი: ჭარაია, ჩხეიძე და ს. ხასაია, სარევიზიო კომისიაში ამოირჩიეს 3 მასწავლებელი, მანია, ქავთარაძე, და ჩხეტია; სამრევლო და სამინისტრო სკოლები გადაკეთდეს ერთი ტიპის სკოლებად: შკოლები უნდა იქნეს განთავისუფლებული მღვდლების მეთვალყურეობისაგან. შკოლებში სწავლა უნდა იქმნას ქართულად, ის მასწავლებლები რომელთაც საკმაოთ არ გაუვლიათ ქართული ენა, გაგზავნილ იქმნეს ქართული ორი თვის კურსებზე, აღიძრას შუამდგომლობა, რათა მოგვეცეს ილორის შემოსავლისაგან ორი ათასი მანეთამდე კურსების მოსაწყობად; გადაყენებულ იქმნეს საეპარქიო საბჭოს წევრები, ხოლო საეპარქიო მეთვალყურეს სტ. ალფეროვს გამოეცხადოს საერთო გულის წყრომა, მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სამურზაყანოს მასწავლებელთა კავშირი შეუერთდეს დას. საქ-ლოს მასწავლებელთა კავშირის დადგენილებას. ე. ი. მასწავლებელს უნდა დაენიშნოს ჯამაგირი თვეში 120 მანეთი და სიძვირის გამო მოემატოს ყოველთვიურად ორმოცი მანეთი, სანამ ეს დადგენილება სისრულეში მოვიდოდეს, აღიძრას შუამდგომლობა, რომ დღიურის დარიგებაში სოხუმის მხარე გაუთანასწორდეს მეზობელ ზუგდიდის და სენაკის მაზრებს რადგანაც მოწაფე ახალგაზრდობას შეუძლია დახმარება გაუწიოს ხალხს ამ მუშა ხელის კრიზისის დროს და თითქმის ყველგან სამურზაყანოს მხარეში გახშირებულია გადამდები ავადმყოფობა – „ყვავილი“, დათხოვნილ იქმნეს ისინი საგაზაფხულოდ 20 აპრილიდან უეგზამენოდ, როგორც სამრევლო სკოლებში, ისე სამინისტრო სკოლებშიაც; მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს თითო განყოფილებაში; საქმის მოგვარებამდი კი უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ორ განყოფილებაში; თუკი ორ განყოფილებაში საერთო მოწაფეების რიცხვი საგრძნობლად გარდამეტებულ იქმნა, მაშინ მხოლოდ ერთ განყოფილებაში; ის მასწავლებელნი, რომელნიც დანიშნულნი არიან ჯარში გაწვეულ მასწავლებლების ადგილზე, გათანასწორებულ იქმნეს მატერიალურის მხრით სხვა მასწავლებლებთან; მასწავლებლების გადაყვან-გადმოყვანის საქმე მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლების კავშირის დადგენილებით უნდა მოხდეს და ეს დადგენილება ეცნობოს სოფლის კომიტეტებს; დადგენილ იქმნა გაეგზავნოს მისალმების დეპეშა იუსტიციის მინისტრს კერენსკის და მუშათა და სალდათთა დეპუტატების თავმჯდომარეს ჩხეიძეს შემდეგის შინაარსისა: კრება მასწავლებელთა, კოოპერატორთა და საკრედიტო ამხანაგობისა წარმომადგენელთა სამურზაყანოს უბნისა სოხუმის ოლქისა, მზად არის ყოველი ღონისძიებით აღმოუჩინოს შემწეობა გასამაგრებლად და განსამტკიცებლად დროებით რევოლუცონურ მთავრობას, უსურვებს მას მოკლე დროში დამფუძნებელი კრების საშუალებით დააფუძნოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბ-

ლიკა და ამ რესპუბლიკის ფარგლებში მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია იმავე დემოკრატიული საფუძველზე.

სტეფანე ხასია

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 4 (17) მაისი, ხუთშაბათი, №857, გვ. 4.

სამურზაყანო

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასკოლო სექციის თავმჯდომარემ ლ. ბოცვაძემ შუამდგომლობა აღძრა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წინაშე, რათა გალის სკოლას ქართული წიგნები დაუთმოს რისაც იქ დიდი მოთხოვნილება ყოფილა. ბ-ნი ბოცვაძე მოუწოდებს აგრეთვე სხვა საზოგადოებებს და კერძო პირებს, რათა წიგნები არ დაიშურონ და გაგზავნონ გალის მოსწავლეთა კავშირის სახელზე.

გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 25 ივნისი, კვირა, №898, გვ. 3.

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“

წერილი სოხუმიდან

არც ერთ კუთხეს ჩვენი ქვეყნისას ისე მცირედ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი გაზეთების თანამშრომელნი, როგორც ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ჩვენი სამშობლოისას – ქ. სოხუმს და მის მიდამოებს...

...მართალია, ადგილობრივად უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც ამ ცნობებს უნდა აწვდიდნენ ჩვენს რედაქციებს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ასე არ ხდება. ძველად როცა „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ იყო, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ეხლანდელ გაზეთებთან ხელის მომწერლებიც და შემოსავალიც მცირედი ჰქონდათ, უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ პროვინციებს, განსაკუთრებით იმისთანებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთო ქართველური საქმისათვის. მაგრამ დავანებოთ საყვედურებს თავი და შევუდგეთ ამბავის გადმოცემას, მიუხედავად იმისა, რომ დღითი-დღე მწვავდება აქ დამოკიდებულება ცნობილი კავშირთა რაზმის და ადგილობრივ ქართველ მოღვაწეთა შორის, აქ ქართული საქმე თანდათან ვითარდება: უმრავლეობა უფრო და უფრო გულმხურვალედ ეკიდება საერთო საქმეს; ამის დასამტკიცებლად ის მოვლენაც კმარა, რომ წელს 14 იანვარს სოხუმის ქართველებმა იმდენი თანაგრძნობა გამოიჩინეს საერთო საქმისათვის, რომ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბეს. საღამოს მომწყობმა კომისიამ გადაწყვიტა ბილეთები არავითვის არ გაეგზავნა; გამოცხადებულ იქმნა მხოლოდ გაზეთში, სად იყიდებოდა ბილეთები. იმდენი ხალხი მოვიდა, რომ უზარმაზარ სათეატრო დარბაზში ვერ ეტეოდა; მარტო შემოსასვლელი ბილეთებისგან შეგროვდა 4000 მან-ზე მეტი.

საერთო შემოსავალი 9500 მან-ია, მოგება დარჩება 7-8 ათასი მან. საყურადღებოა ის, რომ მხოლოდ ქართველებისგან შეგროვდა ეს თანხა, უცხოელები მხოლოდ ოც კაცამდის იქყვნენ; მართალი რომ ვთქვათ ბილეთებიც არ იყო მათთვის; საპატიო ბილეთები მხოლოდ ისეთ პირთ გაეგზავნა, ვინც ცნობილია ქართველების მოკეთედ.

ამ დღეს 14 იანვარს აკურთხეს ქართულ შკოლასთან თავშესაფარი ომიანობისგან დაზარალებულ. ქართველ მეომართა ოჯახის ბავშვებისათვის; აქვე მოწყობილია ჭრა-კერვის სკოლა.

სოხუმელი ქართველები დიდ ყურადღებას აქცევენ უბინადრო ქართველთათვის მიწის მოპოვების საქმეს....

ნაცნობი

გაზ. „ჩვენი მეგობარი“,1917 წ. 26 იანვარი, ხუთშაბათი, №264, გვ. 3.

წერილი სამურზაყანოდან
სამურზაყანოს სახალხო მასწავლებელთა

მასწავლებელს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უხდება თავგანწირული ბრძოლა, სოფლის მამასახლისი მწერლებიც კი უპირობენ მათ დაჩაგვრას!

მხატვრულად მოწოდება...

კუნტა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“,1917 წ. 19 თებერვალი, კვირა, №283, გვ. 3.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ქ. სოხუმში, აწ უკვე განსვენებულის, ჩვენი დეპუტატის, თ-დ. ვარლამ ლევანის ძე გელოვანის პატივის მცემელთ 400 მან ფული შეუგროვებიათ და გადაუციათ განსვენებული ძმის, თ-დ. პლატონ გელოვანისათვის, – შემდეგის მიზნისთვის: 200 მან. განსვენებული დეპუტატის სახელობაზე სოფ. ცაგერში დაარსებული უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ: ხოლო მეორე 200 მან. კი დ. ლაილაშის წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, გამგეობა ორთავე სამკითხველოებისა უღრმესს მადლობას უცხადებს შემომწირველთ, ყოვლის პირველ მისთვის, რომ ხსოვნა და პატივისცემა გამოხატავს ტრაგიკულად დაღუპული დახმარება აღმოაჩინეს ლეჩხუმში არსებულ 2 ღარიბ სახალხო სამკითხველოებს.

სოხუმელთა ასეთი მოქმედება ფრიად მიზან-შეწონილი, მისაბაძი და მით მოსაწონია, რომ სამწუხაროთ იშვიათია მსგავსი გულწრფელი ხსოვნის აღნუსხვა, ჩვენთა მოღვაწეთა მიმართ.

ზემოთ აღნიშნული 400 მან. დანიშნულებისამებრ მივიღეთ თ-დ. პლატონ გელოვანისაგან...

შემომწირველთა სია

1) დ. ლაილაშის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა

2) დ. ცაგერის წიგნთ-საცავსამკითხველოს გამგეობა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 12 მარტი, კვირა, №301, გვ. 4.

სოხუმის მიტინგი

კვირას 12 მარტს, ქალაქის ბაღში მოხდა სოხუმელების მიტინგი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ყველა პოლიტპარტიები საკუთარი დროშებით იყვნენ გამო-

სულნი მოწაფეთა მუსიკა...

...მიტინგმა მიიღო ასეთი რეზოლუცია:

1) შეიქმნა ადგილობრივი მთავრობა ხალხის წარმომადგელებიდან.

2) გადაყენებულ იქნას ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გადაეცეს შინაური დაცვა, ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს.

3) შეიცვალოს ძველი არასაიმედო ხელმძღვანელნი არმიისა ახალი, სასარგებლო სამხედრო საქმისათვის და ახალი მთავრობისათვის პირებით.

4) ყველა ეროვნებათა უფლებრივათ გათანასწორდება.

5) სრული ამინისტია ყველა პოლიტიკური და რელიგიური რწმენისათვის დასჯილთ.

6) დაუყონებლივ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი დაფარული კენჭისყრით სქესთა განურჩევლად.

ლეონ ლოლუა

მიტინგმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა იუსტიციის მინისტრის კერენიკის: პეტროგრადი, იუსტიციის მინისტრის კერენსკის. – უდროვოდ დაკარგულის თქვენი ამხანაგის, ქართველი დეპუტატის გელოვანის თანამოაზრეები თქვენს პირადობაში მიესალმებიან განახლებულ რუსეთს იმ რწმენით, რომ მთელი რუსეთის განთავისუფლებასთან ერთად ამოვა ახალი ვარსკლავი ჩვენი მრავლატანჯული საქართველოსათვისაც.

ამხანაგების მინდობილობით სოხუმის კომიტეტის წევრები: გელოვანი და ბოკერია, ნაფიტი ვექილიის თანაშემწე გრიგოლია, ძუკუ ლოლუა, ლეონ ლოლუა, კარსავა (?) სანაძე.

ლეონ ლოლუა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 30 მარტი, ხუთშაბათი, №314, გვ. 2.

სოხუმი

ქალაქის აღმ. კომიტეტი, აქ შედგა 30 მარტს. კომიტეტში შედიან მხოლოდ სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი და მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატები. ქალაქს ჰყავს ხუთი ხმოსანი წარმომადგენლად. ძველი პოლიცია გაუქმებულია და სოხუმის კომისარიები განაგებს საქმეს.

სოც-ფედერალისტების ადგ-ორგანიზაცია დღითი დღე იზრდება ადგ. კომიტეტს განზრახვა აქვს გამოსცეს პარტიული ორგანო რუსულ ენაზე. დაიბეჭდა და დარიგდა ფურცლები რუსულსა და ქართულ ენაზე.

ადგილობრივი ხელოვანები დღეს ზოგი კადეტის, ზოგი სოც. დემოკრატის და ზოგიც სოც რევოლუციონების ქურქს ისხამენ და თავის ბნელ საქმეებს აწარმოებენ დემოკრატიის სახელით.

პარტიებს შორის სოხუმში არავითარი განხეთქილება არ არსებობს და ჯერ-ჯერობით უთამნხმოებას საბედნიეროდ ადგილი არა აქვს. მხოლოდ სამწუხაროდ ზოგიერთი ბნელი პიროვნება სოც-ფედერალისტების წინააღმდეგ ნაცადი ხერხით ბრძოლას განაგრძობს.

უსახელოთ რევოლვერი გაუვარდა და მსუბუქად დაიჭრა აღმართ. კომიტეტის წევრი ამხ. შოთა დადიანი.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 22 აპრილი, შაბათი, №330, გვ. 3.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებამ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი არსებული მდგომარეობა და თავისი ნივთიერი მხარე, შეუძლებლათ სცნო სამურზაყანოში კერძოდ გალში გახსნა.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 7 მაისი, კვირა, №343, გვ. 3.

გიორგი ზადანოვიჩის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშები

სოხუმი

კიდევ ერთი წყლული, კიდევ ერთი დიდი მოამაგე და მშრომელი ხალხის თავგამოდებული მოსარჩლე მოსწყდა დიდ ჭირნახული საქართველოს, გიორგი ზადანოვიჩის გარდაცვალებით, მაგრამ ღვაწლმა მისმა გამოიღო ნაყოფი, რომელსაც დახრის საერთაშორისო დემოკრატია.

სოხუმელი ქართველობა

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 12 აგვისტო, შაბათი, №419, გვ. 3.

ძუკუ ლოლუას მომღერალთა გუნდი

...„ძუკუ ლოლუა ცნობილია, როგორც მეგრულ-აფხაზური ხალხური სიმღერების შემკრები.

დღეს ქ. ქუთაისში ამ ენერგიულმა მუშაკმა შეადგინა მომღერალთა გუნდი და განზრახვა აქვს მეგრულ-აფხაზური სახალხო სიმღერები გააცნოს ქართ. საზ-ბას.

ყოველ სიმღერას ძუკუ ლოლუა მისცემს ქართველთა განმტკიცებას და ახსნის მის შინაარსს. სიმღერები შესრულებული იქნება ეროვნულ ტანსაცმელში და ცოცხალი სურათებით.

კონცერტები გამართული იქნება საქართველოს ყველა თვალსაჩინო დაბა-ქალაქში“.

გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ. 20 აგვისტო, კვირა, №425, გვ. 3.

1918

გაზეთი „ერთობა“

სოხუმის ოლქის ამგები (ვრცელი წერილი)

ბოლშევიკები, „აფხაზები მოსპობის პირას მიიყვანა რუსების თვითმმართველობამ“.

მიწების საკითხი, გლეხები, კომისარის დანიშვნა, მილიციის გაუქმება.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 17 აპრილი, სამშაბათი, №88, გვ. 3.

სოხუმი
(5 ივლისი)

ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. 126 კაცი ტყვე წამოვიყვანეთ. წავართვით 6 ზარბაზნი და 8 ტყვიისმფრქვეველი.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 7 ივლისი, კვირა, №140, გვ. 2.

გაგრა

გაგრიდან მთავარ შტაბს ატყობინებენ: 5 ივლისს ჩვენმა ჯარმა ხოსტთან, ადლერიდან 12 ვერსის მანძილზე მოწინააღმდეგე უკუაქცია. ჩვენ წამოვიღეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვიისმფრქვეველი და 200 კაცამდე ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩვენი მხრივ მოკლულია ქართული ბატალიონის უფროსი ფირცხალავა (პორუვჩიკი), 2 აფიცერი მე-3 ქართული პოლკის სულ დაჭრილნი და დახოცილნი ჩვენის მხრივ 10 კაცია. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის რაზმმა, ყვირილის განსაკუთრებულმა რაზმმა და ადგილობრივი სახალხო გვარდიამ.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 8 ივლისი, სამშაბათი, №141, გვ. 2.

სოჩა

მთავრობის თავჯდომარემ სოჩიდან ქართულ ეროვნულ საბჭოს ხოფერიასაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „საბჭოების მთავრობა გავაუქმეთ. 10 დღის წინ საბჭოს გაუქმებამდე, სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა კრებაზე უნდობლობა გამოუცხადა საბჭოს, უარი განუცხადა მიეცა მათთვის სალდათები და სხვა საჭირო მასალები. საქ-ლოს რესპუბლიკის ჯარის მოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. სოჩის ოლქის მუშების საერთო კრებაზე სახალხო გვარდიის თავმჯდომარის ამხ. თუ მარკინის მოხსენების შემდეგ ერთ ხმად გამოტანილ იქნა რეზოლუცია – მხარი დაუჭირონ საქ-ლოს რესპუბლიკის მთავრობას. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს ოლქის სხვადასხვა ადგილებშიაც. ჩვენმა ჯარმა თავისი მოქმედებით და მცხოვრებლებთან დამოკიდებულებით დაიმსახურა მათი სიყვარული. ჩვენი ჯარის წესრიგი ხელს უწყობს ახალი ძალის სიძლიერეს. გადაეცით საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სალამი.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 13 ივლისი, შაბათი, №145, გვ. 2.

სოხუმი

ქართული ჯარის შტაბის უფროსს სოხუმიდან შემდეგს ატყობინებენ: „500 კაცით ჩვენზე მომეტებულმა ბოლშევიკების რაზმმა 22 ივლისს შემოგვიტია. ორი სთ-ის მწვავე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე სასტიკად დავამარცხეთ და გაიქცა. წამოვიყვანეთ ტყვეები.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 24 ივლისი, ოთხშაბათი, №154, გვ. 2.

აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მოხსენებით აფხ-თის ფინანსიური მდგომარეობის გამო და თამბაქოს საზღვარგარეთ გატანის შესახებ მთავრობამ დაადგინა: უფლება მიეცეთ 20 ათასი ფუთი თამბაქოს გატანის ბაჟის გადახდით. ეს დადგენილება დეპეშით ეცნობოს აფხ-თის სახ. საბჭოს. საერთო კითხვა თამბაქოს საზღვარგარეთ გატანის შესახებ, მთავრობამ დაადგინა გადაეცეს კომისიას.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 3 აგვისტო, შაბათი, №163, გვ. 2.

სამურზაყანოში

ს. ჭუბურხინჯში იყო მწერალი, რომელიც ემორჩილებოდა მთავრობის მოთხოვნილებას, მისგან მხოლოდ მოვალეობის შესრულებაში გამოიხატებოდა მისი პოლიტიკური შეხედულება.

ახალ-მოდის სოციალისტებმა მოინდომეს ამ „კონტრევოლიუციონერი“ მწერლის გაძევება, მაგრამ უნდოდათ ეს მოეხდინათ ხალხის დახმარებით. შეკრიბეს ხალხი, გააცნეს ის თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა მწერალი მენშევიკი და ხალხს მისცეს წინადადება ხელის აწევით გადაეწყვიტათ, დარჩენილიყო თუ არა მწერალი ადგილზე. ხალხმა ერთხმად ადგილზე დასტოვა მწერალი. მაშინ „ბოლშევიკებმა გამოუცხადეს ხალხს: „თქვენ ერთმანეთის ხათრით ასწიეთ ხელი და ამიტომ ფარული კენჭისყრა უნდა მოვახდინოთ, აიხვიეთ ყველამ თავ-პირი ყაბალახებით და ისე ასწიეთ ხელი, ვინც იმის მომხრე ხართ, რომ მწერალი თავის ადგილზე დარჩესო“. ხალხმა თვალთახვეულმაც იგივე მწერალი აირჩია. როდესაც ჰკითხეს „ბოლშევიკებს“ თუ, რას ნიშნავდა ეს თვალების ახვევა, მათ რიხიანად უპასუხეს: „მაშ, როგორ უნდა გაგვეტარებინა ფარული კენჭის ყრაო“.

ვასო

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 8 აგვისტო, ხუთშაბათი, №166, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან (ვრცელი)

(ჯარისკაცები, ომის ამბები, პოლიტიკა, ბოლშევიკების კრიტიკა. იხ.: დაწვრილებით – რედ.).

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 11 აგვისტო, კვირა, №169, გვ. 2-3.

ბრძოლა ახალ ათონთან

16 აგვისტოს ჩვენ რაზმს, რომელიც დაბინავებული იყო მოქვის მონასტერში თავს დაესხა ოსმალი აფხაზთა რაზმი რიცხვით 100 კაცამდე... (ომის მიმდინარეობა)

...მათი მხრიდან 55 კაცი მოკლულია. მტერი უკუ იქცა. გმირობა გამოიჩინა შტ-კაპ. ილ. ჯუღელმა.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 27 აგვისტო, სამშაბათი, №181, გვ. 2-3.

ეროვნული საბჭო 30 აგვისტოს სხდომა
კანონპროექტი სამასწავლებლო ინსტიტუტის
და სემინარეგის გაეროვნეგის შესახებ

...სოხუმის სემინარიასთან არის ორი განყოფილება: ქართული და აფხაზური. ეს ასე უნდა დარჩეს. ამ რიგით ოთხივე სასწავლებლების გაეროვნება მოწაფეთა შემადგენლობის მხრივ ბუნებრივად უმტკივნეულოდ ხდება, საჭიროა მხოლოდ ფორმალურად მისი დადასტურება. შემდეგ მომხსენებელი კითხულობს შტატებს და ამბობს, საღვთო სჯულის შტატები, თუ პირველ კანონიდან ამოვშალეთ აქაც უნდა იქნას ამოშლილიო.

შ. ქორუმიძე (ნ. დ) წინააღმდეგია საღვთო სჯულია შტატების გამორიცხვის.

გ. ლასხიშვილი (განთლ. მინისტრი) მთავრობას პრინციპულად საღვთო სჯულის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ, რადგანაც კანონი ამის შესახებ არ არსებობს, უხერხულია მისი კერძო ამ შემთვხვევაში ამოშლა, თუმცა კომისარიატმა გამოსცა ამის შესახებ განკარგულება, მაგრამ მას კანონის ხასიათი არა აქვს, ჩვენ გვინდა საერთო კანონი შევიმუშაოთ ამის შესახებ და მაშინ ყველგან გავაუქმებთ ამ საგანს.

ა. მამულაიშვილი. ეჭვი არ არის, რომ კომისარიატის განკარგულება მთავრობამ მოიწონა და ამიტომ მას სავსებით კანონის ხასიათი აქვს. რადგანაც ჩვენ ვამტკიცებთ ახალ შტატებს იქ არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება შეტანილ იქნას საღმრთოსჯულის შტატი, როგორც კერძო არა სავალდებულო საგნათ აღიარებულის.

დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ სამღვთო სჯული თუმცა მოისპობა, როგორც სასწავლო საგანი, მაგრამ მის ადგილას რაღაც სხვა საგანი დაიჭერს, მაგ: ზნეობა. დას. ევროპაში ზნეობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სკოლებში და მომავალში ჩვენც უნდა მოვაწყოთ ზნეობის შესწავლის საქმე ამ მოსაზრებით სოც. ფედერალისტთა ფრაქცია ფიქრობს, რომ ჯერჯერობით დატოვებულ უნდა იქნას საღვთო სჯულის შტატები.

ა. ლომთათიძე ჩვენ უკვე მოგახსენებთ, რომ ჩვენ ამ საკითხს პრინციპიალურად უყურებთ. ბ. უზნაძის უმთავრესი მოსაზრება ის არის, რომ ახლა ამოვშლით, მაგრამ მომავალში სხვა რომელიმე საგანმა დაიკავოს და ამიტომ არ შეიძლება ამოშლაო. ჩემი აზრით ეს დაწვრილმანება, თუ სხვა საგანი იქნება საჭირო, იმას შევიტანთ სასწავლო საგანთა რიცხვში თავის დროზე, ეხლა კი ჩვენ ვამბობთ: განვახორციელებთ, თუ არა პრინციპს სინდისის თავისუფლებას? თუ განვახორციელებთ, მაშინ საკითხია: არის თუ არა შემთხვევა ამისთვის? მე ვფიქრობ, რომ არის. ეს თუმცა დიდი საკითხი არ არის, მაგრამ საშუალება გვეძლევა სინდისის თავისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში განვახორციელოთ. აქ ბ. ქარიუმიძემ ამაში პოლიტიკური საფრთხეც დაინახა, ის კითხულობს როგორ შეხვდება ამ დადგენილებას აფხაზეთის ხალხიო? მე ვამბობ, რომ ჯანსაღი ნაწილი აფხაზეთისა ისე შეხვდება ამას, როგორც საჭიროა თუ მაინცდამაინც მშობლები, მაჰმადიანები მოითხოვენ ამას, მაშინ ჩვენ საშუალება გვეძლევა,

დავაკმაყოფილოთ ისინი. კომისარიატის განკარგულება, რომელიც ამბობს, რომ თუ 15 მშობელმა მოითხოვა ამ საგნის სწავლება, მაშინ უნდა სწარმოებდეს ამ საგან-ზე მეცადინეობაო. დასასრულს ორიოდე სიტყვა ფორმალური მოსაზრების შესახებ: ჩვენ როცა დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მაშინათვე აღვნიშნეთ რომ ახალი კანონების გამოცემამდე დავეყრდნობით რუსეთში არსებულ კანონებზე და აგრეთვე ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებებზე. რუსეთის მთავრობამაც გამოსცა ამის შესახებ დეკრეტი. ასე რომ პრაქტიკულად, პრინციპიალურად და ფორმალურად ეს საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს.

შ. ქარუმიძე ეკლესია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია და საღვთო სჯულის სწავლება დამოკიდებულია იმ ინსტიტუტთან, თუ თქვენ გადაწყვეტთ დღეს ამ საკითხს, მაშინ გამოდის, რომ მღვდლებს ბოიკოტს უცხადებთ. თუმცა გამოცემული იყო კანონი, მაგრამ სამღვთო სჯულის სწავლება არსად არ გაუქმებულა.

ნ. ცინცაძე ჩვენ უკვე შევიტანეთ ქალთა სემინარის შტატებში შესწორება ამის შესახებ და თუ ეხლა არ მივიღებთ, მაშინ ერთგვარი უხერხულობა იქნება. სკოლის და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი უნდა გადაწყდეს ეკლესია და სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხთან ერთად უზნაძის წინადადება და შორეული საკითხია და ამიტომ მისი მიღება შეუძლებელია.

საბჭომ სოც. დემ. წინადადება საღვთო სჯულის ამოშლის შესახებ მიიღო.

აკ. ს. -უა

(დასასრული იქნება)

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 1 სექტემბერი, კვირა, №186, გვ. 2.

გაგრის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე – გადაეცეს გაგრის თვითმმართველობას კლიმატური სადგური. 13 ათას დესეტინა. მიწის ფონდიდან, რომელიც კლიმატიური სადგურის განკარგულებაში იმყოფებოდა, მიეცეს კლიმატიურ სადგურს საკუთრებად იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება „კურორტისათვის“.

იქვე: „აფხაზეთი“ შეტაკებები ოსმ-თან. გვ. 2.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 6 სექტემბერი, პარასკევი, №190, გვ. 2.

სოხუმის ოლქში

სოხუმიდან ჩამოსულ ამხ. იოსებ სალაყაიამ მოხსენება გააკეთა სოხუმის ოლქის შესახებ სასოფლო კომისიაში. მან სთქვა: „აფხაზეთს ჩვენ თითქმის ვიცნობთ, იქ მუშაობა ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდება. სხვათა შორის რელიგიური საკითხიც ბადებს უკმაყოფილებას. ამასთანავე ხელს უწყობს თავადაზნაურობისა და გლეხების დამოკიდებულებას აფხ-ში. ასეთმა პირობებმა, უმთავრესად დაბადა მათში თათრული ორიენტაცია. ეხლა ეტყობა დამშვიდება, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ გარეგნულად მოხდა საქმის ლიკვიდაცია. სამურზაყანო ეს ერთგვარი ბუფერია და ჩვენც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მას და იქ ვიმუშაოთ. ამ ადგილებში კი ორგანიზებული მუშაობა სრულიად არ უწარმოებიათ, მხოლოდ ოჩამჩირეში კიდევ არსებობს პარტიული ორგანიზაცია.

5 ამხანაგი პროპაგანდის საქმეს ეწევა. საჭიროა 3 თვის განმავლობაში დახმარება, მერე კი თვითონ შესძლებენ, როგორც ორგანიზაციის შენახვას, ისე მის გაძღოლასაც.

სამეგრელოში ასეთივე მდგომარეობაა. საჭიროა იქ 10 პროპაგანდისტი ვიყოლიოთ და ფულითაც დროზე დავეხმაროთ.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 12 სექტემბერი, ხუთშაბათი, №195, გვ. 4.

აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა შემუშავებულია და მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 3 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №211, გვ. 2.

საშუალო სასწავლებელი ოჩამჩირეში

ქ. ოჩამჩირის თვითმმართველობამ ამ ერთი თვის წინეთ შუამდგომლობა აღძრა საქ-ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის წინაშე, რათა ქ. ოჩამჩირეში გაეხსნათ განათლების სამინისტროს არ შეუტანია განსახილველად მინისტრთა საბჭოში, მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვის გადაჭრა ჩვენთვის მეტად საჩქარო და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ცხადია განათლების მინისტრს არ შეეძლო პირველ რიგზე ოჩამჩირის გიმნაზიის კითხვა დაეყენებია და სხვა საქმეები კი უკან რიგზე გადაედო. მე მაინც, როგორც უფრო ახლო გაცნობილი ოჩამჩირეზე და მის რაიონზე, მსურს ავღნიშნო ზოგიერთი საბუთები, რაც გვაიძულებს ხელახლა მივაქცევინოთ ყურადღება ამ კითხვაზე. საქმე იმაშია, რომ ქ. ოჩამჩირე წარმოადგენს ცენტრს სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილებისას, დაახლოებით 120 000 სული მცხოვრებლებით. ეს ამოდენა რაიონი მოკლებულია საშუალო სასწავლებელს და სოხუმში ან სხვა ქალაქში მოწაფეების შენახვის საშუალებას დღევანდელი სიძვირის გამო, უმეტესობა რა თქმა უნდა მოკლებულია. ამიტომაც აუარებელი ახალგაზრდობა, რომელთაც სხვა პირობებში საშუალება ეძლეოდათ სოხუმში ან ქუთაისში წასულიყვნენ, იძულებულნი არიან უარი სთქვან სწავლის გაგრძელებაზე ოჩამჩირეში ესენი ადვილად მოახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას ერთი მხრივ, ცხოვრების შედარებით სიიაფის გამო და მეორეს მხრით კი მათ შეძლებოდათ სახლიდან წამოელოთ აქ ყოველგვარი სურსათი. ყველას მოეხსენება, რომ აფხაზეთის ბრწყინვალე წოდება და ერთი ჯგუფი წვრილი ინტელიგენციისა, რასაც ასაბუთებენ გულწრფელი მსჯელობის დროს რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპების შეურიგებლობით გლეხებს, რა თქმა უნდა ამავე აზრს სხვა სახით უსურათებენ და ასე ამ მხარეს, აფხაზეთს, ხან ბრწყინვალე პორტას, ხან მთიულებს და ხან ალექსეევს სთავაზობენ. გლეხობა კი ამის წინააღმდეგია, მაგრამ საუბედუროდ ისინი ჯერ ფაქტიურად ისევ ბრწყინვალე წოდების განკარგულებაში არიან და ამიტომაც საჭიროა აქ ჩარევა და არევა არა მარტო ცეცხლით და მახვილით, თოფითა და ზარბაზნებით, არამედ სწავლა-განათლების ლამპრით, კულტურითა და პროგრესით. საჭიროა ჩვენ გავხდეთ ნამდვილი ქომაგი აფხაზეთის გლეხებისა და მაშინ ისინიც უარს ეტყვიან მათ ძველ „აპეკუნებს“ თავად-აზნაურთა და ჩვენ ამოგვიდგებიან გვერდში. მოგეხსენებათ, მოღალატეთა მიერ შემოყვანილ ასკერთა გავლენით აფხაზეთმა საქართველოს წინააღმდეგ აიღო იარაღი. ისინი დამარცხდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, აფხაზეთის

ხალხს კი არ გაუგია მიზანი ჩვენი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლისა, იმიტომ რომ ჯარი, რომელსაც საუბედუროდ გვერდში ედგა 400 კაზაკები შეესია სოფლებს და განურჩევლად სისასტიკით მოექცა დამნაშავეთ და მართალთ. გლეხებმა მართლა იგრძნეს სუსხი მთავრობისა და დაწყნარდნენ, მაგრამ საუბედუროდ ის მეთაურნი რომელნიც აწყობდნენ აჯანყებას, დღესაც სათავეში უდგანან გლეხობას. რატომ? – აი რატომ: ჩვენმა ჯარმა გაიარა და წავიდა. მართვა გამგეობა ისევ ძველებურ აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ და ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მხარეს. საჭიროა სასწავლებლების გახსნა, სადაც ახალგაზრდა აფხაზებს დაუბრკოლებრივ შეეძლებათ შესვლა მათთვის შეღავათიან პირობებში. სასწავლებლებს რა თქმა უნდა მასწავლებლების სახით ეყოლება ინტელიგენტური ძალაც, რომელსაც შეეძლება მონაწილეობა მიიღოს საერთო კულტურულ მუშაობაში. ქალაქის გამგეობას თვით სურდა ეკისრა ამ სასწავლებლის გახსნა, მაგრამ საუბედუროდ ქალაქის მეურნეობა მუდმივ ანარქიის გამო გადაქცეული იყო ჯარის დასაბანაკებელ ბაზათ, რის გამოც დღეს დანგრეულ-დავალიანებულია. ამიტომაც ქალაქის გამგეობა ზემო აღნიშნულ გარემოების გამო იძულებულია მიმართოს მთავრობას, განსაკუთრებით კი განათლების მინისტრს, მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ კითხვას. რადგანაც მთავრობას, როგორც ვიცით, გადაწყვეტილი აქვს გახსნას, რაც შეიძლბა მეტი სპეციალური სასწავლებლები, ამიტომ ვშიშობ არ გვითხრან: „მოითმინეთ, შევიმუშავებთ საერთო გეგმას და შემდეგ გადაკეთდეს სპეციალურ სასწავლებელსო“. ჩემის აზრით ეს პასუხი არ იკმარეს. შეიძლება პირველად გაიხსნას გიმნაზია და შემდეგ გადაკეთდეს სპეციალურ სასწავლებლად. მხოლოდ ამ კითხვის შემდეგისათვის გადადება კი, აფხაზეთის წინაშე დანაშაული იქნება. უკიდურეს შემთხვევაში ქ. ოჩამჩირეს შეუძლია უმთავრობოდ გახსნას თავის სახელზე სასწავლებელის, თავის მხრით გასწიოს საჭირო ხარჯები მასწავლებლის იანვრამდე შენახვისათვის, რა თქმა უნდა სასწავლებლის ფულიანად, რომელიც გადაეხდებათ მოწაფეთ. სრული იმედი მაქვს განათლების მინისტრი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ კითხვას და ერთი თვის განმავლობაში ოჩამჩირეში გვექნება საბაჟო საშუალო სასწავლებელი.

(იხ. დაწვრილებით – იქვე იმავე გვერდზე „სოხუმის ფრონტი“ – რედ.).

ოჩამჩირის ქალაქის თავი ბ. ჟორჟოლიანი.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 25 ოქტომბერი, პარასკევი, №229, გვ. 3.

სოჭიდან გზათა მიმოსვლის მინისტრის რწმუნებული ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ შავი ზღვის რკინიგზის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მისაცემათ ფული არ არის და საჭიროა ამისთვის რკინის გზის ქონების ერთი ნაწილის გაყიდვაო.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №234, გვ. 2.

წერა-კითხვის საზ-ბა

კვირას, 10 ნოემბერს, დღის 12 სთ-ზე ეროვნულ საბჭოს ყოფილ ბინაზე (ფრეილინგის ქ. №11) დანიშნულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. 1916-1917 წწ. გამგეობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ.
3. გამგეობის მოხსენება საზ-ბის სამოქმედო გეგმის შესახებ.
4. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.
6. სექციების წევრთა არჩევნები.

საზ-ბის რწმუნებულნი არიან:

1. ახალციხე...
2. ბათუმი ანჯაფარიძე...
3. სოხუმის:

ა) ჯუღელი ვლადიმერ
ბ) თურქია ნინო
გ) მახვილაძე ვლ.
დ) გელაშვილი იაკიმე.
სულ 14 რაიონი, ქალაქი.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 8 ნოემბერი, პარასკევი, №241, გვ. 4.

სოჩიდან

ტუაფსეში შეიპყრეს ვალ. ჯუღელი.

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 12 ნოემბერი, სამშაბათი, №244, გვ. 3.

სოჩის ოლქში

რუსეთთან შეერთების საკითხი და საქართველოს შემადგენლობაში დროებით ყოფნის შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

სოხუმი

კოდორის სიმაგრეები ჩვენი ჯარის ხელშია.. ოსმალთა დესანტის გადმოსხმის შემდეგ მთავრობას ცნობები არ მიუღია.

გუდაუთი

უკანასკნელად გუდაუთის აღების დროს ბოლშევიკებმა დაატყვევს 100 მეტი კაცი, უმთავრესად თბილისიდან გაგზავნილი საგანგებო რაზმის ჯარისკაცები, რომლებიც გუდაუთს იცავდნენ. ამაში, როგორც ახლა ირკვევა 11 კაცი აწამეს: ზოგს თვალები ამოსთხარეს, ზოგს ხელი მოსჭრეს, ზოგნიც ხანჯლებით აკუწეს, დანარჩენი გაგრისკენ წაიყვანეს ტყვედ. ბოლშევიკებს მეთაურობდა ცნობილი ლაკობა. მის ლაშქარს უმთარესად შეადგენდა – „ბოსიაკი“ რუსები (ტყვედ წამოყვანილნი, თითქმის ყველანი არაყით იყვნენ გაჟღენთილნი) აფხაზეთის ნაწილი და სომხობა. ამჟამად გუდაუთში, სოხუმში და გაგრაში გენ. მაზნიევის რაზმის ნაწილებია დაბანაკებული.

სოხუმში (ბრძოლის თემა).

გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 3 ივლისი, ოთხშაბათი, №136, გვ. 2.

გაზეთი „საქართველო“

შავი ზღვის სანაპიროებზე

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

(იხ. გაგრის ბუნების აღწერა. პრინცის სასახლე გაგრაში. – რედ.)

„პრინცს უნდოდა ისეთი რამ კურორტი შეექმნა, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოება აქეთკენ მოეზიდნა და ის ფულები და აუარებელი ქონება, რომელსაც უცხოეთში ფლანგავდა რუსობა აქვე, რუსეთში დარჩენილიყო.“

...გამოვემგზავრენით ბიჭვინთისაკენ – ამ ძველის-ძველის სიწმინდისაკენ. ეს ძველად-ძველი ეკლესია პირველი ანთებული ლამპარი იყო ქრისტესს სწავლისა მთელს შავი ზღვის სანაპიროებზე... (ბუნების აღწერა)... ეკლესიას ეხლა რუსი ბერ-მონაზონნი დაპატრონებიან, რომელნიც თავისი სტუმარმოყვარეობით ვერ დაიტრა-ბახებენ. ბიჭვინთა დღეს ახალ-ათონის მონასტრის განყოფილებას წარმოადგენს. ამ მონასტერში, როგორც სხვაგანაც რუს ბერებს არაფერი ქართული აღარ გაუშვიათ, ის სახარებაც წმინდად შენახული, რომელიც რუსებს აქ შემოსვლის დროს დახვდათ ეკლესიაში, აქ აღარ არის და ვერც გავიგე ბერთაგან რა უყვეს და სად წავიდა ეს საუნჯე ქართველთა ეკლესიისა...

...ყველგან გხვდებათ გზებზედ აფხაზთ სოფლებში აქა-იქ არეული ბერძენთა და სომეხთა ახალშენები, – ყველა ესენი მეთუთუნეები არიან და თითქმის მთელი წარმოება ამ მეურნეობის დარგისა მათ ხელშია. ბერძნებისვე ხელშია თითქმის მთე-ლი ვაჭრობა-აღებ-მიცემობა შავის ზღვის სანაპიროებისა ცოტაოდენის გამოკლე-ბით. მეგრელები მათ საკმარისს კონკურენციას ვერ უწევენ, უფრო წვრილი ვაჭრობა მათს ხელში, დიდი ფირმები და სავაჭრო ბერძნებისაა. ისინი როგორც ძველად შავი ზღვის სანაპიროებს არ შორდებიან და ვაჭრობასთან ერთად მოჰყავთ თავიანთები და ახალშენებს აარსებენ, მაგრამ ეგ კია, ვიღა არ მოსულა და არ მოდის ბედშავს აფხაზეთში დასასახლებლად, არა მგონია, რომ რომელიმე კუთხე კავკასიისა ასე იყვეს ჭრელი, როგორც აფხაზეთი არის დღეს, ის წმინდა მოზაიკას წარმოადგენს ამ მხრივ. ყველა, ვისაც კი მისვლა არ დაჰზარებია, აქ მოსულა და დასახლებულია, რუსი, ბულგარელი, ალბანელი, ესტონელი, უკრაინელი, გერმანელი, იმერელი და უმეტესად მეგრელი. ყველა ესენი შემოჰკედლებიან აფხაზეთსა და მისი ტურფა ველ-მინდორი ჩაუგდიათ ხელში. მოგეხსენებათ, რომ აფხაზთა წინაპარნი, რომელთაც ამაყი თავი არ მოიხარეს რუსეთის უხეშ ორთავიან არწივის წინაშე, გადასახლდნენ ოსმალეთში, ხოლო მათი უპატრონოდ დარჩენილი მამულ-დედული გაპარტახდა და აი, ამ გაპარტახებულს ადგილ-მამულზედ მკვიდრად მოიკალათეს ახლად მოსულებმა და საუკეთესო სოფლების გააშენეს. გუდაუთის ნაწილი ანუ საბოქაულო აფხაზეთის ცენტრს წარმოადგენს, აქ უფრო ბევრნი არიან შედარებით აფხაზები, ვიდრე აფხა-ზეთის სხვა ნაწილებში, მაგრამ სავალალო ის არის, რომ აქაც არა ნახევრად მაინც გარუსებულ-გადაგვარებულან. სოფლებში მრავალმა კი არა თითქმის ყველამ იცის რუსული ლაპარაკი და არა მგონია რუსეთის გამარუსებელს პოლიტიკას ისე გაე-მარჯვოს სადმე, როგორც გუდაუთის ნაწილში. რუსულს სკოლას და უფრო კი რუს მუშებს, რომელნიც თამბაქოზედ სამუშაოდ მრავლად ჩამოდიან ყუბანის ოლქიდან თავისი წაუღია და დღეს გუდაუთელი კარგი მოლაპარაკე არის რუსულისა, თუ ამას

დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ ხშირად შეგხვდებათ რუსთა სოფლები და უფრო კი აგარაკები, მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება თუ რამ გაარუსა ამგვარად გუდაუთა.

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. იანვრის 11 (24), ხუთშაბათი, №8, გვ. 3-4.

სოხუმი

ძარცვა-გლეჯვამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო.

ოჩამჩირესთან კოდორის კომისარ შერვაშიძეს დაესხნენ და იარაღი აყარეს... (იხ. დაწვრილებით – რედ.).

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. იანვრის 13 (26), შაბათი, №10, გვ. 3.

შავი ზღვის სანაპიროებზე
(მგზავრის შთაბეჭდილებანი)
(დასასრული)

...ოჩამჩირე-ქალაქი პატარაა, მთლად ზღვის პირას გაშენებული და უფრო დიდ სოფელს მოგაგონებთ, ვიდრე ქალაქს და რა აქვს ოჩამჩირეს ქალაქისა, სასწავლებელი არსადაა, განათება და არც თუ რაიმე გასართობი. ახლად არჩეული ქალაქის გამგეობა ვერ იჩენს თურმე საქმიანობას და უფრო მცონარეობისათვის მიუცია თავი. ქალაქს წყალსადენი არა აქვს, ირგვლივ ჭაობებია, მაგრამ არც ერთისთვის ის არ ჰზრუნავს. გამგეობაც და ხმოსნებიც ქალაქისა მთლად სოციალ-დემოკრატები არიან, არც ერთი სხვა პარტიისა არ არის თურმე, ისეთი პირიც კი, როგორც ცნობილი ლიტერატორი ხუსკივაძეც გაუშავებიათ პატრულის მოსაზრებით, – დალაქი რა არის, უბრალო დალაქიც კი აირჩიეს ხმოსნათაო, შემოჩივლა ერთმა და ასეთნი პირნიო, ჩამოსთვალა რამდენიმე, რომელთაც არც სწავლა-განათლება და არც ენერგია და გამოცდილება აკლიათ, გააშავესო...(ბუნების აღწერა, ქვა-ნახშირი...)

...ილორის ეკლესია – ეს წმინდათა წმინდა აფხაზეთ-სამეგრელოსი. მის დანახვაზედ ძალაუნებურად მაგონდება ის აურზაური, რომელთაც მის გარშემო იყო ატეხილი, მის რუს დედათა მონასტრად გადასაკეთებლად. ბევრის ჭაპან-წყვეტის შემდეგ საქმე ისევ ძველის მდგომარეობაში დარჩა და ვერ გარდაქმნეს იგი რუსულ მონასტრად. ბევრმა ქართველმა სასულიერო პირმა არა საკადრისი გმირობა ჩაიდინა ამ საქმეში და კინაღამ რუსების სავანედ გახადა ეს დიდებული სიწმინდე, რომელიც ერთად-ერთიღა შერჩენია აფხაზეთს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მონასტრებს, რომელნიც რუს ბერებით არიან სავსენი და სადაც არც აფხაზნი და არც მეგრელნი არ დაიარებიან სალოცავად.

გარდა აფხაზეთისა, ილორში დაიარებიან სალოცავად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან. მოვა თუ არა შემოდგომა დიდი, თუ პატარა აქეთკენ მოეშურება სალოცავად. რო გაჰხედონ ზუგდიდის გზას დღე-მუდამ ბაწარაღებით მოდიან ფეხშიშველა მლოცველები ილორისკენ. ესეა შემოდგომით მაგრამ სხვა. დროსაც არ აკლია ილორს მლოცველი, ისეთი დღე არ იქნება, რომ 50-60 მლოცველი მაინც არ მოვიდეს ილორში...

– აფხაზები ამბობენ: – სამურზაყანოელებიც აფხაზები არიან და მდინარე ინგურს აქეთ, რაც არის სულ აფხაზეთს ეკუთვნის, თვით სამურზაყანოელები კი –

თავის თავს მეგრელებად სთვლიან. მართლაც, მთელს სამურზაყანოში ყველგან მეგრულ ენა მეფობს. გარდა ბედიის საზოგადოებისა, სამურზაყანოელის სამშობლო ენა მეგრულია და გამოცხადდა, თუ არა გაეროვნება სკოლებისა, მაშინვე ყველა სამურზაყანოს სკოლებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს.

სამურზაყანო უფრო მივარდნილი და მიყრუებული ადგილია, ვიდრე სხვა ნაწილები აფხაზეთისა და დიდად დაშორებული თავის ცენტრს – სოხუმს. ამიტომ, თუ რამე კულტურული შემოსულა აფხაზეთში, სამურზაყანოს ჯერ ის ვერ გადაუღია. თამბაქოს თესვა-მოყვანაც კი, რომელსაც დიდი ხანია მისდევენ აფხაზეთის სხვა ნაწილებში, სულ ერთი წელია, რაც შემოუღიათ სამურზაყანოში, თორემ წინედ მარტოღა სიმინდის თესვასა და ღორების გაშენებას მისდევენ.

...ენგურზე გასვლა ბორნით შეიძლება, ხიდი და მის მსგავსი რამ აქ არასდროს არ ყოფილა. აქვე გზის სიახლოვეს, გამართული ჯოტო შერვაშიძის სახერხი ქარხანაა, რომელსაც კარგი მუშაობა აქვს და დიდძალი შემოსავალი, სვანეთის ტყეებიდან ეზიდებიან ტივებით ხე-ტყეს, ხოლო აქ ჰხერხავენ, აკეთებენ ფიცრებს და ჰყიდიან. სვანეთის ხე-ტყის მასალას დიდი ბაზარი მოელის შავიზღვის რკინის გზის გაყვანით.

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. იანვრის 13 (26), შაბათი, №10, გვ. 4.

ანარქია სოხუმის ოლქში

(ამ წერილში იხ. შემდეგი ინფორმაცია
„მზის ჩასვლის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა იარაღით თუ შეიძლება“.
„ქალაქი გამოცხადებულია საალაყო წესებში იანვრის 10-1“.
„13 იანვრიდან საალაყო მდგომარეობა შეცვლილია სამხედროთი“. – რედ).

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. იანვრის 18 (31), ხუთშაბათი, №14, გვ. 2.

ილორის ბედი

როგორც დანამდვილებით ვიცით, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ ყველა სამურზაყანოელები იცნო ქართველებათ და, მაშასადამე, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წევრებად, გარდა ორი სოფლისა, ბედიისა და ილორისა. პირველზე აქ არის ვიტყვით, ხოლო მეორე სოფლის შესახებ გაზ: „საქართველოში“ სიტყვის ჩამოგდების სურვილი აღმიძრა და უფლებაც მომცა პატ. ზ. ედილის წერილმა: „შავი ზღვის სანაპიროებზე“ (მგზავრის შთაბეჭდილებანი).

პატ. ზ. ედილი ილორს მიაწერს აფხაზეთს და არა სამურზაყანოს. ის ბრძანებს: „თავდება ილორის საზ-ბა და იწყობა სამურზაყანოო“ (საქართველო №10) და მაშასადამე მისი აზრით სამურზაყანო აფხაზეთის შუა საზღვარს წარმოადგენს არა მდ. გალიძგა, არამედ მდ. ოხურე.

თუ მივიღებთ აფხაზეთ-სამურზაყანოს აწინდელ ადმინისტრაციულად დაყოფას, მაშინ, რასაკვირველია, პატ. ავტორი სრულ სიმართლეს ბრძანებს, მაგრამ იმაში ვერავის დავეთანხმებით, რომ ილორი სამურზაყანოს ორგანულ ნაწილს არ შეადგენდეს. ამაში ზ. ედილიც დაგვეთანხმება და დარწმუნებულიც ვართ, რომ ის, როგორც შეგნებული ქართველი, სხვანაირი აზრის არ იქნება ილორელების შესახებ, მაგრამ მისი ზემოხსენებული სიტყვები შეუძლიათ არა ჩვენთვის სასარგებლოდ გაიგონ იმათ,

ვისთვისაც ეს საჭირო იქნება.

შარშან წინ სოხუმის ეპისკოპოს სერგიმ გამოილაშქრა ილორელების წინააღმდეგ, ამტკიცებდა, ისინი აფხაზები არიან და მათთვის საჭიროა აფხაზი-მღვდელიო (Петрог. 15. №205), მაგრამ ვინმე კორენდელიელმა მისთვის გასაგებ ენით აუხსნა მას, რომ ილორში არ არის არც ერთი ოჯახი, რომელშიაც ხმარებაში იყო აფხაზური ენაო (П. В. №212). სამართალი მოითხოვდა, სოხუმის სასულიერო მთავრობის კორენბედიელის პასუხის სინამდვილე შეემოწმებინა. მაშინ, რასაკვირველია, თუ მას აინტერესებდა ხალხში სარწმუნოების განმტკიცების საქმე და არა პოლიტიკანობა, ამნაირად არ შეჰხედავდა ამ საკითხს და ილორს და მის დიდებულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ და ქართველთა ეროვნულ ნაშთებზე ნებით ხელს აიღებდა, როგორც საქართველოს ეკლესიის უტყუარ კუთვნილებას. აი ამისთვის მიგვაჩნია საჭიროდ ორიოდე სიტყვის თქმა.

ჩვენ აქ-არ შევუდგებით იმ დროის სამეგრელოს საზღვრების გამოკვლევას, როდესაც ისტორიკოსი და ბაქრაძე სამართლიანად ჰფიქრობს. მეგრელებს ეკავათ შავი ზღვის სანაპიროები ყუბანიდან პრაპეზონამდე და არც იმ შემდეგ დროისა, რომელსაც ეკუთვნის აღშენება იმისთანა დიდებულ ნაშთებისა, როგორნიც არიან: ლიხნი, პსირცხა, დრანდა, მოქვი, ილორი და ბედია რადგანაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და დასასრულ საკითხის გამოსარკვევად არც იმდენად საჭიროა. ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ ყურადღებას მე-XVII-XIX სს-ის ისტორიული წყაროების ცნობას ამ კითხვის შესახებ.

რომის მისიონერების მოწმობით, ჩვენ ვიცით, რომ XVII ს-ნის განმავლობაში სამეგრელოს საზღვარს აფხაზეთის მხრიდან შეადგენდა მდ. კოდორი, ხოლო ვახუშტი ამნაირ საზღვრად სთვლის ანაკოფიას (ახ. ათონი). ამ ისტ. ცნობებში ჩვენ წინააღმდეგობას არ ვხედავთ. თუმცა მართალია, რომ აფხაზეთმა XVII ს-ში სამეგრელოს ნაწილი კელასურამდის და შემდეგ კოდორამდისაც დაიპყრეს, მაგრამ, უეჭველია, დაპყრობილი ადგილების მკვიდრი მეგრელები ჯერ კიდევ არ იყვნენ გააფხაზებულნი. იმ ადგილს, სადაც მდ. კელასურა ერთვის შავ ზღვას, ბენინკაზის და ფრედრუჩეს რუქებით ერქვა მეგრელების ნავსადგური (ؤორტო მენგრელლო). აქვე ბროსეს და ბრუნის თქმით, ახლაც მოსჩანს ნანგრევები წმ. გიორგის ციხისა, რომელიც აუშენებია ერთ-ერთ სამეგრელოს თავადთაგანსო. მხოლოდ XVII ს-ის დასაწყ. მეგრელთა მოსახლეობის ისტორიულ გარემოებათა მსვლელობამ დაახევინა მდ. ღალიძგამდის. შეიძლება ღალიძგამაც ამ დროიდან მიიღო თავისი სახელი უწინდელი სახელწოდების ღალიწყალის ნაცვლად, როგორც სამეგრელოს მოსაზღვრე მდინარემ (მოსაზღვრე სანაპირო მდინარე – ღელე). ილორი კი მუდამ რჩებოდა სამეგრელოს ნაწილად. ამას ნათლად გვიმტკიცებენ ილორის ეკლესიაში დაცულ ხატების წარწერაზე. ამასავე გვეუბნებიან ზემოხსენებულ წყაროების გარდა პატრიარქი დოსითეოზიც, რომელიც ჯერ კიდევ მთავარი დიაკვნის ხარისხში მყოფი, ახლდა პატრიარქ პაასის მის საქში ყოფნის დროს 1658 წ. და პატრიარქი მაკარიც, რომელმაც 2 წელი დაჰყო საქ-ში (1664-1666).

სამეგრელოს მთავრისაგან დაყენებული სამურზაყანოს გამგე მანუჩარ შერვაშიძე 1805 წ. სთხოვა ლიტვინოვს, რომ სამურზაყანოს საზღვრების აფხაზი-ოსმალეთისაგან დასაცავად დაყენებული ყოფილიყო რამოდენიმე რუსის ჯართაგანი მდ.

ღალიძგის პირას და როგორც ამისთვის საუკეთესო ადგილი მის სამფლობელოში უჩვენა სოფ. ილორი, სადაც მართლაც დააყენეს დროებით რუსის ჯარისკაცნი.

1839 წ-დან სამურზაყანო გადავიდა რუსეთის პირდაპირ მფლობელობაში, ამ დროიდან ილორში, როგორც სამურზაყანოს განაპირა სოფელში, დააყენეს გარნიზონი რუსის ჯარისა და ააშენეს ციხე.

ცხადია, მთელი სამურზაყანო ილორითურთ შეადგენდა სამეგრელოს ნაწილს, მაგრამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსის ადგილობრივმა მთავრობამ ილორი მიაწერა კოდორის საადმინისტრაციო ნაწილს. რა იყო ამის მიზეზი დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ კოდორის საადმინისტრაციო ცენტრი – ოჩამჩირე იყო განაპირა ადგილი, რომელსაც მაშინ მოსახლეობა ძალიან ცოტა ჰყავდა სამურზაყანოს მხრით უნდოდათ მისთვის ზურგი გაემაგრებინათ ილორის მიწერით და ამით ადმინისტრაციას გაემართლებინა თავისი მოქმედება და ოჩამჩირის არჩევანი. შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ გარუსების პოლიტიკის მწარმოებელთ სწადიათ.

სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი, როგორც არის ილორი, სამეგრელოსათვის მოეშორებინათ და ამით შეესუსტებინათ ილორის მნიშვნელობა ქართველობის გამაგრებისათვის აფხაზეთის საზღვარზე. რომ ეს უკანასკნელი ჩვენი მოსაზრება მისაღებია. ამას ნათლად ამკტიცებს ის, რომ ამ რამდენიმე წლის წინადაც გამარუსებელი პოლიტიკა ცდილობდა ილორი წაერთვა ქართველებისათვის და გაეკეთებინათ რუსის ქალების მონასტრად. მართლაც ილორი იზიდავს მლოცველებს მთელი იმერეთ-სამეგრელოდან და ამას რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთა ეროვნების განმტკიცებისათვის ამ მხარეში. ესმოდათ ეს პოლიტიკიდან ქრისტეს სჯულის ვითომდა მქადაგებლებს აფხაზეთში და ამითვის ეპ. ანდრიამ, რომელსაც დამსახურებული ჰქონდა კაცთმოყვარე და სამართლიანი კაცის სახელი, დიდი შრომა გასწია, რომ დიდებული ილორი გადასულიყო რუსების ხელში (იხ. ამის შესახებ ეპ. ანდრიას და ამბების შუა გამართული პოლიტიკა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში). სარწმუნოების საქმეში პოლიტიკანობას შესაძლებელია ბუნებრივად კეთილ კაცსაც გამოუცვალოს ხასიათი და მიმართულება.

ყოველ შემთხვევაში, ცხადია თვით ილორის მცხოვრებლებს ეთნოგრაფიულად აქვთ მჭიდრო კავშირი არა აფხაზებთან, არამედ სამურზაყანოში მცხოვრებ მეგრელებთან და ერთი ენა, რომელზედაც ილორელები საუბრობენ, არის მეგრული ენა. ამას XIX ს-შიც გრძნობდნენ ისტორიის მკლევარნი და ამტკიცებდნენ, რომ ილორი ორგანული ნაწილია სამურზაყანოსი.

სელეზნევი, რომელმაც 1841 წელს ინახულა აფხაზეთი ამბობს, რომ „მოქვის მონასტერი მდებარეობს 17 ვერსის მანძილზე სამურზაყანოს სოფელ ილორიდანო“ ბერჟეს თქმით „სამურზაყანოში სახელდობრ ილორში და ანაკლიაში იყო აშენებული ციხეები“. ბროსეც, რომელიც ინახულა ილორი 1849 წელს, გვეუბნება ამასვე.

თვითონ ილორელებსაც არ მოსწონდათ მათი სოფლის ადმინისტრაციული გათიშვა სამურზაყანოდან და აფხაზეთთან შეერთება. მათ კიდევაც აღძრეს შუამდგომლობა ილორი უწინდებურად დაეტოვებინათ სამურზაყანოში, მაგრამ მათი თხოვნა დატოვებული იქმნა უყურადღებოდ.

ილორს ძველად დიდი კავშირი ჰქონია ეგრი-ბედიასთან და ამის გამო მდ. ღალ-

იძგას რქმევია ძველად ეგრის-წყალი (ვახუშტი), ხოლო როდესაც ქალაქ ეგრისს შეეცვალა სახელი და ეწოდა ბედია, მდინარესაც მიუღია სახელწოდება ბედიის წყლისა და (ბროსე), თვით ილორსაც საშუალო საუკუნეებში, როგორც ამას გვიმტკიცებენ მე-14-15 სს-ის რუქები (ვესკონტერი, ლუქსოროსი, უსახელო, პიციგანისა, კატალონისა, პარსკვანილისა, ბიანვოსი, ბენკაზისა, ფრედრუჩები და მაილორი), ვენეციელები ეძახდნენ კორნებედიას, ანუ კორნებედიის ციხეს (ჩასტრო ჩორენბედია), რომელშიც ბედიის სახელი და რომელიც უნდა ნიშნავდეს ბედიის დამცველ ციხეს. ილორის მჭიდრო კავშირს სამეგრელოსთან ისიც ადასტურებს, რომ ამ სახელით სოფლები არიან სამეგრელოში, იმერეთში, და აღმ. საქართველოშიც.

ილორი შედიოდა ბედიელების სამწყსოში, ხოლო, როდესაც მე-18 ს-ში მაჰმადიანობა გაძლიერდა და ბედიის კათედრა გაუქმდა, ილორი მთელ სამურზაყანოსთან ერთად დაექვემდებარა ცაიშელ მიტროპოლიტს. უკანასკნელ ცაიშელს გრიგოლის (+1823) დაუტოვებია ილორში კარგი სახელი და როგორც გადმოცემით მოგვითხრობენ, ბევრი უშრომია ილორის ეკლესიის გამშვენებისათვის. ის მოხსენიებულია ერთი პატარა ლითონის ბურთის წარწერაში, რომელიც (ბუშტი) ახლა თბილისის საეკლესიო მუზეუმშია დაცული.

ყველა ეს ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ილორი ყოველთვის შეადგენდა სამურზაყანოს ნაწილს და, მაშასადამე, გვაქვს უფლება ილორიელების ვინაობის გადაწყვეტის საქმეში არ მივსცეთ მნიშვნელობა მათი ძალადობით მოწერას კოდორის საადმინისტრაციო რაიონისთვის. ყოველ შემთხვევაში ეს არ უნდა მივიღოთ იმის მაჩვენებლად, რომ ილორელები არ შეადგენენ სამურზაყანოს მეგრელებთან ერთ ორგანულ განუყოფელ ერთეულს.

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. იანვრის 31 (13), ოთხშაბათი, №25, გვ. 2.

აფხაზეთის ეკლესიის გარუსების ისტორიიდან

ქართული ეკლესიის გავლენა ძველი დროიდან კავკასიაში და ავტორიტეტი (მიმოხილვა-შესავალი).

...აფხაზეთში გამარუსებელი პოლიტიკა მეტად სასტიკად ებრძოდა ყოველივე ქართულს და ძალღონით სცდილობდა ხელიდან გამოეგლიჯა აფხაზეთი საქართველოსათვის და მის მოსისხლე მტრად გაეხადნა.

აი პირველი კაბადონი ამ ისტორიიდან. ქუთაისის ჟანდარმთა უფროსი, რომელსაც ჰქონია მინდობილი სოხუმის ოლქი არა საიმედო პირთა შესახებ გამოძიება, შემდეგ დამატებითად ცნობებსა სთხოვს სოხუმის ეპისკოპოს 1900 წლის თარიღით.

„ვიძიებ რა საქმეს სოხუმის ოლქის ქართველების შესახებ, რომელთაც თავის მიზნად დაუსახავთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სრულად გაქართველება ქართულის სკოლების დაარსებით და წირვა-ლოცვისთვის და ყოველივე მღვდელ მსახურების ქართულს ენაზედ შესრულებით, რაიც სრულიად უცნობია აფხაზთათვის, ამიტომ გთხოვთ კეთილი ნებით შემდეგი დამატებითი ცნობები მომაწოდოთ“: 1) სცნობთ თუ არა რომ სოხუმის ოლქში არსებობს მკვიდრი ორგანიზაცია ქართველთა, რომელსაც დაუსახავს აფხაზთა გაქართველებას და მათ რუსეთის ინტერესებს ჩამოშორება; 2) სდევნის თუ არა ქართველთა პარტია იმ მღვდლებსა და მასწავლებლებს, რომელნიც თქვენს განკარგულებას ასრულებენ და მათ არ თანაუგრძნობენ და არ

ემორჩილებიან მათ უკანონო ქმედებას ე. ი. ქართული ენის სწავლებას სკოლებში და ჩუმად მაინც წირვა-ლოცვის აღსრულებას ქართულად; 3) სცდილობენ თუ არა აფხ-ების გაქართველებას შემდეგი პირნი: თედო სახოკია, ანთიმოზ ჯუღელი, მღვდელნი მაჭავარიანი, კერესელიძე, ჩხენკელი და ხელაია ბესარიონ.; 4) გჯერათ და უწყით, რომ ქ. სოხუმის მცხოვრები თედო სახოკია პრესაში და საზოგადოებაში კრიტიკას იწვევს და მასხარად იგდებს ყოველივე თქვენ განკარგულებას; 5) მართალია, რომ მღვდელი მაჭავარიანმა პანაშვიდი გადაიხადა ქართულს ენაზედ გარდაცვალებულის მწერლის წერეთლის გამო და ქართულადვე სიტყვა წარმოსთქვა თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჯუღელის თხოვნით; 6) მართალია თუ არა, რომ მღვდელმა ბესარი-ონ ხელაიამ, რომელიც ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა გან-გიცხადათ რომ „აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომ წირვაც ქართულად უნდა იყვესო"; 7) მართალია თუ არა, რომ მღვდელი კერესელიძე წინააღმდეგობას უწევდა თქვენს განკარგულებებს და როცა მოინდომეთ მისი გაძევება სინოდალ-ურმა კანტორამ წინააღმდეგობა გაგიწიათ; 8) რადგანაც უტყუარი ცნობები მაქვს, რომ ნაცნობობა აქვთ არა საიმედო და წარმართი მიმართულების ხალხთან თედო სახოკიას, მღვდლებს: მაჭავარიანს, კერესელიძეს, ჩხენკელს და ბესარიონ ხელაიას, ამიტომ გთხოვთ აღნიშნულნი პირნი დამიხასიათოთ ზნეობრივის მხრივ თითო მათ-განი კერძოდ და დაწვრილებით გამაცნოთ მათი მოღვაწეობა; 9) მართალია, რომ კო-რესპონდენტი თედო სახოკია განგებ, წინდაწინვე განზრახულის მიზნით ამახინჯებდა ფაქტებს და ყალბ სტატისტიკურ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში, მეგრელებისა და ქართველების შესახებ, რათა დაემტკიცებინა აუცილებელი საჭიროება ქართული ენის ამოღებაში სასწავლებლებში; 10) რით აიხსნება სინოდალური კანტორისაგან მხარის დაჭერა მღ. კერესელიძისა და სრულიად უდანაშაულო მღვდლის კავკასიძის გაძევება; 11) სცნობთ თუ არა, რომ მღვდელნი: მაჭავარიანი, კერესელიძე და ხელაია მავნებელნი და საშიშნი არიან რუსეთიის იმპერიის ინტერესებისათვის; 12) მართლ-მადიდებელი ეკლესიისათვის მავნებელნი არის თუ არა მოღვაწეობა თედო სახოკიასი და ჯუღელისა.

„პასუხს გთხოვთ, გამოაყოლოთ დედანი იმ განცხადებისა, რომელიც სამურზაყა-ნოელებმა მიართვეს თქვენს მაღალკურთხევას, რათა მათი შვილებისათვის არ ეს-წავლებინათ ქართული ენა. ამ წერლობით განცხადებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეპარქიალურს საბჭოს 1895 წლის მღვდლის მაჭავარიანის და პოლკოვნი-კის ქალიშვილის ძალდატანებით გაუგზავნია მოწოდება სამურზაყანოელებისათვის, გინდათ თუ არა ქართული ენის სწავლება, რაის შედეგიც ყოფილა ზემოხსენებული განცხადება, რომელშიც სამურზაყანოელები აშკარად ამბობენ არა გვსურს ქართუ-ლის ენის სწავლებაო".

მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ არა ატმოსფერო ყოფილა შექმნილი სოხუ-მის ოლქში, სადაც – კი საბრალო სამურზაყანოსათვის, რომლის 9/10 მეგრელებისა-გან შესდგება არ უნდოდათ, რომ სამშობლო ენა ესწავლებინათ. ეს კიდევ არაფერი. ერთი შეუპოვარი მასწავლებელი ქალი, რომელიც ჩუმად მაინც ასწავლიდა ქართულ ენას ბავშვებს, არამც თუ დაითხოვეს მასწავლებლობიდან, კინაღამ ჯვარზედაც კი აცვეს, მაგრამ თავი დავანებოთ ჯერჯერობით ამას, ვნახოთ თვით ეპისკოპოსი სოხ-უმისა რას უპასუხებს ჟანდარმერიის შეკითხვაზე და როგორ დაახასიათებს იმ ქა-

რთველებს, რომელთაც ომს უცხადებს ჟანდარმერია:

„საიდუმლო შეკითხვაზედ, რომელიც 12 მუხლისაგან შესდგება და რომელიც ქართველთა მოძრაობას შეეხება სოხუმის ოლქში, შემიძლიან შემდეგი გიპასუხოთ: 1) პირველსავე დღეებიდან ჩემის სოხუმის ოლქში დანიშვნისა, შევნიშნე რომ ეპარქიაში მცხოვრებნი ქართველები ყოვლის ღონისძიებით სცდილობდნენ დანერგვას სამურზაყანოსა და აფხაზეთში ქართველთა მოქალაქეობრიობა, რაშიაც სრულ დახმარებას უწევს მას სამღვდელოება, რომელნიც განსაკუთრებით ქართველთა და მეგრელთაგან შესდგება. ამის დასამტკიცებელი საბუთი მრავალი მომეპოვება. 1895 წელს სამასწავლებლო საბჭოში ქართველებმა აღძრეს შუამდგომლობა ქართულის განაჩენებიც სოფლების საზოგადოებებისგან, რომელნიც ითხოვდნენ ქართულის სწავლებას სკოლებში. მე წინა აღუდექი ამას, რის გამოც ჟურნალ „русский трудъ“-ში მოათავსეს წერილი, რითაც უკმაყოფილებას მიცხადებდნენ. როცა 14 იანვარს წმ. ნინოობას ნება არ მივეცი ქართულის ენაზე წირვისა სოხუმის საკრებულო ტაძარში, მაშინ ხომ მათი უკმაყოფილება აშკარა იყო და ნათლად დავრწმუნდი, რომ ქართველები აღარა ხუმრობდნენ აფხაზების გარუსების და გადაგვარების საქმეს; 2) რაც შეეხება ქართველთაგან დევნას რუსეთისათვის თავდადებულ სამღვდელოებისა და მასწავლებლებისათვის, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ოქუმის მღვდლის მ. კავჟარაძისას, რომელიც მარჯვე დამცველი იყო და გამტარებელი ცხოვრებაში რუსულია მოქალაქეობრიობისა და რომელსაც ათასი ცილი დასწამეს რათა გაეძევებინათ ის სამურზაყანოდგან, უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი დევნა არსებობს; 3) რამე დადებითი საბუთები თედო სახოკიასა, ან. ჯუღელისა, მღ. მაჭავარიანისა, კერესელიძისა და ხელაიას მოქმედებისა და მეცადინეობის შესახებ ქართული ენის გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად აფხაზეთში არ მომეძებნა, მხოლოდ პირველის შესახებ შემიძლიან ვთქვა, რომ თუ ის ავტორია გაზეთებში მოთავსებული ყალბ ცნობებისა, მაშასადამე იგი ყოფილა გამავრცელებელი და დამამკვიდრებელი ქართულის ენისა და მოქალაქობისა აფხაზეთში, ხოლო რაც შეეხება მღვდელს კერესელიძეს თვით დირექტორიც კი, სახალხო სკოლებისა, სთვლის მას არა კეთილ საიმედი პირად, რომელსაც შეუძლიან ცუდი გავლენა იქონიოს მოსწავლე-ახალგაზრდობაზედ, როგორც საღმრთო სჯულის მასწავლებლმა ოჩამჩირეში; 4) დეკანოზმა მაჭავარიანმა მართლა გადაიხადა პანაშვიდი გარდაცვალებულის მწერლის წერეთლის სულის მოსახსენებლად და ქართულადვე სთქვა სიტყვა ჩემს ნება დაურთველად, მაგრამ ვის ჩაგონებითა და განძრახვებით ჩაიდინა ეს საქმე არ ვუწყი; 6) მღვდელმა ხელაიამ კერძო ლაპარაკში, როდესაც მიმტკიცებდა და მთხოვდა ქართული წირვა-ლოცვის შემოღებას, მითხრა რომ „აქ საქართველოა და არა რუსეთიო და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყვესო“; 7) მღვდელს კერესელიძის სხვა მრევლში გადაყვანა ჩემის განკარგულებით მოხდა, რადგანაც თავისს უხასიათობის გამო ვერა რიგდებოდა მრევლთან და უვარგისი იყო როგორც მასწავლებელი სამღვთო სჯულისა; 8) რაც შეეხება მღვდლებს ჩხენკელსა და მაჭავარიანს, არაფერს ცუდს საქმეში შემჩნეულნი არა მყოლიან და არც მათს მიმართულებაში შემიმჩნევია სამარცხვინო რამ, რაც შეეხება მღვდელს ბესარიონ ხელაიას, აკადემიაში შესვლამდის არაფერი ცუდი არ შემიმჩნევია და რაც შეეხება მის მიმართულებას, ეს ხომ უკვე ზემო ნათქვამიდან მის შესახებ ნათლად სჩანს; 9) თედო სახოკია განგებ

ყალბ ცნობებს ათავსებდა გაზეთებში ქართველთა და მეგრელთა სოხუმის ოლქში მოსახლეობის შესახებ, რადგანაც მას როგორც სოხუმის ოლქში მცხოვრებს კარგად უნდა სცოდნოდა ნამდვილი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ იგი წინათ განზრახვით ამახინჯებდა ყოველივე ცნობას; 10) მღვდლის კერესელიძის გამოქომაგება სინოდალურ კანტორისაგან და ჩემის გადაწყვეტილების გაბათილება, იმის სხვა მრევლში გადაყვანის გამო აიხსნება იმ გარემოებით, რომ მისი საქმე გაარჩია კანტორამ მაშინ, როდესაც ეგზარხი არ იყო თბილისში და მის მაგივრობას ასრულებდა ქართველთ ეპისკოპოსი ალექსანდრე. მისი ე.ი. კერესელიძის მოშორებას მოითხოვდა კიდევ დაჟინებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და მე დარწმუნებული ვარ კერესელიძის საქმე, რომ გაერჩია ეკზარხს და არა ქართველ ეპისკოპოსს, ჩემს გადაწყვეტილებას კერესელიძის გადაყვანის შესახებ დაადასტურებდა; 11) თუ მღვდლები მაჭავარიანი, კერესელიძე და ხელაია მოქმედებენ აფხაზეთ სამურზაყანოს გასაქართველებლად, მაშინ რასაკვირველია მავნეთ უნდა ჩაითვალოს მათი მოღვაწეობა, რადგანაც ამითი ისინი წინააღუდგებიან რუსეთის იმპერიის მიზანსა და მისწრაფებასა; 12) მოქმედება თედო სახოკიასი და ჯუღელისა მავნებლად უნდა ჩაითვალოს მართლმადიდებელ ეკლესიისათვის, რადგანაც გაქართულებული მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდება რუსეთის ეკლესიას, რომელიც სულ სხვა მიზნით მოქმედებს აფხაზეთში.

ამასთანავე ვადგენ განცხადების პირს სამურზაყანოელებისას, რომლითაც ისინი უარყოფენ ქართული ენის საჭიროებას თავიანთ სკოლებში და დასძენს, რომ თუმცა ამ განცხადების წინად წარმოდგენილი იყო რამდენიმე განჩინება სამურზაყანოელებისა ვითომ ქართ. ენის სწავლება შემდეგის საჭიროების შესახებ, მაგრამ ყველა ესენი განზრახ შედგენილი იყო სამღვდელოებისაგან და მრევლი აქ არაფერს მონაწილეობას არ იღებდა“.

საინტერესო იყო ამ განაჩენის ნახვა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ვერსად ვერ ვნახეთ იგი.

ზ. ედილი

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. თებერვლის 15 (28), სამშაბათი, №37, გვ. 4.

„სოხუმის ამბები“
ოლქის კომისრის (ზაქაროვის) ცნობა

აფიცერმა ემუხვარმა მოკლა მეზღვაური (შეურაცყოფისათვის) დაიწყო არეულობა ამის გამო, მეზღვაურებმა ორთქლში ჩაახრჩვეს ემუხვარი, „თებერვლის 19 მოვიდა ჯავშოსანი „პრინც კარლ“-ი და ხანგრძლივი სროლა აუტეხა ქალაქს...

გიორგი შერვაშიძე

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. №42, გვ. 2.

სოხუმის ამბები

სოხუმელი ქართველთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელთა ნიკო თავდგირიძემ აღძრა სხვადასხვა შუამდგომლობანი საქართველოს რესპუბლიკის ფინანსის და სწავლა განათლების სამინისტროებთან...

თუთუნთან დაკავშირებული პროგლემები

...სახალხო განათლების მინისტრს თავდგირიძეს სთხოვს, სოხუმელი ქართველების სახელით, დაუყონებლივ ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსებას სოხუმში; ამ გიმნაზიაში აფხაზურ ენასაც უნდა ჯეროვანი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული, რომ ის აფხაზთა შვილებმაც ისწავლონ. დღემდის აფხაზეთში ძველი წყობილების განსაკუთრებული გამარუსებელი პოლიტიკის ნაწარმოების გამო არაფერი არ გაკეთებულა დედაენის სწავლების სასურველი ნიადაგზედ დაყენების შესახებ; საქართველოს რესპუბლიკამ კი ყველაზედ მეტი ყურადღება ამ მხრივ სოხუმის ოლქს უნდა მიაქციოს.

მთელი უთანხმოება აფხაზთა და ქართველთა შორის იმისგან გამომდინარეობს, რომ აფხაზებს ჩვენმა მტრებმა ჩააგონეს თითქმის ჩვენ მათი გადაგვარება გვინდოდეს, მათი ენის მოსპობა. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენ დიდის პატივისცემით ვეპყრობით ყოველივე ერის დედაენას. ამ მოსაზრებით სასურველია აფხაზური ენის შესასწავლი კათედრა დაარსდეს ქართულ უნივერსიტეტში. ამ საქმეზედ მოლაპარაკება ჰქონდა თავდგირიძეს სახალხო განათლების მინისტრთან და პროფ. ჯავახიშვილთან. ეს საქმე უკვე გადაწყვეტილად ითვლება. მოწვეულია აფხაზეთის ენის ლექტორად ცნობილი ლიგვინსტი აფხაზური ენის კარგად მცოდნე პეტრე ჭარაია.

მეორე საქმე, რომელზედაც მიაქცია თავდგირიძემ ყურადღება – სახალხო განათლების მინისტრის არის ქ. სოხუმიდან მეთორმეტე ვერსტზედ არსებული რუსეთელ მდიდრს სმეცკოისაგან საერთო განათლების სამინისტროსათვის შეწირული საუცხოო ყოველნაირი თანამედროვე საშუალებით მოწყობილი სანატორიები. ეს რამოდენიმე მილიონად ღირებული საქმე იფლანგება, საჭიროა დაუყონებლივ რევიზია და აღწერით მიღება ყველა საქონელის, შემდეგ კი აქ უნდა გაკეთდეს ყველა მოწაფეთათვის და მასწავლებელთათვის ხელმისწვდომ საფასურად სამკურნალო სანატორია ფილტვებით ავადმყოფთათვის.

გაზ. „საქართველო“, 1918 წ. მკათათვის 5, პარასკევი, №130. გვ. 3.

გაზეთი „სახალხო საქმე“

სოხუმიდან კომისარი ლიპონოვი 13 თებერვალს ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ სოხუმში დაარსდა ეროვნული საბჭო, რომელმაც თავის წრიდან გამოჰყო სამეურნეო კომიტეტი, რადგანაც გუმისტის რაიონში არის აღმასრულებელი კომიტეტი, სადაც არსებობს აგრეთვე სამეურნეო კომიტეტი, მისთვის გთხოვთ გვაცნობოთ რომელ მათგანს მიენიჭოს სამეურნეო საკითხების გადაწყვეტა უსიამოვნების ასაცილებლად.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 18 ივლისი, სამშაბათი, №2, გვ. 3.

საშინელი ამბები სოხუმში

პირდაპირ სოხუმიდან მავთულით საზარელი ამბები მოდის. წუხელის დღეს

დილით ათ საათამდე ნალაპარაკევიდან გამოირკვა შემდეგი: ორი დიდი სამხედრო გემი მოადგა სოხუმს და გაჩერდა ნავსადგურში. რამდენიმე მატროსი გადმოვიდა სოხუმს და დაიწყეს უწესოების მოხდენა, სტაცეს ხელი შემთხვევით გამვლელ სამხედრო ოფიცერს ადგილობრივი აფხაზთა ჯარის ემხვარს და მოუნდომეს პაგონების აგლეჯა, ოფიცერი არ დაემორჩილა, იძრო რევოლვერი და ერთი მატროსი მოჰკლა, დანარჩენი მატროსები გაბრუნდნენ გემებზედ და შეიარაღებული ამხანაგებით გამობრუნდნენ ქალაქში, სადაც მოითხოვეს მკვლელი აფიცერი, რომელიც სარევოლუციო კომიტეტის თავმჯდომარის ბოლშევიკის თანხლებით წაიყვანეს გემზედ. აქ უთუოდ შეტაკების დროს აფიცერმა ერთი მატროსი კიდევ მოჰკლა, რის შედეგაც ემუხვარი მატროსებმა ჩააგდეს საორთქლო მილში და დაწვეს.

ამის შემდეგ დაიწყო ქალაქში სრული ანარქია. აფხაზთა რაზმი იძულებული შეიქმნა გასულიყო ქალაქს გარეთ; იქ მოელის აფხაზთა პროვინციებიდან დამხმარე რაზმებს. მართვა-გამგეობა ბოლშევიკების ხელშია. ქალაქში განუწყვეტელი სროლაა. ორთავე სამხედრო გემები განუწყვეტლივ უშენენ ქალაქს ზარბაზნებს. ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი და ოლქის კომისარი ქალაქში ორი დღეა არ არიან. ფიქრობენ ქალაქ გარეთ პროვინციებში აფხაზებთან თათბირობენ, რათა თავიდან აცილებულ იქნას ნაციონალური განხეთქილება, რომელსაც პროვოკატორები ეცდებიან გააჩაღონ და საერთო ძალით შეეცადონ წესების აღდგენას.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. თებერვალი 20 (5), სამშაბათი, №176, გვ. 3.

სოხუმის ცხოვრება

(იხ. ინფორმაცია თემაზე: დანაშაულობები, ანარქია სოხუმში. – რედ.).

შედგა სარევოლუციო ტრიბუნალი – ქალაქის თავის ჩხიკვიშვილის მეთაურობით.

სოხუმის ამბები

...სოხუმის ჯავშოსნებისაგან აწიოკება-განადგურების გამო ქალაქიდან სადღაც გაიხიზნა ქალაქის მთელი თვითმმართველობა, ქალაქის გამგეობის სრული შემადგელობა, კომისარები, მილიციის უფროსი და ყველა თანამდებობის პირნი. ქალაქი დაიჭირა შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბომ, რომელმაც ზღვარდაუდებელი თარეში დაიწყო. ყაჩაღების ასალაგმავად და წესიერების დასამყარებლად სოხუმელებმა დაარსეს სრულებით დაცვის კომიტეტი ნიკო თავდგირიძის თავმჯდომარეობით: გარდა იმისა, კომიტეტი ბათუმიდან აცნობეს რომ, იქ რადიოთი ცნობა მოვიდა სევასტოპოლიდან ჯავშოსანი „დაკია“ დაიძრა და სოხუმისაკენ მიემართება გასანადგურებლადო. ნ. თავდგირიძე, როგორც ქალაქის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე შუამდგომლობს კომისარიატის წინაშე, რომ დაეხმაროს, უკრაინიდან ქვანახშირი არ მისცეს ჯავშოსანს, და რომ სოხუმში გაიგზავნოს რამდენიმე ოფიცერი, რომელიც იქაურ არტილერიას აამოძრავებს და ქალას ხიფათისაგან დაიხსნის. ქალაქის დარბევის დროს დაზარალებულან უმთავრესად თავდამსხმელნი. საერთო რიცხვი დაზარალებულთა ასეთია: მოკლულა 7, დაჭრილა 18. ნ. თავდგირიძე სთხოვს აგრეთვე ბათუმიდან გაიგზავნონ სანდო მეზღვაურები და ჯარისკაცები, რომელნიც ზნეობრივ

ზეგავლენას იქონიებენ თავდამსხმელებზე. ამ საქმეში აფხაზები სრული სოლიდარობით მუშაობენ სოხუმელებთან.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. თებერვალი 22 (7), ხუთშაბათი, №178, გვ. 3 .

სოხუმის ამბები

შ. ს. კომისარიატი 21 თებერვლის თარიღით ბათუმში დეპუტატთა საბჭოს ატყობინებს (ემუხვარის ამბავი იხ. 89).

შინაგან საქმეთა კომისარმა სევასტოპოლშიც გაგზავნა დეპეშა.

„შავი ზღვის ფლოტიდან ყუმბრები დაუშინეს სოხუმს და დააზიანეს წითელი ჯვრის ლაზარეთი და რამდენიმე შენობა. ამის მიზეზი იყო შეტაკება მეზღვაურებსა და ემუხვარს შორის. მოუხედავად იმისა, რომ ემუხვარი მეზღვაურებს გადასცეს, ისინი არ დაკმაყოფილდნენ, ამით და მშვიდობიან, დახმარებას მოკლებულ მცხოვრებლებს დაუწყეს სროლა. გთხოვთ, ყოველი ზომა მიიღოთ და თავიდან ააცილოთ შავის ზღვის სანაპიროების გაუმაგრებელ პუნქტებს ის შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ სროლას და საზარელ ამბავს. მეზღვაურთა ასეთი მოქმედება წარუხოცელია, სასირცხო საქმეა რევოლუციისათვის, და ყოვლად შეუძლებელია მოვითმინოთ ეს ისეთ საშინელ და პასუხსაგებ მომენტში, როდესაც იარაღო კავკასია ოსმალთა და მათ მოკავშირეთა შემოსევის წინა სდგას.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. თებერვალი 23 (8), პარასკევი, №179, გვ. 2.

სოხუმის ამბები

რუს ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შეტაკებები გახშირდ, (აქვე იხ. „ბოლშევიზმი გაძლიერდა სურსათის ნაკლებობის გამო“. – რედ.).

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 25 თებერვალი, კვირა, №181, გვ. 2 .

სოხუმის ოლქის გლეხთა ყრილობა გაიხსნა ქ. სოხუმში 4 მარტს. დაესწრო 300-მდე დელეგატი, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი. უმთავრესი საკითხები იყო: მომენტის, მართვა-გამგეობისა, ეროვნული და აგრარული. აღიარეს აფხაზეთი იყოს შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი, ხოლო სეიმი სცნეს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებად და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება. ყრილობას დაესწრენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი ქ. რაჭველიშვილი და დ. სულაშვილი, ზუგდიდიდან მ. ბერულავა, ე. ჭიჭოლავა და ე. კალანდარიშვილი.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 15 მარტი, ხუთშაბათი, №195, გვ. 3 .

ნიკო ჯანაშია

სოხუმიდან დეპეშა მივიღეთ, ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნიკო ჯანაშიაო. განსვენებული ცნობილი იყო სოხუმის ოლქში, როგორც გულწრფელი, უანგარო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე. მას დიდი ნდობა ჰქონდა დამსახ-

ურებული აფხაზთა შორის და დიდ სამსახურსაც უწევდა ქართველთა და აფხაზთა დამეგობრებას. ნიკო ჯანაშია ერთხანად სისტემატიურად თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთში და ხან კორესპონდენციებით, ხან წერილებით აშუქებდა სოხუმის ოლქის ჭირ-ვარამს. განსვენებული თანამშრომლობდა ჰამუთბეის ფსევდონიმით.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 8 აპრილი, კვირა, №216, გვ. 3.

ნიკო ჯანაშიას ხსოვნას

ქართველ მუშაკთა მცირერიცხოვან ჯგუფს კიდევ ერთი წევრი დააკლდა. გარდაგვეცვალა სათნო ნიკო ჯანაშია. ოც წელზე მეტია, რაც მან მუშაობა დაიწყო უმეტესად საეთნოგრაფიო დარგში: ჰკრებდა და ათავსებდა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ფრიად საინტერესო და ძვირფასს საეთნოგრაფიო მასალებს აფხაზეთისა და აფხაზების ცხოვრებიდან. უმთავრესი მისი სტატიები შემდეგია: 1). „აფხაზები. ეთნოგრაფიული მასალები“ („მოამბე“ 1897, №2, 5, 11. 1898, №7, 11. 1899, №4; კრებული 18989, №8; 1899, №4); 2). „შელოცვები“ (შეკრებილი სოფ. მაკვანეთში, გურიაში. კრებული 1897, №1); 3). „გურული ლექსები („მოამბე“ 1896, №4); 4). „აბრსკილი“ („ამირანი“). აფხაზური ლეგენდა (კრებული 1898, №5).

პირველი სტატია ამ ორი წლის წინათ შეავსო, გადააკეთა და დაბეჭდა რუსულად „Христианский Востокъ“-ში.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 11 აპრილი, ოთხშაბათი, №218, გვ. 4.

სოხუმიდან საქართველოს მთავრობის იქაური ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები ულოცავენ დამოუკიდებლობას, და აცხადებენ, ყოველთვის მზად იქნებიან დახმარება გაუწიონ მთავრობას, ხელს აწერს თავდგირიძე.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 2 ივნისი, კვირა, №247, გვ. 3 .

ანარქია სამურზაყანოში

უკანასკნელ ხანებში სამურზაყანოს რაიონში ანარქია ძლიერდება. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საჭიროდ სცნო დროებით ქუთაისის გუბერნიის კომისარს დაუქვემდებაროს რაიონი სახელმწიფოებრივი წესიერების დაცვის საკითხებში.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 20 ივნისი, ხუთშაბათი, №261, გვ. 3 .

წერილი სოხუმიდან

...„საჭიროა მთელი აფხაზეთი გაიწმინდოს ბოლშევიკებისაგან და აღდგენილ იქნას აფხაზეთის ისტორიული საზღვრები, საჭიროა იარაღი აეყაროს ბოლშევიზმით მოწამლულ სოფლებს“...

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 20 ივნისი, ხუთშაბათი, №267, გვ. 4 .

ანარქია აფხაზეთში

აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე შერვაშიძემ თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გამოგზავნოს საკმაო რიცხვი რაზმელებისა აფხაზეთის ზოგიერთ ნაწილში ანარქიის ჩასაქრობად.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 21 ივნისი, პარასკევი, №262, გვ. 2 .

ბრძოლა სოხუმთან

გაგრიდან სახალხო რაზმის მთავარ შტაბს დეპეშით ატყობინებენ: ჯარმა ხოსტან ადლერის მიმართულებით, 12 ვერსით უკან დაახევინა მტერს. ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ 6 ზარბაზანი, 8 ტყვიის მფრქვეველი და 200 კაცი ტყვედ წავიყვანეთ.

ჩვენ მოგვიკლეს ქართული ბატალიონის უფროსი ფირცხალავა, 2 ოფიცერი მე-3 პოლკისა. სულ დაჭრილნი და მოკლულნი 10-ია. ამათ გვარებს გაცნობებთ. ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობენ ზესტაფონის, ტფილისის და ადგილობრივი რაზმები.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 9 ივლისი, სამშაბათი, №275, გვ. 2 .

გაგრის საქალაქო თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გაგრას გადაეცეს კლიმატიური სადგური და 1000 დესეტინა მიწა როგორც სადგურთან არის. ამას გარდა ქალაქი ითხოვს, რომ მას სადგურის განკარგულებაში მყოფი 13000 დესეტინიდან გადაეცეს იმდენი, რამდენიც საჭიროა კურორტის მოსაწყობად.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 6 სექტემბერი, პარასკევი, №324, გვ. 2 .

უკანასკნელი ცნობები სამურზაყანოდან

სამხედრო მინისტრს ოჩამჩირედან კონიაშვილი და ჯუღელი ატყობინებენ: სამურზაყანოს ნაწილში სახალხო გვარდიის რაზმმა დაატყვევა ოსმალოს ასკერი, რომელნიც გამოწყობილნი არიან ოსმალეთის ჯარის საფორმო ტანისამოსში. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სამიოდე დღის განმავლობაში სამურზაყანოში სრული სიმშვიდე ჩამოვარდება, რადგან მეთაურები დარწმუნდნენ თავიანთ უძლურებაში და გვნებდებიან და პატიებას თხოულობენ.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 19 სექტემბერი, ხუთშაბათი, №333, გვ. 2 .

შეთქმულება აფხაზეთში
(მთავრობის ოფიციალური ცნობა)

მთავრობას დიდი ხანია მოსდიოდა ცნობები, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს ნაწილი და უმთავრესად თავად-აზნაურობის წრიდან, დაადგა რა აფხაზეთის სახალხო საბჭოს და მთელი სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების ღალატის გზას, სცდილობდა აფხაზეთის ხალხის და მთელი სახელმწიფოს საქმეებში მოეხდინა ჩარევა, ჯერ ოსმალთა და შემდეგ ალექსეევის გზით. უკანასკნელ დროში ამ ჯგუფის კადნიერებამ იქამდის მიაღწია, რომ ოლქის კომისარის მარღანიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით განიზრახეს მოეხდინათ

პოლიტიკური გადატრიალება. ამ მიზნით მოახდინეს ადგილობრივ სამხედრო ძალთა, აფხაზეთის ცხენოსან ასეულის და მილიციის მობილიზაცია და შემოერტყნენ აფხაზთა სახალხო საბჭოს და შეიყვანეს შენობაში შეიარაღებული პირები, ხოლო გარეთ ტყვიისმფრქვევებით გამაგრდნენ ასეთ პირობებში, აფხაზეთის სახალხო საბჭო, მის შემადგენლობაში მყოფ მოღალატეთა შეიარაღებულ ძალ-დატანების გამო მოკლებული იყო საშუალებას ემოქმედა სამშობლოს საკეთიდღეოდ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო-რა ყველა ეს მხედველობაში და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრნი არ იყვნენ არჩეულნი იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილ გამოხატულებას. ოქტომბრის 10-ს სხდომაზე დაადგინა: 1). აფხაზთა სახალხო საბჭო მის დღევანდელ შემადგენლობით დათხოვნილად ცხადდება, ახალი არჩევნები დაინიშნება თანახმად საყოველთაო საარჩევნო პრინციპისა. 2). არჩევნების საწარმოებლად ინიშნება ცენტრალური კომისია, რომელშიც შედიან: ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილი გურჯუა, ექიმი პაშალიდი და გიორგი შანშიევი. ამ კომისიას ეძლევა უფლება თავმჯდომარის არჩევისა და საჭირო პირთა კოოპტაციით მოწვევისა. 3). დროებით, ახალ საბჭოს არჩევნამდე, სოხუმის ოლქის კომისრად ინიშნება ბენია ჩხიკვიშვილი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელსაც ექვემდებარებიან სოხუმში ყველა მოქმედი ნაწილები მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილია სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4). აფხაზთა სახ. საბჭოს დათხოვნის გამო, აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს პოლკოვნიკ ჩქოტუას რწმუნებულება დასრულებულად ჩაითვალოს და აფხაზეთის საბჭოთა წარმომადგენლობა დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. 5). აფხაზეთის სახ. საბჭოს ქონების დაცვა და ახალ საბჭოსადმი მათი გადაცემა მიენდო ახლად დანიშნულ ცენტრალური საარჩევნო კომისიას.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 13 ოქტომბერი., კვირა, №357, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან

რევოლუციის შემდეგ საქართველოს საუკეთესო ნაწილი – სოხუმის ოლქი შეიქმნა ბრძოლის ასპარეზად – მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობისა და ავანტიურისა...

(შეიარაღებული შეტაკებები... იხ. დაწვრილებით – რედ.).

გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 23 ნოემბერი, შაბათი, №391, გვ. 3 .

1919

გაზეთი „ერთობა“

აფხაზეთის სახალხო საბჭო 8-დან 15 აპრილამდე.

„მიწის დეკლარაცია მიიღეს 15 აპრილს“.

„ყველა სახაზინო მიწები, საუფლისწულო, ეკლესიის და აგრეთვე კერძო პირთა ის მიწები, რომლებიც განსაზღვრულ ნორმას აღემატება, ჩამორთმეული იქნება და გადავა სახალხო მიწის ფონდში“.

გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 1 მაისი, ხუთშაბათი, №94, გვ. 4.

სოხუმი

1919 წ. აპრილის 23 შეიკრიბა მუსიკის მოყვარულთა ჯგუფი სოხუმელ ქართველ საზ-ბისა, მოისმინა რა მოხსენება კრების თავმჯდომარის თავდგირიძის და თფილისის ქართულ სამუსიკო საზოგადოების რწმუნებულის ზ. ი. ჩხიკვაძისა და ქართულ სამუსიკო საზოგადოების ფილიალურ განყოფილების დასაარსებლად ქ. სოხუმში, ერთხმად დაადგინა: დაუყონებლივ დაარსებულ იქნას სოხუმში განყოფილება ქართული სამუსიკო საზოგადოებისა. ამავე კრებაზე ამოირჩეს გამგეობის წევრები შემდეგის პირებისაგან: თავმჯდომარე ასტამურ იმალიპა, ამის ამხანაგად ნიკო თავდგირიძე, წევრებად ელადი ემუხვარი, ძუკუ ლოლუა, ივანე რამიშვილი და ბაგრატ იოსელიანი.

გაზ. „ერთობა“ , 1919 წ. 8 მაისი, ხუთშაბათი, №99, გვ. 4.

დ. გალი
(სამურზაყანო)

26 მაისი გალში კარგათ ჩატარდა. მთელი დაბა მორთული იყო გრილიანდებით და ცოცხალი ყვავილებით. დღის 3 სთ-ზე დაიწყო დღესასწაული. წინ მოდიოდა ადგილობრივი გვარდია. მას მიჰყვებოდნენ პოლიტ-პარტიების წარმომადგენელნი. ერთობის შენობასთან პროცესიას მიესალმა ერთობის თავმჯდომარის ამხანაგი. შემდეგ ხალხი გაემართა თავისუფალ მინდვრისაკენ. იქ 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს სოც-დემ; სოც-რევ; და სოც-ფედ. წარმომადგენლებმა. შემდეგ გაიმართა ბურთაობა და ცეკვა-სიმღერა. საღამოს ხალხი ნასიამოვნები კმაყოფილი დაიშალა.

გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 4 ივნისი, ოთხშაბათი, №121, გვ. 4.

გაგრა

კვირას, 15 თიბათვეს გაგრის სასტუმროს დროებით სათეატრო დარბაზში თფილისის პირველი რაიონის გვარდიელების მიერ ომში დახოცილი სახალხო ოჯახების სასარგებლოდ გამართულ იქნა დიდი სალიტერატურო საღამო 4 განყოფილებით 1) მოხსენება წაიკითხა ამხ. ვალიკო ჯუღელმა, რომელმაც ფართოდ გააშუქა ჩვენი შინაური და გარეშე პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. 2) წარმოდგენილ იქნა ა. ცაგარელის 1 მოქ. კომედია „ჭკუისა მჭირს“ ამხ. ალ. ძაძამიას რეჟისორობით, წარმოდგენაში მონაწილეობას

იღებდნენ შემდეგნი პირნი: ქ-ნი ზ. სოფრომაძე, ბ-ნი გ. გაბინაშვილი, ა. ხუხუტაშვილი, ე. კაციტაძე, ა. ჩიტაძე, კ. დიმეტრაშვილი და სხვა. მიუხედავათ სხვადასხვა დაბრკოლებისა, წარმოდგენა კარგად ჩატარდა, რითაც დამსწრენი ნასიამოვნები დარჩნენ. 3) თფილისის პირველი რაიონის მუშათა მომღერალმა გუნდმა შეასრულა სარევოლუციო ქართ-კახური სიმღერები და ქართული ჰიმნი „დიდება“, რამაც დამსწრეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ხანგრძლივი ტაშის ცემით დაჰფარეს მთელი დარბაზი. 40 დივერტისმენტი. წარმოთქმული იქნა ამხ. ე. კაციტაძის მიერ შინაარსიანი ლექსები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე და ხანგრძლივი ტაშის ცემით იქნა დაჯილდოვებული, წაკითხულ იქნა ა. ძაძამიას მიერ თანამედროვე მხიარული, იმერული და მეგრული სცენები, რამაც ხანგრძლივი სიცილი და ტაშის ცემა გამოიწვია, საერთოდ საღამო მეტათ შინაარსიანი პროგრამით იყო შედგენილი, რითაც დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. დასასრულს გაიმართა ცეკვა და ამერიკული აუქციონი. სასურველია, რომ შემდეგშიაც გაიმართოს წარმოდგენა – საღამოები, რომლის მოთხოვნილებაც მეტად დიდი და მნიშვნელოვანია ფრონტზე მყოფთ ჯარისკაცთა და გვარდიელთათვის.

პატარა საბორელი

გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 25 ივნისი, ოთხშაბათი, №138, გვ. 4.

აფხაზეთის საკითხი
პოლიტიკა... პროგნოზი... (ვრცელი)

სამურზაყანო „დასახლებულია ქართველებით რომელიც 17 საუკუნეს აქეთ ვიდრე რუსეთის გაბატონებამდე ამიერკავკასიაში ცალკე ერთეულს წარმოადგენდა. თვითონ აფხაზთა ტომი აფხაზეთში სულ რაღაც 20-25 ათასს უდრის, მაშინ როდესაც მარტო სამურზაყანოს მცხოვრებთა რიცხვი 50.000-ს. დანარჩენი წვრილი ერებია სომხები, ბერძნები, ესტონელები, რუსები და სხვანი.

გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 11 ივლისი, პარასკევი, №152, გვ. 1-2.

სოხუმის ოლქის თითქმის მოწყვეტილია ქვეყნიერებას. კვირაში ორჯერ ან სამჯერ ესტუმრება გემი, რომლიდან გადმოსული მოგზაური შემთხვევით ჩამოიტანს რომელიმე გაზეთს და იქიდან ამოწერილი ამბები გამოქვეყნდება ხოლმე, ადგილობრივ „ნაშე სლოვოში“-ში. სხვა ბეჭდვითი ორგანო არ მოიპოვება ამ ოლქში და არც თბილისის გაზეთები იშოვნება გასაყიდად. ასე, რომ სოხუმის მის გარშემო მცხოვრებნი მხოლოდ ბუნების სიმშვენიერით უნდა დასტკბენ.

სპეკულიანტებისათვის სოხუმი ფართე ასპარეზს წარმოადგენს. ჭირნახულით მდიდარ კუთხეს კალასავით მოსდებია ზღვის გაღმელი მილეთის ვაჭრები და სხვადასხვა კომბინაციებით მდიდრდებიან, არ არის ძლიერი კოოპერატიული კავშირი, არც სოფლებში არც ადგილობრივად, რომ მეტოქეობა გაუწიოს მათ. მართალია, ამჟამად გარეშე ქვეყნებში ფულით ვერაფერი გააქვთ, მარა საქონელზე ადგილზე აქვთ დაბევებული და დროს უცდიან. ჩვენი სამხედრო ძალა ძლიერია ამ ოლქში და ამ მხრივ სახელგანთქმულია ჩვენი ჯარი და გვარდია. ვერ არის მოწესრიგებული სოფლის ადმინისტრაცია. ეროვნებები ჯერ სუსტობენ. სასამართლო ვერა დგას თა-

ვის დანიშნულებაზე. აბხაზთა საბჭოს არსებობა ჯერ ფართო მასამ არც კი იცის. დემოკრატია შველას მოელის საქართველოს მთავრობისაგან. პარტიული მუშაობა სუსტია და ამიტომ მთელს ოლქში შავრაზმულ ჭორიკანობას აქვს ადგილი. მეტად საჭიროა თფილისის გაზეთების გავრცელება, როგორც სოხუმში, ისე მის მიდამოებში. გაზეთების მოწოდება მოხერხებულია სენაკი-ზუგდიდი, ოჩამჩირის მხრით დელეჟნების საშუალებით. ეს უნდა იკისროს ადგილობრივმა ან ცენტრალურმა მთავრობამ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

გაზ. „ერთობა“,1919 წ. 15 ივლისი, სამშაბათი, №155, გვ. 4.

აბხაზეთის კომისარიატის მიერ გადმოცემულ კანონის თანახმად აბხაზეთის კომისარიატთან უნდა დაარსდეს იურიდიული კომისია საჭირო შემადგენლობით. შემოღებულ იქმნას მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და უნდა გაუქმდეს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომლის ფუნქციები დროებით სოხუმის საოლქო სასამართლოს დაევალოს. ზემოხსენებულ პროექტის განსახორციელებლად მიეცეს იუსტიციის კომისარს 29.400 მან.

გაზ. „ერთობა“ ,1919 წ. 30 ივლისი, ოთხშაბათი, №163, გვ. 3.

გაზეთი „საქართველო“

დ. ოჩამჩირე

ქ. ოჩამჩირე ფინანსურ კრიზიზსს და ძლიერ საჭიროებს სახარს. აუცილებელი ხარჯების გასასტუმრებლად ქალაქს დღემდე ვერ მიუღია მთლიანად ეს თანხა, რომელიც საჭიროა მილიციის შესანახად, ქალაქს ხაზინიდან ერგება მისაღებად მიმდინარე წელს 1 იანვრამდე 16, 967 მ 23 კაპ. ამის გამო ოჩამჩირის ქალაქის „თვითმმართველობა შუამდგომლობს მინისტრის წინაშე, რათა განკარგულება გასცეს ამ თანხის მიცემისათვის.

გაზ. „საქართველო“, 1919 წ. მარტი 30, №71, გვ. 3.

გაზეთი „სახალხო საქმე“

სოხუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი

ბრძანება 1919 წ

სოხუმისა და გაგრის ოლქები გამოცხადებულ იქნას სამხედრო წესებზე და ოლქების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნოს იოსებ გედევანიშვილი.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 9 თებერვალი, კვირა, №453, გვ. 2 .

სამურზაყანოში

I ნაწილი:

(იხ. ისტორიული მიმოხილვა.... – რედ.).

ბათუმის პარტიზანული რაზმი 1918 წლის 28 სექტემბრის სამეგრელოდან სამურზაყანოს გადავიდა.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. №453. გვ. 3-4.

სამურზაყანოში

II ნაწილი:

ისტორიული მიმოხილვა

მუდმივი დამსჯელი რაზმები, სახლების გადაწვა, კარ-მიდამოს განიავება, ხალხის დახვრეტა, – აი, რა ახასიათებს რუსების მაშინდელ მოღვაწეობას სამურზაყანოში. ყველა ეს რუსების აზრით საჭირო იყო „სამურზაყანოელების ველური და ყაჩაღური ბუნების გასაკეთილშობილებლად“. ეს გაკეთილშობილება კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სამურზაყანოელებს თავიანთი ქართველობა ერთხელ და სამუდამოდ დაევიწყნათ და ტკბილი მოგონება დიდებულ საქართველოსი თავიანთი ხსოვნიდან საბოლოოდ ამოეშალათ. ამ „კეთილშობილური“ მისიის შესასრულებლად რუსები ურცხვად სდევნიდნენ ყველა იმას, რასაც ქართული ნიშან-წყალი ჰქონდა და სამურზაყანოელებს თავიანთ ქართველობას მოაგონებდა. უპირველესად, დევნა დაუწყეს ქართულ წირვა-ლოცვას, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის ერთადერთ შემაერთებელ ხიდად გადარჩა სამურზაყანოსა და საქართველოს შორის. საგანგებო „სამეცნიერო“ კომისიების საშუალებით კიდეც დაამტკიცეს, რომ სამურზაყანოელნი აფხაზები არ არიან, თუმცა აფხაზებთან არც ენით და არც ზნე-ჩვეულებით საერთო არ ჰქონდათ და ამ დრომდე იმდენადვე დაცული იყო მეგრულის ენის სიფაქიზე და მეგრული ზნე-ჩვეულებანი, რამდენადაც თვით სამეგრელოში. რახან რუსებმა სამურზაყანოელების არა ქართველობა „დაამტკიცეს“ და აფხაზეთს მიაკერეს, რომელსაც არც თავისი წირვა-ლოცვა (ქართული იყო) და არც საკუთარი ანბანი ჰქონდა, კიდეც შეუდგნენ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, სამურზაყანოელების რუსულად აღზრდას. დაარსეს წმინდა რუსული სკოლები – ჯერ სამისიონერო და შემდეგ სამინისტრო და ლამობდნენ, ბოლომდე მიიყვანათ კარგა ხნის დაწყებული საქმე ხალხის გადაგვარებისა და გარუსებისა – მაგრამ იქუხა დიდმა რევოლუციამ, ნაფოტებისგან აშენებული დიდებული რუსეთი დააქცია და მასთან ერთად დაღუპა „დიდი რუსული საქმე“ სამურზაყანოში.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 14 მარტი, პარასკევი, №479, გვ. 4 .

სოხუმის სამუსიკო საზოგადოების განყოფილება

ქართულს სამუსიკო საზოგადოების დავალებით ზ. ჩხიკვაძემ ქ. სოხუმში გახსნა აპრილის 23-ს საზოგადოების განყოფილება, რომელსაც დაერქვა სოხუმის აფხაზ-ქართველთა სამუსიკო საზოგადოება: თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ასტამური ინალიფა, ამხ. ნ. თავდგირიძე.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 7 მაისი, ოთხშაბათი, №519, გვ. 2 .

მისალოცი დეპეშები

აფხაზეთის სახალხო საბჭო ავტონომიური აფხაზეთის ხალხის სახელით, სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. მთელი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას მიჰყავდა ხალხი დემოკრატიული წყობილების განმტკიცების გზაზე, იცავდა მას შინაური ანარქიიდან და კონტრევოლუციის საფრთხისაგან, საბჭოს ღმად სწამს, რომ საქართველოს და აფხაზთა დემოკრატია მტკიცე კავშირით შესძლებენ რევოლუციის მონაპოვართა დაცვას და მიაღწევენ სხვა ხალხის დემოკრატიასთან ძმურ გაერთიანებას.

გაუმარჯოს საქართველოს და აფხაზეთის დემოკრატიის ერთობას და ხალხთა შორის ძმობას.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე შერვაშიძე.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 29 მაისი, ხუთშაბათი, №537, გვ. 4.,

გალი (სამურზაყანო)

მაისის 26 აქაც ვიდღესასწაულეთ. ხალხი დღესასწაულს ბლომად დაესწრო. ქალაქი მორთული იყო ეროვნული დროშებით. დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობენ პარტიები და გვარდია. დღესასწაულის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს ჩვენი პარტიის სახელით ამხ. კ. დარსელიამ, ერთობის სახელით დ. ჩხოლარიამ და სხვებმა. საღამოს გაიმართა ბურთის თამაში. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 4 ივნისი, ოთხშაბათი, №541, გვ. 3 .

გალი (სამურზაყანო)

– არ იქნა და ვერ მოესწრო ფოსტის მიმოსვლა, რაც ძალიან აწუხებს ხალხს. გაზეთი ხომ ჩვენთვის უჩვეულო რამ არის; ნეტავი თუ ვინმე ზრუნავს სამურზაყანოზე. საჭიროა ერთობამ აღძრას საჭირო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

– ადმინისტრაციის ორგანიზაცია ახლა უკვე არის მოწყობილი და თან და თან მისი საქმეები. ამ დღეებში ადმინისტრაციას გამოეცხადა ორი ავაზაკი.

– ადგილობრივი კოოპერატივი მეტად ცუდ მდგომარეობაშია, თითქმის თვეა დახურულია. ბოროტი ენები ლაპარაკობენ, რომ თითქოს ფული იყოს გაფლანგული.

– პროვოკაციას აქ დიდი გასავალი აქვს. თავისუფლების და რესპუბლიკის უკმაყოფილონი ეწევიან ერთობის საწინააღმდეგო აგიტაციას, რასაც საჭიროა მოექცეს ყურადღება.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 5 ივნისი, ხუთშაბათი, №542, გვ. 2 .

ქ. სოხუმში დიდებულად იდღესასწაულა ქ. სოხუმმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი.

კომისიის მიერ წინადვე შედგენილს გეგმით დილიდანვე ამოძრავდა ქალაქი და სადღესასწაულოდ მორთულმა ხალხმა გასწია თავისუფლების მოედნისაკენ: იქითკენ დაიწყო დევნა ეროვნულ და რევოლუციური დროშებით სხვა და სხვა ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა თავიანთ დროშებით და პოლიტიკურმა პარტიებმა.

ადგილობრივი სოციალისტ-ფედერალისტები შეგროვდნენ სანაპირო ქუჩაზე „კიოსკთან“ და თერთმეტ საათზე გასწიეს მოედნისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდა მომღერალთა გუნდი ეროვნულის ტანისამოსში გამოწყობილი და ამხ. ძუკუ ლოლუას ეროვნულს ლოტბარობით აგუგუნებდა რევოლუციონერს და ეროვნულს სიმღერებს.

მოედანზე აუარებელს ხალხს მოუყრია თავი და მეორე პოლკიც ლამაზად ჩამწკრივებულიყო აღლუმის მოლოდინში.

პარაკლისის შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიმართა ჯარს მეორე რაზმის უფროსმა პოლკ. თუხარელმა.

შემდეგ მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა ჩამოუარა ჯარს და ყველა ორგანიზაციებს და ყველას სიტყვით მიმართა.

აქედან მთელი ეს პროცესი დაიძრა სანაპირო ქუჩისაკენ, სადაც საუცხოოდ მოერთოთ სტუდენტებს საზეიმო თაღი დროშებით და ყვავილების ხლართულით.

აქვე იყო გამოფენილი საქართველოს გენიის გამომხატველის შოთა რუსთაველის, ილია და აკაკის, არჩილ ჯორჯაძის და ზდანოვიჩის ნ. ჟორდანიასი, ნ. ჩხეიძის და ი. წერეთლის.

დაიჭექა, თუ არა ზარბაზნებმა, აფრიალდა ეროვნული დროშა, რომელიც სახელმწიფო ღერბს ფარავდა და გამოჩნდა თეთრი ტაიჭოსანი რაინდი.

იქვე გამართულს ტრიბუნაზე გამოჩნდა ისევ რამიშვილი, გახსნა მიტინგი და მიესალმა მთავრობის სახელით ხალხს, შემდეგ ილაპარაკა სოც. რევოლუციონერების წარმომადგენელმა ბერულავამ რუსულად. ბერძნულად ილაპარაკა ბერძნების წარმომადგენელმა. სამწუხაროდ, ორატორები რუსულად ლაპარაკობდნენ და მხოლოდ ამხ. სამს. დადიანმა წარმოსთქვა სიტყვა ქართულად, განმარტა ამ დიდი დღის ისტორიული მნიშვნელობა, როგორც საქართველოსათვის, აგრეთვე ყველა ეროვნებათათვის და აღფროვანებით მიმართა ჩვენი თავისუფლების გმირ დარაჯს ქართულ ლაშქარს.

ამის შემდეგ დაიწყო სეირნობა და საგანგებოდ მოწყობილ სეფაში საერთო მეჯლისი. წარმოითქვა ბევრი სადღეგრძელო და ყველა ერთმანეს ულოცავდა დღესასწაულს. ამხ. ს. დადიანმა მოკლედ სიტყვაში მოიხსენია არჩილ ჯორჯაძე, დეკანოზიშვილი, გ. ლასხიშვილი, რომელთა ოცნებას შეადგენდა საქართველოს თავისუფლება, „გაუმარჯოს არ. ჯორჯაძეს და მის იდეალებსო“ დაამატა მან და ხალხმაც დასძახა: „გაუმარჯოს, გაუმარჯოსო“.

ღამით თეატრში გაიმართა სახალხო წარმოდგენა, რის შემდეგ მეორე რაზმის ოფიცრობამ ვახშამზე მოიპატიჟა აფხაზეთის მთავრობა, ის. რამიშვილი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პლ. გელოვანი, ამხ. ს. დადიანი და სხ. მოღვაწეები. აქაც მრავალი საგულისხმო სიტყვები წარმოსთქვა და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ მთელი ოფიცრობა რაზმის უფროსს პოლკ. თუხარელთან ერთად ფიცს სდებდა, რომ სიცოცხლეს შესწირავს საქართველოს თავისუფლებას.

მოქალაქე

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 7 ივნისი, შაბათი, №543, გვ. 3 .

აფხაზეთის კომისარიატმა გამოსცა კანონი. რომლის თანახმად კომისარიატთან უნდა დარჩეს იურიდიული კომისია, აფხაზეთში შემოღებულ უნდა იქმნას არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, უნდა გაუქმდეს სოხუმის მომ-

რიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომლის ფუნქციებიც დროებით დაევალება სოხუმის საოლქო სასამართლოს. ხსენებულ საქმის მოსაწყობად იუსტიციის კომისარს საქართველოს ხაზინიდან ამ წლის ბოლომდე უნდა მიეცეს 29 400 მანეთი.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 30 ივლისი, ოთხშაბათი, №588, გვ. 3.

მეურნეობა და კულტურული მუშაობა

1919 წ. იანვრისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 1000-მდე კოოპერატივი ითვლებოდა და 260,612 ოჯახს აკავშირებდა. თვითოეულ ოჯახში ოთხ-ოთხი სული ვიანგარიშოთ და დავინახავთ, რომ ჩვენ კოოპერატივებს დაურაზმავს 1.042,448 მომხმარებელი ანუ დაახლოებით 41,9% მცხოვრებთა რიცხვისა...

...ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კავშირის 1918 წ-ის განმავლობაში გაუყიდია 2.115.508 მ. საქონელი – აქედან კოოპერატივებს მიეცა 1.856.430 მ. საქონელი (ე.ი. თითქმის 880%) წმინდა მოგება ამ ოპერაციებიდან კავშირს დარჩენია 350.000 მანმდე. კავშირს შეუძენია 2.903.701 მან-ის საქონელი (ადგილობრივ კოოპერატივთა ნაწარმოები – 84,184 მანეთისა)...

... ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირმა თავისი წმინდა მოგება ასე გაანაწილა: სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაიდო 15 ათასი მან. კოოპერატიული სკოლისათვის – 25 ათასი მან, ამ სკოლის სტიპენდიანტებისათვის შესანახავად – 15 ათასი მანეთი. ზუგდიდში სახალხო სახლის ასაგებად 40 ათასი მან, მოსამსახურეთა კლუბის 10 ათასი მან, ზუგდიდ-სამურზაყანოს მაზრ. სასწავლებლს 17 ათასი მან, ზუგდიდის გიმნაზიის შენობისათვის 5 000 მან და ბიბლიოთეკას 3000 მან და სხვ...

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 7 აგვისტო, ხუთხშაბათი, №595, გვ. 2.

ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირი „სახალხო საქმეს“.

გასულ თვეს ქ. ზუგდიდში შესდგა ზ-ს. კ. კ. „სახალხო საქმე“-ს რწმუნებულთა საერთო წლიური კრება, გამოცხადდა 108 დელეგატი.

თავმჯდომარედ აირჩიეს მექი კობახიძე და ადგ. სამაზრო ერობის გამგეობის თავჯდომარე ლეო შენგელია.

კრებას უნდა განეხილა წასული წლის ანგარიშები და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა...

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 9 აგვისტო, შაბათი, №597, გვ. 3.

სოხუმის დასის რეჟისორად სოხუმის ქართულმა საბჭომ მსახიობი ვ. ბარკელი მიიწვია.

სალამის დეპეშა: გაგრის ფრონტიდან ცხენოსან გვარდიის დივიზიონის მხედართა და ოფიცერთაგან საზ: „კაპელა“-ს სალამისა და მადლობის დეპეშა მიიღო კაპელას დასის მიერ ფრონტზე გამართულ კონცერტის გამო.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 2 აგვისტო, ხუთშაბათი, №642, გვ. 2.

აფხაზთა დელეგაცია

ტფილისში ჩამოვიდა აფხ-ის სახ. საბჭოს რწმუნებულთა დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს აფხ-ის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის შემდგენელ პარიტეტულ კომისიაში.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 8 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №647, გვ. 3.

აფხაზეთის ეკლესიის შემოერთება

სრულიად საქ-ლოს კათალიკოსმა ლეონიდემ სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მიიღო, აფხაზეთ სამურზაყანოს წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა აფხაზეთის ეკლესიის საქ-ლოს საკათალიკოსოსადმი შემოერთება, ეპისკოპოსად აირჩიეს ამბროსი ჭყონდიდელი. კათალიკოსმა ლეონიდემ საპასუხო დეპეშა გაუგზავნა, სადაც იგი ულოცავს აფხაზეთის ხალხს ისტორიულ ნაბიჯს და ამბროსის ახალ მწყემს-მთავრობას.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 12 ოქტომბერი, კვირა, №551, გვ. 3.

დაბა აჩიგვარა

(გეოგრაფიული მიმოხილვა – რედ.)...

...ამ 30 წლის უკან ამხანაგობამ შეისყიდა თავად ანჩაბაძეებისაგან მთელი მიწა-ადგილი აჩიგვარათ წოდებული, პირველ ხანებში სანამდის მემამულეები დაამზადებდნენ ყოველგვარ საბუთებსა, ქაღალდებსა, გააკეთეს უბრალო ნასყიდობის ქაღალდი. გაიჩეხა, გაიწმინდა ადგილები. ნაწილი მიიჩნიეს ეკლესიისათვის, ნაწილი სკოლისთვის, ნაწილი ბაღისთვინ, იარმუკასა და სხვა საზოგადო საკულტურო საჭიროებისათვის. ზოგი დასახლდა, ზოგმა ააშენა სავაჭრო დუქნები. ეს ადგილი ქურდბაცაცების საბუდარი (აჩიგვარა აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს საცხენეს. როგორც გადმოცემაა ქურდები ნაქურდალ ცხენებს აქ მალავდნენ.) ამხანაგობის ცდით და მუშაობით დაადგა აყვავების და წარმატების გზას. აი ამ დროს ამხანაგობაში იჩინა თავი შურმა და გაუტანლობამ.

პირველად ამხანაგობიდან გამოდის ლუკა გადელია, ის მიდის ერთი მიწის გამყიდველთაგან (ჩვენი თავადები ხომ თუ კი იშოვიდნენ მყიდველს რამოდენიმეჯერ ჰყიდდნენ ერთჯერ გაყიდულ მიწას) ართმევს მცირე საფასურში უფულო ვექსილებს, რომლით ის ეპატრონება ამხანაგობის მიწას. ასევე სჩადის კოლა შეპანსკი. როცა ხმას იღებენ ამხანაგები, შვიდ კაცს, უფრო ქონებიან გავლენიანებს, ჰპირდება ნაწილობასა და ასე აჩუმებს მათ, დანარჩენთ აბუჩად იგდებს და არ აქცევს არავითარ ყურადღებას. მესამეთ ბატონი ვასილ ჟორდანია ჰკრებს ამხანაგობაში ფულს მიწის დამტკიცების საჭიროებისათვის, ის ამტკიცებს თავის სახელზე ერთ ნაჭერს. არსდება ამხანაგობა მიწის დამტკიცება დანაწილებისა. მაგრამ დრო მიდიოდა და დაარსების ასრულებას ბოლო არ უჩანდა. ამ გვარად მთელი ამხანაგობის ნაყიდი მიწები დაიტაცეს ძალით ღალატით, მოტყუებით ამ სამმა მოღალატემ. არ აძლევდნენ არავის არავითარ საშუალებას არავითარ სასყიდელ საფასურში დასახლკარებისა ან რაიმე შენობის აგების. ერთმა ამხანაგთაგანმა ააშენა კედლები ვერ იქმნა და ვერ ეღირსა გადახურვის ნებას. მზად იყო ახლად მიწის ბატონ-პატრონად მოვლინებულის ყოველგვარი კარნახი აესრულებინა. დღეს ხვალით დრო მიჰქონდა და ბოლოს ის

კედლები იქ დალპნენ და დაინგრნენ.

ერთმა ამხანაგმა სხვა საშუალება რომ ვერ გამოძებნა, ღელეში ჩადგა შენობა. მაგრამ როგორც ცოტა დაწვიმს, მთელი შენობა წყალშია ჩაფლული. ბევრს თითო ნესტიან ოთახებში ჰყავთ ცოლშვილი ჩამწყვდეული და იქ უჩნდებათ ათასგვარი ავადმყოფობა. როგორც ერთი იმ სამთაგანი ამბობდა, რკინის „რეშოტკაში“ მყავს ჩამწყვდეულიო. მართლა ამ ვაჟბატონებს მთელი აჩიგვარა რკინის „რეშოტკით“ აქვთ მოვლებული.

ამას წინათ სამურზაყანოს ერთობამ გახსნა აჩიგვარაში საავადმყოფო. ასრულდა დიდი ხნის მათი ნატვრა. შენობა უნდა აეღოთ აჩიგვარის, გუდავის, რეფ-შეშელეთის, მუხურის და ბედიის საზოგადოებისა. ესენი დიდის ხალისით შეხვდნენ და მზად არიან, რაც არ უნდა დაუჯდეთ ააგონ შენობა.

აგვისტოს დამლევს ყველა ამ ხუთ საზოგადოებას კრება ჰქონდათ აჩიგვარაში. კრების მიზანი იყო ამოერჩიათ საავადმყოფო და სხვა დაწესებულებათვის მიწაადგილი.

კრებამ გაითვალისწინა რა სხვადასხვა ადგილთმდებარეობა, შეჩერდა ამ ამხანაგობის მიერ შეძენილი მიწა-ადგილზე და მოსთხოვა მათ დავთმოთ ეს ადგილი, როგორც საავადმყოფოს ბინის ასაშენებლად, აგრეთვე მიეჩინათ ადგილები საცდელი მინდვრისათვის, აგრონომიული სასწავლებლისათვის, რომლის გახსნასაც თხოულობენ ეს ხუთი საზოგადოებანი.

ჟორდანიას აზრი არ ვიცით, ის კრებას არ დასწრებია, ხოლო გადელია და შეპინკი წინააღმდეგნი დარჩნენ ამისა. ისინი მოითხოვდნენ ეს თავისუფალი მიწები მისცემოდათ მათ ნორმაში. კრება მოითხოვდა მათ სხვა მამულებიდან აეღოთ ნორმა და ეს საზოგადოებისათვის სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ.

ეს ოქმი წარედგინა სამურზაყანოს სამაზრო ერობას. ერობამ საჭიროდ სცნო დაეკმაყოფილებინა საზოგადოებების სამართლიანი მოთხოვნა და თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა აფხაზეთის კომისარიატის წინაშე. კომისარიატმა არ დააკმაყოფილა ეს მათი სამართლიანი მოთხოვნა, თუმცა კომისარიატში არიან ისეთნი არსნი, რომლებმაც კარგად იციან მთელი საქმის ვითარება.

ვიმედოვნებთ ეს შეცდომა გამოსწორებული იქნება და ამით აღელვებული სამურზაყანოს მცოვრებლებს დაამშვიდებენ.

თ. ნ. სამურზაყანოელი

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 29 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №665, გვ. 3.

სოხუმში

ექიმ ვ. ფილიმონოვაას საკუთარ ბინაზე ყელი გამოჭრეს შურისძიების მიზნით. გამგეობის წევრის ლ. ნოვიკოვის მოკვლა განიზრახეს მაგრამ ააცილეს.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 30 ოქტომბერი, ხუთშაბათი, №666, გვ. 3.

ოჩამჩირე

შარშანდელი და წარსული წლების არევ-დარევამ აფხაზეთში ზიანი მიაყენა სახ. განათლების საქმეს. თითქმის მთელი აფხაზეთის სკოლებში შეწყვეტილი იყო სწავლა-

განათლების საქმე და წელს იმის აღდგენას უკვე დიდი ენერგია და უნარი სჭირდება.

ამიტომ ოქტომბრის 12 ქ. ოჩამჩირეში შესდგა კოდორის მაზრის მასწავლებელთა პირველი ყრილობა.

ყრილობის თავჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი გრ. მ. ჯაფარიძე, მდივნად ი. ს. ქორქია.

ყრილობამ მსჯელობა იქონია კოდორის მაზრის მასწავლებელთა კავშირის დაარსებაზე, სასწავლებელთა საჭიროებებზე და მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობაზე.

თავჯდომარის წინადადებით შემუშავებულ იქნა წესდება მასწავლებელთა მომავალ კავშირისა და უპირველესი მნიშვნელობა მიეცა კულტურულ-განმანათლებელ მხარეს კავშირისას და აგრეთვე მასწავლებელთა ნივთიერ დახმარებას. სკოლათა საჭიროების საკითხზე ადგილებიდან მოხსენებებმა ნათლად აჩვენეს ყრილობას აფხაზეთის სახალხო სკოლათა უმწეო მდგომარეობა. ამ მხრით ყრილობა გამოსთქვამს სურვილს, რომ ერობის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლებს და მათი საკითხი გამოცდილ პირებთან ერთად გაარჩიოს.

დასასრულ არჩეულ იქნა მუდმივი პრეზიდიუმი კავშირის მომავალ ყრილობათა. პრეზიდიუმის თავჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ყრილობის თავჯდომარე გიმნაზიის დირექტორი გრ. მ. ჯაფარიძე, მის ამხანაგად პ. მ. გოგია, მდივნად პ. ს. შავერბაი. გამგეობის წევრებად: ი. ს. ქორქია, დ.ს. ჟივ, ვ. მ. კვიწინია.

სოფლელი

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 18 ნოემბერი, სამშაბათი, №682, გვ. 3-4.

სოჭის ქართველობა

სოჭის ქართველობამ სათანადო უწყების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა სოჭის გიმნაზიაში სავალდებულო საგნად შემოღებულ იქმნას სახელმწიფო ენა.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 2 დეკემბერი, სამშაბათი, №694, გვ. 3.

სოხუმის სანატორიუმი

განათლების სამინისტრომ დაავალა საქართველოს წითელი ჯვრის სოხუმის განყოფილების წარმომადგენელს ქ. ნ. თავდგირიძისას შეიმუშაოს დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა სოხუმის სანატორიუმის შესანახად. სამინისტროს აზრად აქვს ამ სანატორიუმში მოათავსოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებში მოსამსახურე დაავადებული პირები, რომელთა შორის უპირატესობა ექნებათ განათლების უწყებაში მოსამსახურედ.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 4 დეკემბერი, ხუთშაბათი, №696, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

სოხუმში მთავრობის წარმომადგენელი ის. რამიშვილი ჩამოვიდა.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 7 დეკემბერი, კვირა, №699, გვ. 4.

წერილი სამურზაყანოდან

ჩვენს პრესაში იშვიათად შეხვდებით ხოლმე სამურზაყანოს შესახებ ცნობებს, თუმცა საგაზეთო ცნობები აქ მრავალზე უმრავლესია. მაგრამ ეს ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ სამურზაყანოში ძალა სხვა ჩვენი განაპირა კუთხეებთან შედარებით ძალიან ცოტაა, და მეორეს მხრით იმით, რომ ის ერთობ მოწყვეტილია ჩვენს დედაქალაქს და ახლო დამოკიდებულება სოხუმთან აქვს. ჩემი წვლილის მიზანია გავაგებინო მკითხველებს, თუ რა ხდება დღეს სამურზაყანოში, როგორია მისი შინაური მდგომარეობა.

პოლიტიკა, პარტიები, სამხედრო რაზმები.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 24 დეკემბერი, ოთხშაბათი, №712, გვ. 2.



ჭუბურხინჯის ტაძარი, XI ს.

1920

გაზეთი „ახალი კომუნისტი“

სოხუმის ოლქი

სოხუმის ოლქი საზოგადოდ განთქმულია თავისი ბოლშევიკობით. არ ჩამორჩა მას სოხუმის ოლქის მშრომელი ახალგაზრდობაც. სოხუმის ოლქშიც ამჟამად შეკავშირებულია 500-550 მშრომელი ახალგაზრდა. სოხუმის ოლქი კომკავშირებისათვის წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ამას ხელს უწყობენ კიდევ საქართველოს მენშევიკები, რომლებიც „ოკრაინული“ პოლიტიკა არაფრით განსხვავდება ძვ. თვითმპყრობელ „ოკრაინულ“ პოლიტიკასაგან. თუმცა აქტიური და ინტელიგენტური ძალები ნაკლებად არიან, კავშირი სწრაფად იზრდება, რადგანაც მასსა დარწმუნებულია, რომ მის ინტერესებს იცავს მარტო კომკავშირი.

სოხუმის საოლქო კომიტეტმა მიიღო ზომები, რათა შეაკავშიროს ყველა ის ამხანაგები, რომელნიც თანაუგრძნობენ ორგანიზაციას, მაგრამ დღეისდღეობით მოწყვეტილი არიან.

გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 3 ოქტომბერი, კვირა, №58, გვ. 4.

სოხუმი
„იდეურად გვებრძვიან“

სანამ ჩვენი პარტია ლეგალურ მუშაობას შეუდგებოდა, ჩვენი მოწინააღმდეგე ბანაკიდან პრესაში იქნებოდა თუ კერძო ლაპარაკში მხოლოდ და მხოლოდ დიდი და პატარა პოლიციელი და პუბლიცისტი ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველ ჯვარედინზე, გაიძახოდნენ: „კომუნისტ-ბოლშევიკებს შესწევთ იმის უნარი და ძალა, რომ ჩვენ იდეურად გვებრძოლონ. ხალხი მათ არ მიყვება და მიტომაა ერთი მუჭა ავანტიურისტების წყალობით უნდათ იარაღით გვებრძოლონ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდონო“. დიახ, ამას ღაღადებდნენ არა მარტო მენშევიკები, არამედ ნაც-დემოკრატები, ეს ფერები და ეს ერებიც. მერე რას ვხედავთ? ჩვენი პარტიის ლეგალურად გამოცხადების ამბავმა ჩვენამდის ივნისის რიცხვებში მოაღწია. შვიდს ივნისს შედგა კრება ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგებისა, სადაც სრულიად იქმნა მოწონებული ცენტრის გადაწვეტილება. ამ დღიდან იწყება ლეგალური მუშაობა სოხუმის ოლქში, ჩვენი პარტიის ლეგალიზაციას სოხუმის ოლქის მშრომელი მასსა შეხვდა აღტაცებით, ათობით და ასობით იწყეს დენა ჩვენს ორგანიზაციებში ყველა დარგის მუშებმა.

ასეთ შედეგებს ჩვენი ლეგალური მდგომარეობიდან ჩვენი მოწინააღმდეგეები არ ელოდნენ, იმედი გაუცრუვდათ, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ უშველეს თავს. ივნისის შუა რიცხვებში მმართველმა პარტიამ მოიწვია საგანგებო კრება, სადაც მთავარი საკითხი იყო: ბოლშევიკების ლეგალიზაციის საფრთხე. აქ ამ საგანგებო კრებაში იქნა მიღებული: „დატუსაღება ყველა აქტიური მომუშავეების, მიეცეს შემუშავებული ტექსტი ყველა მილიციის უფროსებს, რის თანახმად უნდა შეადგინონ ოქმებიო. „დიახ ეს იქნა სისრულეში მოყვანილი ივნისის რიცხვებში, 21 ივნისს დაიჭირეს ქალაქ სოხუმში მყოფი ამხანაგები, მერე შეუდგნენ მთელი ოლქის „გაწმენდას“, რა იყო მიზეზი? ის რომ სარეგისტრაციო ფურცლებით ვაწყობდით

„აჯანყებას“, სარეგისტრაციო ფურცლებით თურმე ახალი სისტემის იარაღი ყოფილა ესეც მენშევიკური აღმოჩენაა, „მეცნიერების“ დარგში. „იარაღით დამარცხება გვირჩევნია, არჩევნებში დამარცხებასაო“, ასეთია დღეს მენშევიკების ლოზუნგი, მაგათ არა დღეს იგემეს იდეური გაკოტრება არამედ დიდი ხანია.

მაშ რა დარჩათ მეტი საჭირო ჩვენს „იდეურ“ მოწინააღმდეგებს? აი, რა კიდევ. ნოემბრის შუა რიცხვებში შინაგან საქმეთა კომისარის განკარგულებით იქნა დაკეტილი ე. წ. ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის სამკითხველო. ასეთ „მოულოდნელ“ უსამართლობასთან ვის განცხადებით მიმართეს ახ. გაზ. კავშ. წარმომადგენლებმა: თუ რაში იყო საქმე რისთვის დაკეტეს სამკითხველო, რომლის მიზანია კულტურულ-განმანათლებელი საქმე; ამაზე შინაგან საქმეთა კომისარის მოადგილე ელიავა უპასუხებს „ოფიციალურად“ – რომ სოხუმი და მისი ოლქი როგორც ფრონტის მხარე, დასაშვებად არ მიგვაჩნია რამე ისეთი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც რაიმე კომუნისტურ სახელს ატარებსო. ახ. გაზ. კავშ. წარმომადგენლებმა მოსთხოვეს დადგენილების ასლი ბ-ნ შინ. საქ. კომისარის მოადგილეს, რომელმაც ცივი უარით უპასუხა. თურმე „დემოკრატიულ“ მართვა გამგეობაში აკრძალული ყოფილა რომელიმე მთავრობის წარმომადგენლის დადგენილების ასლის მოთხოვნა. ესეც დიდებულად დამამტკიცებელია იმის, თუ როგორ, რა საშუალებით გვებრძვიან ჩვენი „იდეური“ მოწინააღმდეგები? ამავე დროს მენშევიკები ფიცს დებენ საბჭოთა რუსეთის წინაშე „ჩვენი იდეური მუშაობისათვის კაცს არ ვსჯითო“. მოწინააღმდეგის გაკოტრებაა ეს და მეტი არაფერი.

სოხუმელიძე

გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 11 დეკემბერი, შაბათი, №117, გვ. 4.

გაზეთი „ერთობა“

აკაკი ჩხენკელის მოხსენების გამო ოჩამჩირედან

ოჩამჩირეს მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა ვრცელი მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის აკაკი ჩხენკელისა საქართველოსდამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, ერთხმად დაადგინა: მოგესალმებით თქვენ, ჩვენი ერის ბელადს, და მოგილოცოთ ბედნიერი დღე და გისურვოთ კვლავ ნაცადი გზით მხნედ განგეგრძოთ მუშაობა ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ქალაქის თავი ჟორჟოლიანი

სამურზაყანოდან

სამურზაყანოს მცხოვრებთა ყრილობამ მოისმინა, რა თავის თანამემამულე აკაკი ჩხენკელის მოხსენება, საქ-ლოს დამოუკიდებლობის ცნობის და მისი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოგესალმებათ თქვენ და გისურვებთ, რომ შინაურ აღმშენებლობაშიაც მიგეღწიოთ მიზანი და გაგემართლებინოთ ის იმედები, რომელსაც ამყარებს თქვენზე საქართველოს დემოკრატია. გაძლევთ დემოკრატიის პატიოსან

სიტყვას, რომ ყოველ თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს დემოკრატიის სასარგებლოდ ჩვენ დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

სამურზაყანოს მცხოვრებთა საერთო კრება.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 11 თებერვალი, ოთხშაბათი, №32. გვ. 3.

ნ. რამიშვილი დას. საქართველოში განათლების მინისტრი 16 იანვრამდე გაემგზავრა.

იყო აფხ-ში.

„საქართველოს ცენტრიდან მოწყვეტილი აფხაზეთი გადაქცეულა პოლიტიკურად გზა აბნეულთა ბუდედ. მინისტრის მოხსენებებმა ბევრი ასეთი პოლიტიკურად გაუწვრთნელი ჩააფიქრა და შეადგინა ის ჭეშმარიტება, რომ აფხ-თის ინტერესების სისწორით გაგება მოითხოვს დამოუკიდებელ საქ-თან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას ავტონომიის საფუძველზე. ეს აზრი უკვე პოპულარულად ჩაითვალოს აფხაზეთში.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 28 თებერვალი, შაბათი, №47, გვ. 4.

წერილი რედაქციის მიმართ

აფხაზეთის კომისარიატის სტუდენტ-სტიპენდიანტთა სახელით უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ქ. თფილისის მოურავს ბ. გ. ჩხიკვიშვილის, მისი დაუფასებელი შრომისათვის ჩვენი საერთო ბინის მოწყობაში, ქ-ნ ო. ს. სვანიშვილს და მოქ. ა. ნ. მილოვს, რომლებმაც შემოსწირეს – პირველმა – 10.000 მან, მეორემ – 2.000 მან. ორგანიზაციის სასარგებლოდ.

აფხაზეთის კომისარიატის სტუდენტ-სტიპენდიანტთა გამგეობა.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 29 თებერვალი, კვირა, №48, გვ. 4.

სოხუმის ოლქში დამფუძნებელი კრების წევრთა არჩევნები დანიშნულია 27, 28 და 29 მარტს.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 4 მარტი, ხუთშაბათი, №51, გვ. 3.

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთში. 7 მარტს დამფ. კრების ცენტრ. საარჩევნო ქვეკომისიაში შეტანილ იქნა აფხეთის ნაციონალ დემოკრატებისა და უპარტიოთა სია. ცენტრ. ქვეკომისიამ ზოგიერთი შესწორებები შეიტანა სიაში და წინადადება მისცა ხსენებულ ორგანიზაციებს სიების ფორმალური შევსების შესახებ. 9 მარტს ქვეკომისიამ სია გაუგზავნა დასამტკიცებლად ცენტრალურ კომისიას. დანარჩენი ძველი სიები რჩება.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 15 მარტი, ორშაბათი, №60, გვ. 2.

(იხ. ინფორმაცია შავი ზღვის გუბერნიაში ა. ბუკიას ნაამბობი სოჭიდან-ტუაფსემდე. – რედ.).

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. №81, გვ. 3.

გალიდან (სამურზაყანოს მაზრა) გენერალურ შტაბის უფროსმა შემდეგი დეპე-

შა მიიღო 26 მაისს იქ გამართულ მიტინგის თავჯდომარისაგან: „საქართველოს სულის (ჩამდგმელი) ჩამდგმელს მამაც ჯარს და გვარდიას სამურზაყანოს მაზრის დემოკრატია. შეკრებილი საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლის თავზე 26 მაისის სადღესასწაულოდ, გილოცავთ ბრწინვალე დღეს ქართველი ერის აღდგენისა და აღორძინებისას. მას სწამს, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია შესძლებენ გაუმკლავდნენ მტრებს, რომელნიც კალიასავით გარს მოედვნენ საქ-ლოს მშობელ ხალხს და ლამობენ მის განადგურებას. მამაცო ჯარო და სახელოვანო გვარდიავ, მხნედ და ერთგულად დაიცავით ჩვენი სამშობლო. ჩვენ კი არ მოგაკლებთ არაფერს. დაიცავით სამშობლო და გახსოვდეთ შოთას სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მიტინგის თავჯდომარე ფიჩხაია.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 1 ივნისი, №120, გვ. 2.

ქ. სოხუმის პროფკავშირთა საერთო ყრილობამ, რომელიც შედგა 23 მაისს ამხ. ს. რამიშვილის თავმჯდომარეობით, მოისმინა ამხ. დ. კ. ემხვარის მოხსენება თანამედროვე მომენტზე, ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გზა, არჩეული საქართველოს დემოკრატიის მიერ, არის ერთ-ერთი სწორი გზა, რომელიც აკავშირებს მუშათა კლასს, ამაღლებს მას გონებრივად და ნიადაგს უმზადებს ობიექტურ პირობებს ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი საბოლოო მიზნის-სოციალიზმის განხორციელება. 2) იმ ანარქიისა და დარღვევის ხანაში, რომელსაც განიცდის კაცობრიობა, როგორც საერთაშორისო ომის შედეგებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის ერთადერთი მხარე, სადაც დაცულ იქნა რუსეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარნი. 3) რომ საქართველოს დემოკრატიის ბრძნულმა პოლიტიკამ აგვაცდინა რუსეთის პროლეტარიატისა და საქართველოს შორის შეიარაღებულ შეტაკებას და შესაძლებლადჰყო განემტკიცებია ჩვენ შორის ძმური კეთილ-მეზობლური განწყობილება. 4) რომ ძალა რეაქციონური, პანისლამური, ძალა ბარბაროსული აზიის, რომელიც ეყრდნობა ფანატიკურად განწყობილ მასსაზე, რომლის გამარჯვება მოასწავებდა საქართველოს დემოკრატიის ფიზიკურ განადგურებას, – სოხუმის პროფკავშირთა საერთო ყრილობა ესალმება საქართველოს უზენაეს ორგანო-დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას და ფიცს სდებს მხარი დაუჭიროს მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დამოუკიდებლობის და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებაში“.

რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობამ განიხილა ცენტრალური საბჭოს და საავადმყოფო კასის წლიური აჩოტი; ყრილობამ ცენტ. საბჭოსა და საავადმ. კასის პრეზიდიუმს მადლობა განუცხადა.

ყრილობა მრავალრიცხოვანი იყო. მუშები ბლომად დაესწრო, დიდი აღტაცება გამოიწვია მუშებში ამხ. ემუხვარის მოხსენებამ თანამედროვე მომენტზე, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და ხაზი გაუსვა ჩვენსა და რუსეთს შორის მომხდარ ზავს.

დიომიდე კოკაია

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 5 ივნისი, შაბათი, №124, გვ. 4.

სოხუმის ქალაქის თვითმმართველობამ შინაგან საქმ. სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სასურსათო საქმეების მოსაწყობად ქალაქისთვის 4 მილიონ უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ. ქალაქი ითხოვს სესხს 2 წლის ვადით.

აფხაზეთში

თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის მიწად-მოქ. სამინისტროს განყ-ბის წარმომადგენელი. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა: განყ-ბა უკანასკნელ ხანებში აფხ-ში აგრარული რეფორმის გატარების საქმეს აწარმოებდა; წამლის მცენარეების შეკრების საქმის მოწესრიგებასა და სახელმწ. მამულებს განაგებდა. დიდი ყურადღებაა მიქცეული კულტურულ ძვირფას ქონების მოწესრიგებაზე. ყველა ამ მამულებში გაძლიერებული მუშაობაა, აქედან ნაწილის ექსპლუატაციას სახელმწიფო ახდენდა, ნაწილი იჯარით არის გაცემული, ნაწილი კი ერობებს არის გადაცემული. დიდ ყურადღებას ვაქცევ სოხუმის განყოფილებას და ქიმიურ-ფარმაცევტულ ფაბრიკას. აფხ-ის კლიმატური და სხვა პირობები დიდ იმედებს იძლევა წამლის მცენარეების კულტურის გაძლიერებისთვის. აგრარული რეფორმის გასატარებლად მოწყობილია 10 რაიონ. კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ძვ. აქტები და უნდა იმოქმედოს დირექტივების თანახმად. ამავე კომისიამ უნდა გაანაწილოს მიწები. უმიწოსა და მცირე მიწის მფლობელებს შორის თუნდაც იჯარის სახით. აგრარული რეფორმა აფხაზეთში ცუდ პირობებში ჩატარდა, მაგრამ მიღებულია ზომები საქმის მოსაგვარებლად, გამომუშავებულია პირობები მცხოვრებლებზე ტყის მასალის უფასოდ გადაცემის შესახებ და სხვა.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 23 ივნისი, ოთხშაბათი, №139, გვ. 3.

აფხაზეთში შრომის სამინისტრო იღებს ზომებს აფხაზეთში სახელმწიფო მამულებში მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფიქრობენ, მუშებს მიაწოდონ იაფი პური და შაქარი.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 25 ივნისი, პარასკევი, №141, გვ. 3.

გაზეთი „მიწა“

აფხაზეთის დელეგაცია

6 ნოემბერი თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია 9 კაცის შემადგენლობით: დელეგაციის თავმჯდომარე აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე, დელეგაციის წევრები დამოუკიდებელ სოციალისტების ფრაქციის დ. ადონია, მ. ბერულავა, მ. ტარნაკა, მ. ცაგურია; სოც-დემოკრატების ფრაქციისაგან ექიმი თაშალიდი, ვ. გურჯუა, მ. უბირია, დ. ზახაროვი.

დელეგაციის მიზანია დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიასთან ერთად გამომუშავება აფხაზეთის კონსტიტუციისა. დელეგაციამ მიჰმართა დამფუძნ. კრებას წინადადებით, შესდგეს შერეული კომისია პარტიულ დასაწყისზე, კონსტიტუციის პროექტის გადასასინჯავად. შეთანხმების პროექტი კონსტიტუციისა, შემუშავე-

ბული და მიღებული აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ დელეგაციამ თან ჩამოიტანა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს ფრაქციები ვერ შეთანხმებულან მარტო კონსტიტუციის ორ საკითხებში აფხაზეთის ბუნებრივ სიმდიდრისა და სავაჭრო პოლიტიკაში. კონსტიტუციის დანარჩენ ძირითად საკითხებში, ერთი თვის ცხარე კამათის მერე სრული შეთანხმებაა მომხდარი.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის თბილისში ჩამოსვლა არის რიცხვით მესამე. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის ჩამოსვლას როგორც უკანასკნელსა და საბოლოოს.

იქვე: „სამეგრელოს ვითარება“ (იხ.: სიტყვა კონფერენციაზე – რედ.)

გაზ. „მიწა“, 1920 წ. 10 ნოემბერი, ოთხშაბათი, №8, გვ. 3.

სოხუმში დიდი თუთუნის ქარხანა იხსნება, ქარხანას საფრანგეთის სააქციონერო ამხანაგობა ჰხსნის. ამ კვირაში საფრანგეთი ქარხნისათვის საჭირო ახალ მანქანების მოტანას ელიან.

გაზ. „მიწა“, 1920 წ. 18 ნოემბერი, ხუთშაბათი, №15, გვ. 3 .

(იხ.: აფხაზეთის საკითხი. ....აფხაზეთის სახ. საბჭ. დელეგაცია კონსტიტუციის თემაზე ნოე ჟორდანიას შეხვდა, ... – რედ.).

გაზ. „მიწა“, 1920 წ. №18, გვ. 3.

გაზეთი „ნაციონალისტი“

სოხუმის ოლქის სასამართლოს ლიკვიდაციის გამო აღნიშნულ სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ.მელიანიცკი მოვალეობის აღსრულებიდან გაათავისუფლეს.

გაზ. „ნაციონალისტი“, 1920 წ. 5 ოქტომბერი, სამშაბათი, №5, გვ. 3.

აფხაზეთის საბჭო

აფხაზეთის სახალხო საბჭოს სერიაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სამხედრო საგანგებო სასამართლომ, რომელიც მოქმედებს ა. წ. იანვრიდან და რომელმაც ოცი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. საბჭოში კამათმა პრინციპული ხასიათი მიიღო სიკვდილით დასჯის შესახებ. საბჭოს წევრები ს-დ. იცავდნენ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით სიკვდილით დასჯის აუცილებლობის შესახებ, როგორც საშუალება ანარქიის წინააღმდეგ აფხაზეთში.

უმრავლესთა ფარული ხმის მიცემით სამის წინააღმდეგ, საბჭომ სამხედრო სასამართლოს გაუქმება გადაწყვიტა. კენჭის ყრის შემდეგ აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომ. უბორიამ თავისი გადადგომა გამოაცხადა.

გაზ. „ნაციონალისტი“, 1920 წ. 13 ოქტომბერი, ოთხშაბათი, №12, გვ. 3.

გაზეთი „რკინიგზელი“

სოხუმის ოლქში 4 023 მალარიანი ავადმყოფია.

(რედაქტორი – სტატიაში მოცემულ ბაქოს გუბერნ. ქუთაისის, განჯის, შავი ზღვის, ერევნის, ბათუმის ოლქ. თბილისის გუბერნიის მონაცემებიდან გამომდინარე სოხუმის ოლქი ბოლო ადგილზეა მალარიით დაავადებულთა რიცხვით).

გაზ. „რკინიგზელი“, 1920 წ. 16 თებერვალი, ორშაბათი, №7, გვ. 3.

გაზეთი „საქართველო“

სოხუმი

... სოხუმი ვერ არის საიმე ქალაქი. აქ ძველებურად პარპაშებს რუსული სული, რუსული ენა, მუდამ ჟამ საქ-სადმი მტრულად განწყობილი. სოხუმში მრავლად მოიპოვება ყოველი რჯულის გადაგვარებული, მოხეტიალე და ბედის მაძიებელი ელემენტი. საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის მეტად საზიანო და საზარალო, ამ უკანასკნელ გარემოს დაუფ... (არ იკითხება) სოხუმის ოლქის ქართველთა ეროვნული საბჭო და მისი ორგანო „მნათობი“. მნათობის მე-2... სწერია „ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ, ვისგანაც ჯერ არს,... ბოლო მოეღოს ლმობიერებას და ქალაჩუნობას“.

„უნდა გაიწმინდოს როგორც საქართველო ისე სოხუმი და პროვინციებიც ამ მრავალ მუქთახორა და რესპუბლიკის მოსისხლე მტრებისაგან. ზოგიერთნი ამ საკითხს ეკონომიკური კრიზისის გასანელებლად აღიარებენ ჩვენ არ უარვყოფთ ეკონომიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ხაზს უსვამთ და ვაღიარებთ, რომ ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა და სანამ მთელი საქართველო სრულიად არ გაიწმინდება ამ ბოროტ და ღვარძლიან მტრისაგან, მანამ ვერ მოისვენებს ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მშობელი ხალხი, რომელიც მახვილით იცავს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლებას და კეთილდღეობას, მაგრამ მან იცის რომ ზურგში მრავალი ბოროტი... ჰყავს, რომელიც ზურგიდან... და გაჭირვების ჟამს ზურგში ლახვარის დაცემას უპირებს“.

ი. ჯ.

გაზ. „საქართველო“, 1920 წ. 6 იანვარი, №4, გვ. 4.

გაზეთი „სახალხო საქმე“

საქართველოს სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 7 იანვარი, №723. გვ. 2.

წერილი სოხუმიდან

ამ ჟამად როგორც ქ. სოხუმში ისე მთელს ოლქში დაინტერესებულნი არიან, თუ რისთვის, რა მიზეზით გადააყენეს სოხუმის ოლქის თავდაცვის უფროსი გ. თუხ-

არელი – თანამდებობიდან? მისი გადადგომის გამო აფხაზეთის ქალაქის საბჭომ, ერობებმა, სოც. დემოკ. საოლქო კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნეს, როგორც მთავრობას ისე თვით თუხარელსაც, რომელშიაც დიდ მწუხარებას გამოსთქვამდნენ მისი სამსახურიდან წასვლის გამო, როგორც გაგებული გვაქვს, მისი გადაყენების საკითხში ინტრიგებს უფრო მეტი ადგილი ჰქონია, ვიდრე საქმის ინტერესებს. ამაში აფხაზეთის კომისარიატს დიდი წვლილი მიუძღვის. ეს დაწესებულება შემადგენლობით ყოვლად მიუღებელია, რადგანაც ბატ. არზაყან ემუხვარის „მთავრობა“ ყველაფერი იქნებოდა გარდა ნამდვილი მტკიცე მთავრობისა. ის წამოსკუპდა სასტუმრო „რივიერის“ სავარძელზე, როგორც სოციალ-დემოკრატი და შემდეგ აფხაზი. მართალია იგი კარგი თავადი „ხოდატაი“ იყო; რევოლუციის შემდეგ კარგი „სჩეტოვოდი“ იქნებოდა მისთვის საყვარელ სასურსათო კომიტეტში და აკი მის და საბედნიეროდ ასრულებდა კიდეც სოხუმის სასურსათო კომიტეტის თავჯდომარის მოვალეობას, მაგრამ „პოლიტიკურ მოსაზრებამ“ დაატოვებინა თბილი ადგილი და წამოასკუპა ავტონომიური აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელზე და შემდეგ მისი მთავრობის პრემიერის სკამზე, ეხლა მას ეკითხება ჩვენი ბედი, ის არის გამგე აფხაზეთისა, მას უწევენ ტფილისში ანგარიშს. ძარცვამ იმატა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ამბავი სოხუმში მოვიდა იანვრის 12-ს 1-საათზე, 3 (თუ 1, თუნ, გაურკვევლადაა) ეს სასიხარულო ამბავი გაუგია ქალაქში მდგომ მე-2 ბატარეას და უმალვე ბატარეის უფროსის ბრძანებით გასროლილი იქნა 15-ჯერ ზარბაზანი. ზარბაზნების სროლაზე მთელი ხალხი ქუჩებში გამოვიდა და ცოტა ხნის შემდეგ ეროვნულ დროშებით მორთეს სახლები. ისმის ხალხში ვაშას ძახილი, სიხარულისაგან ბევრს ცრემლი მოსდის თვალებიდან. მუსიკით და დროშებით გამოჩნდა მაისის 26-ის პროსპექტზე ჩამწკრივებული მე-2 ქვეითთა რაზმის ჯარისკაცები კ.კინწურეიშვილის მეთაურობით; ხალხი „ვაშას“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ყიჟინით ჰხვდება. მე-2 რაზმის შემდეგ მოდიან სოხუმის სანაპირო რაზმის ნაწილები, ადგილობრივი გვარდია, სოც. ფ. დ. და სოც-დემ ორგანიზაციები თავიანთი დროშებით. ჯარს ულოცავენ სიხარულს გარნიზონის უფროსი პოლკ. სრესელი და ივ. მჭედლიძე. სასტუმრო „ორიენტალთან“ იმართება მიტინგი. მაღლა აივანზე სდგანან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სიტყვები წარმოსთქვეს: სოც-ფედ. პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტის სახელით ამხ. ი. კორტმა, მენშევიკების სახელით მ. წულუკიძემ, ეროვ-დემოკ.-ივ. რამიშვილმა. ამის შემდეგ ჯარი და ხალხი მიდის აფხაზეთის კომისარიატისაკენ, კომისარიატის შენობიდან აივანზე გამოდიან კომისარიატის თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი და გოჩელეიშვილი: არზაყან ემუხვარი ქართულ ენაზე ამბობს სიტყვას. ამის შემდეგ პროცესია ისევ უკან ბრუნდება.

იანვრის 13 მოხდა არაჩვეულებრივი სხდომა ქალაქის საბჭოსი, რომელზედაც დადგენილ იქნა: მიხეილის ქუჩას ამიერიდან დაერქვას პროსპექტი 26 მაისისა, ინჟინერის ქუჩას – ნოე ჟორდანიასი. აგრეთვე დადგენილია დაერქვას ქუჩებს სხვადასხვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის სახელი. საბჭომ გაუგზავნა დეპეშა დამფუძნებელ კრებას და მთავრობას. ქალაქში გამოცხადებულია 3 დღე უქმი.

ჭ-ძე

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 31 იანვარი, შაბათი, №741, გვ. 4.

დამოუკიდებლობის დღეობა სამურზაყანოში

იანვრის 12 ჩვენთვის მეორედ დაბადების დღეა. ყოველგან აღტაცება და სიხარულია, მაგრამ სამურზაყანომ მოლოდინს გადააჭარბა. საღამოს საათის ცხრას მიუღია ცნობა ტელეფონით ადგილობრივი გვარდიის შტაბს საქართველოს დამოუკიდებლობის დამტკიცების შესახებ. გვარდიამ სიხარულით ვერ შეიკავა თავი, ასტყდა თოფებისა და ტყვიის მფრქვეველების სროლა. მშვიდობიანი ხალხი შიშმა აიტანა, არ იცოდნენ, რა ამბავი იყო. როცა გაიგეს რაში იყო საქმე, ხალხმაც მიუმატა თავისი სიხარული საერთო მხიარულებას და დ. გალი, ეს სამურზაყანოს ცენტრი გაჩაღდა ფარნებით და სანთლებით. მეორე დღეს დილა ადრე ერობის გამგეობასაც მოუვიდა დეპეშა, მოეფინა სანეტარო, საბედნიერო ამბავი ყველგან. ერობის გამგეობამ ადგილობრივ ედღესასწაულნათ ეს დიდი აქტი. გაიგზავნა ტფილისში და სოხუმში მისალოცი დეპეშები. ადგილობრივ იწყო დენა ხალხმა და თითოეული პარტია თავისი დროშებით შეჯგუფდა დანიშნულ ალაგს. აღლუმის შემდეგ ერობის გამგეობის მინდობილობით მისალოცი სიტყვა უთხრა ხალხს ერობის გამგეობის წევრმა სწავლა-განათლების გამგე მოხუცმა მოღვაწემ ი. გეგიამ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მომენტის შესახებ ექიმ ჩხოლარიამ (ს. რ.) აქ – ზუხუმიამ (ს. დ.) დათიკო თოფურიძემ და ვ. კიღურაძემ (ს. დ.), ბოლოს ზემოთ მოხსენებული ი. გეგიამ (ს. ფ.) წაიკითხა თავისი ლექსი, დაწერილი იმ წუთში მომენტის შესახებ, რამაც ხალხში დიდი აღტაცება გამოიწვია. ადგილობრივ მოვაჭრეებმა აქაურ ინტელიგენციას და გვარდიას გაუმართეს სადილი, სადაც ბევრი ითქვა სადღეგრძელოები, როგორც ჩვენი რესპუბლიკისა. აგრეთვე მისი მოღვაწეებისა და ჯარისა და გვიან საღამოს გახარებულნი ბედის მადლიერნი დაიშალნენ.

ადგილობრივი

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. თებერვალი, №742, გვ. 4, 1.

სოჭის გლეხთა აჯანყება

გაგრაში 4 თებერვალს მოხდა შეტაკება დენიკინელებთან.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. თებერვალი, №746, გვ. 2.

დეკინინელები სოჭიდან გარეკეს

სოჭი ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 17 თებერვალი, №755, გვ. 2.

სოხუმიდან

სხდომის დროს ქალაქის საბჭომ მიიღო ტრაგიკული ცნობა გორის და მისი თვითმმართველობის განადგურების შესახებ. ქალაქის საბჭო დამწუხრებული ამ უბედურებით, თანაუგრძნობს მთელი ქართველი ხალხის. მცხოვრებთა დახმარებისათვის გადადებულ იქნა 25. 000 მან. მიღებულია ზომები შემოწირულებების შესაკრებად და დასახმარებლად. გორგოლაშვილი, ნადარეიშვილი, გამგეობის წევრი ბენია.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 26 თებერვალი, ხუთშაბათი, №763, გვ. 3.

მთავრობის თავმჯდომარეს სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

თავზარი დაგვეცა ქართლის საშინელმა უბედურებამ სოხუმის ქართული ეროვნული საბჭო საქართველოსთან ერთად გლოვობს სტიქიურ ულმობლობის

10 000 მსხვერპლს; იმედობს, რომ ნორჩი რესპუბლიკა და ერის შეერთებული ნებისყოფა შესძლებენ აღადგინონ განადგურებული ქალაქი გორი და სოფლები. სოხუმის ქართული ეროვნული საბჭო მიიღებს ყოველივე ღონეს რათა უმწეოდ დარჩენილ ხალხს დაჩქარებით გაეგზავნოს აბხაზეთიდან შესაფერისი ნივთიერი დახმარება. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ექიმი.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 2 მარტი, სამშაბათი, №767, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან 27, 28, 29 მარტს უნდა მოხდეს აბხაზეთში საქართველოს დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები.

(ვრცელი წერილი არჩევნებზე და პარტიებზე)

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 2 მარტი, შაბათი, №788, გვ. 3.

ლენინს შეურთავს ცოლად ზინაიდა კვატაშვილის ასული.

გაზ. „სახალხო საქმე“, №822. გვ. 3.

ოჩამჩირის სოც-ფედერ ორგანიზაციის მიერ გორელებისთვის გამართული საღამოსთვის ანგარიში

ამა წლის მარტის 4 ქ. ოჩამჩირეში ადგილობრივ სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის ინიციატორობით და რამდენიმე პარტიულ მანდილოსანთა თანამშრომლობით – გაიმართა სანიღაბო საღამო მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. მთელი წმინდა შემოსავალი ამ საღამოისა – ოცდა ხუთიათასი მან (25000 მან) უკვე გაეგზავნა დაზარალებულთა დახმარების მთავარ კომიტეტს ტფილისში; ხოლო ამჟამად მოგვყავს საღამოს დაწვრილებითი ანგარიში:

საერთო შემოსავალი:

1. ბილეთები 8890 მან.
2. ლატარია 7601 მან.
3. ბუფეტი „საქართველო“ 3888 მან 50 კ.
4. ბუფეტი „სააფხაზო“ 5270 მან
5. ვახშამი 2450 მან.
6. ფოსტა 610 მან.
7. დარჩენილი სანოვაგე 195 მან.
8. მიღ „გორი“ 42 მან.

სულ: 29,616 მან 50 კაპ.

მთელი ხარჯი: 4752 მან 50 კაპ.

წმინდა შემოსავალი 24,864 მან.

ციფრის დამრგვალებისათვის და გასაგზავნ ხარჯისათვის ორგანიზ. კომიტეტმა დაუმატა თავის საკუთარი სალაროდან 460 მან. მაშასადამე წმინდა შემოსავალი სულ შეიქნა 25,326 მან

გაგზავნა დეპეშით: 326 მან.
ამრიგად დარჩა: 25000მან.
რაც უკლებლივ გაეგზავნა კომიტეტს.

აქვე გვინდა მადლობა გამოვუცხადოთ მაშო დიდებულიძისას, რომელიც მოწვეული იყო ამ საღამოს დიასახლისად...

...აგრეთვე მადლობას უცხადებთ ქ. ბ. ძ. მანია მარღანიასას, მაშიკო მარშანიასას, ბაბი ჯაჯიასას, მინადა კვირაიასას, რომელთაც ნივთების შეგროვებით, თუ საღამოს სხვა განყოფილებათა ხელმძღვანელობით დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს...

პ-ით. ოჩამჩ. სოც-ფედ. ორგანიზ. კომიტეტი

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 6 აპრილი, სამშაბათი, №796, გვ. 3.

წერილი სოხუმიდან

(იხ. წერილში უმრავლესობა უმცირესობის პრობლემები მმართველობაში.
პარტიები და მათი რეიტინგი მაზრებში.
პოლიტიკა (ვრცელი წერილი).
სამურზაყანო – არჩევნების მოლოდინში.
ქურდობა, ძარცვამ იკლო.
პარტიები. (მოკლედ). – რედ.).

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 14 აპრილი, ოთხშაბათი, №800. გვ. 4.

ოჩამჩირე

პირველი მაისის დღესასწაული ჩვეულებრივ სიცხოველით ჩატარდა. დილის მიტინგზე მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. სიტყვები წარმოსთქვეს – გრ. ჯაფარიძემ, დ. თოფურიამ, საღამოს გაიმართა ქალაქის მოედანზე სახალხო სეირნობა და მოწაფეთა თამაში (ფუტბოლი)

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 29 მაისი, შაბათი, №836, გვ. 3.

ოჩამჩირე

სოჭის ქართველობა აიყარნენ და ათასობით მშიერ-მწყურვალნი მოდიან ურმებით.

„ქალაქი თითქმის მოწყვეტილია კულტურულ ცხოვრებას ამის გამო“

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 1 ივნისი, სამშაბათი, №838, გვ. 8.

ოჩამჩირის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობამ აღძრა მთავრობის წინაშე ორ მილიონიან დახმარების მიღებაზე.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 6 ივნისი, კვირა, №843, გვ. 4.

ოჩამჩირე

26 მაისმა დიდი ზეიმით ჩაიარა. დილიდანვე მთელმა ქალაქმა განსაკუთრებული

სადღესასწაულო სახე მიიღო. ყოველ მხრიდან ეროვნული დროშები ფრიალობდა და სიმღერები ისმოდა დილის 10 სთ-ზე თავისუფლების მოედანზე შესდგა დიდი მიტინგი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მიტინგის თავჯდომარემ ამხ გრ. ჯაფარიძემ. შემდეგ ილაპარაკეს კატო მიქელაძემ; ტრ. კაკულიამ; ილ. კილაძემ; ს. ალანიამ.

ქალაქი სავსეა სიმინდის გასატანად ჩამოსული ხალხით.

29 მაისს ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში მოხდა სამხრეთ-აბხაზეთის მასწავლებელთა ყრილობა. სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის შემდეგ ყრილობამ მსჯელობა იქონია სრულიად საქართველოს მასწ. კავშირში მონაწილეობაზე, რისთვისაც აირჩია თავის თავჯდომარე ვ. გიმ. დირ. გრ. ჯაფარიძე.

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 19 ივნისი, შაბათი, №854, გვ. 4.

წერილი სოხუმიდან

26 მაისს 10 სთ-ზე ცეცხლი მოეკიდა სმეცკოის სანატორიუმს „აგუძერას“.

მაისის 26-ი, სოხუმმა იუწყა განსაკუთრებული სიხარულით და აღფრთოვანებით. არ დარჩენილა ისეთი კლასი, პარტია, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება, ეროვნება, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობა არ მიეღო.

მშვენიერი მაისის დღე იყო.

ჯერ კიდევ 9 საათიდან თავისუფლების მოედანზე მოიყარა აუარებელმა ხალხმა თავი. აქ არიან ჩამწკრივებულნი ჯარისკაცები და გვარდიელები, მოწაფეები, პოლიტ. პარტიები თავისი დროშებით; ყველას ხელში უკავია ეროვნული დროშა და განსაკუთრებული სიხარულით ულოცავენ ერთმანეთს დიადს დღესასწაულს. 12 სთ-ზე გაიხსნა აღლუმი, მიიღო კომისარიატის თავმჯდომარემ ემუხვარმა აღლუმის შემდეგ ჯარი და ხალხი მიდის, მაისის 26-ი პროსპექტზე, სადაც აღმართულია ესტრადა.

მიტინგს ხსნის მომწყობი კომისიის თავჯდომარე ამხ. მხეიძე, რომელიც შესაფერისი სიტყვით მიჰმართავს ზღვა ხალხს. ამ დროს ხალხს ემატება კიდევ ერთი პროცესია სათადარიგო ჯარისკაცებისა ამხ. კ. კინწურაიშვილის მეთაურობით. ჯარისკაცებს მშვენივრად მოურთავთ ფურგუნი, ფურგუნზე ყვავილებით მორთული ღერბია და მის გვერდით ეროვნული დროშაა აღმართული, წინ მიუძღვის ხალხური ხორო.

მიტინგზე იქნა წაკითხული მისასალმებელი დეპეშები და წერილები: სოც. ფედერ. პარ. საოლქო და საქალაქო კომიტეტებისაგან, მენშევიკების, ნაც. დემოკ. ბერძენთა ეროვნული საბჭოსი, 2 ქვეითთა რაზმისაგან და სხვა ქუჩები და სახლები მშვენივრად იყვნენ მორთული. საღამოს ალოიზის თეატრში გაიმართა საღამო-მიტინგი.

(იხ. დრანდაში ყაჩაღობის შესახებ – რედ.).

ჭ-ძე

გაზ. „სახალხო საქმე“, 1920 წ. 26 ივნისი, შაბათი, №860, გვ. 4.

1921

გაზეთი „ბათომის ცხოვრება“

I ნაწილი

რედ: კ. ქავთარაძე

1915 წის სტატისტიკა, დასავლეთ საქართველოში იმ დროს ყოფილა 427 დაწყებითი სკოლა, ამჟამად არის 923. აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა 344, არის 620. სოხუმის ოლქში ყოფილა 64, არის 205. საერთო რიცხვი ყოფილა 835, არის 1745. ქუთაისის გუბერნიაში 72 000, არის 140 000, ტბილისის გუბერნიაში მოწაფეები 27 000, არის 37 000. მთელ რესპუბლიკაში ყოფილა 75 000? არია? 150 000. ხსენებულ სკოლებში საყოველთაო სწავლა განხორციელებულა რიგიანად გურიაში სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში ნაკლებად.

გაზ. „ბათომის ცხოვრება“, 1921 წ. 18 იანვარი, სამშაბათი, №12, გვ. 4.

ძველ რუსულ რეჟიმს ჩვენში ფეხის შემოდგმიდან 1917 წლამდე დასავლეთ საქართველოში სულ დაუარსებია 497 სკოლა. განახლებულ საქართველოს კი 1918 წლიდან გაუხსნია 326 სკოლა.

ამჟამად იმერეთში არსებობს სულ 923 სკოლა.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო 344 სკოლა, ახლა არსებობს 620 სკოლა. სოხუმის ოლქში იყო 64 სკოლა, ახლა არის 205 სკოლა. მთელ საქართველოში იყო 825, არის 1745 სკოლა.

ქუთაისის გუბერნიაში იყო 72 000, არის 140 000 სკოლა.

თბილისის გუბერნიაში 25 000, არის 37 000 სკოლა.

გაზ. „ბათომის ცხოვრება“, 1921 წ. 19 იანვარი, ოთხშაბათი, №13, გვ. 4.

გაზეთი „კავკასიის კომუნა“

წითელი სოხუმი

საქართველოს რევკომში მიღებულია ცნობები, რომ წითელმა არმიამ აიღო სოხუმი.

გაზ. „კავკასიის კომუნა“, 1921 წ. მარტის 7, ორშაბათი, №8.

სალამი საბჭოთა საქართველოს

მოსკოვი, 22 მარტი (რადიო)

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წევრნი: მიხა ცხაკაია, სულთან ზადე გულითად სალამს უძღვნიან თბილისის, ბათუმის რევოლუციონურ პროლეტარიატს, აფხაზეთის გლეხებს, სამეგრელოს, აჭარას, გურიას – მთელ საბჭოთა საქართველოს, რევკომს და წითელ არმიას. გამოსთქვამენ იმედს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურმა გაერთიანებამ, აღმოსავლეთი შექმნა რევოლუციის ავანგარდად აზიის დაჩაგრულ ხალხთა განსანთავისუფლებლად.

გაზ. „კავკასიის კომუნა“, 1921 წ. 22 მარტი, სამშაბათი, №19.

ზრუნვა ბავშვებზე

სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა, საშუალო და დაბალი სკოლების მოწაფეებს მიეცეს ცხელი საუზმე. თითოეულ მოწაფეს მიეცემა პურის მეოთხედი გირვანქა და ტკბილი ჩაი.

გაზ. „კავკასიის კომუნა“, 1921 წ. 23 მარტი, ოთხშაბათი, №20.

აფხაზეთში

ბათუმი, 9 აპრილი. დეპეშა

ბათუმში მომხდარ თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ ამხ: ორჯონიკიძე, ქავთარაძე, ელიავა და აბხაზეთის რევკომის წარმომადგენელნი ამხ. ლაკობა, გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება:

1. აბხაზეთის საბჭოების ყრილობამდის ღია რჩება აბხაზეთის საბჭოთა რუსეთთან, თუ საბჭოთა საქართველოსთან ფედერაციის საკითხი და აბხაზეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

2. პარტიული ორგანიზაცია კონფედერაციამდე იწოდება რუსეთის კომუნისტურ პარტიის საორგანიზაციო ბიუროდ აბხაზეთში და მოქმედებს რუსეთის კომუნისტური ბიუროს დირექტივებით.

3. საქართველოს რევკომის დეკრეტები აბხაზეთის რევკომმა მასალათად უნდა გამოიყენოს, რათა ორთავე რევკომების მოქმედება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს.

4. კომუნისტური პარტიის ორგბიურო აბხაზეთში ყოველივე ზომებს იღებს ეროვნულ შუღლის ამოსაფხვრელად, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოაგდო საქართველოს და აბხაზეთის ხალხთა შორის.

აბხაზეთის წითელი ლაშქრის შექმნა

სოხუმი. 5 აპრილი

აბხაზეთის სამხედრო კომისრის ამხ. ლაკობას ბრძანებით აბხაზეთში დაიწყო მოხალისეთა წითელი ლაშქრის შედგენა. პირველ რიგში წითელი ცხენოსანთა რაზმი სდგება. წითელ ლაშქრელთა ოჯახები უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმწიფო ხარჯით და ულუფით. ლაშქარში ჩაწერა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

გაზ. „კავკასიის კომუნა“, 1921 წ. 13 აპრილი, ორშაბათი, №37.

გაზეთი „კომუნისტი“

სოხუმი. 5 აპრილი

აბხაზეთის რევკომმა აფხაზეთის საბჭ. დამოუკიდ. რესპუბლიკად აღიარების გამო, შემდეგი რადიოთი მიმართა მთელს მსოფლიოს:

„მშობელთა სურვილით დაიბადა ახალი სოციალური საბჭოთა რესპუბლიკა-აფხაზეთი... და ა.შ.

გაზ. „კომუნისტი“ ,1921 წ. 15 აპრილი, პარასკევი, №36, გვ. 2.

სოხუმი. 17 მაისი (დეპეშა)

მაისის 20-თვის მოწვეულია აბხაზეთის მშობელთა ყრილობა. სხვადასხვა ადგილიდან ჩამოსულ წარმომადგენლებისათვის განთავისუფლებულია საბჭოების სახლი. აბკავროსტას განზრახული აქვს ყრილობის გახსნის დროისათვის გამოსცეს საგანგებო კედლის სინათლის გაზეთი, რომელიც მიძღვნილი იქნება ყრილობისათვის.

სოხუმი. 16 მაისი (დეპეშა)

აბკავროსტამ გაგრაში, გუდაუთაში და სხვა ადგილებში გახსნა აგიპუნქტები. აბხაზეთის ყველა რაიონებში დაგზავნილია სპეციალურიინსტრუქტორები აბკავროსტას ადგილობრივ განყოფილებათა მოსაწყობათ ღებულობენ ენერგიულ ზომებს, რათა მჭიდრო კავშირი დამყარდეს, რაონებს შორის ადგილებიდან ინფორმაციის მისაღებად.

სოხუმი. 17 მაისი (დეპეშა)

სოხუმში დაარსდა კავროსტას აღმოსავლეთის განყოფილების აბხაზეთის ქვეგანყოფილება. მუშაობისთვის მოწვეულნი არიან აბხაზეთის რევკომის წევრები და თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი. დაიწყო მუშაობა აბხაზეთის შესახებ მასალის შესაგროვებლად, რომელიც საჭიროა ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთის“ გამოსაცემად.

სოხუმი. 17 მაისი (დეპეშა)

სოხუმსა და კურორტ გულრიფშის (სოხუმიდან 11 ვერსია) გაყავთ ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა. უკვე დაიწყო მუშაობა რელსების დასაწყობად.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 20 მაისი, პარასკევი, №64, გვ. 1.

სოხუმში
აფხაზეთის ახალგაზრდობა

ახალაგ. კომ. კავშირში ირიცხება 100-მდე წევრი. მოწყობილ იქნა პირველი მიტინგი, რომელსაც დაესწრო მრავალი ახალგაზრდა.

გუდაუთში

ჩვენი კავშირი აერთიანებს 50 ახალგაზრდას. მოეწყო წითელი ახალგაზრდობის კლუბი, ჩატარდა 3 შაბათობა. გაიმართა საუბარი თემებზე: „რა არის საბჭოთა ძალაუფლება“. საერთოდ ამხანაგები ენერგიულად მუშაობენ. სისტემატიურად იკრიბება კომიტეტი.

მთელ აფხაზეთში

გაცხოველებული მუშაობა წარმოებს. აფხ-ის მასშტაბში მუშაობს, ხელმძღვანელობას უწევს საორგანიზაციო ბიურო აფხაზეთისა. ის სცემს ახალგაზრდობის „ფურცელს“.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 20 მაისი, პარასკევი, №64, გვ. 4.

26 მაისს გაიხსნა აფხაზეთის მუშათა ყრილობა.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 2 ივნისი, ხუთშაბათი, №74, გვ. 2.

4 ივნისს – მოხსენება სასურსათო საკითხის შესახებ მუშათა თავყრილობაზე.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 11 ივნისი, შაბათი, №81. გვ. 1.

სოხუმი

პარტიული მუშაობა სოხუმის, გუმისთის მაზრა.

გუმისთის მაზრაში მოწყობილია 24 პარტიული წრე, გახსნილია 21 სამკითხველო, გლეხთა შორის გამართულ იქმნა 81 მიტინგი, 28 სხვადასხვა პუნქტში.

პროფესიონალურ საბჭოს პლენუმი...

მუშების შეშით მომარაგების საკითხი.

სოხუმი. 12 ივნისი (დეპეშა)

ამ ახლო დღეებში ახალ-ათონში გაიხსნება ტექნიკუმი, სადაც მიიღებიან ახალგაზრდა კაცები 14-16 წლამდის უმაღლეს პირველ დაწყების სკოლის განვითარებით.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 17 ივნისი, პარასკევი, №86, გვ. 1.

ა) აფხაზეთის რევკომის ახალი შემადგენლობა.

ბ) სამეურნეო აპარატის გამარტივება (სოხუმი).

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 29 ივნისი, ოთხშაბათი, №95, გვ. 1.

სოხუმი. 21 ივნისი (დეპეშით)

19 ივნისს კომინტერნის მესამე კონგრესის საპატივცემლოდ უნდა გამართულიყო დიდი დღესასწაული, მაგრამ ავდარმა შეუშალა ხელი მანიფესტაციის გამართვას. საღამოს თეატრებში და ცირკში გაიმართა საზეიმო კონცერტ-მიტინგები. გამოვიდნენ რევკომის და კომპარტიის წარმომადგენელნი. პირველ თეატრში წაიკითხეს ცოცხალი გაზეთი კომინტერნის კონგრესის შესახებ.

ხილის მოგროვების საკითხი

სოხუმში დაიკეტა მოკლე ვადიანი სამასწავლებლო კურსები. კურსების დახურვის დღეს მთელი კურსანტები ინტერნაციონალის მღერით წითელი დროშებით გაემართნენ. პირველ სახელმწიფო თეატრში, სადაც რევკომის თავჯდომარე აშბამ წარმოსთქვა სიტყვა სამასწავლებლოს კურსების მნიშვნელობის შესახებ. ორატორმა აღნიშნა კომინტერნის კონგრესის მნიშვნელობა. სიტყვის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლებმა დაადგინეს გაუგზავნონ კონგრესს მისასალმებელი დეპეშა.

მოსავლის შესახებ გუმისტის მაზრაში.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 30 ივნისი, ხუთშაბათი, №96, გვ. 2.

აფხაზეთი

აფხაზეთის რევკომმა დაადგინა გაადიდოს საზღვარი გარეთ გასაგზავნ სტიპენ-დიანტ-სტუდენთა რიცხვი 100-მდე.

გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 23 ნოემბერი, ოთხშაბათი, №218, გვ. 4.

გაზეთი „ტრიბუნა“

სოხუმი

გუმისტის სამაზრო რევკომთან მოწყობილი სამხედრო განყოფილების სამეულის ბრძანებით გამოცხადებულია 7 ოქტომბერს, რომ მოახდინონ რეგისტრაცია ყველა იმ პირთა, რომელთაც უმსახურიათ ოდესმე წითელ, თეთრს და იმპერიალისტურ არმიაში.

გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 14 ოქტომბერი, პარასკევი, №46, გვ. 2.

აფხაზეთის რევკომის დეკრეტით შემოღებულია სახელმწიფო გადასახდი პურზე და ღვინოზე. სასურსათო გადასახადი გადახდილი უნდა იქმნას 1 იანვრამდე. გადასახადი ეხება მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელთაც აქვს მოთხოვნილების ზედმეტი პროდუქტები.

გაზ. „ტრიბუნა“ , 1921 წ. 16 ოქტომბერი, კვირა, №48, გვ. 1.

სოხუმი

სახალხო საბინაო კომისარიატების ბრძანებით მოწყობილია სამეული განსაკუთრებული კომისიის და მილიციის წარმომადგენელთაგან, რომლის ფუნქციაში შედის შეხვედრა და გარჩევა თითოეული მოსული გემის მგზავრებისა.

გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 16 ოქტომბერი, კვირა, №48, გვ. 1.

სამურზაყანოს მაზრის დელეგატების ყრილობამ სოფ. გალში დაადგინა: 1) დამშეულთა დახმარების კვირა გადაიდვა რამოდენიმე ხნით, ვინაიდან ძველი სიმინდი დახარჯულია და ახალი ჯერ კიდევ არაა მოწეული. 2) დაევალოს ყოველ პარტიულ ამხანაგს პარტიული დისციპლინის მიხედვით, 10000 მან. გადახდა დამშეულთა სასარგებლოდ. (იხ. წყალდიდობა გუმისთა-კოდორის მიდამოებში. ზარალი დიდია. – რედ.).

გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 19 ნოემბერი, შაბათი, №76. გვ. 2.

აფხაზეთის რევკომმა დაადგინა დაუნიშნოს სტიპენდია მილიონ ნახევარი მანეთი თვეში 100 სტუდენტს, რომელთაც გაათავეს სოხუმის გიმნაზია და მოისურვეს სწავლის გაგრძელება სახემწიფო უნივერსიტეტში. სტიპენდიანტები უკვე ჩამოვიდნენ თბილისში.

გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 26 ნოემბერი, შაბათი, №82. გვ. 1.

სოხუმის საკათედრო ტაძარი, XIX ს

საგანთა საძიებელი

გეოგრაფიული საძიებელი

ააცი/აცი 59, 87, 99, 100, 112, 113
ააცი მდ. 51, 59
ააგრა 197
აბჟაყვა/აბჟაყა 298, 299, 307, 334
აბჟუვა/აბჟუა 51, 55, 98, 113, 124, 129, 139, 161, 186, 201, 284, 298, 299, 304, 307, 308, 338
აჩიგვარა 309, 375, 414, 415
ადლერი 101, 383, 403
აფსხუ 59
აგუძერა 182, 432
აჟარა 96, 197
აკაფა 334
ალექსანდროვი 176
ალექსანდროვკა 24
ანაკლია 394
ანასტასიევკა 59, 299
ანუხვა 226
აქვიბაქი/აქვებაქა 200, 225
არტაანი 363
ათარა-აძვიბჟა 73, 200
ათონი, ახალი-ათონი 29, 30, 48, 52, 59, 72, 104, 105, 127, 178, 204, 230, 369, 384, 393
აჭანდარა 19, 40, 41, 139
აჭარა 197, 361, 435
ახალციხე 389
ახალსენაკი 60, 247
აძიუბჟა, ადზუბჟა 94, 96
აძვიბჟა 113, 124, 226, 284
აძ-ჭვიაში 83
ბაბუშერა 269, 280, 281, 282, 296, 298, 299
ბაგავეშტა 269, 280, 296
ბაკლანოვკა 99
ბაქო 130, 219, 294, 346, 392, 427
ბათუმი, ბათომი 29, 60, 72, 82, 84, 86, 102, 117, 121, 137, 169, 208, 210, 214, 240, 244, 247, 258, 291, 294, 320, 363, 389, 400, 401, 410, 427, 435, 436
ბედია 270, 282, 295, 296, 300, 302, 365, 369, 393, 394, 395
ბესლეთი 137
ბირცხი 334
ბიჭვინთა108, 361, 369, 390
ბომბორა 58, 59, 226
ბზიფი 19, 51, 53, 60, 112, 129, 299, 301, 302
გაგიდა 104
გაგრა (დაბა), გაგრა მდ. 30, 48, 51, 52, 55, 66, 71, 72, 74, 75, 76, 81, 83, 84, 132, 160, 193, 211, 212, 240, 244, 285, 287, 311, 331, 350, 351, 354, 356, 383, 389, 390, 403, 407, 429, 437
გალი, ღალი 39, 95, 103, 169, 200, 202, 238, 239, 270, 271, 281, 282, 283, 302, 303, 309, 327, 330, 342, 345, 351, 355, 363, 364, 368, 373, 375, 377, 380, 407, 411, 423, 429, 439
გალიძგა მდ. 392
გამოღმა საჭილაო 265
განჯა 31, 61, 368, 427
გელათი 365
გეორგიევი 317
გუდაუთა 13, 16, 19, 20, 29, 30, 33, 39, 40, 51, 52, 54, 62, 87, 91, 113, 120, 130, 140, 150, 158, 160, 186, 189, 212, 248, 351, 352, 353, 356, 256, 257, 258, 362, 263, 374, 275, 276, 277, 284, 286, 389, 390, 291, 327, 341, 342, 352, 353, 374, 389, 390
გუფი 139, 201, 298, 305, 308
გულრიფში/გულრიპში 71, 182, 299, 437,
გუმისთა/გუმისტა 19, 43, 52, 298, 307, 331, 359, 438, 439
გუმისტინი 55
გურია 71, 85, 124, 171, 203, 224, 365, 402, 435,
გუვსი 131
დალის ხეობა 60, 61, 63, 196, 197, 259, 329
დანარა 272
დაღესტანი 17
დრანდა 35, 66, 67, 76, 88, 98, 101, 132, 190, 228, 229, 239, 299, 355, 358, 361, 365, 369, 393, 432
დურუფი 19

დიუდრუბში 40, 41
ეცერი 85
ეგრი-ბედია 394
ეგრისი 270, 282, 395
ენგური / ინგური 35, 55, 270, 282, 297 , 299, 391, 392
ერევანი 368
ესტები 51, 58, 61
ეშტუხი 334
ზაქაილა, ზაქათალა 99, 363
ზენა 367
ზუგდიდი 16, 21, 29, 35, 132, 201, 247, 309, 311, 317, 320, 341, 367, 376, 391, 401, 409, 413, 435
თბილისი/ტფილისი 13, 15, 16, 35, 45, 48, 60, 94, 99, 100, 114, 132, 161, 167, 168, 193, 199, 204, 210, 219, 221, 244, 247, 260, 332, 334, 335, 341, 346, 353, 363, 366, 383, 389, 395, 398, 403, 407, 408, 409, 414, 423, 425, 426, 427, 428, 429, 430, 435, 439
იაშტუხა/ეშტუხა 334
ილორი 36, 76, 113, 143, 265, 270, 273, 282, 300, 304, 358, 361, 365, 369, 370, 371, 376, 391, 392, 393, 394, 395
იმერეთი 71, 143, 203, 215, 224, 270, 275, 276, 277, 278, 279, 282, 294, 317, 394, 395, 436,
კასპი 181
კავკასია 14, 22, 24, 34, 55, 84, 104, 115, 123, 127, 133, 143, 181, 263, 324, 349, 365, 369, 371, 395, 401
კახეთი 203, 208, 236, 239
კელასურა მდ. 393
კინდღი 53
კოჩარა, კოჩორა 300
კოდორი 19, 50, 51, 55, 59, 60, 61, 72, 76, 83, 85, 88, 94, 96, 99, 122, 139, 142, 143, 186, 194, 195, 196, 200, 201, 204, 254, 272, 284, 298, 299, 304, 305, 307, 334, 341, 359, 387, 389, 391, 393, 394, 395, 416, 439
კოდორის ნაწილი 204, 305
კვიტოული 53
ლაილაში 378
ლანჩხუთი 91
ლაზისტანი 363
ლეჩქოფი 334
ლიხნი 112, 120, 137, 140, 226, 266, 393
მაიაკი 21, 118, 334
მაიკოფსი 82
მალთაყვა 226
მატროსკაია სლაბოდკა 334, 335
მაჭარკა, მაჭარა, 76
მერხეული 229, 298, 299
მიწარა 99, 100
მოლდავნი 51
მოქვი 98, 113, 124, 129, 134, 159, 254, 270, 282, 265, 365, 369, 384, 393, 394
მოსკოვი 66, 116, 176, 341, 435
მუგუძიხველი 106
მუღუძირღვა 160
ნაა 59, 229, 298, 307
ნიცა 82, 212
ნიკოლაევკა 59, 299
ნიკოლაევსკი 149
ნოვოროოსიისკი/ნოვოროსისკი 16, 75
ნოვოროსია 258
ოჩამჩირე 120,122, 126, 231, 138,142, 143, 159, 167, 175, 193, 194,195, 196, 200, 204, 243, 244, 245, 247, 248, 251, 252, 254, 255, 256, 269, 271, 272, 273, 278, 280, 282, 283, 285, 286, 292, 293, 294, 297, 298, 299, 304, 305, 314, 317, 319, 327, 330, 334, 335, 336, 338, 342, 343, 346, 350, 352, 353, 354, 355, 362, 364, 386, 387, 388, 391, 394, 397, 403, 409, 415, 416, 422, 430, 431
ოლთისი 363
ოქუმი 39, 66, 131, 270, 282, 301, 309, 310, 354, 397
ოსმალეთი 60, 61, 83, 100, 132, 181, 210, 232, 306, 307, 320, 321, 327, 337, 346, 361, 363, 365, 366, 390, 393, 403
ოხურეი/ოხურე მდ. 124, 392
ოზურგეთი 29, 72, 94, 311
პარნაუთი 189
პეტერბურგი/პეტროგრადი 62, 148, 177, 208, 221, 231, 323, 379
პეტროვსკოე 99, 106, 107
პიატიგორსკი 285
პიცუნდა 352, 365
პსირცხა 393
პტიში 85
რაჭა 59
რიაზანი 337
როსტოვი 158

რუსეთი 7, 8, 9, 52, 61, 62, 64, 74, 80, 82, 85, 86, 105, 113, 116, 146, 170, 182, 212, 216, 229, 234, 251, 286, 318, 320, 321, 323, 324, 336, 341, 349, 360, 365, 368, 369, 371, 375, 386, 390, 394, 397, 410, 424, 436
საბერიო 137, 299, 301
სამეგრელო 60, 71, 78, 79, 85, 124, 141, 143, 175, 201, 203, 224, 270, 281, 294, 298, 306, 307, 311, 319, 330, 335, 361, 365, 387, 391, 393, 394, 395, 410, 425, 426, 435
სამტრედია 94
სამურზაყანო 16, 24, 35, 39, 51, 55, 61, 66, 72, 95, 96, 102, 103, 104, 106, 121, 122, 124, 125, 132, 141, 143, 167, 169, 176, 177, 200, 255, 238, 239, 253, 269, 270, 271, 272, 277, 280, 281, 282, 283, 294, 295, 296, 297, 298, 300, 301, 302, 303, 304, 306, 309, 310, 311, 317, 318, 319, 320, 322, 323, 327, 330, 335, 336
სენაკი 21, 60, 62, 171, 193, 199, 204, 299, 311, 317, 336, 361, 376, 391, 409, 435
სინოპი/სინოპო 182
სირცხი 47
სლაბოდკი 324, 335
სმეცკოის აგარაკი 86, 88, 182, 187, 215, 399, 432,
სოა-აძვიბჟანი 226
სოჭი/სოჩი/სოჩა 51, 75, 84, 193, 211, 244, 271, 280, 283, 318, 353, 361, 378, 383, 388, 389, 416, 423, 429, 431
სოხუმი 13 - 440
სტავროპოლი 23, 24, 115, 121, 133, 276, 319, 366
სვანეთი 59, 60, 85, 86, 294, 365, 392
ტალიში/ტამიში/ტამუში 53, 113, 131, 226
ტუაფსე/თუაფსე 43, 75, 82, 204, 212, 306, 389, 423
ტოგონი (აჩიგვარა) 309, 375, 414, 415
ტუაფსე თუაფსე, 43, 82, 204, 212, 306, 389, 423
ტყვარჩელი 18, 30, 83, 131, 139, 181, 195, 201, 304, 305, 306, 308
ფოქვეში 76, 226
ფოთი 48, 60, 72, 73, 94, 131, 181, 204, 211, 218, 247, 254, 342
ფრეილინგის ქუჩა 388
ფშავი 298
ფსირცხა/ფსხირცა 52, 60, 61
ქართლი 212, 430
ქართლ-კახეთი 203, 239,
ქობულეთი 338
ქუთაისი 13, 18, 21, 22, 44, 76, 81, 82, 83, 84, 99, 120, 121, 126, 131, 137, 140, 167, 175, 176, 177, 199, 204, 212, 223, 233, 235, 243, 253, 257, 283, 294, 311, 318, 319, 327, 335, 337, 361, 363, 380, 387, 395, 398, 402, 404, 427, 435
ღალე 354
ღალიწყალი 393
ღალიძგა 201, 282, 306
ღალიძგა 270, 393, 394
ღელე მდ. 393
ყვირილა 94
ყუბანი 298, 390, 393
შავი ზღვის გუბერნია 25, 114, 131, 311, 423
შმავევი 247
შვაჩა 51
ჩერნამორი 75
ჩერნიევი 214
ჩერნომორია 86, 99, 131, 320, 361
ჩერნომორსკი 22, 131, 133, 235
ჩილოვი 131
ჩოხატაური 74
ჩხალთა 50, 85, 126, 196, 340
ცაგერი 378
ცაიში 231, 287, 310, 395
ცხენის-წყალი 19
ცხინვალი 7, 8, 151
ცხირი 342
წებელდა/წებელდიდი 51, 60, 126, 359
ჭიათურა 94
ჭუბურხინჯი 384, 418
ხეთა 310
ხობი 310
ხონი 195
ჯგერდა 114, 219, 226, 254,
ჯიხვინი 186
ჯღერდი, ჯღერდა 137

პირთა სახელები

აბაშელი 343
აბაშიძე 218
აბაშიძე ტასო 260
აბაშიძე კოტე 17, 94, 253
აბაშიძე ვასო 17, 167, 253 260, 261
აბიბარცუმ 375
აბულაძე ვ. ნ. 75
ადამია 217
ადანია აკაკი 286
ადგილობრივი 429
ადონია დ. 425
ავაგიადი ოვანეზ 216
აფხაზავა ვასილ 354, 357
აჯამოვი 29, 31
აჯიბა 160
აჯ-ოღლი იაკო 125
აკაკი 321, 322, 324, 412
აკამანი მ. 189
აკორონკო 83
ალანია სამსონ 57, 432
ალასანია ლევან 286
ალასანია მიხაილ 286
ალექსანდრე II 227
ალექსანდრე III 52
ალექსი (ეგზარქოსი) 48
ალფეროვი 301, 332, 352, 367, 376,
ალფიოროვი 322
ალფუზოვი/ალაფუზოვი 219, 225
ალი-მურზა-სელიმ-ოღლი 113, 114
ალიხანოვი 137, 138
ალიზი 228
ალოიზი/ალიოზი 182, 217, 264, 303, 337, 339, 432,
ალუიზი ნინო 167
ამილახვარისა ანა 167
ამბროსი 414
ანჩაბაძე 147, 176, 182, 204, 223, 324, 330, 338, 339, 344
ანჩაბაძე ალხაზ 113, 129
ანჩაბაძე მარიამ 124, 181, 182, 142, 204, 223, 230, 324
ანჩაბაძე პეტრე 338, 360
ანჩაბაძე ხამუგ 124, 142
ანდრეევსკი 182
ანდრია ეპისკოპოსი 225, 257, 302, 369, 394
ანდრონიკაშვილი ელენე 182, 207, 209, 211, 213, 215, 217, 218, 220, 221, 222, 228, 230, 231, 236, 239, 257, 261
ანდრონიკაშვილი ელო 263, 264
ანჯაფარიძე მარიამ 249, 262, 276, 277, 304, 324, 389
ანნეკოვი 55
ანუა ტიმოთე 57, 80, 167, 168, 341
აქაური 84, 140
აქირთავა ი. 375
არ ვიცი 117
არაბიძე ვასო 271, 280, 312
აღანია 364
არავინ 147
არჯევანიძე 285
არშიბაია 308, 343
არ-ძე 253,
აშბა 438
ასფადუროვი 219
ასკანელი 253, 275, 328
აშრაფიანი ივანე 291
აშუბა 137
აშუბა კადირ 219
ასვადუროვი 225
აშვბა ჰაჯიბ 113, 129
ავდესიანცი 375
ახან-იფა 78
ბ. გ. 296
ბაბაჯან ი. შ. 80, 167
ბაგარსუკოვ 168
ბაგრატ III 270, 282, 296, 369
ბალავაძე კ. 287
ბაქრაძე 211, 393
ბარასკი 59
ბარათაშვილი 61, 227, 231
ბაღათურელი 346, 364, 367
ბარკალაია გ. ტ. 81, 84
ბარტლომეი 184
ბარველი 223, 259
ბასტანჯოღლოვი 167
ბათალ-ბეი 60
ბახტაძე ილია ლუკას ძე 22
ბახვისპირელი 209, 237
ბებუთაშვილი 61
ბეჟანთომიძე 276
ბეკტაშევი 188

ბელიაევი 228
ბელიაშვილი (სა) 31
ბელიავსკი 75
ბენ ელისა 146
ბენია 355, 429
ბენინკაზი/ბენკაზი 393, 395
ბერენსი 15, 22, 25
ბერი 144
ბერმანი 188
ბერნშტეინი 220
ბერულავა 412
ბერულავა ა. 35
ბერულავა მ. 401, 425
ბერულავა ს. 137
ბიანოვოსი 395
ბილკოვი 84
ბიძინა 253
ბლაგიძე ა. 354
ბლიაპსი 94
ბლოკი 341
ბობრინსკი 182
ბოცვაძე ლ. 377
ბოკერია 298, 379
ბოლშევიკები 358, 383, 384, 389, 400, 402, 421, 357, 358
ბოლქვაძე 176
ბოჭორიშვილი 364
ბ-ღა 222
ბრანდერი 213, 223
ბროსე 393, 394, 395
ბუაძე ალექსანდრე 91
ბუაძე მიხეილ 248
ბუაძე ოლგა 91
ბუკია 423
ბურჭულაძე 271, 283
ბურჭულაძე ივ. 35, 57
ბუზოღლი ვ. 167
გ. ა. ვ - დია 338
გაბაშვილი ეკატერინე 230
გაბელია ვ. 286
გაბინაშვილი გ. 408
გაბლაია 240
გაბუნია 155
გაბუნია ა. 18, 167
გაბუნია ბახვა 57, 202
გაბუნია თეიმურაზ 57, 80
გაბუნია თეო 20, 304
გაბუნია ვ. 219, 242, 285
გაბუნია-ცაგარელი ნ. 46, 47, 60, 72, 94, 188
გაგულია 137
გადელია 414, 415
გალდავაძე მ. 248
გალიცინი 320
გამისონია ფ. 375
გახუ 246
გედევანიშვილი 343, 409
გედევანიშვილი იოსებ 94
გეგენავა პავლე 286
გეგელაშვილი 337
გეგეჭკორი ლადო 231, 262
გეგია ივანე კ. 256, 310, 336, 354, 364, 368, 373, 375, 429
გელაშვილი იაკიმე 389
გელოვანი 344, 345, 379, 412
გელოვანი დესპინე 168, 276
გელოვანი ვარლამ 176, 324, 333, 339, 341, 344, 378
გეორგობიანი ო. ა. 223
გერშინოსი 225
გიგინეიშვილი სიმონ 258, 276
გიორგაძე მ. 167
გიორგობიანი დავით 78
გივიშვილი ნ. 60
გლეხი 175
გობეჩია ლ. 142
გოჩელეიშვილი 428
გოდუშოვი 182
გოგებაშვილი იაკობ 164, 185, 248, 260, 261, 310
გოგია 416
გოგიჩაიშვილი 353
გოგიჯანოვი ნ. ი. 80
გოგიტიძე 20, 364
გოგიტიძე თეოფილე 106
გოგრიჩიძე ოლგა 168
გოგრიჩიძე პ. 167
გოგრიჩიძე ვ. ლ. 80
გოკიელოვი/გოკიელი 336
გოლიბცევი 163
გოლუბინა 95,
გოლუბკოვი მღ. 21
გომართელი ი. 312
გორგასალიძე პ. 167
გორგოლაშვილი 429
გოთუა პარ. 362

გრიგალაშვილი ი. 245
გრიგოლია 269, 280, 374, 379,
გრიგოლია იონა 57
გრიგორი/გრიგოლი 263, 264, 365
გრიგორიანცი გ. 210, 212
გრიშაშვილი 221, 343
გუბელაძე მღ. 160
გუჩ-იფა რაშით 183
გუდაუთელი 19, 20, 49, 119, 276, 390,
გუდუშოვი 182
გუგუშვილი პ. გ. 80
გულავა ესტატე 176
გულია დიმიტრი 113, 129, 185
გულივერდაშვილი 286, 188
გუნია 92, 97, 278
გუნია კ. 17, 45, 46, 65
გუნია ვალერიან 18, 20, 31, 45, 60, 91, 94, 104, 146, 216, 217, 220, 260, 297
გურამიშვილი 262
გურჯიანი/გურჩიანი 341
გურჯუა ვასილი 404, 425
გურუა ევ. 167
გვალია 57, 80, 167
გვასალია კ. 82, 83
გვაზავა გ. ი. 80, 81, 97, 104
გვიმრალელი ბაგრატ 297
დადიანი 213
დადიანი კ. 104
დადიანი ნინო 97
დადიანი შალვა 176, 207, 209, 211, 215, 218, 220, 221, 222, 231, 236, 257, 263
დადიანი შალვა, 223, 228, 230, 264
დადიანი შოთა 193, 380
დადეშქელიანი 361
დალი 80, 128, 340
დამსწრე 65, 304, 364
დარსელია 411
დასავლეთ კავკასიის მუსულმანები 358
დაშნაკცაკანები/დაშნაკები 354, 357, 358
დავითაია ფარნა 138, 175
დე-ბაი - 84
დეჯანოიძე პლატონ 286
დესპინე 27
დეკანოზიშვილი 412
დენიკინელები 429
დგებუაძე ა. 235
დიდცხვირა 220
დიმეტრაშვილი კ. 408
დიმიტრი ეპისკოპოსი 271, 282
დიმიტრიევი 13, 25, 29, 35, 44, 182
დოლგოპოლსკაია 76
დოსითეოზი 393
დღიური მუშა 314
დროებით გაგიდელი 104
დროებით სოხუმელი 78
დუნდუა 49, 50
დურნოვი ნ. 359
დუხაბორები/დუხობორები 181
ედილი ზ. 362, 364, 367, 368, 371, 372, 373, 392, 398
ეფემიდი/ეფრემიდი 214, 240
ეფროსინეშვილი 313
ელი 270
ელიავა 176, 177, 208, 422, 436
ელისაბედიშვილი გრ. 255, 272
ემუხვარი 156, 398, 433
ემუხვარი არზაყან 364, 365, 400, 401, 428
ემუხვარი დ. 176, 364, 367
ემუხვარი ელადი 407
ემხვარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე 341, 364, 424
ემხვარი მელიტონ 239, 338, 407
ემხვარი პლატონ 167, 176, 364, 400
ენესანასი ს. 280
ექვთიმე კათოლიკოსი 365
ერდიშხან 291, 292
ერისთავი 18, 161
ერისთავი დ. 60, 227, 257, 283, 297
ერისთავი რაფიელ 30, 31
ერკემაიშვილი ნ. 167, 168
ერმილე 313
ერქომაიშვილი 176, 213, 223, 237, 339,
ერქომაიშვილი გრიშა 217
ერქომაიშვილი ფილიპე 57
ერქომაიშვილი გრ. 209, 220, 237, 253, 261
ერქომაიშვილი ნიკიფორე 57
ეშბაია ა. 364
ესვანჯია 354, 374
ევდემონი ექვთიმე 365
ევდემონი კათოლიკოსი 365
ევდოშვილი ირ. 285, 334
ეზუგბაია 339
ეზუგბაია 375
ეზუგბაია მიხეილ 339
ვადაჭკორია 217, 261
ვაჟა-ფშაველა 324, 334

ვასო 384
ვასილევი 188
ვახუშტი 395, 361, 393,
ვეშაპელი გრიგოლ 362
ვესკონტერი 395,
ვეტცელი 273
ვინმე მოკეთე 251
ვიტზე 84
ვიზი ფონდერ-126
ვოინიკოვი გ. კ. 81
ვორონოვი 75
ვოსტორგოვი 30, 130, 300
ვლაჟნიკი 189
ვოინო-ორანსკი 197

ზადანოვიჩი გიორგი 380
ზაგრაფოპოვლი 167
ზაგრაფოპული გ. ფ. 81
ზაგრაფოპულო 247
ზაქარია კათოლიკოსი 365
ზარდალიშვილი 259
ზასიპკინი 322, 323
ზახაროვი 80, 128, 167, 176, 349, 425
ვოსტორგოვი მ. 30, 130, 300
ზდანოვიჩი 380, 412
ზენაიშვილი გიორგი 91
ზენაიშვილი კალისტრატე 91
ზელინსკი 233
ზინგერი 313
ზინჩენკო 120
ზომლეთელი 213, 239
ზოურბექ-ზეფიშვილ თ. 167
ზუდერმანი 297
ზუხბაია ანდრი 32
ზუხბაია გრიგოლი 17
ზუხუმია 429
ზვედელავა ავთ. 201
თ. ს. 86
თაფშ-იფა 125
თამარა 232
თაშალიდი 425
თავდგირიძე ნიკო 114, 130, 131, 132, 148, 155, 156, 167, 170, 171, 172, 177, 181, 183, 188, 202, 238, 240, 244, 246, 250, 255, 262, 275, 317, 318, 319, 320, 321, 327, 331, 334, 336, 341, 351, 398, 399, 400, 402, 407, 410, 416,
თედო 172
თოფურია 265, 431
თოფურიძე გ. ს. 80
თოფურიძე ლ. ვ. 99
თოფურიძე მამა ამბაკუმ 167
თოთებაძე 48
თოხაძე კ. 167, 217, 249
თუმანოვმა თავან 167
თურქია ბეგლარ 57
თურქია ბუდუ 321
თურქია ევგენი 57
თურქია გ.პ. 80
თურქია იასონ 249
თურქია ივანე 45, 145, 223
თურქია 15, 16, 17, 18, 20, 33, 45, 84, 167, 168, 249, 336, 339, 389
თურქია პ. 246
თურქია ს. ს 80
თურქია საჩინო 57
თურქია სევასტი 336
თურქია სტეფანე 57
თურქია ხ. -103
თურქია ზაქარია 167, 171
თუხარელი 404, 412, 427, 428
ი. ჯ. 427
იაკობიჩი ს.ს 80
იამადოპული ნ. ე. 81
იანოვსკი კ. 22, 48
იასტრებოვი ბასილი (მღვდელი) 25, 120
იგივე 335
ილია 159, 160, 161, 271, 272, 412
ილიკო 259
იმედაშვილი ა. 60
იმედაძე სავედი 91
იმედი 256
იმედიანი-123
იმერელი ი. 211
ინალ-იფა სოულაჰვ 183
ინალ-იპა ასტამურ/იმალიპა 407, 410
ინალ-იპა ოსტა მესი 338
ინგილო 329
იოანე ოქროპირი 156, 365
იოსავა ი. 35
იოსელიანი ბაგრატ 407
იოსელიანი საჩინო 22, 203, 227
იოსიფიდი 216
ისარი 259, 260, 261
იტი 276
იუკაშვილი 343

იუსტინე 365
ივანე (საულიერო პირი) 258
ივანიცკის ტარასი 19
ივანიძე ი. 46, 65
ივანოვი 78, 251, 271, 283
იზმაილოვი 83, 140, 141, 142, 143, 157, 158
კ.ჩ-ნი 102
კაციტაძე ე. 408
კადეტი/კადეტები 379, 354, 357, 358, 408
კადირ-აშუბა 219
კაი 160
კაკაბაძე ს. 312
კაკალია დიმიტრი 160
კაკუბავა რ. 167, 246
კაკულია ტრ. 432
კალანდარიშვილი 401
კალესნიკოვი 332
კალომენსკი 341
კამკია კ. 375
კანანელი 361
კაპანაძე როსტომ 57
კარახანი 167
კარგარეთელი 47, 48, 60, 94, 97
კარპოვიჩი 142
კარსავა 379
კასნერმა 167
კატალონი 395
კატლეროვსკი 255
კატლიაროვი ვ.ი. 80
კავუარაძე 397
კავუარძე ივანე 258
კაჭარავა ტრიფონ 322
კაჭარავა 230, 336
კაჭარავა ელიზბარ 57, 322
კაჭარავა გ. 17, 168
კაზაკი/კაზაკები 111, 171, 388
კაზლოვსკი 249, 261
კეცენკო 197
კერენსკი 350, 376, 379
კერესელიძე 396, 397, 398,
კერმა 167
კერხოვსკი 182
კეთილაძე პ.გ. 80
კეტრიცი 58
კეჭეყაძე საფაროვი 97
კიკალიშვილი 375
კილაძე ილ. 432
კინწურაშვილი მარ 156
კინწურეიშვილი კონსტანტინე 57, 428
კირიონ ეპისკოპოსისი 158, 184, 185, 271, 282
კირტაძე შ. ი. 80
კიზირია 304
კილურაძე რ. 167, 176, 429
კისნერი გ. ბ. 80
კიწმარაშვილი ანასტ. 15, 97
კიწმარიშვილი 104
კიწმარიშვილი იოსებ 20, 57
კლდიაშვილი გ. 215
კნიშენკო მ. ვ. 80
კნივჩენკო 39
კობა 264
კობახიძე 413,
კობახიძე ელო 209, 213, 222, 237
კობტია ბ. მ. 230
კოდბაშიანი 246
კოილუ 167
კოკაია დიომიდე 424
კოკაია ნიკო 57
კოლცოვი ა. ვ. 188
კოლია ხ-ვა 294
კონიაშვილი 403
კონწურაშვილისა 45
კოპეშავიძე რ. 354
კორჩისი 81, 158
კორესპოდენტი 332
კორიშელი ბ. პ. 259
კოღო 73, 93, 94, 98
კოროლენკო 75
კორტი 211, 213, 217, 232, 239, 249, 261, 262, 428
კოვალსკი 84
კოზმავა ბ. ვ. 45, 97, 104, 176, 209, 237
კოცორტოვა 146
კროპაჩევი 181
კუნტა 378
კუპერი მ. 167
კუხალაშვილი სპირიდონ 176, 253, 351
კუხალეიშვილი 209, 237
კუხალეიშვილი მარ 156, 211, 261
კუხალეიშვილი სევა 260
კუზმინი ა. ა. 240
კვარაცხელია 142
კვარაცხელია პ. 375
კვათანელი ი. 352

კვატაშვილი ზინაიდა 430
კვირაია მინადა 431
კვიტიშვილი მოსე 91
კვიწინია 416
ლადარი მ. ნ. 302
ლადარია ალექსი 113
ლაიშვილი ნიკო 354
ლაკერბაია შაჰანნ 113
ლაკირბაია 257
ლაკობა 389, 436
ლასხიშვილი გ. 385, 412
ლე-ბაღათურელი ილია 346
ლენინი 430
ლევშინი 187
ლეონიდე 123, 414
ლ-ი 149, 150, 172
ლ-ი 149, 150, 172,
ლიპონოვი 399
ლიტვინოვი 393
ლოლუა არ. 223
ლოლუა ბ. ძ. 304
ლოლუა ი.ტ. 80
ლოლუა იოსებ 57
ლოლუა კ. 354
ლოლუა ლეონ 379
ლოლუა ძუკუ 140, 217, 262, 303, 324, 331, 334, 337, 338, 379, 380, 407, 412
ლომაკინი 182
ლომონოსოვი მ. ვ. 240
ლომთათიძე ა. 385
ლორთქოფანიძე 161, 343, 356
ლოვი 350
ლუკინი 167
ლუქსოროსი 395
ლუსნიჩი-126
მაჩაბელი გიორგი ზაალის ძე 151
მაილორი 395
მაჯგანაძე კონ. 358
მაზნიევი 389
მაკაროვი ბ. 232, 319
მაკარი (პატრიარქი) 393
მაკრატელი 248
მაკროვიჩი 319
მალანია 182
მალაქია II კათოლიკოსი 365
მამულაიშვილი ა. 385
მამულაშვილი 332
მანია 376, 431,
მაქსიმე კათოლიკოსი 365
მაქსიმოვი ვ. რ. 77, 94, 95, 96, 98, 99
მაღანაძე 167
მარეცკი პ. ფ. 80
მარგანაძე ანტიპ 57
მარგიანი 304
მარჯანიშვილი მ. 208
მარკოვი ე.ლ. 75, 80
მარკოვიჩი 75
მაღლაკელიძე ილარიონ 57, 203
მარღანაძე 81
მარღანაძე ა. ი. 176
მარღანია 403, 431
მარღანია აზ. ი. 201
მარღანია ბ. ჩ. 375
მარღანია დიმიტრი 338
მარღანია კიჭონ (ალექსანდრე) 113, 129,
მარღანია ნოჩო 364
მარღანია ვერა 339
მარშანია ა. 278
მარშანია ალმასხით 60, 167
მარშანია დიმირ. 142
მარშანია მაშიკო 431
მარინაშვილი ზაზა 46
მარშანია მურ. 142
მარშანია ტატაში 124, 142
მართლის მთქმელი 182, 183
მართლის მთქმელი 182, 183
მასხარაშვილი ნესტორ 57, 238
მაჭავარიანი 19, 21, 45, 61, 84, 97, 104, 140, 141, 185, 204, 213, 274, 276, 396, 397, 398
მახვილაძე 167, 176, 238, 259, 272, 283, 389
მა-ძე 304
მდივანი ნ. 17, 44, 65, 94, 223
მებუკე მიხაკო 286
მეცხოვიჩი 75
მეფისოვი 208
მეფიშვილი ზოურ. 142
მელიანიცკი მ. 426
მენჩინსკი ალ. 323
მენშევიკები 357, 358, 421, 422, 428, 432
მენტილევი 182
მექი 31, 44, 45, 47, 48, 71, 413
მეროვიჩი 188
მეშკოვსკი 233
მესხი კოტე 72, 94, 199, 211, 306

მესხიშვილი ალექსი 65, 199
მესხიშვილი ლადო 306
მესხიშვილი ვლ. 269, 280,
მეტაკასა/მეტაკსი 80, 81, 167
მეტელოვი 167
მეთვალყურე 265
მეუნარგია ნ.კ. 364, 375
მეურნე 352
მგალობლიშვილი დ. ა. 81
მგელაძე- 354
მთაწმინდელი გიორგი 361
მილოვი ა. ნ. 423
მიმინოშვილი ბარბ. 156
მინგრელსკი 71
მიქაძე ჭ.- 354
მიქელაიშვილი ბ. 232
მიქელაძე კატო 432
მირიანაშვილი 65
მიუნცი ფ. ვ. 188
მიჭვიტინა 337
მომბელი 61
მოქალაქე 412
მოქართულე აფხაზი 279
მ-პ 143
მრავარძელ-იობაიშვილი გ. 181
მუგულია 350
მუჯირი იასონ 169
მჭედლიძე ივ. 428
მჭედლოვი 161
მხეიძე 155, 432
ნაციონალ-დემოკრატები 354, 357, 358, 432
ნაცნობი 378,
ნაცვლიშვილი ვლ. 301
ნადარეიშვილი 176, 429
ნადარეიშვილი დ. 286
ნადრეიშვილი ე. 176
ნაკაშიძე (პოლკოვნიკი) 61
ნაკაშიძე ერმილე 341
ნარ-ქანი 247
ნასიძე ვ. 18
ნაყოფია 342
ნებიერიძე ლუარსაბ 57
ნებიერიძე ვ. 72
ნეკრასოვი 227
ნიკო 172
ნიკოლაიშვილი ი. 354
ნიკოლენკო 182
ნიკოლოზ დავითის ძე 71
ნიკოლოზის ძე 338
ნინოშვილი (ინგოროყვასი) 182
ნინუა ელისაბედ 96
ნინუა ერასტო 96
ნოდია ანნა 43
ნოდია სიმონ (მღვდელი) 139
ნოევი 182
ნოლდე ბარონ 158
ნოვიკოვი 415
ოჩამჩირელი-125
ოცხანელი ტიგრანია 175
ოდიშარია ა. 232, 301
ოლდენბურგელი ალექსანდრე 48, 74, 75, 83, 160, 212, 214, 390
ოქროპირი 156, 375
ოქუმელი ვანო 66
ორბელიანი გრ. 220
ორჯონიკიძე 436
ორტრომოვი 182
ორშანოვი 249
ოსტა მესი ინალიპა 338
ოსტროუმოვა 187
ოსტროუმოვი ა. 80, 117, 187
ოსტროვალოვი ვ. ა. 341
ოვანოვი 189
პ. ჭ-ა 303
პაასი 393
პანტიუხოვი 59
პარნასი 174
პარსკვანილი 395
პასკო 227
პაშალიდი 229, 404
პატეიფა მ. 302
პერევისელი ილია 314
პეტრიაშვილი 48, 169
პეტროვი 186
პფელი 182
პიციგანი 395
პიმეიდი 167
პობედონოსცევი 221
პოპოვი 187
პოვანი ა. ი. 99
პრეობრიაჟენსკი ვ. თ. 235
პრეობროჟენსკი 276
პროგულბიცკი ვ. 72, 114, 132
პრომანი 341
პუშეჩნიკოვი 83

პუშკინი 227, 234
ჟივ 416
ჟორდანია 412
ჟორდანია ვასილ 414
ჟორდანია ნესტორ 159
ჟორდანია ნოე 412, 426, 428
ჟუდრა ლეონიდ 80, 99, 171
ჟორჟოლიანი 248, 352, 388, 422
რამიშვილი ისიდორე 404, 412
რამიშვილი ივ. 407
რამიშვილი ნ. 423
რამიშვილი ს. 353, 424
რამიშვილი ტ. 216
რაშკოვი ვიქტორ 208
რატიანი ალექსანდრე 57, 81
რაჭველიშვილი 401
რეინჰარდი ოტო 359
როდიჩი ა. ი. 80
როდზევიჩი 80
როძევიჩი 81
რუკავიშნოკოვი 182
რულიცკი 228
რუსია 197, 299, 301
რუსიძე 278
რუსთაველი 412
რუხაძე ვ. 262
რუხაძე ვ. 343
ს. ბ. 357
ს. გ. 275
სააკაძე 227
საბა (ბერრ-მონაზონი) 25
საბაშვილი ერასტო 324
საბეკია ნესტორ - 129
საბორელი პატარა 408
საფაროვ-აბაშიძე მარ. 72, 260
სალაყაია იოსებ 386
სალუქვაძე 227
სამურიდი 209, 213, 214, 215, 216, 217, 219, 220, 228, 230, 236, 239, 240, 257, 261, 263, 264
სამურზაყანოელი 200, 239, 271, 282, 294, 295, 310, 311, 320, 335, 415
სანაძე ალექსანდრე 215, 230, 237
სანაძე 182, 209, 213, 249, 253
სანდილევსკი 223
სანიძე 217
საქარელი 353
სარაჯიშვილი ალექსანდრე 22, 23, 25, 184, 197, 221, 329
სარაჯიშვილი ი. 233, 234
სარაჯ-ლი ვასილ 234
სართანია ი. ს. 364, 375, 376
სახოკიასი 304
სახოკია ნადეჟდა 161
სახოკია თედო 15, 20, 22, 74, 137, 155, 161, 170, 184, 369, 397, 398
საყვარელიძე პ. 293
საძეკია ნესტორ 113
სელეზნევი 394
სემიონოვი 182
სერგი (ეპისკოპოსი) 358, 393
სჩეპანსკი 375
სეჰ 306
სერაფიმე არქიმანდრიტი 123
სიმონოვი 167, 188
სიონისტები 357,
სისორდია 273
სიჭინავა ი. 35
სიხარულიძე ი. 35
სკორიკოვი ალ. 148, 149, 158
სმეცკოი 86, 182, 187, 215, 399, 432
სოლოგუბი 71
სოციალ-რევოლუციონერები 354, 358,
სოციალ-დემოკრატები 138, 147, 161, 171, 355, 356, 391, 428
სოციალისტ ფედერალისტი 412, 427, 430, 431, 432
სოფიო 17, 291
სოფრომაძე 408
სოფრომაძე ზ. 408
სომეხთა სახალხო პარტია 358
სომხის კადეტები 357
სონა 259
სოსო 260
სოხუმელი 122, 128, 130, 161
სოხუმელი ჩიორა 229, 230
სოხუმელიძე 380
სოხუმელიძე 422
სრესილი 428
სტარჩევსკი 141
სტასენკო 106, 167
სტურუა ვარო გრიგოლ 96
სულაშვილი დ. 401
სულთან-კრიმ-გრეი 113, 114, 131
სუხადელსკი 167
სვანიშვილი ო. ს. 423

სვანიძე ლ. 238, 239, 375
სვიმონიძე ს. 60, 94

ტაბიძე 343
ტაგანოვი 213
ტარაპიძე 257
ტარნაკა 425
ტატარინოვი 182
ტეკმეჩოვი 167
ტიადი ვ. 167
ტიზენგაუზენი 204
ტოლსტოი 182, 220, 234
ტომარა 75, 93, 125, 167, 169, 182, 219, 225, 319, 321
ტომარაძე მ. 167
ტრიპალიუტოვი მ. 167
ტუაბე 189
ტულუში რაფიელ 286
უბირია/უბორია 425, 426
უცნობი 79
ურუშაძე 220, 230, 261,
ურუშაძე ამბ. 349, 351
უსახელო 395
უსლარი 162, 184, 371
უსოვი 43, 182
უხტომსკი ანდრია (ეპისკოპოსი) 221, 255, 257, 302, 369, 394
უზნაძე დ. 38
ფალიაშვილი 334
ფაღავა 65, 167, 176, 177
ფაშა ეფენდი 217
ფაშალიდი 229
ფედერალისტები 137, 146, 147, 155, 161, 170, 292, 345, 354, 358, 379, 385, 412, 427, 430
ფედოროვი 294
ფიჩხაია 424
ფილიმონოვა 167, 415
ფილიმონოვი 182
ფირცხალავა 383, 403
ფლაბიანე 15, 30
ფოთოლი 169
ფრანგულიაცი ს. 188, 209, 215, 216, 217, 237, 249, 261
ფრედრუჩე 393, 395,
ფროლიზელი 213
ქანთარია ანტონ 151
ქარაია 364
ქარუმიძე შ. 362, 386
ქათამაძე 160
ქავჟარაძე 167
ქავჯარაძე ვასილ 176
ქავთარაძე 376, 435, 436
ქავთარაძე მაშო 18
ქეთოშვილი 297
ქირთბაია 364, 376
ქობალავა 232, 253
ქორიძე ნოე 234
ქორქია 84, 416
ქორუმიძე შ. 385
ქუჩიშვილი 343
ქუჯი 84, 97, 104
ქურიძე (ზომლეთელი) ნოე 231, 253
ქუროძე 349
ქუთათელაძე 104, 353, 356
ქვაჩახია ალექსი 330
ქვარცხავა პ. 354
ღამბაშიძე 215
ღონდოძე ჯ. 277
ღოღობერიძე ლ. 259
ყალაბეგიშვილი 259
ყალყუმი 150
ყარამანიძე ნიკო 319
ყარა-ოღლი 217
ყაზბეგი ა. 220
ყიფიანი კოტე 17, 20, 260
ყიფიანი ნინო 168
შაკაია რაზან 113, 129
შალიაპინი თ. 280
შალიკოვი 13
შანშიაშვილი 334
შანშიევი 182, 404
შარანგია 375,
შარაშიძე ივანე 91
შარია კონსტანტინე 167, 176, 177
შარვაშიძე ვარლამ 425
შარვაშიძე ქელეშშეი 278
შაშკოვსკი 335, 336
შათირიშვილი კ. 60, 94, 356
შავერბაი 416
შავიშვილი დ. 249
შავპირაძე ოსავ 95
შეჰ 308
შელია იესე 296
შელია იოსებ 270, 282
შენგელია ლეო 413

შერვაშიძე 32, 214, 391
შერვაშიძე აგ. 80
შერვაშიძე ალექსანდრე 113, 124, 129, 167, 338
შერვაშიძე აღათი/აღათია 15, 16, 20, 114, 137, 167, 217
შერვაშიძე დ. 276
შერვაშიძე 71, 368, 342, 403
შერვაშიძე გიორგი 8, 167, 168, 269, 281, 338, 398
შერვაშიძე ი. გ. 80
შერვაშიძე ჯოტო 392
შერვაშიძე კ. 246
შერვაშიძე 160
შერვაშიძე მარიამ 97, 98
შერვაშიძე მიხეილ-ჰამუთ-ბეი 24, 60, 100, 364, 393
შერვაშიძე საად-ბეგ 113
შერვაშიძე მანუჩარ 393
შერვაშიძე ტერეზია 18, 31, 44, 45
შერვაშიძე ვარლამ 404
შეპანსკი 414
შეფგელაია ილარიონ 337
შეფგელაია რაჟდენ 337
შიშკინი 169
შიუკაშვილი ნ. 244, 259, 260
შონია 351
შოთაძე ქ. ვ. 259
შუშულია ა. ვ. 80
შ-ძე ჯ. 304
ჩაბრავა ფარნა 233
ჩაჩანიძე იასონ 57
ჩაჩავა იასონ 101, 230
ჩაჩავა მარიამ 305
ჩარკვიანი 65
ჩეჩელევი 138
ჩერნიავსკი 182
ჩერქეზიშვილი გ. ტ. 81
ჩიჩაგოვი ლეონიდე მიხეილის ძე 123
ჩიჩუა ლევან 167, 176, 178
ჩიჩბა 40, 41
ჩიგოგიძე 96, 265
ჩიქოვანი კოწია 66
ჩიქოვანი ნ.ტ. 80
ჩიქოვანი ნიკოლოზ 57
ჩირიკაძე 376
ჩიტაძე 408
ჩიტუნია 293
ჩოლოყაშვილი 305
ჩხარელი ი. 207, 208, 209, 232, 235, 233, 236
ჩხეიძე 376
ჩხეიძე ნ. 412
ჩხეიძე ანდრია 313
ჩხეიძე კ. 341, 352
ჩხეიძე ნინო 29, 45, 350, 352
ჩხენკელი აკაკი 15, 20, 269, 270, 273, 280, 281, 285, 354, 362, 422
ჩხენკელი ანეტა 15, 20
ჩხენკელი ანნა 280
ჩხეტია 375, 376
ჩხიკვაძე ზ. ი. 343, 407, 410
ჩხიკვიშვილი ბენია 355, 374, 400, 401, 404, 423
ჩხოლარია დ. 411, 429
ჩქოტუა მ. ზ. 364, 404
ჩუკბერია ანტონ 339
ჩხოტუა/ჩქოტუა 364, 403, 404
ცაავა მ. 364
ცა-ცა 76, 91
ცაგარელი 20, 48, 72, 84, 96, 188, 193, 209, 211, 215, 222, 236, 237, 275, 407
ცაგურია 425
ცაიშელი მიტროპოლიტი 395
ცაიშელი ვ. 346
ცეცხლაძე ი. ზ. 80, 209, 235, 246
ციბა/ციბე 32
ცისი 114
ცინცაძე ალექსანდრე 91
ცინცაძე ელენე 91
ცინცაძე ნ. 386
ცომაია ვერა 156
ცხაკაია დავით 138
ცხაკაია ის. 17
ცხაკაია მიხა 435
ცხომელიძე 218, 253
ცხვედაძე 238
ძაძამია ა. 407, 408
ძიძიგური 137
ძიძისური ლ. 278
ძუკია 355
ძველი მეგობარი 374
ძიაფშიფა ზოურბეგ 124
წერეთელი ი. 277, 412
წერეთლი აკაკი 103, 318, 396, 397
წერეთლი გიორგი 15, 19,

წეროძე კ.გ. 80
წევრი 67
წულუკიძე მ. 334, 343, 356, 428
წუწუნავა 218
ჭანტურიშვილი 216, 217, 264
ჭარაია პეტრე 185, 305, 327, 330, 351, 375, 376, 399
ჭავჭანიძე დიმიტრი 57
ჭავჭანიძე მ. 167
ჭავჭანიძე ო. 343
ჭავჭანიძე პ. 91
ჭავჭავაძე ილია 73, 160, 176, 220, 286
ჭაჭია 343
ჭეიშვილი პ. 17
ჭელიძე ს. 245
ჭირაქაძე 351, 375
ჭითავასი 156
ჭიჭოლავა ე. 401
ჭიჭუა ბ. 35
ხაფარიძე ანდრო 20
ხარებავა მ. 302
ხასაია 376, 377
ხაუსტიანი პავლე 286
ხაუსტოვი 299
ხახიაშვილი მელქისედექ 48, 57, 84
ხახუტაშვილი ი. 18
ხელაია 396, 397, 398 , 414
ხ-ვა კოლია 294
ხოფერია 167, 354, 383
ხოჯანა 271, 287, 282, 283
ხონელი ილია 22
ხორავა ბ. გ. 72, 137
ხორგელი 140
ხოსიაშვილი 97
ხოშტარია აკ. 167
ხოხიაშვილი 15, 18, 20, 45, 104
ხრამელაშვილი ბარბარე 15, 20
ხ-შვილი 45
ხუსკივაძე თეოფ. 252, 278, 297
ხუხუტაშვილი ა. 408
ხუხუტაშვილი ი. 15, 20
ხვარწკია 142
ხვიჩია ივანე 101
ხვიჩია სპირიდონ 214
ჯაბუა ირაკლი 233
ჯაფარიძე ანდრ. 15
ჯაფარიძე გრ. 431, 432
ჯაფარიძე ის. 227
ჯაფარიძე კ. 231
ჯაიანი 304,
ჯაჯია ბაბი 431
ჯამბაკურიან-ორბელიანი მარიამ 16
ჯანაშია ნიკო 106, 193, 199, 219, 226, 239, 256, 303, 339, 374, 401, 402
ჯანაშიისა 339
ჯანაშვილი 354
ჯანდერიშვილი თ. 167
ჯანდიერი სალომე 168, 176, 181
ჯანდიერი თ. ლ. 184
ჯანელიძე ივ. 265
ჯაში დ. 146
ჯავახიშვილი 156, 399
ჯავახიშვილი ალ. 358
ჯიკირბა კობლუხ 113, 129
ჯიხაშელი-გოჩა (ლადო) 293
ჯოლია ოტია 17
ჯორჯაძე არჩ. 61, 219, 412
ჯორჯიკია ალექსი 35, 57, 343
ჯოხთაბერიძე ტ. 158
ჯუღელი ანთიმოზ 21, 22, 137, 189, 321, 345, 346, 398, 403
ჯუღელი ილ. 385
ჯუღელი ვალიკო 239, 239
ჯუღელი ვლ. 389
ჰაბიჟ აშვბა 113, 129
ჰამუთ-ბეი/ჰამუდ-ბეი – 14, 24, 34, 55, 57, 59, 60, 118, 184, 185, 189, 198, 201, 203, 219, 224, 284, 312, 323, 354, 402

ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ.

(აფხაზეთი - რელიგია, განათლება, კულტურა)

შემდგენელ-რედაქტორი
პროფესორი ირაკლი გელენავა

Материалы грузинской периодической прессы 1900-1921 гг.

(Абхазия – религия, образование, культура)

Редактор-составитель
профессор Ираклий Геленава

ტირაჟი 200 ცალი

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22